926/4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმანახი

№ 2 (22)

114/4

62

1926

ეროვლოცარეპი ყველა ძვალნისა, შეერთდეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9475.

№ 2 (22)

წელიწადი მესამე.

ყოველთვიური სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

ტფილისი. 1926 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს კოლიტ-განათ-
ლების მთავარ-მართველობა.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 958 მთავლიტი 351. ტირაჟი 3.000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რ უ ს ე თ ი
დასავლეთი

კარლო კალაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახტომი გულიდან

ძარღვები ფრჩხილებს ველარ გადურჩა:
მე ეხლა მკერდში გული ჩავკალი!—
გადამაშორე ამ ტკივილს ლურჯავ,
რომ გადავკარგო სივრცეში თვალი!

შემოტრიალდი ტორზე უეცრად,
ტან მოშვილდული ლაგამს მოჰყევი,—
და შორი გზების გადმოსაკეცავ
ჩასჭიდე მანძილს მარჯვე ფლოქვები!....

ვხედავ რომ მუხლებს ხარბად მოდენი,—
გარბი, გულდები,—და შურდული ხარ!...
სამშობლო მიწავ! —ასე გშორდები,
ქორბუდა მთებო!—ასე მოვდივარ!..

შემოვიმტვრიე ყელზე თითები:
შემოსალტული ალერსი მშობლის!—
საკუთარ თვალში ვერ მოვთავსდები,
და ძველ სურვილებს გულიდან მოვთხრი!

უნდა მოვბრუნდე სიმძაფრით ისევ,
დედის კალთაში ვინ დაბერდება!?—
—დედაო მიწავ, ფეხს რომ გაბიჯებ,
ვგრძნობ მამა-პაპის ძვლები იმტვრევა!—

და გადმოვიჭერ მძაფრი შურდული,
მთებიდან მთებზე გზა გაძირბოდა,
ცხენი ქარმუხლი; მიწას გაკრული,—
მანძილად მოჭრილ სირბილს ისროდა!!!

ასე მოვდივარ ტფილელი მოსკოვს,
სადაც გული სძევს ახალი ქვეყნის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარსულის ხავსით ვინ უნდა მოსპოს,
აზიის მზეში სისხლი ქართველის!?

კლდეების მუხლებს, შემოკვართული
შორდება ნისლი და ქარის ქროლა! —
შორს ბუნაგიდან ყელ გაგუდული
ხევმა მდინარე ამოისროლა!

აპობდა ლოდებს ზვირთები მტრული,
ხარბი ღმუილი ხევში გაგორდა! —
და ნაპირებზე გადმომტვრეული,
პიოგაბასრული თერგი გადმოხტა!..

და თუ დარიალს გადვიარ ცრემლით, —
არაგვის ჭალებს გადაკარგული! —
შორს უცხო მთებში მეტის ხალისით
გადვიჩეხები თერგდალეული!

ლურჯავ, წამოდექ ტორზე ნაპერწკლად, —
ტან მოშვილდული ლაგამს მოჰყევი,
და შორი გზების გადმოსაკეცათ
ჩასჭიდე მანძილს მარჯვე ფლოქვები...

ხომ სულ ერთია არ დავბრუნდები,
დე, ნახტომებმა კვალი მოთხარონ! —
გზას გადმოსცვივდეს ცვეცხლის ცრემლები,
სადაც კი ნალით დარტყმა დასტოვო!

ვხედავ რომ მუხლებს ხარბათ მოდენი, —
გარბი, გულდები, — და შეერდული ხარ!..
სამშობლო მიწავ! — ასე გშორდები,
ქორბუდა მთებო! — ასე მოვდივარ!..

ძარღვები ფრჩხილებს ხომ ვერ გადურჩა, —
და მე ხომ მკერდში გული ჩავკალი! —
გადამაშორე ამ ტკივილს ლურჯავ,
რომ გადავკარგო სივრცეში თვალი!

[redacted]

26 წლის

თბილისელი.

რაჟდენ გვეტაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვიმიან დღეს...

ჩემს ვაჟს—გურამს.

ისე სწვიმს, თითქოს გურამი სტირის...
რა ტკბილი არის დღეს ყალიონი.
„გვეტაძის ბინა“—ვილაცა ჰყვირის,—
კარებს მოადგა ფოსტალიონი.

ტყვესავით ვფიქრობ: ვის გავახსენდი,
ვილაცა არის, მოსცლია ალბად.
მაგრამ წერილი როცა გავხსენი
ცრემლების თქეშით ქაღალდი დალბა.

სახლიდან მწერენ: რათ დაგვივიწყე,
შენს მოლოდინში დაგვწყდა გულები...
ბედჩაქოლილი სინანულს ვიწყებ:
ამხმარა ჩემი ვაშლის რგულები.

ძლივს ვარჩევ სიტყვებს, ნალველში ნაბანს,—
თურმე დედაჩემს წამლობს მკითხავი.
შარშან ბავშვივით სწავლობდა ანბანს
ჩემი ლექსები რომ წაეკითხა.

ეხლა თვალებზე ბინდი აკვრია;
და მამა-ჩემი მწერს დანანებით:
წელს ციებამაც ხელი დაგვრია.—
მოუწეველი გვრჩება ყანები.

მოგვხედე ბიჭო! რას გვემართლები,
ჩვენს მეტმა ყველამ სახლი აიგო.
მეტი რა გითხრა, ჰო შვილო მართლა,
ნათლიამ შენი ჰირი წაილო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხმა მოთავეთ ამომირჩია,
მაგრამ შინ ვზივარ, ძროხა გვყავს მაქეთ...
თუ დედაშენიც მალე მომირჩა
იქნება მაშინ გეწვიო მაქეთ.

მაგრამ სანამდი ვნახავთ ერთმანეთს
ნუ გეწყინება,—თუ კი სწერ ვირზე,—
ჩვენც გვიპასუხე, თორემ ღმერთმანი,
სხვას მივსცემ მამულს, ან ავსჭრი ძირზე.

ისევ სწვიმს, ელვა ბზარავს ცის კიდეს.
წერილმა გული გამინადგურა.
ასე მგონია, დავბერდი კიდეც
და უკვე აღარ ვახსოვარ გურამს.

1925 წ. აგვისტოს 20.

ალიო მაშაშვილი.

მტკვარისტანი

გახედეთ: მტკვარი დამტვრეული მოდის ხროტინით,
ზაჰეს მზედარო! კვამლის ციდან ტყდება რკინები,
ღამე მუხლებში იღუნება ბეგემოტივით
და იკბინება ვარსკვლავების თეთრი კბილებით.
როს ალიონი გამინათებს გულის ნახევარს,
მზე გადმოდგება ჯაჭვ-გაწყვეტილ ამირანივით
რათ მიხარია ქალალდივით ბედის დახევა
და ხარბათ მოვსვა პირმარილო მტკვარის ნაპირი?!
მტკვარი მოტირის ატივებულ ტალღების მტვრევით,
გველეშაპივით მოგორაო და მოდუდუნე:
რა ვქნა, მე გული დამიხეთქეს ელვის ტივებით,
რა ვქნა, კისერზე მატეხავენ რკინის ურდულებს.
თუ მოგონება მართლაც არის სველი საბანი,
თუ ბავშობაში პეპლებივით დუმილს ვიკრეფდი:
თმების მაგიერ გამეზარდა თავზე ზამბარი
და ზამბარივით დაგრეხილი დამაქვს ფიქრები.
მოგიკვდე ბედო! ღამის ლანდიც თუ დაგიტოვონ,
საუკუნიდან არ მჭირია დღის ჩამოხევა,
ზაჰეს! ელვების და ურიცხვი მზის ბარიტონო,
ცა ვარსკვლაური დაიფინე ფეხ-ქვეშ ნოხებათ.
იქ ალბათ ვინმე გუშინდელი ღრუბლებს უმზერდა,
სადაც გორაობს დაგროვილი კვაშლის გორები,
პერგამენტივით დაკეცილი დღე უმზედარო
ქუჩის ხმაურში დაიხაზა ქვის სტრიქონებით.
ვის უხარია მოლოდინი მწვანე ვარდებათ,
ჩაკვდი იმედო! ნუ დადიხარ გულში ქოშებით,
გაჰხედე ზაჰეს: წაიკითხე მზის დაბადება
და ვარსკვლავებით დაწერილი კვამლის დროშები.
სადაც ბლაოდა ბარაბანი ღრენით, ჩხავილით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ლრუბლების აქლემებმა შემოიარეს:
აგდია ქუჩის მტვერიანი სუნთქვა ჩვარივით
და საინივით დამტვრეული ხმა როიალის.
წინეთ ამ გზაზე ყურანს წერდა წვიმა-ცისდარდი,
აზიის ქარი ცივ-ლრუბლებით შლიდა კარავებს,
აქ ბინადრობდა სააკაძე—ქართლელი დათვი
და ველურ ქშენით აჩერებდა ველზე ქარავნებს.
მტკვარზე დაჰკიდეს მზის მაგიერ ზაჰესის გული
და მტკვარისტანი ვარსკვლავებით გადაშლილია:
ზეცა-ბუხარი ელვარედო იწვის გუგუნით,
ყოველი ღამე მზით დამწვარი დღის ნახშირია.
და ასე მოდის ღამეების გადაშენება,
ეხ, ვინ რა იცის უბინაო ბინას სად ჰპოებს,
მშობელო დედა! თუ ასეა, რა ეშველება
სამეგრელოდან გამოპარულ უბედურ პოეტს!
ჩქარია სუნთქვა და ღვედივით დღენი გარბიან,
იფეთქებს გული ვულკანივით ამობერილი,
გული გაქვს ხარბი და თვალებიც უფრო ხარბია,
თუ ხარ ქალაქის ცხოვრებიდან ამორბენილი.
დღესაც ქალაქის სართულიდან მთის ჭიშკრებს ვხედავ,
ყურში ჩამძახის მავთულივით სოფლის ურმული:
—დარჩი სოფელში—გარინდებით მეტყოდა დედა—
მტვერში სიცოცხლე ხანმოკლეა და გამურული!
რა ვქნა, რომ გულმა გაგორება ისევ მინდაო,
ჩამაცვეს ფიქფრი და ფიქრებში ყოფნა მაბრუებს,
ახალგაზრდობავ, სიხარულის ბურთო ფრინდაო,
ბედის ლელოზე გაგორებულს ვინ დაგაბრუნებს?!

[redacted]

ტფილისი
იანვარი
1926

კოტ. ლოლათქიფანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხვედრა

ჩემს წინ იშლება ნისლი და თოვლი,
ქარი ჩვარივით ბინდებს მოათრევს:
ვიცი, ამალამ ცა სულ ჩამოვა
და მოხუცივით ხელს ჩამოგვართმევს.

მიუალერსებს დიდიხნის ნაცნობს,
აკაკის ძეგლთან მუხლებს მოიდრეკს:
მე შემთხვევითი ვიქნები მოწმე,
თუ სიხარული ვით გადმოინგრეს.

და შემომხედავს აკაკის სახე,
მე თითქოს თვალებს ვერ გაუსწორებ,
მეტყვის:—შორს დგომით აბა რას გვეხარ,
მოდი, ამ ზეცას ძუძუ მოწოვე.

თორემ რა არის შენი სიმღერა,
თითქოს მავთულზე გარბოდეს ქარი;
ხმა გაგიხმება ჩალის ღერებათ
და სამშობლოში ვერ გაიხარებ.

დიდო აკაკი, რატომ მაყვედრით,
თქვენს თვალში სხვა ცა გადახსნილია;
სცადეთ გრიგალში თქვენც დაიყვირეთ
და ხმის სინაზეს თუ გამოიხსნით.

თქვენს გულს ათასი ვინმე უვლიდა,
შემოლამებას შლიდით ბალებთან;
ჩვენ კი გვდიოდა სისხლი გულიდან,
როცა სარდაფთა კარებს ვაღებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდო მოხუცო, მიხვდებით ვიცი,
თუ ჩვენი ხმები რატომ დაშორდა;
ჩვენ ერთნაირათ ვით გავიცინოთ,
როცა ეს გული ჭუჩებმა შობა.

ნუ მემდურები: ეხლა სამშობლოს
თუ ცა-ფირუზი ვერ დავახურე,
გავიდეს წლები... მეც გავიშალო...
თითონ ვით ზეცა მოგინახლებ.

თებერვალი

ალექსანდრე ქუთათელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისი

(ნოემბერში).

ლელვის ღეროდან
გაიმღეროდენ
ფრთა-მოქარგული მალალურები
და გავყურებდი
აივნებიდან
მე, ადევნებულ რიონზე ველებს.
რიონი მწვანე ჭალებს ასველებს.

ჩემს წინ იშლება წინაველი ღვართა სარბევი,
კალთებზე ვაზი და სოფლების ბუდე-კარვები,
ფერად-ფერადი სიმშვენენი: ფერსათი, დიმი...
ცისკენ შუბივით ამართულან მთები—შუბანი,
უკან—უშბაა: დიდ ორბების ფართო ნადიმით
და მოაქეს რიონს სვანეთიდან ხნიერი ბანი...

ეხლა ყვითელი, უიმედო, შენელებული
იდგა სხივების ზღვა და ხაზირი;
ხეებზე ვაზის
ფოთოლი არ ზის
და მტკივა გული.
ვით სამსხვერპლოდან ბოლი აბელის..
ოდიდან ადის ანაბოლი ცით ამაღლება,
მირბის ღრუბელი ღუნღლიანი ვით სირაქლება,
გულს მიჩრდილავდა მათი ფარდა, და კრეტსაბმელი.
ჩამონგრეულა მთაზე მარადის
ნაშენი ქვითა ქუთაისი ძველი, მაგარი..
გულს გარინდული ფიქრთა ხმაურით
ნოემბრის ციდან ეცემა ურო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იცინოდა, როგორც პირიმზე
ქარვის ფოთლებზე, ფოთოლზე მცირე
ძმა—ცირეკიძე

. . . . . .

ლელვის ღეროდან
ქარი მღეროდა;
გამოლეოდა მალალურები
და გავყურებდი
აივნებიდან
მე, ადევნებულ რიონზე ველებს.
რალაც უცნაურ სიმღერას ველი!

თეთრო ქალაქო, თმა-ხუჭუჭავ პატარა ბავშო,
რაი გიმღერო თეთრ ლოდებით გარემოცული?
ბარემ ვაცალო მე რიონის ტალღებს თამაში,
რომ სიმღერებით მან დასცალოს მღელვარე გული!

ო, მეგობრებო, მებრალება მე ქუთაისი
თეთრ აკაკივით მოლიმარი და სამაისო..
მაგრამ სამისოდ არ იმღერის ამალამ ქარი:
ბუ და ჭოტები, აჯამეთში გაჭკივის ტურა,
მისტიურ ლაქით გალვარული მიცქერის მთვარე,
ტყე ავადმყოფი, ღამურებით სავსე ფუტურო...
აჰა, მოვიდა ნოემბერის ცივი ბორია,
ჰბორგავს გუგუნებს ქუთაისთან ტყე—საღორია!

[redacted]

ქ. ქუთაისი.
1925 წ. ნოემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„წმინდანიანი," „შავი ვარსკვლავი," „გარდაცვალება."— ეს ერთი მთლიანი გზაა პოეტის და ადამიანის. ამ გზაზე არ იყო არც დრო და არც ადგილი დასვენების და, რაც ჩემთვის მთავარია,—არ იყო სიყალბე და კომპრომისი. პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და, ალბად, ესაა მიზეზი, რომ მე როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელი ამბოხებული დროის აქტუალობას. როგორც პოეტი, მე შესაძლებელია, დავრჩე წარსულში.

მაგრამ მოქმედების, გამბედაობის და სიცოცხლის ლოლიკამ მე გამათანასწორა თანამედროობასთან, როგორც ადამიანი.

შეიძლება მომავალში ეს ორი პარალელი შეერთდეს. მე არ ვიცი. ვიცი, რომ ამ წინააღმდეგობაში ჩავარდნილია მთელი ჩემი დრო. და პოეტისთვის ეს წინააღმდეგობა ხშირად თავდება კატასტროფით.

ვფიქრობ—დასასრული ჯერ შორსაა და თუ **პოეზია** და **მოქმედება** მაინც ვერ შეერთდა,—ეს ორი ცნება ერთ სიმაღლემდე მაინც უნდა იქნას აყვანილი. ეს კი მოითხოვს უკულმა შეფასებას: პოეტისას—დღეს, ადამიანისას—მომავალში, რაც, ბოლოს და ბოლოს, სულ ერთია, თუ ადამიანის ამბავი გაყვა საუკუნეს, როგორც პოემა.

ნიკოლო მიწიშვილი.

1926 წელი. იანვარი.
ტფილისი.

4275

ნიკოლოზ მიწიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდაცვალება.

— პოემა —

სტამბოლი

1.

უცხოეთი. სტამბოლი. შავ ზღვას გაღმა—საქართველო.

ადგილი, სადაც სტიროდენ ქართველები ისტორიულად და გაჰყურებდენ პონტოს: დიოსკურიამდე. ამხელა მანძილი და ამდენი ხანი. ეს კმარა იმისათვის, რომ ითქვას ყველაფერი. იწყება ახალი და უჩვეულო. ამ ჩვენების წინაშე უნდა აღიმართოს წარსული. გადიფეროს სახეები. დალაგდეს დღეები დაცვენილი.

* *
*

მეორე რომი—გადაჭრილი ნამგალათი. ნამგალა—მოხრილი ცხენის ნალად და გზა ნალზე გადარებული. ცოცხლდება ყველაფერი, როგორც სიზმარი სინდბადის. გადმოდის მაღლიდან ლოცვა და—ანგელოსი გაშლილის წიგნით. ეს წიგნი, ჯერ წაუკითხავი და აუხსნელი—ჰბინდავს მზეს და, ამ ბინდში მუხლმოყრილი, ვიმეორებ ბე ძველ ფიცს და აღთქმას შორეულს. მას ვხატავ აქ, როგორც პირობას—დასტურდაცემულს. დადგინებულს ჩემით—ჩემზე. ესაა ყიელი. გათენება ეკითხოს ღმერთს.

ამიტომ იწყება ლაპარაკი საკუთარ თავთან. იწერება დასაწყისი მისა, რაც იყო. დასასრული ბნელია და სქელი, როგორც ღამე ტროპიკებზე. როგორი იქნება იმის ბოლო, რაც აქ იწერება დასაწყისად. შეხვდება ეს თავი და ბოლო მსგავსებასა და ერთნაირობაში, თუ შევსძლებ შეცვლას, შებრუნებას—ესაა ნება ღვთის.

* *
*

ავტობიოგრაფია არ ეპატიება არავის. და მე არასოდეს არ დავწერ მას. აქ იწერება მხოლოდ ქირურგია სულის და სახე—მორგში. ამბავი ფიზიკური ყოფნისა არის ანეგდოტი. უხეირო და მჩატე ეპიზოდი, რომლისათვის სივრცე პოლიციის პროტოკოლის საკმარისია ყოველთვის. არის სხვა, რისთვისაც სცხოვრობ და რაც გაცხოვრებს.

„კურთხეულ არს სახელი შენი."

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ეს სახელი არის ჩემთან. ყველაფერი მისგანაა და მის მიერ, ის დამიფარავს მე და სახე მისი იქნება ჩემთან.

4

მეოცე წელი საუკუნის. ლექსი—დასტამბული. ქორონიკონი. აქედან იწყება ყველაფერი და ჩნდება სიტყვა, მონაბერი ღამისაგან. ფესვი ამ სიბნელის დაფარულია ყველასთვის. არც ეხლა გავახელებ მე ამ საშინელებას, რომელმაც მისროლა ნაპირზე, როგორც ითნა—ვეშაპმა. არცაა ეს სავალდებულო. პოეტისთვის სავალდებულოა ამბავი ღვთისა და პოეზიის. ეს ამბავი დაიწყო აქედან. გაჩნდა მეხსიერება და ის, რაც არ დაიკარგება არასოდეს.

ტფილისი პირველად. გზა პოეზიისაკენ, როგორც გზა—დამასკომდე და ფერისცვალება ძვლების. აქედან გაიშალა წლები, როგორც გარდამოხსნა, ჭრილობა ძმარგადასხმული. ყოველთვის მდუმარე. არასოდეს გახარებული. უკმაყოფილო ყველაფრით და იჭვიანი, როგორც ურია,—ვიდექი მე ასე: ღრუბელი გაფიტული. ღრუბელი სველდებოდა სხვისი ცვარით. სხვისი აღტაცებით. სხვისი სიხარულით; მე არასოდეს არ ვყოფილვარ ბავში და გამსრისა მან, რაც იყო პირველ ლექსამდე.

* * *

პოეზია გახდა ორდანედ. სურვილები მოგრეხილ დღეების აენთო სახედ მეშვიდე ანგელოსის.

პოეზია გახდა შინაარსი. უკანასკნელი და პირველი ხმიადი. ცოეზია—ნუგეში. სურვილი. სიყვარული და სიმწარე საზღვარეული.

* * *

უხმო. უსიტყვო. უსიხარულო—ვიმალებოდი მე ამოგლეჯილის ენით და ვმალავდი:—უბედურებას—ჩასრესილ გულში. არ იყო კედელი და მიკედლება. არ იყო ტოლი. ძმა. არ იყო არავინ.

* * *

სხვასთან მისვლა ნიშნავს—მიტანას. მიჰხარებას. მიტანა სიხარულის გამართლებულია ცამდე. მისვლა უბედურებით—არის იგივე უბედურება. და გამოჩენა მისი ძნელია და მძიმე იმდენათვე, რამდენად საშინელია ტარება მისი. ამიტომ ვიდექი მე მარტო და ვიხრებოდი აქლემის კუზად—მიწამდე.

* * *

მეშჩანობა. გენიალობა. ფილისტერობა. პოეზია—მიმატებული ერთი მეორეს და გამრავლებული სიცოცხლეზედ იძლევა მაინც სიხარულს. სიხარული ილვრებოდა ჩემს გარშემო, მაგრამ ის არ იყო ჩემთან. მე აყრილი მქონდა უფლება მივკარებოდი იმ ოსანნას, რომელიც ჭერამდე ავსებს ყველაფერს მზის ქვემოდ. მე ვგრძნობდი, რომ დაბადებითვე მოიწამლა ჩემი არსება საშინელი

ხრჩოლვით. დამემთხვა თავს ჩვენება: დასერილი—თვალების და ამოძირული სიხარულის. გაუმთბარის და უსინათლოსი. ვხედავდი—მაკლდა გრძნობა უმთავრესი. გრძნობა დიდი და მთავარი, რომელშიაც სცურავს ადამიანი, როგორც ჰაერში.

* * *

საშინელია დარწმუნება, რომ ვერასოდეს ვერ იგრძნობ სიხარულს. და მთელი სიცოცხლე იქნები ერთნაირი. უფრო განმანადგურებელია შეგნება, რომ ეგ უსინათლობა და ერთნაირობა იქნება უმწარესი და განაწამები. ადამიანს სჩვევია მასკა. ჩაცმა ახალი სამოსელის არაა მარტო კარნახი ჰიგიენის. აქ არის სურვილი მიუღწეველის და მუდამ განუხორციელებელი ცვალების და ილუზია განახლების. მე წარმოდგენილი მაქვს განცდა ადამიანის, რომელიც ყოველწლივ იცვლის სახელსა და გვარს, როგორც გველი—პერანგს. ეს ფანტაზია, რომ დაკანონდეს, შეიძლება ახალ პასპორტთან ერთად ყოველ-წლიურად განახლდეს თვით ბუნება მისი პატრონისა და, ვინ იცის, შეიძლება კაცობრიობამ დაგვანახოს სულ სხვა გვარი სახე. ჩემგან ოცნება მოწყვეტილი იყო. მე ვიცოდი მხოლოდ ერთი,—რომ ცხოვრება მოწამლული სისხლით შეუძლებელია, და სიარული ასეთის ბედით—უსაშველო. სხვა ბედი კი არ მეწერა და განვიძრახე საქმე უხერხული:

დაბადება ხელმეორედ.
შეცვლა ფიზიოლოგიური.

* * *

ეს რომ იყვეს ლიტერატურა—აქ ითქმებოდა ბევრი სიტყვა და არც ერთი ნიშანი გრამატიკის არ დარჩებოდა უსაქმოდ. ამ სიტყვების თქმას მე შევძლებდი და ამ სიტყვებს მე ვნახავდი. შეიძლება მაშინ ჩემი აზრი,—ამ ჟამად მიახლოებული შეშლილის დიალოგთან,—უფრო გასაგები დარჩებოდა გონიერ ხალხისათვის. საბედნიეროდ, მე აღარა ვარ პედაგოგი და გაუბრალოება გაუგებარის ჩემთვის სავალდებულო აღარაა. შეიძლება ლაპარაკი ამის შესახებ იყოს აბსურდი. მაგრამ ჩემთვის საკმარისია თუნდაც ის, რომ ეს აბსურდი იწყება ბიბლიიდან და ავსებს ეგვიპტეს ასსირიამდე.

* * *

ჯერჯერობით ლოლიკურია მხოლოდ ცოხნა. პირდაპირი ხაზი კი მოსედან ლაპლასამდე არის ასეთივე აბსურდი, მოკლებული ლოლიკას. მაგრამ ის ანათებს, როგორც მიღწევა უკანასკნელი და როგორც უკვდავება. ჭეშმარიტება და ამბავი სიკვდილ-სიცოცხლისა იწერება ლოლიკისა და გონიერების იქითა მხარეს. და თუ ქვეყანაზე არსებობს მშვენიერება,—ამის მიზეზია გადარეულები.

* * *

გონიერება ადამიანის ბუნებაში ახალი სტუმარია. ადამიანი, როგორც

ენერგია, როგორც სტიქია და ბუნტი, არის კატეგორია გადავარდნის და შეშლილობის. წუთები უმაღლესი გამძაფრების მოკლებულია გონიერებას. მე ვიდექი გონიერების საზღვარს გადაღმა და თანდათან ვშორდებოდი მას.

გადადნობა სისხლის.

დარღვევა უჯრედების იერარქიის.

ეს იყო ფაქტი და ეს იყო მიზანი. თუ მინდოდა სიცოცხლე—ეს უნდა ქმნილიყო. სიცოცხლე მინდოდა, როგორც არავის და მოკვდინება ასეთგვარი უნდა მომხდარიყო. აქ სდუმდა გონიერება და არგუმენტი. ასე გადავისროლე თავი საკირეში. ასე გავთხარე კუბო საკუთარ ძარღვებში.

* * *

შეიძლება ეს იყო მოვლინება ეშმაკეულის. მე არ მჯერა ეს დღემდე, რადგან ვიცი—ჩემთანაა ღმერთი. ყოველი დღე ღამდებოდა ლოცვით და ჯვარით ღმერთი იყო ჩემი ფუძე და ძალა ურყეველი. ჩაკიდებული ღვთის კალთას,—მე ვიყავი დამკვდარი მის ნატერფალზე. მას შემდეგ ჩამოთოვა წლებმა და ამ წლებში გრძნობა კმაყოფილების იყო მხოლოდ ერთხელ: „ეს სახე თანდათან ემსგავსება პოეტის სახეს.“ ფრაზა თქმული უფრო კონკრეტულად, ვინემ აქ იწერება. აქ იყო ჩემთვის ნიშანი.—გარდაცვალება ხდებოდა. გარდაცვალება მთლიანად,—ეს იყო საზღვარი. და ეს ფიცი ვესროლე ღამეში მე ჯერ დაუბადებელ ჩემ თავს—შორიდან მომავალს.

* * *

გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს. შეიძლება მარტო ამ—ასტრალური სიტყვის შესახებ დაიწეროს ყველაზე ფანტასტიური წიგნი ქვეყნად და ამ წიგნს დაერქვას სახელად „საქართველო“. ქვეყანა, დამდგინებელი ამ შეგნების და შემქნელი მისი—ანათებს, როგორც თანაბარი ღვთისა. გასაღები უკანასკნელი სასწაულის და თილისმა უკვდავების ჰკიდია მას წელზე, როგორც სატევარი მხედარს.

* * *

საქართველო წარმოუდგენელია სიკვდილში. ის მხოლოდ იცვლება და ამ გარდაცვალებაში ბრუნავს, როგორც ასტრალური პოტენცია, როგორც პირველი ენერგია, ლეონარდოს რო აბრმავებდა. ეს პოტენცია ავსებს აზიას ისტორიამდე და ებჯინება პამირიდან პირინეებს, როგორც ჩვენება იოანესი. ამ გარდაცვალებაში მე ვგრძნობდი თავს შვილად ქართულის უკვდავების. ვყრიდი ჩემს ხორცს. ვცვლიდი სისხლს და ვცლიდი ჩემს თავს, როგორც გატენილ ზამბულაკს.

* * *

ასე ვირყეოდი ყოველდღე და ყოველი დღე იშლებოდა ჩემს წინ სხვანაირად. გასწორება სიარულის. მისვლა გულით გულთან,—ეს იყო დაფარული ჩემთვის. და

ვიყავი დაშთენილი მდუმარებად არ თქმულა ერთი სიტყვა, ერთი სადღეგრ-
ძელო: მეშინოდა უბედურების, ჩემს სისხლში ჩაკირულის და ჩასრესილის. ვგრძნობ-
დი—ამოვარდებოდა ის, როგორც ტირილი კედელში ჩაკირული ბურავის. დაუ-
მკვიდრებელი ყოველთვის. ფერნაცვალი ყოველდღეს და გაფბილებული ყოვე-
ლის ღამით—მე ვიყავი უნდობელი ყველასათვის; ჩემი მეგობრობა ყველასთან—
აშლილი და მოგოეხილი, როგორც ღვლეჭი. მაგრამ ჩვენება ჩემთვის მარტო აქ
იყო. მხოლოდ აქედან ვხედავდი თრთოლვას ჩემი დაცვენილი სახეებისას. ბრუ-
ნვა განახლებისა და გარდაცვალების მოსჩანდა მხოლოდ აქედან.

* * *

მე ვწონიდი ქვეყნიერებას ყოველდღე და ვზომავდი ყოველდღე განვლილ
ზღვათა სივრცეებს. ალბად ამიტომაა, რომ ჩემს მაგიდაზე ყოველთვის სძევს
მეტრი. ვხედავდი პოეზიას და უფრო ახლო ჩემს მეგობრებს პოეზიაში. მათში
იყო სიცოცხლე. მზე. ბედნიერება. მათში იყო ხილვა სიხარულის და, ალბად,—
გამართლებული და ნაკურთხი პოეზია—იყო მათთან. ჩემში იჯდა სიკვდილი.
ღამე. უბედურება. უსიხარულობა და უსაშველო „უ“. აქედან-მიუღებელი და
ღვთისაგან უკურთხებელი პოეზია ჩემი. პოეზია—ამძაფრებდა ამ გრძნობას. ეს
ახურებდა ტვინს. იდრიკებოდა ურდულები გონებისა და, როგორც სახედარი,
მივეთრევოდი ალსასრულისაკენ. მკვლელი. ჯალათი. ყასაბი საკუთარის თავის.
ალქიმიკოსი და ტყვია-გადამდნარი საოცნებო ლითონად—ეს უნდა მომხდა-
რიყო და ეს უნდა მოხდეს.

* * *

ჩემი გვარი იყო მჭედელი შვიდასი წლის მანძილზე დღემდე. ამ საუკუ-
ნეთა ძირში კი ზურგს მიმაგრებენ ჩემი წინაპრები შუამდინარედან: პირველი
მჭედლები და მწერლები მწერლობამდე. ჩემს მოდგმაში არის უცნაურობა გა-
დადნობის. და თუ აქ არაა განხორციელება ალქიმიის ოცნებისა,—აქ არის
დასაწყისი ცვალების და გარდაცვალების. ჩვენს გვარს მოსდგამს ძველთაგან
დამწვარი, გადამდნარი სპილენძის სახე. ჩვენ გვესმოდა ამღერება ცეცხლის.
მეწამულობა ცეცხლის და ჩვენ დღემდის ვაღიერთებთ ცეცხლს. მე მახსოვს
ბავშვობა და ახალი წელი სოფლად. მახსოვს რიტუალი სამჭედლოში—როცა მამა
ჩემი დაანთებდა სანთელს რქიანი გრდემლის მაგარ შუბლზე. მეტალურგია და
შინშხალი ცეცხლის მოდის შორიდან და ამ ცეცხლს მივეცი მე საკუთარი თავი.

* * *

ასე ვკვდებოდი აღდგომის გულისათვის. და მიმყვებოდა იმედი ღვთისა.
მრწამს—ღმერთი დამიფარავს მე. ისაა სასწორ-სამართალი. სიბძნე და სიცოცხ-
ლე უშრეტელი. სიმართლე ჩემია და ღმერთიც მიმყვება მე.

რამეთუ შენი არს სუფევა ძალი და დიდება.

რითი გათავდება ეს ამბავი. რა სიტყვით მივალ იმის ბოლომდე ეხლა-

რომ ვსწერ დასაწყისად—მე არ ვიცი. და იქნება ვერასოდეს ვერ გავიგებ ამას. ვიცი მხოლოდ, რომ მე მწამდა ქვეყანა და მწამს, როგორც ჩემი თავი.

* * *

მიდიოდა წლები და ჩემი ცხოვრების „უ" გადაიქცა წმინდანიანად. ეხლა მივსჩერებივარ ჩემს წიგნს. თეთრ წიგნს. სისხლით რომ დავასტამბე სათაური. მე მაშინებს ეს წიგნი ეხლაც. აქ ყოველივე სტრიქონი არის ლახვარი, დანასობი გულზე. სამართებელი—გამომძარღველი ჩემი სხეულის. ყოველი ბწკარი ამ წიგნის—სიპზე დანარცხებაა ჩემი თავის და აშივლება გადმონთხეული ტვინის. ამ გახეთქილ თავიდან უნდა გამოიდენოს დაუწყნარებელი წივილი საშინელი ბედის. ჩემი უბედობის. ჩემი ცხოვრება—გაცხრილული და გადარჩეული, სავსებით მოკლებულია მოქმედებას. თეატრს. ფაბულას. თითქოს დაუჯერებელია ასეთი გრძნობა უბედურების. ხშირია კატასტროფა ადამიანის ბუნებისა,—ადამიანს ანადგურებს ეს ქარტეხილი. ხდება ხშირად დატეხვა და აფეთქება მარადიულისა ადამიანში და ეს ანახშირებს სულს. ასეთი ტეხილებით ღარიბი ვარ მე. მაგრამ არის სხვა რამ. თითქოს ჩემი სისხლი და ყოველი უჯრედი ჩემი სხეულისა თავისთავად იმუშაევებს ამ ტკივილს. თითქოს დაბადებითვე დამკბინა მე მითიურმა გველებმა და ეს შხამი ჩაირეცხა ჩემი სისხლი დენაში საუკუნოდ. გველის პერანგი, გადაცმული ჩემზე,მაკივლებს მე უბედურებით. მე არ ვიცი რაა ეს. მხოლოდ ვიცი—ეს არაა მიზეზი დამარცხებული ნივთიერების. მე ვარ ჯანსაღი და მამაკაცი სრულიად. არის სხვა. ყოველ შემთხვევაში უფრო რეალური, ვინემ მეტაფიზიკა, უფრო ნივთიერი მეტაფსიქიკაზე, დამაჯერებელი იმდენად, რამდენადაც დამაჯერებელია ფრანკფურტელი განდეგილის მეტაფიზიკური ფიზიოლოგია და ფერის ცვალება ნივთების. ამაზე დამყარდა განჩინება:—ეს სისხლი უნდა გაშრეს. ეს ხორცი უნდა შეიცვალოს. თუ ეს არ მოხდა—მოხდება სხვა. საშინელი და უარესი, რაიც გადააჭარბებს საკუთარ თავს. საქმეა მოსწრებაზე.

* * *

ასე ჰკივის უბედურება ამ წიგნში. არის შიგ ატირება, მაგრამ არაა ცრემლი. შეიძლება ცრემლი ბანალობაა. ალბად. მაგრამ საჭიროა სიხარული. სიხარულმა იცის გადმოტეხა ცრემლის. ადამიანი ამ დროს ჰგავს მსუყე მიწას, წვიმისაგან ასურნელებულს. მიწას დემეტრას. მიწას შვილიანს. ეს წიგი კი არის ხრიოკი. მაზე არ ჩერდება სისველე (ხოველი და ჩამოდის ძირს აჩქარებულ ღვარად. შეიძლება ის ჰგავდეს უდაბნოს, როცა მას უნდა მიაგებოს დამწვარი სახე წვიმას, ცაში რომ იღვრება, მაგრამ ქვიშამდე, რომ ვერ უწევს.

ასე ვწერი მე და ვითხოვ—წყალს. ნეშოს. ჩრდილს და სოველ მიწას.

* * *

მაგრამ ეს წიგნი, ყველაფრის გარდა, არა ვარ მე. ეს წიგნია ის, რასაც მე ვკლავ. რაც მე არ მინდა, რომ ვიყვე. „წმინდანიანი, როგორც ლიტერა-

ტურული ამბავი რომ მე არ შემეხება. აქ კი განსაკუთრებით ზედმეტია სიტყვა მაზე. ყოველ შემთხვევაში, ვიცი რომ მე დავრჩები. და რომ ეს [illegible] ჩემ წინ— მე შემწევს ძალა დავამტკიცო პოეტი ნიკოლოზ მიწიშვილი, [illegible] თეორემა პოეზიაში. დღეს კი ეს წიგნი ჩემთვის დოკუმენტია. ესაა კომპრომისი მისადმი, ვისაც ვკლავ და ვებრძოლები. ეს წიგნია ის სიტყვა და სიტყვები, რომელსაც მე ვიტყოდი, ლაპარაკი რომ დამეწყო. ამ სიტყვებით ლაპარაკი მე არ მინდოდა. ამ სიტყვებს მე ვახჩობდი სხვა ამეტყველებისა და შემოქმედების გულისათვის. ეს წიგნი ჩემთვის ზღვარია—თუ გავიმარჯვე ჩემს თავზე, ის იქნება მოგონება ღბედური პირველისა და თუ ეს არ მოხდა—დეე ნახონ სხვებმა, თუ რამ გაანახშირა სული ნიკოლოზ მიწიშვილის. მაშინ ეს წიგნი იყოს ხელნაწერი, ნახული ბოთლში.

ამ წლებმა ზესცვალეს ბევრი. თითქოს გაიმართა გზები. მაგრამ არ მოხდა უმთავრესი. ამიტომ ყოველგვარი მიღწევა მოსჩანდა, როგორც სიზმარი. მხოლოდ ერთი კაცი—პოეტი—ხედავდა ჩემში მაზე მეტს, რაც უნდა სცოდნოდა სხვას. მხოლოდ მან იგრძნო საშინელება ჩემში. ჩემი უბედურება და უსიხარულო „უ“. მაგრამ ჩემთვის ეს იყო მხოლოდ ნიშანი საშუხარო. ნიშანი, რომ შორსაა გამარჯვება.

* * *

მადლო ლამეების, გათენებულების ლოცვებში,—ნუ დამტოვებ შენ.

ვიკრებდი ღონეს უკანასკნელს. როგორც დანაყული, ცოცხალმკვდარი—ვიდექი მე. იყო წუთები უკანასკნელი გამოთხოვების. და ვგრძნობდი—დავარდებოდა გველის პერანგი. სისხლი ჩემი დაიქცეოდა სიტკბოებად, როგორც ბროწეულის წყარო. წმინდანიანი კისერმოგრეხილი ბარბაცობდა სიკვდილით. მაგრამ დაეცა არა ის. სიყვარული, როგორც სატევარი მოხვდა გულს და წავიქეცი მე შეცდომილი.

* * *

სიყვარული არის მიღწევა. სიყვარულია რწმენა და რწმენა, თუნდაც მისხალი—შესძრავს მთებს. ესაა ღვთაებრივობა სიყვარულის, მუდამ მართალის და გამართლებულის თუნდაც იმით, რომ ის ყოველთვის აღწევს მიზანს. შეიყვარეთ რაც გინდათ. შეიყვარეთ ვინც გინდათ და როგორც გინდათ—ოღონდ შეიყვარეთ და სიკეთე დაგადგება თქვენ. ესაა სიმართლე ცოცხალთა. და ეს სიმართლე დამადგა მე როგორც გრაალი და როგორც რუსთაველი. დამაძინა მან და გააღო სხეული დაბეჭდილი: ვნახე—ღია გულს დააცხრა აყიელებული ყორანი. ჩამოდგა უბედურება დამძიმებული და ნათელი—შავი მზის. წმინდანიანი ბორკილდანადები დაბეუფლა მე განმეორებით. ასე აღსდგა მკვდრეთით განწირული უბედურება. ასე აიშვა მან, როგორც გელათის წყაროსთან აღმაშენებელის რჭიანმა ჯორმა.

* * *

მზე—შაბიამანი. მოწამლული ფორთოხალი ლეონარდოსი. სიყვარული, როგორც გრძნობა სიზმარში მოვარდნილი კბილის.

უნდოდა შველა თავს დალუპვის წინ და შებრძოლება კიდევ დალუპვის კარზე. „უშველე თავსა შენსა და ღმერთი შეგეწევა შენ“.

და აენთო განმეორებით ცეცხლი საკირესი. შეიძლება, [illegible] აღსრულდება განზრახული—ყველაფერი დადგეს, როგორც დაუჯერებელი, როგორც სიზმარი მოგონილი. მაგრამ სიმართლე ამისა დამტკიცდება გამოძიებით. თავის შველა—და მე გავისტუმრე ჩემი თავი ზღვისაკენ, დატვირთული უბედურებით.

* * *

გავეექეცი ჩემს თავს თუ უშველე მას. გაიხარებს იგი, თუ ამოშრება გამშრალ ჩალათ. მე ველი ნიშანს და ვიცდი.

* * *

ამით მოველ აქამდე და ვიარ—ამით. ვხედავ: მომიტაცა განგებამ. გადამაცვა ღვარი და წამიყვანა შორს. ხდება ამბები ჩემს გარშემო. ნათდება გზები და შუშდება გამოხრული ქუსლები—შორი გზისათვის.

„და მოსჩანს გზები—სონეტებით გადაქარგული“.

* * *

მესმის შრიალი სასწაულის და მწამს: აღთქმა, დადებული ძველად, ეხლა იწერება მხოლოდ. მაგრამ დღეს სიმართლე მისი მჯერა უეეტეს და ვსწერ ასე. მინდა გავიგო დასასრული. და მიმეჩქარება ძალზე. განმეორდება ამბავი ლაზარესი, თუ გათავდება ირბით. ან როდის.

მინდა ვნახო, როცა მე დავაჩერდები უბედურებით გატენილ საკუთარ ლეშს. მაშინ ვიქნები ბედნიერი. და გავიხარებ მაშინ. მაშინ დაიბადება პოეტი, რომლის სახელი ჯერ არ ვიცი. და ვნახავ საქართველოს—მაშინ.

პარიზი.

2.

ყველაზე საგალდებულო პოეტისთვის, შეიძლება, ბიოგრაფია იყოს,—რომელიც არასოდეს არ დაიწერება და არ ითქმება. ყოველ შემთხვევაში, გაკეთება ბიოგრაფიის ისეთივე ძნელია, როგორც აშენება პირამიდის. პოეზია იწყება იქ, სადაც პოეტი სძლევს ბიოგრაფიას და ბიოგრაფია ამის შემდეგ ხდება ისეთივე წარბმაღალი, როგორც თვით პოეზია. ვინ დაამტკიცოს—რომელია უფრო განათებული: ის, რაც დასწერა რუსთაველმა, თუ ის, რაც მან ქნა და, რასაც კომენტატორთა ბატალიონები ვერასოდეს ვერ გიიგებენ.

* * *

რა დამრჩება მე—პოეზია, თუ ბიოგრაფია. დარჩება ორივე, თუ არც ერთი არ იქნება გამართლებული.

* * *

მივსჩერებივარ ჩემ თავს და ვფიქრობ სიმწარით. ვსწერ, რადგან ტირილი არ შემიძლია. ტირილი და ლოცვა ყოველთვის ხელწერილია ადამიანის, მაგრამ—მიმართული მფარველისადმი—ის ხდება ძლიერებად. ვის შევაბრალო ჩემა თავი და ვის მივატირო სამძიმარი: მფარველი ჩემი დაიკარგა სამუდამოდ.

* * *

აქამდე ვიყავი, როგორც შესაძლებლობა, როგორც მოლოდინი. მე უნდა მოვსულიყავი. მე შემეძლო. ველოდი აღდგომას, შობას—ღვთის იმედით. ეს ყველაფერი გაჰქრა და შემრჩა ძალზე შეძულებული საკუთარი თავი. მე ვთვლი წიგნებს—ჩემგან დაუწერელს. ვკითხულობ ცხოვრებას ჩემ მიერ გაუკეთებელს. „წაგებული ბიოგრაფია“ ხდება ჩემს ბედისწერად, ცხოვრება ჩემი—„წაგებულ ბიოგრაფიად“ და პოეზია დგება, როგორც „ძახთაპირი“. იკეტება ყველა კარები ერთის გარდა, რომელიც მაშინებს, ასე—წაგებული, ვაპირებ თამაშს, მაგრამ ვინ მენდობა მე, როცა თვით აღარ ვენდობი საკუთარ თავს.

* * *

დაიკარგა ყველა იმედი და იმედიც გამარჯვების. წინედ ღმერთი იყო ჩემთან, როგორც ლოდი—გულზე. კათოლიციზმი და მონასტერი,—ამაზე მე ვფიქრობდი და ეს მეხატებოდა, როგორც რეალობა. მე არ ვიცი, რამ ჰქნა ეს და რისთვის დატრიალდა უბედურება კიდევ ერთხელ. ვიცი მხოლოდ, რომ გამოშიგნული ვაგდივარ სენაზე და მაგონდება შემოდგომა იმერეთში, როცა მამა ჩემი ხის ჯვარზე გაჰკიდებდა ძველ ჩოხას,—ჩიტების საფრთხობელად. ასეთი ვარ მე დღეს. და აწი, როგორადაც არ უნდა ჩამოდგეს ცხოვრება—სახელი ჩემი დარჩება გაუმართლებელი, რადგან ღმერთი ჩემთან აღარაა.

„და როცა ღმერთიც პოეტებში ჩასათვალია—
ვინ გაიფიქროს ღვთის გულიდან ამოძირვაზე“.

ღმერთი და პოეზია. კურთხევა ღვთის და კურთხევა პოეზიის. ჰქრება ორივე ერთად. უკურთხი სიტყვა. წმინდანიანი და ჩემი გამოქლიბული გული—მრჩება მხოლოდ.

* * *

პარიზი თავისთავად მოცემულია, როგორც სიხარული. წერა პარიზის შესახებ გაუმაროლებელია ყოველთვის. პარიზში დაიწერება მრავალი წიგნი, პარიზზე კი—არც ერთი. პარიზი ჰგავს ბიბლიურ სიზმარს—ცამდე აყუდებულ კიბისა და ანგელოზების შესახებ. ქვევიდან ხედავ ყველაფერს: კიბეს, ანგელოსებს და საბაოთს, მაგრამ ზევიდან არ გადმოუხედნია არავის და არავინ იცის—რას შეხედავდა კაცი, ზევიდან რომ გადმოეხედა. პარიზი ასეთი სიზმარია იაკობის. კიბე—ცამდე აფრენილი, რომელზედაც არავინ ასულა, მაგრამ, რომელიც ამართულია მაინც, როგორც მარადიული შესაძლებლობა ცისა და ქვეყნის შეერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თების. დაწყებული მზით უკანასკნელ ქვამდე—პარიზია სიხარული. ჩემთვის კი ეს განათება გადაიქცა ბოსხის ჩაშავებულ ფრესკად.

* * *

ერთხელ ბელგიელებმა გამართეს ძველი ბრაბანტის და ფლანდრიის მხატვრების გამოფენა პარიზში. იყო სურათი—ტრიპტიხი, უცნობი ჰენტელი მხატვარის. დედო ნაწილი მისი— "ხარება" მოთავსებულია პროვანსის ერთ მუზეუმში, მეორე კარი—ბრიუსელში და მესამე ეკუთნის კერძო პირს ლონდონიდან. სამი ჩარჩო, განცალკევებული და ერთი მეორეს დამტირალი, მოიტანეს აქ, სხვადასხვა ქვეყნიდან. მრავალ საუკუნეთა შემდეგ პირველად შეერთდენ ისინი ტიულერიში, კონკორდის წინ, სადაც ერთხელ მოხდა ყველაზე უფრო დრამატიული გამოთხოვება: მარიამ ანტუანეტასი და გილიოტინაზე დავარდნილი მისი უბრწყინვალესი თავის. ორი თვის შემდეგ ეს ტრიპტიხი კვლავ დაიშალა—იქნება სამუდამოდ. შეიძლება უკანასკნელად დაანათა მას უკვდავი ჰენტელი მხატვარის სულმა. ესაა ბედისწერა. ამბავი სიკვდილ-სიცოცხლისა, რომელსაც მიხვდები მხოლოდ მაშინ, როცა აღსრულდება.

* * *

ასე დავშორდი ჩემს თავს. ასე დავსტოვეთ ჩვენ ერთმანეთი. და მაკბეტმა ასე მოჰკლა ძილი. შეიძლება ამ დროს მოვკვდი მეც. და ამ წიგნს ვსწერ საიქიოდან. თუ ცოცხალი ვარ, მაშ რა ვარ. ნიკოლოზ, უბედური ძმაო,—რა გვეშველება. ბრუნდება „გამოთხოვება" ხელმეორედ. და „მკვდარი, ფეხშიშველი" ვკიდივარ მე ჯვარედინზე. რჩება პოეზია უღვთო და სიკვდილი. სიკვდილი და უღვთო პოეზია. ეხლა ეს ნიშნავს ერთს.

* * *

რა უნდა ვსთქვა მე ამის შემდეგ და ამის მეტი რა უნდა დავსწერო. თუ რა დავკარგე მე—ამას ვერ გაიგებს ვერავინ და ვერავინ ვერ იგრძნობს მას. შეიძლება ასევე გაუგებარი დარჩეს პოეტი ნიკოლოზ მიწიშვილი, რომელმაც დაკარგა საკუთარი თავი, უარყო ბედისწერა, მოჰკლა ყველაფერი და ვერაფერი ვერ დაამტკიცა.

* * *

დოგმა, არგუმენტი, ისტორია და საუკუნეები, დადგინებული აბრაამიდან როზანოვამდე მე არაფერს მეუბნება და არაფერში მაჯერებს, გარდა ერთის: რომ დაწმენდილი ჭკუა და გაწმენდა ჭკუისაგან არის არა მარტო კალამბური. აქ ისპობა ყოელგვარი საზღვარი, ეს ორი ცნება გადადის ხშირად ერთი მეორეში და ხშირად ეცილებიან ერთმანეთს უძლურებაში. ძნელია აქ დადგმა საზღვარის, განსაკუთრებით, როცა ფიქრობ ვარსკვლავებით გატენილ ცის სრულყოფილობაზე. აქ რჩება მხოლოდ რწმენა და აღტაცება. აქ ერთდებიან კანტი და ჩანდალა ჰინდო, გალილეი და ინკვიზიცია, ფოთლის შრიალი და-

ბრაჰმას სიბრძნე. ხილვა სასწაულის და აღდგინება მისი ხდება იმ უბრალოებაში, რომელიც მოსდევს მიწას და ბუნებას ბავშისას. ეს მჯერა. მით უმეტეს, რომ ამ ყოფაში ჩავარდნილს, დაქინებით მევლინება მამაჩემის გაბიწული სახე იმერეთის სოფლიდან. მე დანასავით მადგია ფიქრი, რომ ჩემი მომავალი პოეტის, თუნდაც აგზავნილი ცამდე, ვერ აიწონის მამაჩემის ერთი დღის წუხილსაც კი თავის დაკარგულ შვილზე. ესაა ძახილი შორიდან. ტირილი გაუქმებულ რწმენაზე და სინანული. იჭვი ყველაფრისადმი, პოეზიასთან ერთად. ამ გრძნობით ბრუნდებოდენ რომიდან და სტოვებდენ ქაპიტოლის. ამ გრძნობით ადიან, ალბად, ეშაფოტზე. მე არ ვიცი რაა ეს, მაგრამ დღეს ეგ ძახილი სოფლიდან, ძახილი მიწის, მაღვიძებს მე და ლეტარგიიდან გამოვყავარ მხოლოდ ამ ხმებს. აქ იწყება ინერცია განახლებული მოქმედების და მივდივარ წინ.

* *
*

და თუ ეხლა კიდევ ვსწერ, თუ საბედისწერო წისქვილი კიდევ ფქვავს ჩემი ფიქრების ყავასავით შავ მარცვლებს,—ამის მიზეზია ეს მოგონება და ეს ძახილი პარიზში—იმერეთიდან. ინერცია იშლება მოქმედებად. მეხატება ახალი, სხვა ცხოვრება და ვეძებ ახალ გამართლებას.

* *
*

დღეები სამოთხეში ადამის მარტო ყოფნისა, ალბად, ყველაზე საშინელი, დამამცირებელი დღეები იყო. ეს წუთები თავის შემოქმედებით, სიმწარით და ბუნტით უდრის ყველაფერს, რაც შეიქმნა ამის შემდეგ და, ვინ იცის, როგორ დაიწერებოდა სახე და სახელი უფლისა, რომ დროზე არ მომხდარიყო კომპრომისული შექმნა მეორე არსების. ქრისტე უდაბნოში და მარტობა უდაბნოელების—არის წუხილი უძლურების და ძებნა ახალი შიფრის ღმერთსა და ქვეყანასთან სალაპარაკოდ. მდუმარებაში ნახულია ყველა რელიგიები, მარტობაში ნაწრთობია ყოველი განათება და განაჩენი, მაგრამ უდაბნო და მდუმარება თავისთავად არის სიკვდილი საცოდავი. ვერც ერთი წინასწარმეტყველი ვერ აამეტყველებს ქვიშას. შესვლა მარტობაში გამართლებულია მხოლოდ ამეტყველების, მხოლოდ დაბრუნების იმედით. ამიტომაა, რომ უდაბნოზე ყოველთვის გადაბმულია ფიქრი წყაროს შესახებ.

* *
*

ჩემი გამომშრალი სული ეძებს ამ წყაროს, ამ სახელს, ჩვენებას. მე ვიცი, რომ ქრისტესთან ერთად დავასაფლავეთ უკანასკნელი ღმერთი ქვეყანაზე. ოლიმპი, ასკილით მოშამბული, ვნახე ჩემის თვალით. ღმერთების მაგიერ იქ დაჩოჩავს ამერიკელი ტურისტები და აკმევენ ჰავანნის სურნელებას. პანი მოკვდა დიდი ხნის წინეთ, ხოლო ადამინი, როგორც კულტი შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ მოწამენი ვართ უკანასკნელი მონარქების. უკანასკნელი საიდუმლოება წაიღეს თან ღმერთებმა და სიცივე უმეტყველო საფლავების უკანასკნელად დაიტირეს პოეტებმა აქ, პარიზში. შეკრულია ყველა გზები

ერთის გარდა, მაგრამ მის ბოლოში სდგას დაისრული სახე ახალი სებასტიანესი, როგორც წითელი სიგნალი უბედურების. მეტი გზა არ ნახულა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ენერგია სიცოცხლეს მოითხოვს განაღდებას არა მარტო სქესში. სიცოცხლე თვალწამოვარდნილი არის მაინც სიცოცხლე, თუნდაც იმიტომ, რომ უარყოფა მისი იქნებოდა დაწყება ახალის. მე ვლებულობ სიცოცხლეს ძირიანად. მე ვიხჩვები სიცოცხლის წყურვილით და, ყველაფერში მოტყუებული, მზადა ვარ გავდგე უდაბნოში და გავყიდო საკუთარი ჩრდილი. სიცოცხლე ამდაგვარი იქნება გამართლებული იმდენადვე, რამდენად გამართლებულია ცხოვრება ნაბუქოდონოსორის და ლავრენტი მშვენიერის. ესაა სიმართლე, მაგრამ სიმართლე უნდა იწამო. აქ საჭიროა ის, რითაც შეერთებულია ლექსები პიფაგორის და პიფაგორის გეომეტრია. ეს არა მაქვს. მე დღეს და არ მქონია ღვთის დროსაც. ამას ვეძებდი მე ღმერთში, ამას ვეძებ ღვთის გარეშეც და ვრეკავ, როგორც განწირული „S.O.S." არკტიულ ზღვებში ჩავარდნილი გემის.

* * *

დღეს კვირაა. პარიზი გამთბარია ზემოდგომის მზით და პარიზი მაგონებს დღეს ქართულ გაზაფხულს. ქუჩიდან მოისმის ძველი არია, ამოდის ზევით, როგორც სურნელება ფერადი ხმების და იშლება კარნავალი კალეიდოსკოპად. თბება სული უცნობი მშვენიერებით და ცხოვრება ჩემი ქრება, როგორც შორეული ვარსკვლავი. კვდება გრძნობა, ქრება სახეები და სახელები, ხმანი და სიტყვანი და ყველაფერი იღვრება უსაზღვროების წინაშე.

* * *

მაგრამ ძირს, მეხსიერების ბსკერში, იგრიხება უცხო სახე, აყივებული სიტყვა: „ევოე". მოარღვევს ტვინს, შედის გულში, როგორც მახვილი აგზნებული, როგორც ქვა, ნასროლი დაძინებული წყალის პირზე:

* * *

„ელოდი სასწაულს და სასწაული მოხდა. ელოდი აღდგომას და აღდგომა არ დაიგვიანა. შენ გამოგეპარა სიკვდილი შენი და შენივე აღდგინება. ღმერთმა, ძლიერმა შენის უბედურებით, მიგატოვა შენ და წარიღო ბედისწერა შენი. წმინდანიანი გადაჰყვა საუკუნეებს და ჰა, იხილე ცხოვრება და სიხარული. გააღე კარი სამყოფელისა შენისა და მიიღე სტუმარი შორეული. ღმერთი ცხოველი კი მოიპოე თვით".

* * *

ეს ძახილი ეკვეთა გულს, როგორც შურდული და მოწყვეტილი დაეეპყარ ძირს. ჩამოდგა ღამე თვალდაბურვილი და რვალავდა მას ელვარება ანგელოზი

გაშლილის წიგნით: მე ალფა და ომეგა, დასაბამი და აღსასრული, და არა არა, გარეშე ჩემდა... გააღე კარი სამყოფელისა შენისა და [illegible] სტუმარი მორეული.

* * *

დობილოები ელევზის და საიდუმლოებანი ელევზისა. ცოცხალი ბტოთი ნასხურევი ბედნიერება და ვაზი, თბილი სისხლით შეღებილი ქართულ მიწაზე. სისხლი და ღვინო. ვაზი და რკინა. ეეოუ. სიხარული და მზე.

* * *

კარი სამყოფელისა ჩემისა რჩება დაკეტილ და უკანასკნელად ვიშორებ ქრისტეს ხელს - გამშრალი თვალების დასახურავად გამოწვდენილს.

* * *

ეიფელზე რეკავს T. S. F. და უხმობს ნაზარეველს ფოლლ-სტრიტზე. ლუქსორში იშმუშნება ტუტანკჰამონი და ირღვევა სარკოფაგი დაბეჭდილი. შეკრულია გზები იქითა მხარისკენ და თეთრო სპილოებად ბრუნდებიან უკან—ფარაონები. ახლოვდება უბედურება მწვანე სირიუსად. სქდება მოკანგული ძარღვები და გადაზნექილი ზანგის ქალი შლის ალისფერა ტუჩებს. წმინდანიანი ჰყივის ნოტრ-დამიდან და ავხორცი ქიმერები ლოშნიან უმანკო ენენევიევას თეთრ სხეულს ნოტრდამზე.

* * *

მშვიდობით ევროპა. და მშვიდობით ახალგაზოდბა. მშვიდობით, ძმაო ნიკოლოზ, რომ გეძებდი და ვერ გნახე. დაინგრა ყველაფერი, რაც გაწვალებდა შენ. მოკვდი, თუ კოცხალი ხარ. ეწამები კვლავ, თუ ჩაჰქრება შავი ვარსკვლავი შენი.

* * *

ახალი გზით. სხვა ფიქრით—ისევ უკან. შინისკენ. ბედეკერი ცისათვის არ შედგენილა ჯერ. ბედეკერი საკუთარი სულისა ფურცლობით გავიხმარე მე მსოფლიოს დაუკეცავ შარა გზებზე. შინ. შინ. სახლისაკენ. მიწისაკენ. ჩემო მიწა და ჩემო თავსაფრიანო დედა. ზარებმა შესწყვიტეს, თურმე, რეკვა ჩვენ სოფელში. მაგრამ ხარები ისევ ბღავიან ჩვენსას, ჰკოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს.

1922—1923 წელი.
სტამბოლი—პარიზი.

გრიგოლ რობაქიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გველის პერანგი

რომანი

გაგრძელება*)

ნორდოსტ

თავი მეათსამმეტე.

Летит-летит степная кобылица
И мнет ковыль..
ალექსანდრ ბლოკ.

გული მარტოა ყოველთვის.

თუ სიყვარულით არის გამთბარი?! მაშინ გული შიშია მარტო: არ გასჭდეს მეორე გული. თუ დაშორებულია ამ გულს?! მაშინ გული სევდაა მარტო —(ეგების წინაგზნობს: რომ ოდესმე სამუდამოდ დაცილდება).

გული სიკვდილის ბარომეტრია.

(მარადი ხაზი მარადი მელანქოლიის): ლირიკა.

არჩიბალდ მეკეში ყაზვინის ბაზრის ფარდულებშია. გული კი—შორს.

ფარდულებში ათი ათასი გულია: ათი ათასი სურვილით.

ეს გული შათ არ ეკარება.

გულში არჩიბალდ ოლგას წერილს კითხულობს. ძმა მორჩენის პირზეა. თვითონ მალე დაბრუნდება. ამოდენა მანძილის ატანა არც მის გულს შეუძლია. გული გაილახება მიტოვებულ ბარტყივით. გული გაირღვევა. პეტერბურგი იშმუშნება: იქ რაღაც ხდება. პეტერბურგიც რომ გაირღვეს?! მაშინ გულსა და გულს შუა უფსკრული გაითხრება.

პეტერბურგს—ჯანდაბა: თუ გინდ სულ დაიქცეს,

ოღონდ გულმა გული ნახოს—(ეს მეკეშის ფიქრია?!).

რა „ცოტა“ უნდა ადამიანს.

არჩიბალდ მეკეში ფარდულებში დადის გული კი შორსაა.

*) იხ. „მნათობი“ № 1 (21)

არა. უცნაური ქალაქია პეტერბურგი. პეტრე დიდის სიფილიტურმა გახელებამ ფინის ჭაობებიდან. გიგანტი ამოაგდო. გიგანტი გრანიტშია დაკვეთილი. თუჯის მხედარი გაქანებულ ცხენზე ზის. მხედარს სადავე სასტიკად მოუწევია: ცხენი ყალყზე დგას. ისიც გაქვავებულა გრანიტივით. რომ დასწყვიტოს ლაგამი?! რომ გავარდეს ცხენი?! რომ მხედარიც გადაჰყვეს თვითონ?! ფინის ჭაობები ლამობით ფოსფორს ისვრიან. ფოსფორის სინათლე ორად ყოფს ყველა ფერს. პეტერბურგის გრანიტს თავს ესხმიან ლანდები: ქიმერები სხვადასხვა რასის. გრანიტს აცდუნებენ. გაუძლებს გრანიტი?! ფოსფორიულ ჩვენებაში დოსტოევსკის თვალები ანათებენ: ეპილეპსია მოვარდება და დუჟით გადმოიღვრება. დუგგაუმშრალი პირი „ქვეყნის ბოლოს“ დაიძახებს და იოანეს საყვირით სამყაროს მოედება—ძახილი. ეპილეპსია ხახას დააღებს აპოკალიპსის გახელებით. ცხენი ლაგამს გახრავს: აიწყვეტს და გავარდება. თუჯის მხედარი თან გადაჰყვება. გრანიტის ქალაქი?! ისიც შთაინთქება—(თუ პატმოსის კუნძულად გაიხსნება?!).

პეტერბურგს—ჯანდაბა: დაიქცეს.

ოლონდ—(არჩიბალდის გული ბევრს არას ითხოვს).

— არჩიბალდ!.

— ტაბაჲ ხან!.

ფარდულის პირას ტაბა ტაბაჲს წააწყდება. ჰაშიშს ეწევა.

— ყავას მიირთმევთ თუ ჰაშიშს?!

— ყავა დაუკვეთეთ..

არჩიბალდის ტვინში ისედაც ჰაშიშია.

— როდის?!

— ხუთი დღეა.. თქვენ?!

— მე დღეს მოველ.. ამბები?!

— პეტერბურგის?!

— დიახ..

— გამოსვლას აპირებენ..

— გამოვლენ..

სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი იღიმება.

პატარა ბიჭს ყავა მოაქვს.

ფარდულებში რუსი ჯარისკაცები დადიან. უხშირეს ბოლო დროს. რა აქვთ საყიდელი?! ტაბა და არჩიბალდ ჯარისკაცს მოჰკრავენ თვალს. ჯარისკაცს ხელში მაზარა უჭირავს. მაგრამ რად არ იკეცება მაზარა?! მაზარა ჯოხივითაა გაწვდილი. ჯარისკაცი მაზარას სპარს ვაჭარს გადასცემს ჩუმად. სპარსი სინჯავს მალულად: თოფია. ვაჭარი მაზარას უკან გადაინახავს. რუსი ჯარისკაცი სპარსულ „თუმნებს“ ითვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხედავთ?!

— ვხედავ..

— ომი აღარ უნდათ..

— ან რად უნდა უნდოდეთ?!

ტაბა და არჩიბალდ დგებიან.

წინ შემოეფეთებათ ვებერთელა ქიმერა: აქლემი. ულაზათო ცხოველი ვიწრო გზებში უხარმაზარ მაჯლაჯუნას მიაგავს. მაგრამ თვალები: თვალები—რომელთაც უდაბურება უნახავთ! „ბეხან?!“ არა. ბეხან აღარაა. მაგრამ ამის ხვედრიც ხომ იგივეა?? დანაღვლიანებული თვალები: წინასწარ თუ ხედვენ მიგდებას და მიტოვებას.

არჩიბალდ ამ თვალებში ადამიანის ლანდს ხედავს:

ეგების ეს ლანდი იგია თვითონ.

კიდევ ჯარისკაცები. რკინა. ტყავი. საცმელი. ყველაფერი მოაქვთ: ავტომობილის ნაწილები თუ ცხენის მოსართავი. ჰყიდიან ყველაფერს. იგივე ჩურჩული და იგივე ფულისთვლა.

არჩიბალდ ადასტურებს:

— აი კიდევ..

— ხვალ კიდევ მეტი იქნება..

— ფრონტი დაირღვევა?!

— უთუოდ..

აქლემი აღარ სჩანს. ფარდულებში ფარჩასა და აბრეშუმს ჰყიდიან. ისმის სპარსული ბაასი. სპარსული ენით გველი ხვრელიდან ამოჰყავთ: ისე ტკბილია. მაგრამ როცა სპარსი ქალი ლაპარაკობს?! მაშინ გველი ალბად შინაურდება.

სპარსი ქალი ფარჩეულს ყიდულობს. ირაჰშანდას ტანი აქვს. საწყალი ირაჰშანდა. ხმაც თითქო მისია. არჩიბალდ აკვირდება.

— ირაჰშანდა!.

უნებურ იძახის არჩიბალდ.

ქალი მოიხედავს. შეირხევა. პირს იბრუნებს. იმალება.

— ირაჰშანდა იყო.. უთუოდ..

— ალბად..

არჩიბალდ ნაბიჯს უმატებს, მაგრამ ლანდი შთანთქმულია.

— ირაჰშანდა.. ირანის მთვარე..

— და მთვარის სევდა..

(რად არის „ველარ ნახვა“ ასეთი მწარე?!)

არჩიბალდ „გულსა“ გზნობს ისევ.

მიდიან. გასავალი ახლოა. უკანასკნელ ფარდულთან ქალი დგას. თავი თეთრი თავსაფარით აქვს წაკრული. ამასაც მომწვანო თვალები აქვს. აჰ: ოლგა! ოლგა! სადა ხარ ამ წამს?!

ოლგას სიტყვები გულს სერავენ—(წერილიდან). გული ფართქალობს როგორც ძუძუმწოვარი ბავშვი: რომელსაც როფ'ში ბანავენ. „პეტერბურგში“ რალაც

ხდება". თუ მოხდა?! მაშინ ხომ გაიხსნა უფსკრული ორ გულთა შორის. ჰო: ახლა ესმის ირაჰშანდას გატრიალება.

მაგრამ უფსკრული მისთვის ითხრება: რომ გულები დაახლოვდეს ერთიმეორეს—(მარადი ხაზი მარადი მელანქოლიის).

ისევ ჯარისკაცები. დაყიალობენ. ოხუნჯობენ. თუთუნს ეწევიან. აზმორებენ. იზლაზნებიან. „სემიჩკებს" კბილავენ. ჰოო: ეს „სემიჩკები". რუსეთის პირწავარდნილი „მეტაფიზიკა". ამ კბილვაში იხსნება პირმოშვებული რასსა: ველური და ძარღვმაგარი. ეუბნებიან: „უფსკრულია". „იყოს"—უპასუხებს და „სემიჩკის" ქერქს გადმოაპურჭყებს. „კანონი ასეთია"—ეტყვიან კიდევ. „ჩემთვის არ სწერია"—ისვრიან „სემიჩკიანი" ტუჩები და თვალებს უცხო ალი გადაურბენთ. „ასე არ შეიძლება"—არ ეშვებიან. „ფეხებზე მკიდია"—და პირი ისევ „სემიჩკას" კბილავს. უცხო ალი თვალებში ჭარხალის ფერს მიიღებს. არის ამ კბილვაში მზის სიავე თუ მზის უდარდელობა: ეს მან არ იცის. იცის მხოლოდ: რომ „სემიჩკი" მზესუმზირას მარცვლებია. ან რა საჭიროა ცოდნა: როცა მზეს უმზერ?!

— ხედავთ: როგორ დაგროვილან?!

— ვხედავ..

— ერთ კვირაში ეს კუთხე სულ აივსება..

— მჯერა..

არჩიბალდ ისევ „სემიჩკიან" ტუჩებს უმზერს. რას არ გაკიცხვენ ეს ტუჩები?! რას არ „გააბითურებენ"?!

ტაბა ტაბაა ერთ მათგანს უახლოვდება:

— რისთვის ომობთ?!

— რა ვიცი..

— როგორ არ იცი?!

— წამოგვასხეს და ვომობთ..

— ვის ეომებით?!

— თათრებს და „გირმანელებს".

— გინახავს ისინი?!

— დაჭრილი მინახავს.. მკვდარი..

— გინდა სახლში დაბრუნება?!

— იქ მიწაა.. მინდა—ჰო..

ტუჩები ისევ „სემიჩკის" ქერქებს აპურჭყებენ. განზე მამალი „დედის გინება" ისმის. ჯარისკაცს არჩიბალდიც უახლოვდება. თვალები ამღვრეული აქვს. არ იცი: იცინიან თუ დაგცინიან. უახლოვდები. თითქო ალერსს გიპირებს კაცი. მაგრამ თვალები ელამურ აკიაფდებიან—და გეშინია: კაცმა სილა არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარტყას. სკვითის თავი და მონღოლის თვალები. რა დაუდგება ამ ერასსას და რა დააკავებს მას?! წალეკავს ყველაფერს. გადალახავს. წარღვნის.

არჩიბალდ ტაბა ტაბაჯსკენ მობრუნდება:

— ეხლა მჯერა..

— რა?!

— რომ ზვავად მოსქდებიან..

— ვინ?!

— ესენი.. ეს ტუჩები.. ეს თვალები.. ეს თავები..

— ჰოოო..

სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი იღიმება.

. . .

„იზვესტია". „იზვესტია"! „აღმასრულებელი კომიტეტი". „მუშები—ჯარისკაცები—გლეხები—მატროსები". „კერენსკი". „ლვოვი". „ჩხეიძე". „წერეთელი". „პლეხანოვი". „ლენინი". „ტროცკი".

სიტყვები ეფინებიან მთელს ქვეყანას.

სახელები ეფინებიან ირანის პლატოსაც.

ყაზვინშიცაა აღმასრულებელი კომიტეტი. აქაცაა: ესერები—მენშევიკები—ბოლშევიკები—კადეტები (ორი სამი კაცი)—მაქსიმალისტები—ინტერნაციონალისტები.

იქ: საცა სპარსები მზის ამოსვლას მუსიკით ხვდებიან.

იქ: საცა სპარსები მზის ჩასვლას მუსიკით ესალმებიან.

იქ ახლა ესტრადაა. ესტრადიდან ვილაც გაჰკივის ბოხი ხმით.

წინ ფართო ქუჩაა. იქითაქეთ ქუჩაზე: უზარმაზარი ჭადრები. ჭადრებს ხშირათ ყორნების გუნდები ეხვევიან. არასოდეს ყორნებს ასეთი ხმა არ გაუგონიათ. უსმენენ გაოცებულნი და ჩხავილით სხვა კუთხისაკენ მიფრინავენ. სპარსებს ეშინიათ: სულ არ მოსცილდენ ამ არეს.

ესტრადიდან გაისმის: „ძირს კაპიტალიზმი!" „ძირს ომი!" „ომი ბურჟუაზიის მოგონილია". „მიწა—მშრომელთ:" „*მიწა—ყველას*". „*ქარხნები—მუშებს:*"

ქუჩა სავსეა ჯარისკაცთა ხვავებით. აზმორებენ. ხანტად იხლაზნებიან. ამთქნარებენ. „სემიჩკები" აქაც ბევრია. ტუჩებზე: „ჰმმმ" და „ოო". როცა სიტყვა „მიწა" გადმოვარდება ხვავებში—„სემიჩკის" კბილვა ჩერდება: თვალები ფართოვდებიან. ტუჩებიდან „სემიჩკის" ქერქთან ერთად გადმოვარდება: „მიწა"—„მიწა"—„ჰოო: მიწა".

ხანდახან სპარსი ჩაიცინის.

რომელიმე „ზემგუსარი" აჩერებს:

— ჰუსეინ: იცი რაა პეტერბურგი?!

— პითებჯურჭი..

სპარსი თვალს ნაბავს.

— რევოლჯუციაა?!

— რივალისია..

სპარსი დნება ღიმილით.

— პროლეტარიატი ხომ გაგიგონია?!

— პროლითაადრი..

სპარსი თავს იკატუნებს. კალათს ხელში იმარჯვებს. [illegible]. ყურძენი უნდა გაჰყიდოს. შემდეგ ჰაშიშს მოსწევს და გადავა „ბარიდ სუბსტანციების“ ხილვაში.

„ზემგუსარი“ კი ისევ ესტრადას გახედავს—(ირონიით?!).

ესტრადიდან ისევ ის დიდი ხმა გრიალებს.

ვინმე ავტომობილით გაირბენს. ავტომობილი არღვევს მასსათა ხვავებს. შოფერი საყვირს მიმართავს. ორატორი ხმას უმატებს. ფიქრობს ჩუმად: ეს კონტრრევოლუციონერია—(ავტომობილში „ზემგუსარი“ ზის). საყვირი და ბოხი ხმა ერთმანეთს ეჯიბრებიან. ავტომობილი გადის ხვავებიდან. ბოხი ხმა ოდნავ ნელდება.

ბოხ ხმას სხვა ხმა ცვლის. ეს ხმა უფრო წვრილია. ისიც იმავ სიტყვებს ისვრის. მაგრამ გეგმა მისი სხვაა: უფრო მიკიბულ-მოკიბული. „ქარხნები—მუშებს: რასაკვირველია“. „მიწები—გლეხებს: ესეც რასაკვირველია“. „მაგრამ: ეხლავე?!“ „ეს ნაადრევია“. „ვინაიდან“. „რადგან“. „ობიექტიური პირობები“.. „ამ მომენტში“. „ჯერ“. „მერე“. იხლართება უსაშველო პერიოდი. ხმა სულ წვრილდება და წვრილდება. მთქნარება მატულობს. „სემიჩკის“ კბილვა—კიდევ უფრო. მაგრამ უეცრად უსაშველო პერიოდში ისევ სიტყვა „მიწა“ გავარდება. ხვავები ატორტმანდებიან: თითქო გადაყლაპვა სურთ—„მიწის“. თვალები ანათებენ.

> გვერდით ქუჩის პირას ათაშანგით დაწყლული—მზეს ეფიცხება. დაჯერებულია: რომ მზის ტუჩები ამოსწოვენ თუ ამოაშრობენ სნეულებას. ხმა ესმის ესტრადიდან. მაგრამ სიტყვების არა გაეგება რა. არც სურს—გაიგოს. იქვე მასსასთან დაგლეჯილი კაცი დგას. ლაყე ტვინს ხანდახან ხილვა ეწვევა ღვთიური—(ეს სწამს აღმოსავლეთს): ალბად მსოფლიო წონასწორობისთვის. კაცის თვალები შტერად იცქირებიან: ამ ხილვას ხომ არ განიცდიან?! ან თუ ეძებენ თავის მზერას დაკარგულს?! კაცს პირი დაუღია: თითქო პირით იჭერს გაუგებარ სიტყვებს ესტრადიდან. ბოხი ხმა დასძახებს ერთს—(წვრილი ხმა ისევ ბოხმა შესცვალა). დერვიშს შეეშინდება: მიწას დაასკდება—ტუჩებზე დუქმორეული. შემდეგ წამოვარდება. დააღებს პირს—(ბოხი ხმა გრგვინავს): თითქო ისაია წინასწარმეტყველის ნაკვერჩხალი გადაჰყლაპა. ისიც იწყებს ყვირილს. მის ყვირილს სპარსიც ვერ გაიგებს. მასსების ხვავები იშმუშნებიან როგორც ლებიათანის დაკეპილი ასოები. ესტრადიდან ხმა უფრო მატულობს. ხვავები „მიწას“ ელიან. ქუჩის ბოლოში სპარსი წევს და თვლემს. თავი—ხოტორი. სახე—ამთქნარებული მუმია. თვალები—

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზე და შორეთს გადასული. „ზემგუსარი“ ერ ეშვება არც ამას:

— იცი რაა პეტერბურგი?!

სპარსი თვლემს.

— იცი რაა რევოლუცია?!

სპარსი ამთქნარებს.

— ამას რა გააღვიძებს?!

გაისმის ხმა მიმავალის.

. . .

ჰამადანსა და ყაზვინს შუა მოძრაობა მატულობს. კიდევ უფრო: ყაზვინსა და ენზელის შორის. დაჰქრიან ავტომობილები: „ქალაქთა კავშირის“—„წითელი ჯვარის“—„საერობო კავშირის“—სამხედრო ნაწილების.

კუთხეებში—გროვანი და საიდუმლო ჩურჩული.

სპარსი გაიარს გვერდით და ფიქრობს: „რაღაც ხდება“.

საავადმყოფოებში ფუსფუსია. ავადმყოფებს სმენა გამახვილებიათ.

საერთო საცხოვრებელთა კედლებში: გაზეთების კითხვა და კამათი.

ირანის პლატოზე ახალი გზნების ზმორებაა.

სატელეგრაფო სინებზე შიფრები სრიალობენ. სინიდან რომ შიფრი ჩამოვარდეს: გავარდება როგორც მეხი. რამდენი ზრახვა და რამდენი ნდომა გადაუტეხს მაშინ თავს ტელეგრაფის სვეტებს.

— რაღაც ხდება..

ამბობს მეკეში—თითქო თავისთვის.

— ხდება დიდი რამ..

ადასტურებს ტაბა ტაბაჯ..

— თქვენ გგონიათ?!

— როცა შორს რამე ხდება პირველად მიწა გაიგებს..

— რა ნაირად?!

— მგზავრი მიწის გულს ყურს დააფებს—რომ გაიგოს: მოისმის თუ არა ცხენების თქარათქური შორიდან..

— მერე?!

— სტიქიონის გზნებისათვის სტიქიური ორგანოა საჭირო..

— მჯერა..

— ცხენი თავს ამართავს ხოლმე და სხვანაირად გაიკლაკნება—როცა მიწის ძვრას გრძნობს..

— გამიგონია..

— ცხენი წინაგზნობს: მისი ინსტინქტი უტყუარია..

— უთუოდ..

— დააკვირდით ამ ჯარისკაცებს: თვითონაც არ იციან—რა ინსტინქტებს ატარებენ.. მაგრამ ყოველი რხევა მათი ინსტინქტია..

— მესმის..

— კიდევ უფრო: ყოველი მათი გამოხედვა..

— უეჭველია..

— არ ატყობთ: რომ თვითონ არე იცვლება და ატმოსფერო?!..

— მმმ..

— რაღაც სუნი სდის.. მომავალს—ყნოსავენ პირველად..

— მართალია..

პაუზა. ტაბა ტაბაჲ რაღაცას ყურს უგდებს.

— ეს რა ხმაურია?!

არჩიბალდ ტერასიდან იხედება.

მეორე ეზოში ხმაური მატულობს. „ქალაქის კავშირის" მოსამსახურენი მსოფლიო პოლიტიკაზე დავობენ.

ვიღაც ხმას უმაღლებს. ორატორია უთუოდ.

— ძირს! ძირს! ძირს!

— აცალეთ! აცალეთ!

მაღალი ხმა გასძახის:

— ყველას ინგლისური მონარქია სჯობს..

— არ გვინდა მონარქია.. ძირს!.

— ინგლისური მონარქია სხვაა..

— სულ ერთია.. ძირს! ძირს..

ორატორი ბრგე კაცია პირგაპარსული. ჩასხმულობით მოჭიდავეს ჰგავს—(თუ კარუზოს?!). სახის მეტყველება ფაკირის აქვს.

— ინგლისური მონარ..

— ძირს კაჭკაჭოვ!. ძირს!. ძირს..

— დაჩუმდი მაგაზინერ: თორემ...

მაგრამ მაგაზინერს რა დააჩუმებს?! ან უკეთ: მის ხელებს ან მის თვალებს?! ცხვირიდან პენსნე წამდაუწუმ ვარდება. მარჯვენა ხელი ისევ თავის ალაგზე აყენებს ურჩ სათვალეს. რა უფრო ურჩია: ხელი თუ პენსნე თუ ცხვირი?! ღობეზე ჩამოგძელებულ ხაპს—(ეს თავის ქალაა) ცხვირი ჩატეხილი აქვს. აკაპასებულ თვალებს მზერა ჩამოსახჩობ კაცისა აქვს. ხაპის გზარი—(ეს სახის ათამაშებული ნერვია) ჭირვეულობს აკვიატებულის უსვენარობით.

— არ ძალმიძს გაჩუმება..

— მამა გიცხონდა: ლევ ტოლსტოჲ ხარ გაჩუმება არ შეგეძლოს..

ხუმრობს ვიღაც ქართველი.

მაგაზინერ უფრო კაპასობს:

— ძირს კაჭკაჭოვ!. ძირს!. ძირს!.

ვიღაც სხვანაირად აგძელებს:

— ინგლისის კონსტიტუციას ამერიკის შტატები სჯობიან..

— არ მაგ მინდა..

— ვინ გკითხავს: რომ არ გინდა..

ხუმრობს ისევ ქართველი.

ორატორი არ უთმობს:

— ინგლისური მონარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძირს!. ძირს!. ძირს..

არ ეშვება მაგაზინერ.

— რა ჩააცივდა ამ ინგლისს!.

ილიმება მეორე ქართველი.

მაგაზინერ ხედავს: კრება მის მხარეზეა. ყვირის.

— მაგ ჩატეხილ ცხვირს გასწორება უნდა..

ბრაზდება ხმა ესტრადიდან.

— აბა სცადეთ!. სცადეთ..

ქვევიდან ხაპი კაპასით ხვდება.

გროვა სდუმს. რაღაცას ელის. თითქო კიდეც სურს: მოხდეს რაიმე ამრეევი.

— მე შენ გიჩვენებ...

და ესტრადიდან მოჭიდავის (თუ კარუზოსი?!) ტანი გადმოვარდება. ჰაერში გაკლაკნილი მკლავი—ალბად საშინელი მოქნევისაგან—და მაგაზინერ შიწას ლოკავს. მასსა იმლვრევა. ტორტმანობს. უეცრად ხმა გავარდება ერთის:

—ჰკა მაგას..

და კაჭკაჭოვს მიაწვება აგორებული ხვავი სხეულების.

გასრესენ უთუოდ. მაგრამ ამ დროს მჭექარი ხმა:

— აღმასრულებელი კომიტეტის სახელით...

ვინაა?! ჰოო: ეს ხმა ისაა: დიდ მიტინგებზე რომ გრიალებს ხოლმე.

— აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მე ვაპატიმრებ მოქალაქე კაჭკაჭოვს..

გროვა სახტად რჩება. კაჭკაჭოვი გადარჩენილია.

არჩიბალდ აკვირდება დამჭერს. სქელი კაცი. მაგარი. ბრგე. თავის ქალა ქოჩრიდან უკან ოდნავ ჩათლილი—(ნიშანი სიფიცხის თუ თავშეუკავლობის?!). სახე?! მოოდობებული წვერი. ლბილი ულვაში: ხვეული ცოტად. ლბილი ცხვირი. კიდევ უფრო ლბილი თვალები—(ფერად მოშავო: ოდნავ თაფლნარევი)- შუბლი ღია.

არჩიბალდ აკვირდება დამჭერს. ეს კაცი ისრვის იქ მიტინგზე რისხვას?! ამ კაცის თვალებია: იქ რომ ნაკვერჩხლებს აფრქვევენ?! ამ კაცის ხმაა ის ხმა —მეორედ მოსვლის საყვირს რომ მიაგავს?! ხელი კათედრას იქ ეროსავით ერტყმევა. პირს იქ სიტყვები მოხსნიან: თითქო განკითხვის დღის ცეცხლები. მთელი ფიგურა იქ დამსხვრევას უქადის ქვეყანას—(უყვარს სიტყა: „გავსრესთ“).

ეხლა კი: რბილი. არჩიბალდს უკვირს.

ჩურჩული ერთიმეორეში:

— ვინ არის?! ვინ არის?!

— აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მ.

— ქართველია?!

— ქართველი..

არჩიბალდ მეკეშს ელიმება. ეხლა აღარ უკვირს. კაჭკაჭოვს აღარ უნდა ეშინოდეს.

არჩიბალდ ტაბა ტაბაჲსკენ ბრუნდება. უკანასკნელი ... ...

რომ კიდევ უფრო გადაირიონ. უფსკრულს თავს გადაეჩეხებიან?! გადაეჩეხონ!. მათაც ეს წყურიათ. ცხენთა თქარათქური და მეომართა ყივილი—ერთიმეორეს გაეკვრიან ურაგანად და ურაგანი უფსკულებიდან გადავარდება ყველა კიდურებზე. იქნება კიდევ მეტი ბრობა და კიდევ მეტი გახელება. ახალი სფინქსი?! სკვითის თავის ქალა და მონღოლის ვიწრო თვალები. რის ხილვა უნდათ ამ ვიწრო თვალებს ამ თავის ქალადან?!

Пусть ночь. Домчимся. Озарим кострами
Степную даль.
В степном дыму блеснет святое знамя
И ханской сабли сталь...
И вечный бой! Покой нам только снится
Сквозь кровь и пыль.
Летит, летит степная кобылица
И мнет ковыль...

. . .

მოძრაობა იზრდება.

ავტომობილები დაჰქრიან იქითაქეთ. ავტომობილებს უსვენრობა ემჩნევათ—(მათი რიტმი ვერ დამალავს ვერაფერს).

რაღაც ხდება. შორს. ჩრდილოეთში.

კუთხეებში: გროვა და გროვა. ჩურჩული.

საავადმყოფოებში—ფუსფუსი.

ავადმყოფებს სმენა უმახვილდებათ.

გაზეთები. დეპეშები. ტელეგრაფის სინებზე—შიფრები.

შეკითხვა და კამათი ერთიმეორის—ერთიმეორეში.

ირანის პლატოზე რაღაც ხდება—(თუ უსმენს მხოლოდ შორით მომხდარს ან შორით მოსახდენს?!).

ისევ გაზეთები. ისევ დეპეშები. ისევ შიფრები.

სინებს რომ მოსწყდენ—სვეტებს დაამსხვრევენ.

სახელები. სახელები. სახელები.

სახელებში: ერთი სახელი.

ყველა იმეორებს. ყველას აწვალებს. ყველას იზიდავს: მომხრეს და არა-მომხრეს.

სახელი: თითქო ტოტები მეომარი კლასის.

სახელი რომელშიაც ფატუმია დაგროვილი.

ჯარისკაცთა გროვა მიიმართება. იმავ ქუჩაზე. ძახილი:

ლენინ! ლენინ! ლენინ!

არჩიბალდ წამოვარდება.

ტაბა ტაბაჲ ყურებს ცქვეტს.

— ლენინ..

— ლენინ..
ორ ხსოვნაში ერთი ფიგურა იჭრება.

1908 წელი. მაისი. კათედრაზე დაბერილ კაცი. ჩასკვნილი და დამორგვილი. მაგარი თავი. ტიტველი გრანიტი. მალალი შუბლი და უტეხი კორძები შუბლის. თავის ქალა ოდნავ ჩაწეული ქოჩორთან—(ნიშანი სიფიცხის?!). მაგრამ კეფა მტკიცედ ამოკორძილი—(ნიშანი თავშეკავების?!). თვალები მონგოლის: წვრილი. ერთი—მოხუჭული ოდნავ: უნდობი და გამხვრეტი. მეორე—განზე მოცქირალი თითქო. თვალები თვალებში გეჭრებიან და თვალებს „იქით“ იხედებიან. მთელი ფიგურა—უგლიმითითქო ყველაფერს ხვდება წინასწარ როგორც მორკინალი. ლაპარაკობს. ხმა ერთფეროვანი: არც პაუზა და არც ინტონაცია. ფრაზა: დაგრაგჩილი და დახერგილი. არავითარი პლასტიურობა. არავითარი „მჭერმეტყველება“. ფრაზა: უფრო „მოქმედება“. სიტყვა—უფრო „ნება“. მარცხენა ხელის ცერით იჭერს ჟილეტის ჯიბეს—(თუ „იგდებს“ მაყურებელს). ხანდახან მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეს წვდება—(თუ დასცინის მოკამათეს). მარჯვენა გრაფიულ ხაზებს კვეთავს აზრის ლოგიურ დენისას. დროდადრო მარჯვენას მარცხენა ეხმარება. ხელის თათი ფართო: თითები მოკლე სჩანან. ასეთი ხელები აქვთ გლეხებს: მთაში უზარმაზარ ხეებს რომ კოჭავენ და ტივებისთვის მთის თხემიდან ხევში ჩაუშვებენ. ლაპარაკობს. არა: წალდით ხის მაგარ ტოტს სჭრის. ნაჯახით ნამორს აპობს. ტუჩებზე ირონია არ სცილდება. ირონიას ბაბრი წვერულვაში არბილებს. მაგრამ ჰაა: თითქო ლასსო გაისროლა და ველური ურა ცხენი დაიჭირა—(ეს საგანი თუა კამათის)—და ირონია ტუჩებს სცილდება. ფიგურაში არის ძლევა და გამარჯვება. მთელი სხეული დაძაბული ყველა კუნთებით. კაზინოში „ზერო“ რომ ირჩიოს—მოიგებს უთუოდ. უტეხი. უდრეკი. შემმართებელი. არავითარი იჭვი. არავითარი გაორება. ერთი გეზი მთავარი. ერთი ხერხემალი მაგარი. დანარჩენი: მხოლოდ გაზომილობა ამ გეზით. ირგვლივ: ყველაფერი ამ გეზისთვის გამოსაყენებელად. არა: არ ლაპარაკობს: ნებას სჭედავს ქმედებისათვის. თითქო გიხმობს ხანძარის ასანთებათ და ჩასაქრობათ. მთელი პიროვნება: თითქო ქვეყნის სილლოგიზმია რკინის რგოლებით—რომელიც ეს არის გაიშლება და საშინელი ხმაურით გავარდება. არავითარი სისველე და არავითარი სილბილე. მაგრამ ხმე-

ლი და ცხელი სული ყველაზე უკეთესია“—(ჰერაკლეიტოსის სიტყვით). შეიძლება „ხანდასან“ შეაჩნიოთ დარბილება—(ამისთვის საჭიროა ბავშვის მზერა გქონდეს).

ორ ხსოვნაში ერთი ფიგურა იჭრება.

— გახსოვთ?!

— მახსოვს..

— იცით არჩიბალდ: რა გამახსენდა მაშინ?!

— ?!.. ?!.. ?!..

— რასაც ლაპარაკობდა არ მესმოდა. არა მარტო იმის გამო: რომ რუსული სუსტად ვიცი. ჩემს პიროვნებას იპყრობდა თვითონ პიროვნება—გარეშე იმისა: თუ რას ამბობდა ან თუ რას ფიქრობდა. პიროვნება უშუალოდ: მის შუაგულში აღებული.

— რა გაგახსენდათ?!

— პაპა ალექსანდრე მეექვსე და მისი ვაჟი ცეზარ ბორჯია წმ. პეტრეს ვენახში კარდინალებს უმასპინძლდებიან: უნდათ—მოსწამლონ. კარისკაცმა იცის მხოლოდ—რომელ ბოთლშია საწამლავი. მაგრამ კარისკაცი ატმების მოსატანად მიდის. მერიქიფე ავსებს თასებს ხიოსის ღვინოთი. შესვა ალექსანდრემ. წამსვე გათავდა: თითქო ცეცხლი მოეკიდა. შესვა ბორჯიამ. იგრძნო საწამლავი. მაგრამ ცეზარს სირაქლემას კუჭი აქვს: რკინას ინელებს. ხოლო არც „cantarella“ არის სუსტი: იგი გესლავს მაგარ ვაჟკაცს. მაშინ ბორჯია გასცემს ბრძანებას: მოჭკლან მის წინ ყველაზე უფრო დიდი ხარი. ხარს დაჭკლავენ და მის გაფატრულ მუცელში ცეზარი ჩაეშვება. ხერვალე მუცელს ხარისას გაკერვენ. რამოდენიმე საათი ბორჯია ხარის მუცელშია გაგუდული. შემდეგ გამოდის იგი მუცლიდან განკურნებული სრულიად: გადახალისებული და ტანდახვეწილი.

—ეს გაგახსენდათ...

— დიახ..

— რა სიმაგრე.. რა ენერგია.. რა გამძლეობა..

— თითქო მთელი მოდგმის სიცოცხლე ერთ კაცშია თავმოყრილი..

— და კაცი: თითქო ამ მოდგმის მორგვია კუნთებაყრილი..

— ფატუმის მორგვი..

— თქვენ გგონიათ...

— მე იმ კაცში მაშინ ფატუმის მორგვი დავინახე..

— მოხდება რაღაც..

— პირს გაუხსნის მომდგარ ზუავს...

. . .

შორიდან ისმის კიდევ:

ლენინ, ლენინ, ლენინ.

ჰაერში დაჰქრის პაროლი:

„ძირს ომი ხალხთა ჩქლეტავი!“

„ქარხნები—მუშებს!“

„მიწა—გლეხებს!“

. . .

კიდევ „გარმონი“ და კიდევ „სემიჩკა.“ ხეტიალი გროვებისა ფუ-ბროვების. ჯარისკაცნბში მოწყალების დებიცაა—(ეს როდის?!). ხუმრობა! ხიცბლთ. ხითხითი. ორჭოფი სიტყვა.

ზოგი ბარძაყებს უყურებს ქალისას.

ზოგი—თეძოებს.

ზოგი—მუხლებს.

ზოგი—მკერდს.

სახეს—არავინ.

„ივჰჰჰ:“ ხვიხვინობენ:—„საასტრიიიცა“...

. . .

მეკეში მარტოა.

შემოვარდება ვამეხ.

— ხვალ მივალ..

— სად მიხვალთ?!

— საქართველოში..

— ასე მალე!?

— რაღაც ხდება.. ხომ ხედავთ..

— დაიცადეთ ცოტა..

— შემდეგ გვიან იქნება..

— საიდან იცი?!

— ვიცი.. გული მეუბნება..

ვამეხ მაგიდასთან მიდის. მაგიდაზე სურათია. აიღებს. ხედავს. ილესება. მეკეშს შემოხედავს.

— ეს თქვენი მამის...

— დიახ: მამის მეგობრის სურათია..

არჩიბალდ გამტყდარია.

— მამის.. მეგობრის...

ჩურჩულობს თავისთვის იჭვნეული ვამეხ.

არჩიბალდ გამოსავალს ეძებს:

— მაშ არ იშლით წასვლას?!

ვამეხ სურათს სდებს მაგიდაზე.

— საქართველოში უნდა ვიყო ეხლა..

— ეხლა?!

— აუცილებელია..

— ენზელამდე გამოგყვებით..

— შეუძლებელია..

— რათა?!

— გილიანში უკვე დაუწყია გამოსელა მირზა ქუჩუკ-ხანს..

— მერე?!

— თავს რომ დაგვეცეს!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქენ რომ მიხვალთ..
— მე არა მიშავს რა.. თქვენ რომ გამოგიცნოს..
— როგორც ინგლისელი?
— დიახ..

ეს რომ არ ეთქვა—ვინ იცის—შესაძლოა არჩიბალდს უარი ეთქვა გაყოლაზე. მაგრამ ეხლა დაბრკოლებას ხედავს.

— მაინც წამოვალ..
— არ გირჩევთ..
— ვერაფერი დამაკავებს..
— თქვენი ნებაა..

ვამეხ რბილდება..

— ხვალ წავალთ მაშ..
— „ალლანს“ წამოიყვანთ?!
— უთუოდ..

„ალლანს“ თითქო ესმის. წამოდგება და მხნედ იმართება.

ვამეხ ისევ სურათს მიმართავს. აკვირდება. თავისთვის:

— ვინ უნდა იყოს ეს „მეგობარი“..
— მეც არ ვიცი..

არჩიბალდ ტერრასაზე გადის.

იმამ ზადე ჰაშიმ

თავი მეათოთხმეტე

ქვეყანა ქარვასლაა—
ჩვენ კი ქარავანი.
შაჰ-აბბას.

სტეპკო მარჯვე ბიჭია.

„ოპპელ“ ჰლახავს ირანის ზეგანს.

შოფერის გვერდით ზის ვამეხ. ავტომობილში სხედან: არჩიბალდ და სვანი ციოხ-კაცი დაკორძილი და მაგარი. ეს უკანა საჯდომზე. წინაზე—ოდესელი ებრაელი მეეროვ და ჯიმშუტ. უკანასკნელი სომეხია ყარაბახიდან. ესეც მაგარი და უდრეკი ვაჟკაცი. სახე არ უცინის. გეგონებათ ყაჩაღი. მაგრამ ქართული თქმა მას „ყოჩაღად“ მონათლავს.

მათ შორის „ალლან“ განაბულა.

„ოპპელ“ მიჰქრის. გზაზე—თითქმის ყოველ მილზე—ლეში: ცხენის თუ ვირის თუ აქლემის. შიგადაშიგ: მხოლოდ ხერხემალი. ზოგან თავი აგდია. ზოგან ფეხი. ფლოქი ყველგან მაგრად შენახულა. ხანდახან კაციც ჩნდება დაყუნცული: ნალს აძრობს ფლოქს.

აქაიქ: ჯარისკაცთა მწკრივი. ყველა თოფიანი. ზურგზე მაზარა და მაზარასთან გახუნებული ფუთა. ავტომობილის ხმაურზე ჩერდებიან. თვალებში: შური და ბოლმა. ჩრდილოეთში მათ უცდით: მიწა—სახლი—ცოლი—შვილი—ნასოფლავი.

გაიძახიან: ლაზეტ! ლაზეტ:

ვამეხ იღებს „იზვესტიას“ და გადაუყრის.

გაზეთები ქარს მიაქვს. ქვითნი გაზეთებს ეხვევიან.

ზოგ ალაგს კაცის ცხედარიცაა თხრილში გადაგდებული. ყოველთვის — ჯარისკაცი. სპარსეთის მალარიისაგან თუ პარატიფისაგან შაშხივით დამჭნარი და ყვითლად გადაქსუებული. ალბად შორი გზა ვერ აიტანა. ასე კვდება ნაციები ქათამი ფრთებაბურძგვნილი და თვალებჩაფშუტული სადმე ნალიის კუთხესთან. მკვდარ ჯარისკაცს კიდევ აჩნევია ნაღვლი მშობელ მიწის ხილვის. მხოლოდ ტუჩებზე სიკვდილს რაღაც ირონიული ფრთა გადაუსვამს. გულზე მიკერებული აქვს პატარა ბოლჩა. ბოლჩაში ფული ალარ არის—(გამვლელს ფული უნდა: სხვა არაფერი). დარჩენილან მხოლოდ წვირიანი ნაგლეჯები წერილების. აქ ხშირადაა სიტყვა „დედა“. ხანდახან—„ცოლიც“. უფრო ხშირად „ხვნა“ და „სივკა“.

არჩიბალდ ერთი კლდის ქიმთან წამოიწევს.

გადახედავს ხევის პირს. აქ მოკვდა ბეხან. ბებერი აქლემი ბეხან. ხედავს ორად გაპობილ ხერხემალს. იქვე თავის ხაპი აგდია. მაგრამ სადღაა თვალები: ასეთი საცოდაობით რომ იმზირებოდენ უკანასკნელ წამს?!

არჩიბალდ გაგუდულია. უეცრად მის წინ უმწეო თვალები განათდებიან. ნათდებიან და ჰქრებიან. ავტომობილი გაირბენს. უკანიდგან სმენას სერავს „ის“ ღმუილი: დაგდებულის და მიტოვებულის.

ნუ თუ ყოველის ხვედრი ეს არის?!

კიდევ ერთი მანძილი და კიდევ ჯარისკაცი მკვდარი. ისიც დაგდებული. არც ნუგეში. არც შენდობა. სიმარტოვე და არაობა.

— გუშინწინ ამ ხევში დაეცენ თავს?!

ეკითხება ვამეხ ჯიმშუტს.

— ამ ხევში დაეცენ...

ყარაბახელის სახეზე ფლეგმა ირღვევა.

მეეროვ იქითაქეთ იხედება: ცოხს ეკვრის.

— ნუგეშინიან მეეროვ!.

ხუმრობს ვამეხ.

მეეროვის თვალები წინ იხედებიან. მოსჩანს ჯგუფი ჯარისკაცების. მეეროვი უფრო თოფებს უცქერს. ჩურჩულობს:

— აქაც..

— დასწყევლოს ღმერთმა: ამ უდაბნოში ჩიტსაც ვერ ნახავ..

შეეჭრება ხუმრობით ვამეხ. ჯიბიდან ვაშლს იღებს.

ავტომობილი ჯარისკაცებს უახლოვდება.

ვამეხ ვაშლს აისვრის მარცხენა ხელით. მარჯვენათი ნაგანს იღებს და ასროლილ ვაშლს შუაზე გააპობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უხ: სტრელდაეტ კაკ ჩორტ..

ბურდღუნობენ ჯარისკაცები. აბორგილ სახეებს ბოლმა სცილდებათ—(ერთი წამით?!).

— რაა ეს სროლა!? სულ სროლა!?

ამას მეეროვი ამობს.

— არაფერი! ხელის ვარჯიშია..

უკანიდან კი ისევ: ლაზეტ! ლაზეტ!

ვამეხ იღებს „იზვესტიას"--(სად შეაგროვა ამდენი?!) და გადაუყრის.

. . .

მოსჩანს მენჯილი. სადგური მაღალ გორაზე.

სანავარდო ჩრდილო ქარის. ეხლა შემოდგომაა და სანავარდოზე მყუდროება—(ერთი დღით?!).

— მაშინას წყალი უნდა..

სტეპკო აჩერებს „ოპველს". წყალს ალევინებს. შემდეგ საკვებ პუნქტში შეირბენს. დანარჩენნი ტიტველ მთებს გასცქერენ აფერადებულს.

— სტეპკო! სტეპკო!

ყვირის ვამეხ.

საკვებ პუნკტიდან გამოხტება შოფერი:

— ეხლავ.. ეხლავ..

პირი საშინლად ელუკმება.

„ოპველ" ახრიალდება და გაეშვება დალმართზე.

დალმართი ერთ მილნახევარზე. დალმართის ბოლოში: მენჯილის დიდი ხიდი მდინარე სეფიდრუდზე. ხიდი: ნაკეთი ქვისაგან და რკინისაგან.

ხიდს გაივლი და წინ კედლების კუთხე გეჩრება—(ლათინური T-ს მსგავსი). გზა მიდის მდინარის მარცხნით: გარს უხვევს წამომუცლულ ნაპრალებს და აუხვევს ჩრდილო მხრით.

მენჯილის ხიდთან ხევი ვიწროა მეტად. აქ კარია გილიანსა და მენჯილის შუა. გზატკეცილი ალაგალაგ პირდაპირ კლდეშია გაჭრილი. მარცხნით—პიტალო ნაპრალები. მარჯვნით: ღრეები სეფიდრუდის. ვისაც ეს გასავალი უჭირავს—სტრატეგიული კლიტე მის ხელშია.

ნაპრალები—უფროდაუფრო მორჩილები—ავტომობილის გვერდით იმართებიან. აქაიქ—გორაკები. შიგადაშიგ—ხეებიც.

ხების დანახვაზე ვამეხს თვალები ელესება: თითქო ლაჟვარდი გადასერა მერცხალმა.

გაივლიან დაბა რუდბარს. იგი მდაბლობშია. შუაგულში მთის რუჰ ჩამოუდის. ავტომობილი შუვილით გადასჭრის რუჰს და აირბენს მეტის ხალისით—(თითქო იამა: ცხელი მუცელი ცივს ტალღებში რომ ამოავლო).

იხსნება ხეობა თითქო პალესტინის.

ხეობა მოცულია ზეთიხილის ტყეებით. ტყე არ არის ხშირი. ზეთისხილის ხეები გუნდაგუნდათ შეყრილან. გუნდებ შორის ცალიერი მინდორი იშლება. მინდორზე: ძროხა—ხარი—ცხენი—ვირი.

ზეთიხილის ხევნარი ჰქმნის უცხო გუნებას: თითქო ეს კუთხე ნატეხია იმ მხარის საცა ძველებს „სამოთხე“ ეგულებოდათ. ჰაერში—სინელე და სიმსუბუქე- მყუდროებაში: თითქო გვიმრის სურნელი. არყ: ნატვრის თვალი. მაგრამ გული მაინც ვერ ისვენებს: აქ ყველაფერი მოწყვეტილია თითქო და მიტოვებული.

მეეროვ კარგ გუნებაზეა:

— აი ნამდვილი სილამაზე..

— შენი ძველი სამშობლოს ნატეხი თუა.

ოხუნჯობს ვამეხ.

ჯიმშუტ ილიმება.

კიდევ ჯარისკაცები. კიდევ ძახილი: ლაზეტ! ლაზეტ!

ვამეხს მათთვისაც აქვს „იზვესტიას“ ნომრები.

ჯარისკაცებს სადღაც ფურგონი უშოვიათ. თოფები ორ-სამს თუ აქვს: ალბად გზაში დაჰყიდეს.

სადგური რუსტამაბად. აქაც პატარა რუჰ.

— შევისვენოთ?!

— არაა საჭირო..

ღამდება. რამოდენიმე მილი. ხეობა განიერდება.

გზაზე აგდია გიგანტი ლოდი. ვინ მოაგდო?! ვინ მოიტანა?! ნუ თუ სეფიდრუდ ისე ადიდდა ოდესმე—რომ ამ სიშორეს გამოისროლა ვებერთელა ქვის მასსივი!? გაქვავებული ლანდი საზლაპრო მოგზაურის. პირუტყვია და რაღაც უნდა სთქვას. გამვლელს ეხვეწება თითქო: უთხრას რამე. მაგრამ მუნჯია გამვლელიც.

არსად ხრამი და არსად ღრე. მაგრამ ავტომობილი სწორედ იქ ჭირვეულობს საცა ნაკლებ გგონია. დრრრ...შრრ...შშ... ჩერდება.

„ალლან“ ყეფით გადმოხტება.

ვამეხ ხუმრობს:

— ერთი ურია ერთი ბერძენი ერთი სომეხი.. ამ სამებაში უბედურება გეწვევა—მა რა იქნება!?

— ჰა-ჰა-ჰა..

მეეროვი განაბული დგას.

— რას დაშტერებიხარ?!

ეკითხება ვამეხ.

— აი ამ ქვის ნატეხს.. ეგებ სურს მას სხვა ადგილს იყოს..

— ალბად ამდენ ხანს შენს გავლას ელოდა!?

— ვინ იცის!? შეუძლებელი არაფერია..

მეეროვი სწვდება ქვის ნატეხს. იღებს და ისვრის.

— მადლობა არ უთქვამს!?

— იტყვის..

— როდის?!

— როცა დანეხსნები..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეეროვის ჰუმორში წყენაც მოსჩანს.
სტეპკო მაშინას ათვალიერებს.
ვამეხ უახლოვდება.
— ხომ არაფერი გატეხილა?!
— არაფერი იმდენი.. მალე შევაკეთებ..
— რამდენი საათი დასჭირდება?!
— სამი თუ ოთხი..
მეეროვს შეწუხებაც ემჩნევა:
— მაშ ოთხი საათი ამ ტიალ მინდორში უნდა ვიცადოთ!?
— ერთ ვერსზე აქედან სამიკიტნოა „ნომრებით".. იქ წავიდეთ..
ამშვიდებს ვამეხ.
— წავიდეთ! წავიდეთ!
მიდიან. მიაქვთ ხელისბარგი.
— სტეპკო! არ შეგეშინდეს! როგორც შეაკეთო—გამოექანე..
— რის მეშინია!?

. . .

გზის შეტრიალებულ ასახვევის თავში მოსჩანს პატარა დუქანი: როგორც აივანის სვეტზე წამოსკვინჩული გალია.
— „ალლან" შუქს ხედავს სანთლისას: ყეფს.
ვამეხ იძახის:
— ნუგზარ! ნუგზარ!
კიბის თავს თორმეტი წლის ბიჭი მოადგება.
— ჰაა! ვაჲმეჰ!
— ვაი, შენ თავს ნუგზარა!. „ვაიმე" კი არა—ვამეხ!.
— ვაჲმეჰ!. ვაჲმეჰ!.
დარცხვენით იმეორებს ბიჭი და თან იღიმება. „ალლანს" უნდოთ უცქერს. „ალლანიც" ირინება. არჩიბალდ დოგს საყელურში წვდება. ნუგზარა მაინც იბუძგება. უცქერს დოგს. თვალები წყალით ევსება.
— რა ძაღლია!.
— ძაღლი კი არა—ვეფხია!.
ხუმრობს ვამეხ.
ნუგზარა განზე გაიწევს.
შეაქვთ „ნომერში" ნივთები.
შემოდის შუახნის სპარსი. ტანზე რაღაცას ისწორებს ახალოხის მსგავსს.
— იუზბაშ: როგორა ხარ?!
— სფასიბა!. სფასიბა!.
(სპარსებმა ომის დროს რუსული ისწავლეს)
— კარგად იყავი..
— თუ ალლაჰმა ინება..
— აბა კარგი მწვადი და კარგი „ლულა-ქებაბ"..
(ვამეხ აქ შინა კაცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეეროვი გაოცებულია:

— საკვირველია: რომ შენ ყველა გიცნობს..

ჯიმშუტიც ილიმება:

— თუ ღმერთი გწამს: რამდენი მეგობარი გყავს სპარსეთში?!

— ვინ მოსთვლის!?

ხალისობს ვამეხ. გვერდით ნუგზარა მოხვდება. აიყვანს ხელში. შეაგდებს მაღლა და შეათამაშებს.

— ესეც ჩემი მეგობარია..

— კაი ვაჟმეჰ.

უგზარას თვალები უგანიერდება.

არჩიბალდ ვამეხს უცქერს: ისევ „ის“—პირველად რომ ნახა—რამდენი ხალისი და რამდენი გულახსნა.

მოაქვთ შენაკვეთი.

— მწვადი ჩინებულია..

— ლულა ქებაბ კიდევ უკეთესი..

— ასეთს ვერც ყაზვინში ამზადებენ..

იუზბაშის ღიმილი სიამით ივენთება.

— ყველაფერი კარგია.. მაგრამ ღვინო?!

პირველად ხსნის პირს მდუმარე ციოხ.

— ღვინოც იქნება...

იძახის ვამეხ. ხსნის აბგას ბოთლებით სავსეს.

— აი ღვინო! კახური:

ვამეხ ბოთლს ხსნის. ავსებს ჭიქას.

— სინჯე იუზბაშ!.

სპარსი იპუწკება როგორც ახლად დანიშნული.

— შესვი! ნუ გეშინია! მაჰმადს შენთვის არ სცალია!.

იუზბაშ მოსვამს ცოტას. წრუპავს: თითქო სინჯავს.

— გჯურჯის ღვინო ქარიგია..

(იუზბაშმა ორიოდე სიტყვა ქართულიც იცის)

ვახშამი ჩალდება. ნუგზარ იქითაქეთ დარბის. ხმელი და მაღალი. წარბები: წურბლები—(ერთმანეთს ხომ არ კოცნიან!?). წამწამები—„სპარსული“: (ძნელია სხვა სიტყვა). თვალები—ორი ქვა: ნაღველივით შავი (რიყეზე რომ ნახულობენ). ხელები—სუფთა და ფერად პერგამენტი. თითები: დაქნილი მასრები—(ესეც „სპარსული“).

— ნუგზარ! შაირი!. შაირი!.

ნუგზარა შაირობს. ზეპირ იცის მთელი „გჯულისტან“.

შაირი ტკბილია შერბეთივით. მღერის თითქო.

— ნუგზარ: რა უფრო გიყვარს?!

— მთვარე.. გავსილი..

— კიდევ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბდულბდულ..
— კიდევ?!
— ვარდი..
— რომელი?!
— შირაზის..
— კიდევ?!
ვამეხ არ ეშვება. ნუგზარ დარცხვენილია.
— კიდევ?! ნუშის თვალები—არა!?
ნუგზარ თავს დახრის და ილიმება.
გაისმის ავტომობილის ქშენა. ვამეხ გავარდება.
— სტეპკო?!
— მე ვარ..
შემოდის სტეპკო. ბაგიდას უჯდება.
— მიირთვი.. შესვი..
სტეპკოც მიირთმევს—(ჰო რა მადიანია 'ოფერის ლუკმა!).
იუზბაშ განზე დგას.
— იუზბაშ ქუჩუკ-ხანი როგორაა?!
ეკითხება ვამეხ.
— ვინ?!
თითქო ეს სახელი პირველად ესმის.
— კარგი ერთი!. რამდენჯერ ყოფილა შენთან?!
— ?!. ?!. ?!.
— ინგლისელები უნდა გავაძევოთ იუზბაშ.. რუსებიც..
იუზბაშს თვალები უწვრილდება.
— არ გჯერა?! აქ: ერთი ებრაელია. მეორე სომეხი. მესამე ბერძენი. სვანიც ჩემი თანამემამულეა. მე გურჯი ვარ. ეს ჩემი მეგობარი შვედია.
— !?. !?. !?.
ვამეხ გადახედავს არჩიბალდს. არჩიბალდ ილიმება. დანარჩენებიც ილიმებიან. იუზბაშის წვრილი თვალები სინჯავენ არჩიბალდის ღიმილს.
ვამეხ განაგრძობს:
— ჩვენ რა დარდი გვაქვს რუსეთის ან ინგლისის!?
— იახში! იახში!
— გაუმარჯოს სპარსეთს!
— გაუმარჯოს! ლა ილაჰ ილლა ალალაჰ!.
სპარსის დაწვრილებული თვალები აციალდებიან. თუმცა იკვნეულობა მოსჩანს მაინც სილრმეში.
ვახშამი გძელდება: „კახური“ მაგარია.
იუზბაშ ხშირად გადის და შემოდის.
„ეს ღმერთნა ადლეგძელოს“...
. . .
— სტეპკო რომელი საათია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორს გადასცილდა..
— იმამ ზადე ჰაზიმ აქედან შორს არაა..
— ორ საათში მივალთ..
ზოფერი შეღვინიანებულია.
მეეროვს არ მოსწონს დიალოგი:
— აქ გავათიოთ ღამე..
— გეშინია განა?!
ახელებს ვამეხ.
— რის მეშინია!?
მეეროვი მხრებში იმართება.
— მაშ?!
— სახიფათოა ეხლა..
— რა სახიფათო?! რას ამბობ?!
— ნაგლობერს იქით ქუჩუკ-ხანის რაზმი მოქმედობს.
— მერე?!
— თავს ესხმის მგზავრებს..
— დაგვესხას.. დავხვდებით..
შეღვინება ვამეხსაც ეტყობა.
— დავხვდებით..
ნადირივით იხედება ჯიმშუტ. წელზე—ფართო საპატრონე: ტყვიის მასრებით ამწკრივებული. „სმიტ-ვესსონს“ დახედავს.
— ვინ რას გვიზამს?!
ბლავის სვანი ციოხ. ბერდანას ათვალიერებს.
— დავხვდებით!
გაიძახის ვამეხ. სინჯავს დიდ ნაგანს—(ქარქაში ხისაა).
— რა გვიშავს!?
თამამდება სტეპკო—(მასაც ჰქონია იარაღი).
იუზბაშ გაოცებულია და გაცეცებული. იარაღის ეშინია. ხან ერთს უცქერს—ხან მეორეს. ეხლა არჩიბალდისკენ იხედება: „ხაკის“ ქარქაშიდან იღებს ორს „კოლტს“ მრავალთვალიანს. იუზბაშ უკან გახტება.
ვამეხ აშინებს იუზბაშს:
— თავს დაგესხენ თულები..
იუზბაშ კანკალებს.
— ნუ გეშინია იუზბაშ!. ეს სამზადისია მგზავრების!.
იუზბაშ მშვიდდება. ვამეხ მოიხედავს და სიცილი აუვარდება.
— ეს რაღაა?! ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა..
მეეროვს ჩემოდანი გაუხსნია და პაწა რევოლვერს იღებს.
— ერთი ამას უყურეთ!. იუზბაშ: თქვენი გარდაქმნანია რაღა!. არა: დახეთ—ამ სათამაშოს!.
და პაწა რევოლვერს გამოართმევს და აათამაშებს.
მეეროვი დარცხვენილია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ იცი ყველაფრის მასხრად აგდება.

— მაშინა მზადაა!.

მოისმის სტეპკოს ხმა.

გადიან აივანზე. ვამეხ იღებს ნაგანს და გაისვრის. „ალლან“ დაიყეფს. იუზბაშ რიკულზე მიეკეცება—(შიშით?!.) „ალლანის“ ყეფა გადასერავს განიერ ხევის ფაშვს.

დალესილია ყველა—(კარგია ნალვინებზე გრილი ჰავა ღამის).

საფრხე მათრობელია—(მაგარია მკლავები მორკინალების).

— მშვიდობით იუზბაშ!.

— მშვიდობით ნუგზარ!.

— ყარდაშ!. ყარდაშ!.

— იახში.. იახში.. გზა...

. . .

„ოპპელიც“ ატეხილია. ღვინო მასაც თუ გადაედვა.

მაგრამ სტეპკოს თვალი მჭრელია და ხელი მაგარი.

გაიარეს მოსახვევი. შედიან ტყეში. ტყის პირას ხანდახან გარეული კატა გაირბენს წითური. გამოანათებს ალის თვალებით და წამსავე გაჰქრება. შორით გზაზე მგელიც მოსჩანს მოყიალე. ავტომობილი დაიღრიალებს. მგელი ხრამისკენ გადაეშვება. „ალლან“ დაიყეფს ყელამართული და ყეფა მგელს ხევში გაეკიდება.

სადგური—ნაგლობერ. ერთი ვერსი. ორი.

„ალლან“ ყეფს. იხედებიან: არავინაა.

„ალლან“ ყეფს გახელებით. გაიხედავენ: არაფერი.

„ალლან“ ავარდება. ველარ აკავებენ. ყეფა და ყეფა.

ყველანი წაიწევენ. ავტომობილის თვალები ადამიანის ლანდს კვეთავენ.

— ვილაც მიიმალა..

ისმის სტეპკოს გაგუდული ხმა.

ვამეხ წამოხტება:

— შეაჩერე!.

და უეცრად მოსახვევთან გავარდება თოფი.

— ისინი არიან..

— ვინ?!

(ეს კანკალია მეეროვის)

— ქუჩუკ-ხანის რაზმელები..

არჩიბალდმა მხოლოდ ეხლა იგრძნო საფრხე. ისიც გადმოხტება. მას ჯიმშუტიც გადმოჰყვება. მეეროვი გადმომხტარია და ავტომობილს ეფარება. სვანი ციოხ გადმოდის დათვივით. სტეპკო წინ ჩამძვრალა თითქო: უცდის ვამეხის ბრძანებას.

— თხრილთან მიაყენე!.

მაშინა გაიწევს დაჭრილი მხეცივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეეროვი თან მიჰყვიბა. „ალლან“ არ ცხრება. არჩიბალდ მეეროვს მიმართავს:

— დაიკავეთ საყელურით..

მეეროვი ფთხილად ჰკიდებს ხელს საყელურს. თან: უკან იხევს. ძნელი გამოსაცნობია: დოგისაც ისე ეშინია როგორც წინ ამართული საფრხის?!

ჯიმშუტ სიპ ქვას ეფარება გამოფერდილს. ციოხ მის ახლოა. ერთი „სმიტ-ვესსონს“ იმარჯვებს. მეორე ბერდანას. ვამეხ და არჩიბალდ ხეს ეფარებიან ხრამის პირას. ერთი „ნაგანს“ მართავს. მეორე „კოლტს“.

პაუზა. გავარდა კიდევ: ერთი—ორი—სამი—ოთხი.

გასცეს პასუხი. ხევში სროლა გაიკლაკნება.

— მაგრად არიან..

ამბობს ვამეხ. სტეპკო წამოხტება:

— მე ეს ადგილი კარგად ვიცი.. ავალ ტყეში, მოვუარ საცალფეხო ბილიკით.. დავზვერავ..

— ფთხილად სტეპკო.. არ გაიგონ..

— ჯავრი ნუ გაქვს..

სტეპკო მიხოხავს. შედის ტყეში.

გავარდა კიდევ. გასცეს პასუხი. არჩიბალდ იცდის: თითქო რაღაცას ზომავს. „ალლანს“ ძლივს აკავებს მეეროვი.

კიდევ გავარდა. მოხვდა ავტომობილს.

აქედანაც გავარდა. (იქაც მოხვდა?! მაშ რა ხრიალია?!).

ვამეხ არხეინად დადის. ტყვიის არ ეშინია. მაგრამ მის მაგიერ არჩიბალდს ეშინია.

— ვამეხ: აქეთ! ფრთხილად!.

— ფიქრი ნუ გაქვთ..

გავარდა კიდევ: ზედიზედ. მეეროვი ყვირის: „ალლანს“ ველარ აკავებს. „ალლან“ გავარდება. ვამეხ გაეკიდება—(ფიქრი: ვაი თუ დოგი დასჭრან). არჩიბალდ მოდუნებულია—(რა ემართება?!). ვამეხ „ალლანს“ ეცემა და დააკავებს. დოგი ყეფს გახელებული. გავარდება კიდევ—და ვამეხ წაიქცევა.

ისმის მხოლოდ გაგუდული სიტყვა: „დედა“.

ერთი წამი—და ამ წამში: ნინო დანისლული თვალებით—მატასი ნიამორივით აშოლტილი—ბაბუა სარიდან. ეს: ვამეხის ფიქრებში. იმავ წამში—ეს ყველა: არჩიბალდის ფიქრებშიც. მაგრამ ამ ფიქრებში კიდევ სხვა: ირაჰშანდა—სარგის—ბეხან—მამა. მამაში: მამის სისხლი თუ კიეილი.

ფიქრები წამია თვითონ.

არჩიბალდ მოსწყდება. ერთ ხელს „ალლანს“ სტაცებს. მეორეთი მოათრევს ვამეხს. მიიყვანს ავტომობილთან. გრიალი ისმის—(ნეტავ რად არ ხვდება?!). დააწვენს ავტომობილის უკან. კიდევ სროლა—(ნეტავ ხომ არავის მოხვდა?!). ციოხ და ჯიმშუტ ვამეხს თავს ეხვევიან. არჩიბალდ პერანგს იგლეჯს. „შეუხვიეთ“: ეუბნება მეეროვს. „თქვენი ალაგები დაიჭირეთ“: მიმართავს ციოხს და ჯიმშუტს. მეეროვი ეხლა მარჯვედაა: ჭრილობას უხვევს.

არჩიბალდ გახელებაა მარტო: ცეცხლის თუ რკინის.
გაუშვებს „კოლტს“ ერთიანად ზედიზედ.
გრიალი ხევში გაწვება როგორც თავწაკვეთილი გველეშაპი.
(საკვირველია: „ალლან“ აღარ სცილდება)
მტრის ბანაკში ჩოჩქოლია—(იქაც დაიჭრა?!).
ზევიდან სტეპკო გადმოხტება:
— ხუთმეტამდეა.. ცხენები არ ჰყავთ.. შეიარაღებული კარგად არიან.. მაგრამ ძარღვი შეშინებული აქვთ.. ეს რაა?! ვამეხ დასჭრეს?!
სტეპკო ავტომობილში ხტება. გაწვება სამართავთან კატასავით. ისმის გაგუდული ხმა:
— მე გავსჭრი მათ რკალს.. ადგილი ვიცი.. მათ იქით მოსახვევია.. მოსახვევამდე ჩაწოლილი გავიგდებ მაშინას: დალმართია.. ტყვია არ მომხვდება.. შემდეგ—ვილა დამეწევა?! იმამზადეში ოც წამში ჩავალ.. მიცადეთ.. იქ ჯარისკაცებია..
— მაშინის აძვრა?!
ეკითხება ჯიმშუტ. აა: ეს კი დააავიწყდა სტეპკოს. აძვრა წინიდან შეიძლება. წინ-გასვლა კი სახიფათოა.
სტეპკო დაღონებულია:
— უკანიდან მოაწევით.. აქ დალმართია.. მაშინა თავისით გახურდება..
— მაგრამ მაშინა თხრილშია გადაზნექილი.. ამოღება უნდა..
სტეპკო უფრო დაღონებულია.
— მაცალეთ!.
იძახის ციოხ: და ვებერთელა კაცი უკანიდან ძვრება ავტომობილის ქვეშ. ხელებს იმაგრებს. მუხლებს იმაგრებს. ზურგით აწვება.
— ჯიმშუტ! უკან დაიკავეთ მაგრათ..
ჯიმშუტ ამაგრებს.
სროლა სროლას მოსდევს. არჩიბალდ არ სტოვებს სროლას უპასუხოდ. „ალლან“ კბილებს ილესავს.
„ჰაააა“: იძახის ციოხ ქვეშიდან. მაშინის წინა პირი თხრილიდან მოგორავს: ვაკეზე იმართება. წინ: დალმართი.
— მოაწევი უკნიდან!.
— იძახის სტეპკო.
ჯიმშუტ მიაწვება. მეეროვს ვამეხ თხრილში გადაჰყავს. მაშინა ხურდება. გავარდება. ციოხ წაიწევს განზე. ისევ იარაღს იმარჯვებს. მაშინა მიჰქრის.
ყურს უგდებენ. სიჩუმეა. შეაჩერებს?! ვერა. ესროლეს?! ესროლეს. ავტომობილი?! მისი ხმა ისმის. მაშ ვერ დასჭრეს სტეპკო. კიდევ სროლა. ავტომობილის გრიალი თითქო გადატყდა. მოახვედრეს?! ყურს უგდებენ. ვერა: ალბად მოსახვევს გაუარა. აა: საყვირიც გაისმის მაშინის. კიდევ სროლა. მაგრამ სტეპკო მიიმალა ალბად.
მაგარი ამოსუნთქვა. „ალლან“ ყეფს.

ეხლა მტრის ბანაკს უგდებენ ყურს. იქ რაღაც ჩოჩქოლია. ავტომობილში არავინ იჯდა. შოფერი ალბად გაწოლილი იყო. რად გაიქცა?! დასტოვა დაჭრილები ან მკვდრები?! ძალლიც მისთვის ჰყეფს?! თავს უშველა?! თუ მოსაშველებლად გავარდა?! ამ ფიქრებს „ესენი“ ფიქრობენ—(მტერის ბანაკის ფიქრებს). ბანაკში ჩოჩქოლია.

ყურს უგდებენ განაბულნი.

ეს რა ლანდებია!? ერთი. ორი. სამი. ოთხი. ხუთი.

ალბად „დამარცხებულთა“ სანახავად მოდიან.

— არ გაინძრეთ!.

ჩურჩულობს არჩიბალდ.

„ალლან“ ჰყეფს. ვერაფერი აჩერებს: ვერც თხოვნა—ვერც ბძანება.

ლანდები ახლოვდებიან. ხუთი საქენი. სამი. ორი. და ვილაკამ თხრილიდან გაისროლა. ნუ თუ ვამეხმა ამოჰყო თავი?! ერთი „მათგანი“ დაეცა. მაგრამ სხვები გადმოიჭრებიან. არჩიბალდ თხრილისაკენ გადახტება: ვამეხს იფარავს. ვილაც ხანჯალს მოუქნევს. არჩიბალდ იცდენს. „ალლან“ მოსწყდება და ერთი ნახტომით შემოსეულს მიწაზე გაშხლართავს. მეორე დოგს თოფს უმიზნებს. ჯიმშუტ მზადაა: გადაიჩეხება—თოფს ხელს აჰკრავს. არ მოხვდა. ციოხ ხელჩართული იბრძვის. ჯიმშუტ ციოხს ეხმარება. მეეროვი მარჯვედაა: თხრილიდან ისვრის. აცილებს. არჩიბალდ ხედავს: ოთხი—ორის პირისპირ. ციოხ დევკაცია. ჯიმშუტ არა ნაკლები. მაგრამ მტრებიც არ დაუვარდებიან. ბრძოლა, ხელჩართულია. არჩიბალდ მოსწყდება: ეხლა ნამდვილი გაგიჟებით—(სიგიჟე ძალას აათკეცებს). მორკინალი არტისტი უნდა იყოს: არჩიბალდ ბოკსერიც არის. ერთი დაკვრა. მეორე. მესამე. მეოთხე. „ალლან“ კიდევ უფრო საშინელია.

მტრები მოგერებულია. ზოგი ძირს აგდია დაჭრილი. ზოგიც განზე გავარდა. მაგრამ ეხლა სხვები მოდიან. უფრო მეტი: ეხლა მოშვება აღარ შეიძლება. რაზმელები ისვრიან. გავარდება ჯიმშუტის ტყვია. გავარდება ციოხის ტყვია. მას მიჰყვება საშინელი გრიალი „კოლტის“—(უკვე მოასწრო გატენა). ხუთი ერთად. მტრები უკან იხევენ. კიდევ ხუთი ზედიზედ. მტრები აღარ სჩანან—(მიმალენ?!).

აიფანტენ?! ვინ იცის.

მეეროვი ვამეხს ეჩურჩულება:

— ჭრილობა არ უნდა იყოს დიდი..

— წვივში..

არჩიბალდს ესმის მეეროვის სიტყვები. თითქო ეხლა გამოერკვაო—მოსწყდება და ვამეხს თავთან დაუვარდება.

— ვამეხ!.

— არჩი.. ნუ გეშინია.. ცოცხალი ვარ..

— არა უშავს..

(ეს ჯიმშუტის ხმაა)

— დოგს რომ არ გაჰკიდებოდა..

(ხმა მალლა ფიქრობს მეეროვი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ალლანს“ როგორ მოვაკვლევინებდი..

ვამეხის ხმა არჩიბალდს ესმის როგორც სისხლი.

თვითონ—ეხლა სისხლია მარტო.

„ალლან“ ჰყეფს. ყეფაში ისმის გამარჯვება.

ვამეხ ამოჰყავთ თხრილიდან. ხრამის პირას მინდორია პატარა. იქ დაასვენებენ. არჩიბალდ მალამოზე ფიქრობს. მაგრამ მალამო ჩემოდანშია. ჩემოდანი კი... მხოლოდ ეხლა გაახსენდა სტეპკო. რა ჰქნა?!

ალლან“ ყეფას უმატებს—(სროლა ხომ არაა?!). არა. ვიღაც სტვენს. ჰაა: ეს სტეპკოა. ხევში მოქშინავს ავტომობილი.

ლოდინი მხიარული: რამოდენიმე წამს.

სტეპკო ავტომობილს მოაგდებს.

უკან—„საბარგოა.“ იქ ჯარისკაცები სხედან.

— ჰაა: სტეპკო!. სტეპკო!.

— გაიფანტენ?!

— გაიფანტენ..

— ძალიან არ გაუძვერი იმ წყეულებს?!

— ყოჩაღ სტეპკო!. ყოჩაღ..

. .

ნახევარ საათში—სადგური „იმამ ზადე ჰაზიმ.“

ძველი შენობა ქვის. თითქმის მინგრეული. კედელი: ორი ალაბი სიგანით. შენობა—შაჰაბაზის დროის. ასეთი შენობა მთელ სპარსეთში: 999. ამას სპარსი გეტყვით. სპარსი იმასაც დაუმატებს: რომ ეს 999—(მაგიური რიცხვი?!)—შაჰაბაზმა ააშენა. სპარსი წარწერასაც გიჩვენებს კედელზე: „ქვეყანა ქარვასლაა და ჩვენ ქარავანი ვართ.“ სპარსი იმასაც დაუმატებს: რომ ეს სიტყვებიც შაჰაბაზისაა.

სადგურზე ექიმია: გასინჯავს ფეხს. ტყვია წვივში მოხვედრია: ძვალსა და ძვალს შუა. ძვალი რომ იყოს დაზიანებული?! „არ იქნება“—(იმედი სიტყვას ეძებს).

განზე ჯიმშუტ მკლავს ათვალიერებს. მკლავი სისხლშია. მხოლოდ ეხლა ცნობს: რომ ისიც დაუჭრიათ. ჭრილობა პატარაა.

კუთხეში სვანი ციოხ ბარძაყს აშიშვლებს. მასაც მოხვედრია. შარვალის ნახევებისაგან შეუხვევია. ჭრილობა—„რბილშია.“ ტკივილს არ გრძნობს. „გამკაწრეს:“ ბურდღუნობს.

არჩიბალდს ვამეხის ფეხი აწუხებს: რომ დასახიჩრდეს?! კოჭლი ვამეხ?! ეს ხომ „ალლან“ იქნება ფეხმოჭრილი! არა. არას გზით. ძვალი თუ გაიკაწრა?! არჩიბალდ ვერ ისვენებს:

— სტეპკო! ეხლავ ენზელისაკენ!

. .

უკვე გათენდა.

ენზელშიც საკვები პუნკტია. მისი გამგე მოროზოვია. კაცი სქელი. პირგაპარსული. აფუებული ლოყები და წვრილი ჭროლა თვალები. პენსნე ვერ მა-

ლავს ეშმაკურ ღიმილს. მაგრამ „ეშმაკობას“ ვინ არ აპატიებს?! ხალისიანი მუდამ. მომცინარი მუდამ. მისი ხითხითი ხუთმეტ საჟენზე გაისმის. ანეკდოტისტი შეუდარებელი—(თუმცა ურია არაა). დარდიმანდი კაცი. იცის ვენის ოპერეტები. მღერის კუპლეტებს—(ხმაზე მწყრალადაა). იგონებს ვენის კოკოტებს. მოგონებას ათავებს ნერწყვით და თითების ტკაცუნით. პირის გემო?! მასთან ერთ მზარეულია—მთელი სპარსეთის ხაზზე არ არის ასეთი. რა სასმელები არ აქვს მაროზოვს?! (ენზელი საპორტო ქალაქია).

სტეპკო შეაგდებს ავტომობილს ეზოში.

მოროზოვი გამოვარდება. პენსნე მაგიდაზე დარჩენია.

— ვოვა!. დამჭრეს!.

— აააი: ვამეხ..

ხმაზე იცნობს ვამეხს და აივანიდან გადმოხტება.

დამჭრეს ვოვა.. ხომ გეუბნებოდი: სპარსეთიდან რალაც ჭირი წამყვებათქო!?

— ჭირს რა უნდა შენთან.

გადმოხტებიან. ვოვა გარბის.

ოც წამში მოჰყავს ექიმი: მოღუშული და ცივი.

— შენს ბედზე ქირურგიც აქ არის..

სინჯვა. არჩიბალდ უცდის განაჩენს.

— ძვალსა და ძვალს შუა გასულა ტყვია..

— ძვალი ხომ არ დაზიანებულა?!

— არა მგონია..

(ეს „მგონია“ აფუჭებს ნუგეშს. მაგრამ ექიმი ცივია.)

. . .

ქეიფი.

ბერძენი სტეპკო—(თვითონ ამბობს). სვანი ციოხ. ყარაბახელი სომეხი ჯიმშუტ. ქართველი ვამეხ—(მიწოლილია გვერდით). როსტოველი რუსი მოროზოვი. ოდესელი ჰებრაელი მეეროვი. არჩიბალდ მეკეში. „ალლან.“

მკლავი. სმა. ხმა. ხმალი. ირონია.

ქეიფი ქაფივით ადის ცისფერ ტალღებს.

ქეიფი—სპარსეთის ერთ ყელთან.

. .

— ვამეხ ტფილისამდე გაგაცილებ..

— არჩიბალდ!. არჩილ!.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეათხუთმეტე

ირყევა ტფილისი—
ქალაქი წყეული და უტკბილესი.
„ტფილისის ხერხემალი“

მცხეთაში მეფემ ქორი ააფრინა. ქორი ხოხობს გაედევნა. მეფე უცდის: ალარც ქორია და ალარც ხოხობი. მიდის საძებრად. მიადგება ხევს. ხევში ღვარია გოგირდის ფერის. ღვარში ხოხობი დაბეჩვალა. ქორიც თან გადაჰყოლია. მეფე ფუძეს დებს ქალაქისას.

ასეთია ქალაქის მითოლოგია.

ტფილისი გოგირდის აბანოთი იწყება და გოგირდის აბანოთი თავდება—(მეტაფიზიკოსი ამ ამბავში „მეტაფიზიკას“ ამოიკითხავს).

პატარა სახლები და ვიწრო ქუჩები. ერთ ყელში შესაძლოა ერთი აივნიდან მეორე აივანში გადახტომა. აქა იქ: ყავახანა. ინით შეღებილი წვერები. დაქნილი ფჩხილები—(ესეც ინით შეღებილი). ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი. თვალები აარავის ეძებენ—(თავის თავს თუ ეძებენ შორეთში).

აბანოს შესავალში მექისე დგას. სხეული—გამოხარშული: თითქო ქათმის შაშხი სხვენზე ჩამოკიდებული—(თანაც შემეჭვარტლული). სხეულის კანი: საქალამნე ჯლანი ოხელი. სახე: მაჭიკი. თვალები: გადაქსუებული ნირვანა. ირანის ზმანებაში თუა.

სამი საუკუნის წინად შაჰაბაზის ლაშქარმა ტფილისი აიღო. სისხლით გაილეშა მძლეველი და დამძიმდა. მძლევარმა გოგირდის აბანო მიიღო. მექისემ ტანი დაუზილა გალეშილი. ეს ხომ არ ახსოვს მაშადის—მითოლოგიური მექისის ნაშიერს?!

ეგებ სხვა ამბავსაც იგონებს მაშადი:

გოგირდის აბანო ალექსანდრ პუშკინმაც იგემა. აფრიკის სიცხემ გახელება იცის. აფრიკის სისხლი (პუშკინი თავის პოეტად გამოაცხადეს ზანგებმა ნდუ-ჟორკში). სლავურმა არემ ვერ დააცხრო. პუშკინმა ტფილისში იგზნო შენელება. მის შავ ტანზე მექისემ საპონი ფეერიულ ბუშტებად გაშალა. ქისა გადაუსვა—სული შეუბერა: პოეტის სხეულმა ლამაზი ცოლის ალერსი იგრძნო რომელიც ბედისწერად გადაიქცა მისთვის.

შეიძლება ამას იგონებს მაშადი.

მაშადი არაფერს იგონებს. იგი გათქვეფილია ცხელ გოგირდიან ღვარში. მხოლოდ ხანდახან ზარატუსტრას პოზას იღებს—(ზოროასტრ ხომ მისი სამშობლოდანაა)—და იტყვის: „ქარგი აბანო ქარგი ლდულაქებაბ ქარგია“.

. . .

მართლაც კარგია გოგირდის აბანო.

იქ ქეიფია ყოველთვის, აი ახლაც.

ფეხები—მოკლე. შარვალი განიერი: თითქო გაბერილ[illegible] ვეცხ ხლის ღვედი წელზე. ზედ: ბაღდათის თავსაფარი ჩამოშვებ[illegible] საორ-შიმე კვახი თუ ქვასანაყი. კეფაზე ქუდი: თითქო შავი სოკო. მთელი ფიგურა: მამალი პილპილა. პათოსი—გუდაფშუტის. სახელი: ფიჩხულ.

განზე: დოლი და ზურნა. ლოყები მეზურნეების იბუშტებიან (ბაყბაყ დე-ვი თუ ილუკმება). ფიჩხულ დაელურს უვლის და გადადის ბუქნას—(ამ დროს შარვალი პათოსია).

მწვანე მოლზე თავსაფარია გაფენილი. თავსაფარზე: მწვანილი და „მო-თალი". კინტოები ქეიფობენ: ჭიქა ჭიქას ეთამაშება.

ფიჩხულ ბუქნას ათავებს.

ერთის ხელი ჭიქას ამართავს. აპუწკული ტუჩები გაიძახიან: „ეს ღმერ-თმაც ადღეგრძელოს ის ანგელოზი რომელი ანგელოზიც"... გაპრეხილი ხმა უსაშველო პერიოდს ეპოტინება. ეხლა სიტყვა „რომელი და რომელიც" თვი-თონ იწყებს ბუქნას.

მაგრამ სიტყვის ბუქნას მეორე გადასჭრის. იგი ნაყვავილევია. ამომშრა-ლი თვალები—(კაცი ნახევრად ბრმაა)—ბეუტავენ როგორც ნაკვერჩხლები ჩაქ-რობას რომ აპირებენ. ნაყვავილევს ყურთან დაირა მიუყუდებია: „ყბაყურა" თუ აქვს. უსაშველო თავი გაჭკივის უსაშველოდ: შაკიკი თუ აუვარდა თავში. „შე წყეულო მარტის თვეო". „აღსდეგ თამარ დედოფალო შენთვის სტირის სა-ქართველო".

მერე: ისევ განიერი შარვალის ბუქნა.

მერე ისევ: „რომელის" აკვიატება.

„რომელი—რომელიც": ეგებ ვილაცას ეძებენ. თავის თავი თუ დაჭკარგეს. სიტყვა ქართული. ბაიათი სპარსული. ხმა „ყარაჩოღელის".

რასსის დომხალი?! აქ თუა წვალება.

. . .

ტფილისში სახლში არავინ ბრუნდება. აქ ყველგან „შენი" სახლია.

ტფილისში ხეტიალს რა სჯობს?!

სამიკიტნოები გაკიდულან როგორც არღნები კარუსელზე. სამიკიტნო სავ-სეა ყოველთვის—(რომელიც გინდა). დახლთან მიკიტანი დგას და „ნისიებს" ითვლის საკუთარი ბუხჰალტერიით. ლაქიები გარბიან იქითაქეთ. ვინ გინდა აქ რომ არ იყოს?! მაგრამ ყველაზე უფრო ფეროვანი მაგიდა ჩოხოსნებისაა. ზოგი ასხეპილი. ზოგი აცქვეტილი. ზოგი აწკეპილი. ზოგი წამახული.

ერთი მათგანი შუახნისაა. „ჩაბაკვერა": როგორც დაბალი სიმინდი ულვაშ-აყრილი და ტაროებით დოინჯაჭდილი. სიდარბაისლე ფარაოსი. ნეკზე: წაზ-დილი ეჩხილი მამლის დეზივით. ჭიქას ამართავს მარჯვენა ხელით. გძელი და-ქნილი ეჩხილი ქარვას აელვარებს წაბზეკილი. გაპრეხილი ხმა იწყებს:

— ინგლისელი მეცნიერი სიეისი ამბობს...

— კაი თუ ღმერთი გწამს...

— თავი მოგვაძულე მაგ სიეისით ღმერთმანი...

— ნათლი მამაა მაგის: ღმერთი მაგას უშველის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ჩუმად იცინის.
„ჩაბაკვერა“ ყურს იტყუებს:
— შენგან არ მიკვირს: მანაველ ჩემო...
— რას ამბობს სიესი სამოველ?!
ახლა სხვა ეკითხება ირონიით.
— სიესი ამბობს: რომ საქართველო...
— კაი კაი..
— ვიცით: რასაც ამბობს..
ერთი იცინის. მეორე ანჩხლობს.
— თუ არ მაცლით..
— სხვა დროსი ვის გედინახე..
„მრაააავაალ ჟაამიერ“: და მაღალი ტონი კვინიხში ადის. მაგრამ „მრავალ ჟამიერ“ უსიამოვნობის ჩასაქრობად მისწრებაა. „ჩაბაკვერა“ სიეისის ციტატას „ჯიბეში იდებს“ და ჯდება ფარაოს სინელით დამძიმებული ფიქრით: „წახთა ბატონო ქვეყანა“..
— ეს ღმერთმა ადღიძელოს...
— მოიცა კაცო.. თამადას აცალე..
— არ შემიძლია ბატონო ამდენი ცდა..
— თუ არ შეგიძლია...
— მერე რაო?!
— იქაც გიკრავს თავი: ხომ იცი..
— ხა ხა ხა ხი ხი ხი..
— გეიმეორე კიდეც..
— გევიმეორო თუ არა.. შენმა...
— გამიშვით მა წუპაკთან..
— წუპაკიც ხარ და...
— დაანებე თავი თუ კაცი ხარ..
— სილბისტრო არა გცხვენია?!
— რა დაგემართა ბოშო?!
— „მრავალ ჟამიერ“ ერთი შენი ჭირიმე.. „ცედური“..
„მრაააავაალ ჟაამიერ“..
კვინიხი ახლა გახეთქას აპირებს. მაგრამ კვინიხში აკიეებულ ხმას ვილაცას ბოხი ხმა ჰფარავს თითქო დარეგვილი.
ჩოჩქოლი წყნარდება. ხოლო გუნება სუფრაზე აღრენილია მაინც. უგუნებობა ქართულ სუფრაზე „წაწყმედის“ ნიშანია. ამას ყველაზე უფრო თამადა გრძნობს.
— ეს შესეი ჯერ და მერე იჩხუბე რამდენიც გენებოს..
— ვისი სადღინძელია?!
— კვატატის..
— კვატატი: იცოცხლე..
— გამოცლამდეა..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვილაც კარებში იტუზება.
— სილოვან!. სილოვან!.
— გვეწვიე სილოვან!.
— ერთი ჭიქა..
სილოვან მოდის. ქართულ სუფრაზე ახალი სტუმარიც „მისწრებაა". თამადას ალარ ეშინია „წაწყმედის".
— აბა შემოსასწრები!.
— ეს ღმერთმა გაუმარჯოს...
„მრააავაალ ჟაამიიერ"..
გუნება დაბრუნდა—(მადლობა ღმერთს).
კარებში ეხლა სხვა დგას.
ქვეიდან პატარა ბიჭი შესცქერის ყურებ აცქვეტილი.
კარებში გაჩერებული მაგიდებს ათვალიერებს.
დახლიდარი ბიჭს უძახის:
— შემოუშვი ბიჭო..
ბიჭიც მზადაა:
— მობძანდი ბატონო.. სტოლს გიშოვით..
კარებში აყუდული ისევ მაგიდებს ათვალიერებს. ეხლა მაგიდებიც ათვალიერებენ მას. კარებში აყუდებული უხერხულობას მალავს (ბიჭს მიმართავს):
— ცოცორია ხომ არ ყოფილა აქ?!
— არ ყოფილა ბატონო..
— ბუიღლიშვილი?!
— რომელი?! ბესარიონი?!
— არა.. კიმოთე..
— არ ყოფილა ბატონო..
— წვიმიტიძე?!
— არც ის ყოფილა ბატონო..
— სიკინჭილაძე?!
— რომელი?. კოწია?!
— ჰო: კოწიე..
— არც ის ყოფილა ბატონო..
„მრااავალ ჟაააა"...
მაგრამ ამ დროს უცხო სახელი ისმის:
— ლოიდ ჯორჯი?!
(ლაქიას თუ შერცხვა ამდენი „არასი"):
— ქე იყო ეგერ წეხან...
— შენს პატრონს...
მაგიდებზე ხითხითებენ:
— ბიჭო! ლოიდ ჯორჯს რა უნდა სიკოიას დუქანში?!
გაწითლებული ლაქია სიტყვას ასწორებს:

— ასე მოუხთება.. რომ არ მოგეშვება კაცს: ეს იყო?. ის იყო?. ჯანდაბას იყოს მისი თავი.. რა ვიცი: ვინ იყო..

„მრაავაალ“: ლაქიას სხაპასხუპი ინთქება.

ყველაფერს შეგიძლია გაექცე. მტერს. მხეცს. შაეპერს. ყოველ-ფბედურებას. ვერ გაექცევი მხოლოდ „მრავალ ქამიერს“. ქართველი ალაპშიაც გასძახებს ხოლმე „მრავალ ქამიერს“. ქეიფში—ვინ დააკავებს?! მღერის ქართველი „მრავალ ქამიერს“ რაღაც წვალებით. კვინიხი მომღერალს უსკდება და ყურები მსმენელს. აწვალებს რამე?! „ფროიდი“ თუა მისი. ეშინია მოკლე ქამის და მისთვის უყივის მრავალ ქამს თუ მრავალი ქამი გაუვლია და ეძახის გადასულ ქამს?! შესაძლოა პირველი იყოს მართალი. შესაძლოა მეორე. შესაძლოა ორივე. უდავო ის არის მხოლოდ: რომ „მრავალ ქამიერს“ ვერ გაექცევი. უკან დაგეწევა და კალთებს ჩაეოგახევს. ისევ გაპარვა სჯობია. იქითაქეთ მოიხედავს. ვერ გნახავს სათვალაეში. იფუსფუსდება. მერე ისევ „მრაააავალ“ და დაგივიწყებს.

. . .

რა კარგია ტფილისი სამიკიტნოს კარებთან—(როცა სამიკიტნოდან გამოდიხარ). ჰაერი—ხალასი და სუნთქვა—მაგარი. მაგრამ ესენი ვინღა არიან?!

ჩულებით ებრძვიან ერთმანეთს: ქურთები.

დაკოჟრილი სხეული: დამწვარი: ტყემლის ტყლაპისფერი. დაკუნძული კუნთები. ოფლის სუნი ისეთი: თითქო ჰებრაელთა „მიკვას“ გვერდით მიდიოდე. ნუ თუ ყველაფერს ჯიში ეკარგება ტფილისში?! ესენი არიან ნატეხები იმ ქურთებისა ვეფხებად რომ ითვლებიან ქურთისტანისა?! მაგრამ ამ საწყლებსაც აქვთ ხალისი.

ეს მათი ბიჭებია და მათი გოგონები.

ზოგი ასანთს ყიდის. ზოგი თუთუნს. ზოგი ირისს. ზოგი მათხოვრობს. ყველას კარგი გული აქვს. მეგობრობა იციან. ათას კაცში გამოგიცნობენ. მოვარდებიან და ფეხებზე მოგეხვევიან. რაა ერთი შაური შენ მიერ გადაგდებული ამ ხელებისათვის?!

ქურთის პატარა გოგონები მარჩიელობასაც ეწევიან. შავი თვალებით—რომელიც ქურთისტანის შავი გველის წიწილებია უფრო—მომავალს გიკითხავენ ხელის გულზე. სტყუიან?! პოეტები რაღას შვებიან?! ამ გოგონების თვალების ალერსს კიდევ სად იხილავ?!

ზოგი ლეში თორმეტი წლის გოგონას შეიტყუებს სადღაც და აორსულებს. მაშინ იწყება ტრაგედია და ხშირად სიგიჟეც. ტფილისის ქუჩებში დაძონძილი ქალი გაივლის ხოლმე მუცელ გამობერილი. რა საშინელია მისი ხითხითიანი სიტყვა?! ტფილისის ქუჩებში დედა გაივლის ხოლმე ძუძუსთან ატატებული პატარა ბავშვით. რა შხამიანია მაშინ მისი უეცარი კივილი კისკისიანი!?

. . .

გაშორება სჯობს. აგესლილ მზერას ქაშვეთი მოგირჩენს. ყოველი ქვა ტაძარის ქალწულია თვითონ: ნელი—ლბილი—ნაზი—თვინიერი. ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სასხვერპლოდ დასაკლავი. არა: აქ თვალები სევდას ნახულობენ.

აუარ ქაშვეთს. უეცრად თვალები გ-მოანათებენ: ათასში—ერთხელ. ათას ქალებში ათას თვალებში გამოიცნობ ამ თვალებს. ბავშვის—ქალწულის თვალები. რასსა შეურეველი და ხალასი. სიამაყე და დარცხვენა—ერთად. ჩაივლის ქალწული მიიმალება გროვაში. რომელი თვალი დაივიწყებს?!

ქაშვეთის თვალები თუ იყო თვითონ..

. . .

მოჩვენება თუ სინამდვილე?! სულ ერთი არაა: თუ კი კარგია!? თეატრის კარებთან დგას მოხუცი. ეს არის ის: ვინც ორმოცი წლის განმავლობაში აფიშებს აკრავდა როგორც მეფის ასულის მანდილებს. ეხლა ბრმაა. ვეღარ ხედავს. ძველად კი ფეერიულ სანახავებს ჰფენდა. ვინ არ ახსოვს მას?! არტისტი: ქალი თუ ვაჟი?! რა არ იცის კულისების მესაიდუმლოემ?! რომელი კაპრიზი არ ახსოვს და რომელი ტემპერამენტი?! რამდენ არტისტულ გამარჯვების მონაწილე ყოფილა!.. რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა—მარტო ფერფლი და უდაბნო.

არა: მოხუცი „საწყალი“ არაა. არც მხდალი.

— მიირთვი..

ვიღაც ფულს გაუწოდებს.

მოხუცი დაბეჟილი ხმით ეკითხება:

— არტისტი ხარ?!

— არა..

— რეჟისორი ხარ?!

— არა..

— სცენარიუსი თუ ხარ?!

— არა..

— ან თეატრის მოსამსახურე?!

— არა..

— მე სხვისგან ფულს არ ვღებულობ.

გამვლელი დარცხვენით მიდის.

მოხუცი თვალებს აშტერებს: ეს რა ხმაურია?!

ტრამვაჲ მიხრიალებს.

რუსთაველის პროსპექტი მზეშია გაშხვართული.

პროსპექტზე კაცი მიდის--(შუაგულ ეუჩაში: ქვაფენილს გაურბის). აცვია რუსული „სერთუკი“ მოხელის ფოლაქებით: უკვე გაცვეთილი. ფეხებზე—გეტრები: ესეც გაცვეთილი. საყელურზე—ფართო ყელსახვევი ძირს გაშლილი. კაცი მაღალი ტანისაა. თავზე—კაკარდიანი ქუდი. მაგრამ მიდის როგორც ოსკარ უაილდ. ადამიანთა ბაღლა იხედება. შემოგხედავს—(არა: თვალს მოგკრავს)—და უეცრად აილეწება: ტანი იგრიხება და მაღლდება. კაცი ოდნავ გაიღიმებს. შემდეგ ისევ შორს იწყებს ცქერას. თვალს ცალი ხელით ისწორებს: თითქო ჩაჟენილია—(თუ მონოკლს არის ხელი ჩვეული?!). მზე ხელდება. ტრამვაჲ მიხრიალებს. კაცს მზე აწვალებს თითქო. გავარდება მზიან ქუჩაში. სხეული თითქო დაკუტებული აქვს—ეხლა კი მზით მორჩენილი თუ ალეწილი. სხეული მირბის:

ხელი—ფეხი—ყელი—თავი: თითქო მანქანაა აძრული. სხეული კუთხურ იტეხება და კუთხურ გარბის. მოჰქრის ტრამვაჲ. სხეული შეჩერდება. დაკრუნჩხება: თითქო „ქარები“ აქვს ათასი. შემდეგ შესდგება ცალფეხზე. აილეწება და შეტრიალდება. ტანი საყენის სიმაღლეს აღწევს. ვატმანი ტრამვაჲს აჩერებს. უცხო კაცი განზე გახტება. ჰგონია: მისდევენ. შიშობს. ფეხებს მართავს. ტანს მართავს. თითქო მანქანის დაშლის ეშინია. ბრბოში ინთქება.

აპოკალიპსური ჩვენება თუ იყო.

ტრამვაჲ ახრიალდება.

. . .

იზმაილოვის—(ვინ არის იზმაილოვი?!)—მეეზოვე დგას: აისორი. სპლინი შორეევია და ვარსკვლავებს ითვლის. თან ღიღინობს. სიმღერაში სლოკინია უფრო. ხმაში—სევდა: არა სიყვარულის. სევდა დაკარგულის?! შესაძლოა. იზმაილოვის ალმართზე მეეზოვე აისორი მღერის გაბუტული: შაულ ზაია კურდაი—ოემიდან „ბირვერ“. სპლინშორეული მეეზოვე ვარსკვლავებს ითვლის.

— რომელი საათია?!

ეკითხება გამვლელს.

— თორმეტი სრულდება..

გამვლელი ფიქრობს: რად უნდა „რომელი საათია“ დროდაკარგულს.

აისორი მეეზოვე ისევ ღიღინს იწყებს და ცას გასცქერის—(შეკითხვა „რომელი საათია“ მეეზოვის მოვალეობის ასრულებად მიაჩნია). ვარსკვლავებს ითვლის. „ირმის ნახტომს“ თუ ეძებს. ხომ უწველია მის შორეულ წინაპარს ფური ირემი?! ან: შესაძლოა ვარსკვლავთ—მრიცხველია!? ასსირიელებს ჰქონდათ ვარსკვლავთა ცოდნა. მეეზოვეც ხომ ასსირიელია.

რა უნდა აქ: ტფილისში?!

ერთი ბიჭი ჰყავს: ფეხსაცმელის მწმენდელია. ეგებ მისი წინაპარი აშურბანიპალი იყო ან სალმანასარი. ვინ იცის.

მეეზოვეს კუთხე აქვს სახლის კიბის ქვეშ. იქ ცხოვრობს მისი ოჯახი—(ცოლი და ქალიშვილები). კუპრივით შავ თმებს ამძიმებენ ვეცხლის ფულები და სადაფის ფოლაქები. დამორგვიო ფეხებზე—სქელი წინდები ჭრელი. ქალები ტანსაცმელში ჩაგოდრილან: თითქო ერთბაშად ჩაუცვამთ ყველა საცმელი—(საცმელი ნაჭრებია უფრო). შეგეფეთებიან—ოფლის ცხარე სუნი გეცემათ პირველად. ესენი არიან აშტაროტის შთამომავალნი?! ეს მონგრეული ბარძაყი ნუ თუ აშტაროტის ავხორცი აშავერის მოდგმაა?! ასე გადაგვარდა ეს წარმართი ქალღმერთი!? დაეკარგა ტანი და ჯიში!? მაგრამ—თვალები: ორი დიდი ნაკვერჩხალი—საცა შავი გველები ბანაობენ. არა: აშტაროტ ცოცხალია კიდევ. იგი ტფილისის ქუჩებში დადის.

მეეზოვე აისორი სლოკინობს—(მღერის)—და ვარსკვლავებს ითვლის. ეგებ იქ ხედავს ასურეთის გადასულ ბედს. სამთავრო მძლავრი ეფრატისა და ტიგროსის შორის. ბაბილონი: ქალაქი ავხორცი კოშმარამდე. მეფენი: ასსარგადონ—სალმანასარ—აშურბანიპალ. სახელები: როგორც ცხელი დაღები და ცხელი შურდულები. ნინევის ერთ ერთ ბარელიეფზე გამოხატულია ნემროდ მეფე: დევკაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრად ჩასკვნილია. კორძიანი ხელებით იგი ლომს ახრჩობს. ასსურეთი ახრჩობს ირანის ლომს.

მისი ნაშიერი მეეზოვეა ტფილისში.

მისი მოდგმა ფეხსაცმელის მწმენდელია.

ეგებ ამას ნაღვლობს მეეზოვის სლოკინი.

ტფილისი ყუ-ს უგდებს გასუდრული. თავის ხვედრს თუ ხედავს ქალაქი?! იგიც ხომ ბაბილონია!? ათასი ხალხი. ათასი თემი. ათასი მოდგმა. არევა. მრუშობა. განცხრომა.

ტფილისი ყურს უგდებს აისორის ასლოკინებულ სიმღერას.

. . .

ქალაქი ქანაობს. ტფილისი მთვრალია.

ერთი მაღლობიდან პოეტები შაირობენ: სახლს უკივიან. წარმოთქმულ ლექსის ნატეხს ვილაც სახლიდან იმეორებს. ექოა თუ ორეული?! იმ სახლში ადამიანი ძვირად უნახავს ვინმეს. უთუოდ ორეულია. ტფილისიც ხომ ორეულია?!

პოეტი ლექსით მიადევს ორეულს. პოეტს ეშინია: არ მობრუნდეს უკან ორეული და არ დაჭკლას დანით. მეორე პოეტი მთვარეს უყეფს როგორც ლაფორგი. ამოყავს ფშანიდან გომბეშო და მას აყაყანებს—(ტფილისში ძნელია სიცოცხლე). მთვარე მალარიის სიმცივეედ ენთხევა ტფილის: მწვანეყვითურად—როგორც ბაყაყი. შაირობს კიდევ პოეტი. ის სხვაა. ტფილისს შეაგდებს რემბოს „მთვრალ ხომალდზე"—(ტფილისიც ხომალდია: ტფილისიც მთვრალია). ვილაც განზე დგას. მის სახეზე რისხვა და ნათელი ერთი და იგივეა. ისვრის დიონისოთი გატენილ შაირს აურვებული ხმით. შაირი თითქო ხმალია საკაძის: მოხვდება ტფილისს ხერხემალში და ქალაქი იკლაკნება როგორც წელკავიანი ცხენი. სდის სისხლი ხერხემალს. პოეტი თვალებზე ხელს იფარებს და გადაქანდება როგორც წაქცეული ბავში—(რისხვა არ ეყო თუ გულის სიჩვილემ სძლია?!). ტორტმანობს ქალაქი. რემბოს მომღერალს ეშინია მისი დაღუპვის და დედას უხმობს შორიდან: სთხოვს ძუძუებს და რძეს.

შემდეგ: მეხუთე—მეექვსე—მეშვიდე.

სახლი ლამურასავით არის მიმალული. ლექსებს იჭერს პოეტებისას. სახლიდან ვილაც ლექსებს იმეორებს. ორეულია?! თუ ტფილისია თვითონ?! ტფილისიც ხომ ორეულია.

პოეტები უსმენენ ექოთი მომსკდარ სიტყვას: ფითრდებიან.

გამვლელი ჩერდება ქუჩაში და იბღვირება:

— აღარ არის მოსვენება ბატონო ამათგან..

— გიჟებია..

უპასუხებს მეორე გამვლელი.

მაგრამ პოეტები მაინც განაგრძობენ—(შიშით თუ დათვრენ).

ვილაც მეზობელ სახლში ფანჯარას აღებს. გამოდის აივანზე—(ფანჯარა კარია): ნიფხავპერანგის ამარა. გაგულისებული: ალბად ხვნეშა დაეფთხეს „წყვილის".

— ძილი აღარაა ღმერთმანი ამ გიჟებისაგან..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბაზელში წადი: იქ დაიძინებ..
— რა ბაზელი?! რის ბაზელი?!
— ამბობენ იქ ჩიყვიანი კრეტინებიაო Tête—carré..
— კარებს გიჩვენებთ მე თქვენ..
— ჰა. ჰა. ჭიშმარიტოვი იცი?!
— ვინ ჭიშმარიტოვი?!
— ბაზელში გაიგებ..
— დაიღუპეთ აქედან.. თქვენი..

მილიციონერები მოდიან. „მშვიდი მცხოვრები" მათ დანახვაზე სიამეს გრძნობს—(რა იქნებოდა ქვეყანა მილიციონერი რომ არ ყოფილიყო).

— წამოდით უბანში.. ოქმის შესაყენებლად..

პოეტები ეხლა ერკვევიან: ოქმი ყველაზე უფრო საფხიზლებელი წამალია. მიდიან.

ქალაქი მაინც ქანაობს.

. . .

დასავლის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლისაკენ თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ—ტფილისმა არ იცის. იცის მხოლოდ: შეყენებულა იგი ერთს ალაგას. წინ გაიწევს—რალაც უკან აეკიდება და აჩერებს. ბრუნდება უკან—რალაც წინ მიათრევს და აყენებს. არ აქვს საძრავი შორი. ვინ გადააგდო ღუზა?! ათასი ქარი ეხეთქება: თითქო ქვეყნის გზა ჯვარედინია. აღმოსავლეთს მოსცილდა და დასავლეთს ვერ მიაღწია: შუაზე გარჩა.

ტორტმანობს ქალაქი ხომალდი.

დედოფალია სასურვი?! საქმარო მრავალი ჰყოლია. ბიზანტიელნი. რომაელნი. თურქები. სპარსები. ხორეზმელნი. სარაცინები. არაბები. ყივჩაყნი. მონღოლნი. რუსნი. არავის დანებებია. დარჩა გაუთხოვარი?! არა: აუყვანიათ საქორწილოდ—მაგრამ ქალის მკერდი არ განუცდიათ. იყო მხოლოდ ძალობა—(მაგრამ ქალს ვინ მისწვდება თუ მისი მკერდი არ იხსნება?!). დარჩა ქალობა—გაუშლელი: პერგამენტის ფერი მოუკვლელ ჟინს ჰფარავს. არ ჰქონია განცხრომა და არ იცის დაცხრომა.

ნეტავ ვის ელოდება?!

ცრუ საქმარო ბევრი ახსოვს.

უძლეველი ხორეზმელი ჯელალ-ედდინ ძლეულ იქმნა მონღოლეთის გაბრაზებულ მარტორქის მიერ. სახელი მარტორქის „ჩინგის-ყაენ": სამუმის ძაბრი. ლაოლვილი ხორეზმელ ტფილისს მოადგა. ციხის საიდუმლო გასცეს ტფილელ სპარსებმა. ჯელალ-ედდინ შემოიჭრა მახვილით ტფილისში. აიღო იგი და სიონის გუმბათზე საბძანებელი ტახტი დაიდგა. სიონის კაეისფერ ტანს ეხლაც ახსოვს ლორწიანი ხვევნა მტარვალის. სიონის ხსოვნას უფრო სწვავს ტირილი ვაზის—მის კედლებში ჯვარად დასვენებულის.

ცრუ საქმარო სხვაც ახსოვს ტფილის.

ჩალატარ: ძე ჩინგის-ყაენის. ოსერ და ბიჩუი: მეომარნი იმავ ყაენის. მანგუ ყაენ და ულლუჰ-ყაენ. თიმურ-ლენგ: რომელმაც იცოდა ქართული ტემპერა-

მენტის საიდუმლო—(„უნყოდა ქართველთა ომის სიფიცხეე და ადრე სიმაშვრალე“). შვიდგზის მოცეცხლა დიდმა მეომარმა ტფილისი და სრულიად ამერი. მძვინვარე შაჰაბაზ: რომლის გახელება იყო ირანის დაკოდილი ლომის. შაჰ-ისმაილ. შაჰ-თამაზ. საჭურისი ალამამედხან: რომელმაც თმებით ათრია ურჩი სარძლო. გაიხსენა მაშინ უკანასკნელად თავისი სიმღერა დიდმა აშუღმა ბერად შემდგარმა საჯათ-ნოვამ—მაგრამ წარკვეთილ თავმა შაირი—სიმღერა სისხლად გადმოანთხია.

რომელი საქმარო კიდევ?! ყველა ყალბი?! ყველა ცრუ?! ეგებ თვითონ არის ყალბი!? ეგებ თვითონ არის ცრუ!? ვის უცდის ამდენ ხანს?! თავის ვაჟებში ვერ ნახა საქმარო?!

. . .

ქანაობს ქალაქი ხომალდი ტფილის ბოდავს.

ხომალდზე ლანდები ჩნდებიან. თავისმკვლელები თუ არიან. ხომალდიდან გადაცვენილებმა და წყალში გაგუდულებმა ხშირად იციან დაბრუნება. თვითონ ხომალდსაც თუ უქადიან თავისმკვლელობას.

ლანდები მუნჯების ენით საუბრობენ:

პირველი: არსის ხვედრი არსშია თვითონ.

მეორე: არა არს სიმართლე უმაღლეს ამისა.

მესამე: თვითონ გაუწირავს თავი.

(ვის?! ხომალდს?! ტფილისს?!)

პირველი: რამდენი იყო შური?!

მეორე: რამდენი იყო გება შურის?!

მესამე: რამდენი იყო დათრობა შურით?!

(ვის?! ვის არ განუცდია შური?!)

პირველი: მოსთვალე უნდობა ერთიმეორის.

მეორე: არიცხე გაუტანლობა ერთიმეორის.

მესამე: იანგარიშე ღალატი ერთიმეორის.

(ბევრი იყო „მაგრამ“ მაინც“)

პირველი: მე თვითონ დავგმე საშო.

მეორე: მე თვითონ დავგესლე თესლი.

მესამე: მე თვითონ დავდაგე ნათესლი.

(ეს თქვენ ჩაიდინეთ., ის რა შუაშია?!)

პირველი: ჩვენ სხეული ვართ მისი.

მეორე: ჩვენ ზრახვა ვართ მისი.

მესამე: ჩვენ ნდობა ვართ მისი.

(სხეები?! სხვები?! სვხბი?!)

პირველი: არ არის „სხვა“.

მეორე: ერთია ყველა.

მესამე: იგივეა.

(მაგრამ: მე-შენ-ის?!)

პირველი: ზედაპირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე: მოთმინებაა.
მესამე: სხივოსანი მაჯა.
(თქვენც მოჩვენებანი ხართ)
პირველი: არსის ხვედრი არსშია თვითონ.
მეორე: არ არს სიმართლე უმაღლეს ამისა.
მესამე: თვითონ გაუწირავს თავი.
(ვის?! ხომალდს?! ტფილისს?!)
ხომალდი ქანაობს—(უკხო ქარია?!).
ლანდები გადაცვივდებიან!
ბაქანის მოაჯირს სხვა ლანდები მოადგებიან.
ისინიც მუნჯურ ჩურჩულობენ:
პირველი: არ წახვიდე ამ მხრით.
მეორე: გვერდით მარაბდაა!
მესამე: მარაბდა ნაძრახი ადგილია.
(როგორ?! ვისგან?!)
პირველი: იქ დახვდა ქართველთა ჯარი მონღოლთა ჯარს.
მეორე: ოთხმოცი ათასი თორმეტ ათასს.
მესამე: ოთხმოცი ათასი უკუიქცა.
(შეუძლებელია!)
პირველი: ქართველს არ გაუმარჯვია იქ.
მეორე: გამოცდილები აფთხილებდენ.
მესამე: სააკაძეს სულ მაგას უთითებდენ.
(დამარცხდა სააკაძეც?!)
ლანდები გადაცვივდებიან.
ეხლა სხვები ადგებიან მოაჯირს.
(დამარცხდა სააკაძე?!)
პირველი: ვინ იცის?!
მეორე: გინახავს მისი სახე?!
მესამე: ორბი მზერა-გაუხრელი?!
(?!. ?!. ?!.)

პირველი: შევარდენი დაინახავს ჩიტების გროვას. ააფრენს ჩიტებს. აფრენილთა ქვეშ მოექცევა. გაშლის კამარას.

მეორე: შევარდენი ავიწროვებს კამარას. გროვა კამარის თავზე გუნდდება. ჩიტები ერთიმეორეს ეკვრიან. გუნდი ბურთად იქცევა.

მესამე: შევარდენი ავარდება ისარივით მაღლა. ბურთს ქვეშ მოიჭყლეტს. მოეშვება ზევიდან. მხარს გაჰკრავს. გუნდს აპობს.

(?!. ?!. ?!.)

პირველი: აი საკაძის კამარა.
მეორე: აი მისი დარტყმევა.
მესამე: აი მისი დაღი.
(სააკაძეც დამარცხდა?!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინდები გადაცვივდებიან.
ხომალდს სხვა ლანდები ეხეთქებიან.
(დამარცხდა საკაძე?!)
პირველი: მან გაჰყიდა საქართველო.
მეორე: არ გაუყიდია.
პირველი: ხომ მიატოვა იგი?!
მეორე: საქართველო იოვანნე ბერმაც მიატოვა.
პირველი: მერე?!
მეორე: მიატოვა და ესპანიაში გაიქცა.
პირველი: რისთვის?!
მეორე: იქ ქართველები ეგულებოდა.
პირველი: ქართველებს გაექცა—ქართველებისკენ გაემართა.
მეორე: სწორედ.
პირველი: არ მესმის.
მეორე: უყვარდა მეტად.. საქართველო..
პირველი: საკაძესაც უყვარდა?!
მეორე: შეშლილივით.. გახელებით..
პირველი: სპარსებს რომ მიემხრო?!
მეორე: გული რომ მოეგო მათი.
პირველი: მიზანი?!
მეორე: რომ შემდეგ მარცხი ეჭმია.
პირველი: საქართველოს რომ მოადგა სპარსების ჯარით?!
მეორე: შემოიტყუა მხოლოდ.. შემდეგ გაანადგურა..
პირველი: ეს მაშინ გადასწყვიტა როცა შიკრიკი დაიჭრა.
მეორე: რომელი შიკრიკი?!
პირველი: შაჰაბაზ არ ენდობოდა მოურავს.
მეორე: მერე?!
პირველი: იქვე მიიტანა.
მეორე: მერე?!
პირველი: ბარათი გაუგზავნა სარდალს.
მეორე: რა ბარათი?!
პირველი: სწერდა—რომ მოეკლა საკაძე.
მეორე: საკაძემ წაიკითხა?!
პირველი: მაშინ გადასწყვიტა ღალატი.
მეორე: შვილი რომ დაუტოვა მძევლად?!
პირველი: მერე?!
მეორე: შაჰაბასმა ხურჯინი გამოუგზავნა.
პირველი: რა იყო შიგ?!
მეორე: საკაძის ვაჟის წარკვეთილი თავი.
პირველი: გამცემია მაინც.
მეორე: გმირია ნამდვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი: არ მესმის.
მეორე: ვერც გაიგებ.
(დამარცხდა სააკაძე?!
ლანდები გადაცვივდებიან.
(დამარცხდა სააკაძე?!)
ხომალდის მოაჯირს ლანდი ეყუდება.
(დამარცხდა სააკაძე?!)
ლანდი: ხედავ იმ სერს?!
გემი: ვხედავ.
ლანდი: იქ ჩაასო ხმალი სააკაძემ.
გემი: მერე?!
ლანდი: და მიწის გულში გადაამტვრია.
გემი: რისთვის?!
ლანდი: ორგულად იცნო მისი გული.
გემი: გაიმეტა?!
ლანდი: სიყვარულის გამეტებით.
გემი: თვითონ?!
ლანდი: თვითონ გადავარდა.
გემი: დამარცხდა სააკაძე?!
ლანდი: ვინ იცის?!
გემი: დამარცხდა ივერია?!
ლანდი: გაიმარჯვებს თუ ის ხმალი გამთელდა.
გემი: გამთელება?!
ლანდი არას ამბობს.
გემი: გამთელდება?!
ლანდი აღარ სჩანს.
ქანაობს ხომალდი. ტორტმანობს ტფილისი.
ბაქანის მოაჯირს პირველი ლანდი მოადგება;
— არსის ხვედრი არაშია თვითონ..

უეცრად პატარა თავი გამოჩდება. თავი ყვითელი ხაპია. ხაპიდან იქყიტებიან წვრილი ჭროლა თვალები. ხაპის სახე ქოსაა. ტანი არ უჩანს—(ჭინკა თუ არის). ხაპი იკრიჭება.

— ხი. ხი. ხი.

ლანდი იმეორებს:

— არსის ხვედრი არსშია თვითონ..

ხაპი ხითხითს ვერ იკავებს:

— ხი. ხი. ხი.. რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო.. ასეა—არა?! ხი. ხი. ხი

ლანდი ჰქრება.

ხაპი ხელებს იშმუშნის: ხი. ხი. ხი. ისიც ჰქრება.

ტორტმანი ჩერდება: ზმანებას ქედაფი ჩაესხა.

ქალაქი ხომალდი ამრეზილია და აღრენილი. ჩერდება: ზმორებით გამოდის ჭაშიშით მოგვრილ ზმანებისაგან. ნერწყვი წუთხეა. პირში—სიმლობეში. თვალებში—გახუნება: თვითონაც ხედვენ ეხოლოდ გახუნებულს. ყურებში გარჩენილია უყმურის: „ხი-ხი-ხი“. მზე არსად არის. სხეულები იხსნებიან და იხრწნეიან. გუნებაში „არ ყოფნაა“. ყოფა უგემურია. ხომალდი წყალქვეშა კლდის ახლოა. უნდა—მიერტყას: დაიმსხვრეს. ვილაც კიდეც უძახის. სმენაში: „ხი-ხი-ხი“..

ხომალდი უკან მოიხედავს უეცრად—

ტფილისი ხედავს: ათას თვალებში—თვალებს—ივერიის ქალწულის თვალებს, ხალასს და რასსაშეურეველ. თვალებს: საცა მედიდურობა და დარცხვენა ერთი და იგივეა. თვალებს: რომლებშიაც დაინახავ გაჩენის პირველ დღეებს.

ხომალდი მაგრად შეჩერდება—

ტფილისი უყურებს ივერიის ქალწულის თვალებს.

საცაა—მზეც ამოვა.

(მეათხუთმეტე თავის ბოლო. გაგრძელება იქნება).

ვ. მალაქიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამნი

რომანი სამ ნაწილად.

ნაწილი პირველი

გაგრძელება*)

XVI.

ამასობაში სოფელშიაც გაიგეს, რომ მათი მოქადაგე „მიხაკო სუდენტი"—ას ეძახდენ სოფელში შალვას,—თურმე თავად ბეჟანის სახლში ცხოვრობს და ჭიდინ დაიარება კრებებზე. ეს ამბავი ერთობ არა სასიამოვნოთ და საეჭვოთაც კი დაურჩათ. დავითის შთამამავლობა და იქედან გამომდინარე რაიმე სიკეთე! ეს შეუძლებელი რამე იყო გლეხების თვალში.

— კაცო, არ ვიცოდეთ და რაიმე ხაფანგს არ გვიგებდენ ის წყეული დავითი და მისი შვილი ბეჟანი,—ამბობდენ ისინი,—მათი სტუმარი მუდამ ქურდი და ყაჩაღი ყოფილა, მუდამ ჩვენი ამაწიოკებელი იქნებოდა და განა დღეს ვინმე სახეირო ესტუმრებოდა მათ?

— მართალია, მართალი!.. თუ ჩვენზე გული შეტკივა იმ მიხაკო სუდენტს მოვიდეს და ჩვენთან იცხოვროს. ბეჟანისთანა სახლკარი არა გვაქს, მაგრამ ვისაც ჩვენთვის კაი უნდა, ის ჩვენთვის გაჭირვებასაც უნდა ნახულობდეს.

— ჩვენ თუ ვცხოვრობთ ჩვენს სახლებში, იმას რა უჭირს, ისიც ჩვენისთანა ადამიანი არ არის? აკი გვეუბნებოდა—ყველა კაცი ერთნაირია! ან ეგება ენას ალაპარაკებს, თვარა ისე..

ამ მითქმა-მოთქმამ ნესტორა ნაბადაძის ყურამდეც მიაღწია.

— თქვე, კაი კაცებო, როგორ შეიძლება მაგრე ლაპარაკი,—ეუბნებოდა იგი თავისიანებს,—განა მე, თქვენი შვილი, თქვენ გიღალატებთ და თავადებს მიეემხრობი? ჩვენს მტანჯველებს, ჩვენი სისხლის მსმელებს? მაშინ მე ხომ ჩემი ძმების, ჩემი მშობლების და მეზობლების მოღალატე ვიქნებოდი!

— მართალია, მართალი,—გუგუნებდა იგივე გლეხობა,—ნესტორა ჩვენი სისხლი და ხორცია, ჩვენ არ გვიღალატებს, ჩვენ არ გაგვწირავს...

*) იხ. ჟურნალი „მნათობი" № 2 (22).

— მართალია, მართალი!.. ვინ სთქვა პირველად ჩვენი მიხაკო სუდენტი საეჭვო კაციაო? ვინა სთქვა უწინ? გაისმოდა ირგვლივ.

— მე არ მითქვამს, მე არ მითქვამს,—იმართლებდნენ ბევრნი.

— გაუნათლებელი ხალხი ვართ, რას ვამბობთ თვითონ არ ვიცით,—ხსნიდენ ზოგიერთები.

— გული გვაქვს, ძმაო, იმ თავადებზე გატეხილი და ამიტომაა რომ თუ რამე სიკეთე იქნება მათ შორის არ გვგონია!.. აკი ბეჟანის შვილის, ევას, სულ ჩვენთან არის და ყველა კრებებზე ესწრება...

— მართალია, მართალი!..

აშკარა იყო, რომ შალვას იმ ოჯახში დარჩენა არ შეიძლებოდა. ამიტომ ნესტორამ გადასწყვიტა გლეხისას ჩაესახლებია იგი. მაგრამ რა მიზეზი მოეყვანა შალვასათვის, ეთქვა თუ არა რაში იყო საქმე?

ცოტა ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, რომ შალვასათვის სიმართლე არ გაემჟღავნებია: ახალგაზდა კაცია, გამოუცდელი და ვინ იცის როგორ იმოქმედებს ეს არა სასიამოვნო ამბავიო.

მაგრამ ამ დროს ნესტორას სრულიად მოულოდნელმა გარემოებამაც შეუწყო ხელი: მახლობელ საზოგადოებაში პროპაგანდისტს თხოულობდენ, შალვა ღრუბელიანი კომიტეტის მოწერილობის თანახმად დროებით იქ უნდა წასულიყო.

XVII.

ამ განკარგულებას შალვა ხმის ამოუღებლივ დაემორჩილა, კომიტეტის გადაწყვეტილება მისთვის შეურყეველი კანონი იყო.

— სულ ორიოდე კვირით მოგიხდება იქ წასვლა, ამხანაგო,—უთხრა ნესტორამ,—ასე ეითვლებინებიან: ცოტას წაიმუშავებ, პარტიულ ორგანიზაციას შეჰკრავ და მერე მიტინგს გამართავ... ამის შემდეგ ისევ აქ მოხვალ.

ნესტორა დარწმუნებული იყო, რომ შალვასა და ევას შუა რაღაც გაიანასკვა. ხშირი მუსაიფი, ტკბილი მეგობრობა და შესაფერი ჰასაკი—ყველა ამას, ნესტორას აზრით, თავისი უნდა ექნა, ანუ როგორც ის იტყოდა ხოლმე, „მოხდებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო“. ამიტომ ნესტორა ოსტატურად აკვირდებოდა შალვას: აბა, როგორ იმოქმედებს გათიშვის ამბავზე: მაგრამ ვერაფერი ვერ შეამჩნია, პირიქით, შალვას კიდეც ეამა ეს გარემოება. „ხომ არ ვტყუვდები?“—ფიქრობდა ნესტორა.

ნესტორა საკმაოდ გამოცდილი კაცი იყო, რაც მისს წლოვანებას იმდენად არ შეეფერებოდა. ის 25 წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ ჭკუითა და გამოცდილებით, დაკვირვებითა და ცოდნით მოხუცებს არ ჩამოუვარდებოდა.

იგი არ იყო დიდი ცოდნით შეიარაღებული. პირიქით, ცხოვრების ასპარეზზე ხელ-ცარიელი გამოვიდა: წერა-კითხვა ძლივს იცოდა, როცა მამამ ერთ მებალეს ბიჭად მიაბარა: გაზარდე, კაცი გახადე, დროზე მომესწრება და ცხოვრების ჭაპნის ზიდვას გამიადვილებსო. ეს მებალე ნესტორას სოფელი იყო და ბათუმში რამდენიმე ქცევა ბოსტნეულს სთესავდა. სთესავდა ისე, როგორც ყვე-

ლა სოფლელს შეეძლო დაეთესა—არაფერი ცოდნა მას არ ებადა, მაგრამ მაინც მებაღეს ეძახდენ და სოფელში ერთგვარი დაფასებაც ჰქონდა.

ნესტორა თვალცრემლიანი გამოეთხოვა სოფლის სკოლას, მაგრამ წიგნის კითხვისათვის თავი მაინც არ დაუნებებია: როგორც კი [illegible] თავისუფალ დროს, მაშინვე სოფლიდან წაღებულ „დედა-ენას“ კითხულობდა. შემდეგ „ბუნების კარს“ შეუდგა; მერე საიდგანღაც ხელში ჩაიგდო „ქალ-ვაჟიანი“, „არსენას ლექსი“, „ალექსიანი“. „არსენას ლექსი“ სულ ზეპირად ისწავლა: მთელი ღამეები ოცნებობდა ამ სახალხო გმირის გარშემო. სხვებსაც რამდენჯერმე წაუკითხა და თავისებურადაც აუხსნა. შეუდგა აგრეთვე „ვეფხის ტყაოსანსაც“, მაგრამ დიდი ვერაფერი გამოიტანა; თუმც ბუნდოვნად კი გრძნობდა, რომ რაღაც სასიამოვნო უნდა წერებულიყო ამ წიგნში.

ამასობაში სამმა-ოთხმა წელმაც განვლო; ნესტორა კარგად წამოიზარდა, ქირაც გვარიანი ჰქონდა, მაგრამ მას სრულებით არ მოსწონდა ჭაობიან ბაღებში ცხოვრება. მოსწყინდა მუდამ მწვანილების რეცხვა და ქალაქში გასასყიდად თრევა. თავისი მდგომარეობა მან გააცნო მათ სოფლიდან ჩამოსულ ორ მუშას, რომელნიც ნავთის ქთრანაში მუშაობდენ.

ნესტორამ ბაღს თავი დაანება და ნავთის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. აქ მან მალე მიიქცია ყველას ყურადღება; ყველას თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ნესტორა წერა-კითხვაში ჭკუითა და განვითარებითა ყველას უსწრებდა ზეპირად იცოდა აუარებელი ლექსი და ხშირად თავის ლექსებსაც კი აწყობდა; მას შეეძლო უცოდინარო მუშებისათვის შინ გასაგზავნი წერილები დაეწერა და შინიდან მიღებულიც წაეკითხა. ამის გამო ნესტორამ საერთო პატივისცემა დაიმსახურა.

მას ყურადღება მიაქცია ქარხნის ადმინისტრაციამაც და ორი წლის შემდეგ შესაფერად დააწინაურა.

ამავე დროს მისი ცოდნის მოყვარეობა ვერ ისვენებდა და მისი გონებაც ყოველ წუთს საზრდოს თხოულობდა. ის გაფაციცებით ადევნებდა თვალს ყოველივეს და ცდილობდა გაეგო, თუ რა ხდებოდა გარშემო. მისი სულისათვის ქარხანა და მუშებში ტრიალი ერთობ ვიწრო ასპარეზი გამოდგა. ეს წრე ხშირად მას გალიად ეჩვენებოდა და მუდამ სხვა ქვეყნების ამბებზე ფიქრობდა: რომელ სახელმწიფოში მიდიოდ ნ ნავთით დატვირთული გემები? როგორია იქ ცხოვრება? ჩვენზე უკეთესია, თუ ცუდი? კიდევ რა ხალხი ცხოვრობს ქვეყანაზე? მან კარგად იცოდა, რომ ყოველივე ამას წიგნის საშეალებით გაიგებდა და დღე და ღამე გართული იყო თავის საყვარელ საქმეში. თუ სადმე ქართულ წიგნს დააწყდებოდა, აუცილებლივ უნდა წაეკითხა.

მის ოთახში სამი სხვა მუშა სცხოვრობდა, ისინი მუდმივი ლაპარაკით წიგნის კითხვას უშლიდენ, ზოგიერთები კიდეც დასცინოდენ:

— ყურსონიკობა თუ გინდოდა, ზავოდში რას მოდიოდი?—ღრეჭით ეტყოდენ.

ნესტორას, კრიჭინა ტახტის ქვეშ, მუდამ ერთი ყუთი ჰქონდა შენახული და თავის ბიბლიოთეკასაც აქ ინახავდა. ხშირად უცდია მას სხვა მუ-

შებიც დაეინ*ერე'ებინა წიგნის კითხვით, ბევრ მათგანზე, კიდეც მოუხდენია გავლენა, მაგრამ ამ ხრივ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა იყო საჭირო. შეწინდელი მუშები ამაზე დროს როდი დაჰკარგავდენ.

როცა ნესტორას ახალი თანამდებობა მისცეს და ამნაირად შესამჩნევად დააწინაურეს, ყველას ეგონა, გამედიდურდება [და არ გვიკადრებსო. თითქმის ყოველთვის ამ ადგილზე წამოსკუპებული მუშა სრულიად ივიწყებდა გუშინდელ ამხანაგებს, ცხვირს აიშვერდა და ერთის მხრივ რომ მოძმე მუშებს შევიწროებას დაუწყებდა, მეორე მხრივ ქარხნის ადმინისტრაციას ფეხებს ულოკავდა.

ასეთი ვაკბატონები მუშებს ჭირივით ეზარებოდათ და უნდობლათაც უყურებდენ.

მაგრამ ნესტორაზე ამის მგზავსსაც კი მისი მოსისხლე მტერიც ვერ იტყოდა ის ისეთივე ძმა და ამხანაგი დარჩა მუშებისთვის, როგორიც მანამდე იყო.

იმ დროს, როდესაც საქართველოში პირველად გაისმა ხმა მშრომელი ხალხის განთავისუფლების შესახებ, ნესტორა გულმოდგინედ განაგრძობდა თავის კულტურულ მუშაობას მუშათა შორის. ეს ხმა, უპირველეს ყოვლისა, მუშათა წრეებიდან გამოისმოდა და, რასაკვირველია, არც ნესტორას აცდებოდა იგი. ის მაშინვე პირველ რიგებში მოექცა და მთელ მუშებს ბრწყინვალე მომავალზე უქადაგებდა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა ქალაქებიდან სოფლებსაც მოედო და ნესტორაც შეუმჩნევლად გადიტანა სოფლად: მას დაევალა ერთ მისთვის ნაცნობ მხარეში მუშაობის წარმოება.

და აი, აქ მოუხდა მას შალვა ღრუბელიანთან ერთად მუშაობა: შალვა ზეპირ აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა, ხოლო ნესტორა უმეტესად საერთო საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებდა.

მემამულეთა საწინააღმდეგოდ მოთხოვნილებათა ამომუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება, ადმინისტრაციისა და სასამართლოს წინააღმდეგ მიმართული ბოიკოტის განმტკიცება-გაფართოვება, გლეხების შეკავშირება და დარაზმა,—აი რას აკეთებდა ნესტორა შალვასთან ერთად.

ნესტორა შალვასთან შედარებით გაცილებით უფრო გამოცდილი იყო. მას გავლილი ჰქონდა პრაკტიკული ცხოვრების ერთგვარი სკოლა და ბევრი ისეთი, რამ იცოდა, რაც შალვას არ შეეძლო სცოდნოდა. სამაგიეროთ შალვა თეორეტიულ მომზადების მხრივ ნესტორაზე გაცილებით მაღლა იდგა, მაგრამ ნესტორას მაინც დიდ პატივს სცემდა. ყოველ მის სიტყვას და შენიშვნას ისე უგდებდა ყურს, როგორც მცოდნე და გამოცდილი ამხანაგისას. შალვა გრძნობდა, რომ ნესტორა იყო პრაკტიკული ცხოვრების სრული სახე და მთლიანი განხორციელება.

ნესტორა და შალვა გატაცებით მუშაობდენ სოფელში და დიდ შედეგებსაც მიაღწიეს: მთელი მშრომელი გლეხობა მათ მხარეზე დადგა, პირად საქმისათვის არც ერთ მათგანს არ ეცალა და არც უნდოდათ მოეცალათ. მაგრამ დროგამოშვებით მომხიბლავ ყმაწვილების—ევასა და შალვას—შეხვედრა თავისთავად აფიქრებინებდა ნესტორას მათ შორის სასიყვარულო ძაფის გაბმის შე-

საბებ. მისი შეხედულებით აქ სრულიად ბუნებრივ მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ თავისი აზრი შალვას არ უთხრა, უფრო კი იმიტომ მოერიდა, რომ შალვა საამისოდ არ იწვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII

ევას თავზარი დასცა შალვას წასვლის ამბავმა. შალვასთან მუსაიფს, მასთან ერთად კრებაზე სიარულს და ცოდნის შეძენას ისე შეეჩვია, რომ უამისობა ყოვლად შეუძლებელ რამედ ეჩვენებოდა. ევას აზრით, შალვა ვანოსა და ანდრიას გაცილებით სჯობდა.

„ისინი ხომ კარგები და მიმზიდველები იყვნენ, მაგრამ შალვა მათთან შედარებით პირდაპირ მომხიბლავი და მომჯადოებელია. ასეთი მასწავლებელი მარტოოცნებაში თუ შეიძლება წარმოიდგინო“—ფიქრობდა იგი.

— იმედია მალე დაბრუნდებით,—რამდენჯერმე უთხრა ევამ ნაძალადევის ღიმილით შალვას, როცა ის არიგებდა ევას, თუ რა უნდა გაეკეთებინა მისი აქ არ ყოფნის დროს.

ევას თანდათან აკვირვებდა შალვას სიმშრალე და აუღელვებლობა. შალვას ერთი წარბიც კი არ გაჰხრია, სიმწუხარე კი არა, გახარებულიც კი იყო და ერთის სიტყვითაც კი არ გამოუხატავს რაიმე უკმაყოფილება ევას დაშორების გამო.

ევა შეეცადა ოდნავ თბილი სიტყვები ეხმარა.—უთქვენობა ძალიან დაეტყობა აქაურობას; თავს მოუარეთ, მთავრობას არ ჩაუვარდეთ ხელში; სხვაფრივაც, ვინ იცის, რა პირობებში ჩავარდებით.... ვინ იქნება თქვენი სასმელ-საჭმელის მომზდეაბულ და მომვლელიო.

ამ დროს ნესტორა შეუმჩნევლად აკვირდებოდა ახალგაზდებს და ცდილობდა ლაპარაკში არ ჩარეულიყო. თანაც გრძნობდა, რომ მისი იქ ყოფნა უხერხული იყო და მოშორება უნდოდა. ევას კი სწყინდა მისი იქ ყოფნა: „ეგებ ის უკანასკნელ წამს მაინც წამოსცდეს რაიმე შალვასო!“

„ეს ყმაწვილი ან დიდი ეშმაკია, ან და მართლაც ყურადღებას არ აქცევს ევასო,—გაიფიქრა ნესტორმა.—ან კი რა მაგისი საქმეა თავადიშვილის ქალი? სად გლეხი და სად თავადი? მათი შეთანხმება შეუძლებელია“.

შალვას წასვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ბეჟანის ოჯახობას და ყველა აამოძრავა, განსაკუთრებით კი ბაბუა დავითი.

— ახლობამდისაც ვინ აკავებდა,—იძახდა იგი,—ვინ დააგლეჯა ჩოხის ქალთა? ან ვინ ეხვეწებოდა, რომ მოეთრია! მაგრამ ჩემი ლაქლაქა შვილი რას არ შეგვძენს? კაი სასიძო მან მოიყვანა, ღმერთი მას უშველის! ამას ჰქვია წაგსვი, წაგჭამე და წაველიო! იმ გოგოსაც კაი ხანს ეკურკურა! გლეხებიც აგვიბუნტა!“

დავითი გააფრთებული სცემდა ბოლთას. მოხუცი ისე გაპილპილებულიყო, რომ აივანში სიარულის დროს ორჯერ კინალამ იატაკი ჩაამტვრია: გულმოსულობაში დააგიწყდა და ფეხი დაადგა იმ ფიცარს, რომელიც წვიმისაგან ჩამპალიყო და სულს ლაფავდა.

შალვა გატაცებით შეუდგა ახალ პირობებში მუშაობს. სახალხო მოძრაობის თანდათანი გაღრმავება და გაფართოვება განუზომელ შთაბეჭდილებას ახდენდა მის სულიერ განწყობილებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოიდგინეთ გაზაფხულის ნიავლვარი, როცა ქოკისპირული წვიმის შემდეგ მთებიდან მოსკდენ გაშმაგებულ ნაკადულთა აურაცხელი გველები, რომელნიც ელვის სისწრაფით იზრდებიან, ფართოვდებიან და აქაფებულ-აზათქებულნი, ხეილით მოაგორებენ ქვას, ხეს, ბალახ-ბულახს, მიწას.

დგეხარ ამ ნამქერში და გრძნობ, რომ ყოველი წუთის განმავლობაში უფრო მაღლა-მაღლა გცემს ტალღა, აგორებული ქვა და ხრეში წივებზე გეხეთქებიან, ამღვრეული წყალი ფეხის გულიდან მიწას გაცლის...

და შენც გსიამოვნებს და იცინი: გაღელვებს ახეულებული სტიქიონი. წამი კიდევ და... აჰა, ეს არის, შენც ასცურდები!.. ლამის გაგიტაცოს აზათქებულმა თქეშმა. ცახცახებ... ფეხის გულებმი რაღაც ცოცხალი არსება გაიძრა: სილა გეცლებათ...

ასეთი იყო შალვას შეგრძნებაში სახალხო მოძრაობის ტალღათა თანდათან აწევის პროცესი და აზვირთება.

შალვას გადაეიწყებული ჰქონდა ყოველივე პირადი, არ ახსოვდა საკუთარი თავის მოთხოვნილებანი და ყმაწვილურის გატაცებით ემსახურებოდა წმინდა საქმეს: სმა, ჭამა, მოსვენება, ჩაცმა-დახურვა—ამაზე ფიქრი არც კი არსებობდა მისთვის. ახალ საზოგადოებაში მუშაობის დროს შალვა ვერ იყო ისეთ პირობებში, როგორც ევას სოფელში. ბინა ერთობ უვარგისი ჰქონდა: ღარიბი გლეხის ოჯახი, მიწის იატაკი, ჭერათ—გაშავებული „სხვენი."

რამდენიმე ღამე ისე გაატარა, რომ არც კი სცალოდა დასაფიქრებლად; მუშაობით დაღლილ-დაქანცული, მოსვლისთანავე ძილს მისცემდა თავს. ხოლო როცა ცოტათი გაიადვილა სამუშაო და თავისუფალი დროც მეტი მოიპოვა, ფიქრებს მიეცა და... ჰოი, საკვირველებავ... რაღაც მოწყენილობა იგრძნო, მარტოობის სევდა ეწვია და ევაც მოაგონდა. ჯერ უცნობმა და განუცდელმა სიტკბოებამ აავსო მისი სული და გული... რა ტკბილად მუსაიფობდნენ ისა და ევა! რა საინტერესო საკითხებს ეხებოდენ! მერე რავდენ ნიჭს და დაკვირვებას უნარს იჩენდა ევა! რამდენი გრძნობა და ცეცხლი იყო ამ დროს იმის თვალებში!

—ევა ნამდვილი რევოლიუციონერი იქნებაო—ხშირად უთქვამს გულში შალვას.

ნეტავი ახლაც ამ გლეხის ოჯახში იყოს ევა! საყვარელ საქმეზე ილაპარაკებდენ! რამდენი ახალი საკითხი წამოეჭრა შალვას ახალ პირობებში მუშაობის დროს!

დიდხანს ოცნებობდა შალვა და გულით მოელოდა იმ დროს, როცა ისევ დაბრუნდებოდა ევას სოფელში. მეორე დღეს გულდასმით ჩაიწერა უბის

წიგნში ყველა პრაქტიკული კითხვები, რომელთა შესახებ ევასთან ბაასი უნდა გაემართა.

ევა შალვას წასვლის შემდეგ მოწყენილობის საწყაულად გადაიქცა. იმ დღიდან მისი გაცინება არავის უნახავს, უცებ ჩაკვდა მასში სიხარული და ალმაფრენა. ფრთხიალა ჩიტმა ფრთები შეიკეცა და ძირს დაეშვა.

ნუ თუ წამიერი იყო ევას აღფრთოვანება და დღეიდან ველარ შეხვდება შალვას? ნუ თუ თან გაჰყვა მისი სული და გული იმ მომჯადოვებელ ყმაწვილს, რომელიც ასე მშვენივრად ლაპარაკობს, ასე ნარნარად, ასე მომხიბლავად!

და კიდევ... რომელსაც ასეთი მომხიბლავი თვალები აქვს, ბროლივით ჩამოსხმული თითები, ახლად აყრილი წვერ-ულვაში, მადიანად მოკუმული ტუჩები... ევა სრულებით ვერ აკეთებს იმას, რაც შალვამ დაუბარა. განა უშალვიდ შეიძლება ან კითხვა, ან კრებებზე წასვლა, ან რაიმე აზრის გაგება?

ევა ხორცშესხმული ფიქრია, წიგნით ხელში რეტიანივით დახეტიალებს ეზო-გარემოში. მხოლოდ ხორციელად არის მამის კარმიდამოში, ფიქრითა და გრძნობით კი ისევ შალვასთანაა: მასთან ერთად წარმოსთქვამს აღფრთოვანებულ სიტყვას, წითელის დროშით ხელში წინ გაუძღვის მოზღვავებულს ხალხს და შურის ძიების ცეცხლით გაალმურებული, მხად არის კბილით ეკვეთოს მტარვალთა ხროვას...

რა ლამაზია ამ დროს შალვა, რა ამაყია! როგორ შვენის ხალხის წინამძღოლობა! როგორ ჰქუხს და რანაირ ცეცხლს აფრქვევს ხანდისხან! ევასაც გადმოხედავს, მძლავრად ჩაუკიდია მისთვის ხელი და მხიარულად მიაქანებს სულ წინ, სულ წინ!.. ხალხი აღტაცებულია გმირი ქალ-ვაჟის გამბედაობით, სილამაზით!.. და... „ვაშა, ვაშა, ჩვენს ბელადებს"—გაჰკივის აღტაცებით. ტკბილად ოცნებობს ევა, ნარნარად ეკვლება თავს სხვაგან წასულ მეგობრის ძვირფას სახელს.

ეჰ, ნეტავი სრულებითაც არ იყოს ეგ მწვავე სინამდვილე!

ვაი თუ ევა შალვას წასვლით იძულებული იქნეს ისევ თავჩაქინდრული იდგეს სულისა და გულის მომწამველელ სინამდვილის მორევში და ისევ თავისი ძიძის ოჯახში უნდა მიეცეს განუსახღვრელ სევდას. ნუ თუ ბნელეთში მხოლოდ ერთხელ გაიელვებს?

ნახევრად უიმედო ევა მწარედ ქვითინებს. შალვას გარეშე მისთვის არც იდეა არსებობს და არც ცხოვრებას აქვს აზრი, მხოლოდ მის გვერდით არის იგი მებრძოლი და სიცოცხლის მოტრფიალე...

XIX.

ერთ საღამოს, როდესაც შალვა ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციის სხდომის შემდეგ დაღლილ-დაქანცული შინ ბრუნდებოდა, გზაში ნესტორა ნაბადაძე შემოეყარა.

— დაგაგვიანდათ, ამხანაგო, დიდხანს გელოდეთ,—მეგობრულის ტონით უსაყვედურა შალვამ.

— ბოდიშს ვიხდი, იმედია მიპატიებთ, ცუდი ცხენი მყავდა,—უპასუხა ნესტორმა და ჰკითხა, კრებამ რა გააკეთაო.

— თქვენი დაუსწრებლობის გამო, ყველაზე ძნელი საკითხი—მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტის მოწყობის შესახებ—ხვალისთვის გადავიდა. შენ გარდა კიდევ ორი საზოგადოების წარმომადგენელი არ დაგვსწრებია, ხვალ მოვალთო. ამიტომ უმჯობესად ვსცანით ხვალისთვის გადაგვედო ეს საკითხი.

— ძალიან კარგი გიქნიათ, ბარემ მთელი რაიონი გამოვა შეთანხმებულად, ისე არეულ-დარეულად დარჩენა კი, როგორც აქნობამდის იყო, არ შეიძლება.

შალვამ გამოჰკითხა, როგორ მიდიოდა საქმეები ნესტორის საზოგადოებაში, როგორი იყო ხალხის სულიერი განწყობილება შალვას წამოსვლის შემდეგ.

ნესტორას სიტყვით, ხალხი ძლიერ იყო დაინტერესებული იმით, თუ რა ხდებოდა სხვა სოფლებში და საზოგადოდ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებში. ამის გამო საჭირო გამხდარიყო გაზეთის კითხვის ფართოდ დაყენება. ეს საქმე ნესტორას კარგათაც მოეწყო: დანიშნული პირი ყოველ კვირა დილით ამოჩემებულ ადგილას გაზეთს კითხულობდა, გლეხები კი უსმენდენ. მკითხველის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებია მთელი კვირის განმავლობაში გაზეთებისათვის და ამოერჩია გლეხებისათვის გასაგები და საინტერესო მასალა, რომელსაც დანიშნულ დროზე ახსნა-განმარტებით წაიკითხავდა. ეს ხერხი ძალიან მოეწონა შალვას.

— როცა გელაპარაკები, ან შენს ნამოქმედარს ვუკვირდები, ყოველთვის რაიმე ახალს შევიძენ ხოლმე უთხრა ნესტორას.

— დიახ, დიახ, მე ყოველთვის ახალი და სასიამოვნო ამბები მომაქვს შენთვის—ღიმილითვე უთხრა ნესტორამ—აბა, ახლა ყური დამიგდე, კიდევ რა სასიამოვნო ამბავი გითხრა: გაზეთის მკითხველად არის შენი მეგობარი—ევა.

— რისთვის არის მარტო ჩემი.... მეგობარი, და არა შენიც,—დაბნეულის გამომეტყველებით და სიცილით შენიშნა შალვამ, რომელსაც ძალიან ეამა ევას ხსენება.

— მართალია, ორთავეს მეგობარია, მაგრამ უფრო კი შენი.

— ნესტორამ ისეთის კილოთი სთქვა სიტყვა „შენი“, რომ შალვა ყურებამდის გაწითლდა.

— მაგისთანები არ იყოს, ამხანაგო!—უცებ მოუჭრა მან ნესტორას.

ამ დროს ნესტორამ აუჩქარებლივ წაიღო ხელი გულჯიბისკენ და შალვას წერილი გადასცა, თანაც დაატანა:—ევასაგან არისო. შალვა ის იყო კიდევ უნდა გაწითლებულიყო და სირცხვილით დამწვარიყო, რომ ნესტორას სახეზე შეამჩნია სრული სიდინჯე და სერიოზულობა, წელანდელი ორპოფი ღიმილის ნასახიც კი აღარ ეტყობოდა.

წერილმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილ კაცზე. თითქმის მთელი ღამე ოცნებობდა ამ წერილის გამო. ბოლოს და ბოლოს, ეს სრულებითაც არ ყოფილა ჩვეულებრივი წერილი. იგი იყო ნამდვილი მოთხრობა, წრფელის გრძნო-

ბებით აღსავსე პოეტური პოემა. რამდენი გრძნობა იყო შიგ ჩაქსოვილი! რამ-დენი აზრი და, რაც თავი და თავია, რამდენი მომხიბლავი სურათები!

შალვას ევა პოეტად გარდაუქმნია და ყველა ის [illegible] სურათები, რომელთა გარშემო ოცნებობდა იგი შალვას წასვლის შემდეგ, შესანიშნავის სალებავებით ჩაუტანია ამ მომხიბლავ ბარათში. მოძმეთათვის თავგანწირვა, მტარვალთა განსაგმირად მიმართული აღტყინება, საოცნებო მომავლისთვის შეუდრეკელი ბრძოლა...

დიდ ხანს, დიდ ხანს ოცნებობდა შალვა ამ წერილზე, მეორეთაც წაიკითხა, მესამეთაც.....

და ყოველთვის ახალ ახალ სურათებს ნახულობდა შიგ.

— ჭეშმარიტად, რევოლიუციონერი ქალი იქნება ევა,—ფიქრობდა იგი დაუსრულებლივ.

XX.

ნესტორამ წერილის სიდიდის მიხედვით დაასკვნა, რომ ევას ბარათს ნაკლებათ ჰქონდა „საქმიანი ხასიათი". როგორც ნესტორა იტყოდა ხოლმე. „ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო"-ო, გაიმეორა მან თავისი ფორმულა.

მეორე დღეს, როცა შალვამ თითონ ჩამოაგდო ნესტორასთან ლაპარაკი ევას მიერ გლეხებში გაზეთის კითხვის შესახებ, ნესტორამ რაღაც ეჭვიანის ღიმილით დაიწყო:

— ამბანაგო შალვა, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ; მართალია, სწავლა ბევრი მიგიღია, წიგნი ბევრი წაგიკითხავს, მაგრამ ამხანაგურად გეტყვი, რომ ცხოვრების სინამდვილეს, ალბათ, ჩემსავით ვერ იცნობ. მე შენზე მეტი მიცხოვრია და ამიტომ...

— რაშია საქმე, ნესტორ?, რაღაც ძალიან შორიდან იწყებ,—ღიმილით შენიშნა შალვამ.

— მოიცა თუ ძმობა გწამდეს, ნუ აჩქარდები! ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, გვაქვს ცუდიცა და კარგიც, ერთი სიტყვით—კაცნი ვართ, ადამის ძენი, ბერიკვით ცხოვრება არ შეგვიძლია... ევა ადამიანია, შენც ადამიანი ხარ...

შალვა მიხვდა, გაწითლდა და შეურაცყოფილის კილოთი უთხრა:

— ნესტორ, შენ კარგათ იცი რომ მე შენ დიდ პატივს გცემ და ამხანაგურად გთხოვ, მაგ საგანზე ლაპარაკს ნუ ჩამომიგდებ. შენ არ იცი ჩემი აზრი მაგ რთული საქმის შესახებ და ამიტომ გეხვეწები, მაგ საკითხს ნუ შეეხები. ევა და შენ—ის ქალია და შენ მამაკაცი—ჩემს თვალში ერთნაირი არსებანი ხართ, არც ერთს თქვენთაგანს მე არაფერში უპირატესობას არ მივსცემ...

შალვას ლაპარაკის კილო ისეთი გულწრფელი და დამარწმუნებელი იყო, რომ ნესტორამ მაშინვე ბოდიში მოიხადა და სიტყვა მისცა, დღეის იქით ამ საკითხს არ შეეხებოდა.

არ გასულა რამოდენიმე წამი ამ მუსაიფის შემდეგ და... მათ წინაშე ევა იდგა... დარცხვენილი ლოყებ ალეწილი, ცრემლებ მორეული... ბავშვივით ირთოდა, აქეთ-იქით იხედებოდა, რაღაცას ჩიფჩიფებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ამბავია, ამხანაგო, რაშია საქმე? თითქმის ერთხმად შეეკითხენ შალვა და ნესტორა.

— ისეთი... არაფერი, — დარცხვენილის ღიმილით სთქვა ევამ.

— მთავრობას ხომ... არაფერი?.. შეეკითხა გაკვირვებული ნესტორა.

— არა, არაფერი ყოფილა... მხოლოდ... მხოლოდ... საქმე იმაშია რომ... რომ... და ევას ტირილმა უსწრო და, ხმა აკანკალებულმა, თვალებზე ხელი მიიფარა.

— სთქვი, ევა, შენ რაღაც ცუდი ამბავი მოგაქვს, — მიაძახა მოუთმენლად შალვამ.

— მე... მე... ჩემი სახლიდან გამოვიქეცი... სამუდამოთ დავტოვე მამაჩემის სახლი. წყეული იყოს იქაურობა! მე... მე... თქვენთან ერთად მინდა მუშაობა და სახალხო საქმისათვის თავ-დადება! მე.. დღეიდან იქაურობას არ დაეუბრუნდები!... არა!..

ევა შესაბრალისად აქვითინდა, დიდი ხნის ნამტირალევ ბავშვივით ამოუჯდა გული და თავ-ჩაქინდრული სლოკინებდა. შალვა და ნესტორა ულმერთულ მდგომარეობაში ჩავარდენ, არ იცოდენ როგორ მოქცეულიყვნენ: რა ეთქვათ და ენუგეშებინათ ევა.

— ევა, თქვენ.. ჩაილულღლულა მორცხვად შალვამ.

— ვერაფერი გამიგია, რაშია საქმე, — სთქვა ნესტორამ.

— ამხანახო ნესტორ, შენ კარგათ იცი, თუ რას წარმოადგენს მამაჩემის ოჯახი! ჩვენი სოფლელი ხარ, ისიც გლეხი, და ჩემზედ ასწილად უკეთ გეცოდინება ჩვენიანების სისაძაგლე.

ევა ისევ აცრემლდა და ხმა აუკანკალდა, მან ოდნავ დაჭხარა თავი და უფრო ნელის ხმით განაგრძო:

— ნესტორმა ყველა ეს კარგათ იცის... მე... მე არ ძალმიძს იქ ცხოვრება, ვერ ავიტან იქაურობას. დიდი ხანია, რაც მამიჩემის სახლი შემძულდა.. დღეიდ-ნ კი მე სამუდამოთ ვწყევლი იქაურობას... იქ აშმოოებული ტბა დგას, გველ-ბაყაყებით სავსე. მე მინდა თქვენთან ერთად მუშაობა, თქვენთან ერთად სიკვდილი და სიცოცხლე! თქვენი წამოსვლის შემდეგ ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაიქცა. წყეულ იყოს იქაურობა! იქ სიკვდილი და გახრწნილება მეფობს, აქ კი სიცოცხლე და აღორძინება. იქ მზე ჩადის, აქ კი ამოდის. არ მინდა ჩამავალ მზეს ჩემი ვარსკვლავი თან ჩაჰყვეს, არ მინდა ჩავიღრჩო იმ გარყვნილების მორევში! მე გამოვიქეცი თქვენთან და მინდა თქვენის სიცოცხლით ვიცხოვრო!.. სილამაზე, თავდადება, გმირობა, აღტაცება, — აი რა სწყურია ჩემს სულს... ჩემ გულს!... არაფერი წმიდა, არაფერი შეუბღალავი მათთვის არ არსებობს, — განაგრძობდა ევა, — ყველა თავის სიამოვნებაზე ფიქრობს: დედას შვილი არა სწამს, ძმას — და... პირადი ბედნიერება, საკუთარი კეთილდღეობა, — აი რას ემსახურება იქ დიდი, თუ პატარა.

შალვას სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან მოსწონდა ევას გამოქცევა და მისი ნალაპარაკევი. „ეს ჭეშმარიტად რევოლიუციონური ნაბიჯიაო", ფიქრობდა იგი.

— თქვენი გადაწყვეტილება, ამხანაგო, ძლიერ მოსაწონია, — უჯხრა ბოლოს ნესტორამ, — ჩვენთვის დიდად სასიხარულო იქნებაც, შეგეფეთა ამხანაგის შვძენა.

ბიბლიოთეკა

შალვა კი დარცხვენილი იდგა და ხმას ვერ იღებდა.

XXI.

და აი, ყოველივე ეს, დიდი ხნის ამბავი, თუთხმეტ-თექვსმეტის წლის შემდეგ ისე ცხოველად მოაგონდა უკვე ხანში შესულ ევას, როგორც გუშინდელი შემთხვევა...

რამდენმა ხანმა განვლო იმ ბედნიერი დღეების აქეთ!

რა არ გამოსცადა მას აქეთ ევამ! აზრთა ცვლა, ახალი წრე, ახალი ადამიანები...

ერთი დასამარდა, მეორე დაეფუძნა, ერთი მოკვდა, მეორე აღდგა... მაგრამ დღესაც, ამოდენ წელთა გადაქელვის შემდეგაც, ევას გული ისევ ძველებურად აძგერდა. ისევ ათრთოლდა ახალგაზრდობის ცეცხლით.

გადიშალა ნეტარების წიგნი, კვლავ იკითხება ბედნიერების ასოებით აღბეჭდილი ამბები! მაგრამ... მაგრამ ვაი, რომ შხამი ეწვეთება ამ ნეტარებაში! ევა ხომ, ძველი ევა არ არის!... მაშ რად ეწვია ისევ ძველი გრძნობები? ამაოდ ცდილა გონების ნიჩბებით დაეიწყების საფლავში ჩაეფლა ის დრო...

ტყუილად ჩაუვლია ამდენ ცდას, ამდენ წვალებას! გულის მეხსიერებამ მაინც თავისი გაიტანა: პირველმა სიყვარულმა თავისი წაიღო და მრავალ წელთა შემდეგაც ერთიანად დაიმონა უმახეოების ჯამის ნეტარებამ, იმ წმიდა დროის მოგონებამ, როცა მისი შეუბღალავი გრძნობა ანკარა მდინარესავით მისჩქეფდა, როცა ჩვილი გული პირველად ათრთოლდა ციურის ცეცხლით, როცა კდემამოსულ ქალწულებას პირველად გაუწითლდა სიყვარულის ალით დაუსუნთქავი ღაწვები.... რა ბედნიერი იყო ის დრო! შეუბღალავი გრძნობა, უმანკო ღიმილი, გაურკვეველის სიყვარულით აღსავსე გული. რწმენა ეჭვმიუტანელი, ვარდ-ყვავილებით მოქარგული სინამდვილე, სიცოცხლის შეუჩერებელი ფეთქა!..

დღეს კი, თუთხმეტი წლის შემდეგ, რა არის ამის მაგიერ, რა შერჩა ევას? რამდენჯერმე განაცადი ერთი და იგივე გრძნობა, დაცვეთილი ნერვები, დაცვეთილი სხეული... ქმარი... კიდევ ქმარი... შვილები... პირველის ქმრისაგან, მეორე ქმრისაგან... ერთ დროს სხვა ცხოვრება, დღეს სულ სხვა!.. ის, ძველი დრო, მხოლოდ სიზმარია, მშვენივრად მოსაგონი სიზმარი...

მაგრამ რავდენი 'ხსამი იყო ამ ტკბილ მოგონებაში ჩაწვეთებული, რავდენი სევდა, რავდენი დარდი!

ევას არსება გაორებულია: არ იცის რომელ დროს მიანიჭოს უპირატესობა, რომელს ეალერსოს, რომლის გადაწლით დასტკბეს?

ის, — შალვასთან გატარებული დრო, თუ რეზოსთან ცხოვრება? პირველ ქმარ-შვილში ნეტარება, თუ მეორე ოჯახი? როდის იყო ევა ბედნიერი — მაშინ, თუ ეხლა? ეხე!.. ხე!.. ხე!..

იმ დროს ევა მთელ ქვეყანას პირისპირ უყურებდა, შეპაროდა ყველაფერს,

ყოველ ქმნილებას... მისი გული მთელი ხალხის გულთან ერთად ფეთქავდა, მისი მაჯა მთელი ქვეყნის მაჯასთან ერთად სცემდა... ყველას შეტრფოდა ევა, ყველა შეტრფოდა ევას!.. დღეს კი..? დღეს?.. რამდენიმე ხანის უკან აბობოქრებული ხალხის ყიჟინას მისი ხმა სრულებითაც არ შეწყობია, ხალხის სიხარულში მისი აღფრთოვანება არ გარეულა... მაშინ, შალვას დროს ევა სახალხო სიხარულის სული და გული იყო. დღეს კი შორიდან მაყურებელი შეიქმნა, თითქმის დაუპატიჟებელ სტუმრად გადაიქცა... მიტინგი, ორატორები, დროშები, უამრავი ხალხი, ვაშას გრიალი ყოველივე ეს ევასათვის უცხო და თანაც დაობებული და დაფერფლილი რაღაცა იყო, დავიწყებული, უკუგდებული. მოიგონე ძველი წიგნი, რომლის შინაარსს ერთ დროს აღტაცებით აჰყოლიხარ, მერე კი უცებ შეგძულებია იგი, და შენი თავი ამ წიგნის შინაარსზე მაღლა გიგრძვნია. შორს, შორს ეს უფერული უსტარი!.. კიდეც გრცხვენია უკვე გონება-მომწიფებულს. რომ ერთ დროს ასე თავდავიწყებით გყვარებია ეს უმნიშვნელო და საბავშო წიგნი. წითლდები, რომ ამ სულელურ საქმეზე ერთ დროს თავი გიტეხია, სერიოზული რაღაც გგონებია.

მაგრამ, ჰო, საშინელებავ! უცებ ტყობილობ, რომ ეს წიგნი შენ უსამართლოდ გაგიგდია ხელიდან, დასაგმობი შიგ არაფერია, ტყვილა მოგლანდებია, რომ შენი ღირსი არ არის იგი, ტყვილა განგიდიდებია შენი თავი! შემკრთალი ხარ, გაოცებული... სირცხვილით იწვი, გინდა მიწა განიპოს და შიგ ჩაგიტანოს, იკუმშვი, პატარავ—დები სირცხვილად ქცეული...

ასეთმა განცდამ შეიპყრო ევა იმ ამბის გაგების გამო, რომელსაც ეწოდება რუსეთის მეორე რევოლიუცია...

ევა სრულებით არ მოელოდა ამ ვულკანის ამოხეთქას და პირველ წამებში ვერც გაერკვა, ვერ მოისაზრა, როგორ დაეფასებინა იგი.

რისთვის მოხდა ეს? რეზომ ამბათ მოიტანა: აღმასრულებელი კომიტეტის წევრად ერთი ქალიც აირჩიესო. ვინ უნდა იყოს ის ქალი? ან რატომ მოხდა ისე, რომ ევა არ აირჩიეს მის ადგილას? ვისი ბრალია ეს—თითონ ევასი, თუ სხვა ვინმესი?

ევა კარგათ ხედავდა, რომ მისი გარიყვის მიზეზი სრულიად კანონიერი შედეგი იყო იმ გზაზე სიარულის, რომელზედაც იგი შედგა პირველი ქმრის დაკარგვის შემდეგ.

ძველი გზა ევამ სრულის შეგნებით უარყო, დიდი სულიერი ტანჯვის შემდეგ გადაუდგა მას და დღეს განა უნდა ინანოს ეს გადადგომა?

მოშხამულივით ჩაიკეცა ლოგინში და სევდისგან გამოლენჩებულმა, ცრემლებიც კი ვერ იპოვა განგმირული გულის დასაპკურებლად. აწმყო და წარსული, ძველი და ახალი საშინელის დაუნდობლობით იბრძვიან მის არსებაში, გაშმაგებულ გრიგალივით ტრიალებენ მის სულსა და გულში და... ხან ერთია გამარჯვებული, ხან მეორე. ევა უბედური არსებაა: არ დასცალდა პირველი ქმრის ხელში ბედნიერება, ულმობელმა სინამდვილემ შეუბრალებლად გასთიშა ისინი. დაიღუპა ტკბილი ცხოვრება, შესწყდა მომხიბლავი ზღაპარი, მოულოდნელად ჩასწყდა გულის სიღრმის უძვირფასესი სიმები, დასამარდა უმანკო

დროის მოგონებანი, შეიბილწა ქალწულებრივის შარავანდედით მოსილი პირველი სიყვარული ტლანქად, ჯალათურად! იმ დროის მოსაგონად ევას ორი შვილი ჰყავს—სოფიო და ვაჟი... მაგრამ... რა ბედნიერი იქნებოდა ევა, რომ ბედს ამ მხრივ მაინც შეეწყო მისთვის ხელი და ბავშვები არ გასჩენოდა! საშინელება დატრიალდა მის გარშემო, გრძნობს, რომ სრულიად მოულოდნელად ენგრევა ვითომდა ბედნიერი ცხოვრების კოშკი, ხედავს, რომ ერთი წამიც და... თითონაც ნანგრევებში მოჰყვება...

რა ქნას, როგორ მოიქცეს?.. ვინ იცის, რას უმზადებს ხვალინდელი დღე? ვაი, თუ კვლავ გაუბდეს გორდიუსის ქვანძი განსაკვეთელად! მერე, მეგობარი მაინც ჰყავდეს დამხმარე! რეზოს მაინც შეეძლოს მისი ბხარის დამშვენება და მწვავე ბრძოლაში მის გვერდით დგომა! დღემდის მართლაც ასე ეგონა ევას: იგი დარწმუნებული იყო, რომ რეზო ნამიანიძე ისეთივე სასურველი მეგობარი იქნებოდა მისთვის, როგორიც იყო შალვა ღრუბელიანი; ეგონა, რომ უკვე მეორეთ იშოვა ცხოვრების გზაზე შესაფერი თანამგზავრი. მაგრამ დღეს, შესაძლებელია ისეთი პირობები შეიქმნეს, რომ რეზო ევასათვის სრულიად გამოუდეგარი დარჩეს.

ევა გრძნობს ამ მომავალ მარტოობის საშინელებას, გრძნობს რომ მხარ ჩამოგდებული არსებაა, მოცალე არავინა ჰყავს და...

არის წამი, როცა სასოწარკვეთილებაც კი ეუფლება მის სულსა და გულს...

XXII.

რეზო დიდ პატივს სცემდა ევას: სწამდა მისი ჭკვა, ცოდნა და გონებრივი სისრულე. ის გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ ევა ბევრ შემთხვევაში მაზე მაღლა იდგა.

ახლაც, დღევანდელ ვახშამზედაც, ევამ ერთხელ კიდევ დაანახვა რეზოს თავის უპირატესობა, რაც აგრე მომხიბლავად და გულის წარმტაცად დააგვირგვინა მარსელიოზის მომჯადოვები დაკვრით. ამ გარემოებამ აუწერელ აღტაცებაში მოიყვანა რეზო და იქ რომ უცხო პირები არ ყოფილიყვნენ, აუცილებლივ გადაჰკოცნიდა თავის ჭკვიან, მცოდნე და განვითარებულ მეუღლეს

. გავიდა თუ არა ევა თავის ოთახში, რეზომ ჩურჩულით გასცა განკარგულება, რომ ევასათვის ხელი არ შეეშალათ უადგილო ხმაურობით და თითონაც ფეხაკრეფით მიაშურა თავის კაბინეთს. ის ამაოდ ცდილობდა ეფიქრა თავის საბანკო ოპერაციებზე. დღევანდელმა ამბებმა ერთიანად აუფოფოიქეს ნერვები და სანთლის დავსების შემდეგაც დიდ ხანს ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რა მოხდა.

ჯერჯერობით არ შეიძლებოდა გადაჭრით ეთქვა: ახარებდა თუ არა მას ეს ამბები, მაგრამ ის კი აშკარა იყო, რომ დღეს ბისი თავმოყვარეობა ერთობ შელახა მისივე ბანკის ერთმა წვრილფეხა მოსამსახურემ.

ეს ვაჟბატონი გახლავთ შავ ხალათსა და ძველ ბიჯაკში ჩორთული, ადამის-დროინდელი შლაპა ჩამოფხატული—ქათამაძე, რომელსაც მუდამ უკა-

ლოშო და ათას ადგილას დაკერებული ფეხსაცმლის შოლრეცილ ქუსლებზე მუდამ ფოჩებად დათამაშებდა შემოკრეცილი მარვლის მატერიიდან ჩამონარღვევი ძაფები.

რეზოს შეხედულებით, საკვირველი ვინმე ბრძანდებოდა ეს ქათამაძე, რომელსაც, ისევ რეზოს აზრით, სწორეთ რომ შესაფერი გვარი ჰქონდა, ვინაიდან ქათამზე პროხაული არსება, თუ მისი ხორცის გემოს არ გავიხსენებთ, რეზოს ვერც კი წარმოედგინა.

მართალია, როგორც მუშა ქათამაძე კარგი მუშა იყო: ერთგული, სანდო, საქმის კარგათ მცოდნე, მაგრამ „ნამეტანი აპრუწული ვინმე" იყო, და ამიტომ არ ეკარებოდა რეზოს გულს.

სხვა მოსამსახურენი მუდამ ღიმილით, ტანის ერთგვარ გაპრეხით და თვალების გაფართოვებით ელაპარაკებოდენ რეზოს; არასოდეს მის საწინააღმდეგო სიტყვას არ იტყოდენ, სახეში იყვნენ მიჩერებული და მუდამ იმაზე ფიქრობდენ, რომ რაიმე ნაირად ესიამოვნებინათ: ცერებზე დადიოდენ, ტუჩებზე ხელის მიდებით ახველებდენ, პალტოს აცმევდენ და კალოშებს მიართმევდენ... ვიღაც ქათამაძე კი მარტო მშრალ სალამს აძლევს ბანკის დირექტორს, და ისიც ისე მედიდურად, თითქოს იმადლებაო: ერთი ღიმილიც კი არ გადაურბენს ხოლმე სახეზე. მუდამ ჩაფიქრებულია, წარბებ შეკრული მუშაობს—თითქოს დიდი რამე კი უყრია იმ ცარიელ გოგრაში.

და აი დღეს, ამ ღირს შესანიშნავ და საქვეყნო ამბების დატრიალებისას, ეს ჩია ქათამაძე თავისებურის თავხედობით სტოვებს ბანკის დარბაზსს და სადღაც კრებაზე მიდის... და ჰოი, საკვირველებავ! აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც კი ხდება! ახალ მთავრობად გადაიქცა!

მერე როგორ ამაყად ეჭირა თავი კომიტეტის სხდომაზე! როგორ კატეგორიულად და უყოყმანოდ ლაპარაკობდა! ნამდვილი მამლაყინწა იყო! კომიტეტის წევრებიც რომ ყურადღებით უსმენდენ! ვითომდა დიდი ჭკვის კოლოფი ვინმე იყოს! ძველის ძველი შავი ხალათი, ნაპირ-შემოგლეჯილი მამბის სარტყელი, მოუპარსავი ნიკაპი... და კადნიერება, კადნიერება...

ბანკში გაჩაღებული მუშაობა იყო: საინგარიშო „ჩოთქები" ხმა შეწყობით რაკუნობდენ, კალმები გულმოდგინეთ წრიპინობდენ, სახაზავები შავ არშიებს ავლებდენ, ერთ ადგილას ფულები ითვლებოდა, მეორეს იკეცებოდა; მოლარე ისეთის მოწიწებით აღებდა კასის ვებერთელა ლითონის კარებს, თითქოს აღდგომა დილას მღვდელ-მთავარი ეხება აღსავლის კარებსო. ჩურჩულით გადიოდენ და შემოდიოდენ...

რეზო წარმართული კერპივით იჯდა ძვირფას სავარძელში ძვირფასის მაგიდის წინაშე...

ლამაზად დავარცხნილი და შეფერილი სახე, აპრეხილი ულვაშები, ასჯერ სარკის წინ შემოწმებული წვერები, ჯიბეებში ჩაწყობილი ფუნთუშა ხელები, გაშლილი გულ-მკერდი და კმაყოფილება, კმაყოფილება...

რეზომ შეამჩნია, რომ ბანკის დარაჯმა ქათამაძე ტელეფონთან მიიწვია.

ცოტა ხნის შემდეგ ქათამაძე „თავისებურის კადნიერებით“ — მიიჭრა რეზოსთან და ცივად უთხრა: საქმის გამო დღეს სამსახურში ვერ დავრჩებიო.

რეზოს არც უარი უთქვამს და არც პირობა: ის ერთობ გააკვირვა ამ წვრილფეხა მოსამსახურის კადნიერად მიმართვამ: ქათამაძემ კი ... წასჩურჩულა მოსამსახურეებს და საჩქაროდ სადღაც წავიდა.

ეს რეზოს ძალიან ეწყინა, მით უმეტეს, რომ დანარჩენმა მოსამსახურეებმა ქათამაძის წასვლის შემდეგ სამუშაოზე რაღაც გული აიცრუეს და უსაქმო ლაპარაკი გააბეს. რეზომ მოიხმო უფროსი მოსამსახურე და უთხრა: გადაეცით ქათამაძეს, რომ იგი სამსახურიდან დათხოვნილი არისო. ამის საპასუხოთ იმ მოსამსახურემ ჩურჩულით უთხრა რეზოს, თუ რა სთქვა ქათამაძემ წასვლის წინ.

— ეს შეუძლებელია! ვის შეეძლო მთავრობის ჩამოგდება? — გაკვირვებით სთქვა რეზომ.

— რა მოგახსენოთ, ხოლო ქათამაძემ კი აგრე სთქვა!.. ეხლა მითხრეს ტელეფონითო.

— ჰო და... მეც მაგისთანეებისთვის ვითხოვ სამსახურიდან მაგ კადნიერ ყაჟბატონს!

ამ დროს ვილაცამ ბანკში შემოარბენინა ცალკე ფურცლებზე ვებრთელა ასოებით დაბეჭდილი დეპეშა, რომელშიც მოკლედ იყო ნათქვამი, რომ პეტროგრადში თვითმპყრობელი მთავრობა დაემხო და მის ადგილს დროებითი მთავრობა შედგაო. ქათამაძე ისევ აჩქარებით შემობრუნდა: საწერ მაგიდის უუთში რაღაც დავიწყებოდა. მაშინვე შემოესივნენ მოსამსახურენი და მოუთმენლად ჰკითხავდენ, თუ რაში იყო საქმე. ქათამაძემაც წამსვე დაიწყო დეპეშის აჩქარებით განმარტება. მის გარშემო უცებ შეიკრიბნენ ყველანი და გაფაციცებით უსმენდნენ. პირველად რეზო განზე იდგა და სრულებითაც არ უნდოდა „ვილაც ქათამაძის ქათმური“ განმარტების მოსმენა, მაგრამ როცა შეატყო, რომ ქათამაძის ნათქვამმა ყველას ყურადღება მიიპყრო, ისიც ძალაუნებურად მივიდა და ყური ათხოვა ლაპარაკს. რამდენი დაცინვა და სიამაყე გამოიხატებოდა ამ დროს რეზოს სახეზე! ქათამაძე "თავისებურის მამლაყინწობით“ ხნიდა პეტროგრადში მომხდარ ამბებს: — ჩვენ გავიმარჯვებთ! მუშათა კლასი... ბიუროკრატია... პროლეტარიატი...

ამ სცენამ ერთიანად შეაძულა რეზოს ქათამაძე. ზიზღით ავსილი დაბრუნდა კაბინეტში და ხელახლად დაადასტურა ქათამაძის ადგილიდან დათხოვნა თავის გულში.

მაგრამ, — ჰოი საშინელებავ! — საღამოზე ისევ ის ქათამაძე გვერდით ამოუჯდა მას საზოგადო მოლვაწეთა კრებაზე და რიხიანად დაიწყო მსჯელობა.

მართალია, ცუდი არაფერი უთქვამს, პირიქით ძალიან ჭკვიანურადაც.

მაინც ილაპარაკა. მაგრამ... მაინც ქათამაძეა... მაინც ქათამაძეა!..

XXIII.

ნეტავი სრულებით არ გასთენებოდა ევას მეორე დღე: სინათლეს თვალებს ვერ უსწორებს, დარცხვენილია, საბნიდან თავი ვერ გამოუყვია, მის ხელთ რომ

იყოს, საუკუნოდ დააბნელებდა, მთელ ქვეყანას კუპრის სამოსელში გახვევდა, რათა მასთან ერთად არც სხვას გაეხილა თვალები. რა ქნას, [illegible] გაიაროს საზოგადოებაში, როგორ დაიჭიროს თავი?

ეგონა ვითომ მოეწყო. ფეხი მოიმაგრა, ურყევ ნიადაგს დაეყრდნო, ჰპოვა სამუდამოთ ნავთსაყუდარი. და უცებ ყველაფერი თავდაყირა დგება, ინგრევა და უფსკრულში ვარდება. მერე რამდენჯერ მოუვიდა ასე? განა ერთხელ დაეგცა ბედნიერების კოშკი? რა უთხრას ორ შვილს, რომელნიც შალვა ღრუბელიანისგან ჰყავს? დაუმალოს თავისი პირადი წარსული, როგორც დღემდის უმალავდა, თუ ყოველივე გაუმხილოს? საწყალი სოფო! როგორის აღფრთოვანებითა და ამპარტავნულის გამომეტყველებით უსმენდა დედას, როდესაც ის მარსელიოზას უკრავდა! რამდენი სიამაყე გამოიხატებოდა ამ წუთს ახალგაზრდა ქალის სახეზე, რომელიც ასეთის აღტაცებით შეხვდა რევოლიუციის ნიაღვრის მოხეთქას?

რათ არ იცის ვინ არის მისი ღვიძლი მამა, ან რა მონაწილეობა მიუღია ხალხის გამოღვიძებაში?

ეს კითხვები შხამიან გველებივით დასისინებენ ევას არსებაში. მაგრამ... მაინც გკითხვებად რჩებიან, პასუხი არ არის...

გუშინ, როცა ევამ მარსელიოზა დაასრულა, აღფრთოვანებული სოფიკო შურდულივით გაექანა დედისკენ, მაგრამ დედამ ცივად ჰკრა ხელი, თითქოს რაღაც სინიდისის მქენჯნავ მოგონებას იშორებდაო, და ოთახისაკენ მიმავალმა, თავიდან მოიშორა აღფრთოვანებული ქალი, რომელსაც ამ დროს ხელიდან გაუვარდა თავისი საყვარელი პოეტის „კორდელის“ ლექსთა კრებული.

ევას ამ დილით ნათლად მოაგონდა ეს სცენა, თვალწინ წარმოუდგა ამ საშინელი წიგნის ავტორი და... საშინელმა ძრწოლამ მოიცვა მისი არსება...

ოჰ, ეს კორდელი და მისი ლექსები! რომ ვერ მოაშორა თავის ოჯახს, რომ ვერ გადაჰკარგა შორს! რამდენჯერ დაუმალა სოფოს, რამდენჯერ ურჩია არ წაეკითხა ეს წიგნი, მაგრამ არაფერი გაუვიდა.

ამ წიგნის გამოსვლამ თავზარი დასცა ევას და დიდი ხნის განმავლობაში ისე ეშინოდა მისი, როგორც საშინელების. მან არც კი იცოდა ამ შავბედითი წიგნის შინაარსი, მაგრამ მოჰკრა თუ არა თვალი, წაიკითხა თუ არა ავტორის ფსევდონიმი, მაშინვე თითქოს თავს მეხი დაეცაო, დარეტიანებულივით დაშორდა იქაურობას და მთელი კვირის განმავლობაში გონზე ველარ მოსულიყო. ცდილობდა არ ვფიქრა ამ წიგნზე, მაგრამ საუბედუროდ ამ ლექსებმა მალე მიიქციეს საზოგადოების ყურადღება და ევაც რამდენჯერმე მოხვდა ისეთ წრეში, სადაც ამ კრებულზე იყო ბაასი. სხვა დროს და სხვა პირობებში ასეთი მუსაიფის დამწყები, თუ გამაგრძელებელი უსათუოდ ევა იქნებოდა, მას ძვირად გამოეპარებოდა ქართულ ენაზე ახალი წიგნი,—რუსულ ლიტერატურასაც ძალიან ეტანებოდა—მაგრამ კორდელის წიგნს შავი ჭირივით გაურბოდა, ღვთაებრივის ძრწოლით ერიდებოდა მას.

მაგრამ ერთ საშინელ დღეს ეს საშინელი წიგნი მის ოჯახშიც შემოვიდა. ევამ არ იცოდა, რითი და რა საშვალებით განედევნა ეს წიგნი სახლიდან.

— ღმერთო ჩემო, ეს რა კარგი პოეტი ყოფილა,—იძახდა იგი წამდაუწემ და რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის მთელი წიგნი გაიზეპირა. რავდენი სევდაა, დედა, ამ ლექსებში, რავდენი! თანაც რავდენი [illegible] და აღფრთოვანება!—დღეში ასჯერ მაინც ეტყოდა დედას და [illegible] ლექსს ზეპირად ჩაარაკრაკებდა.

და გუშინაც, როცა ასეთი საშინელი ამბავი დატრიალდა, მისი საყვარელი ქალი სოფო, რომელიც ნათლად აგონებს მას პირველ ქმარს, ამ საშინელის წიგნით აღფრთოვანებული მიექანება დედისკენ და გადაკოცნას უპირებს... მაგრამ მოგონებებით შეპყრობილმა დედამ არ მიიღო უმანკო არსების უმანკო შესაწირავი. როგორ შეკრთა მაშინ სოფიკო, როგორ ეწყინა!

— რომ იცოდე, შვილი, რა ცეცხლი გიზგიზებს დედაშენის გულში სოფომ იცის, რომ რეზო მისი მამი ნაცვალია. მაგრამ საკუთარ მამაზე მას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს: გაურკვევლად იცის, რომ რომელღაც სოფელში, ეხლაც ცხოვრობენ მისი ღვიძლი ბებია და ბაბუა, მკონი კიდეც უნახავს ისინი, სიზმარივით ახსოვს.

რამოდენიმე წლის უკან, რეზოზე გათხოვებამდე დედამ წაიყვანა სოფლად ის და მისი პატარა ძმიკო. სოფიკოს აგონდება, რომ ბაბუაც და ბებიაც შვილიშვილების დანახვაზე მწარედ სტიროდენ, გულამოსკვნით ქვითინებდენ და თან ეხვეწებოდენ ევას: აქ დარჩი, ნუ დაგვტოვებო.

ევამ კარგად იცის, რომ ამის მიზეზი არის თითონ ის, ღვიძლი დედა, მან დააშორა შვილიშვილები ბაბუა-ბებიას; ის არის, რომ მუდამ ცდილობს, რათა ბავშებმა საკუთარი მამა არ მოიგონონ, და მხოლოდ რეზო უყვარდეთ. და ღღეს ევას წინაშე ხელახლა საშინელის სიძლიერით აღიმართა ეს კითხვა: როგორ მოიქცეს-განაგრძოს ძველი გზა და ღრუბელიანის შვილებს მამის მაგიერ მამინაცვლის სული აფიცოს, თუ გადაშალოს თავისი გული მათ წინაშე და დაწვრილებით გააგებინოს ყოველივე?

ის გზა, რომელზედაც იგი დღემდის იდგა, ხომ ბოტყვილების გზაა, სიცრუეზე და სიყალბეზე დაყრდნობილი! მერე რა, თუნდაც ასე ყოფილიყო, ვის რა წაუხდებოდა ამით? ევაც ბედნიერი იყო და მისი შვილებიც. ამ გზის გაგრძელება თამამად შეიძლებოდა, მაგრამ დღეს...

ოოჰ, ეს საშინელი რევოლიუცია!

— ეხე... ხე, ამოიგმინა ევამ,—რას მოვესწარი ამას? მე, ერთ დროს თავგამოდებული მებრძოლი, დღეს რევოლიუციას ვგმობ!... ღმერთო, ჩემო რა რკალში მოვემწყვდიე! ნუ თუ დაღუპული ვარ?

უცებ ზეზე წამოიჭრა და საჩქაროდ შეუდგა ტანთჩაცმას. ყოველი მისი მოძრაობა თამამი და გაბედული იყო, წელანდელი ტანჯვისა და სულიერი მღელვარების ნასახიც კი არსად იყო, ყოველივე ეს თავიდან მოიშორა...

„შორს სანტიმენტალობა“—ო და ჩვეულებრივის ნაბიჯით გავიდა სასადილო ოთახში, სადაც მას კარგი ხანია ელოდენ.

ლამაზად გადავარცხნილი და მოხდენილად ჩაცმული რეზო სასწრაფოდ

მიეგება და ხელები დაუკოცნა. ევა თავის მხრივ ჩვეულებრივ მიესალმა ქმარ-შვილს და მაგიდასთან ადგილი მონახა.

გულის სიღრმეში ევას არ ეამა რეზოს ასეთი ზეხვედრილ[illegible]ბიკური ცერემონიის მონაა ჩემი ქმარიო“ გაიფიქრა და ელვის [illegible]ბინა მის თვალწინ შალვა ლრუბელიანის შორეულმა სახემ.

XXIV.

პეტროგრადის ამბები გრიგალივით დატრიალდა... ნერვებად გადაქცეული ხალხი გაფაციცებით ეძებდა ახალ ამბებს: ასკდებოდენ რედაქციებს, იჭაცებდენ დეპეშებს, იძარცებოდა კრებები, მიტინგები.

ყოველ ახალ წუთს ახალ-ახალი ამბავი მოჰქონდა. სახელმწიფო დუმის აღმასრულებელი კომიტეტი, როძიანკო, კერენსკი, ჩხეიძე სკობელევი, მეფის ტახტიდან გადადგომა, ფრონტის გახსნა, რევოლიუცია გერმანიაში...

— გვეშველება, ომი გათავდება... ხავი ჩამოვარდება,— იძახდა ერთი.

— გავთავისუფლდით, გავთავისუფლდით!..

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. ყიჟინებს არე-მარე.

— მობილიზაციის მეშინოდა, აწი რა მიჭირს!..

— ახლა კი დაადგებათ სპეკულიანტებს კაი დღე! კიდევ გადამალავენ საქონელს? ნახავ რომ ჩალის ფასად გახდეს ყველაფერი!..

— მაშ, მაშ!.. დღეიდან ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!.. დაუსრულებელი ჩოჩქოლი, მითქმა-მოთქმა და სიხარული იყო. ვინ შვილის ან ახლო ნათესავის დაბრუნებას მოელოდა ბრძოლის ველიდან,—ეგონათ ომი ეხლავე შეწყდებოდა,—ვინ საქონლის გაიაფებაზე ოცნებობდა. სიცილი, აღტაცება... კოცნა, მილოცვა... და ამბები, სულ ახალი ამბები... ერთი მეორეზე წარმტაცი, ერთი მეორის დამფარავი..

— ახალი მეფე... მიხეილ ნიკოლოზის ძე... საერთო ამნისტია... მიწები ხალხს უნდა გადაეცეს... გერმანიის მეფეც ჩამოუგდიათ,—გაისმის წამდაუწუმ ქუჩებში.

ხალხი ირევა, ნერვიულობს ხან აქეთ აწყდება, ხან იქით.

— ტელეგრამ... ტელეგრამ,—გაჰკივიან ქუჩებში მეგაზეთეები და თავქუდ მოგლეჯილნი გარბიან.

რევოლიუცია ფრთებს შლის ასაფრენ არწივივით, მის ტალღათა ბრუნვა თანდათან ძლიერდება, ამოვარდნილი გრიგალი ყოველწუთს ძალას იკრებს...

მთელი ქალაქი ქუჩებშია გამოფენილი..'

სიცილი, ჟრიამული... ხარხარი...

დღეს დიდი მიტინგია დანიშნული...

დგება მუშათა საბჭო .. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიები კლუბებს ხსნიან. პარტიულ კრებებს ახდენენ, წევრებს კრებენ. ათასნაირ წარწერიანი დროშები მხიარულად ფრიალებენ სახლებიდან...

სოციალდემოკრატები, ფედერალისტები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატე-

ბი,—ყველას პირზე აკევია ეს სიტყვები. ყველა ცდილობს რომელიმე პარტიას მიეკედლოს, არავის უპარტიობა არ უნდა....

ამაყად დგანან წესიერების ახალი დამცველნი, მკლავებზე წითელი ლენტები აქვთ, უმეტესობა მათგანი მოწაფე ახალგაზრდობაა. მუშაობისთვის ხელი ვერ მოუკიდიათ, დაუსრულებელი მსჯელობა, ამბები, ჭორები... კიდევ ამბები, კიდევ ჭორები...

ევა შუშანიკასთან ერთად დასეირნობს. მაგრამ ხორციელად არის აქ, თორემ სულიერად ვინ იცის სად დაფრინავს და რაზედ ფიქრობს!

უპირველეს ყოვლისა მას აინტერესებდა გაეგო ვინ იყო ის ქალი, რომელიც გუშინ საღამოზე აღმასრულებელი კომიტეტის წევრად ამოერჩიათ. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა პირდაპირ ეკითხა იმ ქალის ვინაობა, ამიტომ შეუჩნეველად უნდოდა გაეგო ვინ იყო იგი.

ეს შემთხვევა შუა დღის ხანს მართლაც მიეცა ევას და... ჰოი, საკვირველებავ!

აღმასრულებელი კომიტეტის წევრად არჩეული ქალი იყო ერთ დროს ევას კარგი ნაცნობი რევოლიუციონერის, სერგო ცრემლაძის, თანამებრძოლი მეუღლე, რომელსაც ევა ერთ დროს დაახლოვებით იცნობდა. მაგრამ მერე, დროთა ბრუნვაში, ერთიანად მიივიწყა. ან კი რა მისი საკადრისი იყო ღარიბულად ჩაცმული ქალი, რომელიც ხშირად სამრეცხაოშიაც კი მუშაობდა და ჯერ რომ თეთრეულის რეცხვით ჰქონდა ხელები გამოთეთრებული, მერე უთოს გამო ხელის გული სულ დაბებერავებოდა. აი, ეს ქალი, რომელსაც ალბად, არა ერთხელ გაურეცხავს და გაუუთოვებია ევას თეთრეულიც, დღეს საქვეყნო ადგილზეა წამოსკუპებული... დახეთ, ბედის ცვალებადობას!

ევას დიდიხანია არ ენახა სერგო ცრემლაძე.—ნეტავი სად უნდა იყოს ახლა სერგო? ხომ არ მომკვდარა?

ევას ერთის მხრივ ეამა, რომ მისი ნაცნობი ადამიანები აგრე მოულოდნელად ამოუტივტივდენ თვალწინ, ხოლო მეორე მხრივ, საშინელი სიოცხვილი, დამცირება და მიწასთან გასწორება იგრძნო...

— იმ ქალმა ყოველგვარი ტანჯვა გადაიტანა, ერთგულად შერჩა ერთხელ არჩეულ გზას, და აბა დაეკარგა ნაშრომი... მე კი? მე? ფიქრობდა გულდასერილი ევა და წარბებ შეჭმუხნული დახეტიალობდა.

რა დღე გაუთენდა? ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე იდგა და უცებ აგრე უმოწყალოდ ძირს ჩამოისროლეს.

სხვაზე ნაკლები მაინც იყოს აზრით, ჭკუით, მომზადებით!

მაგრამ, მაგრამ... თავი და თავი კიდევ სხვა რამეშია, ევას აზროვნების დედა ბოძს სულ სხვა აზრი შეადგენს: მიიღოს ევამ ეს რევოლიუცია, თუ არა? იწამოს იგი, თუ უარჰყოს?..

განა ასეთი საკითხი კიდევ უნდა არსებობდეს ევასათვის? აკი ის უკვე გადასჭრა მან პირველი რევოლიუციის შემდეგ და გარკვეულ გზაზედაც შედგა? მაშ რად დასჭირდა ისევ ამ საკითხის დაყენება თავის თავის წინაშე? განა მეოყეობს ევა? შეშინდა? დაიბნა?

— სალამი მანდილოსნებს, სალამი! მიაძახა მას ვიღაცამ.

მათ წინაშე მამლაყინწასავით იდგა პოეტი პიერი, რომელმაც ქუსლების ერთმანეთზე მირახუნებით, წელში გაზნექით და კისრის ზესატერი ბოლოებით ლიმილიანი სალამი შესთავაზა მოსეირნეთ.

— რა ამბავია, რომ გიყვიან ყვირი?!

— როგორ თუ რა ამბავია? განა პოეტის გული შეიძლება ამ დროს არ შფოთავდეს?

— იმ დროს, როდესაც ხალხი გრგვინავს!.. ერი იღვიძებს! მტარვალი დავმხო!..

— ქვეყანა ხარობს: მიწა ყვავდება! ცა ელვარებს... სამყარო ზარზარებს... კმარა, კმარა!..

— რომ იცოდე, შუშა, რა ლექსი დავწერე წუხელის! მთელი ღამე არ დამიძინია. მუზა არ მომეშვა! მერე რა ორიგინალური სათაური აქვს: „წითელი მოზვერი“... რა ფორმა! რა სილამაზე! ხა-ხა-ხა .. შუშა, გარწმუნებ, რომ შენც კი მოგეწონება: „შინაარსიანია, შინაარსიანი“.—ხა-ხა-ხა! შენი სამოქალაქო პოეზიის შინაარსი! სალამოს ვაწყობ, წითელ სალამოს და იქ უნდა წაიკითხო, შენც უნდა მიიღო მონაწილეობა. გამოაფინე შენი რითმები: სიხარული-სიყვარული, ლევანი-მტევანი,ხელი-ცხელი, დედა-ბნედა...

პიერი უცებ ჩაყლაპა ხალხის ტალღამ.

— რა ამბებია, დედა, რა ამბები! ჩიტივით მიაჭიკჭიკა სოფიკომ და მაშინვე ჩამოეკიდა დედას მკლავზე.

„სულ შალვას თვალები აქვს, ენაცვალოს დედაო“,—გაიფიქრა ევამ.

— აა, თქვენც აქა ხართ? შეეკითხა მათ რეზო, რომელსაც იღლიაში გაზეთების მთელი გროვა ამოედო და შინისკენ მიდიოდა.

დღეს მის ბანკში ციებ-ცხელობა იყო: ვის გაჰქონდა ფული, ვის შემოჰქონდა, ყველა ნერვიულობდა, ყველა ჩქარობდა. ეს ნერვიულობა და საერთო აფორიაქება რეზოსაც გადაედო და საშინელ გაურკვეველობაში ჩააგდო. „რა მოჰყვება ამ ამბებს?.. რა სახეს მიიღებენ ფინანსიური ოპერაციები“?

— საბრალო,—ზიზღით გაიფიქრა ევამ ქმრის შესახებ,—დღემდის მისი საკითხავი მასალა ბირჟის ცნობები იყო, ახლა კი გაზეთებისთვის მოუკიდნია ხელი... არ გაემტყუვნება, აღმასრულებელ კომიტეტის წევრია, მთავრობაა!..

XXV

სერგო ცოელაძე ღარიბი დიაკვნის შვილი იყო. სერგოს მამის ოჯახს მწიგნობრობის ბეჭედი ესვა: იქ ყველამ წერა კითხვა იცოდა, განსაკუთრებით დახელოვნებული იყო ამაში სერგოს დედა, რომელსაც არა ერთ და ორ ყმაწვილ ქალისთვის უსწავლებია კითხვა და ლოცვები.

მოკითხვის წერილის წაკითხვა, თუ დაწერა, მთელ უბანში მისი საქმე იყო. მწიგნობრობას სიყვარულს ოჯახის მორთულობაზე ასეთი გავლენა მოეხდენა: სახლის ერთ კუთხეში, რამდენიმე ხატი ეკიდა, კედლებზე მეფის და დედოფლის უბრალო სურათები იყო მიჭედილი. სამოციქულოს გვერდით—„ჯარაბადინი“, „ქალ-

ვაქიანი" და „ვეფხის ტყაოსანი" იდო ხისა და ტყავის მაგარ ყდებში ჩაჭედილი. „ვეფხის ტყაოსნის" კითხვა სერგოს მამას ზამთრობით უყვარდა; იგი სრულიად დარწმუნებული იყო ავისულებისა და მდევების არსებობაში, ქაჯების ციხის ალების აღწერა ზეპირად იცოდა.

სერგო მისი უფროსი ვაჟი იყო. ექვსი შვიდი წლის შესრულების შემდეგ ბავში „ძმასავით ამოიყენა გვერდით" და ამ ნაირად ერთი მუშა ხელი შემატა დიაკონმა ოჯახს. გზა და გზა წერა-კითხვასაც ასწავლიდა და ბოლოს სასულიერო სასწავლებელში გააბარა.

— ჩემი სერგო მალე სემლარისტი იქნება, ისეთი მღვდელი იქნება, ისეთი, რომ... სიამოვნებით იტყოდა ხოლმე გლეხებში და თავმომწონედ მიიხედ-მოიხედავდა.

სერგომ ისე მიაღწია სასულიერო სემინარიის მესამე კლასამდის, რომ სულ პირველთა რიცხვში იყო. მაგრამ ამ დროს სრულიად მოულოდნელად თავს დაატყდა დიდი უბედურება: მოსწავლეებმა ერთი უგვახო საქციელის გამო სემინარიის დირექტორს არა ჩვეულებრივი პროტესტი განუცხადეს. პროტესტის ინიციატორად სერგო იცნეს და „ოცდა ოთხი საათის განმავლობაში" სასწავლებლიდან გამოაძევეს, თანაც ისეთი მოწმობა მისცეს, რომ ვერც ერთ სასწავლებელში ფეხს ვერ შეადგამდა.

სერგოს პირველად თავზარი დაეცა, მაგრამ მალე გონს მოვიდა, ცხოვრების გზაზე აცურებული ფეხი დროზე შეიწაგრა: სამსახური იშოვა.

შვილის უბედურებით სასოწარკვეთილებამდე მისულმა მამამ მალე მოიბრუნა პირი სერგოსაკენ.

— ღმერთო, ვმადლობ შენს წყალობას, რომ ჩემი საწყალი ლუკმით გაზრდილ შვილს ხელი მოუმართე და განსაცდელისგან დაიხსენი,—ხელებ აპყრობით ამბობდა დიაკონი,—ჩემი სიმართლე არ დამიკარგავს მის თავსო.

სერგო ნელ-ნელა დაუახლოვდა მუშათა წრეებს და მალე საპატიო ადგილიც დაიჭირა მათ შორის. ის ენერგიულად ეწეოდა ფარულ რევოლიუციონურ მუშაობას და მალე მისმა მუშაობამ ნაყოფიც გამოიღო. როცა მთელი მუშა ხალხი ამოძრავდა, და თავის უფლებათა დასაცველად ხმალი აიღო ხელში, სერგოც მათ რიგებში იდგა და მედგრად იცავდა აზვირთებულ ხალხის ინტერესებს.

ამ ხანებში სერგომ ცოლად შეირთო ერთი ღარიბი ქალი, რომელიც მასთან ერთად ეწეოდა რევოლიუციონურ მუშაობას. ამ ქალს დაბალი სწავლა ჰქონდა მიღებული და ერთ სასწავლებელში ხელსაქმეს ასწავლიდა.

კესიკო სერგოს გაცნობამდისაც საკმაოდ იცნობდა იმ ფარულ წრეებს, სადაც რევოლიუციონური ცეცხლი მზადდებოდა. ის ერთგული მკითხავი იყო რადიკალური ჟურნალ-გაზეთების და ამ ნაირად საკმაოდ მომზადებულმა კესიკომ სულ ოოლად შესძლო ქმართან ერთად დაეწყო ნაყოფიერი მუშაობა დაბალი ხალხის გათვითცნობიერებისა და ამოძრავების საქმეში. კესიკო უმეტესად აკავშირებდა და ანვითარებდა მუშა ქალებს, რომლებიც პირდაპირ აღმერთებდენ მას, როგორც გულწრფელ, თავდადებულ და ერთგულ მუშაკს. პირველი რევოლიუციის ტალღებმა ძა-

ლუმად ამოატივტივა ზეციერ ცოლ-ქმარი. ისინი უანგაროდ და თავგადადებულებით ეწეოდენ სახალხო მუშაობას და აღფრთოვანებულნი მიიწევდნენ თავის საყვარელ იდეალებისაკენ. მაგრამ შეტრიალდა თუ არა უკუღმა ცხოვრების ბორბალი, დამარცხდა თუ არა სახალხო მოძრაობა, ისინი მსწრაფლ გაბრაზებულ ცხოვრებამ და ერთი დაკვრით ჩააბრუნა ისევ იმ ნაჭუჭში, საიდანაც ამოატივტივეს აქაფებულმა ტალღებმა. სერგოს წინ გადაეშალა არა ლეგალური ცხოვრების გზა, ასეთივე იყო კესიკოს ხვედრიც. ცოლ-ქმარი ცუდ პირობებში ჩავარდენ, თავიანთი თავების გარდა მათ შვილებიც ჰყავდათ, რაც მათ მდგომარეობას ართულებდა.

რეაქციის პირველი ხანების მძვინვარებამ ჩაიარა. სერგომ, როგორც იქნა, თავი დააღწია პირდაპირ საფრთხეს. ამას შემდეგ ნახევრად ლეგალურად მაინც შეეძლო ცხოვრება და ლუკმა პურისათვის ბრძოლაც გაუადვილდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ცოლ-ქმარი თავგამოდებით ებრძოდენ ცხოვრების სიდუხჭირეს იმ იმედით, რომ მაშვრალთა საქმე კიდევ გამოსწორდებოდა და ტანჯულებთან ერთად ისინიც გაიხარებდენ. უიმედობა ერთი წუთითაც არ დაუფლებია მათ სულსა და გულს, ერთხელაც კი არ უთქვამთ ბედის მიმართ სამდურავი.

სერგო სალ კლდესავით იდგა თავის ძველ გზაზე და ზიზღით იხსნიებდა ზოგიერთ თავის ამხანაგებს, რომელნიც იმ ბედნიერ დღეებში, რევოლიუციის დროს მის გვერდით იყვნენ, ხოლო განსაცდლის ჟამს სულმოკლენი აღმოჩნდენ და კანოსში მივიდენ ქუდ მოხდილნი და ფეხშიშველნი.

სერგო ახალ პირობებში ცოლის დახმარებითა და ხელის შეწყობით ეწეოდა ძველ რევოლიუციონურ მუშაობას: მუშათა გათვითცნობიერებას და შეკავშირებას, ბროშურების ბეჭდვას, მუშათა პერიოდულ ორგანოში მუშაობას და სხვა. ამ საქმიანობაში ერთ უბედურ დღეს იგი სხვებთან ერთად არა ლეგალურ კრებაზე დაიჭირეს და ერთი წლის განმავლობაში ციხეში ყოფნის შემდეგ, ციმბირში გადაასახლეს სამუდამოდ.

კესიკომ ხმის ამოუღებლივ მიიღო ეს უბედურებაც და მოწამებრივის სიმტკიცით შეუდგა ცხოვრებასთან მკაცრი ბრძოლის გაგრძელების საქმეს: ერთის მხრივ ქმარი და მეორეს მხრივ ორი შვილი, აი ვისა და ვის შუა იდგა კესიკო, რომელსაც ერთხელაც არ წამოსცდენია უიმედო სიტყვა. არაფერ შრომას არ ერიდებოდა იგი, ოღონდ შვილებისთვის ეპატრონებია და ქმრისთვის ორიოდე გროში მიეწოდებია. დრო-გამოშვებით ამხანაგებიც ეხმარებოდენ. მუშათა წრეებს არასოდეს არ დავიწყებიათ სერგო და კესიკო; მამამთილიც—დიაკონი, არ ივიწყებდა და ხშირად ეუბნებოდა: გულს ნუ გაიტეხ, შვილო, ჩემი პატიოსანი ლუკმით გამოზრდილი შვილი უსაბართლოდ არ დაიღუპება, სიმართლეს ღმერთი არ დაკარგავს, როცა იქნება გამოჩნდებაო. კესიკო ამ დროს მარტო პირად საქმეზე არ ზრუნავდა: როგორც კი მორჩებოდა ოჯახს, მაშინვე საზოგადო საქმეს შეუდგებოდა.

კესიკო ევასაც იცნობდა და მის პირველ მეუღლეს, შალვა ღრუბელიანსაც. მშვენივრად იცოდა ყოველივე, რაც ამ ორ ადამიანს შორის მოხდა და ევას რომ ზიზღით იხსენიებდა, შალვას წინაშე მოწიწებით ქედს იხრიდა. ევა კესი-

კოს თვალში ერთი იმ სტუმართაგანი იყო მუშათა სუფრაზე, რომელმაც, როცა დრო იყო „წასვა და წაჭამა,“ დღეს კი, უკან გამობრუნებულმა, თბილ ადგილზე მოიკალათა

ᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚᲘ

ხშირად დაუნახავს მას ევა ბრწყინვალე ეტლში [illegible] ყაზოგადოებაში, რითაც ერთიანად მიშხამია გული და კბილების კრაჭუნით უთქვამს:

— ეხ, შალვა, შალვა! როგორ ამოისვარე შენი სახელი ტალახში!

კესიკო გულგაუტეხლად ელოდა და მოლოდინიც გაუმართლდა: დღეს, მეორე რევოლიუციის დროს, მან მსწრაფლ დაიჭირა შესაფერი ადგილი.

XXV

მეორე დღეს დილას, ჩაიზე რეზომ შემთხვევით სთქვა, რომ კესიკო ცრემლაძის ქმარი, სერგო ცრემლაძე, ციმბირში ყოფილა გადასახლებული და, როგორც მისმა მეუღლემ განაცხადა, ამნისტიას მიიღებს და მალე დაბრუნდებაო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ევას პირში ლუკმა გაეჩარა და ერთიანად გაშეშდა. უნდოდა დაწვრილებით გამოეკითხნა ეს ამბავი, მაგრამ შეეშინდა, ეგების თავი ვერ შევიკავოო და ხმის ამოუღებლივ თავის ოთახში გავიდა.

— „მაშ ასე, შეიძლება ყველაფერი დაიღუპოს!. ჩემი ბედი ბეწვზე ჰკიდია... მდაა... სერგო ცრემლაძე ჩამოვა. რასაკვირველია, ჩამოვა... როგორ ვერ მოვიაზრე აქამდის, რომ რევოლიუციას ამნისტია მოჰყვებოდა! ეხ-ხე-ხე! როგორ წამერთვა მოფიქრების უნარი! მდაა... ყველაფერი იღუპება,—ჩემი ბედი ბეწვზე ჰკიდია. „ისიც“ შეიძლება მოვიდეს. ყველაფერი იღუპება,—ამბობდა ნერვებ აშლილი და თვალებ გაშტერებული ევა, რომელიც კისერხე ჩაბოდებულ ძეწკვს უგრძნობლად ათამაშებდა.

მისი ყოველი მოძრაობა შეუგნებელი და ანგარიშ მიუცემელი იყო: ენაც თავისთვის მოქმედებდა და ხელიც, არც ერთი პატრონს არ ემორჩილებოდა. გაგანიერებული თვალები თითქოს გუგებში გაიყინენ და გაქვავდენო, სიცოცხლის ნიშანწყალი დაჰკარგოდათ, შუშისას დამსგავსებოდენ. მისი თითები ძეწკვს ათამაშებდენ, ნერწყვი გაუშრა, თვალები სულ გაუქვავდენ, ტუჩები უთრთიან. დრო გაჩერდა, სიცოცხლე არ მოძრაობს, ევა გამოქანდაკებულია. მალალი მკერდი მარმარილოს ჰგავს, ბროლის ყელი—გაცივებულ ქვას. სისხლი გაყინულია, სუნთქვა მოსპობილი.

— მაშ ყველაფერი დაიღუპება... ყველაფერი, ყველაფერი... შალვა... შალვა... ჩემო შალვა!

დიდხანს, დიდხანს იდგა ევა ასე გაშტერებული და ჩუმად ჩიფჩიფებდა. ამ მდგომარეობიდან შუშანიკამ და სოფომ გამოიყვანეს. ისინი ამ დილით ქუჩაში გავიდნენ ამბებისთვის და ეხლა შინ შემობრუნდენ.

— იცი, დედა, რა არის ახალი? შემოიფრთხიალა ოთახში სოფიკომ,— მთელ რუსეთში ამნისტია გამოუცხადებიათ და ყველა ტუსაღები გამოუშვიათ... პოლიტიკური დამნაშავენი გაუნთავისუფლებიათ...

ევას ხმა არ გაუცია შვილისთვის, მხოლოდ უცებ თითქოს ტყვია ესროლ-

ლესო, მთელის თავის ძალით შეკრთა, და რომ შუშანიკას არ დარეკვები, იატაკზე გაიშხლართებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, რა მოგივიდა?..

— არაფერი, ჩემო კარგო. არაფერი...

სოფიო წყლისათვის გავარდა.

— ევა, ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ,—ბრავალ მნიშვნელოვანის კილოთი უთხრა შუშანიკამ და გვერდით მოუჯდა. მან კარგათ იცოდა, თუ რაშიც იყო საქმე და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა დასამშვიდებლად. ევა მიხვდა, თუ რა უნდოდა ეთქვა შუშანიკას და თავმოყვარეობა შელახა, არ უნდოდა ეჩვენებინა შიში და დამცირება.

— შუშანიკა, მე არაფრის არ მეშინია, მაგრამ... მაგრამ... ნუ თუ ყველაფერი იღუპება? ყველაფერი... შუშანიკა... გენაცვალე... ვიხრჩობი... ვიხრჩობი, გული გამიხსენი. მიშველე... მიშველე'.. შალვა. შალვა მოვა. შალვა მოვა... ჩემი შალვა, ჩემი შალვა!..

ევა უმწეო არსებად იქცა, თავმოყვარეობაზე ის უკვე არ ზრუნავს, ერთიანად გაშიშვლდა და შუშანიკას კალთაში ულონოდ ჩაიკეცა...

— რა ვქნა? შუშა, რა ვქნა?.. რა ვქნა?... მითხარი, მითხარი... მომეხმარე... შალვა... შალვა!..

— ნუ გეშინია ევა, ყველაფერი მოგვარდება, ის არ მოვა, არა. ალბად უკვე გარდაიცვალა, ამდენი ხანია მისი არაფერი მოდის!..

ევამ კარგა ხანია რაც თავისიანები დაარწმუნა, რომ შალვა ციხეში გარდაიცვალაო, მაგრამ შუშანიკას ეს ამბავი არა სჯეროდა; მერე კი, როცა შალვას ლეჭსთა კრებული გამოვიდა, ამაში აშკარად დარწმუნდა, თუმც ევასთვის არაფერი უთქვამს. ევამ კარგათ იცოდა, რომ შუშანიკასათვის ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ამ კითხვაზე არასოდეს მათ ბაასი არ ჰქონებიათ, რამდენიმე წლის განმავლობაში მოხერხებულად გაურბოდენ ამ საკითხს. ევას გარშემო საშინელი კვანძი გაინასკვა: ყველა საკითხები, რომელნიც მან ერთ დროს თითქოს გადასწყვიტა, ღღეს მოულოდნელად მშიერ შგლების ხროვასავით გარს შემოეხვივნენ და შთანთქვას უპირებდენ. ევას პირველი ქმარი, შალვა ღრუბელიანი, აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც კატორღაშია, მისჯილი ჰქონდა ოცი წელიწადი. ევას არ ჰქონდა მისი ცოცხლად დაბრუნების იმედი და ეს იმედი უსათუოდ გაუმართლდებოდა, რომ რევოლიუცია არ მომხდარიყო. ახლა კი რა ჰქნას, როგორ მოიქცეს! რა პირით შეხედოს შალვას! თითონ მარტო, რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ შვილები? რეზო? საზოგადოება?

პირველად, როცა შალვას კატორღაში გაგზავნის შემდეგ ევამ იდეურად უარჰყო ძველი გზა და თანაც ამ დროს რეზოს დაუახლოვდა, ჩუმ-ჩუმად ხმებს აერცელებდა—თითქოს შალვა ციხეში გარდაცვლილიყოს; მერე რეზოსთან ერთად საცხოვრებლად შორეულ ქალაქში წავიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში თავისი თავი ერთიანად დაავიწყა საზოგადოებას და მხოლოდ ამის შემდეგ ისევ ჩამობრუნდა სამშობლოში.

რეზო დარწმუნებული იყო, რომ ევას პირველი ქმარი მართლაც გარდაიც-

ვალა. შალვას მშობლებიც ევას მეოხებით ერთ ხანს ძალიან დაეჭვებულნი იყვნენ დაკარგული შვილის სიცოცხლეში, ამ ეჭვს ევას მეორედ მარცხვება ჰბადებდა, რაც შემთხვევით გაიგეს, ვინაიდან ევამ შალვას მშობლებთან კარგა ხანია გაწყვიტა ყოველივე კავშირი. ყოველ შემთხვევაში, შვილის ცოცხლად დაბრუნების იმედი არც მათ ჰქონიათ. თავის მხრივ ევას უკვე რამდენიმე წელიწადია ერთი სიტყვაც კი არ მიუწერია შალვასათვის, არც შვილების შესახებ უცნობებია რამე; დარწმუნდეს, რომ ჩვენ მისთვის სამუდამოთ დაღუპულნი ვართო,—ფიქრობდა ევა. დიახ. ასე ხელოვნურად დაუძვრა ევა ცხოვრების ხლართს, მაგრამ ეს სხვა პირობებში მოხდა, ამიტომ ყველაფერი იოლად მოგვარდა. დღეს კი, როცა სხვა გვარად დატრიალდა საქმე, აშკარად გამოირკვა, რომ ევას სრულიად მოუფიქრებლად და ბავშურად გადაეწყვიტა თავისი ცხოვრების უდიდესი საკითხები.

რამ გამოაყეყეჩა ასე ეს ჭკვიანი ადამიანი, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი? რისთვის გაეხვია ამ საშინელ ქსელში? ვის რა პასუხი გასცეს, რითი იმართლოს თავი? ევა და ასეთი მატყუარა, ასეთი ორპირი! განა ასეთ ადამიანად ეხატებოდა მას თავისი თავი ცხოვრების განთიადისას? აი, იმ დროს, როცა ზიზღით იგონებდა ბაბუას მიერ მისი მამის მოკვლის განზრახვას, მამის საქციელს, დედის ყოფა-ქცევას...

— რა ვქნა?.. რა ვქნა? ჩურჩულებდა იგი ანგარიშ მიუცემლად.

უცებ საშინელის სისწრაფით წამოიჭრა ზეზე, თითქოს ძუ ლომმა მონადირეთა მოახლოვებისას ბუნაგი დააგდოო. ვაქკაცურად გასწორდა წელში და მძლავრად ხელის ჩაქნევით, თავიდან მოიშორა დასახრჩობად შემოწოლილი შავი მოგონებანი.

— ჰმ, სულ მოჰკლეობავ! განა მე არ ვიცოდი რას ჩავდიოდი?! შორს ყოყმანი! შორს ლაჩრობა! აკი დიდი ხანია გადაჭრილი იყო ჩემთვის ეს საკითხები! მაშ რა არის ახლა ეს ქანაობა, ეს რყევა? ჩემში ბაბუა ჩემის სისხლი სჩქეფს! ვისაც საკუთარი ბედნიერება უნდა, მას მისთვის ბრძოლაც უნდა შეეძლოს! ბაბუა ჩემმა საკუთარი ბედნიერების შესანარჩუნებლად ღვიძლი შვილიც კი გაიმეტა და განა მე მისი შვილის-შვილი არა ვარ?

ევას მოაგონდა: ძველებური სახლის აივანში დგას თოფის წამლის კვამლში გახვეული ბაბუა მისი, ერთ ხელში ახლად გასროლილი თოფი უჭირავს და არწივისებურის გამომეტყველებით ეძებს—ბბა თუ მოვკალი ჩემი გამამწარებელი შვილიო. ამ მოგონებამ ერთიანად გააკაკა ევა და ცეცხლივით აანთო.

— მე მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავ და კიდეც ვიყავ ბედნიერი! მე მინდა ბედნიერი ვიყო და კიდეც ვიქნები ბედნიერი! მე ჩავიდინე ის, რაც მე მინდოდა! რას ჰქვია ჩემი დანაშაულობა! მე არავის წინაშე დანაშაულს არ ვგრძნობ! ჩემი სინიდისი წმინდაა, ჩემი ნაბუსი შეუბღალავია! შორს იქვები, შორს ყოყმანი!

და კვლავ წარმოუდგა ის სურათი: ძველებური სახლი, ძველებური რიკული. ძველებური ჩუქურთმა, თოფის წამლის კვამლი, ახოვანი მოხუცი, გაბო-

როტებული არწივის გამომეტყველება, ახლად გასროლილი თოფი და მსხვერპლის მაძიებელი გასისხლიანებული თვალები...

— ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს, ვნახოთ! ჩურჩულებდა იგი ეგილების კრაეუნით და თვალ წინ დაუდგა შალვა ღრუბელიანის სახე, რომელიც ბორკილებ დადებულს, ცივ რუსეთში გზავნიდენ.

— ევა, რა გემართება, რა მოგდის?—შეშინებული ეკითხებოდა შუშანიკა.

— შუშანიკა,—მიმართა მას წელში გასწორებულმა ევამ,—შენ ყველაფერი იცი, იცი რა დღეში ვარ, იცი რაც მომელის, მე ჩემი ბედი ყოველთვის საკუთარის ძალ-ღონით წარმიმართავს, ჩემი საკუთარი ცხოვრების წინამძღოლი მუდამ მე ვყოფილვარ! ეს მომავალშიც ასე იქნება: მარტო მივლია და მარტო ვივლი. შეგიძლიან ჩემთან იყო, შეგიძლიან წახვიდე, ეგ შენი ნებაა. მაგრამ ეს კი ჭნდა იცოდე, რომ ჩემი საიდუმლო აქედან არ გაიტანო. ეს ოთახი და შენ—ორივნა ხართ ჩემი გულის ნადების მოწმენი. რაც აქ მოხდა, მარტო ჩვენ საბმა უნდა ვიცოდეთ... დანარჩენი შენ იცი!.

ამ სიტყვების შემდეგ ევა მამაცურის ნაბიჯით მიადგა ფანჯარას და შუა გამპობის გამომეტყველებით დააცქერდა ცის დასავალს. ევა უკვე არ ჰგავდა იმ ევას, რომელიც რამდენიმე ხნის უკან აგრე გაცამტვერებული იყო. მან თავი დააღწია იმ ეჭვთა გროვას, რომელნიც, ამდენი წელიწადია, ცალ-ცალკე, და ისიც ხანდიხან ეწვეოდენ მას, ხოლო ამ დღეებში ერთად შეჯგუფულნი ეკვეთნენ გააფრთებულის ძალით და მოსპობას უქადდენ. ეს საშინელი დღეები ხელ-ახალი რყევისა და განცდის დღეები იყო ევასათვის, იმ ევასათვის, რომელმაც ეს ეჭვიანობა და რყევა ნაწილ-ნაწილ განიცად-გადაიფიქრა წელთა მთელი რიგის განმავლობაში და შესაფერი პასუხიც გასცა მათ. ამ დღეებში, მხოლოდ მკვდრეთით აღმდგართა იერიშებს იგერიებდა, და ბოლოს კიდეც მოიგერია, კიდეც გადაჰკარგა მათი სახე უწინდელ უფსკრულში...

და ამ წუთს თამამად და შეუპოვრად დგას საშინელ ბრძოლა მოხდილი... ამ წამს ევა თავისუფალია ყოველ გვარ ყოყმანისა და ეჭვისაგან. ის შავ გველთა მოსრიალე ხროვა, რომელიც გულის შემზარავის სისინით ეხვეოდა ამ დღეებში მის სულსა და გულსა, უკვე მიიმალა მიბნელებულ სოროებში და გამარჯვებული ევა ამ წუთს კვლავ მათი ბატონი და მბრძანებელია. ფოლადისურის გამომეტყველებით გაჰყურებს იგი თავის მომავალს.

მისი ცეცხლის მკვესი თვალები და ენერგიით მჩქეფი არსება აშკარად ლაპარაკობს, რომ იგი ამ ბრძოლაში უკან არ დაიხევს... ევა ჰგავს აეშინებულ ძუ ლომს, რომელმაც იგრძნო, რომ დაუნდობელი მონადირე შორით ეპარება მის საწოლს, მისი სიცოცხლის მოსატაცებლად. იგი სდგას ენერგია შეკუმშული და შურის ძიებით თვალებ გაფართოვებული, თავდასაცავად ემზადება...

თან ბაბუას სურათსაც იგონებს: თვალებ დასისხლიანებულს, კვამლში გახვეულს, თოფით ხელში მსხვერპლის მაძიებელს....

იქვე დგას შუშანიკაც...

უპტონ სინკლერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფე ნახშირი

რომანი.

წიგნი მეოთხე

მეფე ნახშირის მსახურნი

გაგრძელება*)

§ 16

მთელი ეს ამბავი სულელურად და პრიმიტიულად მოფიქრებული ოინი იყო, რომლის გამარჯვება სავსებით დამსწრე მუშების უგნურებას ემყარებოდა. ხოლი რომ შემთხვევით ფხიზელი არა ყოფილიყო, მას უნახავდენ ჩუმად მიგდებულ ფულს, და მეორე დღეს მთელ ნორტ-ვალს ეცოდინებოდა, რომ ის მოსყიდული იყო. რა თქმა უნდა, არც მისი პირადი მეგობრები, არც კომიტეტის წევრები ამას არ დაიჯერებდენ; მაგრამ მუშათა მასსებს შეეძლო ამის დაჯერება, და მაშინ დაიღუპებოდა ტომ ოლსონის საქმეც, რომლის გულისთვის იგი ნორტ-ვალში იყო მოსული. შემდეგი ამბების განმავლობაში ხოლი ყოველთვის იგონებდა ამ შემთხვევას; ის ძალიან ბევრი მოვლენების სიმბოლო იყო მისთვის. სრულიად ამგვარად, როგორც ეხლა ეს ვაჟბატონები ხოლის გაშავებას ცდილობდენ, ისინი ბოლოს მთელ მუშათა მოძრაობას შავი ფერადებით ხატავდენ და შეცდომაში შეჰყავდათ შეერთებული შტატების ინტელიგენცია.

მაშ ასე, ხოლმა სატუსაღოში ამოყო თავი. ის მიადგა ფანჯარას და გასინჯა რკინის რიკულის სიმაგრე; მაგრამ ის ისე იყო გაკეთებული, რომ როგორი გასინჯვაც გინდათ ისეთს გადაიტანდა. მაშინ ის წყვდიადში ხელების ფათურით შეუდგა თავის სატუსაღოს შესწავლას. მან გაიგო, რომ ის შესდგებოდა ოთახში ჩატანებული რკინის გალიისაგან. ერთ კუთხეში გრძელი სკამი იდგა, მეორეში, იმგვარივე სკამი. მხოლოდ უფრო ფართო და ზედ ნაალი. ხოლს შემთხვევა ჰქონია წაეკითხნა, ოდესღაც სხვადასხვა სატუსაღოების აღწერა, ამიტომ მან გადასწყვიტა რაც შეიძლება შორს დაეჭირა თავი ნაალისაგან, დაჯდა შიშველ სკამზე და დაიწყო ფიქრი.

*) იხ. ჟურნალი „მნათობი" № 11—12 (19—20).

არსებობს ერთგვარი სატუსაღოს ფსიქოლოგია—ეს ფაქტია; ამგვარადვე განსაკუთრებული ფსიქოლოგია მუშავდება სამთამადნო მუშაში, მუდამ მაღაროს მდაბალ თაღ ქვეშ მოხრილი მდგომარეობისა და ნახშირის ტალახის დროს ხელებზე მუდმივი ჭრილობების წყალობით; არსებობს კიდევ მესამე ფსიქოლოგია—ფსიქოლოგია, რომელიც სჩვევია სამთამადნო მუშის მძიმე შრომისაგან განთავისუფლებულ ხალხს, როდესაც ისინი თავისდასასიამოვნოდ ატარებენ ცხოვრებას. პირველი გრძნობა სატუსაღოში მოხვედრილი კაცისა—ეს არის პირუტყვის გრძნობა და შეგნება; ადამიანის ბუნების პირუტყვული მხარე იქ განსაკუთრებული სიძლიერით მეღავნდება; პირუტყვული ვნება, სიძულვილი, შიში აქ გასაგიჟებელ ზომას აღწევს; მხოლოდ დიდი სულიერი, ძარღვების დაჭიმვით შესაძლებელი ხდება მათი ალაგმვა. თუ კაცი მოაზროვნეა, მაშინ ის ციხეში მეტად ბევრს ფიქრობს; დღეები ჭიანურდება, ღამეები კიდევ უფრო,—დრო ყოველგვარი ფიქრებისთვის საკმაოდ დიდია.

სკამი, რომელზედაც ხოლი იწვა, მეტად ხმელი იყო; თითქოს რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ხმელი ხდებოდა იგი; როგორაც არ წვებოდა, რა პოზებსაც არ იღებდა, მაინც ის, სულ ერთია, როდი რბილდებოდა. ხოლი ადგა, გაიარ-გამოიარა ცოტა, შემდეგ ისევ დაწვა, მერმე ისევ დაიწყო კუთხიდან კუთხეში სიარული. სულ მუდამ ძარღვებ დაჭიმული ფიქრობდა, და სულ უფრო და უფრო ღრმად იმსჭვალებოდა სატუსაღოს ფსიქოლოგიით.

ჯერ მისი ფიქრები ახლობელი მომავალის გარშემო ტრიალებდენ. რას უზამენ მას? უფრო მოსალოდნელია, რომ მას გააგდებენ მაღაროებიდან და ამგვარად სამუდამოდ მოიშორებენ მას თავიდან. მაგრამ დაკმაყოფილდება კი ამით მათი გაცოფება? ხოლს შორიდან მოეკრა ოდესღაც ყური ერთი ამერიკული დაწესებულების არსებობისათვის, რომელსაც ეწოდება სახელად „მესამე განყოფილება"; მაგრამ მას, რა თქმა უნდა, არასოდეს თავში არ მოსვლია ის აზრი, რომ ეს დაწესებულება რაიმე როლს ითამაშებდა მის ცხოვრებაში. ეხლა ის ამას სულ სხვა თვალით უკქეროდა!

ხოლმა უთხრა ტომ ოლსონს, რომ ის ვერ დაჰპირდება მას მუშათა კავშირის მოწყობას, მაგრამ სამაგიეროდ დაჰპირდა კონტროლიორის საქმის გატანას. ოლსონს გაეცინა მაშინ,—ის არ აშორებდა ერთს მეორესაგან. ეხლა კი მიხვდა ხოლი, რომ ოლსონი მართალი იყო. ხოლის შიში კავშირისა და მისი დელეგატების „ტირანიის" შესახებ უკვალოდ გაიფანტა, ეს კიდევ ცოტა, მას მთელი თავისი სულითა და გულით სწყუროდა, რომ ნორტ-ვალის მუშებს შეექმნათ კავშირი და ემოქმედნათ ისეთი სიმკაცრით, როგორითაც კი შესძლებდენ! ამ შემთხვევაში ხოლი, სრულიად შეუგნებლად, იზიარებდა მრავალი მოღვაწეების ხვედრს, ფეხით გათელილი სამართლიანობის ისეთი მოსარჩლეების ხვედრს, რომლებიც საპყრობილეში ყოფნის გავლენით მხურვალე და თავშეუკავებელ რევოლიუციონერებად ხდებიან ხოლმე.

„თავისუფალი სულის მარადო სულო",—ამბობს ბაირონი,—„თავისუფლებავ, შენ ყველაზე მეტად ხარ ხუნდებით შეკრული!"

პოეტი უმატებს ამას: „როდესაც შენი შვილები საპყრობილეებში ღაფავენ

სულს, ქარს ფრთებით მოაქვს მათთვის ცნობა თავისუფლების შესახებ". და როგორც შილიონში ერთხელ, ისე იყო ამ ჟამად ნორტ-ვალშიაც.

გათენდა დილა. ხოლი იდგა საკანის სარკმელთან, ისმენდა საყვირს, ხედავდა, როგორ მიდიოდენ მუშები სამუშაოდ, ხედავდა, თუ დილის მკრთალ სინათლეზე, მაიმუნების ჯოგივით, როგორ გაიარეს მუშაობისაგან ძოხრილმა, ქვესკნელის ფერწასულმა მცხოვრებლებმა. ის უქნევდა მათ თავს, ისინიც ჩერდებოდენ, უცქეროდენ მას და უქნევდენ პასუხად თავებს. მან იცოდა, რომ ყოველი მათგანი დაუფიქრდება იმ კითხვას, თუ რად და რისთვის მოხვდა იგი სატუსალოში,—ამგვარად, სატუსალოს ფსიქოლოგიის ტალღა მათაც მიასკდება. თუ ისინი უნდობლად უცქეროდენ აქამდე მუშათა კავშირებს საერთოდ, ან არა სწამდათ ასეთი კავშირის საჭიროება აქ, ნორტ-ვალში, მაშინ მათი უნდობლობა და ეჭვები მალე გაიფანტებიან!

მხოლოდ ერთი გარემოება აწუხებდა ხოლს: რისთვის აჩერებენ ზედამხედველები მას აქ, სადაც ყოველ მუშას შეუძლია მისი დანახვა? უფრო არ აჯობებდა, რომ ჩაესვათ იგი ავტომობილში და გაეგზავნათ პედროში? ან ეგებ ამით ისინი მასხარად იგდებდენ თავიანთ მონებს? ან ეგებ ისინი იმ ანგარიშს ეყრდნობოდენ, რომ ტუსაღის დანახვა უფრო შიშს გამოიწვევდა მუშებში, ვიდრე გაბრაზებას? შესაძლებელი იყო, რომ მათ უკეთ სცოდნოდათ მუშები, ვიდრე ხოლს. მან გაიხსენა მერი ბორკის პესიმიზმი და ცივმა საშინელებამ შებოჭა მისი სული; თუმცა მან მალე მოახერხა მისი ჩაქრობა. ხოლმა უკიდურესად შეიძულა კომპანია მისი ცინიზმის გამო. მან მოკუმშა მუშტები და გააკრაჭუნა კბილები, ისე მხურვალედ მოსწყურდა მას მიეცა ზედამხედველებისთვის გაკვეთილი, დაემტკიცებია მათთვის, რომ იმათი მუშები მონები კი არა, პირიქით, გმირული ხალხია.

§ 17

სადილობის დრო ახლოვდებოდა. კორიდორში გაისმა ფეხის ხმა, რკინის კარი გაიღო, საკანში ვილაც უცნობი კაცი შემოვიდა და დაუდგა ხოლს წინ ერთი ჭიქა წყალი და პურის ნაჭერი კალის თეფშზე. კაცი გატრიალდა გასასვლელად. ხოლმა გააჩერა იგი.

— გთხოვთ ერთი წუთით მოიცადოთ.

მან წარბების შეკვრით შეხედა ხოლს.

— ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ, რამდენი ხანი გამაჩერებენ მე აქ?

— მე არ შ ე მ ი ძ ლ ი ა ვიცოდე ეგ,—უპასუხა კაცმა.

— რა კი მე აქ ჩამსვეს, იმის უფლება მაინცა მაქვს ვიცოდე, თუ რაში მდებენ ბრალს?

— დაიკარგეთ აქედან!—წაიბუზღუნა კაცმა, მიირახუნა კარი და წავიდა.

ხოლი მიადგა ისევ სარკმელს და დროს მოსაკლავად გამვლელებს თვალის დევნება დაუწყო. სარკმლის ქვეშ ჩამოგლეჯილი ბავშვების ხროვა შეგროვდა, ისინი ღიმილით მისჩერებოდენ მას და ხელებით ნიშნებს აძლევდენ, ვიდრე მათ არ გარეკავდა ვინმე.

ბოლოს ხოლს მოშივდა. მშრალი პური ბოლოს და ბოლოს ჰბეზრდება ადამიანს, ხოლო წყალს კი არ შეუძლია გემო მიუმატოს მას; მიუხედავად ამისა ხოლი მაინც შეუდგა პურის ღეჭვას, დალია წყალი და ნანობდა კიდეც, რომ ძალიან ცოტა მისცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ნელა მიდიოდა. შემდეგ შუადღით დარაჯი იყვნ მოვიდა და მოუტანა მას ახალი კერძი—პური და წყალი.

— ყური მიგდეთ, ერთი წუთით!—მიაძახა ხოლმა, როდესაც ის მოემზადა წასასვლელად.

— მე არაფერი მაქვს თქვენთან სალაპარაკო,—დუდუნებდა დარაჯი.

— მაგრამ მე მაქვს სამაგიეროდ. იცით რა, მე წამიკითხავს ოდესღაც ერთ წიგნში, არ მახსოვს რომელში, ის ექიმმა დასწერა, რომ თეთრი პური ძალიან მცირე საკვებ ნივთიერებებს შეიცავს იმისათვის, რომ კაცი დააკმაყოფილოს.

— დამანებეთ თავი,—წაიბუზღუნა დარაჯმა.—რა გინდათ ბოლოს და ბოლოს თქვენ ჩემგან?

— მე მინდა გითხრათ მხოლოდ ის, რომ არაფრის გულისათვის არ დავთანხმდებოდი მე მარტო წყალზე და პურზე ყოფნას.

— აბა რაზე დასთანხმდებოდით?

კითხვა წმინდა რეტორიული ხასიათისა იყო, მაგრამ ხოლმა ის პირდაპირი მნიშვნელობით მიიღო და ამიტომ უთხრა.

— მე დავკმაყოფილდებოდი ბიფშტეკსით, ქართოფილიანი წვენით...

კარი ლიწინით მიიხურა და მისმა ხმაურმა ჩაყლაპა სატუსაღოს ფანტასტიური მენიუს ბოლო.

უკვე გვიან იყო. ხოლმა არ იცოდა რომელი საათი იყო ეხლა, მან შენიშნა მხოლოდ, რომ სოფელში სინათლეები ჩაქრა. ის დარწმუნდა იმაში, რომ მას ამ ღამის გატარებაც სატუსაღოში მოუხდება. ის დაწვა იატაკზე, ამოიდო ხელი თავქვეშ და უკვე ჩასთვლიმა, რომ უცებ სარკმელს იქით რაღაც შარიშური გაისმა. ის წამოდგა და ქალალდის შრიალის ხმა გაარჩია. ხოლი სწრაფად მივარდა სარკმელთან და ვარსკვლავების მკრთალ სინათლეზე რაღაც საგანი შენიშნა; მან სტაცა მას ხელი. ეს იყო გრძელ ჯოხზე მიბმული ჩვეულებრივი საწერი წიგნაკი.

ხოლმა ჩაიხედა ქვევით, მაგრამ ვერავინ შენიშნა. მან წაავლო ჯოხს ხელი, შეანძრია იგი იმის ნიშნად, რომ წიგნაკი მიიღო, და გაიგონა ჩურჩული, რომელშიაც მან ხელად იცნო რავეტტის ხმა: „ალლო! ყური მიგდე! ჩასწერე წიგნაკში შენი გვარი ასჯერ. გესმის?"

ბრძანება გაუგებარი იყო, მაგრამ განმარტებისათვის დრო არ იყო. ხოლმა უთხრა „კარგი" და ყურადღებით დაუწყო წიგნაკს თვალიერი. მასზე მიმაგრებული იყო ფანქარი, რომლის წვერს გასანთლული ქალალდი ეხვია გარშემო რომ არ წატეხილიყო ალბად.

ჯოხი გაქრა. ხოლი დაჯდა და დაიწყო წერა, ისე რომ თითო გვერდზე სამჯერ-ოთხჯერ გამოჰყავდა: „ჯო სმიტ, ჯო სმიტ, ჯო სმიტ". ამ ორი სიტყვის

წერა შეუმცდარად შეიძლებოდა სიბნელეშიც კი. ხოლი სწერდა და სწერდა, და იმ დროს, როდესაც მისი ხელი ქაღალდზე დაცურავდა, ის ცდილობდა გამოერკვია, თუ რა აზრი უნდა ჰქონოდა ამას. არ შეიძლებოდა [illegible] ფიქრი, ვითომც კომიტეტს ხოლის ავტოგრაფების დარიგება [illegible] [illegible]ისათვის სახსოვრად; ალბად ეს გარკვეული მიზნისათვის უნდა მას, შეიძლება იმისთვის, რომ გააქარწყლონ ზედამხედველების მხრით რაიმე ახალი ეინი. მალე მან მოუნახა ახსნა ამ ამბავს: ვინაიდან ფული ვერ უნახეს მას, ამიტომ ზედამხედველებმა შეადგინეს ალბად ყალბი წერილი, რომელიც ვითომც იმის ხელიდან გამოდის, და ხოლის მეგობრებს დასჭირდათ მისი ნამდვილი ხელმოწერა, რათა დაემტკიცებიათ წერილის სიყალბე.

ხოლმა მსხვილი, ფართო წერა იცოდა; მან იცოდა, რომ მისი ნაწერი არც ალეკ სტონის ნაწერს შეედრებოდა და არც, მით უმეტეს, რომელიმე ნახევრად წერა-კითხვის უცოდინარე მუშის ნაჯღაბნს. ფანქარი მიჭენობდა ქაღალდზე—ჯო სმიტ, ჯო სმიტ,—ჯო სმიტ,—ვიდრე ხოლი არ დარწმუნდა, რომ მისი ავტოგრაფები არა თუ ყველა მუშებს, მათ თანაშემწეებსაც კი გახვდება. გაისმა სტვენა, მან შესწყვიტა წერა და მიაშურა სარკმელს. „ჩამოაგდე!“ წაიჩურჩულა ხმამ, ხოლმა გადააგდო წიგნაკი. მან შენიშნა მიმავალი ფიგურა, შემდეგ ისევ ყველაფერი მიწყნარდა. ხოლმა მიუგდო ყური, ხომ არ გაულვიძნია დარაჯს, შემდეგ დაწვა სკამზე და მიეცა ისევ სატუსაღოს მძიმე ფიქრებს.

§ 18

ისევ გათენდა, ისევ საყვირი, ისევ სარკმელთან იდგა ხოლი. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ სატუსაღოსთან გამვლელი მუშების უმეტეს ნაწილს ხელში რაღაც ფურცლები ეჭირათ, რომლებსაც ისინი აშკარად რაღაც მიზნით იმის სარკმლის წინ აქნევდენ. ბებერ მიკე სიკორიას ეჭირა ასეთი ფურცლების მთელი დასტა და ურიგებდა ყველას, ვისაც კი უნდოდა მისი მიღება. რა თქმა უნდა, მისთვის ნათქვამი ჰქონდათ, რომ მას ეს ფარულად მოეხდინა, მაგრამ ეტყობოდა ის მეტის მეტად იყო აღელვებული: ის დახტოდა, როგორც ახალი ბატკანი გაზაფხულზე, და ყველას თვალის წინ აქნევდა ფურცლებს, რომ მასთან ერთად ხოლის ყურადღებაც მიეზიდნა.

ასეთი გამომწვევი მოქმედებისათვის მან შესაფერი ჯილდო მიიღო. ხოლმა შენიშნა, რომ კუთხიდან ვიღაცის მხარ-ბეჭიანი ფიგურა გამოვიდა და გაჩერდა შეშინებული სლოვაკის წინაშე. ეს იყო ბუდ ედამსი, მალაროების საპოლიციო ზედამხედველი. ის მივიდა შეკუმშული მუშტებით და მზად იყო იქავე გაესწორებია მიკესათვის ანგარიში. მის დანახვაზე მიკე ერთიანად გაქვავდა; ხანგრძლივი მუშაობით მოხრილი მხრები კიდევ უფრო მოეხარა, თითები გაეხსნა; ძვირფასი ფურცლები ფრიალით გაიფანტენ მიწაზე. მიკე უცქეროდა ბუდს, როგორც დაჭერილი კურდღლის ბაჭია, ის თითის განძრევასაც კი ვერა ბედავდა თავის დასაცავად.

ხოლმა მთელი თავისი ძალ-ღონით დაუწყო სარკმელის რიკულს ნჯღრევა. მას უნდოდა გამომხტარიყო და დაეცვა თავისი მეგობარი, მაგრამ პოლისმენი

დაკმაყოფილდა თვალების ველური დაბრიალებით, არ შეებო მოხუცს და მხოლოდ რაღაც მოკლე ბრძანება წარმოსთქვა. მიკე დაიხარა და დაუწყო ფურცლებს კრეფა; ეს დიდხანს გრძელდებოდა; მიკეს ან შეეძლო ან არ უნდოდა მიჰვარებოდა პოლისმენის თვალს. როდესაც მან აკრიფა ფურცლები, გაისმა ბუდის ახალი ბრძანება, და მან ჩააბარა იმას ისინი. შემდეგ მიკემ დაიხია უკან რამდენიმე ნაბიჯი, ბუდი გაჰყვა მას თან, ჯერაც კიდევ ხელებ შეკუმშული. მიკე იხევდა სულ უკან, უკან, ბოლოს ისინი მიეფარენ ხოლის თვალს. მუშები, რომლებიც დაესწრენ ამ სცენას გაიბნენ, და ხოლმა არ იცოდა თუ რით გათავდა ეს ამბავი.

რამდენიმე საათის შემდეგ ისევ გამოჩნდა ციხის დარაჯი, ამ შემთხვევაში უპუროდ და უწყლოდ. მან გააღო კარი და უბრძანა ტუსაღს გაჰყოლოდა თან. ხოლი ჩავიდა ჯერ კოტონის კონტორაში.

სამთო ინსპექტორი საწერ მაგიდას უჯდა სიგარით პირში. ის რაღაცას სწერდა და მხოლოდ მაშინ გადასდო კალამი გვერდზე, როდესაც დარაჯი გავიდა. ის მოტრიალდა სკამზე, დაეყრდნო იდაყვით საგარძელის ხელს, დაიდო ფეხი ფეხზე და დაუწყო თვალიერი მის წინ მდგომარე ახალგაზდა მაღაროს მუშას ჭუჭყიან შარვალში, აბურძგვნილი თმებით და გაფითრებული სახით. სამთო ინსპექტორის არისტოკრატიული სახე ოლიმგბოდა.

— აბა, ყმაწვილო,—სთქვა მან,—უკანასკნელ ხანებში დიდი სიამოვნება გამოსცადეთ თქვენ ამ მაღაროში.

— მე სრულიად კმაყოფილი ვარ, გმადლობთ,—უპასუხა ხოლმა.

— თქვენ დაგვამარცხეთ ჩვენ მთელს ჩვენს ხაზზე, ხომ მართალია?—მერმე მცირე პაუზის შემდეგ:—თქვენ ეს მითხარით მხოლოდ:—რა სარგებლობას მოელით მთელი ამ ისტორიიდან?

— ალეკ სტონმა უკვე დამისვა მე ეგ შეკითხვა,—უპასუხა ხოლმა.—მე ვგონებ ზედმეტი იქნება ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება,—თქვენაც ისე არა გწამთ უანგარობა, როგორც სტონს.

ინსპექტორმა გამოიღო სიგარა პირიდან და მოაშორა ფერფლი. მისმა სახემ სერიოზული გამომეტყველება მიიღო. ის ჩუმად უცქეროდა ხოლს. ბოლოს ჰკითხა:

— თქვენ მუშათა კავშირების ორგანიზატორი ხართ?

— არა.

— თქვენ განათლებული კაცი ხართ, თქვენ არა ხართ მუშა, მე ვიცი ეს. ვინ გაძლევთ ფულს?

— აი ხომ ხედავთ, არც თქვენა გწამთ უანგარობა.

— კოტონმა რგოლებად გამოუშვა სიგარის კვამლი.

— მაშასადამე თქვენ უბრალოდ უსიამოვნების მოყენება გდომებიათ კომპანიისათვის? ხომ? აგიტატორი ხართ თუ როგორ.

— მე მაღაროს მუშა ვარ და მინდა, რომ კონტროლიორი ვიყო.

— თქვენ სოციალისტი ხართ?

— ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა სახეს მიიღებს შემდეგში ეს ამბები.

— კეთილი,—სთქვა ინსპექტორმა.—მე ვხედავ, რომ თქვენ ინტელიგენტი ახალგაზდა ხართ. ამიტომ მე გავხსნი ჩემს ბანქოს თქვენს წინაშე, თქვენ კი დაისწავლეთ იგი. არასოდეს არ გელირსებათ თქვენ კონტროლიორობა არც აქ ნორტ-ვალში, არც სხვა საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის რომელიმე მაღაროზე. გარდა ამისა, ჩვენ ნებას არ მოგცემთ უსიამოვნება მიაყენოთ კომპანიას. თუმცა არა გცემთ და არ გაწამებთ; ოღონ წინა ღამით კი დიდი სურვილი მქონდა თქვენი მობეგვის, მაგრამ დროზე მოველ გონს.

— არ შეგიძლიათ უკანა რიცხვით მოხსნათ სიმსივნე ჩემს ხელზე?—თავაზიანი ტონით ჰკითხა ხოლმა.

ინსპექტორმა არ მიაქცია ყურადღება ამ სარკასტიულ შენიშვნას და განაგრძო.

— ჩვენ წინადადებას გაძლევთ აირჩიოთ: ან მოაწერეთ ხელი დოკუმენტს, რომელშიაც ნათქვამი იქნება, რომ თქვენ ოცდახუთი დოლარი მიიღეთ ალეკ სტონისაგან (მაშინ ჩვენ გაგიღებთ ალაყაფის კარს და საითაც გენებებათ იქით მიბრძანდით); ან ჩვენ დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ მიიღეთ ნაძდვილად ფული, და ამას მოჰყვება თქვენი დაპატიმრება ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

როდესაც ხოლი დათანხმდა კონტროლიორობას, ის მოელოდა, რომ მას მაღაროდან გააგდებდენ და ისიც შეიძლება დამშვიდებული წავიდოდა იმ შეგნებით, რომ საკმაოდ შეითვისა მაღაროს მუშის სოციალური მდგომარეობა. მაგრამ ეხლა, როდესაც ის იცქირებოდა ინსპექტორის მრისხანე თვალებში, მან მაშინვე გადასწყვიტა არაფრის გულისთვის ნორტ-ვალი არ დაეტოვებია. მას უნდოდა დარჩენილიყო აქ, რომ კიდევ უფრო დაახლოებით გასცნობოდა ამ საშინელ ყაჩაღს—საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიას.

— ეს დიდი მუქარა არის, მისტერ კოტტონ,—შენიშნა მან.—თქვენ ხშირად სჩადიხართ ამას?

— ჩვენ ჩავდივართ ამას, როდესაც საჭიროა.

— ეს მე სრულიად ახალ პერსპექტივებს მიშლის წინ; მიამბეთ უფრო დაწვრილებით: რაში უნდა გამოიხატოს ჩემს წინააღმდეგ ბრალდება?

— ჯერ არ ვიცი,—ეგ ჩვენი იურისკონსულტების საქმეა. შეიძლება ეს შეთქმულება ან ფულის დატყუება იქნეს, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ისეთი, რასაც მძიმე სასჯელი მოჰყვება თან.

— ნება მომეცით, ვიდრე მე რაიმე გადაწყვეტილებას დავადგებოდე, დავხედო ვითომც და ჩემს მიერ დაწერილ წერილს.

— ა! თქვენ უკვე მოგიკრავთ ყური წერილის ამბავისათვის?—ინსპექტორმა გაოცებით ასწია წარბები. მან აიღო მაგიდიდან ქაღალდის ფურცელი და მიაწოდა ხოლს. მან წაიკითხა: „ძვირფასო მისტერ სტონ, ნუ სწუხდებით კონტროლიორის გამო. მომეცით ოცდახუთი დოლარი და მე ყველაფერს მოვაწესრიგებ. თქვენი ერთგული ჯო სმიტ“.

წერილი რომ წაიკითხა, ხოლმა დაუწყო თვალიერება ქაღალდს, რომელ-

ზედაც ის იყო დაწერილი, და შენიშნა, რომ მტრებს არა თუ წერილის ფაბრიკაციაზე გაუწევიათ შრომა, არამედ მისი ფოტოგრაფიაც [illegible] გადულიათ. უეჭველია, წერილის უთვალავი რეპროდუქციები მთელ [illegible] ყო მოფენილი. და ყველაფერი ამის გაკეთება მათ სულ რამდენიმე საათში მოასწრეს! მართალი იყო ოლსონი, როდესაც ამბობდა, რომ არსებობს მთელი სისტემა მუშების მოსატყუებლად.

§ 19.

ხოლი ფიქრობდა ერთ ხანს.

— მისტერ კოტონ,—სთქვა მან ბოლოს,—ჩემი ორთოგრაფია ცოტა უკეთესია და ნაწერი უფრო სწორი.

ინსპექტორის მრისხანე ბაგეზე მკრთალი ღიმილი გამოისახა.

— ვიცი,—სთქვა მან.—მე არ გამომიტოვებია შემთხვევა შემედარებია ნაწერი.

— ძიების საქმე თქვენ კარგად გაქვთ დაყენებული.

— თქვენ მალე გაიგებთ, ყმაწვილო, რომ არც იურიდიული ნაწილი გვაქვს დაყენებული ჩვენ ცუდად.

— ეგ ვნახოთ,—სთქვა ხოლმა.—თქვენს იურისტებს კარგა მაგრად მოუხდებათ მუშაობა: მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შამოუვლიან ისინი გვერდს იმ გარემოებას, რომ მე კონტროლიორად არჩეული ვარ კანონის მიხედვით და რომ ჩემს ზურგში სდგას მუშების მთელი ჯგუფი.

— თუ თქვენ მაგის იმედი გაქვთ, ძალიან სცდებით. თქვენს უკან არავითარი მუშების ჯგუფი აღარ არსებობს.

— ა! თქვენ უკვე მოასწარით მათი კისერის მოგრეხა?

— ჰო, მეთაურებს ჩვენ მოუგრიხეთ კისერი.

— ვის მაინც.

— მაგალითად იმ ბებერ თხას, სიკორიას.

— გააგდეთ?

— დიახ.

— მე ვხედავდი როგორც დაიწყეთ თქვენ ეგ საქმე. სად გააგდეთ?

— ამის გამოძიებაა,—და აქ ინსპექტორმა გაიღიმა,—თქვენი ძიების საქმეა.

— კიდევ ვის მოხვდა?

— ჯონ ესტრომი ცოლის დასამარხავად წავიდა. ამ ბებერმა, მოღუშულმა მოქადაგემ არა ერთხელ და ორჯერ აგვიტეხა დავიდარაბა, მაგრამ ეს კი უკანასკნელად იყო. თქვენ შეგიძლიათ მონახოთ იგი პედროში—ალბად თავშესაფარში.

— ო, არა,—ჩქარა სთქვა ხოლმა ცოტაოდნად საზეიმო კილოთი,—თავშესაფარამდე ჯერ კიდევ არ მიუა მას საქმე: მე, უნდა მოგახსენოთ, რომ ოც დახუთი დოლარი გაუგზავნე მას.

ინსპექტორმა შუბლი შეიჭმუხვნა.

— მართალია მერმე.—მცირე პაუზის შემდეგ: — მაშ ფული მაინც თქვენთან იყო! მე კი ვიფიქრე, რომ იმ წუნკლიანმა ბერძენმა ჩაიჯიბა ვითომც.

— არა, თქვენი გაიძვერა ამ შემთხვევაში პატიოსანი [illegible]; მაგრამ მეც აგრეთვე. მე ვიცოდი, რომ ედსტრომს წლიდან წლამდე [illegible] წონაში, ამიტომ ვფიქრობ, რომ მას სრული უფლება აქვს ისარგებლოს ამ ფულით.

ხოლმა იცრუა, რა თქმა უნდა,—ფული ჯერ ისევ ედსტრომის სახლში იყო დამარხული, მაგრამ ის ფიქრობდა ნამდვილად გაეგზავნა იგი ბებერი მაღაროს მუშისათვის და ჯერ მხოლოდ მას კოტონისაგან მისი კვალის დაკარგვა უხდოდა.

— ეგ კარგი ხრიკია, ყმაწვილო!—სთქვა ინსპექტორმა. - მაგრამ თქვენ კიდევ ინანებთ მას, უფრო ადრეც, ვიდრე თქვენი საქმე გათავდება. გარდა ამისა, ეს კიდევ უფრო მარწმუნებს იმაში, რომ აუცილებლად საჭიროა თქვენი სადმე გადამალვა ისეთ ადგილს, საიდანაც თქვენ ვეღარ შესძლებთ ჩვენს შეწუხებას.

— თქვენ სატუსაღოს გულისხმობთ? მაგრამ საქმე ხომ ნაფიცთა სასამართლოთი გაირჩევა; ან ეგებ ნაფიც მსაჯულებსაც ისე ატრიალებთ, როგორც თქვენ გინდათ?

— ამბობენ, პედროში თქვენ დიდი ინტერესი გამოიჩინეთ პოლიტიკური საკითხისადმი; ეგებ თქვენ ჩვენი ნაფიცი მსაჯულობის სისტემაც შეისწავლეთ?

— არა, აქამდე არ მივსულვარ.

ინსპექტორმა ისევ გამოუშვა რგოლებით კვამლი.

— ნაფიც მსაჯულთა სიაში ჩვენ აღნიშნული გვყავს სამას კაცამდე, ჩვენ მათ ყველას კარგად ვიცნობთ. სასამართლოს დარბაზში თქვენ ნახავთ ჯეკ პრედოვიჩს, როგორც ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარეს, ხოლო დანარჩენებში კი ქარხნის დუქნის სამ მოსამსახურეს, ორ მიკიტანს რეიმონდს, ერთ ფერმერს, რომელსაც თავისი მამული კომპანიისათვის აქვს დაგირავებული, და ხუთ მექსიკანელს, რომლებსაც სრულიად არაფერი არ გაეგებათ საქმის, თუმცა ყოველთვის მზად იქნებიან ერთი ჭიქა ვისკისათვის დანა ჩაგარჭონ ზურგში. ოლქის პროკურორი სიტყვით მუშებს იცავს, საქმით კი ჩვენ, ხოლო მოსამართლე დენტონი—კომპანიის საბჭოს მთავარი წევრის ვეგლმენის კომპანიონია.

— ჰო,—უთხრა ხოლმა—მე უკვე მსმენია ცოტა რამ „რეიმონდის სამეფოს“ შესახებ, ჩემთვის ძალიან საინტერესოა მთელი მექანიზმის გაცნობა. თქვენ ძალიან გულახდილი ხართ.

— მე მინდა,—უპასუხა ინსპექტორმა, ნათელი წარმოდგენა იქონიოთ იმის შესახებ, თუ ვის ებრძვით. ჩვენ არ დაგვიწყია ბრძოლა და მზადაც კი ვართ, რომ მშვიდობიანი გზით მოვრიგდეთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ თქვენ წარხოცოთ ჩვენთვის მოყენებული უსიამოვნება.

— სიტყვაში „წარხოცოთ“ თქვენ გულისხმობთ, რა თქმა უნდა, რომ მე სამარცხვინო ბოძზე გავეკრა და აშკარად აღვიარო მუშების წინ,—ვითომც მე ვმოქმედებდი ისე, როგორც გამყიდველი!

— ჰო,—სთქვა ინსპექტორმა.

— ამაზე მე დამშვიდებით უნდა ვიფიქრო,—უთხრა ხოლმა.

მან მიიწია საავარძელი თავისკენ, ჩაჯდა შიგ, რაც შეიძლება ამოხერხებულად და მოურიდებლად გასწვადა წინ ფეხები.

— სკამი, იქ ზევით, საშინლად ხმელია—სთქვა მან და დამციანავი ლიმილით შეხედა ინსპექტორს.

§ 20.

ეხლა ლაპარაკი ცოტა უფრო სხვანაირი ტონით გრძელდებოდა.

— კოტონ,—წარმოსთქვა ტუსაღმა,—მე ვხედავ, რომ თქვენ განათლებული კაცი ხართ. მე კიდეც ვფიქრობ, რომ ოდესღაც თქვენ იყავით ის, რასაც „ჯენტლმენი“ ეწოდება.

ინსპექტორს სისხლი აუვარდა თავში.

— გაეთრიეთ აქედან.

— მე არ ვაპირებ კითხვების მოცემას,—განაგრძობდა ხოლი,—მგონია, რომ თქვენთვის უხერხული იქნება პასუხის გაცემა მათზე. მე ვფიქრობ მხოლოდ, რომ თქვენ, როგორც ყოფილ ჯენტლემნს, უკეთ შეგიძლიათ გაერკვეთ ამ საქმის ზოგიერთ გარემოებაში, რომელიც სრულიად უსხლტება ისეთი ხალხის ყურადღებას, როგორიცაა, მაგალითად, მონების მეპატრონე სტონი, ან ისეთი „ექსპერტის“, როგორც კარტრაიტი. ჯენტლმენი ადვილად იცნობს ჯენტლმენს მაღაროს მუშის კოსტიუმის ქვეშაც კი. მართალი ვარ თუ არა?

ხოლი უცდიდა პასუხს. ინსპექტორმა ყურები ცქვიტა და შეხედა ხოლს:

— შეიძლება.

— მაშ ასე, კოტონ,—განაგრძობდა ტუსაღი,—ამ წუთში თქვენ დამიხატეთ მე თქვენი სასამართლოს სურათი. ხება მომეცით გავაგრძელო სურათი. თქვენ ააშენეთ ყალბი ბრალდება; ნაფიც მსაჯულთა ადგილი თქვენს კაცებს უჭირავსთ; მოსამართლის მაგიდას თქვენმიერ არჩეული მოსამართლე უზის; თქვენმიერ არჩეულ პროკურორს სასურველ ბოლომდე მიჰყავს საქმე; თქვენ იღებთ კანონიერ უფლებას, რომ, როგორც დასაშინებელი მაგალითი, თქვენი მსხვერპლი ციხეში ჩააგდოთ. რა იქნება, რომ უცბად, ყველაზე უფრო საინტერესო მომენტში, გამოირკვეს, რომ თქვენი მსხვერპლის სახელ ქვეშ იმალება ისეთი პიროვნება, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რომ იქნეს დაპატიმრებული?

— არ შეიძლება რომ იქნეს დაპატიმრებული?—ჰკითხა ინსპექტორმა შეცებული ტონით.—სთქვით უფრო გასაგებად.

— ნუ თუ საჭიროა ამის ახსნა ამდენად ინტელექტუალური ადამიანისათვის? განა არ იცით, კოტონ, რომ არსებობს ისეთი ხალხი, რომლებსაც თქვენ ვერავითარ შემთხვევაში ციხეში ვერ ჩასვამთ?

რამდენიმე ხანს ინსპექტორი ჩუმად განაგრძობდა წევას. შემდეგ ჰკითხა:

— ოლქში არიან ასეთი პირები, მაგრამ ისინი, მე ვგონებ, მეცნობა ყველა.

— თქვენ არ მოგსვლიათ ფიქრათ, რომ ასეთი პირებიც შეიძლება რომ ყოფილიყონ?

ამ სიტყვების შემდეგ ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე გამომცდელი თვალით მისჩერებოდენ ერთიმეორეს და რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო ამჩნევდა ხოლი ინსპექტორის თვალებში დაეჭვების ნიშნებს.

— იფიქრეთ ახა, რა უხერხულ მდგომარეობაში შეგიძლიათ ჩავარდეთ,— განაგრძობდა ხოლი.—თქვენ საუცხოვო ინსცენიროვკას უკეთებთ დრამას—ისე, მაგალითად, როგორც გუშინ საღამოს,—მხოლოდ სცენა უფრო დიდია და დამსწრე საზოგადოება უფრო დარჩეული. და უცებ ფინალში ირკვევა, რომ თქვენ არა თუ ვერ გაამართლეთ თქვენი მოქმედება მუშების მიმართ, არამედ, პირიქით, თქვენ დაამტკიცეთ სრული თქვენი უმართებულება მთელი შტატის საზოგადოების წინაშე და გამოააშკარავეთ საზოგადოებრივი აზრის თვალში, რომ თქვენ მოიქეცით, როგორც კანონის დამრღვეველი—ან კიდევ უარესი, როგორც ტუტუცი და იდიოტი!

ეხლა კი ინსპექტორი იმდენ ხანს უცქერიდა ხოლს, რომ მისი სიგარა ჩაქრა. იმავე დროს ხოლი თამამად ქანაობდა სავარძელში და საიდუმლოებით იღიმებოდა. ინსპექტორს ეგონა, რომ მის წინ ხდება რაღაც მეტამორფოზა: ხოლის მხრებიდან თითქოს დაეშვა ძირს მაღაროს მუშის კოსტიუმი. ის ხედავდა თავის წინაშე ლამაზად, ფრაკში გამოწყობილ ყმაწვილ კაცს.

— დაგწყევლოთ ღმერთმა, ვინა ხართ ბოლოს და ბოლოს?—ჩეჰყვირა მან.

— აი,—გაიცინა ხოლმა,—თქვენ ეს-ეს არის იკვეხოდით, რომ ძიების საქმე კარგად გაქვთ დაყენებული. მიეცით წინადადება თქვენს მაძიებლებს გამოიცნონ შემდეგი ამოცანა: „ივნისის დამდეგს უკვალოდ, დაიკარგა ახალგაზდა კაცი. ნიშნები: ხნოვანება—ოცდაერთი წელი, სიმაღლე—ხუთი ფუტი და ათი გოჯი, თვალები წაბლისფერი, თმები—წაბლისფერი (ოდნავ ხუჭუჭი), გარეგნობა მიმზიდველი, იქცევს ქალების ყურადღებას“,—ასე ირწმუნება, ყოველ შემთხვევაში, „საგუბერნიო ცნობის ფურცელი“. ფიქრობენ, რომ ის ნადირობს მექსიკაში გარეულ თხებზე. როგორც იცით, კოტონ, ჩვენს შტატში არსებობს სულ მხოლოდ ერთი ქალაქი, რომელსაც შეუძლია იამაყოს თავისი „საზოგადოებით“, გარდა ამისა ამ ქალაქში არსებობს სულ ოცდახუთი-ოცდაათი ოჯახი, რომელსაც ერთგვარი წონა აქვს საზოგადოების თვალში. ისეთი საძიებელი აპარატისათვის, როგორიც საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის განკარგულებაშია, ამის გამორკვევა სულ უბრალო საქმეა!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ხოლმა პირველმა დაარღვია იგი:

— თქვენი, ცოტა არ იყოს დაბნევა მოწმობს იმას, რომ თქვენ მე გამიგეთ. ეს დიდი ბედნიერება არის კომპანიისათვის, რომ იმის სამთო ინსპექტორების რიცხვში ერთი შემთხვევით ყოფილი ჯენტლმენი აღმოჩნდა.

ინსპექტორი ისევ გაწითლდა.

— გეფიცებით ღმერთს,—სთქვა მან ნახევრად თავისთვის. შემდეგ მან უკანასკნელად ს

— მომეცით სიტყვა, რომ თქვენ არ წახვალთ აქედან, ვიდრე მე ამის ნებას არ დაგრთავთ.

— თუ წავედი, — გაიცინა ხოლმა,—მე წავალ იქ, სადაც ჩემს ჩემი მოვალეობა. თქვენ მნახავთ მე მიმღებ პუნქტზე, კოტონ!

§ 21.

ინსპექტორი გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დარაჯი ისევ გამოცხადდა, მან მოიტანა თან სადილი. რომელიც სრული წინააღმდეგობა იყო წელან მის მიერვე მოტანილ სადილთან. ლანგარზე ეწყო ლორი, ორი თოლხო კვერცხი, პური, კარაქი და ფინჯანი ცხელი ყავა.

— აბა, აბა,—თავმდაბლური ტონით სთქვა ხოლმა,—ეს თითქმის ბიფშტეკსაც კი სჯობია ქართოფილიანი წვენით·—ის დამშვიდებული უცქეროდა, თუ როგორ გაასუფთავა ყარაულმა მაგიდაზე ლანგარის დასადგმელი ადგილი. როდესაც ყარაული წავიდა, ხოლი მიუჯდა მაგიდას და დაიწყო ჭამა.

ჭამა არა ჰქონდა ხოლს გათავებული, რომ კოტონი დაბრუნდა უკან და ჩაფიქრებული, ჩუმად დაჯდა თავის სკამზე. ხოლმა ჭამის შეუწყვეტლად შეხედა მას და გაიღიმა.

— კოტონ,—სთქვა მან,—თქვენ ხომ იცით, კარგი აღზრდა უწინარეს ყოვლისა მხილდება სუფრაზე ჯდომის დროს თავის დაჭერაში. გთხოვთ მიაქციოთ იმ გარემოებას ყურადღება, რომ მე ხელსახოცი არ ამიფარებია გულზე, როგორც ამას ალეკ სტონი იზამდა.

— დამანებეთ თავი, მე უკვე გავიგე·

ხოლმა დასდო დანა-ჩანგალი.

— თქვენს ფარეშს დაავიწყდა გამოსარეცხი ფინჯანის მოტანა,—შენიშნა მან.—მაგრამ არაფერი. ეხლა თქვენ შეგიძლიათ დაურეკოთ უბრძანოთ ალაგება.

ინსპექტორმა ზარის მაგიერ თავისი ხმა გამოიყენა. შემოვიდა ციხის დარაჯი.

— სამწუხაროდ,—სთქვა ხოლმა,—თქვენმა ხალხმა, როდესაც მე მჩხრეკდენ, სადღაც დამიკარგა საფულე და ამიტომ საშუალება არა მაქვს ფული ვაჩუქო ოფიციანტს. „ოფიციანტმა“ ისეთი სახით შეხედა ხოლს, თითქოს მას კბენა უნდოდა მისთვის. ინსპექტორმა ჩაიცინა.

გადით, გეს, და დახურეთ კარი.

ხოლი თავისუფლად გაიშხლართა სავარძელში.

— უნდა გამოგიტყდეთ, მე მირჩევნია თქვენი სტუმარი ვიყო, ვიდრე თქვენი პატიმარი.

ჩამოვარდა სიჩუმე.

— მე ველაპარაკე მისტერ კარტრაიტს,—სთქვა ბოლოს ინსპექტორმა.—ვერაფრის გზით ვერ გამომიკვლევია, რა არის თქვენს სიტყვებში მართალი და რა მოგონილი. შეიძლება თქვენ იყოთ რაღაც ახალი ხარისხის აგიტატორი; მაგრამ ღმერთი გამიწყრეს, თუ მე ოდესმე მენახოს აგიტატორი ზრდილი მანე-

რებით! ყველაფერიდან სჩანს, რომ თქვენ შეძლებულ ოჯახში ხართ გაზრდილი და რისთვის გჭირდებათ ასეთი ავანტიურები—ეს მე სრულებით ვერ გამიგია!

— მითხარით, კოტონ, გაგიგონიათ ოდესმე თქვენ, თუ რა არის მოწყენა?

— კი, გამიგონია,—უპასუხა ინსპექტორმა,—მაგრამ თქვენ მეტად ახალგაზდა ხართ იმისათვის, რომ ეს ავადმყოფობა გჭირდეთ.

— შეიძლება მე მინახავს, თუ როგორ იტანჯებიან მისგან სხვები, და ამიტომ გადავსწყვიტე სხვაგვარი ცხოვრების გამოცდა.

— თუ თქვენ ნამდვილად ისა ხართ, რადაც გინდათ გაასაღოთ თავი, მაშინ თქვენ ჯერ კიდევ სტუდენტი უნდა იყოთ.

— შემოდგომაზე მე გადავდივარ უკანასკნელ სემესტრზე.

— რომელ უნივერსიტეტში?

— მე ვხედავ რომ თქვენ ჯერაც ისევ საეჭვოდ მიგაჩნიათ ჩემი სიტყვები,—გაიღიმა ხოლმა. შემდეგ მან იგრძნო გამოჯავრების ისეთი სურვილი, რომელიც შეიძლება დაიბადოს მთვარით განათებულ უნივერსიტეტის ბაღში, როდესაც ბედი ხელს უწყობს ადამიანს, და მოულოდნელად შემოსძახა მაღალი ხმით.

მეფე ნახშირი, გიჟი, სულელი,
მეფე ნახშირი ვიწამეთ ღმერთად;
მაღალ ცოდნათა მან შეჰქმნა შკოლა,
ო, ქება, ქება ჩვენც შენთან ერთად!

— რომელი სკოლის შესახებ ლაპარაკობთ?—ჰკითხა ინსპექტორმა. ხოლი განაგრძობდა სიმღერას:

ო, ლიზა ანა, გამოდი მალე,
კაობაბის ქვეშ შუქია მთვარის,
ო, ლიზა-ანა, მე ხარიგანის
ჩვენს ბედზე ნათქვამ სიმღერას ვმღერი!

— აბა, აბა,—სთქვა ინსპექტორმა, როდესაც კონცერტი გათავდა.—ბევრი. ხართ ასეთები ხარრიგანში?

— პატარა ჯგუფი, მაგრამ საკმაო იმისათვის, რომ ცომი გავაფუჭოთ.

— თქვენ ამას საკანიკულო დროს გატარებათ სთვლით?

— არა, ეს არის ჩემთვის სოციალოგიის საზაფხულო პრაქტიკული კურსი

— აჰა, მესმის.

— კოტონს უნებლიეთ გაეღიმა.

— შარშან პოლიტიკური ეკონომიის პროფესორებმა ათასნაირი თეორიები მოგვაყარეს. მაგრამ თეორიები რატომღაც არ ეფარდებოდენ სინამდვილეს და მე ვუთხარი ჩემს თავს: „მე ყველაფერი თვითონ უნდა გამოვცადო.“ თქვენ იცით ხომ ეს მყვირალა ფრაზები: ინდივიდუალიზმი' laissez faire, ხელშეკრულებათა თავისუფლება, უფლება, რომ ყოველ კაცს შეეძლოს თვითონ აირჩიოს სამუშაოს მიმცემი. აქ კი შეიძლება შედეგების ნახვა,—უფროსი მკაცრი ღიმი-

ლით და თოფით ხელში, რომელიც სპობს კანონს მანამდე, ვიდრე გუბერნატორი მის ხელის მოწერას მოასწრებდეს.

ინსპექტორმა ნახა, რომ ეყო მას ამდენი. ის წამოდგა—ბუნებრივია ბოლო მოელო ამდენი ლაპარაკისათვის.

— თუ გნებავთ, ყმაწვილო, ეხლა საქმეზე გადავიდეთ.

§ 22.

მან გაიარ-გამოიარა ოთახში და გაჩერდა ხოლის წინ. ის იდგა შარვლის ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი, ცოტა არ იყოს გამომწვეევი გრაციით პოზაში, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ეგუებოდა მის მოწოდებას. „დასწყეველოს ღმერთმა, რა კარგად გამოიყურება,—იფიქრა ხოლმა,—მიუხედავათ ტუჩის მკაცრი მოხაზულობისა და სახეზე გარყვნილების კვალის.“

— ყმაწვილო,—დაიწყო ინსპექტორმა, რაც შეეძლო გულკეთილი ტონით—მე არ ვიცი ვინა ხართ თქვენ, მაგრამ ვიცი, რომ თქვენ, როგორც გეტყობათ, ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი ხართ. თქვენ მაგარი ნერვები გაქვთ და მე აღტაცებული ვარ თქვენით. ამიტომ მე სიამოვნებით მზადა ვარ საქმე ისე მოვაგვარო, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, და საშუალება მოგცეთ ბოლომდე მოისმინოთ თქვენი სემესტრი.

ხოლი თვალს არ აშორებდა ინსპექტორის ეშმაკურსა და ფრთხილ ღიმილს.

— კოტონ სთქვა მან,—ილაპარაკეთ უფრო გარკვეულად. მაშასადამე მე მომიხდება განცხადება, რომ მე ფულს ვიღებდი?

— არა, მაგისაგან განთავისუფლებთ.

— და ალარ ჩამაჯენთ ციხეში?

— არა ამის შესახებ მე სერიოზულათ არც მიფიქრია არასოდეს, მე მინდოდა მხოლოდ თქვენი შეშინება. მე მოვითხოვ მხოლოდ ერთს: რომ თქვენ გაქრეთ აქედან და შეძლება მისცეთ ჩვენს მუშებს დაივიწყონ მთელი ეს ამბავი.

— კეთილი, მაგრამ მე რაღა სარგებელი უნდა ვნახო ამაში, კოტონ? მე რომ ნამდვილად მდომოდა აქედან წასვლა, ამას თავისუფლად ჩავიდენდი უკანასკნელ რვა-ათი კვირის განმავლობაში.

— თავისთავად ცხადია. მაგრამ ეხლა კი ეს საკვლებით ჩემს კეთილ სურვილზეა დამყარებული.

— დაანებეთ თავი თქვენ კეთილ „სურვილს“. თქვენ გინდათ, რომ უდავიდარაბოთ თავიდან მომიშოროთ,—ამას თქვენ ვერ შესძლებთ. ნურც კი იოცნებებთ ამის შესახებ.

ინსპექტორი გაშტერდა და დაუწყო მას ყურება.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ აქ დარჩენა გინდათ?

— სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა.

— არა, კმარა, ყმაწვილო! მე მეტი დრო ალარა მაქვს სახუმროდ! მე სამთო ინსპექტორი ვარ და ჩემს მოვალეობას შეადგენს წესრიგის დამყარება. მე თქვენ გეუბნებით: თქვენ უნდა მოგვშორდეთ თავიდან!

— მაგრამ, კოტონ,—სთქვა ხოლმა,—ნორტ-ვალი ქალაქია და მეც იმგვარივე უფლება მაქვს ვიყო აქ, როგორიც თქვენ.

— მე არ დავკარგავ დროს იმისათვის, რომ თქვენ გეფერებოთ; ჩაგაჯენთ ავტომობილში და ვუბრძანებ, რომ პედროში წაგიყვანონ.

— მერე რომ ავდგე და ოლქის პროკურორთან გიჩივლო?

— იმას ეგ სასაცილოდ არ ეყოფა.

— შტატის გუბერნატორს რომ მივმართო?

— ის კიდევ უფრო ხმამაღლა გაიცინებს.

— ჰო, კარგი, კოტონ, შეიძლება თქვენ კიდევაც იცოდეთ რასაც აკეთებთ. მაგრამ მე შევსძლებ შეგიცვალოთ სულიერი განწყობილება. თქვენ არასოდეს არ მოგსვლიათ აზრად, რომ თქვენი მოქმედება შეიძლება არ მოეწონოს თქვენ უფროსს?

— ჩემ უფროსს? ვის შესახებ ლაპარაკობთ?

— თქვენ ვალდებული ხართ შტატში **ერთ** ადამიანს გაუწიოთ ანგარიში, თუნდაც თქვენ არც გუბერნატორს და არც პროკურორს არაფრად აგდებდეთ. ეს ადამიანი არის პიტერ ხარრიგანი.

— პიტერ ხარრიგანი?—გაიმეორა ინსპექტორმა და ხმამაღლა გადიხარხარა.—რა ახირებული ხართ თქვენ ბოლოს და ბოლოს!

ხოლი განაგრძობდა დაკვირვებული თვალის დევნებას მისთვის.

— თქვენ სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ ის მოიწონებს ყველა თქვენ საქციელს?

— რა თქმა უნდა, მოიწონებს.

— ის მოიწონებს ნუშებთან თქვენი მოპყრობის მანერასაც? იცის მან, რომ მუშებს ატყუებენ წონაში?

— დასწყევლოს ღმერთმა! როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის ფულები თქვენი უნივერსიტეტისათვის?

ორივე გაჩუმდენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ინსპექტორმა გამომწვევი ტონით ჰკითხა ხოლს:

— საკმაო ცნობები მიიღეთ იმის შესახებ რის გაგებაც გინდოდათ?

— კი—სთქვა ხოლმა.—მე ყოველთვის მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ძალიან ძნელია ამაში სხვების დაჯერება, ვინაიდან ბებერი პიტერი არა ჰგავს ჩვეულებრივ დასავლეთის მგელს, ის ღვთისმორწმუნე ქრისტიანია.

ინსპექტორმა გესლიანათ გაიცინა.

— ვიდრე ცხვრები იარსებებენ, არ გამოილევიან არც მგლები ცხვრის ქურქში.

— მესმის; და თქვენ დამშვიდებული უცქერით, როგორ შეექცევიან მგლები ცხვრებს?

— თუ ცხვარი იმდენად უჭკოა, რომ შესაძლებელია მისი მოტყუება ძველი ცხვრის ტყავით, მაშინ ის შეეშმის ლირსიც არის.

ხოლი აკვირდებოდა ინსპექტორის ცინიკურ სახის გამომეტყველებას.

— კოტონ,—მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა მან,—მწყემსებს სძინავთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ მათი ძაღლები მთელი ღამე ჰყეფენ. თქვენ არ გესმით ჯერ კიდევ მათი ყეფა?

— მე არაფერი არ შემინიშნავს.

— და მაინც ისინი ჰყეფენ, ჰყეფენ, ჰყეფენ! ისინი გამოალვიძებენ მწყემსებს და უკანასკნელებიც მოეშველებიან ცხვრებს!

— რელიგია მე არ მაინტერესებს,—სთქვა ინსპექტორმა მოწყენილი სახით.—არც თქვენი და არც ბებერი პიტერის.

ხოლი სწრაფად წამოიჭრა ფეხზე.

— კოტონ, ჩემი ადგილი ფარასთან არის! მე მივდივარ ჩემს პოსტზე მიმღებ პუნკტთან.

ამ სიტყვებით ის გაემართა კარისაკენ.

§ 23

ჯეფ კოტონი გაედევნა უკან და დაუყვირა: „შეჩერდი!"

მაგრამ ხოლი შეუჩერებლივ მიდიოდა წინ.

— მიფრთხილდით, ყმაწვილო!—იღრიალა ინსპექტორმა.— გაანებეთ თავი მაგ ხრიკებს.

მან მიაღწია კარებს ტუჩალზე ჭმალ, მისი ხელი რევოლვერს ჩაევლო.

— ამოიღეთ რევოლვერი, კატონ,—უთხრა ხოლმა. ინსპექტორმა მართლა ამოიღო იგი.—აი ეხლა კი გაჩერდები. შემდეგში მე თქვენ დაგემორჩილებით მხოლოდ რევოლვერის ტუჩ ქვეშ.

ინსპექტორის წარბები მუქარით მოიგრიხენ.

— თქვენ კიდევ გაიგებთ, რომ ამ ადგილებში შეყენებული რევოლვერისა და სრილის შუა დიდი გაასხვავება არ არის.

— მე განგიმარტეთ თქვენ ჩემი თვალსაზრისი. რას მიბძანებთ ეხლა.

— დაბრუნდით უკან და დაჯექით.

ხოლი დაჯდა. ინსპექტორი ტელეფონთან მივიდა.

— შვიდი ნომერი!—წაილაპარაკა მან და შეიცადა ერთი წუთი. ეს თქვენა ხართ, ტომ? მოიყვანეთ დაუყონებლივ ავტომობილი.

მან ჩამოჰკიდა მილი. ჩამოვარდა სიჩუმე. ბოლოს ხოლმა ჰკითხა?

— პედროში წამიყვანენ?

არავითარი პასუხი აო იყო.

— მე ვატყობ, რომ ნერვებს გიშლით,—შენიშნა ხოლმა.—მაგრამ განა თქვენ არ გახსოვთ, რომ გასულ ღამეს თქვენ მე მთელი ჩემი ფულები წამართვით? გარდა ამისა, მე ჯერ კიდევ ანგარიში უნდა გამისწოროს კომპანიამ, ცოტა რაც მერგება მისგან.

ინსპექტორმა გამოიძახა სხვა ნომერი.

— ალლო, სიმსონ! აქ კოტონია! იანგარიშეთ, რა ერგება ჯო სმიტს, თანაშემწეს მეორე ნომერში, და გამოგზავნეთ აქ ფული; აგრეთვე მისი ანგარიში დუქანში; გიცდით; სმიტი წასვლას აჩქარობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მითხარით,—ჰკითხა ხოლმა,—მიკე სიკორიასთვისაც ეგრე გულმოდგინეთ სცდილობდით?

მან ისევ ჩამოჰკიდა მილი.

ინსპექტორი სდუმდა.

— წინადადებას გაძლევთ ჩემი სარგო ფულის ნაწილი ხელწერილობით მომცეთ. მე მინდა ისინი სახსოვრად შევინახო.

ინსპექტორი მაინც კიდევ არ აძლევდა პასუხს.

— იცით თუ არა თქვენ,—განაგრძობდა პატიმარი,—რომ ხელწერილები აკრძალულია კანონით?

ინსპექტორი ისე გაბრაზდა, რომ ვერ მოითმინა და სთქვა:

— ჩვენ ხელწერილებით არ ვუასწორებთ არავის ანგარიშებს.

— არა გეთაყვა, კი უსწორებთ, თქვენ ეს მშვენივრად მოგეხსენებათ.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშები წინდაწინ ითხოვენ ფულს.

— კანონის მიხედვით, თქვენ ყოველ ორ კვირაში უნდა ურიგებდეთ ფულს, მაგრამ თქვენ ამას არ სჩადიხართ. თქვენ მხოლოდ ერთხელ ასწორებთ ანგარიშს თვეში, ხოლო, თუ მანამდე მუშას ფული დასჭირდა თქვენ აძლევთ მას ამ ყალბ ხელწერილის.

— მუშები ხომ კმაყოფილი არიან. მაშასადამე ჩვენ ვერავინ ვერაფერს დაგვაყვედრის.

— თუ მუშებმა გამოამჟღავნეს, რომ ისინი უკმაყოფილონი არიან, მათ ჩასვამენ მატარებელში და გაიყვანენ სადმე.

ინსპექტორი სდუმდა და კანტორის მაგიდაზე მოუთმენლად თითებს აკაკუნებდა.

— კოტონ,—დაიწო ისევ ხოლმა,—მე მინდა ცოტა რამ ვისწავლო; მომეხმარეთ, რომ გამოვიყვანო ასეთი ფსიქოლოგიური ამოცანა: რასა გრძნობს თავის გულის სიღრმეში ადამიანი, რომელიც ისე იქცევა, როგორც თქვენ?

— ყმაწვილო,—სთქვა ინსპექტორმა,—მაპატიეთ, მაგრამ თქვენ მოსაწყენი ხდებით.

— ჰო! მაგრამ ჩვენ კიდევ ერთად მგზავრობა მოგველის ავტომობილით! ხომ არ შეგვიძლია, რომ მთელი გზის განმავლობაში ჩუმად ვისხდეთ!

შემდეგ მან დაუმატა მლიქვნელი ტონით:

— მართლა, მე ძალიან მინდა ვიცოდე, შეიძლება თქვენ შესძლოთ ჩემი კეთილ გზაზე დაყენება?

— არა,—უპასუხა კოტონმა,—მაგის ხელის მოკიდებას მე ვერ ვიფიქრებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე, სულ ერთია, ვერ გაუვალ თქვენს გაუთავებელ ლაპარაკს. მე უკვე შემთხვევა მქონია მომესმინა თქვენთვის, აგიტატორებისათვის, მე ვიცნობ თქვენს ლაყბობას. თქვენ ყველანი ერთნაირები ხართ, ყველანი ფიქრობთ, რომ ქვეყნის მართვა ცალიერი ლაპარაკით შეიძლება,—მაგრამ სრულებითაც არ არის ეგრე.

ხოლი თანდათან რწმუნდებოდა იმაში, რომ მისი სიტყვიერი დუელი

ინსპექტორთან არავითარ შედეგს არ მოიტანს. ის ცდილობდა რაც შეეძლო, ედავებოდა, ემუქრებოდა, ეუბნებოდა ათასს მოგონილ ამბავს, მლეროდა კიდეც მის წინ!

ხოლი განაგრძობდა კამათს, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ავტომობილის მოსვლამდე როგორმე დრო მოეკლა. გარდა ამისა, ის განიცდიდა დამცირების გრძნობას და უნდოდა სადავე მიეშვა თავისი უკმაყოფილებისათვის. ეხლა ის გაჩუმდა. მისი ყურადღება მიიქცია, სხვათა შორის, ინსპექტორის სიტყვებმა. „თქვენ ფიქრობთ, რომ ქვეყნის მართვა ცალიერი ლაპარაკით შეიძლება". სწორედ ამგვარივე სიტყვების თქმა უყვარდა ხოლის ძმას. „თქვენ, აგიტატორებო!"—სთქვა ინსპექტორმა. ძმა ყოველთვის აგიტატორს ეძახდა დაცინვით ხოლს: „შენ უეჭველად იმითი გაათავებ, რომ აგიტატორი გახდები!" ხოლი კი ამაზე ჩვეულებრივი ბავშური ენინიანობით უპასუხებდა: „რატომაც არა?" დღეს კი ინსპექტორმა ხუმრობით კი არა, სრულიად სერიოზულად მას აგიტატორი უწოდა, ბოდიშიც არ მოუხდია მიუხედავად იმისა, რომ ის გარეშე პირი იყო და, მაშასადამე, არ ჰქონდა არავითარი ნათესავური უფლება, რომ ხოლისათვის ასე უხეშად მიემართა. ეს კიდევ ცოტა. მან რამდენჯერმე გაიმეორა ფრაზა: „თქვენ, აგიტატორები, ჩუმათ მოდიხართ აქ და ცდილობთ აამხედროთ მუშები"...

აი რა თვალით უცქეროდა ხოლს საყოველთაო სათბობი მასალის კომპანია! ის მოვიდა აქ უბრალო მაყურებლად, მას უნდოდა გემის ბაქანზე დგომა და იქიდან სოციალური უბედურების ოკეანისათვის თვალის დევნება. ის სწონიდა ყოველ თავის ნაბიჯს, ბოლოს და ბოლოს მას უნდოდა მხოლოდ კონტროლიორი გამხდარიყო, სხვა არაფერი! ის უხსნიდა ტომ ოლსონს, რომ მუშათა კავშირის ორგანიზაციის საქმეს იგი ხელს არ მოჰკიდებს. ის ყოველთვის უნდობლად უცქეროდა კავშირების ორგანიზატორებს, საერთოდ ყოველგვარ აგიტატორებს: ისინი ეჩვენებოდენ მას დაბრმავებულ, უპასუხისმგებლო გამვლელებად, რომლებიც დაეხეტებიან ადგილიდან ადგილზე და ყველგან საშიშ ვნებათა ღელვას იწვევენ. მართალია ის აღტაცებული იყო ტომ ოლსონით,— მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ ნაწილობრივ არბილებდა მის წინასწარ შეხედულებას. ოლსონი ი შ ვ ი ა თ ი გამონაკლისი იყო, რაც არაფერს არ ამტკიცებდა.

თუმცა ყოველივე ამას კომპანიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, უნაყოფო გამოდგა აგრეთვე მისი ცდა, დაემტკიცებია კოტონისათვის რომ ის მაღალ კლასს ეკუთვნის. მიუხედავად მთელი მისი „კარგი მანერებისა" ინსპექტორმა მაინც სთქვა: „ეხ, თქვე აგიტატორებო", რაშია ამის მიზეზი! ნუ თუ ის, ხოლ უორნერი, მართლა წააგავს იმ დაბრმავებულ, უპასუხიმგებლო გამვლელებს? დრო არის რიგიანად აათვალიერ-ჩაათვალიეროს საკუთარი თავი!

ნუ თუ ორი თვის „ბინძურმა მუშაობამ" მიწის წიაღში, ამდენად შესძლო მისი გამოცვლა? ასეთი აზრი არა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო „ქალთა გულის მომხიბლავისათვის". ნუ თუ მან ისე დაიწყო ლაპარაკი, როგორც იმათ?

მან, რომელსაც ბლარნი სტონისათვის უკოცნია? ინსპექტორმა ახსენა ლაუ-
ბობა. ვსთქვათ, რომ მან ძალიან ბევრი ილაპარაკა. მაგრამ, [illegible] შეიძლებოდა
სხვაფრივ მომხდარიყო მას შემდეგ, რაც მან სატუსალოში [illegible] და ერთი
დღე გაატარა და მაშასადამე, საკმაო დრო ჰქონდა ეფიქრნა მისთვის მიყენე-
ბულ შეურაცყოფაზე? შეიძლება სწორედ საპატიმრო, სადაც პატიმარი დამწყვ-
დეული იყო ცალკე თავის შეურაცყოფასთან ერთად, ის გრდემლი გამოდგა,
რომელზედაც ნამდვილი აგიტატორები იჭედებიან.

ხოლს გააჩსენდა ფიქრები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდენ მას სა-
პატიმროში. ის მაშინ სასტიკად იყო გაბრაზებული და არაფერი საწინააღმდეგო
არა ჰქონდა იმისი, რომ ნორტ-ვალში მუშათა კავშირი დაარსებულიყო. მაგრამ
ეს წუთიერი განწყობილება იყო მსგავსი იმისა, რომელმაც ერთხელ მას პასუხი
ათქმევინა თავის ძმისათვის; სატუსალოს ფსიქოლოგია—ეს არის ერთი პატარა
ფურცელი სოციოლოგიის საზაფხულო პრაქტიკული კურსიდან. მას ეგონა, რომ
მან უკვე მოასწრო ამ განწყობილებისაგან განთავისუფლება, მაგრამ აღმოჩნდა,
რომ მან გაცილებით უფრო ღრმა კვალი დასტოვა მასში, ვიდრე ეს იმას
წარმოედგინა, მან გარეგნულადაც კი შესცვალა იგი. მას ჰქონდა აგიტატორის
შეხედულება! ის „დაბრმავებული“, იყო, ის გადაიქცა „უპასუხისმგებლო“ პი-
როვნებად!

ჰო, მაგრამ ეს ასე იყო! სიბინძურე, უმეცრება, მოტყუება და შევიწრო-
ება, დამახინჯება ადამიანთა სხეულის და სულის ამერიკის ნახშირის მაღაროებ-
ში—ყველაფერი ეს სრულებითაც არ არსებობდა, ეს მხოლოდ ფანტაზია არის
„უპასუხისმგებლო“ ტვინის და მეტი არაფერი. ხოლის ძმა და სამთო ინსპექ-
ტორი ადასტურებენ ამას, ამასვე ამოწმებდა მთელი ქვეყანა! არ იყვნენ ხომ
ბრმები მისი ძმა და ინსპექტორი, ბრმა ხომ არ იყო მთელი ქვეყანა! თუ ვინმე
მიუთითებდა მათ ამ არანორმალურ პირობებზე, ისინი მხოლოდ მხრებს იჩეჩ-
დენ, უწოდებდენ ასეთ კაცს „მეოცნებეს“ ან „სულელს“, ეუბნებოდენ, რომ
მას გონება დაუკარგავს, ან ბრაზი მოერევოდათ და ყვიროდენ: „შენ აგიტა-
ტორი ხარ!“

§ 24.

ნორტ-ვალის სამთო ინსპექტორი იმდენად აღელვებული იყო, რომ ერთ
ადგილას ჯდომას ველარ ახერხებდა. მისი გონებრივი თვალის წინაშე გაიარა
მთელმა იმ უსიამოვნებამ და დავიდარაბამ, რომელიც მის პროფესიასთან არის
დაკავშირებული. ის დადიოდა ოთახში წინ და უკან და ამბობდა იმის და
მიუხედავად უგდებდა ხოლი მას ყურს თუ არა.

— ტილიანი უცხოელების ბანდა! კულტურული ენა არ ესმით, იმათ
მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: დასძვრენ მუშაობას ხელიდან, გაავსონ რონოდა
ზიფერით და ქვის ლოდებით და შემდეგ, დამნაშავედ სხვები გამოიყვანონ. და
ლოთობა! მათ არ იციან პატიოსანი მუშაობა, პატიოსანი ბრძოლა. კუთხიდან
ვინმესთვის დანის ჩაკვრა ზურგში—ეს მათ ჩვეულებას შეადგენს! შემდეგ მობ-
ძანდებით თქვენ, აგიტატორები, სიმპატიით და თანაგრძნობით აღსავსენი. რა

ეშმაკად მოეხეტებიან ეს ოხერ-ტიალები ჩვენს ქვეყანაში, თუ აქ მათ ცოტა უკეთ არ ეცხოვრებათ, ვიდრე თავიანთ სამშობლოში?

ხოლმა ეს კითხვა ჯერ კიდევ წინად გაიგონა, მაგრამ ბაბინსკაფერი არ უპასუხა. ეხლა კი, სულ ერთია, მაინც ავტომობილისათვის უნდა ეცადათ და, გარდა ამისა, რა კი ის აგიტატორებში ჩაეწერა, მას უნდოდა რაც შეიძლება მეტად გაებრაზებია თავისი მოწინააღმდეგე.

მიზეზი სავსებით ნათელია,—უპასუხა მან.—საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის აგენტები საზღვარ გარედ ათასგვარ ზღაპრებს ავრცელებენ მაღალი ხელფასის შესახებ ამერიკაში.

— მერმე არ იღებენ განა მას მუშები? მუშის ხელფასი აქ სამჯერ უფრო დიდია ვიდრე მათ ქვეყანაში.

სრული ჭეშმარიტება არის, მაგრამ აქედან ძალიან ცოტას იგებს მუშა. აგენტებს ავიწყდებათ დაუმატონ, რომ აქ ყველაფერი იმდენად ძვირია, რომ არავითარი ხელფასი არა შველის კაცს. გარდა ამისა, მათ არწმუნებენ, რომ ამერიკა თავისუფლების ქვეყანაა. და აი ისინიც მოდიან აქ იმ იმედით, რომ გაბედნიერდებიან როგორც თვითონ, ისე მათი ბავშვები. მაგრამ რას ნახულობენ აქ? უფროსს, რომელმაც სრულიად დაჰკარგა ყოველივე წარმოდგენა გეოგრაფიაზე, და ფიქრობს, რომ როკი მაუნტინი *) სადღაც რუსეთში მდებარეობს.

— ვიცი ეგ მიდებ-მოდება!—მოუთმენლად გააწყვეტინა ინსპექტორმა.—ახალგაზრდობაში მეც ვაფრიალებდი ოდესლაც ვარსკვლავებიან დროშას; მაგრამ როდესაც მაღაროებზე მოხვდები, მაშინ გაიგებ თანდათან, რომ ეს სულ სხვა საქმეა, ვიდრე „ოთხი ივლისის“ დღესასწაულის მოწყობა. აი მაგალითი; სასულიერო წოდებამ შესძლო კანონის გაყვანა, რომელიც კრძალავს კვირაობით მუშაობას; შედეგად? შედეგად მხოლოდ ის, რომ მუშის განკარგულებაშია ზედმეტი ოცდათექვსმეტი თავისუფალი საათი, რომ ოგრეჯობლად დაითროს და ორშაბათს მოვიდეს სამუშაოზე სრულიად გამოუსადეგარი სახით.

ასეთი მოვლენის წინააღმდეგ ერთი კარგი საშუალება არსებობს. შეწყვიტოს, მაგალითად, კომპანიამ სამიკიტნოების იჯარით გაცემა.

— ღმერთო ჩემო! თქვენა გგონიათ, რომ ჩვენ არა ვსცადეთ ეგ? მუშები სრულიად დამშვიდებული მიდიოდენ პუდროში და მოათრევდენ იქიდან მუცლებით და ბოთლებით იმდენ ალკოჰოლს, რამდენის ზიდვაც კი შეეძლოთ. ჩვენ თუ ავკრძალეთ მაგარი სასმელების გაყიდვა, მაშინ მუშები ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის მიაჭანებს ბორბლებს სულელი,
ის ინდუსტრიის ბორბლებს აჭანებს
ჭამა-სმაზე და შკოლებზე იგი
ბორბლების ელფერს მაღლა აყენებს.

— ჰო,—წაიბუზღუნა ინსპექტორმა,—თქვენთვის, ახალგაზრდებისათვის, ადვილია რითმების რახა-რუხი, როდესაც თქვენ დამშვიდებით და არხეინად სცხოვრობთ მოხუცი პიტერის ფრთის ქვეშ. მაგრამ ეს არის პასუხი ჩემს კითხვაზე. აბა სცადეთ თქვენ სტუდენტებმა, თვითონ ჩაუდგეთ საქმეს სათავეში და უხელმძღვანელოთ მას. ან და მოჰკიდონ ამას ხელი ყველა იმ დემოკრატიულმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც მოდიან, როშავენ ათასგვარ სისულელეს თავისუფლების შესახებ და ახერხებენ გაიყვანონ რაღაც მუშათა კანონმდებლობა ამ წუნკალებისათვის.

— მე ვიწყებ თქვენს გაგებას,—სთქვა ხოლმა, თქვენ არ გიყვართ ისეთი კანონების გამყვანი პოლიტიკოსები, რომელთა მოტივებში თქვენ ეჭვი გეპარებათ და ამის გამო გვერდს უხვევთ მათ შესრულებას. რატომ ადრევე არ მითხარით, თუ თქვენ ანარქისტი იყავით?

— ანარქისტი!—წამოიძახა ინსპექტორმა.—მე ვარ ანარქისტი?

— ჰო თქვენ ისე იქცევით, როგორც ანარქისტი.

— ღმერთო დიდებულო! ეს კი მეტისმეტია! აი თქვენ მოდიხართ აქ, აღელვებთ ნუშებს,—ვინც არ უნდა იყოთ, კავშირების ორგანიზატორი, აგიტატორი, სულერთია,—და ამასთან ერთად მშვენივრად იცით, რომ თუ ამ ხალხმა ბუნტი ასტეხა, ისინი ნალმებსაც კი ჩააწყობენ მაღაროებში და გადასწვავენ ყველა შენობებს.

— ნუ თუ ისინი მართლა ჩაიდენენ ამას?—განცვიფრებული კილოთი ჰკითხა ხოლმა.

— განა არ წაგიკითხავთ, თუ რა მოხდა უკანასკნელი დიდი გაფიცვების დროს? ამ მოლუშულ ბებერს, მოქადაგე ედსტრომს, ბევრი რამ შეეძლო ეამბნა ამის შესახებ თქვენთვის. ის ხომ თვითონ ერია ამ ბანდიტების რიცხვში.

— არა,—სთქვა ხოლმა,—თქვენ სცდებით. ედსტრომს სულ სხვა ფილოსოფია აქვს. მაგრამ მე მზად ვარ დავიჯერო, რომ სხვები იზამდენ ამას; მას შემდეგ, რაც მე აქა ვარ, მე ბევრი რამეს გაგება ვისწავლე. ალბად, როდესაც ისინი ცეცხლს უკიდებდენ შენობებს, ფიქრობდენ, რომ თქვენ და ალეკ სტონი შიგ იყავით.

ინსპექტორი წინანდებურად სერიოზული იყო.

— ისინი ანგრევენ ქონებას,—განაგრძობდა ხოლი,—ვინაიდან არ იციან უკეთესად როგორ მიუზღან სამაგიერო კაპიტალისტებს მათი სიხარბისა და ტირანიის გამო. მაგრამ წარმოიდგინეთ, კოტონ, რომ უცებ ვინმემ ჩააგონა მათ ახალი იდეა და უთხრა: „ქონებას კი ნუ ანგრევთ, დაისაკუთრეთ იგი თქვენ თვითონ!“

ინსპექტორმა შეხედა ხოლს.

— დაისაკუთრონ? აი თურმე როგორი ზნეობრივი შეხედულების ადამიანი ყოფილხართ!

— ყოველ შემთხვევაში ეს გაცილებით უფრო ზნეობრივი საშუალება არის ქონების დასაკუთრებისათვის, ვიდრე ის, რომლითაც დაისაკუთრა ქონება ბებერმა პიტერმა.

— რომელ საშუალებაზე ლაპარაკობთ თქვენ?—აენთო ინსპექტორი.— რამდენადაც მე ვიცი მან იყიდა იგი ნაღდი ფულით საბაზრო ფასის მიხედვით.

— პოლიტიკოსების საბაზრო ფასის მიხედვით. უესტერნ სიტიში მე შემთხვევით გავიცანი ერთი ქალი, რომელიც სასკოლო საბჭოს წევრი იყო იმ დროს, როდესაც პიტერი სკოლებისათვის გადადებული მიწების შესყიდვას აწარმოებდა მთელ შტატში. ეს მიწები, როგორც ყველამ იცის, მდიდარი იყო ნახშირით. მან მისცა თითო დოლარი ქცევაში, მაშინ როდესაც ყველამ კარგად იცოდა რომ ასეთი ქცევა ღირდა სულ მცირე, ათასიდ ოლარი.

— ჰო, მაშ,—სთქვა კოტონმა,—თუ პოლიტიკოსები თვითონ არ მოისყიდე, მაშინ ერთ მშვენიერ დილას გაიღვიძებ და დაინახავ, რომ ისინი უკვე სხვას მოუსყიდია. უნდა დაიცვა შენი უფლებები საკუთრებაზე.

— კოტონ,—სთქვა ხოლმა,—თქვენ ჰყიდით ბებერ პიტერს თქვენს დროს, მაგრამ თქვენი ტვინის ნაწილი თქვენ შეგეძლოთ პირადი საჭიროებისათვის შეგენახათ, იმდენი მაინც, რომ თქვენი თვიური ჯამაგირის გამოანგარიშების დროს დარწმუნებულიყოთ იმაში, რომ თქვენც იგივე ხართ, რაც დაჭირავებული მონა, ჩვეულებრივი მაღაროს მუშა, რომელიც თქვენ ასე ძლიერ გეზიზღებათ.

ინსპექტორმა გაიღიმა.

-- თანახმა ვარ, ჩემი ჯამაგირი შეიძლება მეტი ყოფილიყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უკეთ მეცხოვრება, ვიდრე თქვენ, აგიტატორებს. ჩემი მდგომარეობა მკვიდრია. მე მაგრად ვდგევარ ფეხზე!

— ეხლა მე მესმის, კოტონ, თქვენ გონებას გიხშობთ თქვენი მსოფლმხედველობა. ეს ხომ ძალლური ღრენა არის მოკლებული რწმენას ადამიანობაში. არ იფიქროთ, რომ დაგცინით,—მე გეუბნებით სრულიად გულწრფელად. მე არც ისე ახალგაზრდა ვარ და უჭკუო, რომ თქვენი მდგომარეობა ვერ გავიგო. მაგრამ ხომ უნდა იყოს ადამიანში ისეთი რამ, რაიც აგრძნობინებდა მას, რომ ის მარტო ძალლი კი არ არის, არამედ მასში დამარხულია უკეთესი შესაძლებლობანი. იფიქრეთ აბა ამ საბრალოების შესახებ, ოფლში რომ იწურებიან მაღაროებში, დღისით და ღამით საფრთხის მოლოდინში, რათა უზრუნველგვყონ საჭირო ნახშირით თქვენ, მე და სხვანი, ეს ხომ ის ხალხია, ვისაც მოძრაობაში მოჰყავს ინდუსტრიის ბორბლები...

§ 25

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლის თქმა კიდევ მოასწრო ხოლმა. სიტყვები ჩვეულებრივი იყო, მომენტის შესაფერი. შემდგომ, როდესაც ის იგო-

ნებდა მათ, მას ეგონა, რომ ეს რაღაც სასწაულებრივი შეხვედრა იყო, ვინაიდან სწორედ მაშინ, როდესაც მან ასე გაშალა ენა, იმ საბრალოებს მიწის წიაღში ერთი იმ მოვლენათაგანი დაატყდათ თავზე, რომლებიც ქმნიან მაღაროს ცხოვრების საშინელებასაც და რომანტიკასაც. ერთმა მიწინ ეკვემ მომუშავე (მიუხედავად კანონისა ბავშვების დაცვის შესახებ) მოზარდთაგანმა, პატარა ვაჟმა, რომლის მოვალეობას შეადგენდა დატვირთული რონოდების ბორბლებს ქვეშ ჯოხების დადება მათ გასაჩერებლად, ვერ იმარჯვა. როდესაც მან შეუდო ჯოხი, რონოდა უკვე მოძრაობაში მოვიდა. ბავშვი კედელთან მიაგდო, ხოლო მძიმე, თავამდე დატვირთული რონოდა თავდაღმა დაქანდა. ექვსიოდე კაცი დაედევნა უკან, მაგრამ სამწუხაროდ გვიანღა იყო. რონოდამ საშინელი სისწრაფე განავითარა, მიაღწია მოსახვევს, ასცდა ლიანდაგს და შეიჭრა იქვე დაყრილ მარწუხებში. მარწუხები გაიფანტენ ყოველი მხრით და ააყენეს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დაგროვილი მტვერი; რონოდა გაედო ელექტრონის მავთულს, გაანათეს ნაპერწკლებმა.

და აი, სწორედ მაშინ, როდესაც ხოლი ელაპარაკებოდა ინსპექტორს, გაისმა დამაყრუებელი ქუხილი, ხოლმა უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგონა. ჰაერი ოთახში თითქოს გაცოცხლდა, თითქოს მან უცებ მატერიალური ძალა მოიხვეჭა: ხოლი შეირყა ისე, რომ იატაკზე დაეცა. ფანჯარა ლიწინით დაიმტვრა, მინის ნამსხვრევები ოთახში მიმოიფანტნენ, ჰერიდან კირი ჩამოცვივდა.

როდესაც გონება დაბნეულმა ხოლმა სცადა ზეზე წამოდგომა, მან იატაკზე გაშლილი ინსპექტორი დაინახა. მათ საშინელებით სავსე თვალებით შეხედეს ერთმანეთს. მაგრამ, ვიდრე ისინი ზეზე ადგომას მოასწრებდენ, მათ ზემოთ გაისმა ლიწინი: ნახევარი ჭერი ჩამოინგრა, ერთი მარწუხთაგანი ჩამოვარდნის დროს დაეკიდა. ყოველი მხრიდან ისეთი ქუხილი და ლაწა ლუწი მოისმა, თითქოს მეორედ მოსვლა დაწყებულიყოს.

ისინი წამოცვივდენ ზეზე და მიაშურეს კარებს, მაგრამ გასავალი გახეთქილი მარწუხის ნატეხს გაეკავებია. ისინი გადახტენ განზე. „სარდაფში!"— იყვირა ინსპექტორმა, გაექანა ძირს კიბეზე.

როგორც კი ჩავიდენ შიგ, გუგუნი და ქუხილი მიწყნარდა.

— რა ამბავია ეს?—ძლივს წაილაპარაკა სუნთქვა შეგუბებულმა ხოლმა.

— მაღაროში აფეთქება მოხდა!—სთქვა კოტონმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი ისევ ეცენ გასავალს.

მაღლა ამართულიყო ცეცხლის და კვამლის უზარმაზარი, თვალისმომჭრელი სვეტი. ის თანდათან იზრდებოდა, ფართოვდებოდა, და დასასრულ ყველაფერი ირგვლივ მუქმა სიბნელემ დაჰფარა. ნახშირის მტვერი და ნაგავი წვიმასავით დასდიოდა სოფელს თავზე. ბოლოს როდესაც მათ შესძლეს საკუთარი თავისათვის ანგარიშის მიცემა მომხდარ ამბავში, იმათ შენიშნეს, რომ მაღარო № 1 უკვალოდ გამქრალა.

— აფეთქებულა, ღმერთო,—დაიყვირა ინსპექტორმა.

ისინი გავარდენ ქუჩაში. უკან რომ მოიხედეს, შენიშნეს, რომ კოტონის კონტორაზე სახურავის ნაწილი ჩაქცეულა.

ნახშირის წვიმა შეწყდა. მაგრამ ქუჩებში ჯერ კიდევ ბრბოდენ სქელი ლრუბლები დაიხლაბნებოდენ. ორივენი ჭვარტლით გაიმურენ უცებ. ლრუბლები თანდათან სქელდებოდენ, და მალე ისე დაბნელდა, რომ საკუთარი ხელის დანახვაც კი ალარ შეიძლებოდა. მაშინვე მკვდარი სიჩუმე გამეფდა; აფეთქების გულშემხარავი ქუხილისა და ჩამოცვენილი ნამსხვრევების ლიწინის შემდეგ, ეს სიჩუმე სიკვდილის დუმილს წააგავდა.

რამდენიმე წამს ხოლი სრულიად დაყრუებული იდგა. მან დაინახა, რომ სამტვრევიდან ჩოჩქოლით გამოცვივდა ხალხი, მუშები და მოზარდები: ყველა ქუჩებიდან მოაწყდენ ქალები, ბებრები და ახალგაზდები, რომლებსაც მიეგდოთ სახლში ცეცხლზე მიდგმული სადილი, ძუძუმწოვარი ბავშვები. უფრო მოზრდილი ბავშვები დედების კალთებს ჩასჭიდებოდენ. ყოველივე ეს სქელ ბრბოებად აწვებოდა მაღაროში ჩასასვლელ ადგილს, რომელიც ეხლა კვამლით მქშინავ ვულკანს წარმოადგენდა.

გამოჩნდა კორტრაიტი, მთავარი ზედამხედველი. ის გარბოდა იმ შენობის მიმართულებით, სადაც საევენტილიაციო მანქანები იყო მოთავსებული. კოტოხი დაეწია კორტრაიტს, მას თან გაჰყვა ხოლი. შენობა ნანგრევების გროვას წარმოადგენდა; გიგანტიური ჰაერის საქაჩავი მანქანა სრულიად დამანჭული და დამტვრეული შენობიდან ას ნაბიჯზე ეგდო. ხოლი ჯერ კიდევ საკმაოდ გამოცდილი არ იყო სამთო საქმეში, რომ გაეგო, თუ რას ნიშნავდა საევენტილაციო მანქანის დალუპვა, მაგრამ მან დაინახა, როგორ გაქვავდენ თავზარდაცემული ინსპექტორი და მთავარი ზედამხედველი და როგორ შეხედეს ერთმანეთს. კოტოხმა წაილუღლუღა. „ეხლა კი ყველაფერი გათავდა!" კორტრაიტი ჩუმად იდგა. თხელი ჩარბები მაგრად მოეკუმა, მის თვალებში საშინელება იხატებოდა.

სამივენი ისევ მაღაროს კვამლიანი სათავისაკენ გაეშურენ. აქ შეჯგუფულიყვნენ რამდენიმე ასეული ქალი, გაისმოდა ყვირილი, კითხვები. ქალები მაშინვე შემოეხვიენ გარს ინსპექტორს, შემდეგ მთავარ ზედამხედველს, მიმართავდენ სხვა ზედამხედველებსაც, ხოლსაც კი მიესიენ. ისტერიულად იძახდენ პოლონურ, ჩეხურ, ბერძნულ ფრაზებს და სიტყვებს. ხოლს არაფერი არ ესმოდა და მას შეეძლო მხოლოდ უსიტყვოდ გაექნია თავი, მაშინ ისინი ასტეხდენ მოთქმას, კვნესას, ღმუილს. ზოგი ჩუმად იდგა და თვალები მაღაროში ჩაეშტერებია, სხვები თვალებზე ხელს იფარებდენ, ან მოთქმით ეცემოდენ ძუხლებზე და ხელაპყრობილი ხმამაღლა მოსდგებოდენ ლოცვას.

თანდათან ხოლის წარმოდგენაში მკაფიოდ მოიხაზა მომხდარი კატასტროფის მთელი საშინელება. იმდენად შემზარავი არ არის ეს გრგვინვა, კვამლი, სიბნელე, ეს გაგიჟებული და აღრიალებული ქალები, და ყოველივე ის, რაც მიწის ზედაპირზე იყო, რამდენად საშინელია ის, რაც ხდებოდა ძირს, მაღაროს სილრმეში! იქ ხომ ხალხი იყო! ხოლი იცნობდა იმ ხალხს, არა ერთხელ გახუმრებიან ხოლი და ისინი ერთმანეთს, არა ერთხელ უცინია მას იმათთან ერთად. მათი ყოველდღიური ცხოვრება მისთვის ახლობელი შეიქნა. და ამ

წუთს ბევრი მათგანი, შეიძლება ასეულები, აწყვიან აქ, მის ფეხ ქვეშ, მკვდრები, დაგლეჯილი, დამახინჯებული. რას გააკეთებენ ესენი ზევით მათთვის, რითი უშველიან მათ? ხოლმა სცადა კოტონთან მისვლა, რომ გამოეკითხა მისთვის, მაგრამ ინსპექტორი ქალების მაგარი რკალით იყო გარსშემორტყმული ყოველი ნახროდან. ის ერეკებოდა ყველას, რომ თავიდან მოეშორებია ისინი.

— წადით! სახლებში წადით!

— როგორ?—ყვიროდენ ქალები,—ჩვენ დამშვიდებული წავალთ სახლებში, როდესაც ჩვენი ქმრები ძირს, მაღაროში იღუპებიან!

და ისინი კიდევ უფრო მჭიდროდ, ტირილით და მოთქმით, ეხვეოდენ გარშემო ინსპექტორს.

— დაიშალენით! წადით!—განუწყვეტლივ ყვიროდა იგი.—ტირილით ვერაფერს უშველით. ჯერ კიდევ არაფერი არ შეიძლება. წადით შინ! დაიშალენით!

ის იძულებული შეიქნა მთელი თავისი ძალა მოეხმარა იმისთვის, რომ დაეხევინებინა მათთვის მაღაროში ჩასასვლელი ადგილიდან, ვინაიდან ამ საერთო ჩოჩქოლში ისინი ადვილად ჩაცვივდებოდენ ძირს.

საითაც კი მიიხედავდა ხოლი, ყველგან მწუხარებით მოხრილ ქალებს ხედავდა. ერთნი იდგენ უძრავად, ფართოდ გახსნილი თვალებით, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ მყოფნი; მეორენი მიწაზე ისხდენ და იქით-აქეთ ირხეოდენ; ზოგი დაჩოქილი იყო და თვალები ზეცისკენ მიეპყრო ვედრებით; შეშინებულ ბავშვებს დედების კაბებში მაგრად ჩაებღუჯათ ხელი. ხოლმა შენიშნა ერთი ავსტრიელი ქალი, საცოდავი, ფერმკრთალი ახალგაზდა არსება, გახეული რუხი თავსაფრით; ის აშვერდა ხელებს და ყვიროდა: „ქმარი! ჩემი ქმარი!“ შემდეგ მან მიიფარა სახეზე ხელები და მისი ყვირილი უხმო გამწარებულ ქვითინად გადაიქცა: „ო, ჩემო ქმარო! ჩემო ქმარო!“ ის მოტრიალდა და ისე შეტორტმანდა, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი პირუტყვი. ხოლს ვერ მოეშორებია ამ ქალისთვის თვალები, თითქოს ისინი მიჯაჭვული იყვნენ მასზე. მისი განუწყვეტელი ძახილი და ყვირილი თითქოს ლეიტმოტივი იყო ამ საშინელების გრანდიოზული სიმფონიისა.

ხოლს არა ერთხელ წაუკითხავს გაზეთებში მაღაროებში მომხდარ უბედურ შემთხვევათა აღწერა; მაგრამ აქ ის კატასტროფას პირდაპირ თვალებში უცქეროდა. საგაზეთო აღწერებმა სისხლი და ხორცი შეიბა. განსაკუთრებით აუტანელი იყო მისთვის თავისი სრული უძლურების შეგნება დახმარების საქმეში, შეგნება, რომ ამ წუთში მთელ ქვეყანას არ შეუძლია დახმარების გაწევა; ეს გაიგო მან კოტონის წამოძახილიდან, ზედამხედველების მიერ წამოსროლილი სიტყვებიდან. წარმოუდგენელი, გასაგიჟებელი იყო ეს ამბავი, მაგრამ ეს მაინც ასე იყო. აუცილებელი იყო ახალი სავენტილიაციო მანქანის დადგმა, და სხვა არაფერი დარჩენილიყო გარდა ლოდინისა,—თუ როდის მოიტანდენ მას აქ; გარდა ამისა, როდესაც ის დაიდგმის და ამუშავდება, კიდევ რამდენიმე საათი იქნება საჭირო ცდა, ვიდრე მაღარო, სრულიად გაწმენდილი არ იქნება გაზისა და კვამლისაგან; სანამდე ეს არ მოეწყობა, არ შეიძლება არაფრის გა-

კეთება, სრულიად არაფრის. ხალხმა კი უნდა უცადოს მაღაროში! აფეთქების დროს გადარჩენილები მაღაროს ღრმად შეჭრილ გვირაბებში შექცეულებიან, სადაც ისინი ცოტად თუ ბევრად დაფარული იქნებიან [illegible] საზებისაგან, და დაიწყებენ ლოდინს მშიერ-მწყურვალნი, სულის შემხუთავ ატმოსფერაში, დაიწყებენ ლოდინს, ვიდრე მათდამი მხსნელი რაზმი მოაღწევდეს.

§ 26.

ვიდრე ეს შეხლა-შემოხლა გრძელდებოდა ხოლი ცდილობდა მოეგონებია თავისი ნაცნობები, რომლებიც პირველ მაღაროში მუშაობდენ. თვითონ ის მუშაობდა მაღაროში № 2, მაგრამ ცხადია ის იცნობდა ზოგიერთ მუშას მეზობელ მაღაროდან. ის იცნობდა, მაგალითად, მოხუც რაფეტის, მერი ბარკის მამას, იცნობდა „საკონტროლო ჯგუფის" წევრს ზამეროვსკის. ხოლო ცოცხლად ჰქონდა წარმოდგენილი ამ მოთმინებით სავსე პატარა პოლონელის სახე, როგორ გულკეთილად იღიმებოდა ის როდესაც ამერიკელები იმის გვარს ამახინჯებდენ. ის თითქოს თვალწინ ხედავდა ბებერ რაფეტის, ყველა თავისი პატარა რაფეტით გარსშემორტყმულს, რომელიც ცდილობდა რაც შეეძლო, რომ ზედამხედველის უკმაყოფილება არ დაემსახურებია. მას წარმოუდგა აგრეთვე საწყალი პატრიკ ბარკიც, რომელიც ხოლს არასოდეს ფხიზელი არ უნახავს; ეხლა კი ის უეჭველად გამოფხიზლდებოდა, თუ ცოცხალი გადარჩა.

ბრბოში ხოლი ჯერრი მინეტტის წააწყდა. მისგან მამ შეიტყო, რომ მაღაროში დარჩა ის ფარენცა, რომელსაც „fanciulla" ამასხარავებდა; დარჩა იქ აგრეთვე „იუდა" აპოსტოლიკოსიც და სიკვდილის მახეში თან ჩაიყოლა თავისი ოცდა ათი ეერცხლი.

ისე, როგორც ხოლი, სხვებიც ცდილობდენ დაკითხვის საშუალებით შეედგინათ მაღარებში დარჩენილების სია. ხანდახან უეცრად ამოიშლებოდა სიიდან ვინმეს სახელი: რომელიმე მტირალი ქალი მოიშორებდა წინსაფარს თვალებიდან უცებ შეჰყვირებდა და მივარდებოდა კისერზე მოსახვევად მუშას. როდესაც ბრბოში ხოლმა პატრიკ ბარკი დაინახა, მას ეგონა თუ მოჩვენებას ხედავდა იგი. ის მივიდა მასთან, ბარკმა მოუთხრო მას თავის გადარჩენის ამბავი. რომელიღაც თანაშემწე „დაგომ" მოჰპარა მას მარწუხი, და ის გამოვიდა მაღაროდან გარედ მეორეს მოსაძებნად; ამგვარად ის ცოცხალი და უვნებელი გადარჩა, ხოლო მარწუხის ქურდი კი მაღაროში მოექცა,—ასე სჯის ბედი ეშმაკ ადამიანს. ხოლმა ჰკითხა, აცნობა თუ არა მან თავის ამბავი ოჯახს. ბარკმა უთხრა რომ იმან უკვე შეირბინა სახლში, მაგრამ არავინ არ დახვდა შინ. მაშინ ხოლმა დაიწყო ბრბოში ხეტიალი, რომ ენახა სადმე მერი ან ჯენი, ან და მისი პატარა ძმა ტომი. ის გულმოდგინედ ეძებდა მათ, თუმცა ერთი კითხვა კი მოუვიდა თავში, გადაუხდის გაუსწორებელი ლოთის ოჯახი ბედს დიდ მადლობას მისი კეთილი ჩარევის გამო ამ საქმეში?

ის შეხვდა გზაში ოლსონს, რომელიც მაღაროში ამწევ მანქანაზე მუშაობდა: მას უდიდესი სიძნელით მოუხდა გადარჩენა. ორგანიზატორისავის, რომელიც რვა წლიდან მაღაროებში მუშაობდა, მთელი ეს ამბავი არაფერს ახალს

არ წარმოადგენდა. მან მშრალად და უბრალოდ აუხსნა ხოლს საქმის ვითარება. კანონის მიხედვით ყოველ მაღაროში უნდა მოწყობილი იყოს რამდენიმე გასავალი და, გარდა ამისა, კიდევ განსაკუთრებული კიბე, ანგელი, შემთხვევების დროს გამოსაყენებლად, მაგრამ მათი მოწყობა ძალიან ძვირი უჯდებოდათ და ამიტომ არც აკეთებდენ.

აფეთქების მიზეზი აქამდე გამორკვეული არ არის, იციან მხოლოდ, რასაც კოკსის მტვერის ლრუბლები უჩვენებს, რომ კატასტროფა მოუხდენია აფეთქებულ ნახშირის მტვერს. ყველა, ვინც კი მაღაროში ყოფილა და უნახავს გამომშრალი მტვერის ფენი, ადვილად წარმოიდგენს აფეთქების ძალას და იმის მოქმედებას იქ. რა თქმა უნდა, კანონი მოითხოვდა რომ მას ზევიდან დაეხნილი აგური მოჰყოლოდა, მაგრამ ზედამხედველებს თავისი შეხედულება ჰქონდათ ამ საგანზე.

ხოლი ძლივს უგდებდა ყურს ოლსონის განმარტებებს. მისთვის ყოველივე ეს მეტად ახალი, მეტად საშინელი რამ იყო. მაგრამ განა სულ ერთი არ არის თუ ვინ იყო უბედურებაში დამნაშავე? უბედურება მოხდა და ეხლა უწინარეს ყოვლისა იმაზე უნდა ეფიქრათ, თუ როგორ გაეწიათ დახმარება მაღაროში დარჩენილთათვის, რომლებიც უპატრონოდ იხრჩობოდნენ ბნელ გვირაბებში. მათი კვნესა და ძახილი უფრო ძლიერ ხმაურობდა ხოლის ყურში, ვიდრე ოლსონის ყველა სიტყვები. ტალღების მოქცევასავით ადიოდა მაღლა ქალების გულის გაპგმირავი ტირილი და მათი განუწყვეტელი მოთქმა.

ისინი ისევ წააწყდენ ჯეფ კოტონს, რომელიც რამდენიმე კაცის დახმარებით მაღაროს სათავედან ხალხის უკან დახევას ცდილობდა და, ბოლოს, უბრძანა შემოეფარგლათ ის ადგილი ეკლიანი მავთულით. ხოლმა შეამჩნია, რომ მას მეტად მკაცრად ეჭირა თავი, მაგრამ ისტერიული ქალები ვის არ გამოიყვანდენ მოთმინებიდან. ის მოკლეთ უპასუხებდა იმათ ხახევრად გაგიქებულ კითხვებზე:

— ჰო, ჰო, ახალ მანქანას დავდგამთ. გეუბნებით რომ ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია. ამოვიყვანთ იქიდან ჩვენ მათ. წადით სახლში და ელოდეთ.

ცხადია, არავის არ სურდა წასვლა. და ან როგორ უნდა მჯდარიყო, მართლაც და მართლაც, რომელიმე მათგანი სახლში და ეოჯახნა იმ დროს, როდესაც ქმარი შეიძლება იქ მიწის ქვეშ იხრჩობა? მათ უნდოდათ მაღაროში ჩასავლ ადგილთან მაინც მდგარიყონ, რომ რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყონ თავის ქმრებთან. ზოგიერთები მთელი საათობით იდგენ გაუნძრეველად იქ, ზოგიც დაბორგავდენ სოფელში და მეორეჯერ ეკითხებოდენ, ერთსა და იმავე პირებს თავიანთი ნათესავებისა და ახლობლების ამბავს. ვინაიდან რამდენიმე, კაცი პატრიკ ბორკივით სრულიად მოულოდნელად ჯანსაღი და უვნებელი გამოხტენ, ამიტომ ყოველი ამ ქალთაგანი გულში იმედს ატარებდა, რომ სწორედ იმგვარადვე შეიძლება საიდანმე მისმა ქმარმაც ამოყვინთოს უეცრად.

§ 27.

ნასადილევს ხოლი შეხვდა ქუჩაში მერი ბარკს. მან დიდი ხანია რაც ნახა

თავისი მამა, რომელმაც უკვე მოასწრო ოკალახანთან გაგზავნება, რომ იქ შესაფერისად ედღესასწაულნა ბედის ასეთი წყალობა. მერი შეწუხებული იყო სხვა, უფრო სერიოზული საქმით: საშიშროება მოელოდა მაღაროს № 2! აფეთქება პირველ ნომერში ისეთი ძლიერი იყო, რომ აქედან ერთი მილის სიშორეზე მდებარე სავენტილიაციო მანქანის მექანიზმიც დაზიანდა აგრეთვე. მანქანის მუშაობა შეწყდა. რამდენიმე მუშა მივიდა ალეკ სტონთან, რომ მას გახარგულება გაეცა მუშების ამოყვანის შესახებ. სტონმა უარი განაცხადა.

— როგორ ფიქრობთ, რა უპასუხათ მან?—წამოიძახა მერიმ.—როგორ გგონიათ? „ჯანდაბას ხალხი! უშველეთ ჯორებს!"

ხოლს სრულიად გადააავიწყდა, რომ სოფელში მეორე მაღაროც არსებობდა, რომელშიაც აგრეთვე ასობით მუშები და მოზარდეები მუშაობდენ.

— იციან მათ, რომ აფეთქება მოხდა?—ჰკითხა ხოლმა.

— შეიძლება მათ გაიგონეს კიდეეაც გრგვინვა, მაგრამ შესაძლებელია არ იცოდენ რა მოხდა, ხოლო ზედამხედველები კი არაფერს არ ეტყვიან, ვიდრე ჯორებს არ ამოიყვანენ ზევით.

მიუხედავად იმისა, რისი მოწმეც ხოლი ნორტ-ვალში იყო, ის მაინც ვერაფრის გზით ვერ დარწმუნებულიყო ახალგაზდა ქალის სიტყვებში.

— მერი, საიდან იცით ეგ თქვენ?

— ეს მე მიამბო ახალგაზდა როვეტამ. ეს მან საკუთარი ყურით მოისმინა.

ხოლმა შეხედა მერის.

— წავიდეთ, ჩვენ თვითონ შევიტყოთ,—უთხრა მან, და ორივემ გასწიეს წინ მთავარი ქუჩით. მათ კიდევ რამდენიმე კაცი შემოუერთდათ,—ახალი უბედურების ამბავმა უკვე მოასწრო გავრცელება. მათ გვერდით ჩაუქროლათ ჯეფ კოტონმა ავტომობილში. მერიმ წამოიძახა:

— ხომ გითხარით: იქ, სადაც კოტონი გაჩნდება, უეჭველად რაიმე სისაძაგლეს უნდა ექნეს ადგილი!

მათ მიაღწიეს მეორე მაღაროში ჩასასვლელ ადგილს. იქ აუარებელი ხალხი შეკრებილიყო, თითქოს აჯანყება ხდებოდა. ისინი ყვიროდენ, აქნევდენ ხელებს, იმუქრებოდენ, რომ ძალით შეეარდებოდენ კონტორაში და ტელეფონით დაურეკავდენ მუშებს მოსალოდნელი ხიფათის შესახებ. აქაც სამთო ინსპექტორი მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდა ხალხის უკან დახევას. როდესაც ხოლი და მერი მიუახლოვდენ იმ ადგილს, მათ შენიშნეს, რომ მისსის დეეიდი, რომლის ქმარიც მეორე ნომერში მუშაობდა, მაღლა აწეული მუშტებით მივარდა კოტონს და გარეგანი კატასავით შესჯღავლა მას. კოტონმა რევოლვერი ამოიღო. სიბრაზისაგან გაოფთრებული ხოლი გაექანა ინსპექტორისაკენ.

მაგრამ მერი ბარკმა შეაჩერა იგი: ქალმა მოხვია მას მკლავები და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სწევდა უკან.

— გაჩერდით! გაჩერდით!—ყვიროდა მერი,—გონს მოდით! ან თუ უეჭველად სიკვდილი გინდათ?

ხოლი გააოცა მისი ნაკვთების ლონემ, არა ნაკლებ გაუკვირდა მას მერის გრძნობის ძლიერება. ის ეძახდა ხოლს გიჟს, სულელს და კიდევ ულარეს.

— თქვენ ისე იქცევით, როგორც უჭკუო დედა-კაცი, მიბრძანდით პირდაპირ რევოლვერის ტუჩთან!

კრიზისმა მალე გაიარა მისსის დევიდმა უკან დაიხია, და კოტონმაც ჩაიდო რევოლვერი ჯიბეში. მაგრამ მერი ისევ განაგრძობდა ხოლის გინებას და ცდილობდა იმის აქედან წაყვანას.

მაგრამ უნდა გავაკეთოთ რამე თუ არა, მერი?

— ხომ გეუბნებით მე თქვენ, რომ ვერაფერს ვერ გააკეთებთ! ნუ თუ თქვენ თვითონ არ გესმით ეს? მე არ დაუშვებ, რომ თქვენ თავი მოაკვლევინოთ იმათ! წავიდეთ აქედან.

ზოგი ძალით, ზოგიც თხოვნით მერიმ მოახერხა, ბოლოს, მისი წაყვანა.

ხოლი ცდილობდა ნათლად წარმოედგინა საქმის ვითარება. ნამდვილად უქადდა საშიშროება მეორე ნომრის მუშებს? შესაძლებელია ნუ თუ, რომ ზედამხედველები ასე დამშვიდებით აყენებდენ საფრთხის წინაშე მუშების სიცოცხლეს? მით უმეტეს ასეთ წუთში, როდესაც მათ თვალწინ მეზობელ მაღაროში კატასტროფა მოხდა? მას არა სჯეროდა ეს, და ბოლოს თვით მერიმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ არავითარი საშიშროება მუშებისათვის არ არსებობს, — ის მხოლოდ ალეკ სტონის უხეშმა სიტყვებმა გადარიეს.

— ხომ გახსოვთ, ამას წინად რომ ვენტილიაცია გაფუჭდა, განა თქვენ თვითონ არ მოეხმარეთ ჯორების ამოყვანაზე. მაშინ ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია თქვენზე, არსებითად ეხლაც იგივე ხდება. თავის დროზე ყველას ამოზიდავენ ზემოთ.

ის ჰფარავდა თავის ნამდვილ გრძნობებს, რომ ხოლს რაიმე სახიფათო ნაბიჯი არ გადაედგა. ხოლი მიჰყვებოდა მერის და გზაში ფიქრობდა იმის შესახებ, რომ გამოენახა რაიმე მათი მხსნელი საშუალება. მაღაროში № 2 მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ: ჯეკ დევიდი, ტომ რაფერტი, ვრესმაკი, ანდროკულოს, კლოვოსკი. ის ფიქრობდა იმაზე, რომ ისინი უნდა დარჩენილიყვნენ იქ ქვევით, ესუნთქათ მოწამლული ჰაერი და თავბრუდასხმულებს ელოდათ მანამდე, ვიდრე ჯორები არ იქნებოდენ გადარჩენილი. ხანდახან ის შეჩერდებოდა, მაშინ მერი მიათრევდა მას წინ და სულ ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: „თქვენ არაფერი არ შეგიძლიათ გააკეთოთ! სრულიად არაფერი!" და ის დაფიქრდა კითხვაზე, რისი გაკეთება შეუძლია მართლაც მას? რამდენიმე საათის წინად მთელი იმისი ძალ-ღონის მოკრეფა იმით გათავდა, რომ მისი ცხვირის წინ სამთო ინსპექტორის რევოლვერმა გაიელვა, სხვა არაფერი. რაც არ უნდა ჰქნას მან ამ ჟამად, ის, სულ ბევრი, ბევრი, მიაღწევს იმას, რომ დაუყოვნებლივ კოტონის ყურადღებას მიიქცევს და შემდეგ გაძევებული იქნება ნორტ-ვალიდან.

§ 28

ისინი მივიდენ მერის ქოხამდე. აქედან ახლოს მისსის ცამბონი სცხოვრობდა, ის სლოვიანური შთამომავლობის ქალი, რომლის შესახებაც მერიმ ერთ-

ხელ მას გასართობი ანეკდოტები ეამბო. თექვსმეტი წლის განმავლობაში მისსის ცამბონი ყოველ წელიწადს თითო ბავშვსა შობდა. ყველა ბავშვებიდან ამ ჟამად ცოცხალი ჰყავდა მას თერთმეტი. მისი ქმარიც [illegible] მადაროში იყო, სადაც კატასტროფა მოხდა, და ის გიჟივით დარბოდა ქუჩებში, მას კვალდაკვალ ბავშვები დასდევდენ. ხანდახან ამას ველური კივილი აღმოხდებოდა, როგორც დაჭრილს, გატანჯულ პირუტყვს, და ბავშვებიც ათასნაირად აძლევდენ ბანს. ხოლი გაჩერდა და დაუგდო ყური მოთქმას, მაგრამ მერიმ აიფარა ყურებზე ხელები და საჩქაროდ შევარდა სახლში. ის შეჰყვა მას თან. მერი დაეშვა სკამზე და ისტერიულად აქვითინდა. ხოლი უცებ მიხვდა თუ რა საშინელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მთელ ამ ამბავს მერიზე. მასაც ძალიან დამძიმებული ჰქონდა გული, მაგრამ ის მამაკაცი იყო და მას შეეძლო უსაშინელესი სანახაობის ატანა. მამაკაცები ხშირად მიდიან სასიკვდილოდ— ომში და სამრეწველო დაწესებულებებში,—სხვა მამაკაცები დამშვიდებული უცქერიან ამას. მაგრამ ქალებს, ყველა ამ მამაკაცების დედებს, ქალებს, რომლებსაც უშობნიათ ისინი ისეთ ტანჯვაში, ძუძუ უწოვებიათ, აღუზრდიათ ისეთი შრომით და ზრუნვით, ქალებს არასოდეს არ შეუძლიათ დარჩენ დამშვიდებული ამგვარი სანახაობის წინაშე.

გარდა ამისა, ქალის ხვედრი გაცილებით უფრო მძიმეა. მამაკაცი მოკვდა და იმისთვის ყველაფერი გათავდა. ქალს წილად რჩება წარსულის მძიმე მოგონება და კიდევ ზრუნვა მომავალზე. მათ მძიმე ბრძოლა მოელით არსებობისათვის, მათ მოელით იმის ყურება, თუ მათი ბავშვები როგორ თანდათან დაიღუპებიან ტანჯვაში უსმელ-უჭმელობის გამო.

მთელი თავისი გულშემატკივრობა ქალებისადმი ხოლმა თავის წინ მჯდომარე მერიზე მიმართა. მან იცოდა მისი კეთილი გული. ეხლა მათ შორის, ვინც მადაროს სიღრმეში იმყოფებოდა, მერიმ არ ჰყავდა არც ერთი ახლობელი კაცი, მას არა ჰყავდა ქმარი, მაგრამ ოდესმე კი ეყოლება და ეხლა, შეიძლება, ის უკვე წინასწარ გრძნობდა და განიცდიდა მომავალ ტკივილებს. ის უცქეროდა მერის, როგორ იჯდა იგი მოკუნტული და წამდაუწუმ იწმესდდა უხვად ჩამომდინარე ცრემლებს ძველი ლურჯი ჩითის კაბის ბოლოთი. მას დაუსრულებელი თანაგრძნობით უვსებდა გულს მისი სახის მეტყველება; ის წააგავდა ბავშვს, რომელსაც ვილამაც აწყენინა. ხანდახან, თითქოს თავისთვის, ქვითინით ამბობდა იგი:

— ო, საბრალო ქალები! საბრალო ქალები! თქვენ ნახეთ მისსის იანოჩის სახე? რომ არ გაეკაევებიათ, ის პირდაპირ კვამლით დაბურულ მადაროს სათავეში გადაეშვებოდა.

— ნუ მისცემთ თავს ეგეთ მწუხარებას, მერი,—არწმუნებდა ხოლი, თითქოს მწუხარების თავის დანებება იმის ხელთ ყოფილიყოს.

— დამანებეთ თავი!—წამოიძახა მერიმ.—მე თვითონ მოვერევი ჩემს მწუხარებას.

ხოლისათვის ისტერიები სრულიად უცნობი რამ იყო და ის ჰგრძნობდა თავის უძლურებას მისი სასოწარკვეთილების წინაშე.

— მწუხარება უფრო დიდი, ვიდრე მე ამის წარმოდგენას შევძლებდი,— განაგრძობდა მერი. საითაც არ მიიხედავ ყველგან ხედავ ტირილით თვალებ დასივებულ ქალებს. მათ ერთი კითხვა აკერიათ პირზე: ნახავენ ოდესმე თავიანთ ქმრებს თუ არა? ხედავ დედებს, ვისი შვილებიც შეიძლება ამ წუთში იხოცებიან, ხოლო ისინი კი უძლურნი არიან, რომ როგორმე უშველონ მათ!

— ვერც თქვენ უშველით, მერი სულ ტყუილად იგლეჯავთ გულს.

— და მერე თქვენ ამბობთ ამას!—წამოისლოკინა მერიმ.—თქვენ, რომელმაც კინალამ თავი მოაკელეთ კოტონს მისსის დევიდისადმი სიბრალულის გამო! არა, არავის არ შეუძლია ამ უბედურების დამშვიდებით გადატანა!

ხოლმა არ იცოდა რა ეპასუხნა ამის შესახებ. მან მისწია სკამი და იჯდა ჩუმად; ბოლოს მერი დამშვიდდა, მოიწმინდა ცრემლები და მიაშტერდა გაღებული კარით ვიწრო ბინძურ ქუჩას.

ხოლმაც გაიხედა იქით თავის მხრით. გზაზე აქა-იქ ნაცარი ეყარა ბლომად და კონსერვების ცარიელი კოლოფები; მისსის ცამბონის ორი ჩამოგლეჯილი, პირდაუბანელი ბავშვი იჩხრიკებოდენ ერთ ასეთ ხროვაში და ცდილობდენ სათამაშოს ან შეიძლება რაიმე შესაჭმელის მონახვას. გზის ნაპირებზე ნაღვლიანად აწვდილიყვნენ გამომშრალი, ნახშირის მტვერით დაფარული ბალახის ღეროები. რა უნუგეშო სურათი იყო.

მაგრამ ახალგაზდა ქალის თვალებს არასოდეს უკეთესი სურათი არ უნახავს, ყოველ დღე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მის წინ ეს უნუგეშო სანახაობა მოსჩანდა! ხოლი კი აყვედრიდა მას „პირქუშ განწყობილებას"! როგორ შეეძლოთ ასეთ გარემოებაში მცხოვრებ მამაკაცებს და ქალებს მხიარულების თუნდაც უბრალო ნაპერწკალი შეენარჩუნებიათ, ეოცნებათ სილამაზეზე, გაეხადათ თავიანთი მისწრაფების საგნად მაღალი, კეთილშობილი გრძნობები, გმირობა, სიხარულით სავსე შემოქმედება მახლობელთა საბედნიეროდ? სასოწარკვეთილებით შხამი სწამლავდა ამ ადგილს, რომელიც სინამდვილეს კი არა, უფრო მძიმე ზმანებას, საშინელ კოშმარს წაგავდა. ის ჰგავდა იმ ბნელ ჯურღმულს მიწის ქვეშ, რომელიც განუშორებლად თან სდევდა ხოლის ოცნებას, სადაც დაიღუპა ეხლა ამდენი დიდი და პატარა მუშა.

და ხოლს უეცრად შემოაწვა გრძნობა—შორს ნორტ-ვალიდან! შორს, რაც არ უნდა იყოს! ნორტ-ვალმა ჩაჰკლა მასში ვაჟკაცობა და მხნეობა; ველინელ, თანდათან, დღითი დღე, მთელი ამ უბედურების, მწუხარების, სიღატაკის, შიმშილის, სასოწარკვეთილების და შევიწროების ყურებამ გაღრღნა მისი სული, დაანგრია მისი ალტრუისტული თეორიების ლამაზი შენობა. ჰო, მას მოუნდა აქედან გაქცევა, გაქცევა იქ, სადაც მზე ანათებს, იზრდება მწვანე ბალახი, სადაც იცინის და მხიარულად ღიმება თავისუფალი, ამაყი ხალხი. მას უნდოდა დაეხუჭა თვალები, რომ აღარ დაენახა ამ საზიზღარი სოფლის კვამლი და ჭუჭყი, სურდა ყურები დაეხშო, რომ აღარ გაეგონა მეტი ეს გულის გამგმირავი ქალების მოთქმა და ტირილი: „ო, ჩემი ქმარი! ჩემი ქმარი"!

ხოლმა შეხედა მერის, ის იჯდა მის წინ მოკუზული, უსიცოცხლოდ ხელებ ჩაშვებული და გაშტერებით მისჩერებოდა სივრცეს.

— მერი,—უთხრა მან,— თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან. აქ არ ემყოფება კეთილი და ჩვილი გულის პატრონ ახალგაზდა ქალს, აქ არ ემყოფება საერთოდ ადამიანს.

ქალმა ღრმა სევდით შეხედა მას:

— მეც ყოველთვის მაგასვე გეუბნებოდით თქვენ, მე გეუბნებოდით, რომ თქვენ აქედან უნდა წახვიდეთ; მას შემდეგ, რაც თქვენ აქ იმყოფებით, მე ყოველთვის გიმეორებთ ამას. ეხლა ხომ გესმით, თუ რატომ?

— ჰო,—უპასუხა მან,—მეც მინდა წასვლა მაგრამ თქვენ წახვალთ აქედან.

— თქვენ ფიქრობთ, ჯო რომ ეს მე სარგებლობას მომიტანს? განა შემიძლია დავივიწყო ის, რაც მე დღეს ვიხილე? განა ყოველივე ამის შემდეგ მე შემიძლია რომ ოდესმე ბედნიერი ვიყო?

ხოლი ცდილობდა მის დამშვიდებას, მაგრამ არც თვითონ იყო დამშვიდებული. რა ეშველება ან იმას? შეუძლია კიდევ მას ბედნიერებაზე თავისი უფლების მტკიცება? შესძლებს კვლავ იგი კეთილი ცხოვრებით დატკბობას იმ შეგნებასთან ერთად, რომ ეს სიკეთე უბედურებისა და მწუხარების მთელ ზღვაზეა აშენებული? ის ფიქრით გადავიდა იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანები უდარდელად სტკბებოდენ ცხოვრებით და ზრუნავდენ მხოლოდ თავიანთი ეგოისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და უცებ ის მიხვდა, რომ იმდენად მას წასვლა არ უნდა აქედან, რამდენადაც იმ ხალხის მოყვანა აქ, თუნდაც სულ ერთი დღით, ერთი საათით, რომ მათ ყურებამდეც მიაღწიოს ქალების გულსაკლავმა ტირილმა და მოთქმამ.

§ 29

მას შემდეგ, როცა ხოლმა შეჰფიცა მერის, რომ არ აედავება იგი კოტონს, ისინი გაემგზავრენ მეორე მაღაროსაკენ. იქ ამ დროს სწორედ ჯორების ამოყვანაში იყვნენ გართულნი, და ზედამხედველები დაჰპირდენ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მუშებსაც ამოიყვანენ ზემოთ. ყველაფერი რიგზეა. ამბობდენ ისინი, არავითარ ხიფათზე ლაპარაკი არ შეიძლება! მერის არა ჰქონდა სრული იმედი, მიუხედავად მისი დაპირებისა, და ამიტომ ისევ პირველ მაღაროსთან წაიყვანა. იქ მათ ნახეს მწსრაფელ-დამბმარე ეტლი ექიმებით და მოწყალების დებით. დაინახეს აგრეთვე რამდენიმე „მუზარადი". ეს „მუზარადები" მეტად უცნაური შესახედავი აპარატები იყო, ისინი სრულიად შეუვალი იყვნენ ჰაერისათვის და შეიცავდენ მცავბადის მარაგს ერთი საათისათვის; მათ აცვავდენ თავზე და მხრებზე უმაგრებდენ. ასეთი გაზების საწინააღმდეგო იარაღით აღჭურვილი ხალხი სხდებოდა ბადიაში და ეშვებოდა მაღაროში. დრო გამოშვებით ძირს ჩასულები ანძრევდენ სასიგნალო თოკს და ამით იძლეოდენ ცნობას, რომ ისინი ცოცხლები არიან. პირველად ამოსულებმა ამოიტანეს ცნობა, რომ ქვევით მაღაროს დასაწყისშივე რამდენიმე კაცი ჰგდია ძირს, როგორც ეტყობა, მკვდრები. მაღაროში უფრო ღრმად შესვლის საშუალება მაშველ რაზმს არ მისცა სქელმა შავმა კვამლმა, რომელიც საბაბს იძლეოდა იმის საფიქრებლად, რომ მაღაროში ხანძარი გაჩენილა. შეუძლებელია რაიმეს გაკეთება, ვიდრე ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავენტილიაციო მანქანა არ იქნება დადგმული, რომლის საშუალებით მაღაროა განთავისუფლებული იქნება გაზისა და კვამლისაგან.

აცნობეს შტატის მადნების ინსპექტორს. მაგრამ ის ალბათ იწვა ლოგინში და დაჰპირდათ, რომ გამოგზავნის თავის თანაშემწეს, რომელიც იკისრებს მაშველი სამუშაოების ხელმძღვანელობას. ხოლმა მალე შეამჩნია, რომ მუშები სრულებითაც არ დაინტერესებულან ამ მოხელის მოსვლით. ის ხომ იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ ასეთი კატასტროფა არ მოხდეს, მაგრამ არაფერი კი არ გაუკეთებია ამისათვის. ეხლა თუ მოვა სულ ერთია, მხოლოდ კომპანიის ინტერესების თანახმად იმოქმედებს.

როდესაც ჩამობნელდა, გამოჩნდენ ბოლოს მუშები მაღაროდან № 2. ქალები, რომლებიც ამოსავალთან უცდიდენ მათ, მივარდენ და დაუწყეს ხვევნა. ხოლი ხედავდა, რომ ის ქალები, ვისი ქმრებიც პირველ მაღაროში იყვნენ და შეიძლება ველარც გამოვლიან ოდესმე იქედან, ნაღვლიანად, თვალცრემლიანი უცქეროდენ ამ სცენას. მაღაროდან ამოსულებში ჯეკ დევიდიც ერია. ხოლმა გააცილა ის და მისი ცოლი სახლში. გზაზე დევიდის ცოლი სულ ჯეკ კოტონსა და ალეკ სტონს ლანძღავდა. აქედან ხოლმა ბევრი ჭკუის დასარიგებელი მასალა ამოიკრიფა მუშათა კლასიური შეგნების შესახებ. „ჯანდაბას ხალხი! უშველეთ ჯორებს“! ის დაუღლელად და განუწყვეტლად იმეორებდა ამ ფრაზას, მოსწონდა იგი, როგორც მხატვრული ნაწარმოები. ისე კარგად ახასიათებდენ ეს სიტყვები ზედამხედველების დამოკიდებულებას მუშებისადმი! ხოლმა ყურადღება ნიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ფრაზას ბევრი იმეორებდა; მან შემოირბინა მთელი სოფელი და რამდენიმე დღის შემდეგ ის ცნობილი გახდა მთელ ოლქში. ოლქმაც თავის მხრით დამახასიათებელად მიიჩნია იგი, ის ხედავდა მასში იმ საზომს, რომლითაც ისაზღვრებოდა მაღაროს მოხელეების დამოკიდებულება მუშებისადმი.

როდესაც პირველმა ელდამ გაიარა, ხოლმა მიმართა „დიდ ჯეკს“ თხოვნით, რომ აეხსნა მას იმისთვის თუ რა პირობებში მოხდა კატასტროფა. ჯეკი სერიოზული, ნაკითხი კაცი იყო, ის კარგად იცნობდა ამ დარგის მდგომარეობას. მშვიდად, აუჩქარებლად აუხსნა მან, ხოლს, რომ კატასტროფების სიხშირე ამ მაღაროებში სრულიადაც არ შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე პირობებს, ან ჰაერის მეტისმეტ სიმშრალეს, ან იმას, თითქოს აქაური გაზების თვისებას ადვილად აფეთქება შეადგენდეს. კატასტროფები უმთავრესად უფროსების უკიდურესი დაუდევრობისა და შრომის დაცვის კანონისადმი სრული უყურადღებობის შედეგია. კანონმა უნდა „დაკრიჭოს კბილები“, უნდა მოითხოვოს, რომ ყოველი დაღუპული მუშის ოჯახს ათასი დოლარი გადაუხადონ: საინტერესო სანახავი იქნება მაშინ, როგორი გულმოდგინებით შეუდგებიან მაღაროს მეპატრონენი კატასტროფების საწინააღმდეგო საშუალებების ძებნას.

საქმის ეხლანდელი ვითარების დროს მათ ძალიან კარგად იციან, რომ რაც უნდა მათი ბრალი არ იყოს, ისინი ადვილად გაინთავისუფლებენ თავს.

უეჭველია, ვექილები უკვე შეუდგენ მუშაობას და ემალ, ვიდრე პირველი მსხვერპლი დამარხული იქნება, ისინი მოასწრებენ დაფიქსირებულ ოჯახებთან საქმის საუკეთესოდ მოგვარებას. ისინი შესთავაზებენ რომელიმე ვერიეს ბილეთს უკან გასამგზავრებლად. დაობლებულ ბავშვებს მისცემენ ორმოცდაათ ან ას დოლარს—გინდა აიღე, გინდა არა. სასამართლოთი ვერაფერს ვერ გახდები, საქმე იმდენად უიმედოა, რომ არც ერთი ვექილი მას ხელს არ მოჰკიდებს. ერთადერთი რეფორმა, გესლიანად შენიშნა დიდმა ჯეკმა, რომლის სარგებლიანობაში კომპანია სავსებით დარწმუნებულია, ეს არის ის, რომ მან ბოლო მოუღო „არალეგალურ ვექილებს“.

§ 30

ღამემ და დღემ გულის გამწყალებელ ლოდინში გაიარა. სავენტილიაციო მანქანა მოვიდა, მაგრამ საჭირო იყო ჯერ კიდევ მისი დადგმა და გამართვა, ვიდრე მაშველ მუშაობას დაიწყებდენ. ვინაიდან მალაროს პირიდან ისევ კვამლი ამოდიოდა, ამიტომ იმას ჯერ ფიცრები დააფარეს თავზე და ზედ ბრეზენტი გადააკრეს. ზედამხედველები ირწმუნებოდენ, რომ ეს აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ხოლი ამას წრეგადასულ სისასტიკედა სთვლიდა: თავის გადაგნესა მომაკვდინებელი გაზებით სავსე ჯურღმულის, სადაც მუშები და მოზარდები არიან მოთავსებული!

განსაკუთრებულ ტანჯვას აყენებდა ხოლს აზრი იმის შესახებ, რომ ეს, თითქოს მახეში გაბმული, ხალხი აქვე ახლოს არის, მის ფეხებ ქვეშ, და მაინც არ არის არავითარი საშუალება მათთან მიღწევის და კავშირის დაჭერისათვის. აქ ხალხი მიისწრაფოდა მათკენ, ისინი კი ზევითკენ. ამის დავიწყება არ შეიძლებოდა არც ერთი წამით. შუაგულ ლაპარაკის დროს ადამიანები უეცრად სწყვეტდენ ლაპარაკს და მიაშტერდებოდენ სივრცეს. ხანდახან რომელიმე ქალი უცებ დაიფარაედა სახეს და დაიწყებდა ტირილს, ამის დანახვაზე სხვებიც მის მაგალითს ჰბაძავდენ.

ამ ორი ღამის განმავლობაში არავის ნორტ-ვალში თვალი არ მოუხუჭავს; მწუხარებით მოშხამული ხალხი ქუჩაში ან ერთიერთმანეთთან იკრიბებოდა. რა თქმა უნდა საჭირო იყო ოჯახურ საქმეებზე ზრუნვა, მაგრამ კეთდებოდა ბოლოდ ყოვლად აუცილებელი რამ. ბავშვები აღარ თამაშობდენ, ისინი იდგენ ირგვლივ გაფითრებულები, ხმაგაკმენდილები, ისინი ვადამდე გასცნობოდენ ტანჯვას და ყველაფერში მძიმე უბედურებით ქედ-მოხრილ უფროსებს წაგავდენ. ნერვები უაღრესად დაჭიმული ჰქონდა ყველას, კიდევ ცოტა და თავდაჭერილობის უკანასკნელი წვეთიც მზად იყო უკვე, რომ გამქრალიყო.

ასეთ დაჭიმულ ატმოსფერაში ადვილად ვარდებოდა ყოველგვარი ხმა და ადვილად შლიდა ოცნება ფრთას—აბჩნევედენ რაღაც ზეციურ ნიშნებს, ისმოდა წინასწარმეტყველება. სოფელში გაჩნდენ ნათელმხილველნი, გაჩნდენ ხალხი ორმაგი ხედვით, ადამიანებს უეცრად ჰიპნოტიური ძილი იპყრობდა. სოფლის შორეული ნაპირის ზოგიერთი მცხოვრებლები ამტკიცებდენ, თითქოს მათ გაიგონეს მიწის ქვეშ რაღაც აფეთქებების გრგვინვა, რამდენიმე ერთიერთმა-

ნეთზე სწრაფად მიმყოლი ხმა: ეს თითქოს მაღაროში მომწყვდეული მუშები სიგნალებს იძლევიან დინამიტების აფეთქებით.

მეორე დღეს ხოლი იჯდა მერისთან ერთად მერის სახლში, შესავალი კიბის საფეხურებზე. მოხუცი პატრიკი ოთახში იწვა,—მან ნახა თავდავიწყების საიდუმლოება ო'კალახანთან. დრო გამოშვებით მისსის ცამბონის სახლიდან კივილი და მოთქმა ისმოდა. მერი იყო იქ, ბავშვებისთვის საჭმელი რომ ეჭმია: მწუხარებით გულგახეთქილ დედას ავიწყდებოდა ისინი. ისინი მშიერები იყვნენ და განუწყვეტლად ყვიროდენ, თვითონ მერი სრულიად ულონოდ იყო; მისი სახის ცოცხალი ირლანდიული ფერი გაიცრიცა, მაგრად მოკუმშული ტუჩები თხელ ხაზად გამოიყოფებოდა მის სახეზე.

ისინი ჩუმად უსხდენ გვერდით ერთმანეთს: რაზე უნდა ელაპარაკნათ თუ არა მომხდარ უბედურებაზე, ხოლო ამ თემაზე კი მათ ყველაფერი სთქვეს, რის თქმაც კი შეიძლებოდა. ხოლი ჩაფიქრებული უცქეროდა მერის.

— ყური მიგდეთ, რა გითხრათ, მერი,—სთქვა მან.—როდესაც ყოველივე ეს გათავდება, თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან. ეხლა თქვენ ეს შეუძლებელი გგონიათ, მაგრამ გარწმუნებთ მე თქვენ, რომ ყველაფერი დაგავიწყდებათ. ადამიანები იტანჯებიან, მაგრამ ტანჯვასაც ელება ბოლო. ბუნება გვეხმარება, რომ დავივიწყოთ იგი.

— ბუხებამ მოჰკლა ყველაფერი ჩემში.

— ჰო, მერი, სასოწარკვეთილება ადვილად იქცევა ხოლმე განუკურნებელ სენად. მაგრამ თქვენ, თქვენი ბუნების პატრონს კი აო დაემართება ეს ასე. თქვენ ძალ-ღონე გამოგელიათ, დაიჭანცეთ მხოლოდ. აბა სცადეთ ერთი გამოფხიზლება.

ხოლმა თითქოს ხუმრობით აიღო მისი ხელი ხელში.

— გამხნევდით, მერი, და თქვენ დასტოვებთ ნორტ-ვალს.

მერი მოტრიალდა და შეხედა ხოლს.

— ჰო, მე დავსტოვებ ნორტ-ვალს?—სთქვა მან ისეთი ტონით, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო ყველაფერი, და შეხედა ხოლს სახეში.—ვინა ხართ თქვენ, ჯო სმიტ? რა გინდათ თქვენ აქ?

— მე ვმუშაობ მაღაროში,—გაიცინა მან იმ იმედით, რომ შესძლებდა კიდევ როგორმე მის გამხიარულებას.

მაგრამ მერი განაგრძობდა იმგვარივე სერიოზული ტონით:

— მე ვიცი რომ თქვენ მუშათა წრეს არ ეკუთვნით. თქვენ ყოველთვის მთავაზობთ თქვენს დახმარებას, მეუბნებით, რომ შეგიძლიათ გააკეთოთ რამე ჩემთვის.

მერი გაჩუმდა და მის სახეზე წინანდელი ჯიუტობა გამოიხატა.

— თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ჯო, თუ რა ხდება ჩემს სულში. მე შემიძლია ეხლა რაიმე საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა. სჯობს დამანებოთ, ჯო, თავი.

— მე ვგონებ მესმის თქვენი მდგომარეობა. რა ნაბიჯიც არ უნდა გადასდგათ, მე არ გაგკიცხავთ თქვენ იმის გულისთვის.

ბიბლიოთეკა

მერი ჩაებლაუჭა მის სიტყვებს:

— მართლა, ჯო, მართალს ამბობ? მაშინ მე მინდა [illegible] სიმართლე, მე მინდა მოგელაპარაკოთ თქვენ.

— კარგი, მერი, რაშია საქმე?

უეცრად გაქრა მისი ჯიუტობა. მან დახარა ძირს თვალები და ნერვიულად დაუწყო ხელის სმა კაბის ნაკერავს.

— საქმე შეგვეხება მე და თქვენ ჯო,—სთქვა მან.—მე ვფიქრობ, რომ თქვენ მე გიყვარვართ, მწამს მე რომ თქვენ მხედებით მე ჩემდამი უბრალო სიბრალულის გამო კი არა, არამედ თვითონ ჩემი გულისათვის. მაგრამ მთლად არა ვარ მე ამაში დარწმუნებული, თუმცა ძალიან ხშირად მგონია რომ ეს ასეა. მართალია თუ არა?

— ჰო,—უპასუხა მან ცოტაოდნად სიმტკიცეს მოკლებული ტონით.—მე თქვენ ნამდვილად მიყვარხართ.

— მაგრამ მაშინ თქვენ არ შეგიძლიათ გიყვარდეთ ის, მეორე ქალი?

— არა, ეს მთლად ეგრე არ არის.

— მაგრამ ხომ არ შეგიძლიათ თქვენ ერთსა და იმავე დროს ორის სიყვარული?

ხოლმა არ იცოდა რა პასუხი გაეცა ამაზე.

— მე მგონია, რომ ეს შეიძლება,—უთხრა მან ბოლოს.

მერიმ ისევ შეხედა მას თვალებში.

— როდესაც თქვენ იმ ქალის შესახებ მეუბნებოდით, მე ვიფიქრე, რომ თქვენ მოიგონეთ ეს ამბავი. შეიძლება ეს კარგი არ იყოს, მაგრამ მე ვერაფრის გზით ვერ დამიჯერებია იმ ქალის არსებობა, ჯო.

— თქვენ სცდებით, მერი,—საჩქაროდ უპასუხა ხოლმა.—მე მართალი გითხარით.

— კარგი, თუნდაც ეგრე იყოს,—სთქვა მერიმ, მაგრამ მისი ხმის კილოში არა სჩანდა, რომ მან ნამდვილად დაუჯერა ხოლს.— თქვენ მოშორდით იმ ქალს, არ მიდიხართ მასთან, აღარ ნახულობთ მას; ძნელია იმის დაჯერება, რომ თქვენ ეგრე მოიქცეოდით, მართლაც რომ ძვირფასი იყოს ის თქვენთვის. მე არ შემიძლია ვიწამო, რომ თქვენ ის გულწრფელად გიყვართ. აი ეხლა არა სთქვით, რომ თქვენ მე გიყვარვართ. ამიტომ მე მეგონა... მე ვფიქრობდი...

ის გაჩერდა, მოიკრიფა მთელი თავისი ნებისყოფა და შესძლო მისი შემოხედვის ატანა.

— მე ვცდილობდი გავრკვეულიყავ ამაში. მე ვიცი, რომ თქვენ მეტად კარგი ხართ იმისთვის, რომ ჩემი იყოთ, ჯო, თქვენ მაღალ კლასს ეკუთვნით და შეგიძლიათ უკეთესი ქალები გყავდეთ...

—არა, ეგ არა, მერი!

მერიმ გააწყვეტინა მას:

— მე ვიცი კარგად, თქვენ არ გინდათ მხოლოდ, რომ მე გული მატკინოთ. მე ყოველთვის ვცდილობდი მაღლა დამეჭირა თავი, ვცდილობდი მხიარული ვყოფილიყავი, რომ მუდამ ცხვირჩამოშვებულ და მოწყენილ მისსის ცამ-

ბონის არა ვგვანებოდე. მაგრამ რა საჭიროა თავის მოტყუება? შესტერ სპრეგი თავის ქადაგებებში ეკლესიაზე ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ღარიბები და მდიდრები თანასწორები არიან ღვთის წინაშე. შეიძლება ეს ასე იყოს. მაგრამ მე ხომ ღმერთი არა ვარ. უნდა გამოვტყდე, რომ მე მოკლენილან ახლა ადგილას ცხოვრება. მე ისე მიმძიმს. ქვეყანაზე იმდენი მშვენიერი, ძვირფასი ნივთებია და მე არასოდეს მათი მფლობელი არ ვიქნები, მე იმათ თითქოს მაღაზიის ვიტრინაში ვხედავდე. წარმოიდგინეთ, ჯო: ერთხელ შერიდანში საყდარში მე ვოვისმინე როგორ გალობდა ერთი ქალი; რა მშვენიერი მუსიკა იყო ეს! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა იყო ის ჩემთვის?

— კი, მერი.

— როგორ შემძაგდა მე ეს ნორტ-ვალი, როგორი ძალით მივიწევდი მე აქედან,—მაგრამ ამისათვის ახლოლოდ ერთი შესაძლებლობა იყო: უნდა გავყოლოდე აქედან რომელიმე მამაკაცს. ეს კი მე არ მინდოდა. მე დავრჩი პატიოსან ქალწულად, ჯო, თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ ამაში.

— თავისთავად ცხადია, მერი.

— არა, სრულებითაც არ არის „თავისთავად ცხადი". ხშირად, ხშირად შეიხედავდი ხოლმე კოტონს და ვფიქრობდი თან: რისთვის ვვეარობ, მაგრამ ყოველთვის ჩაიკლავდი გულში ცდუნებას. ეხლა კი მე დამიპყრო ისეთმა გრძნობამ, რომელიც ქალისათვის მეტსა ნიშნავს, ვიდრე ყველაფერი მთელ ქვეყანაზე.

ის შეჩერდა, შემდეგ განაგრძო.

— ყველა ისინი ამბობენ, რომ მხოლოდ შენი წრის ადამიანი უნდა შეიყვარო, დედაჩემიც ამასვე მეუბნებოდა სიკვდილის წინ. მაგრამ რა უნდა ვქნა? რა საშინელება არის შობა შვილები წლიდან წლობით, ვიდრე სრულიად არ გამოგელევა ძალ-ღონე, როგორც ეს დედაჩემს მოუვიდა!

მან შემოჰკრა ხელს ხელი.

— ოჰ, ჯო, თქვენ არა ხართ ისეთი, როგორც სხვები, სულ სხვანაირი ხართ თქვენ! არცერთი მაღაროს მუშა არ იმზირება ეგრე მხიარულად, ეგეთი ღიმილით, როგორც თქვენ, ჯო. როდესაც თქვენ მე მიცქერით, ჩემი გული მზად არის ამოვარდეს თავის ბუდიდან!

მერიმ ღრმად ამოიოხრა და გაჩუმდა. ხოლი ხედავდა, თუ როგორ ცდილობდა იგი თავის დაჭერას შემდეგ მან სთქვა ჩვეულებრივი ჯიუტი ტონით:

— მაგრამ ყველა მაფრთხილებს, რომ მე ვერიდო ასეთი კაცის შეყვარებას: ის მოჰკლავს ჩემს გულს, მეუბნებიან მე.

ხოლი სდუმდა. სოციოლოგს-დილეტანტს ვერ მოენახა ამ პრობლემისათვის ვერც აბსტრაქტული, ვერც კონკრეტული ახსნა.

§ 31.

მერიმ აიძულა თავი განეგრძო საუბარი:

— მე გავერკვიე ყველაფერში, ჯო. მე ვუთხარი ჩემს თავს: მე მიყვარს ის კაცი და მინდა ის მიყვარდეს, სხვა არაფერი. მას თავისი ადგილი უჭირავს

საზოგადოებაში, მე მას ხელს შეუშლი, ეს კი მე არ მინდა. მე არც მისი სახელი მინდა, არც მისი მეგობრები, მე მინდა მხოლოდ ის თვითონ, გაგიგონიათ ასეთი რამ, ჯო?

— კი,— უპასუხა მან ჩუმად.

— რას იტყვით თქვენ ამის შესახებ? პატივცემული მისტერ სპრეგი უეჭველად იტყოდა, რომ მე ეშმაკი მაცდუნებს, ხოლო პატერი ო'კორმენი პედროდან ამას მომაკვდინებელ ცოდვას უწოდებდა, შეიძლება ორივე ისინი მართალი იყვნენ,—არ ვიცი, მე ვიცი მხოლოდ ერთი, რომ მე აღარ შემიძლია მოვითმინო.

მერის ცრემლებით აევსო თვალები და უცებ წამოიძახა:

— ო, ჯო! წამიყვანე აქედან! წამიყვანე თან, მომეცი საშუალება, რომ ვიცოცხლო! მე არაფერს ამ მოვითხოვ შენგან, არასოდეს არ გადაგეღობები გზაზე, მე გავაკეთებ შენთვის ყველაფერს, მოგიხარშავ, გავირეცხავ, არ დავიზოგავ შენთვის ჩემს ხელებს. და გაძლევ სიტყვას: როდესაც მოგბეზრდები მე შენ და მოინდომებ ჩემგან განთავისუფლებას—მე მოგშორდები ხმაამოუღებლივ.

მერი არა ცდილობდა მიემართა მისი გრძნობებისათვის, ის იჯდა და უმზერდა ხოლს თავისი პატიოსანი, ნამტირალევი თვალებით. ხოლს კიდევ უფრო უნდიოდა პასუხის გაცემა მისთვის.

და მართლაც, რა უნდა ეთქვა მას? ის ისევ ძველებურმა ვნებამ შეიპყრო, მას მოუნდა მისი მოხვევა და ნუკეშის ცემა. როდესაც მან ამოიღო ბოლოს ხმა. დიდი ძალდატანების ხმარება დასჭირდა რომ დაეფარა თავისი მღელვარება,

— ეს რომ შესაძლებელი იყოს, მერი, მე გიპასუხებდით—„კარგი".

— ეს არის შესაძლებელი, ჯო, არის. თუ მოგბეზრდები... გაძლევ სიტყვას...

— არც ერთი ქალი არ შეიძლება ბედნიერი იყოს მაგ პირობით, მერი. ყოველი მათგანი ცდილობს, რომ მამაკაცი ეკუთვნოდეს მას სამუდამოდ; თუ ის ფიქრობს, რომ შეუძლია სხვაგვარი გრძნობა იქონიოს, მაშინ ის ატყუებს თავის თავს. თქვენ მეტად აღგზნებული ხართ. უკანასკნელმა ამბებმა ძლიერ აგაღელვეს და ამიტომ...

მერიმ არ დაამთავრებინა მას სიტყვა.

— არა ამას არაფერი საერთო არა აქვს ამ ამბებთან, მე უკვე ბევრი კვირეები ვიტანჯები.

— ვიცი, თქვენ ფიქრობდით ამის შესახებ, მაგრამ ეს საშინელი ამბები რომ არ დატრიალებულიყოს, თქვენ ვერ გადასწყვეტდით ამგვარად ლაპარაკს.

ის გაჩუმდა ერთი წამით, რომ მოეკრიფა გამბედაობა.

— ეს შეუძლებელია, მერი. მე თვითონ ახალგაზდა ვარ, მაგრამ ჩემი თვალის წინ მომხდარა ასეთი ამბები. ჩემს ძმას სიცოცხლედ კინაღამ დაუჯდა ეგეთი ნაბიჯი.

— ოჰ, თქვენ ვერ ჰბედავთ ჩემს ნდობას, ჯო!

— არა, ეგ კი არა, მე მინდოდა მათქვა, რომ ჩემმა ძმამ თავი დაიღუპა, ის გახდა ეგოისტი, ყველაფერს იღებდა და სამაგიეროს არ იძლეოდა არაფერს. ჩემი ძმა ბევრად უფროსია ჩემზე და მე შემეძლო მედევნებია თვალი,

თუ როგორ იმოქმედა ამან მის სულზე. ის ცივია სისასტიკემდე, არა სწამს არაფერი, თვით თავის თავშიც არა აქვს რწმენა; თუ დაუწყე ლაპარაკი, რომ საჭიროა ქვეყნის სხვაფრივ მოწყობა, ის თქვენ სულელს გიწოდებენ.

— არა თქვენ გეშინიათ, გეშინიათ ჩემი, შიშობთ, რომ ჩემი ცოლად შერთვა არ მოგიხდეთ.

— მაგრამ, მერი, ის—მეორე ქალი? მე ხომ ნამდვილად მიყვარს იგი, მე მიეეცი მას სიტყვა. რა უნდა ვქნა მე?

— მე არასოდეს არა ვფიქრობდი, რომ თქვენ ის ნამდვილად გიყვართ,— სთქვა მერიმ ჩუმად. მან დახარა თვალები და ისევ დაუწყო ხელის სმა თავის ლურჯ ყაბას; ის ძალიან დაჭმუჭნული და ლაქებ მოცხებული იყო –მისსის ცამბონის ბავშვების მოვლის შედეგი. ხოლი უცდიდა, თუ რას იტყოდა ის შემდეგ, მაგრამ მერი იჯდა ჩუმად ტუჩებ მოკუმშული. ხოლს გული ატკინა მისმა ყურებამ. როდესაც დაბოლოს ამოიღო მერიმ ხმა, მის ტონში მისთვის სრულიად უჩვეულო მორჩილება გაისმა.

— ყოველივე იმის შემდეგ, რაც მე თქვენ გითხარით, ჯო თქვენ ალბად აღარ მოისურვებთ ჩემთან შეხვედრას.

— ო, მერი!—წამოიძახა მან და აიღო ხელში მისი ხელი.—ნუ ამბობთ, რომ მე თქვენ კიდევ უფრო გაგაუბედურეთ! მე ისე მინდა როგორმე დაგეხმაროთ, ნება მომეცით ვიყო თქვენი მეგობარი, თქვენი გულწრფელი და ერთგული მეგობარი. მე მოგეხმარებით და თქვენ დააღწევთ თავს ამ მახეს; თქვენ მიმოიხედავთ გარშემო და ნახავთ თქვენს ბედნიერებას,—მაშინ თქვენ ყველაფერი სხვაფრივ მოგეჩვენებათ და გაგეცინებათ კიდეც, რომ თქვენ ოდესღაც გინდოდათ ჩემი გამხდარიყავით.

§ 32.

ისინი ისევ გაემართენ პირველ მაღაროსაკენ. კატასტროფის შემდეგ უკვე ორმა დღემ გაიარა და სავენტილიაციო მანქანა ჯერ კიდევ ამუშავებული არ იყო, სამზადისიც კი არა სჩანდა ამისათვის. ქალები სულ უფრო და უფრო ისტერიული ხდებოდენ, მასებში ძლიერ ნერვიულობას ჰქონდა ადგილი. ჯეფ კოტონმა დამცველი რაზმი გამოიწვია წესიერების დასაცავად. მაღაროში შესავალი ადგილი ეკლიანი მავთულით შემოფარგლეს, მავთულის იქით დასეირნობდენ პირქუში პოლისმენები რევოლვერებით ხელში. იმავე დროს ხოლი საკონტროლო ჯგუფის წევრებს ესაუბრებოდა. მათ უამბეს იმას, თუ რა მოხდა მისი სატუსაღოში ჯდომის განმავლობაში, და ამან გაახსენა მას ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც იმან კატასტროფის გავლენით სრულიად გადაივიწყა. საბრალო მოხუცი ჯონ ედსტრომი პედროში იმყოფებოდა, ალბად დიდ გაჭირვებას განიცდიდა ის იქ. იმავე ღამეს ხოლი მიადგა მოხუცი შვედის სახლს, გადაძვრა შიგ ფანჯრიდან, ამოთხარა იქ დამალული ფული და დაავალა მერი ბარკს მისი გადაგზავნა.

საათი საათს მისდევდა და მაღაროში შესავალი კი ისევ დაკეტილი იყო. მუშები და მათი ცოლები ჩუმად იკრიბებოდენ ერთად და შესჩივოდენ ერთმანეთს კომპანიის საქციელის გამო. როგორღაც თავისთავად მოეწყო, რომ ხო-

ლის მეგობრებმა, რომლებმაც დაიწყეს მოძრაობა კონტროლიორის სასარგებლოდ, აქაც იკისრეს მეთაურობა. ისინი ყველაზე უფრო ინტელიგენტები იყვნენ მუშებში, უკეთ შეეძლოთ შეეგნოთ ამ ამბების აზრი და მნიშვნელობა, ისინი ფიქრობდენ არა მარტო იმათ ბედზე, ვინც ეხლა მიწის ქვეშ ლაფავდა სულს, არამედ იმ სხვა ათასთა ბედზედაც, რომელთაც მომავალში შეიძლება ასეთივე ხვედრი მოელოდეთ.

ხოლს ყველაზე უფრო ის ფიქრი სდეედა თან, რომ ვიდრე ის მაღაროა დასტოვებდა, მან უეჭველად რაიმე არაჩვეულებრივად გადამჭრელი ნაბიჯი უნდა გადასდგას. მას, ცხადია, ახლო მომავალში წასვლა მოელოდა აქედან—ჯეფ კოტონი ბოლოს და ბოლოს გაიხსენებდა იმას და სისრულეში მოიყვანდა თავის მუქარას.

ნორტ-ვალში გაჩნდა გაზეთები, რომლებიც იხსენიებდენ მომხდარ კატასტროფას, ხოლი და მისი მეგობრები კითხულობდენ მათ. აშკარა იყო, რომ ეს ცნობები შედგენილი იყო კომპანიის მიერ მიწოდებული ცნობების მიხედვით. შტატის მცხოვრებლები განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდენ თვალ-ყურს მაღაროებში მომხდარ უბედურ შემთხვევებს. სტატისტიკური ცნობები კატასტროფების დროს დაღუპული მუშებისა ყოველ წელიწადს იზრდებოდა. შტატის მადნების ინსპექტორის ანგარიშში ერთ წელიწადს ნაჩვენები იყო ექვსი მსხვერპლი ყოველ ათას მუშაზე, შემდეგ წელიწადს დაღუპულთა პროცენტმა რვანახევარს მიაღწია, კიდევ შემდეგ წელს უკვე ოცდაერთ ნახევარზე ავიდა. თუ რომელიმე კატასტროფის დროს ორმოცდაათი ან ასი კაცი დაიღუპებოდა, და ასეთი შემთხვევები ხშირად მოსდევდა ერთი მეორეს, მაშინ თვით ყველაზე უფრო გულგაქვავებული ნაწილი საზოგადოებისა დაიწყებდა მღელვარებას და მოუსვენარი კითხვების ძლევას. ამიტომ ამ შემთხვევაშიაც საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიამ შეამცირა მსხვერპლის ნამდვილი, რაოდენობა რამდენადაც კი შეიძლებოდა, და მასთან შეეცადა მომხდარი კატასტროფის ყოველგვარი გასამართლებელი საბუთის გამოძებნას. კომპანია აქ არაფერ შუაშიაო: მაღაროები რეგულიარულად ირწყვებიან წყლით და ზედ დაფხვნილ აგურს აყრიან, ხოლო კატასტროფის ერთად-ერთ შესაძლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მუშები სიფრთხილით არ ეკიდებიან ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

ერთხელ, საღამოს ჯეკ დეევიდის სახლში, სიტყვა ჩამოვარდა მაღაროში მოქცეული მუშების რაოდენობის შესახებ. კომპანიის მიერ გამოქვეყნებული ცნობით ისინი სულ ორმოცი კაცი იყვნენ, მაგრამ მინეტტის, ოლსონს და დეევიდს ეს ციფრი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ, იმდენად შემცირებული იყო მათი აზრით იგი. ყოველი კაცი, ვისაც ოდნავ მაინც შეუჩვევია თვალი მასსებისათვის, ადვილად დარწმუნდება იმაში, რომ მსხვერპლთა რიცხვი თუ სამჯერ არა ორჯერ მეტი მაინც აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნულ ციფრზე. აქ აშკარა წინასწარ განზრახული დამახინჯებაა ნამდვილი ციფრის, ვინაიდან კომპანიამ ძალიან კარგად იცის ყოველი მუშის გვარი. მართალია, უმეტეს შემთხვევაში ეს იყო სლავიანური ძნელი გამოსათქმელი გვარები, გარდა ამისა ამ ხალხს არა ჰყავდათ მეგობრები, რომლებსაც შეეძლოთ მათ შესახებ ცნობების

მოკრეფა, ან თუნდაც რომ ჰყოლოდათ ასეთი მეგობრები, სულერთია, ამერიკული გაზეთების რედაქტორები მაინც ვერ გაიგონებდენ მათ ენას.

ეს,—განმარტა ჯეკ დევიდმა—ერთი ნახარეთაგანია ხალხის—წარმოების იმავე სისტემისა. კომპანიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეირჩინოს მომავალშიაც ხალხის დალუპვის შესაძლებლობა მხოლოდ იმგვარად, რომ ამავე დროს მან არც პრესტიჟი დაჰკარგოს და არც ფული.

ხოლს აზრად მოუვიდა თავში, რომ სასარგებლო იქნებოდა უარყოფის დაწერა კომპანიის ყალბი ცნობების წინააღმდეგ, იმას თითქოს ისიც კი ეგონა, რომ ეს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მაღაროში მომწყვდეული მუშების გადარჩენა. ცხადია, ყოველი მუშა, რომელიც კი აღიმაღლებდა თავის ხმას კომპანიის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ შავ სიაში მოხვდება, მაგრამ ხოლისათვის ამას არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდა—მისი გვარი უმისოდაც უკვე იყო ალბად შავ სიაში.

ტომ ოლსონმა ჰკითხა:

— რას ფიქრობთ, რა უნდა უყოთ მერმე თქვენს უარყოფას?

— მე დავბეჭდავ მას გაზეთებში,—უპასუხა ხოლმა.

— რომელი გაზეთები მოისურვებენ მათ დაბეჭვდას?

— პედროში, ვგონებ, არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე გაზეთი.

— ჰო, მაგრამ ერთი ყოველის შემძლე შერიფს რალფ რეიმონდს ეკუთვნის, ხოლო მეორე კი ველგმენს, საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის საბჭოს წევრს. რომელს მიმართავთ, როგორ ფიქრობთ?

კარგი, მაშინ მე შეეცდები მივმართო უესტერნსიტის გაზეთებს. მათ გამოგზავნეს აქ თავიანთი რეპორტიორები და რომელიმე მათგანი უეჭველად მიიღებს უარყოფას.

ოლსონმა ამაზე უპასუხა, რომ ცდა შეიძლება, მაგრამ, მისი აზრით, მხოლოდ სოციალისტური და მუშათა გაზეთები თუ დაბეჭდავენ მას.

ჯეკ დევიდი, რომელიც კარგად იცნობდა მუშათა კავშირებს და მათ ტაქტიკას, შენიშნა:

— ჩვენ ზედმიწევნით უნდა გამოვიანგარიშოთ, რომ რაც შეიძლება სწორედ გამოვარკვიოთ მაღაროში მოქცეული მუშების რიცხვი.

მისი რჩევა მოიწონეს და გადასწყვიტეს იმ საღამოსავე შესდგომოდენ საქმეს. რაც არ უნდა იყოს ეს გაანთავისუფლებდა მათ რამდენიმე მძიმე ფიქრებისაგან. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობეს ბერი ბარკს, როვეტს, კლოვსკის და ზოგიერთ სხვებს. მეორე დღეს დილით ისინი ისევ შეიკრიბენ ერთად, შეასწორეს მუშების სიები და გამოარკვიეს, რომ მაღაროში № 1 იმყოფება 107 დიდი და მცირეწლოვანი მუშა.

§ 33.

მაგრამ სიის შედგენა და კამათი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქნას იგი გამოქვეყნებული; მოულოდნელად შეწყდა ერთი უფრო დიდი მნიშვნელოვანი გარემოებით. ჯეკ დევიდმა მოიტანა ახალი და მეტად ცუდი ცნობები.

დაიწყეს ახალი სავენტილიაციო მანქანის მოწყობა, მაგრამ ეს მუშაობა მეტისმეტად ნელა სწარმოებდა, და მუშებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ მანქანის ამუშავებას სრულებით არა ფიქრობენ, ეს კიდევ ცოტა, მაღაროს ისევ დახურულის დატოვებას აპირებდენ იმის შიშით, რომ მოსალოდნელმა ქარმა ხანძარი არ გააძლიეროს და კიდევ სხვაგან არ გადიტანოს. უკმაყოფილოთა ჯგუფმა გადასწყვიტა ბოლოს მიემართათ მადნების ინსპექტორის მისტერ კარმიკელისათვის და მოეთხოვათ მისგან განმარტება. ამ ჯგუფს სათავეში უდგა საკანტროლო ჯგუფის ერთერთი წევრი ავსტრიელი ხუშარი; ის დაუყონებლივ დააპა იმრეს და საჩქაროდ მოაშორეს ნორტ-ვალს.

გარდა ამისა, ჯეკ დევიდმა უამბოთ კიდევ, რომ ერთმა მისმა ნაცნობმა დურგალმა, რომელიც სავენტილიაციო კამერაში მუშაობს, უთხრა მას, რომ იქ აოც თუ ძალიან აჩქარიან სავენტილიაციო მანქანის გამართვას. იმავე აზრის იყვნენ სხვებიც, ვინც მასთან ერთად მუშაობდა იქვე. მაღარო დახურული დარჩება მანამდე, ვიდრე კომპანია არ ინებებს, რომ ხანძარი ჩაქრობილად იცნოს.

— შეიძლება, —შენიშნა ხოლმა, —მაღაროს გახსნით ხანძარი მართლა გაძლიერდება და შეუძლებელს გაბდის მაშველი მუშაობის წარმოებას?

— არასოდეს,—უპასუხა დიდმა ჯეკმა და აუხსნა, რომ საჭირო იყო მხოლოდ სავენტილიაციო მანქანის მეორე ნახრით მობრუნება და მაშინ შესაძლებელი გახდებოდა რამდენიმე ხნით კვამლისაგან მაღაროს გაწმენდა.

— რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ნახშირს და მარწუხებს ცეცხლი მოეკიდოს, თაღები ჩამოიქცეს და ზარალი მოუვიდეს კომპანიას.

— რამდენი ხანი დარჩება კიდევ დახურული მაღაროა?—იკითხა გაფიორებულმა ხოლმა.

— ეხლა ამას ვერავინ ვერ იტყვის დანამდვილებით, ასეთ უზარმაზარ მაღაროში ხანძარი შეიძლება მთელი კვირა გაგრძელდეს.

— მაგრამ მაშინ, ხომ ყველანი დაიხოცებიან შიგ!—წამოიძახა როზა ბინეტტიმ და სიმწრით ხელების მტვრევა დაიწყო.

ხოლმა მიმართა ოლსონს:

— ნუ თუ კომპანიას მართლა შეუძლია ეს ჩაიდინოს?

— ეს არა ერთხელ მომხდარა,—უპასუხა ორგანიზატორმა.

— თქვენ არასოდეს არ გაგიგონიათ ჩერრში, ილინოისში მომხდარი შემთხვევის შესახებ?—ჰკითხა დევიდმა.—იქაც ასევე მოიქცენ და შედეგად სამას კაცზე მეტის დაღუპვა მოჰყვა.

და მან უამბო მას ეს საშინელი შემთხვევა, რომელიც კარგად იციან ყველა მაღაროს მუშებმა. მაღარო დახურული იყო, ქალები ტიროდენ ზევით, გულს ეყრებოდათ, კაცები ტანსაცმელს იგლეჯდენ ტანზე სიბრაზისაგან, ზოგიერთები ჭკუაზე შეიშალენ. მაღარო მთელი ორი კვირა ჰქონდათ დახურული, და როდესაც დაბოლოს გახსნეს იგი, მასში მხოლოდ ოცდაერთი კაცი აღმოჩნდა ცოცხალი.

— იგივე მოხდა დაიმონდვილში და ვაიომინგში,—სთქვა ოლსონმა.—იქ მაღოროს გამოსავალთან ააშენეს ბარიერი, და როდესაც ის მოხსნეს, წააწყდენ იქვე მიყრილ გვამებს: ხალხი მოფორთხებულიყო იქ, ცდილობდენ ბარიერის დანგრევას და სულ დაეკაწრათ ხელები.

— ღმერთო ჩემო!—წამოიძახა ხოლმა და ადგილიდან წამოხტა.—ნუ თუ ეს კაცი, ეს კარმიკელი ასეთ რამეს დაუშვებს?

— ის ილაპარაკებს, რომ კეთდება ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია,—უპასუხა დიდმა ჯეკმა. შეიძლება, რომ თვითონ იმასაც სჯეროდეს. მაგრამ თქვენ ნახავთ, რომ ის ყოველ დღე აღმოაჩენს ახალ-ახალ დაბრკოლებებს, და ბოლოს მანქანას აამუშავებენ მაშინ, როდესაც ეს მათ მოეპრიანებათ.

— მაგრამ ეს ხომ მკვლელობა არის!—წამოიძახა ხოლმა.

— არა, ეს არის კაპიტალიზმი!—დამშვიდებით სთქვა ტომ ოლსონმა.

ხოლი აკვირდებოდა მუშების სახის გამომეტყველებას; ყოველ მათგანს ჰყავდა მეგობრები ამ სიკვდილის მახეში, ყოველი მათგანი შეიძლება ხვალ იმგვარსავე მდგომარეობაში მოქცეულიყოს.

— და მერმე თქვენ დამშვიდებული ურიგდებით ამ გარემოებას!—წაილაპარაკა მან თითქმის თავისთვის.

— დღეს დილით პოლიციელების ახალი რაზმი მოვიდა,—სთქვა ჯერრი მინეტტიმ.—როზამ დაინახა.

— იმათ იციან რასაც სჩადიან,—სთქვა როზამ.—მათ ეშინიათ, რომ ჩვენ ხელი არ შეუშალოთ და ხედმეტი დავიდარაბა არ აუტეხოთ. ისინი დაეშუქრენ შისსის ცამბონის, რომ გააგდებენ აქედან, თუ ის წყნარად არ დაჯდება თავისთვის სახლში, ხოლო მოხუც დედაკაცს იონიჩს—იმისი ქმარი და სამი ვაჟი იქ არიან, მიწის ქვეშ...

— ისინი თანდათან უფრო უნამუსო და მკაცრი ხდებიან,—შენიშნა მისსის დევიდმა.—ეს აყლაყუდა პიტი მაინც, ჰედროდან რომ მოვიდა, თავის მოჭრაა პირდაპირ ისე ექცევა ქალებს.

— მე კარგად ვიცნობ მას,—სთქვა ოლსონმა.—ის იყო შერიდანში, როდესაც იქ მოთავსებული იყო მუშათა კავშირის მთავარი ბინა. ერთხელ მან გაარტყა სახეში ერთერთ ჩვენს ორგანიზატორს და ოთხი კბილი ჩაუმტვრია. ამბობენ, რომ ის გამოქცეული კატორღელიაო.

მთელი გასული წლის განმავლობაში ხოლი უსმენდა ლექციებს პოლიტიკური ეკონომიიდან; ამ ლექციებში ქება-დიდება ეწირებოდა იმას, რასაც „კერძო საკუთრება“ ეწოდება. კერძო საკუთრება ხელს უწყობს ინიციატივის გამოჩენას და აჩვევს ბრძნულ მომჭირნეობას; კერძო საკუთრება ამოძრავებს ინდუსტრიის ბორბლებს, იძლევა სახალხო განათლების გაფართოების საშუალებას, აწესრიგებს ალებ-მიცემობას, ის საფუძველია იმ პროგრესისა და სიმდიდრის, რომლითაც ყოველთვის შეუძლია იამაყოს ამერიკამ. ეხლა ხოლს პირისპირ მოუხდა ამ მოვლენასთან შეხვედრა; ის გრძნობდა მის ცხელ სუნთქვას, ხედავდა იმის მოსრიალე თათებს, ხედავდა, როგორ ცეცხლივით ანათებდენ მისი მგლური თვალები, ხედავდა მოღუნულ ბრჭყალებს, რომლებსაც კაცების,

ქალების და ბავშვების სისხლი ჩამოსწვეთდა ძირს. ნახშირის მადნების კერძო საკუთრება! კერძო საკუთრება—და დახურული ამოსასვლელები [illegible]ებიდან! კერძო საკუთრება—და არარსებული სათადარიგო ამოსასვლელები! კერძო საკუთრება—და უმოქმედო სავენტილიაციო მანქანები! კერძო საკუთრება—და უმოქმედო სარწყავი შტოები! კერძო საკუთრება—და რტყმა, რევოლვერები, მკვლელები და კატორღელები, რომელთა დახმარებით დაისჯებიან მეამბოხენი და მუშების მხსნელები, გაძევდებიან ქვრივები თავიანთი მშობლიური გავერანებული ბუდეებიდან! ო, თქვენ, კერძო საკუთრების განათლებულო და გამაძღარო ქურუმებო, რომლებიც აკადემიურ სასახლეებში ქებათა-ქების უმღერით სისხლიან მოლიხს!

ხელი თითქოს გაქვავდა; მასში გაიღვიძა რაღაც ისეთმა, რასაც ის აქამდე არ იცნობდა. მის სახეს ახალი გამომეტყველება დაეტყო, ხმა მკაფიოდ და ღრმად უბგერდა, როგორც მომწიფებული ძლიერი კაცის ხმა.

— მე ვაიძულებ მათ მაღაროს გახსნას!

ყველა მას მიაჩერდა და, მიუხედავად მათი ისტერიული განწყობილებისა, ყველა გააოცა ამ სიტყვების არაჩვეულებრივმა ტონმა: „მე ვაიძულებ მათ მაღაროს გახსნას“.

— რანაირად?—ჰკითხა ოლსონმა.

— საზოგადოებამ არ იცის არაფერი, მაგრამ საკმაოა გაიგოს მან ეს ამბავი, და ის გამოიწვევს მასში აღშფოთების ისეთ ქარიშხალს, რომ ძნელად თუ ასეთ ფაქტებს კიდევ ადგილი ექნეს შემდგომ.

— მერმე რა გზით აცნობებთ ამას საზოგადოებას?

— გაზეთების საშუალებით! რა გინდ წინასწარ აღებული საზომითაც არ უნდა მიუდგენ თქვენს წერილს მათ არ შეუძლიათ სრულიად მიაფუჩეჩონ ასეთი ფაქტები.

— ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი ვიღაც მაღაროს მუშის თანაშემწეს დაუჯერებენ?—ჰკითხა მისსის დევიდმა.

— ასე თუ ისე მე შევძლებ ამას, მე იმათ ვაიძულებ მაღაროს გახსნას!

§ 34.

მაღაროებზე ხეტიალის დროს ხოლი შეეყარა რამდენიმე ინტელიგენტური სახის ყმაწვილ-კაცს ბლოკნოტებით ხელში. როგორც ეტყობოდა ისინი კომპანიის სტუმართმოყვარეობით სარგებლობდენ, ვინაიდან ხოლმა შენიშნა, რომ ისინი მეგობრულად ესაუბრებოდენ ზედამხედველებს. მიუხედავად ამისა ხოლი ფიქრობდა, რომ რომელიმე მათგანს სინდისი მაინც კიდევ მთლად არ ექნება დაკარგული ან, ყოველ შემთხვევაში, მათ მოხიბლავს „სენსაციური კორესპონდენციის“ გამოქვეყნების შესაძლებლობა. ამიტომ მან დასტოვა დევიდების ოჯახი და მაღაროსაკენ გაეშურა, რომ მოენახა რომელიმე რეპორტიორი. მალე მან მართლაც შენიშნა ერთი მათგანი და გაჰყვა უკან, რათა დრო ეხელთა და ჯაშუშების შეუმჩნევლად მოლაპარაკებოდა მას. როგორც კი შემთხვევა მიეცა, ის მივიდა რეპორტიორთან და ზრდილობიანად სთხოვა წასულიყო იგი მასთან

იქვე გვერდით მეორე ქუჩაში, რომ იქ თავისუფლად მოელაპარაკებათ. რეპორტიორი დასთანხმდა და წავიდენ. ხოლი შეეცადა დაეფარა ეს ... მღელვარება, რათა რეპორტიორში ეჭვები არ აღეძრა, და უთხრა ... უკვე რამდენიმე თვე არის, რაც იგი ნორტ-ვალში მუშაობს და შეუძლია ბევრი რამ აცნობოს აქაური წესების შესახებ, მაგალითად, დანაყილი აგურის შესახებ. მაღაროებში, რომლებიც განსაკუთრებული სიმშრალით განირჩევიან, ჩვეულებრივ დანაყილ აგურს აყრიან აფეთქების თავიდან ასაცილებლად. კომპანია ირწმუნება, ვითომც ის რეგულიარულად სცემს ბრძანებას, რომ მაღაროებში დანაყილი აგური მოაყარონ, მაგრამ ეს სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. იცის თუ არა ეს რეპორტიორმა?

რეპორტიორმა უპასუხა, რომ ეს იმან არ იცის, და გამოსთქვა დიდი ინტერესი ამ საკითხის გამო; მან ჰკითხა ხოლს მისი სახელი და ხელობა.

— ჯო სმიტ, ნახშირის მჭრელის თანაშემწე, ეს-ეს არის სასწორის კონტროლიორად ამირჩიეს,—უპასუხა ხოლმა.

რეპორტიორმა, ახალგაზდა განხდარმა კაცმა სახის მკვეთრი მოხაზულობით, მიაყარა ხოლს კითხვები. საუბარის დროს მან მოიხსენია ის, რომ იგი დიდი ბეჭდვითი ასოციაციის ადგილობრივი კორესპონდენტია; ეს ასოციაცია მთელ შეერთებულ შტატებში დაგზავნის ცნობებს მომხდარი კატასტროფის შესახებ. ხოლი ჩაეცლაუჭა ასეთ ბედნიერ შემთხვევას და საჩქაროდ დაუწყო მოყოლა მისტერ გრეხემს, თუ როგორ შეადგინეს მათ სია მაღაროში მომწყვდეული ას შვიდი დიდი და მოზარდი მუშისა, რომელთა სახელების გამორკვევა მათ ზედმიწევნით მოახერხეს. ხოლმა შესთავაზა მას სია. მისტერ გრეხემი კიდევ უფრო დაინტერესდა და დაიწყო რიცხვის ჩანიშვნა თავის წიგნაკში.

ხოლმა მიაქცია რეპორტიორის ყურადღება სხვა, კიდევ უფრო ნიშანელოვან გარემოებას: საავენტილიაციო მანქანის მოწყობის დაგვიანებას. აფეთქების შემდეგ უკვე სამმა დღემ განვლო და აქამდე არავინ ცდილა შიგნით მაღაროში შესვლას. შეამჩნია თუ არა მისტერ გრეხემმა ის მღელვარება რომელსაც ადგილი ჰქონდა დღეს მაღაროში ჩასასვლელთან? იცის თუ არა მან, რომ ერთი მუშა გააგდეს აქედან მხოლოდ იმის გამო, რომ მან მადნების ინსპექტორს განმარტებისათვის მიმართა?

ხოლმა დაუმტკიცა მას, რომ კომპანია ზრუნავს თავისი ქონების გადარჩენისათვის მიუხედავად იმისა, რომ ეს გადარჩენა იმას ადამიანების სიცოცხლედ უჯდება. ის უხატავდა მას ადამიანთა ტანჯვა-წამების სურათებს, უამბობდა დაბერებული, გაძვალტყავებული მისსის რაფერტის შესახებ, რომელსაც რვა შვილი შერჩა ხელში უპატრონოდ, მისსის ცამბონიზე მისი თერთმეტი შვილით, მისსის იონიჩზე, რომლის ქმარი და სამი ვაჟი მაღაროში მოენწყვიტენ. გამხნევებულმა იმ ინტერესით, რომლითაც მას ყურს უგდებდა რეპორტიორი, ხოლმა გადასწყვიტა აღარ დაემალა მისთვის ის გრძნობები, რომლებიც ასე მხურვალედ აღელვებდნენ მის გულს: საქმე ცხოველებს კი არა, ადამიანებს შეეხება, არსებებს, რომლებმაც იციან თუ რა არის სიყვარული და რა არის ტანჯვა, მიუხედავად მთელი მათი სილატაკისა და დაბეჩავებისა.

— უეჭველია,—სთქვა მისტერ გრეხემმა,—თქვენ სრულიად მართალი ხართ, დარწმუნებული იყავით, რომ მე მოვკიდებ ხელს ამ საქმეს.

— კიდევ ერთი სიტყვა,—შენიშნა ხოლმა:—თუ თქვენს ცნობაში ჩემი სახელი იქნა მოხსენებული მე უეჭველად დათხოვა მიკადის.

— მე არ მოვიხსენიებ მას,—უპასუხა რეპორტიორმა.

— მაგრამ თუ თქვენ აუცილებლად წყაროს ჩვენება დაგჭირდათ?

— მე ვარ თვითონ წყარო,—გაიღიმა რეპორტიორმა.—თქვენი სახელი აქ არაფერ შუაშია.

ის ისე დამშვიდებით, ისეთი დაჯერებული ტონით ლაპარაკობდა, თითქოს მას სავსებით ესმის საქმის ვითარება და მასზე დაწოლილი მოვალეობის მნიშვნელობა, და ხოლს არ შეეძლო არ განეცადა ტრიუმფის ცოტაოდენი გრძნობა.

მას ეგონა, რომ გარე ქვეყნიდან აქ შემოიჭრა ქარის ნაკადი და შეანძრია აქაური დამყაყებული ჭაობის ოხშივარი. დიახ, ეს რეპორტიორი მართლაც გარე ქვეყანას გამოხატავდა, საზოგადოებრივი აზრის ძლიერებას, რომელიც თავის უფლებებს აცხადებდა ამ სიცრუისა და მოტყუების ზღვაში! ეს იყო ხმა სიმართლისა, ხმა დიადი ორგანიზაციის, ვაჟკაცობისა, და სამართლიანობის, იმ ორგანიზაციის, რომელიც დამოუკიდებელი იყო საიდუმლო გავლენათაგან და იდგა მოსყიდვისათვის მიუწვდომელ სიმაღლეზე.

— დიდად დავალებული ვარ თქვენგან,—უთხრა მისტერ გრეხემმა, როდესაც ხოლმა გაათავა თავისი სიტყვა იმ შეგნებით, რომ მან გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა.

რა ბედნიერება არის, რომ ის სწორედ ბეჭდვითი სიტყვის დიადი ასოციაციის აგენტს წააწყდა! კორესპონდენცია შემოიფრენს იმ მთელი უზარმაზარი მრეწველობის სამყაროს, რომლის ორგანიზმი იმდენადვე დამოკიდებულია ნახშირზე, რამდენადაც ადამიანის ორგანიზმი სისხლზე... და ბოლოს ნახშირით მომუშავე ქარხნების მუშებიც, იმავე ნახშირის წყალობით რკინის გზებზე მსრბოლი მგზავრებიც, ყველანი გაიგებენ ბოლოს იმათი ტანჯვის შესახებ, ვინც მათთვის მიწის სიღრმეში მუშაობს. თვით ბრწყინვალე ტროპიკულ ზღვებში მცურავ სასახლეების მაგვარ გემებზე მყოფი დამებიც კი— აი როგორია თანამედროვე ბეჭდვითი სიტყვის ჯადოსნური ძალა—ეს დამებიც კი გაიგონებენ მუშების, მათი ცოლებისა და ბავშვების ყვირილს დახმარების შესახებ! და ამის პასუხად მთელ ქვეყანაზე გაისმის საშინელებისა და განრისხების იმდენად ძლიერი ხმა, რომ თვით მოხუცი პიტერ ხარიგანიც კი იძულებული იქნება დაუთმოს!

ასე გაიტაცა ოცნებამ ხოლი, ვინაიდან ის ახალგაზდა იყო და თავის ჯვაროსნულ ომში პირველად გამოდიოდა.

ის იმდენად ბედნიერი იყო, რომ მას სრულიად დაავიწყდა საქმელის ჭამა. მოვიდა სადილობა, ის წავიდა რემინიცკისას. ვერც კი მოასწრო პირველი თავის შეჭმა, რომ მას მოულოდნელად და უღმერთოდ გაუცრუვდა მთელი მისი მოლოდინი.

მან მიიხედა და დაინახა ჯეფ კოტონი, რომელიც პირდაპირ მისკენ გაემართა. სამთო ინსპექტორის თვალები რისხვით ელავდენ, ხოლი ინსტიქტიურად წამოდგა ზეზე.

— აქ მობძანდით!—დაუყვირა კოტონმა. და ვიდრე სუფრაზე მსხდომნი გონს მოვიდოდენ, მან წააელო ხოლს ხელი სახელოში და გაათრია გარედ.

ამ შემთხვევაში ხოლს არა ჰქონდა შესაძლებლობა ეჩვენებია ინსპექტორისათვის თავისი „ზრდილი მანერები". გზაში კოტონმა თავისი აზრი გამოსთქვა მის შესახებ, უწოდა მას: გაიძვერა, წუნკალი, საზიზღარი მაწანწალა, და როდესაც ხოლმა, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა რაში იყო საქმე, მისცა მას რაღაც შეკითხვა, მან უბრძანა მას „ენის ჩაწყვეტა", თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეაჯანჯგალა იგი.

იმავე დროს, ორი მთვრალი, სასადილოს კართან დარაჯად მდგომი, პოლისმენი სწვდა მას ხელებში და ამგვარად შეუმსუბუქეს მას შემდეგი მგზავრობა.

ისინი გაუდგენ ქუჩას, კოტონის კონტორის გვერდით, და გაემართენ პირდაპირ სადგურისაკენ. როდესაც ისინი მივიდენ იქ, მატარებელი უკვე წასასვლელად იყო გამზადებული. სამივემ შეათრიეს იგი ვაგონში და დააჯინეს სკამზე.

აი ასე, ყმაწვილო,—უთხრა კოტონმა,—ეხლა ვნახოთ ვინ არის აქ მალაროს ბატონ-პატრონი!

ამ ხნის განმავლობაში ხოლმა მოასწრო გონზე მოსვლა და თავის კალაპოტში ჩადგომა.

— როგორ, უბილეთოდ წავიდე?—ჰკითხა მან.

— ეგ ჩემი საქმეა,—უპასუხა ინსპექტორმა.

— ჩემი ბარგი?

— შეინახეთ თქვენი კითხვები თქვენი პროფესორებისათვის,—დაუყვირა მას ინსპექტორმა.

ხოლი შეუდგა ცდას. რამდენიმე წუთის შემდეგ მოიერბინა ვიღაც კაცმა და მოიტანა ხოლის საცოდავი თოკშეკოჭერილი ქონება. ეს იყო მახინჯი აყლაყუდა, ინსპექტორი მას „პიტს" ეძახდა.

კონდუქტორმა დაიძახა „მზად არის!" ჯეფ კოტონი დაიხარა და წასჩურჩულა ხოლს ყურში:

— ნება მომეცით გაგაფრთხილოთ, ყმაწვილო, რომ თქვენ პედროში არ შეჩერდეთ, არამედ დაუყოვნებლივ გაემგზავროთ წინ, თორემ მე ვერ შემოგპირდებით, რომ ერთ ბნელ ღამეს თქვენ რაიმე არ შეგემთხვევათ.

შემდეგ ის გავარდა ამოძრავებული ვაგონიდან, და ხოლმა დაინახა, თუ როგორ დაჯდა ვაგონის მეორე განყოფილებაში კბილების ცნობილი ამომტვრეელი—პიტ ხენმი.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა, მხატვრობა
და მემუარები

ფილიპე მახარაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში

(თვალის ერთი გადავლებით).

მთხოვეს დამეწერა პატარა წერილი, სამი-ოთხი გვერდი, საქართველოს მდგომარეობაზე მეცხრამეტე საუკუნეში. მიუხედავათ დროის უქონლობისა, დაპირება მივეცი. მაგრამ ვერ შევძელი საქმე იმ სახით შემესრულებია, რა სახითაც მთხოვეს: წერილი ბევრად უფრო ვრცელი გამოვიდა. მასთან წერილის სიდიდის გამო დრო აღარ დამრჩა შესაფერისად დამემუშავებია ის მდიდარი მასალა, რაც ჩემს განკარგულებაში იყო. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მე სრულიად ვერ შევეხე მრავალ საინტერესო მხარეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეს ახასიათებს. ზევრ საკითხზე მხოლოდ გაკვრით შევჩერდი. ადვილი გასაგებია, რატომ.

ჩემი სურვილი იყო მკითხველის გულისყური მიმეპყრო ისეთ მოვლენებზე, რომელთაც, საერთოდ, ან სრულებით არ აქცევდენ ყურადღებას ან და ძალიან ნაკლებად. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ ეს პატარა შრომა ამ სახითაც ინტერესს მოკლებული არ იქნება.

საჭიროთ მივიჩნიე ეს განმარტება წამემძღვარებია ამ ნაშრომისათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველო სრულიად ახალ პირობებში იწყებს ცხოვრებას. რომ უკეთ წარმოვიდგინოთ საქართველოს საზოგადოებრივი, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, საჭიროა სულ მოკლედ მაინც შევჩერდეთ საქართველოს მდგომარეობის დახასიათებაზე მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში.

ვიცით, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ისე როგორც წინათ, საქართველო პოლიტიკურად აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს; იგი

დასერილ-დაყოფილი იყო **ორ სამეფოდ**: ქართლ-კახეთი და იმერეთი; და **სამ სამთავროდ**: გურია, სამეგრელო (ოდიში) და სვანეთი. საქართველო მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი იყო, სინამდვილეში იგი, როგორც ასეთი, არ არსებობდა! ამ ხუთ სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის დაუსრულებელი ქიშპობა, შფოთი და კინკლაობა იყო, რაც ხშირად ძმათა შორის სისხლის ღვრად იქცეოდა ხოლმ. მაგრამ ქართველი ერის დაგლეჯა-დაქუცმაცება ამით როდი თავდებოდა: როგორც თითოეული სამეფო, ისე თითოეული სამთავრო თავის მხრით რამდენიმე კარჩაკეტილ და თითქმის დამოუკიდებელ საერისთაოდ ნაწილდებოდა, რომელთა სათავეში წარჩინებული თავადები იდგენ. ეს თავადებიც ერთმანეთში მუდამ ქიშპობდენ და კინკლაობდენ. ამ სამეფოებს, სამთავროებს და საერისთაოებს საერთო ისღა შერჩენოდათ, რომ ყველა მათგანი დასახლებული იყო ქართველი ტომის ხალხით, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობდა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი კუთხის განსხვავებულ კილოკავს. შინაური შფოთი, და ხშირად ომიც, ხომ მოსვენებას არ აძლევდა ხალხს, მაგრამ ამაზე უფრო დიდი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს მაშინ ჰყავდა გარეშე მტრები: ოსმალოები, სპარსელები, თათრები, ლეკები და სხვ. იყო ერთი გარემოება, რომელიც ამ მხრით, კიდევ უფრო დიდ უბედურებათ ეკლინებოდა საქართველოს, სახელდობრ ის, რომ ქართველი ხალხის ყველა გარეშე მტერი მაჰმადის რჯულს, ანუ სარწმუნოებას აღიარებდა. ეს მტრები სისტემატიურად და გამუდმებით თავს ესხმოდენ საქართველოს, იკლებდენ და აოხრებდენ ქართველი ხალხის მიწა-წყალს. მაგრამ მარტო ამას როდი კმაროობდენ: ისინი ცდილობდენ ქართველების გამაჰმადიანებასაც. რადგანაც ქართველი ხალხი ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდა და გარეშე მტრები კი—მაჰმადისას, ამიტომ ბრძოლა ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის სარწმუნოებრივი ომის ხასიათს იღებდა; თითქოს ბრძოლა სწარმოებდა სარწმუნოებისათვის და არა ნივთიერი, მატერიალური ინტერესების გულისათვის. ეს გარემოება ფარავდა ხალხის თვალში ომის ნამდვილ მიზეზებს; ხალხს გონებას ურევდენ, უმტკიცებდენ—ვითომც იგი თავისი სარწმუნოების დასაცავად იბრძოდა. ეს კი ბუნებრივად იწვევდა, როგორც ქართველებში, ისე მაჰმადის სჯულის მაღიარებელ ხალხებში, სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას, რითაც, რა თქმა უნდა, მოხერხებულად სარგებლობდენ მაშინდელი გაბატონებული წოდებანი: შეფენი, მთავრები (თავად-აზნაურობა) და მაღალი სამღვდელოება (კათალიკოსები, მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები).

ამგვარად, საქართველო და ქართველი ხალხი ფაქტიურად მაჰმადის სარწმუნოების მაღიარებელ ხალხთა რკალში მოემწყვდა, რადგანაც ჩრდილოეთის მხრითაც—კავკასიონის მთებში მობინადრე ხალხებიც (ლეკები, ჩაჩნები, ქისტები და სხვ.) იმ დროს თითქმის სულ ერთიანად გამაჰმადიანებული იყვნენ. ეს მოხდა სწორედ მას შემდეგ, რაც მეთხუთმეტე საუკუნეში სტამბოლი ოსმალოებმა დაიპყრეს. ოსმალოებმა თანდათან გაავრცელეს თავისი გავლენა შავი ზღვის სანაპიროების ყველა ქვეყნებზე. ამგვარად, პატარა საქართველოს ქრის-

ტეს სჯულის მაღიარებელი ხალხი ირგვლივ გარშემორტყმული იყო მაჰმადიანური ქვეყნებით. ამ უკანასკნელთ ქრისტიან-ქართველების წინააღმდეგ თითქოს ერთი მთლიანი ფრონტი ჰქონდათ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებდა. უნდა ითქვას, რომ ერთი მუჭა ქართველობა გარეშე მტერს შეუპოვრად ებრძოდა, მას არავინ ჰყავდა მშველელი და დამხმარე და მხოლოდ თავის საკუთარ ძალებზე იყო მინდობილი. ამიტომ აშკარაა, საქართველო ამდენ მტერს ბოლომდე ვერ გაუძლებდა ასე, მაგ., ოსმალეთმა ნელ-ნელა გამოაცალა საქართველოს უძველესი პროვინციები, როგორიც არის: ჯავახეთი (აწინდელი ახალქალაქის მაზრა), სამცხე-საათაბაგო (აწინდელი ახალციხის მაზრა), არტაანი, შავშეთი და დღევანდელი აჭარისტანი. დიდი უმეტესობა ამ პროვინციების მოსახლეობისა ძალით იქნა გამაჰმადიანებული, ან შუაგულ ოსმალეთში გადასახლებული. მეთვრამეტე საუკუნის გასულს ყველა ეს პროვინცია და აგრეთვე ქალ. ფოთი [1]) ოსმალეთს ეპირა. ასევე იქცეოდა მეორე მხრიდან მომდგარი სპარსეთიც. ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში შაჰაბაზმა აიკლო და გაანადგურა აღმოსავლეთი საქართველო. მაგრამ ამით იგი არ დაკმაყოფილდა. იცოდა რა ქართველი ხალხის ურჩობა, შაჰაბაზმა დიდძალი ხალხი, მთელი სოფლები, განსაკუთრებით გლეხ-კაცობა, აყარა და სპარსეთში გადაასახლა, იმათ მაგიერ კი ჩვენში თათრობა ჩამოასახლა. ამნაირად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი თანდათან სუსტდებოდა, და ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც ნადგურდებოდა. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ეს ქვეყანა, ოდესლაც მდიდარი, ძლიერი და შედარებით მჭიდროთ დასახლებული, საზარელ სურათს წარმოადგენდა. ერთის მხრით, შინაურმა შფოთმა, ალიაქოთმა და ბატონყმურმა ურთიერთობამ (ამაზე დაწვრილებით შემდეგ შევჩერდებით) ხოლო, მეორეს მხრით მაჰმადიან ხალხებთან განუწყვეტელმა ბრძოლამ საქართველო იმ ზომამდე დასცა, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულადაც, რომ იგი პირდაპირ უფსკრულის პირზე იდგა. არ შევჩერდები იმ მიზეზებზე, რამაც ეს მოვლენა გამოიწვია. ამის შესასწავლად მკითხველს შეუძლიან მიმართოს, სხვათა შორის, ჩემს წერილებს ჟურნალ „კვალში“: „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში“ [2]). მაგრამ იმ მდგომარეობის დასახასიათებლად, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აღნიშნული წერილიდან შემდეგი ამონაწერი: „ხალხის ეკონომიურმა დაქვეითებამ, რაც ბატონ-ყმური დამოკიდებულების პირდაპირი შედეგი იყო, საზოგადოებრივი ცხოვრება უკან დააქანა და სახელმწიფო ძალა სრულიად შეასუსტა. პოლიტიკურად საქართველო მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს წარმოადგენდა ორ სამეფოს: ქართლ-კახეთისას და იმერეთისას; და სამ სამთავროს: გურიისას, სამეგრელოსას და სვანეთისას. ამას გარდა, ქ. ფოთი, აჭარა და ჭანეთი ოსმალეთს ეკუთვნოდა. შინაური წყობი-

[1]) ფოთი დასტოვა ოსმალეთმა მხოლოდ 1809 წელს. რუსეთის ჯარებთან სამი თვის ბრძოლის შემდეგ.

[2]) ჟურ. „კვალი“, 1900 წ., №№ 1, 8, 9, 12.

ლება ყველასი ერთ და იმივე საფუძველზე იყო აგებული. ეკონომიურმა ვითარებამ იქამდის მიიყვანა საქართველოს ყველა ნაწილები მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, რომ არც ერთ იმათგანს, პოლიტიკური თვით-არსებობის დაცვა აღარ შეეძლო. მეფე ერეკლე შინაური შფოთის და ამბოხების დასათრგუნავათ და გარეშე მტრების მოსაგერიებლად იძულებული შეიქნა დაექირავებია დაღესტნის ლეკები, რაც წლიურად თხოულობდა 60—100 ათას მანეთამდის ხარჯს. ეს ნიშნავდა ხალხის შემცირებას, ხალხის რიცხვის მოძრაობა არის უტყუარი საზომი მისი ეკონომიური ვითარებისა. ქართველი ხალხის რიცხვი, რომელიც წინა საუკუნოებში რამდენიმე მილიონამდის ადიოდა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს სამას ათასს არ აღემატებოდა. ეს გარემოება ცუდი ნიშანი იყო. საქართველოს ორივე სამეფოს დაკარგული ქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ქართლ-კახეთის სამეფო დიდი ხნიდან სპარსეთის პროვინციად ითვლებოდა, იმერეთი ოსმალეთს ემორჩილებოდა. თუმც ჯერ კიდევ პოლიტიკური დამოუკიდებლობის სახე ჰქონდათ შერჩენილი, მაგრამ სახელმწიფო შემოსავალი სახელმწიფო ხარჯებს ველარ ჰფარავდა. ერეკლე II, სახელმწიფო შემოსავლის გასადიდებლად ართმევდა ძალით თავადებს მამულს, რის გამო მას ბევრი წარჩინებული თავადები გადაემტერენ. მთელი ქართლ-კახეთის შემოსავალი მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ძლივს ადიოდა 90.000 მანეთამდის. ამ შემოსავლის გადიდება მაშინდელი წარმოების პირობებში ყოვლად შეუძლებელი იყო. რადგანაც წარმოება თანდათან ეცემოდა. მაგალითად, აბრეშუმის მოყვანა, რომლითაც ერთ დროს საქართველო, ოდიაოუსის სიტყვით, ძლიერ მდიდარი იყო, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ძლიერ შემცირდა. ასეთივე ბედი ეწვია სამთო მრეწველობასაც. 1763 წელს მეფე ერეკლე მე-II-ის წინადადებით ბერძნებმა დაიწყეს ბორჩალოში ვერცხლის და სპილენძის წარმოება, რომელიც ხაზინას პირველ ხანებში 15.000 მანეთამდე შემოსავალს აძლევდა. მაგრამ 1800 წელს ეს წარმოება უკვე გაუქმებული იყო. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, იმის მდგომარეობა ეკონომიურად კიდევ უარესი იყო, რადგანაც სახელმწიფოს შემოსავალი იქ თითქმის სამჯერ ნაკლები იყო. ხალხის ნაწარმოებს მძლავრი თავადობა ისაკუთრებდა, რომლის წინაშე თვით მეფე ქედს იხრიდა. იმ კუთხეში, სადაც 22 საუკუნის წინად ყვაოდა ქალაქები, რომელთა სიმდიდრე და მსოფლიო აღებ-მიცემობა განთქმული იყო, გარდა ქუთაისისა, რომელიც უფრო სოფელს ჰგავდა, არ არსებობდა არც ქალაქი და არც მჭიდროდ დასახლებული დაბა; და თვით ხალხი მებატონეთა მტაციობისა და დამცირებისაგან წელში გატეხილი იყო. რომ საქართველოს ხალხი სრულიად არ განადგურებულიყო და არ აღმოფხვრილიყო, —საჭირო იყო: 1) კერძო ფეოდალების თავგასულობის და თვითნებობის თუ სრულიად მოსპობა არა, ალაგმვა მაინც, 2) უზრუნველყოფა გარეშე მტრების აკლებისაგან; და 3) უწინარეს ყოვლისა, თვით ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში ახალი წყაროების აღმოჩენა. საუბედუროდ, არც ერთი ამ პირობის სისრულეში მოყვანა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს შინაური ლონის ძიებით შესაძლებელი არ იყო. ამნაირად ორი ათასი წლის ცხოვრებამ საქართველო მიიყვანა საშინელ კრიზისამდის:

მას წინ ედგა, ან სრულიად აღმოფხვრა, ან გარდაქმნა. მეცხრამეტე საუკუნემ გადაწყვიტა ეს დილემა მეორეს სასარგებლოდ. რუსეთის მთავრობის დაფუძნება საქართველოში არ იყო ერთი კაცის ნების შესრულება, ეს იყო ისტორიული აუცილებლობა.

თუ ახლა უკან დავიხევთ და ჩვენ თვალს მივაპყრობთ საქართველოს ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ჩვენ წარმოგვიდგება ორი სურათი: ერთი მხრით, თავისუფალი თემები, მდიდარი ქალაქები, კოლხიდელი ვაჭრები, რომლებიც აწარმოებდენ მსოფლიო აღებ-მიცემობას; გზები, რომლებზედაც მიმოსვლა მშვიდობიანად შეიძლებოდა, და, მეორე მხრით, ქვეყანა, შეწუხებული გარეშე და შინაური მტრებისაგან, დაცემული ეკონომიურად და დასახლებული ხალხით, რომლის უმრავლესობა, მოკლებული ყოველგვარ ადამიანურ უფლებას, ნივთიერ და გონებრივ სიღატაკეში იყო ჩაფლული. მაშასადამე, ეს ორი ათასი წლის ცხოვრება საჭირო იყო თითქო მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა დაქვეითებულიყო. ასეა თუ ისე, თავისუფალ თემთა მოსპობა ყველგან განვითარების შედეგი იყო. მხოლოდ ჩვენი ქვეყანა დიდხანს შეჩერდა მეორე საფეხურზე.

თავისთავად იბადება კითხვა: იყვნენ თუ არა მაშინდელ საქართველოში ისეთი პირები, რომელნიც გრძნობდენ, ან რომელთაც ესმოდათ ის საფრთხე, რომლის წინაშეც საქართველო იდგა? ჩვენ მოგვეპოება რამდენიმე ისტორიული ხასიათის საბუთი, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ჩვენში გრძნობდენ ამ საფრთხეს და მის თავიდან ასაცილებლად სცდილობდენ სხვადასხვა ღონისძიების ხმარებას. ჯერ ფიქრობდენ ევროპის სახელმწიფოების დახმარებით ეხსნათ თავი მაჰმადიან ქვეყნების საფრთხისაგან (საბა სულხან-ორბელიანი—ვახტანგ VI-ს მიერ სწორედ ამ მიზნით იყო გაგზავნილი ევროპაში მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში), მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა. შემდეგ მიაპყრეს თვალი რუსეთს, რომელსაც „ერთმორწმუნეს“ უწოდებდენ (საქართველო და რუსეთი ორივენი ქრისტიანული ქვეყანა იყო და მასთან ორივე „მართლმადიდებელი“). ჯერ კიდევ 1783 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ცნობილი, ერთსა და იმავე დროს, როგორც გამჭრიახობით, ისე მამაცობით, რუსეთის მეფე ეკატერინე მეორესთან ხელშეკრულობას სდებს, რომლითაც საქართველო ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და რუსეთის მეფეების მფლობელობაში გადადის. მაგრამ ეს ხელშეკრულობა განუხორციელებელი დარჩა, რადგანაც სწორედ ამის შემდეგ, სახელდობრ 1795 წელს, სპარსეთის ყაენმა აღა-მაჰმედ-ხანმა ერთხელ კიდევ საშინლად აიკლო და ააოხრა აღმოსავლეთი საქართველო ტფილისითურთ. ეს ახალი შემოსევა რამდენიმედ შურისძიებაც იყო აღა-მაჰმედ-ხანის მხრით, რადგანაც საქართველო რუსეთისაკენ იშვერდა ხელს დახმარებისათვის. ერეკლე II-ს გარდაცვალების შემდეგ (1798 წ.), ერთის მხრით, და მისი ყოვლად უნიჭო შვილის—გიორგი 13 გამეფების შემდეგ, მეორეს მხრით, კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა. რომ ბევრი არ გავაგრძელოთ, ვიტყვით, რომ ეს კრიზისი დამთავრდა 1801 წლის **სექტემბრის 12-ს მანიფესტის**

გამოცემით (მოსკოვში), რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო ოსპობოდა და უბრალო **გუბერნიის** სახით რუსეთს უერთდებოდა [1]).

თავისთავად იგულისხმება, რომ ქართლ-კახეთის ბედი უნდა სწვეოდა საქართველოს დანარჩენ ნაწილებსაც. ე. ი. იმერეთის სამეფოს და სამეგრელოს და სვანეთის სამთავროებს, შემდეგ კი ამიერ-კავკასიის დანარჩენ პროვინციებსაც. თუ აქამდე რუსეთის თვითმპყრობელობა ვერ აწარმოებდა ამიერ-კავკასიაში ენერგიულ დაპყრობითი პოლიტიკას, ეხლა, როდესაც მან ალმოსავლეთ საქართველოში ფეხი მოიკიდა, ეს დაპყრობითი ანუ, ახალი ენით რომ ვსთქვათ, იმპერიალისტური პოლიტიკა სწრაფად ვითარდება. რა თქმა უნდა მაშინდელი საქართველოსთვის გარდა რუსეთთან შეერთებისა სხვა გზა აღარ იყო,—უამისოდ მას პირდაპირ ფიზიკური არსებობის მოსპობა მოელოდა,—მაგრამ ეს „შეერთება“ სრულებითაც არ მომხდარა „ნებაყოფლობით“. პირიქით, ეს იყო **ნამდვილი ძალდატანებითი მოქმედება, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელი რიგი ძალდატანებითი მოქმედებათა,** რომელსაც თან ახლდა, ერთის მხრით, დატყუილება და სიცრუე, მეორეს მხრით კი, სასტიკი სისხლის მღვრელი ომები. საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთება, რასაც თვითმპყრობელობის ერთგული დარაჯები თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მთელ ქვეყანას უმტკიცებდენ—მხოლოდ ზღაპარია. ეს „შეერთება“ და ამ შეერთების შედეგები წვითა და დაგვით არის აღბეჭდილი საქართველოს ცხოვრებაში. სულ სხვა საკითხია, შეეძლო თუ არა ქართველ ხალხს, შექმნილ პირობებში თავი დაეხწია ფიზიკური განადგურებისათვის, რომლისკენაც იგი მიექანებოდა. ჩვენ უკვე ზემოთ ვუპასუხეთ ამ კითხვაზე, რომ არ შეეძლო. ჩვენ ვამბობთ, რომ, რაც უნდა იყოს, საქართველოს „შეერთება“ რუსეთთან ნიშნავდა ძველი საქართველოს **ყოფა-ცხოვრების და წესწყობილების დასასრულს, და ახალი საქართველოსათვის ნიადაგის მომზადებას.** ამ მხრით ეს „შეერთება“ ჩვენს ცხოვრებაში დადებით და პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენს. თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ყოფა-ცხოვრება არსებითად არ შეკვლილა, იგი ერთ დონეზე იდგა. ამიერიდან კი ყველაფერი იცვლება. ჯერ კიდევ ამ ოცდახუთი წლის წინათ ზემოაღნიშნულ წერილში ვსწერდი: „მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საქართველომ განიცადა ღრმა ცვლილებანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათისა. ის, რაც საუკუნოების განმავლობაში უცვლელად და შეურყეველად რჩებოდა, ამ საუკუნეში ძირიანად შეირყა და სრულიად სხვა სახე, სხვა ფერი მიიღო. საქართველოს ყოველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, აგებული ბატონ-ყმურ და ფეოდალურ ნიადაგზე, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სამუდამოდ

[1]) ამ მანიფესტის ისტორიის უფრო დაწვრილებით წესწავლისათვის მკითხველს შეუძლიან მიმართოს 1901 წლის ჟურ. „კვალში“ მოთავსებულ წერილს „საქართველოს რუსეთთან შეერთება“ (№ 38). ამ წერილში ფაქტები საკმაოდ ობიექტიურად არის გაშუქებული. რაც შეეხება ს. ავალიშვილის და ხელთუფლიშვილის მონოგრაფიებს,—ორივე ჯაჭვენთილია სუბიექტიური სულის კვეთებით, ორივეში ფაქტები ცალმხრივად არის შეფასებული, და ამიტომ ამ მონოგრაფიებით სარგებლობის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.

დაინგრა. ეკონომიურმა წარმატებამ შექმნა ახალი ხანა, საიდანაც იწყება ქართველი ხალხის გამოსვლა თანამედროვე მოქალაქობრივი ცხოვრების საარბიელზე". უნდა ვსთქვათ, რომ ამ ცვლილებამ თავი ეჩინა ეტყოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. პირველ ნახევარში ჩვენ ვხედავთ განწირულ, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრ ფეოდალურ კლასს—თავად-აზნაურობას; იგი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, მაგრამ ჯერ კიდევ გაელენიანია რუსეთის მთავრობის თვალში, რომელიც სხვადასხვა ნივთიერი უპირატესობის მინიჭებით ლამობდა მოეგო მისი („თავად-აზნაურობის) გული. ასეთ პირობებში უბრალო ფიქრიც კი გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე შეუძლებელი იყო. მებატონე თავად-აზნაურობამ ხომ კიდევ უფრო გააძლიერა გლეხკაცობის ტანჯვა და შევიწროება. მაგრამ ახლა გლეხკაცობას, ბიუროკრატიული რეჟიმის შემოღების გამო ახალი სიძნელე დააწვა კისრად. გაჩნდა ახალი ჯარი სხვადასხვა ჯურის მოხელე-ჩინოვნიკებისა, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევდენ ხალხს და რომლებიც, პირიქით, სულ ახალ და ახალ ზომებს იგონებდენ ხალხის შესაწუხებლად. ამ გვარად, ხალხს კისერზე დააწვა ერთის ნაცვლად ორი უღელი, რომელიც ხანდისხან მართალია, (მართალია) ერთ უღლად იქცეოდა ხოლმე, რადგანაც მებატონე თუ მემამულე ზოგჯერ მოხელის სახითაც ევლინებოდა იმავე ხალხს. ხალხი არ იყო ჩვეული იმ რეჟიმს, რომელიც რუსეთთან შეერთების დღიდან საქართველოში დამყარდა, იგი ვერ ურიგდებოდა ამ რეჟიმს, და თავისი უკმაყოფილება არა ერთხელ გამოუხატავს. ამხაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ მეცხრამეტე საუკუნე შეგვიძლიან ორ ხანად გავყოთ: 1) **შეერთებიდან გასული საუკუნის მეორმოცდაათე წლებამდე** და 2) **მეორმოცდაათე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის გასვლამდე.** პირველ ხანაში ჩვენ ვხედავთ ჯერ კიდევ მძლავრ თავადაზნაურობას და იმავე დროს ბიუროკრატიული რეჟიმის განმტკიცებას. ეს ორივე ძალა უპირისპირდება და ებრძვის ხალხის უმრავლესობას ანუ გლეხკაცობას. **გლეხკაცობა გამორიცხულია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან;** იგი უზომო შევიწროებას და ჩაგვრას განიცდის; იგი ღელავს და აწყობს აჯანყებებს. ბატონყმობა, ნატურალური მეურნეობა, კუთხური ანუ კარჩაკეტილი ცხოვრება ჯერ კიდევ თავის ძალაშია. ძველი სამეფოები და სამთავროები კარგა ხანია მოისპო, მაგრამ წინანდელი დაყოფა არსებითად ისევ არსებობს: იმერეთი, სამეგრელო, გურია, ქართლ-კახეთი თითეული მათგანი ისევ თავისთვის ცხოვრობს, კარდახშული, განცალკევებული. სულიერი კულტურის, ლიტერატურის ნასახიც არსად სჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1819 და 1832 წლებში იყო ცდა გაზეთის გამოცემისა; მწერლობა თითქოს მთლად გაქრა. ამ უდაბნოში მხოლოდ ერთ დადებით მოვლენას ვამჩნევთ,—**მე მხედველობაში მაქვს გარეშე მტრების თავდასხმის შეწყვეტა.** მტრების ალაგმვა შესძლო რუსეთის თვითმპყრობელობამ; ეს ნიშნავდა ხალხის ფიზიკურად გადარჩენას. ამ შავბნელი სურათის შეცვლა იწყება მეორმოცდაათე-მესამოცე წლებიდან. ქვემოთ ჩვენ ამას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

საქართველოს ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში დღემდე საკმარისად არ-

არის შესწავლილი და გაშუქებული. გვაქვს თვალსაჩინო მასალა ამ ისტორიის შესასწავლად, ბევრი ჯერ კიდევ არქივებში განისვენებს ან იკარგება. ზოგიერთი უმრავლესობისათვის სრულიად მიუწდომელია. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების სათანადოთ გაშუქებისა და შესწავლისათვის საჭიროა ამ მდიდარი მასალის გამოყენება. ზემოთ ვსთქვი, რომ ეს ცხოვრება განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობდა. აქ საქმე გვაქვს ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტთან: მართალია, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველო დაყოფილი იყო რამდენიმე წვრილ პოლიტიკურ ერთეულად, მაგრამ, საერთოდ, ცოტად თუ ბევრად, მას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის სახე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მან დაჰკარგა ეს სახე და რუსეთის იმპერიის პროვინციად იქცა. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საქართველო უკვე აღარ ჰგავს იმ საქართველოს, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში იყო. საქართველო ახლა ერთიანდება ეკონომიურ ნიადაგზე და მზადდება პირობები მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. ეს ხდება მიუხედავათ იმ მძაფრი გამარუსებელი პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთის მთავრობა აწარმოებდა აქ მთელი საუკუნის განმავლობაში—საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. დიალექტიკა სწორედ აქ იჩენს თავს მთელი თავისი ძლიერებით.

საქართველოს ზოგადი დახასიათება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში

ბ ა ტ ო ნ - ყ მ ო ბ ა.

თანამედროვეთა მოწმობით, საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საერთოდ მეტად ღატაკ ქვეყანას წარმოადგენდა, თუმცა ძალიან მდიდარი იყო თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. არავითარი მრეწველობა არ არსებობდა. ხალხი იკმაყოფილებდა თავს შინაური ანუ ნატურალური ნაწარმოებით. აღებ-მიცემობა, ანუ ვაჭრობა დაცემული იყო. ვაჭრობდენ მხოლოდ უცხოეთიდან, განსაკუთრებით ოსმალეთიდან ან სპარსეთიდან შემოტანილი საქონლით (რკინა, მარილი და სხვ.). ეს ვაჭრობა მთლად სომხების ან ებრაელების საშუალებით ხდებოდა; ქართველებს ეს ხელობა თავიდანვე ეთაკილებოდათ. ამ ეკონომიური უძლურების მიზეზი უპირველეს ყოვლისა იმ განუწყვეტელ ომებში უნდა ვეძიოთ, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით. **მაგრამ უმთავრეს ბოროტებას ბატონ-ყმობა ქმნიდა.** ერთ დროს, როცა ბატონ-ყმურმა ურთიერთობამ ჩვენში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, (დაახლოვებით გასული საუკუნის მეორმოცდაათე წლებში), ზოგიერთი, თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ქართველი მწერლები—ვახტანგ, გრიგოლ და ალექს. ორბელიანები (და ამათი მიხედვით სხვებიც) ამტკიცებდენ, რომ ბატონ-ყმობა საქართველოში თითქოს შამაშვილობას და პატრონ-ყმობას ნიშნავდა რომ, ბატონ-ყმური მონობა საქართველოში თითქოს რუსებმა შემოიღეს. ასეთი აზრი პირდაპირ ისტორიის გა-

ყალბება და გადამახინჯებაა. რა თქმა უნდა, ქართველ თავადიშვილ მწერლებს რცხვენოდათ იმ უმსგავსო და უნამუსო წესწყობილების, რომელზედაც თვით მათი კეთილდღეობა იყო დამყარებული. მეორეს მხრით, ისინი ეკმაყოფილნი იყვნენ რუსეთთან შეერთებით და საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, რადგანაც ამით მათაც დაჰკარგეს პოლიტიკური ძალა და გავლენა, ამიტომ თავადაზნაურობა შენატროდა ძველ საქართველოს, რომელსაც იგი თავის ოცნებაში უნაკლოდ სახავდა და, სხვათა შორის, უარყოფდა ძველ საქართველოში ბატონ-ყმობის არსებობას. მაგრამ, რადგანაც ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელი იყო, ძველი საქართველოს მოტრფიალენი **ბატონ-ყმობას მამაშვილობად და პატრონ-ყმობად** ასაღებდენ. ისინი ამტკიცებდენ, სხვათა შორის, რომ ყმებით ვაჭრობას, რაც მეცხრამეტე საუკუნეში ოფიციალურად ხდებოდა, ძველ საქართველოში თითქო ადგილი არ ჰქონებოდეს. რომ ბატონ-ყმობა საქართველოში დიდი ხნიდან არსებობდა, რომ იგი პირდაპირ მონობას წარმოადგენდა, რაც უკვე დაკანონებული იყო მეფე ვახტანგ მე-VI კანონით, რომ შემდეგ ჩვეულებამ ყმების მდგომარეობის გაუარესების საქმეში ვახტანგის კანონსაც გადააჭარბა, — ეს დღეს უდაო დებულებაა.[1]) მაგრამ საქართველოში, ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე, ადგილი ჰქონდა საზარელ და ყოვლად საბარბაროს მოვლენას, **რომელსაც ყმებით ვაჭრობა ჰქვია**, ამ საკითხზე ჩვენ გვაქვს საკმაო მასალა, უმთავრესად დასავლეთ საქართველოს შესახებ. აქ არსებობდა ყმებით აღებ-მიცემობა ოსმალეთთან. ოსმალეთის შეძლებული ფაშა ყიდულობდა განსაკუთრებით ქართველ ახალგაზდა ბიჭებს და ქალებს. ერთ-ერთი რუსი მოხელე, გვარად სიმონოვიჩი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში დასავლეთ საქართველოში ყოფილა, თავის მოგონებაში ამბობს: „აფხაზი, გურული და მეგრელი ერთ შემთხვევასაც არ გაუშვებს, რომ მოიტაცოს ახალგაზდა ვაჟი და ქალი ოსმალეთში გასაყიდათ. ამ უბედურებას უნდა დაუმატოთ თავადების შორის შფოთი; ისინი პარავენ ერთმანეთს ქვეშევრდომებს ოსმალეთში გასაყიდათ".[2]). აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთ საქართველოში სწარმოებდა ადამიანებით ვაჭრობა ოსმალეთთან; რომ აქ ყმები უნდა ვიგულისხმოთ, — ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ ჩვენ გვაქვს პირდაპირი დადასტურებაც იმისა, რომ სწორედ მებატონეები ყიდდენ ოსმალეთში თავის ყმებს. ასეთ დამადასტურებელ ფაქტს გვაძლევს ცნობილი **ხაბა სულხან ორბელიანი**, რომელსაც 1716 წელს თავისი თვალით უნახავს ბათომში მებატონეების მიერ გაყიდული ყმები.[3]).

---

[1]). ამ საკითხის შესასწავლად საინტერესოა ალ. ხახანაშვილის წიგნი — „ბ ა ტ ო ნ-ყ მ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი". არის ამის შესახებ ჩვენი წერილებიც ჟურ. „კვალში".

[2]). Акты археогр. ком., т. III, гл. 408.

[3]). იხ „მ ა ს ა ლ ე ბ ი ბ ა ტ ო ნ-ყ მ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ" შეკრებილი ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს მიერ, გამოც. ალ. ხ. „მწიგნობარისა" ხუხუნაშვილის რედაქტორობით. ეს „მასალები", რომლებიც ავტორს უგროვებია რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს დაიბეჭდა; უნდა ითქვას, რომ ამ მასალებში არის მეტად საინტერესო ცნობები ბატონ-ყმობის ისტორიის შესახებ საქართველოში.

რა მოხდა რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონ-ყმურ ურთიერთობაში? გამოიწვია ამ გარემოებამ ყმების, და საერთოდ გლეხკაცობის, მდგომარეობის გაუმჯობესობა, თუ ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა? ჯერ-ჯერობით ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან შეერთებას ბატონ-ყმურ ურთიერთობაში არსებითად არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. ცვლილება მოხდა მხოლოდ იმ მხრით, რომ ქართველი მებატონეები ახლა შეეცადენ უფრო მეტი ბეგარა და გადასახადი დაედოთ თავიანთი ყმებისათვის. თუ მივიღებთ მხედველობაში, ერთი მხრით, იმ გარემოებას, რომ საქართველოში საერთოდ მებატონეთა რიცხვი, რუსეთთან შედარებით, ძლიერ დიდი იყო და მეორეს მხრით, იმას, რომ აქ არსებობდა მებატონეთა რამდენიმე კატეგორია, სახელდობრ იყვნენ ისეთი მებატონეები, რომელთაც თავის მორჩილებაში ჰყავდათ არა მარტო ყმა-გლეხები, არამედ თვით აზნაურებიც (რომლებიც თავის მხრივ თითონ ფლობდენ ყმებს),—ვიმეორებ, თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე ამას, მაშინ ადვილათ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ჩვენი ყმა-გლეხების მართლაც და აუტანელი, უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველ მებატონეთა შემოსავლის ერთად-ერთი წყარო იყო ან ყმის ქონება, ან თვითონ ყმა თავისი შრომით. მეორეს მხრით, რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ მებატონეებს მოთხოვნილებანი გაუფართოვდათ და მასთან ერთად ფულის საჭიროებაც გაუჩნდათ. და, აი, იმათაც მიჰყვეს ხელი გლეხების სულიან-ხოციანად გატყავებას. მებატონემ მოუხშირა თავისი ყმების **დაგირავება** და **გაყიდვა**. ზ. ჭიჭინაძის გამოქვეყნებულ „მასალებში“ მოყვანილია აუარებელი ფაქტიური ცნობები ამ დაყიდვის შესახებ,—დაწყებული 1819 წლიდან, ვიდრე მეორმოცდაათე წლების დასასრულამდე. ყმების ყიდვა-გაყიდვა ხდებოდა როგორც საჯაროდ გამოცხადებით, ისე გამოუცხადებლადაც. მოვიყვან აქ საჯაროდ გამოცხადების რამდენიმე ნიმუშს. „საქართველოს გაზეთის“ (1819 წ.)[1] ერთად-ერთი ჩვენამდე მოხწეულ—38 ნომერში მოთავსებულია შემდეგი ორი განცხადება: „ტორლი. გორის მაზრა, სოფელ დავრის მცხოვრებნი, ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა დათუა კვალანაძე, გაისყიდება თავის ცოლით, ვაჟით, ქალიშვილებით, ძმისწული ნონიათი და ვენახით იმ ას ოცდა სამ რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაური გაბაშვილის ქალის, ელისაბედის. ამათის გაყიდვის ვადა დანიშნულია ამა წლის ნოემბრის 20-ს და დეკემბრის 6/20 რიცხვებში“.

„თელავის უეზდის, სოფელ ფიჩხვის მცხოვრები, რვა კომლი ყმა, ღუბერსკის სეკრეტრის ნათიოვისა, გაისყიდება იმ ათას ას ოც რუბლის ვალში, რომელიც მას მართებს ღუბერსკი სეკრეტრის თავადის მელიქ-ზადე ბებუთოვისა. ამათის გაყიდვის ვადა დანიშნული აქვს ამა წლის ნოემბრის 20-ს და დეკემბრის 6/20 რიცხვებში“.

ახლა მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს გაზ. „კავკაზიდან“: „ტორლი.

---

1) „საქართველოს გაზეთი“ დაარსდა 1818 წელს. მისი ზომა ერთი თაბახი იყო. ზემოხსენებული ცნობები იბეჭდებოდა, როგორც განცხადება.—მისი გამოცემა შეწყდა 1821 წელს.

1846 წ. 20 თებერვალს დავით ჩაალოვის, ბეჟან ქანშიევის და ფალავანდოვის ვალში გაყიდული იქნება მისივე ყმანი: გორის მაზრის სოფელ ერგეთში, ერთი კომლი გლეხი, რომელ კომლშიაც არიან ორი სული მამაკაცი და ერთი სული დედაკაცი. მეორე, კიდევ ერთი გლეხის ოჯახი, და საბა ვენახი ლეხაკმაყოფილებლად, სოსია სულხანიშვილის, ივანე ცუხანიშვილის და ოანეზ გორზაშვილის, ზემოხსენებულ კნიაზებთაგან მოპარულის ღორების, სულ დაფასებულია 1858 მანეთად".

„1846 წ. 19 თებერვალს ნიკო ამილახვარის ვალში, გაისყიდებიან, მისივე ყმათა 19 კომლი, რომელნიც სცხოვრობენ გორის მაზრის სოფ. კორბოხში. ამათ აქვთ საბალახე, 30 დღიური სახნავი მიწა, რამდენიმე ვაზის ვენახი და სხვა შეძლებანი, დაფასებულია 7412 მან."

„1853 წ. 16 თებერვალს ზურაბ ერისთავის ვალში გასყიდულ იქმნება მისივე ყმათა 41 კომლი, ამათში 145 მამა კაცია, 116 დედა კაცი. ისინი სცხოვრობენ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის უეზდში 23 კომლი სვირის ნაწილის სოფელ სვირში, 9 კომლი ამავე ნაწილის სოფელ ბოსლევში. 3 კომლი სოფელ სკინდორში; 3 კომლი სოფელ ითხვისში, 1 კომლი ბერეთისაში, 2 კომლი ს. მანდაეთში, რომელნიც დაფასებული არიან 11.184 მან. 50 კაპ.."

„1853 წ. 20 აპრილს, სიმონ აბაშიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა 13 კომლი, რომლის 4 კომლი სცხოვრობს სოფელს ნავარზეთში, ამათში მამა კაცი ჩვიდმეტია, სოფელ კაცხში შვიდი კომლი, ამათში მამაკაცი ოცდაათია, ორი კომლი სოფელ რკვიაში, ამათში მამაკაცი თორმეტია, ყველა ესენი თავიანთი შეძლებით დაფასებულია 1700 მანეთად თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით".

ზემოთ მოყვანილი შემთხვევები ყმების დაყიდვისა მხოლოდ წვეთია ზღვაში. ეს მხოლოდ მაგალითებია. შეიძლება ითქვას, რომ იმ დაწყველილ დროს არც ერთი საქონელი არ ყოფილა ისე გავრცელებული როგორც საქონელი—ბატონ-ყმური მონა, ყმებს ყიდდენ როგორც თვით საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, უმეტესად ოსმალეთში. ამ ალმაშფოთებელ და საზიზღარ საქმეს ეწეოდა, ეგრედწოდებული, ბრწყინვალე თავადაზნაურობა. ყმას ყიდდენ მთელი ოჯახით, მაგრამ უფრო ხშირად ოჯახს აცალკევებდენ, ასე რომ შვილს მიყიდდენ ერთს, მამას მეორეს, დედას მესამეს და სხვ.. ამასთანავე, გლეხების ოჯახების დარბევა და განადგურება თავადების მხრით, გლეხების ცოლების და ქალების გაუპატიურება—ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამნაირად მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გლეხების მდგომარეობა, განსაკუთრებით ყმა-გლეხების, მეტად გამწვავდა. გლეხკაცობა შეწუხებული იყო. ბევრი მათგანი არჩევდა ყაჩაღად გადავარდნას, ან საქართველოდან გაქცევას, გადახიზნვას, **სარწმუნოების გამოცვლას, გასომხებას ან გამაჰმადიანებას.** ასეთი შემთხვევები მრავალი იყო. მეორეს მხრით, ხშირი იყო თვით ყმების მხრითაც პირადი შურისძიება მხეცი მებატონის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ასეთი შურისძიების აქტები ძალიან ცოტა გვაქვს, ვიცით მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, 1810 წელს ყმამ ხანჯლით აკუწა თავისი ბატონ **ზაალ ბარათაშვილი.** ამ ამბავმა შიშის ხარი

დასცა ქართველ შებატონეებს; მაგრამ მხეცობას მაინც არ ბოლოს. ამ ამბის შემდეგ ასეთივე ბედი ეწია **ბარძიმ ამილახვარს**, მამამხე **ერისთავს**, თავად **სუმბათაშვილებს** და სხვებს. [1]).

ყოველივე ეს ხდებოდა მთავრობის ნებართვით, ეკლესიის, საზოგადოების ქრისტიანული სამღვდელოების დასტურით, არა მარტო დასტურით, არაფერედ დახმარებით.

საინტერესოა შემდეგი საკითხი: საქართველოში პირველად ვინ ამოიღო ხმა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ? ჩვენ ვიცით, რომ როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა და მეფობა მოისპო, ხალხში ხმა გავარდა —ბატონ-ყმობაც მოისპობაო ასეთ ხმებს, რა თქმა უნდა, ყმა-გლეხებში ავრცელებდენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია, და ვერც ექნებოდა. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ვიდრე ბატონ-ყმობა კანონის ძალით გაუქმდებოდა, ქართველ გლეხებში ხშირად შეხვდებოდით ისეთ ყმებს, ოომლებიც ბატონ-ყმობას აშკარად გმობდენ და, რამდენადაც კი შეეძლოთ, მის წინააღმდეგ ილაშქრებდენ. რა თქმა უნდა, აქ გასაკვირალი არაფერია: ყმებს აწუხებდენ, აწამებდენ, ისინი ამას ვეღარ ითმენდენ და თავისებურ პროტესტს აცხადებდენ მონობის წინააღმდეგ. ამათი სახელი ჩვენთვის უცნობია, გარდა არსება ოძელაშვილისა. მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა მეორე გარემოება: ვინ იყო ის, რომელმაც ჩვენში ბატონ-ყმობა პირველად დაგმო საჯაროთ ლიტერატურაში! ამის შესახებ ერთ დროს სხვადასხვა აზრი არსებობდა. საქმე ის არის, რომ ბატონ-ყმობის პირველი გამკიცხველის სახელს ისეთ პირებს აკუთვნებდენ, რომელთაც ამ საქმეში არავითარი სამსახური არ მიუძღოდათ და პირიქით, ცდილობდენ დაეჩრდილათ ის ადამიანი, ვინც მართლა პირველად დაგმო ჩვენში ეს სამარცხვინო წესწყობილება—ბატონ-ყმური მონობა. ეს პირველი იყო **დანიელ ჭონქაძე**. [1]). 1859 წლის ბოლოს ქურ. „ცისკარში“ (დეკემბრის ნომერი) დაიბეჭდა დ. ჭონქაძის **„სურამის ციხე“**. მაშინდელ ქართველ მწერლებში, რომლებიც სულერთიანად თავად-აზნაურები იყვნენ, ჭონქაძის რომანმა დიდი უკმაყოფილება და აურზაური გამოიწვია. **„სურამის ციხის“** ავტორს სიკვდილით დაეუქრენ, მაგრამ მოკვლას ასცდა, რადგან რამდენიმე თვის შემდეგ ჭონქაძე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგ (1863 წ.) დ. ჭონქაძეს გამოექომაგა **ანტონ ფურცელაძე**. მაგრამ ეს იმ დროს იყო, როცა რუსეთში ბატონ-ყმობა უკვე გაუქმებული იყო და ჩვენშიაც დღე-დღეზე მოელოდენ მის გაუქმებას.

ბატონ-ყმობის გაუქმება საქართველოში, ე. ი. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში, ერთსა და იმავე დროს არ მომხდარა: აღმოსავლეთ საქართველოში ის გაუქმდა 1864 წლის ოქტომბრის 13-ს მანიფესტით, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში—1865 წ. ოქტომბრის 13-ს, შემდეგ, 1866 წ. დეკემბრის 1-ს ბატონ-ყმობა გაუქმებულ იქმნა სამეგრელოში (ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის

[1]) იხ. „ბატონ-ყმობის მასალები“, ტ. 1, გვ. 162—164.

[1]) ამ საკითხის უფრო დაწვრილებით გაცნობა მკითხველს შეუძლიან ჩემს წიგნში: „დან. ჭონქაძე და მისი დრო.“ გამოცემა 1904 წ.

მაზრებში) და ბოლოს 1867 წელს აფხაზეთშიაც. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო აქ შემდეგი: ბატონყმობის გაუქმება, ანუ როგორც მას უწოდებენ, საგლეხო რეფორმა, საქართველოში ბევრად უფრო კუდმოკვეცილი გამოდგა, რა თქმა უნდა, მარტო გლეხებისათვის. გლეხებს ჩამოუჭრეს დიდძალი მიწები, რომლებიც წინათ ფაქტიურად მათ სარგებლობაში იყო; გლეხებს არ მისცეს არც ტყე, არც საძოვარი და არც წყალი,—ყოველივე ეს მებატონეებს დაუტოვეს; ე. ი. გლეხები თითქო გაანთავისუფლეს, მაგრამ ფაქტიურად ისევ ყოფილ მებატონეებისაგან იყვნენ დამოკიდებული. ნაყმევ გლეხებს უწოდეს **დროებით ვალდებული გლეხები,** და ეს დროებითი ვალდებულება ჩვენში მეოცე საუკუნემდე გაგრძელდა; იგი მოისპო მხოლოდ 1911 წელს, თვით რუსეთში კი 1881 წელს, ე. ი. 30 წლის წინათ. ასე სწყალობდა რუსეთის თვითმპყრობელობა ქართველ გლეხებს. გარდა ამისა აღნიშნული რეფორმის მეოხებით საქართველოს მებატონეებმა მოახერხეს სულ უმიწა-წყლოდ დაეტოვებინათ რამოდენიმე ათასი კომლი გლეხი. ასე, მაგ. ტფილისის გუბერნიაში არ მიუღია მიწა,—„ნადელი",—1444 კომლს, ანუ 8.200 სულს. ამათში შინა ყმები იყო 2.294 კაცი, ხიზნები—3.843 კაცი, 2.080 კაცი კი ქალაქებში ცხოვრობდა. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, იქ უმიწა-წყლოდ დარჩენილი გლეხების რიცხვი კიდევ მეტი იყო; მაგრამ რომ მივიღოთ იგივე პროცენტიც, რაც ტფილისის გუბერნიაში, მაშინ გამოვა: 4.000 კომლი ანუ თითქმის 20.000 სული.

გარდა ამისა ბევრი „განთავისუფლებული" გლეხი გადაყვანილ იქნა **ხიზნის მდგომარეობაზე,** რაც საგრძნობლად აუარესებდა მის მდგომარეობას. 1876 წელს იყო 5.977 კომლი ხიზანი, ანუ 36% დროებით ვალდებულ გლეხთა რიცხვისა; 1884 წელს კი ამათი რიცხვი 6.774 კომლამდე ავიდა. ქუთაისის გუბერნიაში ხიზანთა რიცხვი ნაკლები იყო, 1876 წელს იქ ირიცხებოდა სულ 2.532 კომლი ხიზანი.

ყველა გამოკვლევა გლეხების მდგომარეობისა, რომელიც კი გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში თუ მიმდინარე საუკუნის პირველ წლებში მომხდარა, ნათლად გვიმტკიცებს, რომ საგლეხო რეფორმამ საქართველოს გლეხკაცობაში დიდი მიწის სიმეჭეროვე წარმოშვა. თვით მაშინდელი მთავრობის ოფიციალური ცნობაც იმას გვეუბნება, რომ საგლეხო რეფორმამ მხოლოდ მსხვილ მემამულეთა გლეხებს მისცა მცირე მიწა, წვრილ მემამულეთა გლეხები კი თითქმის სულ უმიწა-წყლოდ დატოვა. ასე, მაგ., მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში მომხდარი გამოკვლევის თანახმად, ქუთაისის გუბერნიაში გლეხკაცობის 60/70% მიწის დიდ სიმეჭეროეს და ნაკლებობას განიცდიდა.

ამგვარად, საგლეხო რეფორმამ გლეხკაცობა საქართველოში, მართალია, გაანთავისუფლა ბატონ-ყმური მონობიდან, ე. ი. გლეხის პიროვნება იურიდიულად თავისუფალი შეიქნა, მაგრამ, სამაგიეროთ, ამავე რეფორმამ გლეხი ეკონომიურად ისევ ყოფილ მებატონეს ჩაუგდო ხელში. გლეხი, რომ თავი ერჩინა, იძულებული იყო ან ისევ მემამულეს მიწა აეღო დასამუშავებლად, უაღრესად არა ხელსაყრელ პირობებში, ან გარეულ წასულიყო სამუშაოს საძებნელად.

„განთავისუფლების" შემდეგ გლეხკაცობას ებრძოლა ათასგვარი გადასხა-

დი და ბეგარა, რომელიც შემოღებული იყო ან სახელმწიფოს, ან მემამულის სასარგებლოდ. სოფლის მოხელეების შესანახი ხარჯებიც გლეხის კისერზე იყო. ყველა ამას ერთოდა კიდევ მიწის გამოსაყიდი. ასე რომ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს] გლეხკაცობის მდგომარეობა მეტის მეტად არა სანუგეშო იყო. საერთოდ **რეფორმამ** ხელი შეუწყო **გლეხკაცობის გაპროლეტარებას.** რეფორმამდე ტფილისის გუბერნიაში თითოეულ გლეხის ოჯახს საშუალოდ ჰქონდა თითქმის 6 დესეტინა (5,9 დეს.) მიწა, რეფორმის შემდეგ კი ეს რაოდენობა 3,9 დესეტინამდე შემცირდა. 84.665 დეს. მიწიდან, რაც რეფორმამდე გლეხების ფაქტიურ სარგებლობაში ირიცხებოდა, რეფორმის შემდეგ გლეხებს დაუტოვეს მხოლოდ 55.679 დეს., ე. ი. წაართვეს 28.986 დეს.

რაც შეეხება დროებით ვალდებული გლეხების მიერ სანადელო მიწების გამოყიდვის საქმეს, ჩვენ ვიცით, რომ მეოთხმოცე წლებში თავდაუხსნელი გლეხების რიცხვი საქართველოში 70% შეადგენდა და გამოუყიდავი მიწების რაოდენობა კიდევ უფრო მეტი იყო, სახელდობრ 80%.—1904 წლის ცნობის მიხედვით მარტო ტფილისის გუბერნიაში 2.702 მემამულე ითვლებოდა, რომელთაც 17.467 კომლი დროებითი ვალდებული გლეხები ჰყავდათ. ეს მარტო ტფილისის გუბერნიაში. ასეთი მდგომარეობა იყო, თუ კიდევ უარესი არა, ქუთაისის გუბერნიაშიც. ყოველივე ეს ჰქმნიდა აუტანელ მდგომარეობას. ამიტომ სრულიად გასაკვირალი არ არის, რომ ქართველი გლეხკაცობა მეოცე საუკუნის დასაწყისში ისე მძაფრად ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობის ფერხულში.

მართვა-გამგეობის წესი.

როგორც კი გამოიცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოში დაწესდა **„საქართველოს უზენაესი მართველობა“** (Верховное Грузинское, Правление). რომელიც ოთხი განყოფილებისგან (ექსპედიციისაგან) შესდგებოდა: 1. ადმინისტრატიულ საქმეთა, 2. ხაზინის და ეკონომიურ საქმეთა, 3. სისხლის სამართლის საქმეთა და 4. სამოქალაქო საქმეთა განყოფილებანი.

სამოქალაქო საქმეთა გარჩევის დროს სახელმძღვანელოდ მიღებული უნდა ყოფილიყო მეფე ვახტანგ VI კანონები და ადგილობრივი ჩვეულებანი; იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნულ კანონებში შესაფერი მუხლი არ იქნებოდა, რუსეთის კანონები უნდა გამოეყენებიათ. სისხლის სამართლის საქმეების განხილვა კი რუსეთის კანონების მიხედვით უნდა მომხდარიყო. თითოეულ მაზრაში შემოღებული იქნა სასამართლო და საერობო პოლიციის გამგეობა (Управа Земской Полиции); ეს უკანასკნელი შესდგებოდა სამი კაცისაგან: ერთი კაპიტან-ისპრავნიკი,რომელიც უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო, და ორი წევრი (Заседатели) ქართველი თავად-აზნაურობიდან. სამაზრო სასამართლოც სამი პირისაგან შესდგებოდა: ერთი კომისარი (უთუოდ რუსი) და ორი წევრი (Заседатели) ქართველი თავად-აზნაურობიდან. ასე **დაედვა ჩვენში საფუძველი ბიუროკრატიულ მართვა-გამგეობას.** მაგ., წინათ საქართველოში მსაჯულებათ ითვლებო-

დენ თვით მეფეები, შემდეგ მათი მოურავები და მებატონეები. რაკიდან უსამართლო ყოფილიყო ასეთი სასამართლო გლეხობისათვის იგი მაინც უფრო გასაგები და მისაღები იყო. ამიტომ ჩვენ ოდნავადაც არ უნდა გაგვაკვირვოს იმ ამბავმა, რომ შეერთების პირველ წელსვე იმპერატორ ალექსანდრე პირველს კახეთის საზოგადოების სახელით გაეგზავნა საჩივარი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „მანიფესტით ყოველივე ძველებურად არის დატოვებული, მაგრამ ახლა კაპიტან-ისპრავნიკი დაიარება სოფლებში და საჯაროდ აცხადებს, რომ იგი მოურავია და ყოველივე საქმე მას უნდა გადაეცეს განსახილველადაო". ადვილად შეიძლება, რომ ეს საჩივარი თავად-აზნაურობის შემოქმედება იყოს. გვაქვს საბუთი სწორედ ასე ვიფიქროთ, მაგ., 1802 წლის დეკემბრის 4-ს კ ნ ო რ ი ნ გ ი, რომელიც საქართველოს საქმეებს განაგებდა, შემდეგს სწერდა საქართველოს მთავარსარდალს **ციციანოვს**: „როცა საერობო პოლიციის გამგეობანი, თავიანთ მოვალეობის მიხედვით, ვალდებული იყვნენ განეხილათ გლეხების მიერ მებატონეთა წინააღმდეგ აღძრული საჩივრები შევიწროებისა და ჩაგვრის შესახებ,—ეს გარემოება შეიქნა პირველ საბაბად, რომ ზოგიერთ თავადებსა და აზნაურებს უკმაყოფილება გამოეცხადებიათ მთავრობის მიმართ" [1]). ჩვენი ფიქრით ეს მოსაზრება უფრო ახლო უნდა იყოს სინამდვილესთან. ამის დასამტკიცებლად სხვა წყაროებიც გვაქვს. მაგალითად, ლაზარევი სწერდა: „მთელი თავად-აზნაურობა უკმაყოფილია საქმეების განხილვის დღევანდელის წესით. კაპიტან-ისპრავნიკებმა თითონ დაიჭირეს თავადებისა და აზნაურების ადგილი, რომლებიც წინად ცარცვავდენ ხალხს,—ახლა კი ესენი სცარცვავენო." თავადმა აბაშიძემ ერთხელ პირდაპირ განუცხადა ამაზე ლაზარევს: „ჩვენ ახლა ყველანი გათანასწორებული ვართ გლეხებთანო" [2]). ჩვენ ვიცით, რომ ამ ხანებში კახელი თავადაზნაურობა სხვადასხვა მიზეზებს ეძებდა ხალხის ასაჯანყებლად რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. იგივე თავად-აზნაურობა მოითხოვდა ერეკლე II შვილის —იულიონის გამეფებას.

როგორც ვიცით, რუსეთის მთავრობას თავიდანვე ჰყავდა საქართველოში მოწინააღმდეგენი. ესენი იყვნენ, ერთის მხრით, ყოფილი მეფის შთამომავალნი და, მეორეს მხრით, ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი. ეს ადვილი გასაგებია, რადგანაც ყველა ამათ, შეერთების გამო დაჰკარგეს მრავალი არსებითი უფლება და უპირატესობა. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, რას ფიქრობდა ამ დროს **ქართველი გლეხკაცობა**, როგორ აფასებდა იგი ამ შეერთების აქტს, ე. ი. **იყო თუ არა იგი კმაყოფილი ახალი მთავრობის დამყარებით.**

უნდა ვიგულისხმოთ, რომ გლეხკაცობამ გაიგო ეს ამბავი მას შემდეგ, რაც იგი უკვე მომხდარი იყო. საფიქრებელია, რომ ამ ცნობას იგი საკმაო გულგრილობით შეხვდა. თავისთავად მეფობის მოსპობა გლეხობაში უკმაყოფილებას არ გამოიწვევდა: სახარბიელო მას არაფერი ახსოვდა მეფობის დროისაგან, მაგრამ ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა წესწყობილება დაიჭერდა ძველის ადგილს, ვინ მოექცეოდა მართვა-გამგეობის სათავეში და რო-

[1]) იხ. Акты Арх. ком. ტ. I. გვ. 406.

[2]) იხ. ნ. დუბროვინის წიგნი: „Закавказье в 1803—1806 годы" СПБ., 1866г., გვ 44.

გორ მიუდგებოდა იგი ხალხს. ამ მხრით ძნელი იყო კაცს კარგი აზრი ჰქონოდა. აბა რა კარგის მიცემა შეეძლო ხალხისათვის უხეში, ტლანქი რუსეთის თვითმპყრობელობას და მის მოხელეებს? რა თქმა უნდა, ბოროტი. ეს, რას ამბობს ამის შესახებ დუბროვინი ზემოაღნიშნულ წიგნში: „საუკუნოების განმავლობაში შექმნილი სახალხო ზნე-ჩვეულებანი ახლა უნდა გარდაქმნილიყვნენ და ახალი გზით უნდა ყოფილიყვნენ წარმართული; ეს გზა კი უცნობი იყო გაუნათლებელი ხალხისათვის. სახალხო ზნე-ჩვეულებათა გარდაქმნა უნდა მომხდარიყო თანდათან, ძალდაუტანებლად, და არა ძველის უხეშად დამსხვრევით და ახლის შემოღებით; მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობდენ: რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო გადაექციათ გუბერნიათ და ქართველებში შემოეღოთ ისეთ დებულებებზე დამყარებული მართვა-გამგეობა, რომელთა თანახმადაც განაგებდენ რუსეთის დანარჩენ გუბერნიებს. ქართველები თხოულობდენ ძველ წესწყობილებას, ჩვენი მთავრობა კი თხოულობდა ახლის შემოღებას... ამიტომ **თითქმის მანიფესტის გამოცხადების დღიდანვე დაიწყო ხალხის უკმაყოფილება.**“ (ხაზი ყველგან ჩვენია .

დუბროვინი მართალს ამბობდა. **ხალხის ამბოხება ანუ აჯანყება** რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ **1802 წელს** დაიწყო; იგი განმეორდა მთიულეთში 1804 წელს და შემდეგ კახეთში 1811 წელს. ერთი სიტყვით, 9—10 წლის განმავლობაში აჯანყება სამჯერ მოხდა. ჯერ არც იმერეთში და არც გურია-სამეგრელოში რუსეთის მთავრობა შემოღებული არ იყო. 1802 წლის აჯანყების შესახებ ცნობები ჯერჯერობით თითქმის სრულებით არ მოგვეპოვება. 1804 წლის აჯანყება დაწვრილებით აწერილი აქვს **ალ. ფრონელს** (ყიფშიძეს) თავის მონოგრაფიაში — „მთიულეთი 1804 წელს“, [1]) რაც შეეხება 1811 წლის აჯანყებას კახეთში, მე მოვიყვან, ერთის მხრით, **მარკოზ პაულიჩის** აზრს (ეს პაულიჩი იმ დროს საქართველოს მთავარსარდალი და მთავარმართებელი იყო) და, მეორეს მხრით, ბოდბისხეველების საჩივარს. პაულიჩი თავის მოხსენებაში ამბობს: „აქაური სამფლობელოების (Здешния владения) პირადათ დათვალიერების დროს მე შევამჩნიე მრავალი უწესოება და ბოროტმოქმედება ჩვენი მთავრობის მხრით და ხალხის უკმაყოფილება“.[2]) მეორე მოხსენებაში პაულიჩი **კახეთის აჯანყებას ეხება. ამ აჯანყებას იგი საფრანგეთის რევოლიუციას ადარებს,** ასახელებს აჯანყების მიზეზებს და ამბობს: მიზეზი არის ეკზეკუცია პროვიანტის (სურსათის) შეგროვების გამო; მასთან პაულიჩს მოჰყავს სოფ. ბოდბისხევის მცხოვრებთა განცხადება, რომელშიაც ისინი ჩიოდენ: „იმ დროს, როცა საქართველო დაპყრობილი იყო სპარსელების, ოსმალების და ლეკების მიერ, იგი არ იტანჯებოდა ისე, როგორც ახლა. ყოველივე შეურაცხყოფას ვიტანდით რათა ხელმწიფისათვის გვესიამოვნებია, მაგრამ ჩვენი ცოლების გამოგლეჯის ატანა ჩვენ აღარ შეგვეძლო... ჩვენ გვაძლევდენ 1 მან. და 20 კაპ. ერთ კოდ ხორბალში, როცა ჩვენ თითონ 4 მანეთზე მეტს ვიხდიდით... ჩვენ თითონ ვეზიდებოდით პროვიანტს ფოთში“, [3]) გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩ-

[1]) იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 44.
[2]) იხ. Акты Арх. ком., ტომი 5, გვ. 20.
[3]) იქვე გვ. 61, 66.

ნია მოვიყვანო, სიტყვა სიტყვით, რამდენიმე ადგილი იმ საჩივრიდან, რომელიც კახელ გლეხებს მიუციათ იმავე პაულიჩისთვის, რათა უფრო ნათლად და გარკვევით წარმოვიდგინოთ ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც რუსეთის მთავრობის მოხელეებს ჩაუყენებიათ კახელი გლეხკაცობა. „კახეთის მთელი საზოგადოება, ნათქვამია ამ განცხადებაში,—მცხოვრები როგოც მთებში, ისე გარში, მოგახსენებთ, რომ ჩვენ ცოტა გაგვეგება წერილობაში და არ გაგვეგება თქვენი ნაწერი. ჩვენ არ განვდგომილვართ ქრისტესაგან და არც ხელმწიფის მოღალატეები ვართ... მიზეზი (აჯანყებისათვის, ალბათ. ფ. მ.) თქვენ მოგვეცით. რაც ნაბრძანები იყო მანიფესტში თქვენგან არ იქნა შესრულებული... რაც ჩვენ არ გვქონდა (ალბად სურსათზეა ლაპარაკი. ფ. მ.) იმას ეკზეკუციით და წამებით გვართმევდით, ხოცავდით ჩვენ ცოლებს და ბავშებს, გვართმევდით პურს და შიმშილით გვხოცავდით, და თქვენ გვეუბნებოდით, **რომ ჩვენ ბალახი გვეძოვა. აბა ბავშებმა როგორ უნდა იბალახონ?** ბეგარისაგან ჩვენ ხარები აღარ შეგვრჩენია... **მინამ ადამიანი შიმშილისაგან დახოცავდეს თავის ცოლ-შვილს, უმჯობესია პირველად სხვა მოვკლათ...** მიზეზი მოგვეცით თქვენ. თქვენი შეხვედრა ჩვენ აღარ შეგვიძლია. **ჩვენ უკვე განწირული გვყავს თავისი თავი და თავისი ოჯახები.** თქვენ გვაძლევდით ჩვენ ერთ კოდ [1]) ხორბალში 1 მან. 20 კაპ. და ვისაც არ გვქონდა პური იძულებული ვიყავით გვეყიდა ის ამ ფასად და შემდეგ გვეძლია თქვენთვის 1 მან. 20 კაპ... ჩვენ ხელმწიფისათვის არ გვიღალატნია. **თქვენ დამნაშავენი ხართ,** რადგანაც ხელმწიფის ბრძანება არ შეასრულეთ, და ჩვენ **უსამართლობის გადატანა მეტი აღარ შეგვეძლო. ჩვენ თქვენთან შეხვედრა** (сойтись) აღარ შეგვიძლია, **ჩვენ უამიხოთაც მკვდრები ვართ და უნდა დავიხოცოთ.** ჩვენ გადმოგეცით თხოვნა, თქვენ კი არ ინებეთ იმის გადაცემა ხელმწიფე იმპერატორისათვის. **თქვენ გვატყუილებდით, მაგრამ მეტი მოთმენა აღარ შეიძლებოდა და ჩვენ უნდა დავიხოცნოთ.“** [2]) უადგილობის გამო ჩვენ არ მოგვყავს აქ ამავე შინაარსის კიდევ სხვა მრავალი წერილები, არც სოფ. მირზაანის მცხოვრებლების საჩივარი, სადაც აწერილია ისეთივე შემთხვევები, როგორც აღნიშნულ საჩივარში და სხვ... ენა და კილო ყველა ამ საჩივარისა და განცხადებისა მოწმობს იმას, რომ ხალხის მოთმინების ფიალა ავსილა და მას მიუმართავს იარაღისთვის, დარწმუნებული იმაში, რომ ეძებს სიმართლეს; მაგრამ მას გამარჯვების იმედი არა აქვს, იცის რომ მთელი ძალა მოძალადეების ხელშია, და მას დაღუპვა მოელის. მაგრამ, მიუხედავათ ამისა თვითეულ განცხადებაში გაისმის აჯანყებულთა ხმა, რომ ისინი ადამიანური უფლებების აღდგენისათვის იბრძვიან. ამიტომ საკვლევით მართალი იყო ღენერალი პაულიჩი, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და რომელიც კახეთის აჯანყებას სწორედ ამ რევოლიუციას ადარებდა. რა თქმა უნდა, საფრანგეთის რევოლიუციის და კახეთის აჯანყების შორის დიდი მანძილი იყო, მაგრამ ამ აჯან-

[1]) კოდი ორ-სამ ფუთს უდრის.

[2]) იხ. იქვე, გვ. 82.

ყებაში მაინც იყო ისეთი მომენტები, რაც პაულიჩს საფრანგეთის ამბებს აგონებდა.

კახეთის ხალხის განცხადებებში აღნიშნული ფაქტები [illegible] უნდა, აღმაშფოთებელი იყო, მაგრამ შეიძლება ვინმემ იკითხოს: [illegible] ასეთი ფაქტები თუ არა? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ფაქტები სინამდვილეს შეიცავენ; შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ისინი გამოგონილი იყოს. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითონ პაულიჩი ადასტურებს, რომ აქ, მისი მოსვლის დროს, დიდ ბოროტმოქმედებას და უწესოებას ჰქონდა ადგილი,—მთელი ქვეყანა უწესოებაში ვპოვედ და სხვ... შეიძლება ვიფიქროთ მხოლოდ ის, რომ კახელებს წამქეზებლები ჰყავდათ, როცა აჯანყებას ახდენდნენ. მაგრამ ისინი სრულიად მართალი იყვნენ, როცა ამბობდენ, რომ აჯანყების მიზეზი მათ თითონ მთავრობამ მისცა.

აჯანყება დამარცხდა, როგორც არა ერთხელ წინათ და შემდეგშიაც, ხალხს ის მეტად ძვირად დაუჯდა. ყოველივე ეს საჭირო იყო რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ინტერესებისათვის. ამის შემდეგ კახეთი თითქო „დაწყნარებული" იყო, მას აღარ ამოულია ხმა, იმ ზომამდე სასტიკად მოეპყრენ.

ასეთსავე აჯანყებას ჰქონდა ადგილი **იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში** 1819—20 წლებში. ამ აჯანყების საბაბი შეიქნა საეკლესიო ქონებათა აღწერა იმერეთში, მსგავსად იმისა, როგორც ეს მოხდა ქართლ-კახეთში. მაგრამ ეს იყო მხოლოდ საბაბი და არა ნამდვილი მიზეზი. საქმე იმაშია, რომ დამოუკიდებლობა იმერეთში და გურიაშიაც იმ დროს ახლად გაუქმებული იყო (1812—1815 წ. წ.). რაც შეეხება სამეგრელოს, მართალია, მას ჯერ კიდევ გარეგნულად შერჩენილი ჰქონდა დამოუკიდებლობის სახე, მაგრამ აშკარა იყო ყველასათვის, მით უფრო სამეგრელოს მფლობელის—ლევან დადიანისათვის, რომ, ადრე თუ გვიან, სამეგრელოსაც იმერეთის და გურიის ბედი ეწვეოდა. ეს კი ნიშნავდა დადიანის პრივილეგიების დაკარგვას. გარდა ამისა, გურიასა და იმერეთში რუსეთის მთავრობის დამყარება დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ოსმალეთისთვისაც, მით უფრო, რომ ეს პროვინციები იმ ხანებში ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ **მ. პოლიევკტოვი** საკმაო სისწორით განმარტავს ამ აჯანყების სარჩულს თავის მონოგრაფიულ წერილში, [1]) სადაც იგი ამბობს: „1819—20 წლების აჯანყებაში ნათლად ვხედავთ სამ მებრძოლ ელემენტს: ადგილობრივ მოსახლეობას, რომლისთვისაც საეკლესიო რეფორმების ცდა წარმოადგენდა ისტორიულად წარმოშობილი საზოგადოებრივი წესწყობილების გაუქმებას; რუსეთის ხელისუფლებას, რომლისთვისაც ეს რეფორმები წარმოადგენდა იმ ღონისძიებათა განვითარებას, რასაც უნდა დაეჩქარებია საქართველოს გაერთიანება რუსეთის იმპერიასთან; ეს გამომდინარეობდა იმპერიალისტური პოლიტიკის იმ საერთო ამოცანებიდან, რომელთაც მაშინ ისახავდა

[1]) „Исторический вестник". 1924 წ. წიგნი—II. პოლიევკტოვის წერილი—„Архивное дело о восстании в Имеретии, Гурии и Мингрелии в 1819—20 годах". ამ წერილში აღწერილია ახლად აღმოჩენილი მასალები აჯანყების შესახებ.

რუსეთის მთავრობა კავკასიაში; და ბოლოს, მესამე ძალა—ისმალეთი, რომელიც დაშინებული იყო რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკით, განსაკუთრებით კავკასიაში და რომელსაც დავიწყებული არ ჰქონდა იმერეთი, ხოლ საერთოდ, საქართველოს სამეფოს შავიზღვის ნაპირას მდებარე ოლქები*.

ამ აჯანყებას საკმარისად ფართო ხასიათი მიეცა. უმთავრესად აჯანყებაში ჩაბმული უმაღლესი არისტოკრატია, ე. ი. თავადაზნაურობა და უმაღლესი სამღვდელოება; მაგრამ, როგორც სჩანს, მოსახლეობის დაბალ ფენებსაც მიეცა მასში მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში, 1819—20 წლებში მომხდარი აჯანყება, საერთოდ, უნდა ჩაითვალოს ფართო სახალხო მოძრაობად რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, რაც მოწმობს იმას, რომ ახალ მთავრობას ხალხის ფართო მასსა არა თუ არ თანაუგრძნობდა, არამედ მძულვარებას უცხადებდა მას. ხდებოდა ბრძოლა ძველ ფეოდალურ წყობილებასა და ბურჟუაზიულ, ბიუროკრატიულ სამოსელში გახვეულ ურთიერთობათა შორის. ხალხი შეუგნებლად თანაუგრძნობდა ძველ წესებს, ძველ შეჩვეულ ჭიოს, და ხშირად თავისივე მოსისხლე მტრების—ქართველი მებატონეების მოკავშირედ გამოდიოდა. მაგრამ ჩვენ ამაში არ შეგვიძლია ხალხი გავამტყუნოთ, ამაში ბრალი მიუძღვის, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის თვითმპყრობელობას და მის მოხელეებს.

მეცხრამეტე საუკუნის სახალხო აჯანყებათა შორის, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **გურიის აჯანყებას** (1841 წელს). სხვათა შორის **ეგნატე ნინოშვილმა** სწორედ ამ აჯანყებაზე ააგო ერთი თავისი საუკეთესო მოთხრობა—**„ჯანყი გურიაში“**. რა თქმა უნდა, ნინოშვილის მოთხრობაზე, როგორც მხატვრულ ნაწარმოებზე, ჩვენ აქ ვერ დავეყრდნობით, თუმცა იქ ბევრი ისტორიული მომენტია შეტანილი. ჩვენ გვაქვს ამ აჯანყების ისტორიული აღწერა, დამყარებული ოფიციალურ დოკუმენტებზე. მე ვამბობ ვ. ჩუდინოვის წერილზე. „გურულების აჯანყება 1841 წელს“ [1]).

გურიის ეს აჯანყება იმით არის საყურადღებო, რომ მას უკვე საკმარისად გამჭვირვალე სოციალური ხასიათი აქვს. ეს აჯანყება მიმართული იყო იმდენად არა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, რამდენადაც მებატონეების წინააღმდეგ. აქ იმართება ბრძოლა მებატონეებსა და გლეხობის შორის. მართალია, ამ აჯანყების საბაბს წარმოადგენდა ახალი გადასახადის შემოღება, რომელიც უდრიდა **ხუთ შაურს**; მაგრამ ეს იყო მხოლოდ საბაბი, რამაც გამოსავალი მისცა იმ ბოღმას, რომელიც ხალხში იყო დაგუბებული, როგორც რუსის მთავრობის, ისე არსებული ბატონ-ყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. ამ აჯანყებას მეტად ფართო და სასტიკი ხასიათი ჰქონდა; თითქმის გურიის მთელმა გლეხკაცობამ მიიღო მაშინ მონაწილეობა. აჯანყებამ საფრთხეში ჩააგდო არა მარტო ოზურგეთის სამაზრო მთავრობა, არამედ მთლად ამიერ-კავკასიის მთავრობაც, და ეს მით უფრო, რომ გურიის აჯანყებულებს რამდენიმედ

[1]) იხ. „Кавказский сборник“. ტ. XIV.

ქვეშო იმერეთის გლეხებიც გამოეხმაურენ. აჯანყებამ რამდენიმე თვეს გასტანა და ამ ხნის განმავლობაში მთავრობის ჯარმა რამდენჯერმე განიცადა სასტიკი დამარცხება; მაგრამ, ცხადია, მარტო პაწაწინა გურია ვერ ებრძოლა სახელმწიფოს, როგორიც რუსეთი იყო, ვერას ვერ ააკლდებდა; აჯანყება უნდა დამარცხებულიყო, და დამარცხდა კიდეც. ამის შემდეგ გურია თითქო დიდი ხნით დაწყნარდა, მაგრამ 16 წელმა განვლო და 1857 წელს აჯანყდა **სამეგრელოს გლეხობა.** სამეგრელოს აჯანყება არც ერთ ხემოაღნიშნულ აჯანყებას ვერ ჰგავდა.

ცნობილია, რომ სამეგრელოს მებატონეები გლეხებისადმი მეტისმეტ სიმხეცეს იჩენდენ. სამეგრელოს თავადების მიერ ოსმალეთში ყმების გაყიდვა დიდი ხნიდან მომდინარეობდა. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ცნობილი მოგზაური **შ ა რ დ ე ნ ი ც**, რომელმაც ინახულა ეს მხარე მეჩვიდმეტე საუკუნეში. 1803 წ. სამეგრელოს მფლობელი გრ. დადიანი შევიდა რუსეთის მეფის მორჩილებაში, მაგრამ ისეთი პირობით, რომ სამოქალაქო საქმეებში იგი სრულს ავტონომიას იტოვებდა; ამ გარემოების წყალობით სამეგრელოს სამთავრომ საკმარისად დიდხანს შეინარჩუნა ავტონომიური მართვა-გაგება, მაშინ როდესაც, როგორც იმერეთის სამეფომ, ისე გურიის სამთავრომ დიდი ხნით ადრე დაჰკარგეს ყოველივე დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს ავტონომია მეტად დიდ უბედურებად მოევლინა სამეგრელოს გლეხ-კაცობას. ამ უკანასკნელის გაჭირვება, ჩაგვრა და ტანჯვა იმ ზომამდე მივიდა, რომ იგი აუჯანყდა სამეგრელოს მთავარს, სამეგრელოს მებატონეებს; ეს აჯანყება გამოიხატა იმაში, რომ გლეხობამ აღკვეთა ყოველგვარი მუშაობა თავიანთი მებატონეებისა და უწინარეს ყოვლისა თვით მთავრის სასარგებლოდ.... და აჯანყებულ გლეხობას იმაზე მეტი არაფერი უნდოდა თავისთვის, რაც მდ. ცხენის-წყლის [1]) გაღმა (ე. ი. ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში) ეგულებოდა, სადაც დიდი ხნიდან მოსპობილი იყო ყოველგვარი ავტონომია. მეტად საინტერესოა ამ მხრით აჯანყების ერთი მეთაურთაგანის—მუედელ მიქავას სიტყვა, რომლითაც მან ლენერალ **კოლიუბაკინს** მიმართა. მე უნდა მოვიყვანო აქ ამ სიტყვის ზოგიერთი ადგილი: „დახმარება ჩვენ არსაიდან გვინახავს,—ამბობს მიქავა—ჩვენი მებატონეები გვტაცებენ ჩვენ ბიჭებს და ქალებს და ყიდიან ოსმალეთში... ჩვენი შრომის ყოველივე ნაყოფი იმათ მიაქვთ; გლეხს, იმათი აზრით, არაფერი არ უნდა ჰქონდეს.... იმათ გონიათ, რომ ჩვენ ყველა ცხოველზე უარესი ვართ... ცხენის-წყალის გაღმა ეს ასე არ ხდება. ჩვენ ვიცით, რომ იქ ადამიანებს არ აყენებენ ცხოველების დაბლა, რომ იმათთვის იქ არის სასამართლო და სიმართლე.... ვიჩივლოთ? მაგრამ ვისთან?... **ჩვენი სამშობლო ჩვენ მოგვბეზრდა, ჩვენ გადავწყვიტეთ დავტოვოთ ის სამუდამოთ..... ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ, რომ აღარ დავბრუნდეთ უკან.** რაღაა ის სამშობლო, სადაც თავშესაფარი ვერ გიშოვნია, სადაც შენზე ნადირობენ, როგორც ნადირზე“..... [2]).

[1]) ეს ხდებოდა ყოფდა მაშინ სამეგრელოს იმერეთიდან.

[1]) იხ. К. А. Бороздин закавказская воспоминания. мингрелия и сванетия в 1854—1861 г. г. გვ. 144—5. ბოროზდინი მოხვდა ამ აჯანყების დროს სამეგრელოში ლენ. კოლიუბაკინთან ერთად, რომელიც აჯანყების ჩასაქრობად წავიდა იქ. ბოროზდინმა დაწერა ის რაც შეამჩნია. სამწუხაროდ სხვა მასალები ამ აჯანყების შესახებ ჯერ გამოქვეყნებული არ არის, თუმცა, როგორც გადმომცეს ასეთები მოიპოვება.

ამ გვარად უკიდურესმა გაჭირვებამ, შეურაცხყოფამ და ჩაგვრამ სამეგრელოს გლეხ-კაცობა მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცდაათე წლების ბოლოს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. ათი ათასამდე გლეხკაცობა ერთ ადგილზე შეგროვილიყო და დაეპირებია ცხენის-წყალის გაღმა გასვლა და რუსეთის მთავრობისაგან შველახსნის ძიება თავისი მებატონეების წინააღმდეგ. გლეხის წარმოდგენით ის, რაც ცხენის-წყალის გაღმა არსებობდა, მისთვის სამოთხე იყო. რა თქმა უნდა, სამეგრელოს გლეხები სცდებოდენ. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რამდენად საბარბიელო იყო გლეხების მდგომარეობა, ნამეტურ ყმა გლეხებისა, დანარჩენ საქართველოში, სადაც ხალხს უშუალოდ მართავდა რუსეთის მოხელეები: აქაც ყმებს ყიდდენ, როგორც უსულო ნივთს, ან პირუტყვს, აქაც მათ ცვლიდენ ძაღლებზე, ატანდენ მზითვად, [1]) აუპარიურებდენ ქალებს, აბამდენ უღელში, როგორც ხარებს და სხვ. და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც სჩანს, სამეგრელოში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა ყოფილა, რომ იტყვიან— მჯობნის მჯობნე არ დაილევეთ, სწორედ ასე იყო ამ შემთხვევაში: უარესზე უარესიც შესაძლებელი იყო.

სამეგრელოს გლეხების აჯანყება სისხლის დაღვრელად გათავდა. კოლიუბაკინმა ყაზახების საშუალებით დააშინა და დატუქსა ოთივე მხარე. გლეხობა დაწყნარდა და შეუდგა ისევ მუშაობას; ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს გლეხების მდგომარეობაში. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იმ დროს მთავრობის მალალ წრეებში უკვე ფიქრობდენ ბატონ-ყმობის გაუქმებაზე.

ამის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში ხალხის არეულობას და აჯანყებას ადგილი აღარ ჰქონია, გარდა აფხაზეთის 1866 წლის არეულობისა. 1875—76 წლებში იყო დიდი მღელვარება და აჯანყება **თავისუფალ სვანეთში.** ეს მღელვარება დაიწყო მიწების გაზომვისა და იმათი რაოდენობის გამორკვევის გამო. სვანები ფიქრობდენ, რომ ამას ახალი გადასახადების შემოღება მოჰყვებოდა და წინააღუდგენ ამ ზომის ცხოვრებაში გატარებას. რა თქმა უნდა, მიწების გაზომვა იყო მხოლოდ უბრალო საბაბი და არა ნამდვილი მიზეზი თავისუფალი სვანეთის აჯანყებისა. ნამდვილი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ სვანეთის ხალხი ვერ ეგუებოდა რუსეთის წესწყობილებას, მის მოხელეებს, მის კანონებს და წესებს. ხალხის აღელვებას და უკმაყოფილებას თავისუფალ სვანეთში მეტად ღრმა ნიადაგი ჰქონდა. და თუ ამ აჯანყებას დიდი სისხლის ღვრა არ გამოუწ-

---

[1]) ამაზე მშვენიერი ლექსი აქვს დაწერილი პოეტ რაფიელ ერისთავს სათაურით „ს ა მ ზ ი თ ვ ი“. ეს ლექსი დაბეჭდილი იყო ჟურნ. „ივერიის“ მე-12 ნომერში (1882 წ. დეკემბერი) და მოგვყავს აქ მთლიანად.

დალონებულა თევდორე, გულ-ხელი დაუკრეფია,
გამშრალსა, გამწარებულსა, ცრემლი არ უჩანს მჩქეფია,
ჩასცქერის დედა მიწასა, ბეჩავს ხმა ჩაუკმენდია,
ოხრავს და გმინავს ხამუშად, გაშავებია ბედია....
ოლოს იფიქრა, გაბედა, გაწია თავის ბატონთან.
შემკრთალმა, ათრთოლებულმა, ყმამ ფეხი შესდგა ბატონთან,

ვევია, ეს უნდა მიეწეროს სვანეთის ხალხის მაშინდელ ბრძენ და გამოცდილ ხელმძღვანელებს და მრჩეველებს [1])

ზემოჩამოთვლილ აჯანყებათაგან სრულიად განცალკევებით სდგას 1832 წლის **შეთქმულობა ქართველი თავად-აზნაურობისა** რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ტფილისში და აგრეთვე **ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების არეულობა ტფილისშივე,** რომელიც 1865 წელს მოხდა. ქართველი თავად-აზნაურობის შეთქმულობა იყო მხოლოდ **ქართველი არისტოკრატიის შეთქმულობა ბატონიშვილების ოქროპირის და დიმიტრის** მეთაურობით; შეთქმულობაში ახლო მონაწილეობას ღებულობდენ: **თამარ ბატონიშვილი, გიორგი ერისთავი, დიმ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, სოლ. დოდაშვილი,** ბერი **ფილადელფოს კიკნაძე,** რომელმაც დასწერა: „ფარული საზოგადოების“ წესდება, და სხვ. ეს საზოგადოება დაარსდა 1829 წელს; ხალხთან მას არაერთარი კავშირი არ ჰქონია. „საზოგადოებას“ განზრახვა ჰქონდა შეთქმულობის საშუალებით მოეხდინა საქართველოში გადატრიალება, მაგრამ ერთ-ერთმა წევრმა **ია ფალავანდიშვილმა** საზოგადოება გასცა. საქმე ჩაიშალა და ყველა შეთქმულები დაჭერილ იქმნენ. უნდა ითქვას, რომ მთავრობა მეტად ლმობიერად მოეპყრა შეთქმულობის მონაწილეთ. გარდა დოდაშვილისა, რომელიც წარჩინებულ წოდებას არ ეკუთვნოდა და რომელიც სამუდამოთ შორეულ ციმბირში გადაასახლეს; დანარჩენები კი ევროპის რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნეს საცხოვრებლად. ერთად-ერთი ახსნა ასეთი ლმობიერებისა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა შეთქმულნი წარჩინებული გვარიშვილები იყვნენ. რომ ისინი გლეხები ყოფილიყვნენ, უთუოდ ან ჩამოახრჩობდენ, ან და სამუდამოდ კატორღაში გაგზავნიდენ. მართლაც, სულ მალე ყველანი საქართ-

---

თავი დაუკრა მდაბლადა და დაელრიჯა მწარედა:
„მთხოვნელ ვარ, ნუ გამიწყრები და ნუ გამაგდებ გარედა!...
შენი ჭირიმე, ბატონო, შენი შვილების ლხენასა,
ი გოგო რაზე წამართვი, რად მომიშორე კერასა?!..
მაჩუქე ღმერთი გადიდებს, შვილი აღარ მყავს მეტია,
ითომ წყალობა მრავალი ჩემთვისინ გაგიმეტია...
მარტო ვარ მოხუცებული, მეტი არა მყავს მომვლელი,
დედას ჩამოგავს „ცხონებულს,—იმისდა უფრო მოველი!....“
—„პანღური ამას:.. შესძახა ბატონმა გაჯავრებულმა...
„როგორ გაბედა შემოსვლა, ვირმა გათამამებულმა?!..
ჩემს ქალს ვათხოვებ, ხომ იცის,—ვინ წავაყოლო მზითევში?
გააგდეთ ეგ აქედანა, მაგრა წაჰკარით კისერში!..“
ეცნენ თევდორეს ბიჭები, გამოაბრძანეს გარეთა,
წაჰკრეს კისერში და ყბები შემოამტვრიეს მწარედა!.....
დალონებულა თევდორე, გულ-ხელი დაუკრეფია,
გამშრალსა, გამწარებულსა, ცრემლი არ უჩანს მჩქეფია,
ჩასცქერის დედა მიწასა, ბეჩავს ხმა გაუკმედია,
ოხრავს და გმინავს სამუშად, გაჰშავებია ბედია!....

1) დაწვრილებით სვანეთის აჯანყების შესახებ იხ. ეგ. გ ა ბ ლ ი ა ნ ი ს წიგნი: „ძველი და ახალი სვანეთი“ ტფ. 1925 წ. გვ. 93—108.

ველოში დაბრუნდენ და შემდეგ ბევრმა მათგანმა თავი იჩინა საწყალო ასპარეზზე. შეთქმულთა მიხანი იყო ჩამოეგდოთ რუსის მთავრობა საქართველოში, აღედგინათ ძველი ხელისუფლება და ტახტზე დაებრუნებინა ერეკლეფი ბატონიშვილი. ერთი სიტყვით, საქართველო და ქართველი ერი ისევ ძველ გზას უნდა დაბრუნებოდა. მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო.. 1832 წლის შეთქმულობა უკანასკელი ცდა იყო ქართველი მონარქისტებისა ძველი ფეოდალური სამეფოს აღდგენისათვის; ეს ცდა წინდაწინვე დამარცხებულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

ახლა ორიოდე სიტყვა იმ **მღელვარებაზე** ანუ **ამბოხებაზე**, რომელიც მოხდა ტფილისში 1865 წლის ზაფხულზე. ამ ამბოხების მიზეზი იყო შემდეგი: ქალაქის შემოსავლის გასადიდებლად გადაწყვეტილი იქნა შემოეღოთ დამატებითი გადასახადი დუქნებზე, რომლებშიაც სასმელებს ყიდდენ, 25% მეტი არსებულ ნორმაზე. ეს შეადგენდა სულ 10.000 მან. ამ გადასახადის შემოღებამ ააღელვა ტფილისის ვაჭრები და ხელოსნები, თუმცა ამ უკანასკნელებზე ეს გადასახადი არ ვრცელდებოდა. აღძრულ იქნა წუამდგომლობა მისი მოხსნის შესახებ; როცა ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს, ითხოვეს გადადება, მაგრამ არც ეს იქნა შეწყნარებული. ქალაქის თავმა **ვართანოვმა** გასცა ბრძანება ახალი გადასახადის აკრეფის შესახებ, და გადასახადთა ამკრეფი — **ბაქბეუქ-მელიქოვი** უკვე შეუდგა საქმეს. ამის გამო 26 ივნისს შეიკრიბენ ტფილისის ვაჭრები და ხელოსნები ენერგიული ზომების მისაღებად. ამ კრებაზე გადაწყდა ივნისის 27-დან დაეკეტათ ქალაქში ყველა სავაჭრო დუქნები აღნიშნული გადასახადის გაუქმებამდე. მთავრობამ, როცა გაიგო ასეთი გადაწყვეტილება, დაიბარა უსტაბაშები [2]) და გამოუცხადა მათ, რომ თუ ეს დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი, მთავრობა იძულებული იქნება სამხედრო ძალას მიმართოს ამბოხების ჩასაქრობადო. მაგრამ უსტაბაშებმა ვერ შესძლეს ვაჭრებისა და ხელოსნების დაშოშმინება.... და ივნისის 27-ს ყველა დუქნები დაიკეტა. თითქმის ყველა ვაჭრები და ხელოსნები ქუჩაში გამოვიდენ; ესენი მეტის მეტად ღელავდენ. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: „ჰკათ ქალაქის თავს და გადასახადის ამკრეფთ“. ხალხი გაექანა იმათ სახლებისაკენ და დაარბია ისინი. ბაქბეუქ-მელიქოვი ჩაიგდეს ხელში და მოჰკლეს. ქალაქის თავმა კი გაქცევა მოასწრო. ამ დროს ჯარი გამოიყვანეს, მაგრამ ხალხი შეგროვდა ერთ ადგილას და არ უნდოდა დაშლილიყო. მიუხედავათ გაფრთხილებისა, ხალხის შეუპოვრობა იმ ზომამდე დიდი იყო, რომ ჯარს ებრძანა აეტეხა სროლა მისთვის. ოთხი კაცი მოკლულ იქნა და 9 დაიჭრა. ამის შემდეგ ხალხი გაიფანტა, მაგრამ დუქნები 29 ივნისსაც დაკეტილი იყო. ამბობდენ, რომ ჯარის ერთმა ნაწილმა ესროლა ხალხს, დანარჩენებმა ჰაერში ისროლესო. ადმინისტრაციამ დანიშნა ახალი ქალაქის თავი **აბესალომოვი**, რომელმაც მოახერხა ხალხის დამშვიდება. ასე გათავდა მედუქნეებისა და ხელოსნების 1865 წლის ამბოხება, მას არ ჩაუვლია უშედეგოდ. მისი გავლენით აღძრულ იქნა შუამდგომლობა არსებული, 1840 წლის, საქალაქო დებულების შეცვლისათვის. ახალი დებულება დამტკიცებულ იქნა 1866 წლის აგვისტოს 10-ს.

---

[2]) ასე უწოდებდენ ხელოსანთა ამქრების მამასახლისებს ან თავ-კაცებს

ამ ამბოხებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიაც. ამის გამო მოთავსებულ იქნა წერილი **გერცენის** გაზ. **„კოლოკოლში“**, რომელიც ლონდონში გამოდიოდა. კატკოვი კი, **„მოსკოვის უწყებაში“** სწერდა,—ეს ამბოხება მოაწყვეს პოლონელებმაო. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი და უკანასკნელი ამბოხება ტფილისში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ხალხი „დაწყნარდა“ და წინანდებურად აღარ ღელავდა. იგი შეეჩვია რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმს. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, თითქო იგი მთავრობით კმაყოფილი იყო. ეს კარგათ იცოდა მთავრობამაც. ამიტომ იგი ხალხს არ ენდობოდა. ეს უნდობლობა, სხვათა შორის იმაშიც გამოიხატა, რომ რუსეთის თვითმპრობელობამ საქართველოს ის კუდმოკვეცილი რეფორმებიც კი არ აღირსა, რომლებიც მან საკუთრივ რუსეთში შემოიღო, მაგალითად, ნაფიცთა სასამართლოები, საერობო დებულება და სხვ. გარდა ამისა, თავის ბატონობის დროს მან არ აღირსა საქართველოს ერთი უმაღლესი სასწავლებელიც კი, თუმცა ჯერ კიდევ მესამოცდაათე წლებში იყო აღძრული შუამდგომლობა ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

მოსახლეობა.

ჯერ კიდევ ამ 25—30 წლის წინათ მე შეუდექი ამიერ-კავკასის და კერძოთ საქართველოს მოსახლეობის მოძრაობის შესწავლას მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ზემოთ დასახელებულ წერილში, რომელიც დაიბეჭდა 1901 წელს ჟურ. „კვალში“, მე ჯამი გაუკეთე ჩემ მიერ შეგროვილ მასალას. იქ დავყავი ცნობები მოსახლეობის შესახებ ოთხ უმთავრეს კატეგორიად: 1) საერთო რიცხვი მცხოვრებთა, 2) რიცხვი ქალაქების მცხოვრებთა, 3) მოსახლეობა გვარტომობის ანუ ეროვნების მიხედვით და 4) გადამხდელ წოდებათა რაოდენობა. ჩემს წერილში აღვნიშნავდი ამ საგნის შესწავლის სიძნელეს, შესაფერი სტატისტიკური მასალის უქონლობის გამო, და ამიტომ იძულებული ვიყავი მესარგებლნა იმ კანტი-კუნტი ცნობებით, რაც გაბნეულია სხვადასხვა ხელმიუწდომელ გამოცემებში. ეს მეტ წილად უნდა ითქვას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარზე.

მე უკვე ზემოთ აღვნიშნე, რომ საქართველოს მოსახლეობა მეთვრამეტე საუკუნის გასულს ძალზე შემცირებული იყო, და, რაც საგულისხმოა, იგი თუ არ იზრდებოდა, არა თუ არ მატულობდა, არამედ თანდათან, სისტემატიურად კლებულობდა. ამას თავის მიზეზები ჰქონდა.

სტატისტიკური აღწერა ძველმა საქართველომ არ იცოდა; ახალი მთავრობისათვის კი საჭირო იყო მოსახლეობის, განსაკუთრებით გადამხდელ წოდებათა, აღწერა ფისკალურის მიზნით. და, მართლაც, რუსის მთავრობამ მოახდინა ასეთი აღწერა 1806 და 1811 წელს. მაგრამ ეს აღწერა შეეხო მხოლოდ ქართლ-კახეთს, ასე რომ იმერეთის შესახებ ასეთი ცნობებიც არა გვაქვს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის ზრდას გარეშეოება ხელს არ უწყობდა.

კერძოდ იმერეთის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ 1811 წელს, მას დიდი

სიმშილობა ეწვია, რაც საზოგადოთ ძველ საქართველოში ხშირი მოვლენა იყო. სიმშილს ჟამიც თან მოჰყვა. ამის შესახებ იმერეთის მაშინდელი მმართველი—გ. სიმონოვიჩი სწერდა: „იმერეთი დიდ უბედურებაში ჩავარდა, **სიმშილობამ და ჟამმა მცხოვრებთა რიცხვი განაახევრა**". თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მარტო ოფიციალური გამოანგარიშების მიხედვით იმერეთმა ერთი წლის განმავლობაში სტიქიური უბედურებათა მეოხებით 42.200 სული დაჰკარგა, უნდა ვსთქვათ, რომ სიმონოვიჩი მართალია, როცა ამბობს—„სიმშილმა და ჟამმა იმერეთის მცხოვრებთა რიცხვი გაანახევრა". იმავე 1811 წ. სიმშილობა ეწვია კახეთსაც, თუმცა არა ისეთი ძლიერი ფორმით, როგორც იმერეთს. ყოველივე ეს არა თუ აფერხებდა ხალხის გამრავლებას, არამედ ამცირებდა კიდეც მის რაოდენობას, მაგრამ ჩვენი ხალხის გამრავლება მეცხრამეტე საუკუნის პირველი ოცი წლის განმავლობაში დაბრკოლებული იყო იმიტომაც, რომ იმ ხანებში ხალხში ჩამოვარდა საერთო მოუსვენრობა, შიში და რძწოლა, გამოწვეული, ალბათ, უცხო წესების შემოღებით და უცხო ზნე-ჩვეულებათა გავრცელებით, რაც სამუდამოთ ძირს უთხრიდა საუკუნეთა განმავლობაში გამოჭედილ და შესისხლხორცებულ ზნე-ჩვეულებას და საზოგადოებრივ წყობილებას. ასეთი ხანა არსად და არასოდეს არ ყოფილა კეთილისმყოფელი ხალხის მდგომარეობისათვის. მაგრამ განვლო დრომ და ხალხში თანდათან გაჰქრა ეს შიში და უიმედობა; იმავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ნელთიერ პირობებში, თანამედროვე აღებ-მიცემობისა და მრეწველობის განვითარების მეოხებით, ღრმა ცვლილებანი მოხდა, რამაც თავის თავად ხალხის გამრავლებასაც ხელი შეუწყო.

მცხოვრებთა საერთო რიცხვი. ჩვენი გამოანგარიშებით, რომელიც დაწვრილებით ქვევით მოგვყავს, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთისა და იმერეთ-გურია-სამეგრელოს მცხოვრებთა საერთო რაოდენობა დაახლოებით **413.929 სულს** უდრიდა:

ქართლ-კახეთი	(1806 წ.)—168.929	სული.
იმერეთი	(1810 წ.)—120.000	„
გურია	(1810 წ.)— 25.000	„
სამეგრელო	(1804 წ.)—100.000	„
ს უ ლ	413.929	სული.

ეს რიცხვი სინამდვილესთან ახლო უნდა იყოს.

ჩვენ ვიცით, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საკუთრად ქართველების რიცხვი მთელს საქართველოში უდრიდა დაახლოვებით 380.000 სულს, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მარტო ქართველების რიცხვს ასე უმატნია: ქართველები იყვნენ:

1835 წელს	—432.000	სული
1865 „	—852.319	„
1886 „	—1.261.701	„

მაშასადამე, დაახლოებით 80 წლის განმავლობაში ქართველების რიცხვი გაზრდილა 232%.

1886 წლის შემდეგ ჩვენ არა გვაქვს ისეთი სტატისტიკა, რომელიც ამიერ-კავკასიის ერთა რაოდენობას განსაზღვრავდეს. და თუ ჩვენ მაინცადა მაინც მოვისურვებთ ქართველი ხალხის რაოდენობის გამორკვევას 1899 წელს ამისთვის ორი საშუალება გვაქვს: პირველია ქართველი ხალხის წლიური მატება და მეორე,—მისი მონაწილეობა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში. როგორც აღვნიშნეთ, ქართველების საერთო რიცხვი 1886 წელს იყო 1.261.701. თუ ვიანგარიშებთ, რომ ქართველი ხალხის წლიური მატება 1.5% მაინც იქნებოდა (1886 წლამდის ქართველების წლიური მატება 3.76% იყო), 13 წლის განმავლობაში მას უნდა მომატებოდა დაახლოებით 250.000 სული; ეს რიცხვი უნდა მიემატოს 1.261.701-ს და 1899 წლისათვის მივიღებთ— —1.511.701. თუ, მეორეს მხრით, ვიანგარიშებთ, რომ ქართველები მთელ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა 27.57% შეადგენენ და ავიღებთ 1899 წლის ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა მთელ რიცხვს, გვექნება—1.538.017, ე. ი. ციფრი, რომელიც ძლიერ უახლოვდება პირველი გამოანგარიშებით მიღებულ ციფრს. ამნაირათ, ქართველი ხალხის რიცხვი მეცხრამეტე საუკუნის დამლევს დაახლოებით უნდა ყოფილიყო $\frac{1.511.701+1.538.017}{2}$ ანუ 1.524.859. მაშასადამე, ქართველი ხალხის რიცხვი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ოთხჯერ მეტი გამხდარა. მოუმატნია 301.58%, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა ხალხთა გამრავლების ისტორიაში. მაგ., ევროპის მცხოვრებთა რიცხვი იმავე ხნის განმავლობაში ძლივს ორჯერ მეტი გახდა.

ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი.

შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქალაქი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, სრულებით არ ყოფილა. გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ტ ფ ი ლ ი ს ი. დანარჩენი ქალაქები კი—ქუთაისი, გორი, სიღნაღი, თელავი და სხვ. მხოლოდ, ცოტად თუ ბევრად მოზრდილ ან პატარა სოფლებს წარმოადგენდენ. მართალია, სწორი სტატისტიკური ცნობები ჩვენ არც აქა გვაქს, მაგრამ ყველაფერი რაც კი ჩვენ ვიცით იმ დროის სოციალურ-ეკონომიური პირობების შესახებ, მოწმობს იმას, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოში ქალაქური ცხოვრება არ ყოფილა.

1806 წ. აღწერით ქ. ტფილისში ცხოვრობდა სულ **5.126 სული**; ამათში 2.607 მამაკაცი და 2.555 დედაკაცი. [1]) ხუთი წლის შემდეგ, ე. ი. 1811 წელს ტფილისის მოსახლეობის რიცხვი ავიდა უკვე 8.237-დე. უნდა ვსთქვათ, რომ ქართველების რიცხვი ამ დროს ქ. ტფილისში სრულიად უმნიშვნელო იყო, დიდ უმრავლესობას სომხობა შეადგენდა; იყვნენ აგრეთვე თათრები და სპარსელებიც. ეგრედწოდებულ მოქალაქეთა რიცხვი ადიოდა 1.000-დე; დანარჩენი მცხოვრებლები სხვა და სხვა კატეგორიის გლეხები იყვნენ. ტფილისს გარდა აღმოსავლეთ

[1]) იხ. Акты Археогр.ком., ტ. III გვ. 714.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ქალაქებად ითვლებოდენ: **გორი, თელავი, სიღნაღი და ანანური.** ამათში მოსახლეობის რიცხვი დაახლოვებით იყო:

გორში	—	1.200 სული.
სიღნაღში	—	1.300 „
თელავში	—	1.100 „
ანანურში	—	300 „

რაც შეეხება **დასავლეთ საქართველოს** (იმერეთს, სამეგრელოს და გურიას), იქ არსებითად ქალაქი არ იყო. ყველაზე დიდ ქალაქად ითვლებოდა **ქუთაისი**, უძველესი ქალაქი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უფრო სოფელს მოგაგონებდათ. ამ ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ასი მცხოვრები იყო, უმთავრესად ქართველი ქათოლიკები და ებრაელები, რომლებიც ვაჭრობას მისდევდენ. ისეთ ქალაქებზე, როგორიცაა **ოზურგეთი, რედუტ-კალე, ზუგდიდი და სხვ.** ხომ ლაპარაკიც არ ღირს. ერთად-ერთი ქალაქი, რომლისთვისაც შეგვეძლო ქალაქი გვეწოდებია, იყო **ახალციხე**, რომელშიაც იმ ხანებში 12.000 მეტი მცხოვრები ითვლებოდა; მაგრამ ახალციხე მაშინ ოსმალების ხელში იყო.

ამ გვარად, ქალაქების მოსახლეობა მთელს საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს არ აღემატებოდა 10.000—12.000 სულს, რაც უდრიდა დაახლოვებით საქართველოს მცხოვრებთა საერთო რიცხვის 3 %-ს. მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვით, მოქალაქენი სულ მცირე პროცენტს შეადგენდენ. რაც შეეხება საქართველოს ქალაქების ბედს შემდეგ წლებში, მოგვყავს ასეთი ცხრილი:

ქალაქები	მოსახლეობის რაოდენობა			
	1835 წ.	1865 წ.	1886 წ.	1897 წ.
ტფილისი	25.290	67.770	78.445	160.645
ქუთაისი	2.000	11.807	22.643	32.492
ბათომი	—	—	14.803	28.512
ახალციხე	13.000	11.617	16.116	15.387
ფოთი	—	1.039	4.709	7.666
სოხუმი	—	1.612	—	7.809
გორი	3.000	5.054	7.243	10.457
თელავი	2.680	7.240	11.214	11.810
სიღნაღი	3.500	9.687	10.604	8.998
დუშეთი	1.700	2.525	2.027	2.456
ახალქალაქი	—	2.260	4.303	5.443
ოზურგეთი	300	700	1.472	4.694
სულ	51.470	121.311	173.579	296.369

აბნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში ქალაქების მოსახლეობის რიცხვს, რომ ავიღოთ მეცხრამეტე საუკუნის ხანა, დაწყებული 1835 წლიდან 1897 წლამდე, მოუმატნია 244.899, ე. ი. 576% დე.

ეს საკმარისად დიდი ზრდაა, და მოწმობს იმას, რომ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საქართველოს ცხოვრების ყველა დარგში დიდი გადატრიალება მომხდარა.

საინტერესოა, თუ ეროვნების მიხედვით რა სურათს წარმოადგენს ეს ზრდა. ამ მხრით უფრო დაწვრილებითი ცნობები გვაქს ტფილისის შესახებ. თუ ავიღებთ მარტო სამ უმთავრეს ეროვნებას: **ქართველებს, სომხებს და რუსებს,** მივიღებთ შემდეგს:

ტფილისში იყვნენ

	1835 წ.	1865 წ.	1876 წ.	1891 წ.
რუსები	—	12.462	19.574	36.113
ქართველები	4.217	14.878	21.623	38.357
სომხები	18.820 [1]	28.488	37.308	55.553

მაშასადამე, მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენდენ:

	1835 წ.	1865 წ.	1876 წ.	1891 წ.
რუსები	—	18.30%	21.85%	24,73%
ქართველები	16,67%	21,85%	24,14%	26,32%
სომხები	74,41%	41,85%	41,64%	38,12%

აქედან ვხედავთ, რომ ტფილისის ზრდაში ყველაზე დიდი მონაწილეობა ქართველ ხალხს მიუღია: ტფილისში 1835 წელს 4217 ქართველი იყო, 1891 წელს კი—38.357, ე. ი. 56 წლის განმავლობაში ქართველების რიცხვს მოუმატია 809,58%, მაშინ, როდესაც ამავე ხნის განმავლობაში სომხების მატება უდრის მხოლოდ 195,18% ე. ი. ქართველებზე 614,40% ნაკლები. ამასთანავე ქართველების პროცენტული მონაწილეობაც ტფილისში თანდათან მატულობს: 1835 წელს ქართველები შეადგენდენ მცხოვრებთა საერთო რიცხვის 16,67%-ს, 1891 წელს კი—26,32%-ს მაშინ, როდესაც სომხები 74,41%-დან (1835 წელ) ჩამოხტენ 38,12%-დე (1891 წელს), ე. ი. ქართველების პროცენტული მონაწილეობა ტფილისში გადიდდა შედარებით 9,65% მაშინ, როდესაც სომხებმა შედარებით დანარჩენ ელემენტებთან იკლეს 36,29%-ით. თუ ასე მოხდა ტფილისში, სადაც ქართველების გამრავლები თავიდანვე ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული, რადგანაც უცხო ელემენტები მას ყველაზე უფრო ეტანებოდა, და დღესაც ეტანება, ადვილი წარმოსადგენია, რომ საქართველოს დანარჩენი ქალაქების ზოდაში თითქმის მხოლოდ ქართველობა ღებულობდა და ღებულობს მონაწილეობას. მაშასადამე, რამდენადაც წინა საუკუნეებში ქართველობა გაურბოდა ქალაქებს, ვაჭრობა-აღებ-მიცემობას და მრეწველობას, იმდენად მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იგი სულ უფრო და უფრო დაეწაფა ქალაქის ცხოვრებას, იწყო გზის გაკაფვა თანამედროვე სააღებ-მიმცემო და სამრეწველო სარბიელზე, შეაღო თანამედროვე განათლების კარი, და იქ საპატიო ადგილი დაიჭირა ამიერ-კავკასიაში დასახელებულ ერთა შორის.

(გაგრძელება იქნება).

---

1) 1835 წლის ცნობები ამოღებული გვაქვს ევეცკის წიგნიდან. დიუბუას ცნობებით კ 1834 წელს ტფილისში 17.834 სომეხი იყო.

ა. ჭელიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები სპარსეთიდან

სპარსელი ქალი.

ქალის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი იმდენად რთულია, იმდენად დამძიმებულია და ისე ღრმად წასულა სიბნელის და უვიცობის უბსკრულში, რომ ძნელათ, თუ მან ამ ახლო წლებში თავისი პირდაპირი გამოსავალი იპოვოს. საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის რევოლიუციებმა ბევრი რამ სთქვეს სპარსელი ქალის სასარგებლოდ, მაგრამ სპარსეთში სიტყვა ჯერ საქმეზე არ გადასულა. იყო ერთი ცდა რეშტის სახანოში. ქალები ერთ დღეს გამოვიდენ ქუჩებში უჩადროთ, თავისუფლად. ბევრნი სიამოვნებით შეეგებნენ ამ მოვლენას. მთავრობასაც თითქო არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო. რამდენიმე დღემ გასტანა ასე. თეირანშიც ალიძრა ამ გვარი საკითხი. მოსალოდნელი იყო აქაც მიებაძათ რეშტის მაგალითისთვის, მაგრამ სასულიერო წოდებამ უმალ შეატრიალა ჩარხი, და ქალებიც ისევ შავი ჩადრის ქვეშ მოექცენ.

„ქალი თქვენი ყანაა, გაანოყიერეთ იგი.“—ამბობს თურმე სპარსელი საღმრთო წერილი. ქალის ჩადრში გახვევა, ამბობენ, მაჰმადის ცოლის, აიშას ბრალი ყოფილა. ლამაზი და თამამი ყოფაქცევის აიშა იჭვიანს წინასწარმეტყველს ჩადრით დაუბურავს და საერთო კანონიც დაუდგენია მშვენიერ სქესთა სავალდებულოდ. შესაძლებელია ომების და ბარბაროსთა შემოსევის დროს, როდესაც ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხი სასწორზე იდო, მართლაც აუცილებელი იყო ქალს პირბადე ჩამოეფარნა, რომ მისი სილამაზე მისი სიცოცხლის ძახედ არ გადაქცეულიყო. ეს მიზეზი მოისპო. ქალი მაინც სულშეხუთულია. მას უნდა, და ვერ მოუშორებია ეს მახრჩობელა ქსოვილი. და თუ მისი სიცოცხლით სავსე და ვნებიანი სხეული უსარგებლოდ იწვის, როგორც უდაბნოში ვინმე მწირის მიერ ანთებული და მიტოვებული სანთელი, ეს მხოლოდ იმ შავი ფანატიზმის ბრალია, რომელსაც თავისი დრო უკვე მოუჭამია· ხოლო უკანასკნელი დასაყრდნობი მაინც შეურჩენია, რომ სული მოიბრუნოს.

ჩადრი ისეთივე გამოგონებაა სასულიერო წოდების—მოლების მიერ, რო-

გორც იმამ ჰუსეინის თავის მოკვეთის გამო ქუჩის მისტერიები ე. ი. „შაჰ-უსეინ, ვაჰ-უსეინ“, თავის-ჩეხა და სხვა თვითწამებანი. ჩადრის ტარების შესახებ ერთმა სპარსელმა იოხუნჯა: „ყველა მახინჯები წინააღმდეგნი �ყველა ლამაზები მომხრენი“. სპარსელი ქალი სუფთა სახისაა, ტანწვრილი, ფერმკრთალი მაგრამ მეტად ნაზი. თხელი ცხვირი, შავი თვალები, წარბები ხშირათ ერთიანი, გაბმული. ზეგული, ტუჩები ლია, საიდგანაც გამოჰკრთის თეთრი კბილები. ლაპარაკის კილო ჩქარი, მუსიკალური, რაიც ხოგჯერ მეოცხლის ჭიკჭიკს მოგაგონებთ.

რასაკვირველია, ყველანი ასეთები არ არიან. კოპწიობა ძალიან უყვართ. ტანსაცმელი—წითელ-ყვითელი. ფერუმარულს უხვად იცხებენ, შავ თვალწარბს უფრო მეტად იშავებენ. ბევრს ნახავთ ბავშს ლია ფერის თმიანს, მაგრამ რომ წამოიზრდება მისი თმიდან სიშავე აღარ გადავა. ღრმა მოხუცებულნიც კი თმებს საოცარის სიფრთხილით და სიჯიუტით იღებავენ. ქალაქის ქალს უსათუოდ შავი ჩადრი აქვს. მხოლოდ გლეხის ქალებს და ხელზე-მოსამსახურეებს აქვთ უბრალო ჩითის ჭრელი ჩადრები. სიღარიბის გამო, შავ ჩადრზე მათ ხელი არ მიუწვდებათ. სპარსელმა ქალმა იცის, რომ შავ ჩადრში იგი კიდევ უფრო მიმზიდველია, და მოხერხებულ დროს სახის იმ ნაწილს გამოაჩენს, რომელიც მის სიამაყეს შეადგენს. თუ ქალი ლამაზია, კარჩაკეტილობა და ქუჩის თვალყური მას სავსებით ვეღარ იმორჩილებს. ის მუდამ დროს ეძებს, რომ უცხოელს თავისი სილამაზე შეგახარბოს. იმდენს იზამს, რომ ერთს მაინც შეაფრიალებს თავის ჩადრის კალთებს, და თუმცა იმ წუთშივე დაიფარება, მაგრამ შთაბეჭდილებას მაინც მოახდენს.

სიარული ჩქარი იცის. მწყობრი. ამაში აზიელობას ვერ შესწამებთ. ქუჩაში კანონი თვალ-ყურს ადევნებს დედაკაცს. ეტლში რომ ჩაჯდება, უსათუოდ უნდა გადმოხუროს. თუ რაიმე მოძრაობაა და ქუჩაში ქალი გამრავლდა, უნდა ქუჩის ერთ მხარეზე დადგნენ ან იარონ. კაცს არა აქვს ნება იმ მხარეზე გავლისა. თუ ვინმემ განგებ ან შეცდომით გადაუხვია ქალებისაკენ, მას აჟანი (პოლიციელი) უსათუოდ მოაბრუნებს. უცხოელთან ხომ სპარსელი ქალი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიცლის. კანონი სჯის ერთსაც და მეორესაც, საჯარო გაჯოხვით.

ასეთი მაგალითი წარსულ წლებში მოხდა. დიდი გვარის და დიდი შეძლების ქალი ჩააგდეს ტომარაში, თავი მოუკრეს და ჯოხებით სცემეს საჯაროთ, მოედანზე. უცხოელსაც ასეთი საქციელისთვის სამი-ექვსი თვით აპატიმრებენ, ან უკრძალავენ სპარსეთში ცხოვრებას. ფულით კი შეიძლება ერთიც და მეორეც გამოისყიდოს დამნაშავემ.

ქალი რომ გათხოვდება, მოქალაქურ უფლებას ჰკარგავს. იგი უკვე ქმრის საკუთრებაა, თუ ქმარმა მოისურვა, ეტყვის: წადი, და უნდა წავიდეს. ხოლო ქმარს ცოლის ცემის უფლება არა აქვს. თუ ცოლმა იჩივლა, ქმარს დააჯარიმებენ. მაგრამ ხშირად ქმარი ასეთ გამბედაობას არ აპატიებს და სრულიად მოიშორებს ცოლს. ამის წინააღმდეგ კანონი აღარაფერს ეუბნება,—მით უმეტეს, თუ ქმარმა გაყრილ ცოლს ფული მისცა. ამის გამო ზოგი შეძლებული ქა-

ლი ამჯობინებს უქმრობას და თავის ნებაზე ცხოვრებას. საბოლოოდ გარეთ წასვლის ნება ქალს არა აქვს, თუ ქმარი არა ჰყავს, ანუ თუ ქმარმა ნება არ დართო.

ათი-თორმეტი წლის ქალი აქ უკვე გასათხოვრად ითვლება. ხშირად ათი წლისას შვილიც ჰყოლია.

სპარსელს ნება აქვს რამდენიმე ცოლი შეირთოს, მაგრამ ამ უფლებას ბევრი გაურბის: „კარგი არ არის, ყოველ დღე ჩხუბობენო". საზოგადო ცხოვრებაში ქალი არ ერევა—თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ისიც ზედა-ფენებში, და თუ ევროპიული განათლება აქვს.

უკიდურეს გაჭირვებას ქალი ოჯახებში მოსამსახურედ გამოუყვანია. მას „ბაჯის" უწოდებენ. ასეთ ქალს მართლაც არაფერი გააჩნია თავის ჯანის გარდა. მსახურობს შედარებით იაფად, თვეში 5—10 მანეთად.

ჩადრს, თუმცა უბრალოს, ასეთი ქალი მუშაობის დროსაც არ მოიხსნის. იგი აწვალებს მას, ხელს უშლის, მაგრამ მაინც ვერ იშორებს. ცალი ხელით ჩადრი უჭირავს, მეორეთი საქმეს აკეთებს.

ამის გარდა, იმავე უკიდურეს გაჭირვებას ქალები ბამბის და ბრინჯის სამუშაოზე გამოჰყავს. მთელი დღეობით და თვეობით დგანან ტალახსა და მტვერში, საშინელს სიცხეში, სადაც აუარებელი კოლოები და ქვემძრომნი არიან. სიმშილისა და ციებისაგან დაყვითლებულნი, ასეთს მძიმე მუშაობაში იღებენ დღიურათ 1—3 გრამამდე ე. ი. 20—50 კაპ. შრომის სხვა ასპარეზზე ქალს ვერ ნახავთ. რომ უჭირდეს კიდეც, ნება არა აქვს მამაკაცებთან ერთად შრომის ველზე ჩაებას. ამის გამო ბევრი ადგება მეძაობის გზას: ის ერთი კვირის, ერთი თვის, ან მეტის ვადით წაჰყვება ვილაც ვიგინდარას. შემდეგ ორი გროშით უნდა დაბრუნდეს თავის ბინაზე და კიდევ უნდა უცადოს მეორე შემთხვევას.

ზოგიერთს შემთხვევაში ქალის საქციელი საკმაოდ კურიოზულია. ის ზოგჯერ საოცარის თავგამეტებით და სიკაპასით გამოდის ქუჩაზე მთავრობის წინააღმდეგ. მან იცის, რომ ქუჩაში მისი ჩადრი ხელშეუხებელია, და ამით სარგებლობს. მათ მასიურ გამოსვლას პოლიტიკური სარჩული არასოდეს ჰქონია, მაგრამ ასეთი გამოსვლა მაინც მეტად საყურადღებოა.

პირველათ რომ ბელგიელებს რკინის გზა გაეყვანათ თეირანიდან შაჰაბულ აზიმში, ქალებს, მოლების ჩაგონებით, ერთი ალიაქოთი აეტეხნათ,—ეს ეშმაკის მოგონილი არისო.

24 სექტემბერს, პურის ნაკლებობის გამო, ღარიბმა ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს გამოსვლებში. კივილით და ხელების ქნევით მოუხმობდნენ კაცებს—შემოგვიერთდითო.

წინად, და თითქმის ახლაც, თუ ქალი დიდ დანაშაულს ჩაიდენდა. მას ჩასვამდენ ტომარაში, რამდენიმე კატას ჩააყოლებდენ და დაუწყებდენ ჯოხებით ცემას. გამწარებული კატები დაუწყებდენ ბრჭყალებით და კბილებით ხორცის გლეჯას, სანამდე დამნაშავე სულს არ განუტევებდა.

ოჯახში ქალები საკუთარს ცხოვრებასაც მისდევენ. მართავენ წვეულებას

და ზოგჯერ უცხოელ ქალებსაც მიიწვევენ. იმღერიან, ცეკვავენ, უკრავენ. იქ ამ დროს ოჯახის პატრონი მამა-კაციც ვერ შევა.

ქალის შალვარი უკვე გამოვიდა ჩვეულებიდან. მას ალერგიულ [illegible], გარდა მოხუცებულებისა, რომელთაც ალბათ წინდების ფული [illegible] შეუძლიან, ევროპიულ წინდებს, და ფეხსაცმელს ეტანება. სპარსელი ქალი, უსათუოდ ვნებიანიცაა, რადგან სამხრეთელია.

ს. ლომნიცკის წიგნში „სპარსეთი და სპარსელები"—მოყვანილია ერთი ანეგდოტური ამბავი სპარსელი ქალის დასახასიათებლად:

ახალგაზრდა ვაჟი გადაიპარა ხილის ბაღში. ბაღის პატრონის ქალმა შენიშნა ქურდი და, გაკაპასებულმა, მუქარა დაუწყო: „წადი, შე ქურდო, თორემ ახლავე დაუძახებ მებაღეებსო". ვაჟი თავხედი გამოდგა.—თუ დაიყვირებ, ჩამოვხტები ამ ხიდან და იმდენს გაკოცებ, რომ ვერც კი დასთვალო.

ქალი კი უფრო და უფრო კაპასობდა. ვაჟი შეშინდა, გადახტა ღობეზე და გაიქცა.

— აა, დახე,—მიაძახა ქალმა,—შენ ქურდიც ყოფილხარ და მატყუარაც.

გაუთხოვრობა და უცოლობა ცოდვად ითვლება. „თუ ჭაბუკი მარტო წევს, უცოლოდ, მაშინ მიწა ზეცას შესჩივის შურის საძიებლათო".

ს. ლომნიცკის კიდევ ერთი მაგალითი მოჰყავს:

ერთი ცხენოსანი მონადირე მიუახლოვდა ხის ქვეშ მჯდარ ქალს და თამამად მიესალმა. ქალმა ჩადრი აიფარა და უპასუხა:

— თავხედი ყოფილხარ. არ იცი, რომ უცხო ქალთან დალაპარაკება არ შეიძლება?!.

— ეს შენი სილამაზის ბრალია, და რომ ეს მიმინო არ მეჭიროს ხელში, ჩამოვხტები ცხენიდან და შენთან დიდხანს ვისაუბრებდი.

ქალმა გაიცინა.

— ხამი ყოფილხარ. მოხერხებული კაცი მაგ მიმინოს უნაგირზე მიაბამდა და ჩამოხტებოდა.

მონადირე უცებ გადმოხტა, მოეხვია ქალს და კოცნა დაუწყო. ქალმა ყვირილი დააპირა, მაგრამ აღელვებული ვაჟი დაემუქრა:

— თუ ხმა ამოგიღია, მამიშენის ძვლებს ამოვიღებ საფლავიდან.

ამ საოცარი მუქარის შემდეგ ქალი გაჩუმდა.

სპარსელი ქალი ოჯახის მოყვარულია. შვილის მოვლა და საერთოდ ზრუნვა თავგამოდებით იცის. ამ ნიადაგზე კაცს დიდს ჩხუბსა და ალიაქოთს აუტეხს; ქმარზე იჭვიანობის გამო შფოთსა და უბედურებასაც მოახდენს; ზოგჯერ რომანიულს ნიადაგზე ერთი-მეორეს ქუჩაში სწვეწავენ და ჩადრსა და თმებს აგლეჯენ.

არავითარი გასართობი ოჯახის გარეშე ქალისთვის არ არსებობს. თეატრში ვერ წავა; თუ წარმოდგენა გაიმართა, რაც იშვიათია, ქალის როლს ვაჟი ასრულებს.

ქალი ქუჩაში ლოცვა-ვედრებით ღმერთს არ აწუხებს; ქუჩაში ან საქმისთვის გამოდის, ან კიდევ, უფრო იშვიათად, გასართობად, ქალთა დიდი რიცხ-

ხვი მხოლოდ მაჰარამის დროს (შაჰ-ჰუსეინ, ვაჰ-უსინ) მოეფინება ქუჩებს. ისინი ამ დროს სრულიად შეკრავენ ხოლმე ქუჩის ერთ ნაპირს. უამრავი შავი ჩადრები, სასტიკათ პირდახურულნი, ლანდებივით მოძრაობენ... პოლიცია სასტიკად ადევნებს თვალყურს. შელამდება თუ არა, უბრძანებენ, წადითო, და ისინიც რამდენიმე წუთში დასცლიან ქუჩებს.

უკვე ქუჩა შეიცვლის სახეს, თეთრდება. ეს შავათ-მოსილობა მას სიმძიმისა და მწუხარების იერს აძლევს, გავლა ძნელია, სახიფათო. ვინ დაგიჯერებს, რომ—შენ სხვა მიზნით მიდიხარ და არა ქალების ასადევნელად.

პოლიციელნი მიდიან თავიანთ სადარაჯოებზე. და ქუჩის ორივე მხარე ეთმობა გამვლელ-გამომვლელთ.

ასეა ყოველთვის დიდს უქმე დღეებში. ჩვეულებრივათ კი ქალი თვალის გასართობად საღამოობით გამოდის, შებინდებამდე, ისიც—ზოგ ქუჩაზე. ხშირათ ცენტრალურ ქუჩის შესართავებში პოლიციელს გაუთავებელი დავა აქვს ქალებთან. იგი ნებას არ აძლევთ დიდს ქუჩაზე სიარულისას. მხოლოდ, ვინც უფრო თამამია, გაუსხლტება პოლიციელის თვალსა და ხელს, და ერთს წუთს მაინც გაიელვებს ქუჩის ერთი კიდიდან მეორემდე.

ქალის დასახასიათებლად, ერთი ასეთი ანეგდოტი შეუთხზავს სპარსელ:

„კრებაზე საკმაო ხალხი იყო. კითხვა ქალებს შეებებოდა, და რადგანაც ბევრი მათგანი ცოლების წინააღმდეგ ილაშქრებდა, კრების უფროსმა მოლამ შემდეგი წინადადება მისცა:—აბა, ვინც უკმაყოფილო ბართ, ადექით და წადითო.—ყველა წავიდა. მხოლოდ ერთი დარჩა თურმე. „მადლობა ღმერთს, ერთი ქალი მაინც ყოფილა კმაყოფილიო“, წამოიძახა თურმე მოლამ.

— არა, მამაო! მიაძახა დამჯდარმა, ჩემმა ცოლმა სწორეთ დღეს მომტეხა ფეხი და ადგომა ალარ შემიძლიანო.

ასე ცალმხრივად ახასიათებს სპარსელი ქალს, და თითქო ეშინიან, თუ ქალმა ჩადრი მოიხადა, თავსაც აიშვებს და, ვინ იცის, იქნება ფეხის მოტეხა არც კი დააჯეროს თავის უსამართლო ქმარს.

მისტერიები.

ვისაც თავის თვალით არ უნახავს, იმისთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რა არის რელიგიური მისტერიები. მისტერიები ქუჩაში. წარმოდგენა იმისი, თუ რა წამება და საშინელება დატრიალებულა მიწის ზედაპირზე და რა ნაყოფი გამოულია მას.

ეს საოცარია და საშინელიც. ეს იმას ჰგავს, რომ მილიონი ხალხი უფსკრულის პირზე მიიყვანო, გადაჰყარო და ამისთვის დიდი მადლობაც მიიღო, შენი პირადი არსებობა უზრუნველჰყო სხვისი დაბრმავებით, უბედურებით.

ეს სასულიერო წოდების ახალი გამოგონებაა, ალბათ მაშინდელი, როდესაც მისი ბატონობის კრიზისი დაიწყო. ეს არის ფანატიზმის უმაღლესი მწვერვალი, რომლის იქით წასავალი გზა ალარ არის.

თეატრი ქუჩებში, უდეკორაციოდ, სინამდვილით წარმოდგენა ამისი, რაც ყოფილა და რაც არა.

ივლისის სიცხე. ხედავ და სიცივის ჟრუანტელი გივლის. ... ადამიანი?!. განა მას წამება აკლია?

თავისი ხელით ისერავს სხეულის ნაწილებს. რკინის ნატეხებს, ნალებს, შუშებს, შამფურებს, და ათას სხვა რამეს კანში იყრის და გაძაბრული დადის ქუჩებში, ნელის ნაბიჯით, ამაყად! ამისთვის მას აჯილდოებენ რამდენიმე სპარსული თუმნით.

გლოვის დღეებში და დიდ მარხვაში წარმოდგენა მრავალ მოქმედებიანია; ორმოცი დღე გრძელდება, რამდენიმე დამატებით, დაწყებამდე და დასასრულის შემდეგაც. ფინალი მისტერიისა შაჰ-ჰუსეინის სიკვდილია. ქუჩებს, ეზოებს და მაღაზიებს მორთავენ ხალიჩებით და სხვაგვარი ქსოვილებით, უმთავრესად შუა ქალაქში. ხალხს ურიგებენ შავ ხალათებს, გულამოჭრილს, რომ მკერდი შიშველი ჰქონდეს ხელით საცემად. ასეთი ხალათებით უმთავრესად ახალგაზრდები გამოდიან, ჯან-ღონით სავსენი და კარგი გულისანი. სუსტნი და მოხუცებულნი ასეთს ჯგუფში არ ერევიან. აქ არიან ბავშვებიც.

პროცესიების გამოსვლა იწყება საღამოობით. გამოაქვთ ბაირაღები, ჩირაღდნები სანთლებით, ფერადი შუშებით და ყვავილებით მორთული. ზოგი ფერადი შუქი მოძრავია, რომ მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე.

პროცესია, გულამოჭრილ ხალათიანებისა შესდგება რამდენიმე ასი კაცისაგან. საშინელის გამეტებით იცემენ გულში ხელს. ის ადგილი, სადაც ხელს იცემენ, სისხლად არის ქცეული.

მიდიან ნელის ნაბიჯით. ერთი წინ მიუძღვით. ყოველ ორ-სამ ნაბიჯის შემდეგ შემოტრიალდება და დაიცემს გულში ხელს. ამასვე იმეორებს მთელი პროცესია. გაისმის გრიალი და შეძახილი: „შაჰ-ჰუსეინ,—ვაჰ-ჰუსეინ"—„შაჰ-ჰუსეინ"!—წამოიძახებს წინამძღოლი და საპასუხოდ გაისმის გრიალი, თითქო რაღაც დიდი რამ დაიქცა, ჩამოინგრაო. ერთი სევდიანად სიმღერით მოსთქვამს მომხდარ უბედურებას. პროცესიას წინ უძღვის სამხედრო მუსიკა. ერთი მათგანი პროცესიას წინ უსწრებს ათი-ოცი ნაბიჯით, აკივლებს ღოროტოტოს და ამცნობს ყველას პროცესიის წინსვლას. მუსიკა უკრავს ნაწყვეტებად და სევდის მომგვრელად. გამოჰყავთ საუკეთესო ცხენები მხედრებით და ტყვეებით-ესენი ჰუსეინის შვილებია. მათ კისერზე თოკი აბიათ და ცხვრებივით მიერეკებიან.

ტყვეები ეხეთქებიან მიწაზე, თავზე იყრიან ქუჩის მტვერს, მოსთქვამენ და ჰგოდებენ. მაგრამ მათ მათრახებით ამშვიდებენ, დანებს და ხმლებს ულერებენ—თავებს დაგაჭრითო. ტყვეები კვლავ წამოხტებიან და წივილ-კივილით გარბიან.

ორი ცხენი ტახტრევანში აბია. ზედ თავმოჭრილი ჰუსეინი დევს. თავი დაკარგულია. ეძებენ. ჯერ ვერ უპოვნიათ. ჰუსეინი სისხლშია მოსვრილი. ერთს იეზიდ მხედარს ჰუსეინის მოჭრილი ხელი უჭირავს. შეიარაღებულია ხმლით,

ფარით, ჯაჭვის პერანგით, მუზარადით. მოჭრილ ხელს იგი ჰაერში ათამაშებს და თავის გამარჯვებით ამაყობს.

სიცხეა. ჰაერი მტვერით არის დამძიმებული. სუნთქვა ძნელია. ტყვეებს სწყურიათ, იტანჯებიან, გული მისდით. მიუტანებენ თასით წყალს ტუჩებთან და ისევ მოაშორებენ, რომ მეტი წამება იგრძნონ. თან მათრახსაც დაუშენენ, რომ გონზე მოვიდენ. გამწარებული ტყვე წამოხტება და მირბის. ერთი ტყვე დაჭრილია. ფეხით სიარული არ შეუძლიან. ცხენზე ზის, დასისხლიანებულია. თავზე ბზე და მტვერი აყრია. ფერმკრთალი, მწუხარე და სასომიხდილი, უნაგირზე შფოთავს. ხან ცდილობს ცხენიდან გადმოვარდეს, მაგრამ ირასაც მათრახის ცემით მოიყვანენ გონს და ისევ წელში გაიმართება.

ტყვეებს შია. მიაწვდიან პურს და ხელიდან უკანვე გამოაცლიან. ისევ მათრახი, ხმლით და დანებით დამუქრება.

მუსიკა არ სცხრება და სევდიანი კივილით უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას. უფრო მაგრად იცემენ გულში ხელებს. ღელავენ. მოწინავეს ხმა უწყდება, მას მეორე შესცვლის.

პროცესიას პროცესია მოსდევს. იგივე დროშები, სანთლები და მუსიკა. მოდიან სხვა ქუჩებიდანაც და თვითონაც იგონებენ წამების ახალ სურათებს, რომ ერთმანერთს გადააჭარბონ. თავს იყრიან მოედანზე და გუბდება დიდი ზღვა—პროცესიების. ყველას კეფა გადაპარსული აქვს. ჟანგიან ხმლებს და ხანჯლებს იხომებენ თავზე. ეს მზადებაა უკანასკნელი დღისთვის, როცა თავები უნდა დაიჩეხონ. ამათი პროცესია ცალკე მიდის. თავს ყველა არ იჩეხს და ამიტომ გაიყოფებიან პარტიებათ. ერთ ჯგუფს ხალათები უკან აქვთ ამოჭრილი. ნახევარი ზურგი უჩანთ. მათ ჯაჭვები უჭირავთ და მწყობრად ირტყამენ ხან მარცხნით, ხან მარჯვნით. ზოგს გაშაეებია ან დალურჯებია ხორცი. ზოგს სისხლიც გადმოსდის. მაინც ირტყამს გამწარებით. რომ ველარ შეიძლებს, ხელით გაჰყავთ წრიდან.

ეს მხოლოდ სამზადისია უკანასკნელი დღისთვის. ნამდვილი მოქმედება და ტრაგედიის დასასრულიც მაშინ იქნება, როდესაც თვალთმაქცობის ფარდა ჩამოეშვება და ადამიანიც მოისვენებს. უკანასკნელად გამოატარებენ ჰუსეინის თავს. იგი ბოლოს იპოვნეს; ბრჭყვიალა ლანგარზე დევს, წითლად მორთული. იგი ხელში უჭირავს წითელ ხალათიან ჯალათს. მას გრიმი აქვს გაკეთებული. მრისხანეა და ხელში დანა უჭირავს. მას უკან მოსდევენ დასაპალნებული ჯორები, აქლემები, ცხენოსნები. გამოაქვთ ვეფხვისა და ლომების გატენილი ტყავები, ცხენის ზურგზე დაკრული. აქლემებზე სხედან მემუსიკე და მენაღარენი. უკრავენ მწყობრად და გაუთავებლივ. ამას საზეიმო ელფერი ადევს. ერთს საყვირი უჭირავს და იქაურობას იკლებს.

მეორე დღეს იწყება თავის ჩეხა. მთელი ქალაქი დაკეტილია. უცხოელებს აკრძალული აქვთ გარეთ გამოსვლა. ბევრს თვითონაც ეშინიან და არ გამოდის.

ქალაქის ყოველ მხრიდან მოდის აუარებელი ხალხი. ბანები, აივნები და ფანჯრები ხალხით იჭედება. პროცესიები თოფხანეს მოედანზე იყრიან თავს.

გამოდის ჯარიც და მონაწილეობას იღებს. ხანჯლები, ხმლები, დანები ელავენ მზის სხივებზე. მზადებაა. ზოგი ვერ მოითმენს და დაიცემს თავზე იარაღს. ამას მოჰყვება მეორე, მესამე. აირევა ყველაფერი. თავპირი, გული, ტანისამოსი სისხლით იღებება. ზოგს გული მისდის. გულწასულებს მეალრეები ეარაღიანებში დადიან ჯოხიანებიც, ისინი თვალყურს ადევნებენ: ვინც აჭარბებს, იარაღის მოქნევის დროს უკნიდან ჯოხს შეუშვერენ. შუა ზაფხულია. წვიმის მოლოდინიც არ არის. მზე თანდათან ზევით იწევს და ცეცხლის სხივებით სწვავს ყოველივეს. ქუჩის მტვერი დგება ნისლივით, ხურდება და სუნთქვას აძნელებს. ზოგიერთები დაატარებენ ჯამებით წყალს. შიგ ყინული დევს. ხან ერთი დაეწაფება, ხან მეორე. ჯამს წყალს უმატებენ, მაგრამ წყალი სისხლით არის შეღებილი. ამას ყურადღებას არავინ აქცევს. ეს წმინდა წყალია. არავის აწყენს და მადლიც არის!

ამ დროს გამოდის რამდენიმე შიშველი კაცი. კანი გაუჭრიათ და ჭრილობებზე ძველი ქლიტეები, ლურსმები, შამფურები, შუბები, ჩაქუჩები, და რგოლები ჩამოუკიდნიათ. ეტყობა, უჭირთ სიარული, მაგრამ გაკერპებულები არიან და მიაბიჯებენ დინჯად. ეს უფრო აძლიერებს თვით-წამების შეგრძნობას. დიდხანს დადიან, რომ ბევრმა დაინახოს და განიმსჭვალოს სარწმუნოებრივი სულით. მთავრობა წამებულებს ასაჩუქრებს რამდენიმე თუმნით.

გათავების შემდეგ ისინი მიჰყავთ აბანოში. იქვე არის ექიმი და ჭრილობებზე სცხებს იოდს. ჰბანს, უხვევს და ისტუმრებს სახლისკენ. ასეთ მომქმედ პირებს მუდამ დღე ჰკვებავენ პურით და ხალათებსაც მუქთად აძლევენ. თავისჩეხის დროს თეთრ ხალათებსაც აძლევენ, რომ სისხლმა უფრო ღიათ გამოანათოს. საღამომდე პროცესია ნელ-ნელა იშლება. ექსტაზი ნელდება და ადამიანი თავისუფლად სუნთქავს.

ქალები მონაწილეობას არ იღებენ. ისინი სხედან ქუჩებში და სახლის ბანებზე, ბევრი მათგანი გულამომსკდარი სტირის, ქვითინებს, გულში ხელს იცემს. ასეთი ქვითინი თან სდევს პროცესიებს მთელი თვის განმავლობაში.

ინტელიგენცია, შეძლებული ვაჭრები და საშუალო კლასი მისტერიებში მონაწილეობას არ იღებენ. სარწმუნოების ფესვები იწყება ბნელი მასსის ჯურღმულებიდან და რამდენიც ზევით ამოდის, იმდენი ძალა ეკარგება. მიუხედავად ბატონობისა, ზემოურები მაინც ბებერ მუხას მოგვაგონებენ, დიდის ტანით და შტოებით, მაგრამ მუხის ძირი ჭიაღუისგან არის გამოხრული და, არც ისე გვიან, უნდა წაიქცეს უცბად ავარდნილი გრიგალისაგან, ან უნდა მოექცეს საკუთარი სიმძიმის ქვეშ.

ეიდე ყურბან.

მაჰარამის გათავების შემდეგ დგება „ეიდე ყურბანი". ეს დღე იმით არის შესანიშნავი, რომ საჯაროდ მოედანზე აქლემს დაჰკლავენ და მის ხორცს, როგორც წმინდა ნაწილს, დაიტაცებენ.

მოედანზე შეიკრიბებიან ამქართა წარმომადგენელნი, რომელნიც ხორცის

ნაწილს მიიღებენ. და თავიანთ უბნებში დაურიგებენ. აქლემს ჭიდოს ყასაბთა უსტაბაში. დაკვლას ესწრება შაჰის წარმომადგენელიც. აქლემის თავი უნდა მიართვან შაჰს. ამ დროს სასახლეში იმართება პარადი და ისეთნაირ ზარბაზნებს. თავის მიმტანს შაჰი ასაჩუქრებს. აქლემის თავს შაჰი უბრუნებს თავის მსახურთ, ხოლო ისინი ჩამოატარებენ კარის-კაცებთან და საჩუქარს მიიღებენ.

ამ დღეს დაიკვლის აგრეთვე აუარებელი ცხვარი. ვისაც კი შეძლება აქვს, ცხვარს დაჰკლავს და თავის მახლობელთ გაუნაწილებს. ამ დღეს ვინც მივა, ილოცებს, საკმაო შესაწირავს გაიღებს ის ჰაჯის სახელს მიიღებს. თვითეული ჰაჯი ამ დღეს ჰკლავს რამდენიმე ცხვარს და ურიგებს მლოცველთ. ჰაჯი ამ დღეს წელზევით შიშველია, მხოლოდ წინსაფარის ამარა. რამდენი ცოდვაც ჩაუდენია, იმდენი ცხვარი უნდა დაჰკლას, რომ გაიწმინდოს. ვინც ამ დღეს დაიბადება, სახელად ჰაჯის უწოდებენ.

1923 წელს, აქლემის დაკვლის დღეს, ჩვეულებრივად მოედნები, ქუჩები და სახლის ბანები გაჭედილი იყო ხალხით. მოედნის შუა ადგილას მოიყვანეს აქლემი, მორთული წითელ-ყვითელი ნაჭრებით. ქოჩორი შეღებილი ჰქონდა, შეკაზმული იყო ძვირფასი კურტნით, ძვირფასი ხალიჩა ჰფარავდა იმის სხეულს. მისი სადავე რამდენიმე კაცს ეჭირა და მოწიწებით შესჩერებოდნენ ცხოველის უაზრო თვალებს. აქლემი მშვიდად იყო. უშველებელი ტვირთის ზიდვას მიჩვეულმა და ზოგჯერ მოსვენებასაც, ახლაც დაწოლა მოინდომა, მაგრამ არ დაანებეს. იყო ლოდინი. რაღაც ნიშანს ელოდენ. შემდეგ აქლემს მორთულობა მოხსნეს და მის თვალწინ გაიელვა დანამ. აქლემი უკვე დასცეს და ფეხებზე თოკებიც შემოახვიეს, რომ საბოლოოთ დაემორჩილებინათ, მაგრამ ცხოველი არც ისეთი უგუნური გამოდგა, როგორც მას თვალებში ეტყობოდა. მან იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, რასაც, ვინ იცის, იქნება დღემდე ბევრჯერ გაუვლია იმის თვალების წინ. მან გაიბრძოლა უკანასკნელად, გაუჭირვებლად მიოეკ-მოოეკა დამკვლელნი და ადგა, თითქო ერთი ორათაც გაიზარდა. ნახევარის სხეულით და თავ-კისრით აშორდა მის გარშემო მოფუსფუსე ხალხს. იმის შაეს თვალებიდან გამოჰკრთოდა ელვის და სიგიჟის ცეცხლი. მან დააპირა გაქცევა. მიუხედავათ იმისა, რომ რამდენიმე კაცი ეპოტინებოდა, იგი მიარღვევდა ხალხის მჭიდრო ტალღას, ზოგი ჯოხებით, ზოგიც ხელით ემუქრებოდნენ გონება დაკარგულ ცხოველს, სცემდნენ თავში, ტანზე, სადაც შობვდებოდათ, რომ შეეჩერებინათ. მაგრამ ამაოთ, იგი გაშორდა ამ ცოდვის მოედანს და თითქო სამშვიდობოს გავიდა. თავისუფლად დაეშვა ფართე ქუჩისკენ, რომელსაც მიჰყავდა იგი თვით შაჰის ეზოში და მიეფარა თვალიდან. მოედნის ხალხი სახტად დარჩა. იყო შიგა და შიგ სიცილი და მწუხარებაც. „უშველა თავს,—გაიძახოდა ზოგიერთი,—ყოჩაღ ცხოველო! აი, ღონეც ასეთი უნდა. ადამიანს რა შეუძლიან!“ ხალხი მაინც არ იშლებოდა. კიდევ რაღაცას ელოდებოდა. და რამდენიმე წუთის შემდეგ ამოატარეს ურემზე დაგდებული, თავმოჭრილი იგივე აქლემი, ნახევრად გატყავებული. მას აღარ ჰქონდა ცალი ბარკალი. ცალი ფეხი კი უშველებლად აეფშიკა ჰაერში გამხმარი ძელივით. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა.

რამაზანი.

რამაზანი მარხვის თვეა. მთვარის პირველი დღიდან უკანასკნელამდე სპარსელი მარხულობს დილიდან საღამომდე. რამაზანი შეა ზაფხულშია, საშინელი სიცხეების დროს.

მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე სველს არას მიიკარებს, და თუ შეიძლება, ნერწყვიც კი არ უნდა გადაყლაპოს. არ შეიძლება თამბაქოს და სხვა მათროობელ ნივთიერებათა მოხმარება; არ შეიძლება ბანაობა, წამლის მიღება ქალთან შეუღლება და სხვა,—წმინდა შრომის გარდა.

ეს ცოდვის მოსანანიებელი დღეა და არაფრით განსხვავდება ქრისტიანულ დიდმარხვის წესებისგან.

ამ დროს ქალაქი მთელ ღამეს განათებულია. ჩაიხანები და რესტორანები გაღებულია. იწყება ღამის ცხოვრება გათენებამდე. ქუჩებში მიმოსვლა შეუწყვეტლივ სწარმოებს. როცა გათენდება, სიარულიც შეწყდება. სპარსელი მთქნარებით მიეჩქარება ბინისკენ, რადგან მზის ამოსვლამდე უნდა მივიდეს და დაიძინოს. დიდ ქალაქებში, მაგალითად თეირანში, მარხვის დასაწყისს და დასასრულს ზარბაზანი აცნობებს. სპარსელი იმ წამსვე წამოხტება სკამიდან, რაც დარჩა თეფშზე, იმას ხელს აღარ ახლებს. დასაწყისში მას ყველაფერი გამზადებული აქვს, წინ უდგას და დამჯდარი შესცქერის. გავარდება ზარბაზანი და ისიც გაიწვდის ხელს პურისა და კერძისკენ.

სასულიერო წოდება.

სპარსეთის ცხოვრების სადავე სასულიერო წოდების ხელშია: ის ლოცავს და სწყევლის ყველას—მტერსაც და მოყვარესაც, დასცემს ან გაამაგრებს აბა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეს და ქუჩასაც ადვილად იმორჩილებს: ის გასცემს ბრძანებას, და მთელი ქალაქი დაიკეტება. ასეთს „გმირობას“ ჩაიდენს თვეში ერთხელ მაინც. შედეგი ამისი უთუოდ გამარჯვებაა. აუარებელ ხალხს გამოიყვანს ქუჩებში, შეჰყრის ქალაქის მოედნებზე და გააბამს სიტყვათა ჭიანურს. არავინ იცის, რას ამბობს, მაგრამ რაც უნდა, იმას მაინც აკეთებს.

სასაბართლოები და სკოლებიც იმათი გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი. მოლების რიცხვი აუარებელია. მათ შეხვდები ყოველ ქუჩაზე, ყოველ დაწესებულებაში, წყვილობით, თეთრი ჩალმებით, გრძელი კაბით და მოსახურავით. მოლას ვერ ნახავთ, რომ სხვებივით ქუჩაში ან სადმე მინდორში ლოცულობდეს. ის უსათუოდ საქმისთვის მირბის და რალაცას აკეთებს თავის სასარგებლოდ.

თუ რამე პირობის დაწერა, ან დამტკიცებაა საჭირო, მათ უმაღლეს წარმომადგენელს -მუშტეიდს უნდა მიმართო. მან უნდა დაამტკიცოს, დაჭრას ბეჭედი და ამის შემდეგ შედის ძალაში ყოველი პირობა. სკოლებში მასწავლებლის ადგილებიც ბევრგან მათ უჭირავთ.

პოლიტიკურათ სასულიერო წოდება დაყრდნობილია სასტიკ ფანატიზმზე და წვრილ ვაჭართა მასსაზე. როცა უნდა, გამოჰყრის გარეთ ამ დუქნის ჭიანჭველებს და არბენინებს, ალაპარაკებს და აყვირებს ქუჩებში.

წელს გარდაიცვალა ერთი გავლენიანი მუშტეიდი. გასვენების დროს მთელი ქალაქი დაიკეტა. ქუჩებში ტევა აღარ იყო და მიცვალებულთან ახლოს მისვლაც—შეუძლებელი. მას წინ მიუძღოდნენ ყვირილით და ჯერში ხელის ცემით რამდენიმე დასტა, ისევ, როგორც მაჰარამის დროს იქნებ. ერთ დასტას მიჰქონდა მიცვალებულის გვამი, მაგრამ ასეთი პატივი შეშურდა მეორე დასტას. ის ძალით შეიჭრა ხალხში, უნდოდა ჩხუბით წაერთმია და ეზიდა კარგა ხანს, რაც მას დიდ მადლად ჩაეთვლებოდა. მაგრამ ასეთი პატივის დათმობაც ძნელი იყო. მოხდა შეტაკება, პოლიციამ შეარიგა, როგორც იქნა, უკმაყოფილონი და განაგრძეს გზა დიდის ღელვით.

მოლლები სავაჭრო საქმეებშიც ერევიან. დალალობენ. აქვთ სოფლები, საკუთარი სახლები და სხვა ქონება. მაგრამ მათი პრესტიჟი აქაც შერყეულია. ბევრისგან გაიგონებთ—„თორემ მოლაა, მაგისი არაფერი დაიჯერებაო"!.. როგორც ჩვენშიც იყო,—ისინი თავიანთ შვილებს ნოლლებათ ზრდიან. ხშირად შეხვდებით პატარა ბავშს: თეთრის ჩალმით, რომელსაც თავი დიდათ მოაქვს.

ზარშან ფანატიზმის ნიადაგზე დიდი უბედურება დატრიალდა. ნოხდა „სასწაული"—ვითომც ბრმას თვალები აეხილა. ეს ამბავი მთელს ქალაქს მოედო. ქალაქის ერთს ქუჩაზე, სადაც ეს სასწაული" მოხდა, წმ. ჰუსეინის სახატეა. მუდამ სანთელი უნთია. დაიწყო ხალხმა დენა. ზოგმა რწმენით, ზოგმა ცნობის მოყვარეობით. თუ სადმე ბრმა იყო ან თვალმტკივანი, ყველამ იქ მოიყარა თავი.

საზოგადოთ თეირანში თვალის ტკივილი ძალიან გავრცელებულია. რაც მიეწერება ჭუჭყიანი აუზებიდან პირის ბანას. ეს აუზები სავსეა ყოველგვარ მიკრობებით. ყველა სასწაულს ელოდა, ყველას უნდოდა მორჩენილიყო და წასულიყო სალხში გახარებული. მაგრამ სასწაული აღარ გამეორდა.

მიუხედავად ამისა, პირველი სასწაული მაინც ბევრსა სჯეროდა. ამ ამბავს დიდის მჭერმეტყველებით ავრცელებდნენ სასულიერო პირები. სეიდები, მდაბიო და ყველა, ვისაც სიბნელიდან გარეთ არ გამოუხედნია. იმ ქუჩაზე გავლა გაძნელდა. იქ მუდამ აუარებელი ხალხი იდგა. ერთი ამერიკული მისიის მსაბურიც წავიდა, დაინტერესებული ახალი მოვლენით, და თან წაიღო ფოტოგრაფიული აპარატი სურათის გადასაღებად. ამ დროს გამოდის ერთი ბნელი პიროვნება და უკრძალავს მას ასეთს „არა წმინდა" საქმეს. მერმე აპარატს დაუმტვრევს. უწყალოდ სცემს და სხვებსაც იხმობს მოსახმარებლათ. ამერიკელი ახალგაზრდა ღონიერი ვაჟია, მაგრამ ახლა ვერაფერი უშველის. გარბის. მას მისდევს მთელი ბრბო კივილით, ყვირილით, ჯოხებით, ქვებით და ათასი წყევლა-კრულვით იმის გამო, ვითომ მან წაბილწა წმინდა ადგილი, სადაც ბრმებს თვალები ეხილებათ. ის ბირბის მაინც, ყოჩალია და ბევრს წინ დამხვდურს ერთის გარტყმით იშორებს. შერბის ჩაიხანაში, რადგან წასავალი აღარსად აქვს, ხალხის ბრბო ველარ გაარღვია. იქ ჩაიხანაში მას ასხამენ მდუღარეს. აქედან შერბის ყაზახების სადარაჯოში. გააფთრებული და ფანატიზმით შეშლილი ყაზახი ჩასცემს მუცელში ხიშტს. შემდეგ მიჰყავთ საპოლიციო ნაწილში. იქაც მისდევს ბრბო, შედის ძალათ და უკანასკნელ სიცოცხლეს ეს-

ბობს მას, უცხოელს—ვითომც მათს შემგინებელს, მათი წმინდათა წმინდის შეურაცხმყოფელს.

ამერიკის მთავრობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად—სპარსეთის მთავრობამ გადაიხადა რამდენიმე ათი ათასი თუმანი. მოკლული ვაჟის ახალგაზრდა ქვრივი გამდიდრებული დაბრუნდა თავის სამშობლოში.

ამერიკელი დიდსულოვანია. ის აშენებს აქ საუკეთესო სასკოლო შენობას, დიდის ეზოთი და ბაღით. ის მალე მოიყვანს ალბათ ამერიკული ენის მასწავლებლებსაც.

სპარსელი მაინა, მდაბიო ხალხი, თავიდანვე სასულიერო წოდების გავლენის ქვეშაა. კლასიური შეგნება მის თავში ჯერ არ შესულა. ის ჯერ დაბნეულია, დაქუცმაცებულია ქალაქსა და სოფელში. მათ აერთებს მხოლოდ საარწმუნოება და სალოცავები. ფაბრიკა-ქარხანა მომავლის საკითხია. ჯერ დაწყებულიც არ არის.

არ არის არც ერთი მილი, რომ სახლის კედელს რუჯავდეს. სპარსელ მუშას და გლეხს არა აქვთ ერთიანი ბინა, ე. ი. მრეწველობა, არა აქვთ საკუთარი გზა, ბილიკიც, რომელიც თავს მოუყრიდა მათ ყოველ დღიურათ და შრომის ოფლს დააღვრევინებდა ერთსა და იმავე ალაგზე. ყოველი გზა, თავის სიგრძით და მოხვეულებით, სალოცავებისკენ მიუძღვით. და ისინიც მიდიან იქით, მიდიან ასობით და ათასობით, დღისით და ღამით; მიდიან ყოველთვის, საოცარის რწმენით გამსჭვალულნი და უკიდურესი ფანატიზმით სავსენი.

არა მუსულმანი მეჩეთში ვერ შევა. მეჩეთის მისავალში ჯაჭვებია გაბმული და უცხოელი ამ მიჯნას ვერარ გასცილდება. მეჩეთის ყოველი საიდუმლოება ამ ჯაჭვების იქით შესრულდება. უნდა მუსულმანის საარწმუნოება მიიღოთ, მოინათლოთ, რაც ადვილი არ არის, რომ შეხვიდეთ მეჩეთში პირდაპირი გზით. მაგრამ შეიძლება შეიპაროთ, თუ ეს „თავხედობა“ შეგიტყვეს ამ წმინდა ადგილიდან შეიძლება ცოცხალიც ვერარ გამოხვიდეთ.

დღემდე მთელი ერის ცხოვრება დაფუძნებული ყოფილა ყურანზე. იმ დროს, მის პირველ მოვლენისას, მართლაც არ ყოფილა არც ერთი არსებითი საკითხი, რომ ყურანში მისი დაფასება ან დაკანონება არ ყოფილიყოს. შემდეგ, მეცხრე საუკუნეში, იმამ, ალ-ბუხარის შემოუკვლია მთელი სამუსულმანო ქვეყნები და რამდენიმე წლების განმავლობაში შეუკრებია 600 ათასი სხვა და სხვა გვარი გადმოცემანი და ადათი ხალხის ცხოვრებიდან, თქმულებანი წინასწარმეტყველებზე და სხვა. აქედან მას მხოლოდ 7275 უცვნია ნამდვილათ და ხალხის სასარგებლოდ.

მეორეს, ასეთსავე თავგამოდებულ მომხრეს მაჰმადისას, მუსლიმს, შეუკრებია 300 ათასი, საიდანაც 12 ათასი აურჩევია საუკეთესოდ, რომელნიც შეეხებოდნენ ხალხის ჩვეულებათა მხარეებს.

ამით თითქო მათ შეუვსიათ ყურანის ნაკლი, და მას შემდეგ იგი გამხდარა ხალხის სულიერი ცხოვრების წყაროდ.

მაგრამ რა არის თავის თავად კანონი?!... კანონი დღემდე ყველგან იმისკენ გადახრილა სასწორს, ვის ხელშიც იყო თვით სასწორის მარყუჟი; ვის

ხელშიც პოლიტიკური ძალა-უფლება იყო; ვისაც სისრულეში მოჰყავდა იგი ასე ყოფილა აქაც. კანონს, როგორც გამოცდილი შენავე, [illegible] ტრიალებდნენ, საითაც მათთვის მყუდრო ადგილი იყო. თორემ [illegible] რომელიც მუდამ სუნთქავს ღრმად მოწმენდილ ცის ქვეშ, სუფთა ჰაერით, სუფთა სახის, შავი მგზნებარე თვალებით, წელწვრილი, სეედით მომღერალი თავისი წარსულის, კაცი, რომელიც ჯოხებს და რკინებს თავის სხეულში იყრის სულის განსაწმენდად, ექსტაზში შესული,—განა ეს კაცი სხვას უფრო კარგს, ვერ შეითვისებდა ისტორიის სარბიელზე?!..

მაგრამ სარწმუნოების დოგმატებით შეუბოჭიათ იგი. მას სძულს არამუსულმანი. არა, მას შეაძულეს იგი და ერთის დაძახებით შეუძლიათ ჩააქოლვინონ უცხოელნი, როგორც შარშან—ამერიკელი, როგორც უწინ—გრიბოედოვი.

შარშან, როდესაც სპარსეთის პრემიერმა მოინდომა მეჯლისია შეცვლა პარლამენტით—ჯამჰურით, და რომელიც არსებითად არას შესცვლიდა, მაგრამ რალაც ახალ ნაბიჯს კი წააგავდა, მოწინააღმდეგე მოლლამ წარმოსთქვა: „ყურანი ბევრჯელ წამიკითხავს, ახლაც წავიკითხე, მაგრამ არსად წერია „ჯამჰურის" საჭიროება"-ო.

ეს აზრი მარტო მოლლასი არ იყო, და რასაკვირველია, ჯამჰურის საკითხიც მოიხსნა ჯერჯეროობით.

სასულიერო წოდება, ცხადია, გრძნობს, რომ მისი მომავლის საფრთხე ევროპის გზით მოდის. ამიტომ ის ყველაფერს წინ ეღობება და თავის ხალხს თვალზე ხელს აფარებს—არ დაინახოვო.

პირველად ამ წელს დაიხურა ზოგიერთმა სპარსელმა, სამხედრო პირების გავლენით, „კარტუზიანი" ქუდი. ამის გამო მოლლების წაქეზებით რამდენიმე კაცს სცემეს ქუჩაში და ქუდები დაუხიეს. თავლია ნაცემნი ძლივს ცოცხალნი წავიდნენ სახლში. მაგრამ ახალი მოდის მიმდეეარი მაინც ბევრი გამოჩნდა. ყველას ცემა არ შეიძლებოდა. და მოლლებმა მიმართეს უმაღლეს მთავრობას, —დასაჯეთ, ყურანში არ სწერია ასეთი ქუდის დახურვაო. მთავრობამ თურმე უპასუხა— არც ჩემ კანონებში სწერია, თუ როგორ დავსაჯო ეგეთი დამნაშავეო. ამ გვარათ დავა შეჩერდა, მაგრამ ახალი ქუდი ბევრმა ისევ ძველით შესცვალა. არავინ არ იცის, რომ უბრალო ქუდის გულისთვის, რომელიც ხუთი-ექვსი კრონი ღირს, ქუჩაში ლაზათიანათ არ მიჰბრიგავენ, თუ უარესიც არ დამართეს.

ეს ხდება სპარსეთის დედაქალაქში, მეოცე საუკუნის დასაწყისში.

დერვიშები და სეიდები.

დერვიშები განსაკუთრებული ტიპის ხალხია. ისინი ამაყობენ თავის პროფესიით და საზოგადოებისგან პატივისცემას მოითხოვენ.

— რატომ არ მუშაობ, რატომ საქმეს არაფერს აკეთებ?—შევეკითხე ერთ თეთრწვერიან და გრძელთმიან დერვიშს.

— მე დერვიში ვარ,—მიპასუხა მან ღიმილით,—დერვიში სხვაა, ის სხვასავით არ მუშაობს. მე სხვა საქმე მაქვს.

დერვიში თავისუფალი ადამიანია. ის არ ზრუნავს ხვალისთვის. ისიც სასულიერო წოდებისაანარეკლია, იმის გზაზე მიმავალი, მაგრამ უუფლებო, პოლიტიკურ ძალის და გავლენის გარეშე მდგომი. დერვიშმა სასათუოდ უნდა იყოს ლამაზი ხმიანი, სიტყვის ოსტატი და მცოდნე წმინდანთა ცხოვრების. მისი მოქმედების ასპარეზი ქუჩაა, სადაც დიდი მოძრაობაა, მოედნები, სადაც ხალხი ბლომათ იყრის თავსთავ'მეხ ვეული, გრძელის თმებით, ჯოხით ან ერთგვარი რკინის ნაჯახით, დადის მთელი დღე და იმღერის ტკბილად. ის საბათხოვროდ ხელს არავის გაუწვდის მუნჯად, უსაბუთო ღრეჯით. თუ ცოტას აჩუქებ, არ დაიწუნებს. მდაბლათ თავს დაგიკრავს და გაგშორდებათ.

დერვიშები საკმაოდ ბევრნი არიან. ხშირად ქუჩის ერთ მხარეზე ერთი მოსძახის, მეორეზე—მეორე. ისინი ერთი-მეორეს არაფერს უშლიან. ერთი მეორესთან დავა არ იციან. პირიქით, მეგობრობენ და ერთად მიირთმევენ ტკბილეულს, რაც ყველა მათგანს აქვს ჯიბეში.

ბევრი მათგანი მართლაც სასიამოვნოდ მღერის. გაუდგება ქუჩას და ისეთის სევდით, აღტაცებით, ისეთის წმინდის გულით ამბობს ყოველ სიტყვას, რომ ამ ცივსა და ანგარიშიან ქუჩას, სადაც თითქო ყველას გასცივებიათ გული და მარტო თავის თავზე, თავის სმა-ჭამასა და ერთი-მეორის მოტყუებაზე ფიქრობენ,—უბრალო დერვიში, ძველი, დახეული ტანისამოსით ყველას სიცოცხლეს აძლევს, სულს უდგამს.

ღამის მყუდროებაში, როდესაც ქალაქი ძილის პირზეა, მხოლოდ დერვიში არღვევს სიჩუმეს. ნელის ნაბიჯით მიდის. ყოველ ათიოდე ნაბიჯზე შედგება, მერმე ისე გაივლის მთელს ქუჩას, რომ შეიძლება გამვლელისკენ ერთიც არ მიიხედოს.

დერვიშებიც სხვა და სხვა დოგმატიურ მიმართულებას ეკუთვნიან. ყველა თავისი განსაკუთრებული ლირსებით ამაყობს, თავის ენამჭევრობით ან სილამაზით იკვეხის, მათ ქუჩაში არავინ ედავება. ისინი ნოედნებზე შეჰყრიან ხალხს, გააკეთებენ წრეს და ეკამათებიან ერთი-მეორეს ამა-თუ-იმ წმინდანთა უპირატესობაზე. მათი დავა დიდხანს გრძელდება, მაგრამ ყოველთვის მშვიდობიანათ თავდება.

დერვიშები ლარიბნი არიან. ყველა მათგანს აქვს პატარა ჩანთა, შიგ უწყვია ტკბილეული, ჩაი, შაქარი და პურის ნატეხებიც. მათ უმთავრესად შეხვდებით ქალაქის ულარიბეს ნაწილებში, პატარა ჩაიხანებში, განაპირა უბნებში. ზაფხულში ქალაქის გარეთაც მიბრძანდებიან, საგარაკო ადგილებისკენ. აქ ისინი აირჩევენ ისეთ ალაგს, სადაც ხშირი ხეების ჩრდილებია და წყალიც მოდის. დაბინავდება, ცეცხლს გააჩაღებს, პატარა თუნუქის ჩაიდანში წყალს აადუღებს და დიდის ნებივრობით მიირთმევს. თუ მიაჩერდი, შემოგთავაზებს კიდეც. დაღამდება და იქვე დაიძინებს, ან უკეთეს ადგილზე წავა, რადგან მან ყოველი კუთხე კარგად იცის.

ასეთ ხეტიალში მართლაც არის რაღაც მიმზიდველი. ის თითქო ცხოვრების გარეშე დგას, სამაგიეროთ თავის თავის პატრონია. ალბათ ამით იზიდავს დერვიშობა ბევრს, მაგრამ, ამ სურვილთან თუ დერვიში დაჯილდოებული

არ არის ზემოთ აღნიშნული თვისებებით, მიზანს ვერ მიაღწევს, ან მატყუარობა გამოუვა—ცრუ დერვიშობა.

არათუ სპარსელი, დერვიშობაზე ოცნებობს ა. განნიბალიც, აღმოსავლეთის ენების მცოდნე, დიდი მგოსნის ა. პუშკინის შთამომავალი, ძველის გვარტომობით, რომელიც ამ ჟამად სპარსეთშია და მთელის არსებით უყვარს სპარსეთი.

ცხადია, დერვიშობა წარსულით განიზომება. მას მომავალი აღარ აქვს. ის ყოფილა ერთ დროს რაღაც სიახლის მომტანი თავისი ორიგინალობით. მეცამეტე საუკუნის მგოსანი ჯელალედდინი ამბობს:

"დერვიში, რომელიც გველაპარაკება ცის საიდუმლოებაზე, დაუსრულებელის ნეტარებით გვასაჩუქრებს. ხოლო დერვიში არ არის, ვინც მოითხოვს ჩვენგან მარტო პურს"!

ალბათ მაშინაც იყო და დღესაც ბევრია ანგარებით ფეხის ამყოლი. ეს ის ხალხია, ზნეობით მახინჯი, რომელიც ყველგან არის და ყველაფერს ამახინჯებს.

აქ უცხოელი ისე არ მოვა, რომ დერვიშის სურათი არ შეიძინოს. მხატვრები ხატავენ სხვა და სხვა პოზებით, ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად.

არც თვითონ დერვიში გაურბის სხვებივით უცხოელს. ის სიამოვნებით თანხმდება ქუჩაში, ხალხის თვალ წინ, სურათის გადაღებას, და ყოველთვის საჩუქარს მოელის.

არიან თავხედებიც. მაჰარამის დროს ზოგი მათგანი ამოიჩემებს რომელიმე მდიდარს და მის შესავალ კარებთან გაშლის კარავს. გააჩაღებს, რაც კი საჭიროა მისთვის, და თითქო სამუდამოთ სახლდება, მაგრამ, როდესაც საჩუქარს მიიღებს, მაშინვე სხვაგან გადასახლდება. ზოგი მათგანი თვალთმაქცობასაც ეწევა. შეჰყრის ხალხს და მთელი საათობით რაღაც აბდა-უბდას ლაქლაქებს, შემდეგ კი ქუდით ჩამოივლის, ფულს მოაგროვებს და გაქრება.

გამხდარს და გაყვითლებულს სახეზე ეტყობათ, რომ ყოველი მათგანი თრიაქს და ჰაშიშს ეწევა. თუ ერთი ლაზათიანად მოსწია, ყველაფერი დაავიწყდება: ჭამა, სმა და სიცივეც. გაბრუებული დერვიში დარეტიანებული დადის, ან დაეგდება სადმე და, მთელი ქვეყანა რომ დაიქცეს, სამოთხისა და ანგელოზების მეტი არაფერი ეჩვენება, ან კიდევ ისეთი რამეები ელანდება, რაც თავის დღეში არც უნახავს და არც განუცდია.

ამ გვარად, როგორც მწირი ქრისტიანი, დერვიშიც თავის ბედთან შერიგებულია. მან უნდა ყველაფერი განიცადოს და სადაც მოკვდება, „სამოთხესაც" იქ იხილავს.

მეოჯახეობას დერვიშებიც მისდევენ—თუ, რა თქმა უნდა, შენახვის უნარი აქვთ.

სეიდებიც სასულიერო წოდებას ეკუთვნიან. მაგრამ ამ დარგში ისინი არაფერს აკეთებენ. სეიდი ყველაფერია, ხოლო სასულიერო მას არაფერი არა აქვს.

მას თავი მოაქვს, რომ იგი მაჰმადის მონათესავე ჩამომაელობისაა. ესენი

მხოლოდ ანგარიშის ხალხია. ლურჯი ჩალმით თავწაკრული, წვერ-მოპარსული, ზოგი სუფთად ჩაცმულია და ჩასუქებული,—აი სეიდი.

სეიდი არაფერს თაკილობს. როგორც ერის კაცი, ყველგან, შრომას ეწევა. უფრო კი ქალაქებში არიან, ვაჭრობენ, დალალობენ, იჯარით იღებენ.

თუ დასჭირდათ, ტყუილის თქმასაც არ თაკილობენ. ხშირათ გაიგონებთ: „ეგ სეიდია, ამიტომ არაფერი დაეჯერებაო“. რასაკვირველია, ტყუილის ლაპარაკი მარტო მათ „ღირსებას“ არ შეადგენს. ცხოვრების ორომტრიალში მათზე უფრო „პატიოსნებაც“ კადრულობენ ტყუილის ლაპარაკს, ამიტომ ეს მსოფლიო ცოდვაა და მარტო სეიდს არ დაეკისრება.

თუმცა მოგზაური შარდენი თავის წიგნში მეტისმეტად ცრუ და მატყუარა ხალხად ახასიათებს სპარსელებს, მაგრამ როცა ევროპაში დაბრუნდა, ალბათ იქაც დახვდებოდენ ტყუილის მოლაპარაკენი.

საერთოდ სეიდები პრივილეგიურ მდგომარეობას დაუწინაურებია ცხოვრებაში. თითქმის ყველანი წერაკითხვის მცოდნენი არიან და ბევრს კარგი საპატიო ალაგიც უჭირავს. სეიდს თუ შეხვდებით ქუჩაში, უსათუოდ საქმისთვის მიდის. უბრალო გასართობებში და ჩაიხანებში იშვიათად ნახავთ.

სეიდი მისდევს მეოჯახეობას და თავის პატარა ვაჟს ფეხის ადგმისთანავე თავს შეუხვევს ჩალმით, რომ შეინახოს წოდებრივი ჩამომავლობა. სეიდობაც, როგორც სხვაც, გარდამავალ ხანაშია. სეიდებიც ისეთივე ფანატიზმით არიან გაჟღენთილი, როგორც ყველა მდაბიო სპარსელი. ლოცვა, მარხვის შენახვა, სალოცავებში მიმოსვლა—ერთი სიტყვით არაფერს არ აკლდებიან. მიმართულება წმინდა კონსერვატორული აქვთ,—ძველი, დახავსებული.

ვაჭრობა და ვაჭრები.

ვაჭრობის მთელი ძალა სპარსელის ხელშია. მას დაუპყრია ბაზარი და ვერც ვერავინ წაართმევს. უცხოელებს ერთი-ორი მაღაზია აქვთ, ისიც სუსტი და ულონო. თვით სომხებიც კი, რომელთაც ვაჭრობის დიდი უნარი აქვთ, ვერას გამხდარან აქ, მიუხედავათ თავიანთი სიმრავლისა. ისინი მისდევენ უმთავრესად ფეხზე ვაჭრობას. ბევრნი შესულან სახელმწიფო სამსახურში და ჩინორდენებიც დაუმსახურებიათ. სომხები თავიდანვე შეზრდილან სპარსულ ენას და ტანისამოსს.

ვაჭარი ყოვლად თავისუფალია თავის მოქმედებაში. მთავრობა არაფრით ხლუდავს როცა უნდა—გააღებს, როცა უნდა—დაჰკეტავს, როგორც უნდა—გაჰყიდის.

სავაჭრო ბაზარი ყოველთვის ღიაა. სპარსელი პარასკეობით კეტავს მაღაზიას და ერთობა ოჯახში ან ქალაქის გარეთ. შაბათობით ურიები კეტავენ და კვირაობით ქრისტიანები. ამრიგად, კვირაში ეს სამი დღე თავისუფალია, ვისაც როდის უნდა მაშინ იუქმებს.

ფართალი უმთავრესად უცხოეთიდან შემოაქვთ. არის ადგილობრივი ნაწარმოებიც, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობის და ნაკლები ღირსების.

ვაჭრები მთავრობის პოლიტიკაშიც ერევიან, აქვთ ზოგჯერ გავლენა და მეჯლისშიც ჰყავთ დამცველები.

შარშან პრემიერს რეზახანს წვეულება გაუმართეს. ქუჩა-ბოლოსაკენ ჭრელ-ჭრელი ხალიჩებით და სხვა-და-სხვა ძვირფასი ქსოვილებით. მისავალი ადგილი გაანათეს აუარებელი ფერადი ლამფებით. მუსიკა უკრავდა სპარსულ და ევროპიულ ჰიმნებს განუწყვეტლივ. ზეიმი მთელი ღამე არ შეწყვეტილა. გათავების შემდეგ მიართვეს ძვირფასი საჩუქრები და კარგა ბლომათ ნაღდი ფულიც. პრემიერმა, როგორც მეომარმა რაინდმა, ამ ფულით დაიქირავა, ქალაქის გარეთ, დიდი სახლი და გასცა ბრძანება—რაც ქალაქში მაწანწალა მათხოვრებია გაერეკათ და იქ დაესახლებიათ, რომ ქუჩა განთავისუფლდეს მათის ღრეჯისა და უსიამოვნო ძონძებისგანაო. ასეთი გლახები მართლაც ბევრი იყო, ვერ გაივლიდი თავისუფლად ვერც ერთ ქუჩას, რომ რამდენიმე არ გადაგლობებოდა წინ, და არც მოგეშვება, თუ არაფერი უწილადე.

რამდენიმე დღეში გასწმინდეს ქუჩები. თუ კიდევ გაჩნდებოდა დარჩენილი გლახა, პოლიციელი გამოეკიდებოდა და თავშესაფარში წააბძანებდა. ამ რიგათ მოისვენა ქუჩაში გამვლელმა. ეს პატარა საქმე როდი იყო, თუ კი მას დიდი დღე ექნებოდა.

მაგრამ გლახა ყოველთვის გლახა ყოფილა თავის ინგარიშებში. ქუჩაში თავისუფლად ხეტიალი, იალაღების სუფთა ჰაერი და ჩაიხანების ხმაური მისთვის ხელახლა სანატრელი გახდა. ქალაქის გარეთ ერთს ადგილზე ქათამიეთ დამწყვდევა არაფრად ეჭაშნიკა, და გლახა ისევ მოევლინა ქუჩებს. თავშესაფარი დაცალიერდა. მაგრამ, საჭირო იყო კანონის, კანონიერი დარღვევა, რომ დამნაშავე სასჯელს ასცდენოდა. აი, ყველა მათგანმა დაიჭირა ხელში თითოოროლა ასანთი გასაყიდად. ფასი იგივე იყო, რასაკვირველია, რაც დიდს საკაჭროებში. ამ გვარად ყველა მთხოვარა „ვაჭრად" გადაიქცა. კანონი დაირღვა. მაგრამ მისი მთავარი პრინციპი მაინც დაცული იყო.

გავიდა დრო. ახალი „ვაჭრების" შემოსავალ გასავალმა აჯობა. ასანთის ღირებულება გაიცვალა აუცილებელ მოთხოვნილების საგანზე, ე. ი. ლუკმა პურზე და დაცლილი ხელები დარჩნენ ისევ სამოწყალოდ გაწვდილნი. კანონი ითმენს, და ალბათ ელის ახალი წვეულების გამართვას.

შედეგი პირველი წვეულებისა მაინც საპატიო იყო. იგი რამდენიმეთ დღესაც სცოცხლობს. დიდი კაცის მიწვევა და საჩუქრის მირთმევა ნაღდ-ფულად, სპარსეთში ძველი ჩვეულებაა დიდი პირები, და თვით შაჰიც, წელიწადში ერთხელ მაინც შემოივლიდნენ თურმე თავიანთ საბრძანებელს ამ „საჩუქრის" მოგროვების მიზნით. რასაკვირველია, ჯერ ქალაქებს ეწვევოდნენ და იქაურ უდიდეს თანამდებობის პირებს. მასპინძელმა გამოცდილებით იცის, თუ როგორ უნდა დაუხვდეს სტუმარს. იცის სტუმრის მთავარი მიზანიც. დატრიალდება ჯარასავით, აამოძრავებს ჩარხის ყველა ნაწილებს და ხელდახელ, რასაც შეიძლებს, შეჰკრებს, ყოველ შემთხვევაში იმდენს მაინც, რომ სტუმრის საკადრისი იყოს. სტუმარს სადილ ვახშამიც უნდა გაუმართონ, მაგრამ ფული კი წინდაწინ უნდა მიართვან. სტუმარი მიითვლის საჩუქარს, და თუ ამის შემდეგ პურმარილი არ

მიიღო, ეს იმას ნიშნავს რომ „საჩუქარი“ იკოტავა. მასპინძელი იკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს. აგროვებს კიდევ სადაც რა შეიძლება და აუსებს დანაკლისს. ამის შემდეგ პურმარილის მიღება ძნელი აღარ არის. იმართება მხიარული სუფრა, ლხენა, ტკბილი მასლაათი და მასპინძელიც ბედნიერია. წვეულების გათავების შემდეგ დიდი პიროვნება თავის მხრივ გულუხვ მასპინძელს აძლევს რაიმე ნიშანს, ან ოქროს ფულს, ხუთ-ათ მანეთს, „სამახსოვროდ“. და ამის შემდეგ განაგრძობს გზას სხვა ქალაქებისკენ.. არ ივიწყებენ აგრეთვე სოფელსაც, თუ იქ შეძლებული ხანი ეგულებათ. ასეთი მოგზაურობა გრძელდება თვეობით და, თუნდ წელიწადიც იყოს, მოგზაური არას დაჰკარგავს. პირიქით, მუდამ გამარჯვებული ბრუნდება სახლისაკენ და იცის, რომ მომავალიც ისევე „დაასაჩუქრებს“ მას.

ჩაცმულობით ვაჭარი არ განირჩევა სხვა მაღალ წოდების პირთაგან: იგივე შავი ქუდი, მოსახურავი, სარდარი, ან და ევროპიული კოსტიუმი, ხოლო ქუდი უსათუოდ სპარსული.

ვაჭრების ხელში გადადის კარგი სახლები, ბაღები, საგარაკო ადგილები და ყოველივე რასაც კი რაიმე ღირებულება აქვს. ვაჭარი ყიდულობს და ამშვენიერებს ყველაფერს, რასაც სიძველის და ნგრევის ელფერი ადევს.

ომის და რევოლიუციის გავლენით სპარსეთის ვაჭრები დიდ კრიზისს განიცდიდენ. ინგლისის ბანკი მათ დიდის სიძუნწით და მოკლე ვადით აძლევდა კრედიტს. მაგრამ გაჩნდა თუ არა საბჭოთა რუსეთის ბანკი, მაშინვე დიდის ხალისით შემოდგეს ფეხი და ბევრი მათგანი საკმაო ნდობით სარგებობს. თითქმის არ არის მაგალითი, რომ სპარსელ ვაჭარს ვალი არ გადაეხადოს.

ახლა სპარსელი ვაჭრები ესწრებიან რუსეთის ყოველ ბაზრობას (იარმარკებს). მიაქვთ და შემოაქვთ აუარებელი საქონელი. დაარსეს ამხანაგობანი სპეციალურად საბჭოთა რუსეთთან სავაჭროდ. მათ კარგათ იციან, რომ რუსეთი უახლოესი და უდიდესი ბაზარია საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის. რუსეთი აძლევს მათ საუკეთესო ღირსების საქონელს: ნავთს, შაქარს, ჩითეულობას და სხვას—შედარებით იაფად. რუსეთთან დაკავშირების შემდეგ ამ ორი წლის განმავლობაში 35%-ით დაიწია საქონლის ფასმა და სპარსეთის ულარიბეს მცხოვრებსაც შეძლება მიეცა მისი შეძენის, რაც მეტად ადიდებს კაპიტალის ბრუნვას. სპარსეთი დღეს ეკონომიურად გამოცოცხლდა და ელის უკეთეს მომავალს.

სპარსეთს და საბჭოთა რუსეთს გეოგრაფიულად აერთებთ კასპიის ზღვა და ამიერ-კავკასია. თაერიზის რკინის გზა, რომელიც საბჭოთა რუსეთმა დაუთმო სპარსეთს, ყოველ დღიურად ავსებს სპარსეთის ბაზარს ნაირ-ნაირი საქონლით და სანოვაგით. ტფილისს და სპარსეთს აერთებს უშუალო ტელეგრაფი და რადიო-სადგურები.

სპარსეთი მხოლოდ ამ ბოლო წლებში დაადგა სახელმწიფოებრივ გადასახადთა წესს. მანამდე იგი დამყარებული იყო უმთავრესად მოხელეთა თვითნებობაზე. წესრიგდება და იზრდება სახელმწიფოს ბიუჯეტი. „Торгов. бюлле-

ეროვნული ბიბლიოთეკა

тепь“ № 1, რომელიც იბეჭდება საბჭოთა რესპუბლიკების ინიციატივით, შემდეგ ცნობებს იძლევა:

სახ. ბიუჯეტი უდრიდა:

1923—4 წლებში . . . . 231,118,597 კრანს
1924—5 წლებში . . . 237,499,048 კრანს
1925—6 წლებში . . . 245,591,070 კრანს*)

სახელმწიფოს უმთავრეს შემოსავალს შედარებით შეადგენს საბაჟო, რომელიც უდრის წელიწადში. . . . . 91,000,000 კრანს
პირდაპირი გადასახადი . . . . . 34,800,000 „
ნავთი . . . . . 25,000,000 „
შაქარი და ჩაი . . . . . 25,000,000 „
ხორბალი . . . . . 17,202 000 „
ოპიუმი. . . . . 15,000,000 „
თამბაქო . . . . . 11.000,000 „
არაპირდაპირი გადასახ.. . . . . 12,500,000 „

მაგრამ ეს ბიუჯეტი, რომელიც განზრახულია 1925—6 წლებისთვის, როგორც ამბობენ, ვერ დაფარავს წლიურ ხარჯებს და საჭირო შეიქნება ახალი წყაროს გამონახვა.

გადასახადთა მოსაწესრიგებლად მთავრობას მოწვეული ჰყავს ამერიკელი ფინანსისტი.

მომავალ წლებისთვის გადასახადთა გადიდება განზრახულია შაქარსა და ჩაიზე 45 მილიონ კრანამდე. ასევე უნდა მოხდეს სხვა საგნებზედაც.

უმთავრესი მიზეზი საქონლის გაცვლა-გამოცვლის, საბჭოთა რესპუბლიკების ფეხზე დადგომაა. 1921—3 წლებში სპარსეთის ბაზარი საშინელ კრიზისს განიცდიდა. მაგრამ რუსეთისკენ თავისუფლად კარის გაღებამ შესამჩნევად გამოაცოცხლა.

დღეს სპარსელი ვაჭარი უმთავრესად რუსეთისკენ მიილტვის. გაიფანტა ის შიში საქონლის რეკვიზიციისა, რომელიც ასე აფრთხობდა აქაურ ვაჭრებს. პირველი საფუძველი ამ გაბედულობას, თეირანში საბჭოთა მიერ გახსნილმა ბანკმა ჩაუყარა. ფრთხილი და ყველაფერში იქვიანი სპარსელი ზოგჯერ მძიმე ტაატით და ფეხის ცერებზე ამდგარი შემოიხედავდა ბანკში, კისერ-წაგრძელებით ჩუმათ კითხულობდა და იგებდა ყოველივეს, მერმე მიდიოდა ასევე ჩუმათ, ფეხის ცერებით. შემდეგ ქუჩაში ჰკრეფდა დამადასტურებელ ამბებს. ერთი-ორი ცდისა და ლოდინის შემდეგ გაბედავდა თამამი ნაბიჯის გადადგმას და ხმასაც აიმაღლებდა. და არც გაეშტყუნება, რადგანაც რუსეთის რევოლიუციამ არა თუ სპარსელს, არამედ ბევრს უფრო ძვალმაგარ ვაჭარსაც დაუბნია დავთარი და კავშირი გააწყვეტინა საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ბანკს მოჰყვა სხვა შერეული სავაჭრო დაწესებულებანიც:

„შარყი“, „პერხლოპოკ“, „პერსაზნეფტ“, „პერსშოლკ“, „მენსუდჟატ ირანორუს“; „ბიურო პერს“, და ამგვარად გაიბა მთელი რიგი კავშირებისა. ამ

*) კრანი უდრის 22 კაპიკს.

დაწესებულებათ აქვთ საკუთარი აქციები, რომლის ნაწილი სპარსელი ვაჭრების ხელშია. თვით რუსპერსბანკმაც 5 მილიონის აქციები გამოუშვა.

მხოლოდ ახლა გამოიცა იურიდიული კანონი ვაჭრობისა და ამხანაგობათა შესახებ. აქამდე იგი დამყარებული იყო შარიატზე. იგი არაფერს გარკვეულს არ იძლეოდა, პირიქით ბორკავდა და ჩელს უშლიდა ვაჭრობის ზრდას და ევროპასთან დაკავშირებას. ახალი კანონით კი შესაძლებელი ხდება სავაჭრო ამხანაგობათა მოწყობა, რომელნიც იმოქმედებენ კანონთა ფარგლებში.

ამ რიგად, სპარსეთში ახლა ხდება, რაც ევროპის ბაზარზე დიდი ხანია მოხდა და თავის სიძველეშიც შედის. მაგრამ ეს გზა აუცილებელია, უსათუო, ურომლისოთ სპარსეთი დარჩებოდა ერთს ადგილზე გაყინული, წარსულის ნილაბ ქვეშ.

ქარხნული მრეწველობაც სპარსეთში ახლა ისახება. შენდება ასანთის ფაბრიკა ხოილში, ისპანში—საქსოვი, და აგრეთვე ხალიჩის საქსოვი ქარხნები, რომელნიც შეადგენენ მთელს ძალას სპარსეთის მრეწველობისას. ყველა ამ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ უმთავრესად მცირეწლოვანები 7—14 წლ. რომელთა ქირა 1—3 კრანს უდრის. არიან ბავშვები, რომელნიც იღებენ ნახევარ კრანს, რაც მხოლოდ პურის ფულად თუ ეყოფათ. ხალიჩის საქსოვებში არიან ქალებიც, ჩვეულებრივად ჩადრ-მოხვეულები. მათი ქირა უდრის ბავშის ხელფასს.

ყველაზე სწორი და საფუძვლიანი გამოდგა ჩვენი ბანკი, რომელსაც, მიუხედავად ბევრის მოლოდინისა, დაწყების დღიდანვე ზრდა და განვითარება დაეტყო. იგი ისეთის ნაბიჯით იზრდებოდა, რომ ერთი წლის შემდეგ მეორე ალაგი დაიჭირა სხვა ბანკებთან შედარებით, და თვით ოტომანის და სპარსეთის ბანკებსაც ბევრად გაუსწრო. ოტომანის ბანკი უკვე ლიკვიდაციის პროცესშია. ეს ასე არ მოხდებოდა, რომ ჩვენს ბანკს კიდევ დაეგვიანებინა სპარსეთის ბაზარზე ფეხის დადგმა, რადგან, რაც დრო გადიოდა, იმდენი მაგრდებოდნენ სხვები, რადგან მეტოქე არ ჰყავდათ.

(გაგრძელება იქნება).

აკ. ჯყოლნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრესიპული შენიშვნები ნ. გარათაშვილის პოეზიაზე

I.

უკანასკნელ დრომდე ქართველი ნაციონალისტური ინტელიგენცია თავს იმტვრევდა საქართველოს პოლიტიკურად დაცემის კითხვის გარშემო. მისი დავის და კამათის საგანი, სხვათა შორის, რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი იყო. ბევრს ახსოვს კარგათ ის დაუსრულებელი წყევა-კრულვა, რომელიც ერეკლე მეფის ლიტერატურულ გასამართლებაზე გაისმოდა.

საქმით კი, საზოგადოთ მთელი აღმოსავლეთის და მასთან ერთად „ბედი ქართლისა"-ც კარგა ხანია გადაწყვეტილი იყო. მას შემდეგ, რაც ფეოდალურმა ევროპამ ფეხი შესდგა აღებ-მიცემობის გზაზე, მას შემდეგ რაც იქ ძირი გაიდგა საკაპრო კაპიტალმა, ბედის სასწორი აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაიხარა. ამის პირველ მერცხლათ ის ვეებერთელა მოძრაობა უნდა ჩაითვალოს, რომელიც ევროპაში ჯვაროსანთა ომის სახით დაიწყო. ეს პირველი იერიში იყო, რომელიც დასავლეთის საკაპრო კაპიტალმა აღმოსავლეთის წინააღმდეგ მიიტანა. აქედან ევროპის ეკონომიური წარმარტება ჩქარი ნაბიჯით მიექანება წინ.

ამიტომ, საქმე იმაში როდი იყო თუ ვისკენ გადიხრებოდა ერეკლეს სიმპატია, ან ვის შეაფარებდა ის თავს: სპარსეთს, ოსმალეთს თუ რუსეთს. რომელსაც უნდა მიკედლებოდა საქართველო, საბოლოოდ ის მაინც იმის „ლუკმა" გახდებოდა, ვისაც მომავალი ულიმოდა და ვისი ეკონომიური განვითარებაც ისტორიულად აუცილებელი იყო. ასეთ ქვეყანას კი რუსეთი წარმოადგენდა.

ამნაირათ, დასავლეთის ცივილიზაცია გზამოვლით ესტუმრა საქართველოს. საჭირო იყო ჯერ რუსეთის ეკონომიურათ განვითარება და მოსკოვის პატარა სამეფოს უზარ-მაზარ იმპერიად გადაქცევა, საჭირო იყო მისი კავკასიის ქედ გადმოლმა შემოჭრა, რომ საქართველოც მოჰყოლოდა ეკონომიურ ცხოვრების იმ ორომტრიალში, რომელიც დასავლეთით დიდი ხნიდან ვითარდებოდა. ამიტომ შემთხვევითი სრულიადაც არ ყოფილა რუსეთის საქართველოში შემოსვლა. სწორეთ მაშინ, როცა შინაური შუღლით და გარეშე მტრებისაგან დაუძლურებული საქართველო ხელს იშვერდა ძლიერ სახელმწიფოებისაკენ, რუსეთის საკაპრო კაპიტალი თავის უაღრეს განვითარების ხანაში იყო. ეს ის დროა, რო-

ცა ევროპაში სამრეწველო გადატრიალება ხდება, როცა რუსეთის იმპორტის უმთავრეს ნაწილს ინგლისურ მრეწველობის საგნები წარმოადგენდა და ექსპორტისას—საკუთარი პური. მაშინდელ ვაჭრობის ერთად ერთი ნებისმიერი გზა წყლით მოგზაურობა იყო. ამიტომ მოიწევდა რუსეთი ასე შეუპოვრად სწორეთ შავი ზღვისაკენ.

მცირერიცხოვანი და დაუძლურებული საქართველო ვერავითარ წინააღმდეგობას გაუწევდა ჩრდილოეთის ძალას, კიდეც რომ ჰქონოდა მას ასეთი სურვილი. დაჩაჩანაკებული ალმოსავლეთის ლომი სპარსეთი და „ავათმყოფი“ ოსმალეთი, ცხადია, სუსტი მეორენი იქნებოდენ ახალი ძალის წინააღმდეგ. ამნაირად ადრე თუ გვიან, საქართველო რუსეთის ბურჟუაზიის თათის ქვეშ უნდა მოჰყოლოდა, და ეს იყო არა მხოლოდ საქართველოს ხვედრი, არამედ სპარსეთისაც.

რუსეთის ასე სწრაფი ზრდა და ძლევამოსილება ბუნებრივად უკარნახებდა ერეკლეს მთავრობას, რომ „დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართველთ დაიცავს რუსთ ხელმწიფობაო“. აქედან ცხადია მისი გადაწყვეტილება და მისი ნაბიჯი. მაგრამ გულუბრყვილობა იყო იმისი ფიქრი, თითქოს „რუსთ ხელმწიფობა“ საქართველოში მეგობრად შემოვიდოდა, რომ საქართველო „საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის, ამოიყრიდა ჯავრსა სპარსეთისა“. რუსეთის ბურჟუაზია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის კი არ იწუხებდა თავს, არამედ ის ნას თავის განუყოფელ ნაწილად ხდიდა, რომ განეგრძო გზა სამხრეთისაკენ. ბურჟუაზიის გულს ნაკლებად ეკარება გულშემატკივრობის გრძნობა, მისი გრძნობა მოგების აზარტია. ამიტომ ცხადია რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატი სულ ახლო ხანში ფარატინა ქაღალდათ უნდა გადაქცეულიყო, და ასეც მოხდა.

მიუხედავათ ამისა, იმედ გაცრუებული ქართველი თავად-აზნაურობა არ სცხრებოდა.. მეტად ძნელი შეიქნა მისთვის პოლიტიკურ ბატონობის დაკარგვა. ამ გრძნობით გატაცებული, ის ანგარიშს არ უწევდა არსებულ ძალთა განწყობილებას და ბედთთან თამაშს არ იშლიდა. 1804 წ. მოხდა პირველი აჯანყება, მას ერთი მეორეზე მოსდევს ამბოხებები. 1812 წ. აჯანყდა კახეთის თავად-აზნაურობა, რომელსაც მიემხრო ქართლის ერთი ნაწილიც. 1833 წ. მოხდა უკანასკნელი შეთქმულობა პოლონეთის რევოლიუციის იმედით. ახალი მთავრობა ადვილად უსწორდებოდა აჯანყებულებს. მათი დაშოშმინება მაინცა და მაინც დიდ შრომას არ მოითხოვდა. დაბოლოს ქართველი თავად-აზნაურობა იძულებული შეიქნა იარაღი დაეყარა და მწარე სინამდვილეს შერიგებოდა. მისი პოლიტიკურ ბატონობის რესტავრაცია უნაყოფო ოცნებად გადაიქცა. ის ერთხელ და სამუდამოთ გამოემშვიდობა ამ სანუკვარ აზრს.

მაგრამ თუ დაინგრა საკუთარი სახლი, თუ აღარ იყო მისი კვლავ აშენების იმედი, ეს არ უშლიდა ხელს ქართველ თავად-აზნაურობას თავი შეეფარებია სხვის ჭერ ქვეშ. და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასეც ხდება. თუ აჯანყებების ცდამდი ქართველ ფეოდალურ არისტოკრატიაში კიდევ სუფევდა პროტესტის სული, თუ ის არ ერიდებოდა საკუთარ გულისწყრომის აშკარათ გამოთქმას შე-

მოსულ ძალის წინააღმდეგ და სულ „ჰკა მაგათ“-ს გაიძახოდა, რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, მან გულში ჩაიკლა მწარე ტკივილები და ქვეყნის დეევიზი „გვიბრძანე ბატონო“-თ გადააქცია.

ფეოდალურ არისტოკრატიის სულისკვეთების ასეთმა გარდატეხამ, შესაფერისი გამოძახილი ჰპოვა პოეზიაშიაც. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ ამის საუკეთესო ნიმუშია. პოეტი აქ ჯერ უმღერის ძველ საქართველოს დიდებას და შემდეგ რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელოთი ათავებს ლექსს. [1]) აქ კიდევ იბრძვის პოეტის სული, ის საესებით არაა გამორკვეული. მისი ერთი გული სამწობლოსკენაა, წარსულის აჩრდილებში იდაგება, მეორე კი—იმპერატორისკენ და მის დღეგრძელობას შეტრფის.

მაგრამ რაც დრო მიდიოდა და დაკარგულ ბატონობის აღდგენის იმედი ცრუვდებოდა, ქართველი თავად-აზნაურობა მეტი გამბედაობით მიექანებოდა ახალ მიმართულებით. მას თითქო დააეიწყდა კიდეც მამა ერეკლე და მამინაცვალის მზეს ფიცულობდა. აი მოუსმინოთ რას ამბობს ბარათაშვილი ერთ თავის ლექსში:

„ძმანო, თქვენ ქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა.—
იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა.—
აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,
და გვიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა.—“

აქ უკვე ნათლად სჩანს, რომ წარსულის, წინაპრების აჩრდილი ედგა წინ ჩვენ თავადობას, მაგრამ ამავე დროს ის იმპერატორისათვის თავდადებას არ ერიდება. და მეტად საეჭვოა, რომ ეს მეორე გრძნობა წრფელი გულით ნაკარნახევი ყოფილიყო. ამას მოწმობს მაშინდელ თავად-აზნაურობის შინაური ცხოვრების მწარე სინამდვილე. ამის მოწმეა თვითონ ნ. ბარათაშვილის წერილები და ზოგიერთი ლექსები. ქართველ თავად-აზნაურების გულში კიდევ სჩქეფდა სიყვარული წარსულისადმი, მაგრამ იმედი საესებით დაკარგული იყო. ამიტომ ის ლოცვა-კურთხევა, რომელიც ასე უხვად გაისმოდა ქართველ ფეოდალურ არისტკრატიის ბაგეებში მამინაცვლის მიმართ, სხვა მოსაზრებას უნდა მიეწეროს. რადგან ძველი საქართველო ინგრეოდა, რადგან იფერფლებოდა ძველი ტაძარი, მისი მობინადრენიც თავის ავლა-დიდებით ადგილის გადასანაცვლებლად ემზადებოდენ. ისინი ახალ ტაძრისკენ მიეშურებოდენ, მაგრამ იქ შესასვლელად

[1]) მართალია, ჯავახიშვილი ამტკიცებს; რომ რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო გრ. ორბელიანმა შემდეგ ჩაწერთო ამ ლექსში ცენზურის გულისათვისო (იხ. ნ. ბარათაშვილი 1922 წ. გამოცემა, ტფილისი. გვ. 174). მაგრამ საეჭვოა, რომ ამგვარი მოსაზრება სინამდვილესთან ახლო იდგეს. ცენზურის სიმკაცრისაგან თავის დასაღწევად სხვა საშვალებაც არსებობს, კერძოთ ორბელიანის დროს, რუსეთის მწერლობაში ძალიან გავრცელებული იყო „ეზოპის ენა“ ესეც, რომ არ იყოს, ჯავახიშვილის მოსაზრება მით უფრო უნდა ჩაითვალოს შეცდომათ, რომ ამგვარი ხასიათის ლექსები, სხვა იმდროინდელ პოეტსაც აქვს. გარდა ამისა ორბელიანის „სადღეგრძელო“, როგორც ვიცით პლ. იოსელიანმა რუსულად გაარჩია და მას დიდი ხოტბა შეასხა. ეს ის იოსელიანი იყო, რომელიც სხვა მის თანმეადროვეებთან ერთად იმპერატორის ტახტს ეთაყვანებოდა. მისი გატაცება იქამდიც კი მივიდა, რომ ის ქართულ ენაზე ლაპარაკსაც ალარ კადრულობდა. (იხ. პლ. იოსელიანის ბიოგრაფია. 1893 წ. ზ. ჭ. გამოცემა.)

ახალი ქურქი იყო საჭირო, რომელზედაც იმპერატორის ორთავიანი არწივი ეხატა. ქართველ თავად-აზნაურობამაც გადაიცვა ის უეყოყმანოდ, ოღონდ კი ისევ ძველი შეინარჩუნა, სული მაინც წარსულის მოგონებებით [illegible]ოდა. არც ასე ადვილი იყო საუკუნოებით ძვალ-რბილში გამჯდარ ბატონობის დავიწყება.

ამით აიხსნება ის პოლიტიკური ორპირობა, რომელიც მაშინდელ თავად-აზნაურობის ასეთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. ამით აიხსნება ის გულისწყრომა, რომლითაც სავსეა ბარათაშვილის გრძნობა ქართველი ადამიანის მიმართ. „ქართველი თავისიანს არ გამოადგება-ო",—სწერს ის გრ. ორბელიანს. სიტყვა ქართველი ახალ მთავრობის თვალში მხოლოდ უნდობლობის და იჭვიანობის სინონიმათ გადაიქცა. ამ გზით სიარული სცადა ჩვენმა თავად-აზნაურობამ. მას ეხლა სხვა გზა ესაჭიროებოდა, გზა წარჩინების და აღმატების. ეს გზა კი დაღესტნით მიდიოდა, რაც კარგათ მოსჩანს ბარათაშვილის ლექსში „ძრწოდე კავკასო" და პოეტის წერილში ზაქ. ორბელიანისადმი. აი, რას სწერს ის ორბელიანს:

—„უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ. მომილოცავს პოლკოვნიკობა. —შენი წიგნი, რომ მიმიყვიდა, იმის მეორე დღეს ინვალიდებში ეწერა. ეხლა მე ჩქარა ლენერლობის იმედიცა მაქვს. მაგრამ ამისათვის უთუოდ უნდა დაღესტანში იმსახურო, თუნდ მაგ ადგილშიაც არა; და მერე იცი რა ვიფიქრე შენთვის, კასპიის ობლასტის ნაჩალნიკობა. ვინ იცის? მე კი კარგათ მაქვს დაცდილი წინასწარ თქმა. „ეტო ბუდეტ გორაზდო სუშჩესტვენნეე".—

ერთ წერილში ბარათაშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენო".

ამრიგათ ისტორიისაგან განწირული ქართველი თავად-აზნაურობა ვერ ამჩნევდა თავის ბატონობის დაღუპის ნამდვილ მიზეზს, მას ძალა არ შესწევდა ძლიერ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჯავრს მთიელებზე იყრიდა. იმ მთიელებზე, რომელნიც მასთან ერთად ერთ ტაფაში იწვოდენ. ქუთაისიდან გამოგზავნილ ერთ თავის წერილში გრ. ორბელიანი სწერს მას ძმას ზაქარიას: „რატომ მეც მაინდ (ომში) არა ვარ, რომ ერთი მათგანის (ლეკების) სისხლი დაღვრიო და შეუბრალებლივ ვტანჯიდე ცოცხლად"-ო [1]) ეს კაცი შემდეგ მართლაც მოხვდა მთიელებში და ავარიის მმართველადაც იყო დანიშნული. ადვილი წარმოსადგენია რა დღე დაადგებოდა ასეთი მმართველის ხელში მთიელ ხალხს.

ასე რომ, დაიკარგა საქართველოს აღდგენის იმედი. ეხლა აპელატები და ჩინ-ორდენები შეიქნა საოცნებო საგნად. „ილია კარგად არის,—სწერს ბარათაშვილი ორბელიანს,—პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიაში. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს". ამ სულის კვეთებამ ფართედ გაიდგა ფეხი ქართველ თავად-აზნაურობაში. ის მასსიურ მოვლენათ გადაიქცა. წარჩინების წყურვილმა გაიტაცა დიდი და პატარა. ბარათაშვილის შემდეგი სიტყვები ზედმიწევნით დამახასიათებელია ამ წოდების მაშინდელ მისწრაფებისათვის:

[1]) ნ. ბარათაშვილი 1922 წ. გამოცემა, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოლონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა,—
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა“?..—

მაგრამ ახალი ძალის წინ მუხლებზე ფორთხვის დროს, ქართველ თავადაზნაურობას მაინც ახსოვდა, როცა ის წელში გასწორებული დაიარებოდა, როცა თავის ბედს თვითონვე ქმნიდა. ამიტომ მას კიდეც სძულდა ახალი მამა და კიდეც უყვარდა. ის მას ერთგულობას ეფიცებოდა, გულში კი „მარად ახსოვდა დაკარგვა სწორისა“. საქართველოს სიყვარული მათ მაინც თან დაჰყვებოდა, მაგრამ ეს ისეთი საგანი იყო, რომელზედაც ტკბილი ოცნება შეიძლებოდა და არა მის აღსადგენათ ბრძოლა, რომელზეც ფიქრი იყო შესაძლებელი და არა ხმა მაღლა ლაპარაკი. მოქმედებისა და თავდადების საგნად ეხლა სულ სხვა რამ გახდა: აფიცრის ბუნდირი შეიქმნა იმ კერპად, რომელსაც ეთაყვანებოდა ქართველი ფეოდალი. ერთი სიტყვით, „ხელმწიფე ჰპოვეს მამად კეთილად და დედოფალი დედისა ნაცვლად“.

ამიტომ შემთხვევითი სრულიად არ არის ის გარემოება, რომ პოემა“ ბედი ქართლისა“-ში არ სჩანს პოეტის ნამდვილი სახე, რომ პოეტს აქ კითხვა მხოლოდ დაუსვამს და პასუხი კი არ მიუცია. პოლიტიკურმა ორპირობამ, რაიც ასე ღრმად იყო გამჯდარი მაშინ ქართველ თავად-აზნაურობაში, საუცხოვო გამოხატულობა ჰპოვა ამ პოემაში. თუ სოლომონ ლეონიძის პირით აქ ლაპარაკობს თავად-აზნაურობის იდუმალი გრძნობა, თუ მისი ბაგეებით გამოთქმულია იმედ დაკარგულ ქართველ მოვადობის გულის ტიკვილი, სამაგიეროთ ერეკლე მეფე ამ თავადობის ოფიციალ აზრის გამომხატველია. და ამ ორ გრძნობის ბრძოლას პოეტი თუმცა კრთოლვით და გაუბედავათ, მაგრამ მაინც ერეკლეს სასარგებლოდ ათავებს:

„მაგრამ ვინ იცის.—ეგი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება:
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების“.

ასე იმშვიდებს თავის თავს სოლომონი მეფესთან ლაპარაკის შემდეგ. მაგრამ ეს უფრო სინდისის დასაწყნარებელი სიტყვებია, ვიდრე წრფელი გულის ამოძახილი. ქართველ თავად-აზნაურობის „წარსულთა დროთა მოგონებას“ არ ეხამებოდა რალაც მათი იმდროინდელი მოღვაწეობა. საჭირო იყო თავის გამართლება სინდისის წინაშე. საქმის სინდისთან რამდენიმეთ შერიგება. ეს ცდა ბარათაშვილის მეორე ლექსშიაც გამოსჩვივის, სადაც ის ასე მიმართავს ერეკლეს:

„მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მცხოვანო
და ცრემლთ დავანთხევთ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო.—
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
რომ გადმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშო შვილსა.—
თაყვანს ვცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწრად თქმულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს
აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენი ძენ.

მაგრამ ტყუილი იყო ყოველივე ცდა. სიტყვა სხვა იყო, გრძნობა— სხვა. მთლიანობისა და შეკავშირების ძალა აღარსად სჩანდა. ყველა ფარისევლობის სენმა მოიცვა, „სულს სული თვისად“ აღარ მიაჩნდა „და გულს გულის პასუხი“ აღარ ესმოდა. ირგვლივ უნდობლობა და უიმედობა გამეფდა. დაობლდა თვითეულის გული და თავის ზრახვებს გამოუთქმელად იკლავდა ყველა. ამ გრძნობამ თავისი ადგილი ჰპოვა ბარათაშვილის შემდეგ სიტყვებში:

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას—
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელია ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი.—
მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარათ ჰპოვებს სანაცვალოს გული:
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული,
მარად ითმენს უნუგეშობას კრული.—
არღა რა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა.“

სულის ობლობა საზოგადო მოვლენად გადაიქცა, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რაკი გაცრუვდა გამარჯვების იმედი, რაკი ბრძოლის ადრინდელი საგანი ეხლა პირად ბედნიერებისაკენ ლტოლვით შეიცვალა. ამ საზოგადო სენს ვერც ბარათაშვილი ასცდა. ის ბავშვობიდანვე შესტრფოდა სამხედრო სამსახურს და წარჩინების წადილი არც მისთვის ყოფილა უცხო.

„ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა,—სწერდა ბარათაშვილი გრ. ორბელიანს,—იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში“. როდესაც ამის შემდეგ ხედავს პოეტი, რომ იმედის გემი დაღუპულია, რომ „განქრა ტაძარი და უდაბნო მდუმარებს“, რომ „მის ლამპრიდან დაშთა მხოლოდ ცეცხლი დამჭრალი“, ისიც იმავე გზას ადგება, რომლითაც სხვა დანარჩენები მიდიოდენ.

„განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავობრივი გრძნობა...— სწერს ბარათაშვილი მის ახლობელ მეგობარს მაიკო ორბელიანს.... **ალარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევსსძღვენ;** სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა; თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა“. პოეტმა დაჰკარგა ყოველივე ნდობა ქართველ კაცისადმი. მან თავი „ხელმწიფობას და საზოგადოებას შესძღვნა“. უფრო მეტი, ის სხვებსაც „რიგიანი“ სამსახურისკენ მოუწოდებდა.

მაგრამ ვინ იყო ეს იმპერატორი, რომლის დიდებასაც ქართველი თავადაზნაურობა მსხვერპლად ედებოდა. დაიმსახურა თუ არა მან ამის მზგავსი საკუ-

თარ ქვეყნის თუნდაც ზეძლებულ კლასების წინაშე. — ეს ნიკოლოზ I-ლი იყო. ის ნიკოლოზი, რომელიც ხუთი დეკაბრისტის გვამით ავიდა ტახტზე. მის დროს მთელს რუსეთში ალვირ ახსნილი რეაქცია მძვინვარებდა, მან დეკაბრისტა პირველად სახელგანთქმული „მესამე განყოფილება მის იმპერატორობითი უდიდებულესობის პირად კანცელარიის“, რომელიც მეფის რუსეთის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში კონტრ-რევოლიუციის შტაბად გადაიქცა და, რომელმაც „ახრანკებით“ მოჰფინა მთელი სახელმწიფო. ნიკოლოზ პირველის დროს განათლების სამინისტროს სათავეში ედგა ცნობილი ობსკურანტი უვაროვი, რომელმაც სკოლას „პრავოსლავიე, ედინოდერჟავიე, ნაროდნოსტი“ დაუდვა საფუძვლად. [1]) ცნობილმა რუს პოეტმა და სლავიანოფილმა აქსაკოვმა ნიკოლოზ I რუსეთი ასე დაახასიათა:

„В пространном царстве нет простора,
В родимой душно стороне...
Спугнули мысль стал празден ум.“

რუსეთში ამ დროს საკმაოდ ძლიერი იყო ეგრედ წოდებული „ზაპადნიკური „გავლენა, სტანკევიჩის, გერცენ-ოგარიოვის წრეები მაშინ მოღვაწეობდენ ამ დროსვე იყო გამოჩენილი ანარქისტი ბაკუნინი. მაშინ დასწერა ჩაადაევმა ცნობილი „ფილოსოფიური წერილი“, სადაც ის სასტიკათ აკრიტიკებდა ნიკოლოზ I-ის ტირანიას. თვით იმპერატორი, რომელსაც ბავშობიდანვე ჩანერგილი ჰქონდა ზიზღი ყოველივე განმათავისუფლებელ მოძრაობისადმი და, რომელსაც საფრანგეთის რევოლიუციის შიში მოსვენებას არ აძლევდა, უფრო და უფრო აძლიერებდა რეაქციონურ რეჟიმს.

საქართველოში კი ამ დროს დამარცხებული თავად-აზნაურობა ამ ადამიანს ხოტბას უთხზავდა.

მიუხედავათ იმისა, რომ ქართველი გლეხობა სულს ღაფავდა უსაზღვრო ექსპლოატაციის ქვეშ, მიუხედავათ იმისა, რომ თვით ნიკოლოზ პალკინის მთავრობაც კი შეიქნა იძულებული ეფიქრნა ბატონ-ყმობის რეფორმისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთში მძლავრათ გაისმოდა რევოლიუციონურ პროტესტის ხმა, მიუხედავათ ყოველივე ამისა, იმ დროინდელ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში კრინტი არ არის დაძრული სოციალურ მომენტზე. კერძოთ ბარათაშვილის ნაწარმოებში ამის ნიშან-წყალიც არ მოიპოება. და ეს ადვილი ასახსნელიცაა: კლასი, რომელიც თვითონ დგას დაღუპვის კაზე, კლასი რომელსაც თავს დასტრიალებს სიკვდილის აჩრდილი, რა თქმა უნდა სხვის ტკივილებისთვის ვერ მოიცლის და მასზე ზრუნვას ვერ იკისრებს.

ასეთია ქართველ თავად-აზნაურების პოლიტიკურ დეგენარაციის სურათი. ის მოკვდა, როგორც მმართველი წოდება. იფერფლებოდა ძველი დიდების

[1]) ბარათაშვილის სიტყვები, „ხელმწიფებას და საზოგადოებასო“ ამ სამ ფორმულიან სისტემის გავლენის ნაყოფია. უვაროვი, ეს ის მინისტრი იყო, რომელიც ამბობდა, რომ საფლავში დამწყიდებული მაშინ ჩავალ, თუ რუსეთის პროგრესი 50 წლით მაინც შევაჩერეო. თუ შევუნარჩუნე ამ ქვეყანას მისი სანიერჩე (იგულისხმე ბატონყმობა) და ევროპის იდეების გადმოთესლებას ხელი შეუშალეო. (სიტყვა „ნაროდნოსტ“-ში უვაროვი ბატონყმობას გულისხმობდა.

ტაძარი, „წარსულთა დროთა მოგონებები სულს აფიქრებდა“. მაგრამ საჭირო იყო ამ კლასის ეკონომიურად სიკვდილი, რომ ის სავსებით გამქრალიყო ისტორიის ჰორიზონტიდან. ამას არც დიდხანს დაუყოვნებია, ახალმა ძალამ ეს უბედურობა პოლიტიკურ დამარცხებასთან ერთად მოავლინა ქართველ თავადაზნაურობას.

II.

რუსეთთან შეერთების დღიდანვე საქართველო ამ ქვეყნის პირდაპირ ეკონომიურ და იდეოლოგიურ გავლენის ქვეშ მოექცა. საქართველოში შემოსვლის დროს რუსეთის სავაჭრო კაპიტალი საკმაოდ მომწიფებული იყო. მან აქ თავის ზნე-ჩვეულებები მოიტანა. მამა-პაპურ დაუდევრობას და კრიალოსანს წინ შემოეგება „სჩოტი“ და არშინი; მამა-პაპურ ლაღობას და მფლანგველობას—ანგარიშიანობა და დავთრები; მამა-პაპურ ულვაშით ფიცს—ვექსილი და ხელწერილი. რუსეთში თვითმპყრობელობის არსებობა სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ იქ ბატონობდა თითქო ფეოდალური არისტოკრატია, როგორც ეს საქართველოში იყო. ამ დროს რუსეთის თავადობას უკვე გამოცლილი ჰქონდა ნიადაგი. მისი ბატონობის მზე ჯერ კიდევ იოანე მრისხანეს გამეფებით დაიწყო. ამის შემდეგ რუსეთში წვრილ აზნაურობიდან და ქალაქის მცხოვრებთაგან გამოსული ახალი ძალა გაბატონდა, რომელიც მსხვილ ფეოდალურ არისტოკრატიას ხელიდან აცლიდა მის პოლიტიკურ ბატონობის ბურჯს, მიწას. ამიტომ ქართველ თავად-აზნაურობას აღარ შეეძლო ეპოვნა მოსულ ძალაში თავისი სისხლის და ხორცის კლასი. ის თავიდანვე ცხოვრებისაგან გარიყული დარჩა. ისტორიულად შრომას გადაჩვეული, მხოლოდ ომსა და ბრძოლაში დახელოვნებული ქართველი თავად-აზნაურობა, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი ცხოვრების შესახვედრად. ის ცხოვრების დუღილის გარეშე მოჰყვა და დრო გამოშვებით მისგან გამოსროლილ წიხლებს უსიტყვოთ ითმენდა.

დაჩლუნგდა ძველი ხოროსნის ხმალი და ლეკური, ფუჭი გამოდგა ახალ ძალასთან ვაჟკაცური გამბედაობა და რაინდობა. „ცა ახალი შეიქნა და ქვეყანა ახალი“,—როგორც ბარათაშვილი სწერდა ორბელიანის ქალს,—„მოდაში ოთხმოცი წლის კაცები შემოვიდა“, რომლის სქელი ჯიბე ხმალზე და ლეკურზე უფრო ბასრი შეიქნა.

სამაგიეროთ ცივილიზაციის სიომ ახალი მოთხოვნილებები დაჰბადა. ქულაჯის და ჩოხა-ახალუხის ნაცვლად მუნდირები და სმოკინგები შეიქნა საჭირო ბაზარი რუსეთის ფაბრიკატებით აივსო. ამის შესაძენი ფული უსაქმოდ მყოფ ქართველ თავად-აზნაურობას, გარდა მამა-პაპურ ქონებისა და ყმების ექსპლოატაციისა, არსად გააჩნდა, და აი იწყება გლეხების ალვირ-ახსნილი შევიწროება.

მაგრამ თუ ეს ასე იყო რუსეთთან შეერთების პირველ წლებში, უფრო გაცუდდა თავად-აზნაურობის მდგომარეობა ნიკოლოზ 1-ის ტახტზე ყოფნის დროს. ეს ის დრო იყო, როცა უკვე წელგამაგრებული რუსეთის სამრეწველო კაპიტალი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება აგრარულ ბურჟუაზიასთან; ეს ის დრო იყო, როცა ნიკოლოზ 1-ლი ახალი ძალის გავლენის ქვეშ, რომელიც თავისუფალ მუშა ხელს მოითხოვდა, გულის კანკალით შეუდგა ბატონყმობის საკითხს. ამ ბრძოლის ხმა საქართველომდიც სწვდებოდა. და აქ შესა-

ფერის გამოძახილს ჰპოებდა. ეცლებოდა ხელიდ ნ ქართველ თავად-აზნაურობას უკანასკნელი იმედი, დაიწყო რყევა გლეხის ზურგმაც. და ეს რა თქმა უნდა, ყველაფერი რუსეთთან შეერთებამ მოიტანა. ახალმა ძალამ ძველ-ძველობისა და სიმშვიდის ნაცვლად ამ კლასს უბედურება უბედურებაზე მოაელინა. უიმედობა და სრული სასოწარკვეთილება დაბინავდა ქართველ თავად-აზნაურობის გულში, ამ გრძნობის შესანიშნავ გამოხატულებას წარმოადგენს ნ. ბარათიშვილის შემდეგი სიტყვები:

„დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი.—
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;
დრომ უჟამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი“.—

ანნაირად, ისედაც სმა-ჭამაში და ქეიფში აღზრდილი კლასი, ეხლა წმინდა პარაზიტად გადაიქცა.

აი რასა სწერს ბარათაშვილი ერთ წერილში ზაქარია ორბელიანს: „კატოს [1]) ერთი თვეც არის ჯვარი დავწერეთ. კარგი ქორწილი გადავიხადეთ. მეორე დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგათ დაგვიხვდა. იქედან ახალგორს წავედით. ოძისს რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი სდგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება..,

რომ დაბინდდა შევედით ახალგორს.—სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩალებული, მეიდანი მაშხლებით;

... დაჰკრეს ზურნას, სათარას [2]) სიმღერა (თანა გვყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა... ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით. მამუკაც აქ იყო და ძალიან გამხიარულდა. მერმე მე და მამუკა გორს გადავედით. კნიაზი ძალიან კარგათ დაგვიხვდა; სულ შუშურები გვასვა,—ერთის ლექსით კარგათ გავატარეთ დროება, მთელი ორი კვირა“.

„მე და მამა ალევობას, რომ ამ თვის თუთხმეტს იყო, ვეწვივენით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვაროობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ. ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად... ძალიან მხიარულობა იყო“.

ასე დაწვრილებით აუწერს პოეტი ზაქარია ორბელიანს დროს ტარებას. სჩანს ეს ხელობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო ბარათაშვილის დროინდელ ქართველ თავად-აზნაურობაში, რომ ამდენ ყურადღებას იქცევდა ის. მაგრამ ამაზე უფრო ნათლად ქართველ ფეოდალურ არისტოკრატიის პარაზიტული ბუნება გრ. ორბელიანის შემდეგ სიტყვებში გამოსჭვივის:

„ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედან დასტრიალებდეს;

[1]) კატო ნ. ბარათაშვილის და იყო.
[2]) სათარა—სპარსული მომღერალი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყნოსვა, დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს...
კახურის ღვინით აღსილი
აზარფეშა ხელში გვეპყრას;
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდეს წინ სუფრას.
ცა მშვენიერი, ცა მზობლიური,
მარად ბრწყინვალე ზედ დაგვნათიდეს;
გაცხელებულსა ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი დაგვიგრილებდეს"...

ვინ არ იცის, რომ ეს მთელი კვირაობით ქეიფი და დროს ტარება გლეხების ზურგზე გადადიოდა. ვინ არ იცის, რომ „ჯეირნის მწვადი", მოთალი, თევზი და მწვანილი" —ეს გლეხის პირში გამორთმეული ლუკმა იყო. ცხადია ამიტომ, რომ ბატონ-ყმობის უღელი არასოდეს არ ყოფილა ქართველ გლეხობისათვის ისე მძიმე და სულის შემხუთავი, როგორც რუსეთთან შეერთების დღიდან, ვიდრე სამოციან წლების რეფორმამდი. მაგრამ რაც უნდა დიდი ყოფილიყო გლეხებისაგან ამოღებული სარგებელი, ის მაინც ვერ დაჰფარავდა ქართველ თავად-აზნაურობის უსაზღვრო მადაგახსნილობას. აქ ფულისათვის მეორე წყარო დარჩა საჭირო. ისიც მალე აღმოჩნდა.

ეს იყო მამაპაპეული ავლა-დიდება. და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ თავის უკანასკნელ საფუძველსაც ემშვიდობება ქართველი თავად-აზნაურობა. მამული მამულზე გირავდება და იყიდება. სავახშო კაპიტალი მაგრად იკიდებს ფეხს ქართულ სოფელში. მის კლანჭებში არა მარტო თავად-აზნაურობა მოჰყვა, არამედ გლეხობაც, რომლის ღარიბი მეურნეობა ვერ უძლებდა ბატონის ხარკის აკიდებას და მევახშის დახმარებას მიმართავდა. ამავე დროს, მადა-გახსნილი თავად-აზნაურობა სრულიად არ ზრუნავდა მეურნეობის გაუმჯობესებაზე, მისი ცდა იყო რაც შეიძლება მეტი სარგებელი ამოელო გლეხის გამჭლეველებულ მეურნეობიდან. გლეხობამაც თავი მიანება საქმის წარმატებაზე ზრუნვას, რადგან ხედავდა, რომ ყოველივე ზედმეტი სხვის სასარგებლოდ მიდიოდა.

ამნაირად, პოლიტიკურად გაუბედურებული თავად-აზნაურობა, ეკონომიურადაც იღუპებოდა. ქვეყნის მეურნეობაში ადგილ დაკარგული, ეკონომიურ გაღატაკების გზაზე მდგომი თავად-აზნაურობა ერთის მხრივ, და უსაზღვრო ექსპლოატაციით ილაჯ-გაწყვეტილი გლეხობა თავის დაცემულ მეურნეობით მეორეს მხრივ—აი, იმდროინდელ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური სურათი. რასაკვირველია, საქმის ასეთი ვითარება ქვეყანას გადაშენებას უქადდა, რომ მას წინ არ გადადგომოდა ახალი ძალა და ძირში არ მოეკვეთა ის დაჩირქებული იარა, რომელიც ქვეყანას სიკვდილისაკენ მიაქანებდა. ეს ძალა დაუნდობელ დოსტაქრის დანით თავს ადგა ჩვენს ხალხს. ის იყო ბურჟუაზიულ ცივილიზაციის ტალღა, რომელიც თან მოჰყვა ახლად შემოსულ ძალას.

მაგრამ ის გარედან მოგვეელინა ჩვენ, და იმდენათ მოლონიერებული შემოვიდა, რომ ადგილობრივმა შეძლებულ ელემენტებმა ფეოდალურ არისტოკრა-

ტიის სახით ვერ მოასწრეს მის ფერხულში ჩაბმა. სხვა ქვეყნებში-კი, სადაც კაპიტალიზმი შინაური განვითარებაზე აღმოცენდა, ფეოდალური არისტოკრატია, საუკუნოების დაგროვილ სიმდიდრით ხელში რამდენიმეთ, ეროვნულ ცხოვრების ახალ მაჯისცემას და ნაწილობრივათ მაინც ახალ კლასის კარავ ქვეშ გადაბარგდა. საქართველოში ეს შეუძლებელი შეიქნა.

ჩვენში ფეოდალურ არისტოკრატიას დეკლასაცია ვიწრო ტეხნიკურ ინტელიგენციის და პროლეტარიატისკენ მოხდა. ქართველი თავად-აზნაურობა პერსონალურადაც ვერ გადაურჩა იმ ულმობელ ლახვარს, რომელიც მას მოეელინა კაპიტალიზმის სახით.[1] ალარც ეგრედ ცნობილი „მესამე წოდება", რომელიც ბურჟუაზიის მთავარი კონტიგენტი იყო ევროპის სახელმწიფოებში, აღმოჩნდა საქართველოში. ამიტომ არ აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ ბურჟუაზიის ნიადაგი.

ამრიგათ ერთ უბედურობას, პოლიტიკურ ბატონობის დაკარგვას, თან მოსდევდა ქართველ თავად-აზნაურობის ეკონომიურათ დაჩაჩანაკება და გაპარტახება. ქართველი თავად-აზნაურობა ხედავდა საკუთარი თვალით თავის ბედის სიკეთეს. ის დავლადაცემულივით მისჩერებოდა ახალ ცხოვრების დულილს. დაინგრა საკუთარი ტაძარი, უიმედო გამოდგა ჭერი, სადაც მან თავი შეაფარა იმ განზრახვით, რომ იქ ჰპოებდა სამუდამო მოსვენებას. მართალია მან მოისვენა გარეშე მტრის შემოსეევისაგან, მაგრამ ეს მოსვენება ერთობ ძვირი დაჯდა. ამიტომ ადვილი ასახსნელია ის გაურკვევლობა და გზა აბნეულობა, რომელიც ამ წოდებას დასჩემდა. ის ვერსად ხედავდა იმედის ნუგეშს, მან არ იცოდა „სად განესვენებია სული და მიედრიკა თავი". ამ სულისკვეთების გამოძახილს ჩვენ ვპოულობთ ნ. ბარათაშვილის შემდეგ ლექსში:

„ვპოვე ტაძარი, შესაფარი უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკეროდა, მუნ დავითის ქნარი
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი.
ველარ აღმიგო სიყვარულმა ,ვალად ტაძარი.
ვერსად აღვანთე დაშთომილი მიხი ლამპარი.
ესრეთ დამიბშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

ამრიგად, თუ კი იყო ქართველი თავად-აზნაურობა ქვეყნად, როგორც წოდება, ის ცხოვრებას ხედმეტ ბარგათ ეკიდა. „იყო სოფელ'ში და სოფლისთვის არა ზრუნავდა", იყო ცოცხალი და „ცოცხალი მკვდარსა ემზგავსა". კაპიტალის სუსხიან ქროლვას ველარ გაუძლო მან და ის „მწირი სოფლისა, და მაშვრალი მისითა ღელვით" გარბის სოფლისკენ. მისი დადუმებული, მოქანცული სული ვერ ეგუება ქალაქის მდუღარე საქმიანობას. ის იქით მიილტვის, სადაც კიდევ დარჩენილა ძველებური დიდების ნაშთი.

1) აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიაც-კი, როცა გაპროლეტარებული ქართველი თავად-აზნაურობა იძულებული იყო შრომისათვის მიემართა, ის კიდევ გაურბოდა ფიზიკურ გარჯას და ნაყოფიერ მეშაობას, ამით აიხსნება, რომ რუს-სანოვნიკების კარისკაცებათ და ოფიციანტებათ ხშირათ შეხვდებოდით ჩვენს თავად-აზნაურობას. სოფლად კი მაქანკლობა და ყაჩაღობა მათი ხელობა იყო.

მაგრამ ვაი, რომ „სოფლის ღელვამ“ აქაც „დააბრო სიცოცხლის ყვავილი“. განუსაზღვრელმა ქეიფმა და დროს ტარებამ შთანთქა მამა-პაპური ქონება და ის მევახშის საკუთრებათ გადააქცია. ცხადია, [illegible] აქ შეეძლო მის მოქანცულ სულს ეპოვა ტკბილი იდილია.

„Дай мне маленькое, независимое состояние“ სწერს ოდესღაც მდიდარი მამის პატრონი ბარათაშვილი. ზაქარია ორბელიანს, —я бы сейчас оставил и свет и людей с их ненасытностью, и мирно и спокойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве.“ ამნაირსავე რჩევას აძლევს ის იმავე ორბელიანსო. დაბრუნდი სოფელში და გააბედნიერე შენი უპატრონოთ დარჩენილი გლეხობაა: „Оставь службу“ займись имением и эта другая слава—сделать счастливыми своих крестьян, оставленных до сих пор без господина—попечителя. [1]) მაგრამ გვიანღა იყო გამქრალ ნაკეცხლებზე სულის ბერვა, სასაცილო იყო „ბერიკაცის ყმაწვილობა“. ეკონომიურად და იდეურად დაკნინებულ წოდებას აღარ შესწევდა ისტორიის ჩარხის შეჩერების ძალა. დროთა ვითარებამ გამოუტანა მას განაჩენი და ამ განაჩენისაგან თავის დაღწევა შეუძლებელი შეიქნა.

ამასთანავე მას სხვა უბედურებაც ეწვია. „კახური ღვინით გახურებული შუბლი“ ერთობ დაჩლუნგდა განუწყვეტელი ქეიფით და უმოქმედობით. გონებრივი პაუპერიზმი განუყრელი თანამგზავრია ყველა პარაზიტულ კლასის. და სწორეთ ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ისეთ დიდი ნიჭის მგოსანმა, როგორც ბარათაშვილი იყო, ვერ ჰპოვა შესაფერისი ასპარეზი; მისმა ჰანგმა საკმაოდ ვერ გაშალა ფრთები იმ დახშულ და სიკვდილის სუნით გაჟღენთილ ატმოსფეროში, რომელიც გარს ერტყა პოეტს. ბარათაშვილი გრძნობდა თავის ამგვარ უნუგეშო მდგომარეობას, როცა ის სწერდა გრ. ორბელიანს:

„იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო.—ნუ გძინავსო. -მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილ ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქამ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავდი ჩემს ასპარეზსა“...

მაგრამ გულუბრყვილო იყო პოეტის ამგვარი წერილი. საქართველოს სინამდვილეში არსად იყო ქართველ—თავად-აზნაურობისათვის ის „გაშლილი ადგილი“, რომელზე შესამაგრებლადაც იღწვოდა ბარათაშვილი. ის სამუდამოთ დარჩა თავის კლასთან ერთად „ღრე-კლდეში“ და ამ კლასმა დაასვა მის ჰანგს წაუშლელი დაღი.

ასეთი იყო ქართველ ფეოდალურ არისტოკრატიის ისტორიული ხვედრი. „მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი“, რადგან „დრომან დაჭკრა თვისი მას ავი თვალი“.

---

1) სხვათა შორის, ეს ერთად ერთი ადგილია, სადაც ბარათაშვილი გლეხებს გულშემტკივრობით იგონებს და ისიც მოურავის უსაზღვრო შევიწროების, თეითონ ბატონის ექსპლოატაციის შეცვლით.

III.

ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილების შემდეგ ქართული ახალი ლიტერატურაც გამოიცვალა და ახალი გზით დაიწყო სვლა. ის თანდათან შორდებოდა აღმოსავლეთის გავლენას და რუსულ ლიტერატურის გავლენის ქვეშ ექცეოდა.

რუსეთ-საქართველოს შეერთების ხანა ცნობილია რუსულ სიტყვა-კაზმულ შწერლობაში, როგორც დასაწყისი ახალ მიმართულების—რომანტიზმის სახით. რომანტიზმმა შესცვალა ფსევდო-კლასიკური მიმართულება, რომელიც ევროპის ქვეყნების საავაჭრო კაპიტალთან ერთად ჩაისახა და ვითარდებოდა ახალმა ძალამ, ვაჭართა კლასმა, როცა აღებ-მიცემობამ მტკიცედ გაიდგა ფეხი, დაარღვია ფეოდალიზმის კარჩაკეტილობა და აბსოლიუტიზმის ნიადაგი მოამზადა. ანტიური ქვეყნების სურათი, როცა განუსაზღვრელი იყო იმპერატორების ძალა და დიდება, აბსოლიუტიზმმა იდეალად დაისახა. ძველი ქვეყნები მისი ცხოვრების საუკეთესო ნიმუში შეიქნა და ის ყოველი ღონით ცდილობდა ევროპა ძველი რომის დიდებას დადარებოდა.

ამან ლიტერატურაშიაც ჰპოვა თავის გამოხატულება. იწყება ძველ კლასიკურ ნაწარმოებების ბრმა მიბაძვა. ცენტრალისტური მიდრეკილება, რომელიც ახალ კლასს ახასიათებდა პოლიტიკურ აღმშენებლობაში, შესაფერისად აღიბეჭდა ხელოვნებაშიაც. ასე მაგალითად,—ფსევდო-კლასიკური სკოლის დრამაში უნდა დაცული ყოფილიყო: მთლიანობა ადგილის, მთლიანობა მოქმედების და მთლიანობა დროის.

მაგრამ ფუჭი იყო ეს ბრმა გატაცება ყოველივე ანტიურით. დიდი იყო ძლიერება მონათმფლობელობაზე აგებულ ანტიურ ქვეყნების, მაგრამ იმავე მონათ მფლობელობამ მოუღო მათ ბოლო. ევროპის აბსოლიუტიზმი კი ამ ჩრულ წარმოებასთან აღმოცენდა და გაიზარდა. თუ ანტიურ ქვეყნის მონები მხოლოდ instrumenta vocalia (მეტყველი იარაღი) იყვნენ და უსაქმურობაში ჩაფლული გაბატონებული კლასების მოკმედება მხოლოდ სმა-ქამაში და ფლანგვაში გამოიხატებოდა, სულ სხვა იყო ევროპის აბსოლიუტიზმის სოციალური საფუძველი.

აღებ-მიცემობის თან და-თან გაფართოება წინ მიერეკებოდა წარმოების განვითარებასაც და ამ ჩრული მეურნეობა ადგილს უთმობდა ჯერ მანუფაქტურულ და შემდეგ მანქანურ მრეწველობას. აქ მეტად ვიწრო აღმოჩნდა ფსევდოკლასიციზმის ლიტონი ჩარჩოები. კერძო პიროვნების ახალი გრძნობა და სულისკვეთება აღარ ეხამებოდა ფსევდო-კლასიციზმისაგან შექმნილ ზღუდეებს. ის ვერ თავსდებოდა მის ცივ რიტორიკის და ყალბი პათოსის ფარგლებში. აქედან ჩაეყარა საფუძველი რომანტიულ მიმართულებას თავის მეოცნებე სულით, ამაღლებული გრძნობით და გულუბრყვილო სანტიმენტალიზმით. ფსევდო-კლასიციზმი პოეზიას ცხოვრების უბრალო გასართობად სთვლიდა, მას ის გამაძღარ კუჭის დამახმარებელ საშვალებად მიაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Поэзия тебе любезна,
приятна, сладостна, полезна
как летом вкусный лимонад."

ასე სწერდა დერჟავინი ერთ თავის ოდაში. სამაგიეროთ რომანტიზმმა ხელოვნება ფეტიშად გამოაცხადა, მისი დევიზი იყო ხელოვნება ხელოვნებისათვის:

„И был завет ее—искусство для исскуства.
И был закон ее служение красоте [1])

ასეთია რომანტიზმის წარმოშობის მოკლე ისტორია და რუსეთი, როგორც ევროპასთან ერთი გზით მავალი ქვეყანა, ამ საერთო გზას არ ასცდენია.

კერძოთ რომანტიულ სკოლის მამა-მთავარი აქ ჟუკოვსკი და კარამზინი იყვენ. ამ სკოლის გზას უნდა დასდგომოდა ქართული სიტყვა-კაზმული ლიტერატურა რუსეთთან შეერთების შემდეგ და ეს ასეც მოხდა. მაგრამ რა სახე უნდა მიეღო რომანტიზმს ჩვენს სინამდვილეში? საით უნდა გადახრილიყო მისი განვითარების გეზი?—რომანტიზმის გამასხვავებელი თვისებაა მისი უსაზღვრო გრძნობიერება. გრძნობა კი სხვა და სხვა გვარია, ის ტკივილებსაც გამოხატავს და სიხარულსაც.

ამბ. ა. ლუნაჩარსკი რომანტიზმის შესახებ სამართლიანად შენიშნავს: „ყოველი კლასი, რომელიც ბრძოლაში იზრდება—რომანტიულია, და მისი რომანტიზმი „ქარიშხალისა და შტორმის" ტიპიურ სახეს ღებულობს; **ყოველი კლასი რომელიც განწირულია რღვევისა და ჭკნობისაკენ—რომანტიულია სხვანაირათ, მისი რომანტიზმი მოწყენილობის და სასოწარკვეთილების რომანტიზმია**". 2) რაღა თქმა უნდა, რომ ქართული რომანტიზმი ამ უკანასკნელი თვისების რომანტიზმი იქნებოდა. კლასი, რომლის პოლიტიკური იდეალები დაიმსხვრა, კლასი, რომელიც მხოლოდ საზოგადოებრივ-პარაზიტულ ელემენტს წარმოადგენდა და დღითი-დღე თავის დასასრულის უფსკრულს უახლოვდებოდა, შეითვისებდა და განვითარდებოდა მხოლოდ სასოწარკვეთილების და უიმედობის რომანტიზმს. ამიტომ მოხდა, რომ რომანტიულ სკოლის ამ სახემ საქართველოში პოხიერი ნიადაგი ჰპოვა და მეტად განვითარდა.

მისი პირველი მახარობელი ჩვენს ლიტერატურაში ალ. ჭავჭავაძეა, რომელიც ცალი ფეხით სპარსულ ეროტიკის გავლენის ქვეშ იდგა და ცალით რომანტიზმის. მისი „გოგჩის ტბა" ქართულ პოეზიაში რომანტიზმის მელანქოლიით მონაბერი პირველი ლექსია. ალ. ჭავჭავაძეს მიჰყვება გრ. ორბელიანი და შემდეგ თვით ნ. ბარათაშვილი, რომლის კალმის ქვეშ ქართულმა რომანტიზმმა განვითარების უმაღლეს საფეხურს ძიალწია.

ამნაირად, რომანტიულმა სკოლამ თავისი ცოცხალი ფანტაზიით ოცნების სამყაროში გადაიტანა ქართველი თავადის ჭკუა-გონება. ამით მოესპომას ოვალურ სფეროში მოღვაწეობის ყოველივე უნარი. ის მხოლოდ წარსულის გალი-

1. С. Я. Надсон „Поэзия".
2. А. Луначарский „Культурные задачи рабочего класса". Петроград 1919 г.

უცინაციებით სცხოვრობდა. სინამდვილემ დაჭარგა ფასი. მხოლოდ რცნება ღა შეიქნა იმედის ნოგეზათ; წარსული დროით გატაცება ავათმყოფურ ლირიზმათ გადაიქცა. ამიტომ გასაგებია ის მოთქმა-გოდება, რომელიც ასე ახასიათებს ბარათაშვილის პოეზიას. ამიტომ ა, რომ მისი ჰანგი ურეითაა და სევდითაა გამსჭვალული. როგორც სევდის მგოსანს, ბარათაშვილს ბადალი არ მოეძებნება ჩვენს ლიტერატურაში. მისი პოეზია ყველაზე უფრო ნაღვლიანი და პესიმისტურია.

მაგრამ პესიმიზმი მხოლოდ ქართული მწერლობის სტუმარი როდი ყოფილა. ის ყველა ხალხის ხვედრი გამხდარა, სადაც კი ჰქონდა მას ასეთივე ნიადაგი, როგორც ეს საქართველოში იყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. იმის და მიხედვით, რა როლს თამაშობდა ესა თუ ის კლასი ქვეყნის მეურნეობაში, ყოველთვის განისაზღვრებოდა მისი შემოქმედების სულისკვეთება.

პესიმიზმმა ფართე ნიადაგი ჰპოვა ანტიურ ქვეყნების გაბატონებულ კლასებში, როცა ინგრეოდა ამ კლასთა მონათმფლობელობაზე აგებული ტახტი და პარაზიტიზმი ფეხიდან აცლიდა მას დაბაყრდენ ძალას—ეკონომიურ სიმდიდრეს. პესიმიზს იცნობს ფეოდალური ქვეყანა, რომელიც დაანგრია ალებ-მიცემობაზე აგებულმა მეურნეობამ. იტალიელი პესიმისტი მგოსანი ჯოკამო ლეოპარდი, რომელიც ფეოდალურ არისტოკრატიის ღვიძლი შვილი იყო, ასე მოუწოდებდა თავის თანამედროვეებს: „მოკვდით, რადგან ცხოვრებაში აღარაფერია მეტი საინტერესო და რაინდული. ნუ მიჰყვებით ჩარჩებს და ქიმიკოსებს, რომლებიც ან დროის მერკანტიულ საჭიროებაზე ზრუნავენ, ან ბუხების დამარცხებას ფიქრობენ თავიანთი გამოგონებითო". ასევე საძულველი იყო ცხოვრება ფრანგ პოეტის შატო ბრიანისათვის, რომელიც სასტიკი წინააღმდეგია საფრანგეთის რევოლიუციის და კატოლიციზმს თავგადმოდებით იცავს. „ეძებეთ ხსნა მონასტრებში და გასტეხეთ შუბი პაპის თავისუფლებისთვისო"—ამბობდა ის.

ანტიურ პროლეტარიატის ორივე ფრთამ, როგორც მონებმა, ისე ლუმპენ-პროლეტარიატმა, პესიმიზმის უდიდესი კვალი დასტოვა კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის ქრისტიანობა. მაგრამ აქ ანტიურ პროლეტარიატის პესიმიზმმა ისეთი გამოხატულება ჰპოვა, როგორც ეს მის სოციალურ ბუნებას შეშკენოდა. არა ბრძოლა იმ ქვეყანასთან, რომელიც მას სულს უხუთავდა და გასაქანს არ აძლევდა, არამედ მორჩილება, ოცნებობა სხვა ქვეყანაზე და ასკეტიზმი. უდაბნოთ გავარდნა, გამოქვაბულებში ცხოვრება, საკუთარ თავის ღვთის ზვარაკად მიტანა და მის ლოცვაში სიმშილით სულის განტევება.

აქედან ცხადია, რომ პესიმიზმი სრულიად ბუნებრივი და პრაქტიკულად აუცილებელი მოვლენაა, რომელიც შეორდება ყოველი კლასის ცხოვრებაში, როგორც კი ის შესაფერის ეკონომიურ პირობებში მოექცევა. თუ მე-19 საუკუნის პირველ ნახევაოში პესიმიზმმა ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში პირველად ჰპოვა თავისი უაღრესი განვითარება, ეს ადვილი გასაგებია. საქართველოს ცხოვრებაში პირველად ჰქონდა ადგილი ისეთ შემთხვევას, როცა მისი სოციალურ შემადგენლობის ერთი ნაწილი, ფეოდალურ არისტოკრატიის სახით —სრულ გადაჯიშების გზაზე შედგა.

ამ დროსთან შედარებით არაფერი იყო ის აოხრება-აწიოკება, რომელიც საქართველოს განეცადა სპარსეთ-ოსმალეთის შემოსევით, ან არაბების სამასი წლის ბატონობის დროს. სულ სხვა იყო მაშინდელი დამონებული საქართველო, როცა ქართველ თავად-აზნაურობას მხოლოდ ხარკის ფალანდა და მაჰმადის ქუდის დაჰხურვა შეელოდა, და სულ სხვა აღმოჩნდა რუსეთის ბურჟუაზია, რომლის წინააღმდეგ არც ქუდის გამოცვლა დარჩა საკმარისი, არც ქულაჯის სმოკინგზე შეცვლა, არც ბარათაშვილის ბარათოვათ გადაკეთება, არც მთელი პოლიტიკურ უფლებების დათმობა. პავლე I-ლ ფსიქოპატის და ნიკოლოზ პალკინის შემოსევა სრულიად არ გავდა მურვან-ყრუს, თემურლენგის და შაჰ-აბაზის შემოსევას. ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიას პირველად შეუხვდა საქმის დაჭერა უცხო კლასთან, როგორიც იყო რუსეთის აგრარული და სამრეწველო ბურჟუაზია. მათი საქართველოში შემოსვლით ამ წოდებას არა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობა უნდა დაეკარგა, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეკონომიური კეთილდღეობაც-კი. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ პესიმიზმმა ქართულ ლიტერატურაში რუსეთთან შეერთების პირველ ხანებიდანვე მოიკიდა ფეხი და მით უფრო ძლიერდებოდა ის, რაც უფრო იდგამდა ძირს ჩვენს ქვეყანაში ახალი ძალა.

ბარათაშვილის დროს ნაცადი იყო ძველი მდგომარეობის დაბრუნების ყოველივე სახსარი, ამოწურული—ყველა საშვალება. ამას იქით წასვლა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ, სანამ კრთოდა ბედის ლამპარი, სანამ გულში იმედი ღვიოდა, პესიმიზმი მთავარ მოტივათ კიდევ არ გადაქცეულიყო. მაგრამ აჯანყებების ცდამ და ეკონომიურმა სიბეჩავემ, რომელიც პოლიტიკურ მარცხთან ერთად თავს დაატყდა თავად-აზნაურობას, იმედი საესებით გადასწყვიტა. ეხლა „ბოროტი სული“ დაეპატრონა ქართულ პოეზიას. პესიმიზმმა ფართეთ გაშალა ფრთები და საესებით დაჩრდილა სიცოცხლის ის მბჟუტავი შუქი, რომელიც აქამდე კიდევ ანათებდა შავს დღეებს.

სხვა იყო უსასოება ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“-ში და სულ სხვა შეიქნა ის ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარ“-ში. მწუხარებით იყო აღსავსე ქართულ თავად-აზნაურების ცხოვრება. აი, რას სწერს ბარათაშვილი ორბელიანის ქალს:

„კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ, ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ.“

— „არ დაიჯერებ მაიკო—სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავნი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში“.—

ასეთი იყო არა მარტო ბარათაშვილის სიძულვილი „საძაგელ ქვეყნისადმი“, არამედ სხვა მისი ამხანაგებისაც.

აი რას სწერს ლევან მელიქიშვილი გრ. ორბელიანს პოეტის სიკვდილის შესახებ:

„Тяжело мой Григорий, тяжело потерять человека, который теплым сердцем и теплою душою мирил нас с людьми, с этими созданиями ничтожными, слабыми, черными и злобными. Тяжело осиротеть душою“. და ბარათაშვილის დაობლებული სულით გამსჭვალულ ლექსებს ბანს აძლევენ ყველა მისი თანამედროვე პოეტები, რომელნიც კი აიღებენ ხელში კალამს. აბა, მოუსმინოთ რას სწერს ბარათაშვილის მეგობარი მიხ. თუმანიშვილი თავის „უდაბნო“-ში:

„ვის არ გიხილავსთ უდაბნო ბნელი,
სად მთვალნი მზისა შუქსა ვერ სჭვრეტენ,
სად ვერაბადა მოსჩანს ყოველი
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ.
ვის არ გიხილავთ იქა ხე მწარედ
გულნამომწვარი ცეცური ცეცხლით,
და მაღალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ
გარდმოკიდული დამჭკნარ ტოტებით.
ეს არს მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი.—
მეც ეგრედ ვიქმნენ დღეგანამწარი:
ვერცა მეახლოს ტკბილი იმედი,
ვერცა აყვავდეს მით გული მჭკნარი“.—

ასეთივე კილოთი და სულისკვეთებითაა დაწერილი თუმანიშვილის „სალამურიც“. მწუხარებით და მოწყენილობით ჰფეთქს ყველა იმდროინდელ მგოსნების დაოსებული გული და შავი აჩრდილი დასტრიალებს მათ თავზე.

მაგრამ რომანტიკოს მგოსნის საყვარელი ჩვეულებაა ბუნებასთან ბაასი და ისიც იქით გარბის ტანჯულ სულის მოსაბრუნებლად. ფოთოლთ შრიალს, წყლის ჩუხჩუხს ის ცოცხალ სულს შთაბერავს და აამეტყველებს. მაშინ სცხრება მის თვის ადამიანის ავი ენა და ისვენებს „მკმუნვარება შემოსეული“ სული. „ბუნების „მჭვრეტელს ავიწყდება საწუთროება“; მას უყვარს „წყალთ დუდუნხე უკუღმართისა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა“. ამ გრძნობამ თავისი უმაღლესი გამოხატულება ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმიდაზე“-ში ჰპოვა. აქ პოეტის ფანტაზია ისეთ ნისლში ჰხვევს მთაწმინდას, რომ არა თუ მთაწმიდის არ მნახველი კაცი, არამედ თვით ამ მთის ძირში მცხოვრები ადამიანის ცოცხალ წარმოდგენასაც კი გაუძნელდება, რაიმე მზგავსება გამონახოს პოეტის მიერ შექმნილ სურათსა და აწერილ საგანს შორის. მართალია ეს მთა მას შემდეგ გადასხვაფერდა, გარეთუბანი, სადაც დღეს რუსთაველის პროსპექტი გაჭიმულა, მაშინ კიდევ ნაკლებად მოშენებული ადგილი იყო, მაგრამ თვით უდაბური ტყით შემოსილი მთაწმინდაც არ ეხამება იმ სურათს, რომელიც მგოსნის წარმოდგენას დაუხატავს.

ასეთია ტანჯული გულის ბუნება. ის ეძებს მას, რაც შორს არის მწარე სინამდვილიდგნ, ის ისახავს მას, რასაც მხოლოდ ოცნებით მისწვდება. აქ აოის მისი ავი და კარგი, ამით განისაზღვრება მისი „სევდიან გულის სენის განქარვება“. უფრო საინტერესო-კი ნ. ბარათაშვილის ის ლექსია, სადაც, ბუნებასთან

ბაასის დროს, ის ცხოვრების მიზანს ჩაუფიქრდება და მას თავისებურ განმარტებას აძლევს. საინტერესოა ეს ლექსი იმით, რომ აქ წამოყენებულია საეკუნოებით „გადაუწყვეტელი“ „ყოფნა-არ ყოფნის“ საკითხი. ასეთია ბარათაშვილის ლექსი „ფიქრი მტკვრის პირად“.

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი.
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიელოს, ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს“.—

ასეთი სიტყვებით ასრულებს პოეტი ლექსს. ამნაირათ, „ჩვენი ყოფა-წუთი სოფელი“ არის „საწყაული აღუვსებელი“. ადამიანი ვერ ჰპოვებს ამ ქვეყნად ბედნიერებას. ის მხოლოდ სურვილით სცხოვრობს, სურვილი-კი იშვიათად შეესრულდება. ასრულების შემდეგაც კვლავ ახალი ლტოლვის საგანი ესახება და ის მაინც უბედურია. ერთი სიტყვით ბედნიერება ხელშეუხლებელი და მიუღწეველია აწყმოში, ის არ ყოფილა წარსულში და არ იქნება მომავალში, ის მხოლოდ გარბის ადამიანის წინ, როგორც მისი ლანდი, მისი მოჩვენება.

„Непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлунного наполнили душу ужасною пустотою,“ სწერს ბარათაშვილი ზაქ. ორბელიანს. ამიტომ სრული ბედნიერება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დროსა და სივრცის გარეშე. ის მხოლოდ იქ უნდა იყვეს, სადაც სიცოცხლე არაა, სადაც უმოქმედობა, დუმილი და სიწყნარეა. აკი ამიტომ უყვარს პოეტს სიჩუმე და გარინდება. ამიტომაა, რომ ჩუმნი მეგობარნი „მის ტანჯულ გულს ეთანხმებიან“; ამიტომაა, რომ წყნარს საღამოს, ვით მეგობარს შესტრფოდა ის, რადგან მისებრ „იგიც იყო მწხარ და სევდიანი;“ ამიტომაა, რომ ის ასე მოკრძალებით ეეედრება ღამეს: „მომეც მე სადგური მყუდროებისაო“; ამიტომ უყვარს პოეტს „ღამე და სასაფლაო“. „Скажу что прекрасное изобретение кладбище“- სწერს ბარათაშვილი ერთ თავის წერილში.

სასაფლაო სიკვდილისა და დუმილის, სიცოცხლის დასასრულის განსახიერებაა და პოეტის გულს ერთობ ეახლოვება ის. აქ ის უფრო მაგრად გრძნობს თავს, ვიდრე მის გალავნის გარეთ. ასეთია პესიმისტ მგოსნების საზოგადო თვისება: ოცნებობა, მოთქმა-გოდება სასაფლაოზე და კუბოებზე ლექსების წერა. ცხოვრებიდან განწირული კლასი, რომელიც უფსკრულის პირზე დგას და, რომელსაც ტანში სიკვდილის ერუანტელი უვლის, კუბოსა და სასაფლაოში თავის დასასრულის ემბლემას ხედავს და მისდამი ტრფიალებით იმსჭვალება.

უბედურებისაგან გაქცევით, დადუმებით და უმოქმედობით თავის შველა— ეს ის გზაა, რომელიც შეუძლია გამოხახოს მხოლოდ პარაზიტულ კლასს. უსაქმურობა და განცხრომით ყოფნა, რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში, ჰბადებს ამგვარსავე მიდრეკილებას ფსიქოლოგიაშიაც. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ბარათაშვილი ასე შეტრფის თავის ყმაწვილობის ჟამს: როცა მას სევდა და ჯაერი არ აწუხებდა; როცა ის ვერ გრძნობდა ვერც ავსა და ვერც კარგს; როცა ის სოფლის გარეშე იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა ვსცან პირველად წუთი სოფელი,
დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
ჰსურთა, თავზ-ოდილთა, მეგობართ შორის,—
მას აქეთ ხმა რამ თანსდევს ყოველთა
ჩემთა ზრახავთა და საწადელთა.-"

ამით აიხსნება პოეტის უსაზღვრო სიყვარული „ჩჩვილი" ყრმისადმი, რომელმაც არ იცის არც მომავალზე ოცნებობა, არც წარსულზე ფიქრი და არც აწმყოზე ზრუნვა. ის უფრო ენათესავება ცხოვრებისგან მოღლილ მგოსნის გულს, რადგან „ჩჩვილი" ყოველსავეს შეუპოვრად „მჭვრეტელობს" და „არ განიცდის საწუთროს ვნებას". ამიტომაა, რომ ასე ტკბილად ეალერსება პოეტი მას:

„მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურისა მის ხმის...
მის სოფელი უზრუნველობით ჰშენობს;
გარდა დედის ალერსისას, არ ოას ჰგონობს;
ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს:
ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს.
არა ფიქრობს იგი თავის ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას:

და სწორედ ამიტომ შესწყურება პოეტი ბოროტ სულს, რომელმაც მას „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება მოუკლა".

მაგრამ ყველაზე უფრო მეტის ძლიერებით, როგორც ეს შეეძლო ბარათაშვილის პოეტურ ნიჭს, წუთი სოფლის უარყოფა და მისგან გაქცევა, პოეტმა თავის „მერანში" გამოხატა, რომელიც ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის მარგალიტათა ცნობილი, არა მარტო ბარათაშვილი, მთელი თავად-აზნაურობა იჯდა მაშინ ამ გიჟ მერანზე და მას „ბედის სამზღვარის" გადატარებას ეკედრებოდა. შავი ყორანი უკან რომ მოსჩხაოდა „დაქანცულობით თავგანწირულ მხედარს", ეს ისტორიის „მსაზვრალი ხელი" იყო,—ახალი ძალა, რომელიც მას ცხოვრებისა ესპარეზიდან მიერეკებოდა.

ამ ლექსში პოეტის სასოწარკვეთილება იქამდი მიდის, რომ თუ წინად მას მამა-პაპათა დიდების ტკბილი მოგონება გულს მაინც უმშვიდებდა, ეხლა მისი დამაშვრალი სული ამაზედაც უარს ამბობს. აღარ უნდა მას არც „წინაპართ საფლავებს შორის" დამარხვა, არც საფრთოს ცხარე ცრემლები, ის მხოლოდ ერთს ეხვეწება თავის მერანს: „გასწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი"-ო. მას სურს როგორმე თავი დააძროს „შავად მღელვარ ფიქრს", უნდა ერთხელ და უკანასკნელად გადალახოს ის და ამიტომ ევედრება მერანს სიჩქარეს, რაც შეიძლება მეტ სიჩქარეს, რომ აღარ მისწვდეს მის ყურს შავი ყორნის გულშემზარავი ჩხავილი, რომ დააწყნაროს მოუთმენელი გული და თავის ოხვრა, „კვნასა გულისა" ზღვის ღელვას და მერანის „მშვენიერს, აღტაცებულს, ვიჟურსა ლტოლვას" მისცეს. ამიტომ პოეტი ეუბნება მას:

„გაჰკვეთე ქარი, გაიპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაჰკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა საგალობი დღენი.
ნუ შეეფარები, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ მოქანცულობით თავგანწირულსა ბენსა ბნდარსა.—
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნული ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ-მოუბარსა,—
საც დანილამცეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა. თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო.
კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივსცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას.
გსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი“...

მაგრამ ბარათაშვილი მოკვდა ისე, რომ საფლავში თან წაიღო საკუთარი იჭვიანობა, შიში და მწუხარება. მის სიცოცხლეში არსად და არასოდეს ნათელი შუქი არ გამოჩენილა. ის თვითონაც გრძნობდა თავის ამგვარ ხვედრს. მან კარგად იცოდა, რომ ფუჭი იყო „ბედის სამხლვარის“ გადალახვის ცდა. ამიტომ იყო, რომ ჯანლონით სავსე, ოცი წლის ჭაბუკი ბარათაშვილი სწერდა:... „...მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ, და მით კაეშანს ვერცა ვიშორებ“-ო... თუ ბარათაშვილის თანტოლი და მასთან ერთ დროს მოღვწე ლერმონტოვი წუთი სოფელს უწოდებდა! „Мир печали и слез“, სამაგიეროდ იყო მის განცდაში ისეთი წუთებიც, როცა ის შეჰხარის ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და ამაყოფილებით ამბობს.

„Тогда смирается души моей тревога,
Тогда расходятся морщины на челе,
И счастье я могу достигнуть на земле,
И в небесах я вижу бога“.

ბარათაშვილის პოეზიაში ასეთ განცდას ადგილი თითქმის არა აქვს. წუხილით და გოდებით იწყება მისი შემოქმედება—მოთქმით და ურვით თავდება ის. ბარათაშვილის პოეზია მტლად დაედვა ქართველ თავად-აზნაურობის „შავ ბედისწერას“. იმან შესვა და ამოსწურა მგოსნის მდიდარი ნიჭიდან შემოქმედების მთელი შარბათი. და, რაღა თქმაა, ბარათიშვილის მტირალი ჩანგი, მისი მოთქმა-გოდება ისტორიისაგან განწირულ კლასის გამოტირილია. ის გლოვის ზარია გათხრილ საფლავთან მდებარე ძველი საქართველოს გვამზე და ამ პოეტთან ერთად დასტირის მიცვალებულს მთელი მისი თანამედროვე მგოსანთა ჩანგი.

მოწყენილობის კილოსთან ერთად რომანტიკოს პოეტებს ხშირად სჩვევიათ უფრო თავიანთ თავზე ლაპარაკი, საკუთარი გრძნობის და განცდის გადმოცემა, ვინემ საზოგადოების, ან გარეშე პირის. ამიტომ ჩვეულებათაა მიღებული, რომ ასეთ მგოსნებს ინდივიდუალისტი უწოდონ. აქ პოეტი წარმოდგენილია მისი განსაკუთრებული გრძნობისა და აზროვნების ჭიეკნით, რომელსაც ეაქმე არა აქვს გარეშე საზოგადოების ყოფა-ცხოვრებასთან. აქ ის თავის თავს ებაასება, ის ქვეყნის გარეშე სდგას.

ბარათაშვილსაც აქვს ასეთი ლექსები. მთელი მისი სიმღერის საგანი მცირედი გამოკლებით, საკუთარიევე თავია. „მიმიფრენს **ჩემი** ფიქრები", „ვინ მოგიხმო **ჩემად** წინამძღვარად", „რად მრისხანებ **ჩემის** ბედის ვარსკვლავო"... „თვალთა **ჩემთა** ადავრიშებენ" და ასე ამ გვარად, პოეტს უფრო ხშირად საკუთარ გრძნობებთან აქვს საქმე. ამიტომ მას ჩვენში უკიდურეს ინდივიდუალისტად სთვლიან[1]). მაგრამ ავიწყდებათ, რომ პოეტი იმ წრის ენით ლაპარაკობს, რომელშიაც სცხოვრობს, რომ ის ყოველივეს თავისივე საზოგადოების თვალით უყურებს და ყურით უსმენს.

ზოგიერთების აზრით ინდივიდუალიზმი ინდივიდუალიზმია ყველგან და ყოველთვის. ის მგოსნის განსაკუთრებულ განწყობილებითაა გამოწვეული, რომელსაც საქმე არა აქვს წუთი სოფლის ამაოებასთან. ის ამ სოფლისგან დამოუკიდებლად გრძნობს და აზროვნობს. აქ საკმარისი ხდება, როგორც ზევით დავინახეთ, მოიყვანოთ პოეტის ნაწარმოებიდან შესაფერისი ადგილი, რომ აზრი დამტკიცებულად ჩაითვალოს. ამას იქით მიზეზის გამოკვლევა ალარ მოდის.

ბარათაშვილის გრძნობა მთელი მისი წოდების იმდროინდელი გრძნობაა, მისი ტკივილი საზოგადო ტკივილია. რა უყოთ, რომ პოეტს თავის ლექსში ყველგან საკუთარი „მე" აქვს ხედველობაში?—ეს მხოლოდ მისი პოეზიის გარეგნული სახეა და არა შინაგანი. ის მარტო გარეგნულად არის ინდივიდუალისტი, აქ მხოლოდ მოჩვენებითი ინდივიდუალიზმთან გვაქვს საქმე და არა მგოსნის დამოუკიდებელ და განყენებულ გრძნობასთან.

პროლეტარიატისათვის ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს ამა თუ იმ პოეტის პირადი და დამოუკიდებელი განცდა, თუ კი ასეთს შეიძლება ადგილი ექნეს. ყოველი მგოსნის შემოქმედება მით უფრო ყურადსაღებია, რამდენადაც მასში თავმოყრილია კოლექტივის სული და გული, რამდენად ის მასის გრძნობას და მიდრეკილებას გამოხატავს. ბარათაშვილის პოეზიაში ასეთი ღირსება არის. მის ჩანგს საკუთარ კოლექტივის დაღი აკრავს და ამით იმსახურებს ის სხვათა შორის ჩვენს ყურადღებას.

ზემოთ დავინახეთ, რომ რომანტიკოს პოეტების შემოქმედება „წმიდა პოეზიით" მონაბერი ქმნილებაა. ბარათაშვილი, როგორც ტიპიური რომანტიკოსი, წმიდა სილამაზეს სხვაზე ნაკლებ არ ეთაყვანება. მისი მელანქოლიური სული უარს ამბობს ხორციელ სილამაზეზე და ზეცისკენ მიეშურება. ის ეძებს მხოლოდ „ზეცით მოსულ" მშვენიერებას. მხოლოდ ასეთი სილამაზით „ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული". ამნაირად ბარათაშვილის პოეზია წმიდა სილამაზის პოეზიაა. ის მხოლოდ ამ სილამაზეს „უკმევს სამადლობელ გუნდრუკს".

ბარათაშვილი პირმშო შვილია თავის წოდების. ის მასთან იყო სულით და ხორცით. ეს წოდება კი რომანტიული შეიქნა მთელი არსებით. მისი რომანტიზმი ურეკასა და გლოვაში გამოიხატა. ამ წოდებას უყვარდა „უკულმართთა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა" და ოცნების ქვეყანაში მოგზაურობა. ეო-

[1]) გ. ქიქოძე. ნ. ბარათაშვილის ლექსები, ბედი ქართლისა. წერილები ტფილისი. გამოც. 1922 წ. გვ. 186 და 187.

ველივე ხორციელი და ხელშესახები მას მწარე სინამდვილეს აგონებს, ამიტომ ის გარბის ცრუ სოფლიდან და ზიზღს უცხადებს მას. ამ მიდრეკილებამ თავისი სახე ბარათაშვილის პოეზიაშიაც გადაიტანა და მისი შემოქმედება—ნამდვილ—წმიდა სილამაზეს შემოქმედებათ გადააქცია.

ბარათაშვილის შემდეგ ვახტანგ ორბელიანმა ნაწილობრივად და შემდეგ ილიამ და აკაკიმ ჩაუყარეს საფუძველი ქართულ მხატვრულ მწერლობაში ეგრედ წოდებულ სამოქალაქო მოტივს. ბარათაშვილის მთელ შემოქმედებას-კი წმიდა სილამაზის შუქი აციმციმებს. განსაკუთრებით ის თავს იჩენს შემდეგ ლექსში:

„რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას.—
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას:
რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა,—
ჰგავს არ პასუხს სცემ შენ **მას სულით მშვენიერითა.**
სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
და ვით ყვავილი თავისს დროზედ მსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები.—
მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნალდება ყოველი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა.—
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ბანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით გაუხსენელად დამტკიცებულსა.—

ასეთი იყო პოეტის დაუსრულებელი ტრფიალი ცისადმი. ის ცაზე ფიქრობს და ოცნებობს, მისი ფერი და შუქი განუყრელად მასთან დაიარება.— „ჰე, ცაო, ცაო ხატება შენი ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული",—ეუბნება მგოსანი ცას. ამიტომ იყო რომ, მის დროს ფორტოპიანზე სამღერალი რუსული ლექსი: „Черный цвет, мрачный цвет, ты мне мил навсегда". მან თავისებურად გადააქართულა და შავის ფერის ნაცვლად ცის ფერს უმღერის:

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს
სიყრმიდან ვეტრფოდი.

ამ ლექსში რამდენი ტაეპია, იმდენი ცის ფერის ხოტბა დიდებაა. და განა მარტო აქ?—ბარათაშვილის მთელ შემოქმედებაში ხშირია ცის ფერის თაყვანება: მას უყვარს „ლაჟვარდი ცისა კამარა"; მას სწვავს „ციური ცეცხლის" ნაპერწკალი; ის შეჰხარის „ცას მოწმენდილს და ცას მშვენიერს"; ის ბედნიერია, როცა „მცირითა შუქით გადაეყრება დიდ სამქუხარო, საავდრო ცასა ლრუბელი"; ის „შესტრფის" ცისფერის უხრწნელ მშვენიერებას" და ასე დაუს-

რულებლივ. ცის ფერით გაჯაცება მარტო ბარათაშვილის თვისებას როდი შეადგენს?—ასეთია რომანტიკოს მწერლობის დიდი უმრავლესობა,—ასეთია ლერმონტოვის სილამაზის საგანიც, რომლის ლექსებშიც [illegible] ვხვდება. „Струя светлей лазури", „в тумане неба голубом". „синие горы" და სხვა. ლერმონტოვსაც უყვარდა ლაჟვარდოვანი ცა. ნ. ბარათაშვილისათვის კი ყოველივე ციურს არა ჩვეულებრივი მაგიური ძალა ჰქონდა:

„ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა.—
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად"...

„რადგან სიტურფის ღმერთამ სულსა მოჰბერა ცის ნიჭი ქვეყნად და ჰქმნა იგი მგოსნათ", ამიტომ ცხადია ცა არის ის სიცოცხლის და უკვდავების წყარო, საითაც უნდა მიილტვოდეს პოეტის სასომიხდილი სული. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ გვარი იყო მთელი ჭართველი თავად-აზნაურობის ლტოლვა. აქედან ცხადია, რომ თვით ფერის არჩევაშიც, სილამაზის ძებნაში, პოეტი არ ღალატობს თავის წრეს. მის სილამაზესაც კლასიური დალი აზის.

ქვეყნიურ ღელვით მოქანცულ ფეოდალის სულს ცის ფერი მოსწონს. მასში ის ორგანიულ კავშირს პოულობს, იქ გადასასახლებლად ეზადება ცრუ სოფლით დაოსებული მისი სული,—ცა მისი მომავალი და სამარადჟამო ნავთსაყუდარია;

ტყუილად კი არ სწამდა ბარათაშვილს ამ ქვეყნის არსებობა, ტყუილა კი არ ინუგეშებდა იმით გულს, რომ იქ გასწორდება ბრალიანი და უბრალო:

„.....ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,
რომ არის სხვა სოფელი;
ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო,
მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი."—....

ასე ამბობს პოეტი ქეთევანის პირით ერთ თავის ლექსში. და ეს „სხვა სოფელი" მას, რასაკვირველია, წარმოდგენილი ჰქონდა არა დედა-მიწაზე ან მის ქვესკნელში, არამედ მაღლა, ცის ლაჟვარდოვან თაღებში.

დიდი ადგილი აქვს ნ. ბარათაშვილის პოეზიაში სიყვარულის გრძნობასაც მისი ლექსების უმრავლესობა გულის სატრფოსკენ არის მიმართული. მას, როგორც ეს რომანტიკოს მგოსანს შეეფერის, მთელი გრძნობა აქვს ჩაქსოვილი სიყვარულის ლექსებში. მაგრამ რომანტიკულმა სკოლამ სიყვარულის გაგებაზეც თავის ელფერი დააჩნია და ისეთ სამოსში გახვია ის, როგორც ეს შეეძლო მხოლოდ მის ფანტასტიურ ბუნებას.

აქ სიყვარულის საგანი მეტად შორსა სდგას იმ სატრფოსგან, რომელსაც პოეტი უგალობს. ის პოეტის კალმის ქვეშ ზეციურ თვისებებს ღებულობს, მოკლებულია ყოველივე ამ ქვეყნიურს და წაკითხველის წინ რაღაც მითიურ არსებად იხატება. ის თითქოს არც სუნთქავს, არცა სჭამს, არც შრომობს და არც იტანჯება. ერთის სიტყვით წუთი სოფლის შვილი არაა, ის ცით მოსულია, კიდევ მეტი: ის „სიტყვის ღმერთაა". რამ გამოიწვია სიყვარულის საგნის ამგვარი „ციურობა".—

შეძლებული წრის ქალი, თავის უსაქმურობით, შორდება ცხოვრების ყოველდღიურობას და მამაკაცის თვალში მართლაც ლითაებრივ ქმნილებას ემზგავსება. ამიტომაა, რომ ის ჰაეროვანს ედარება და არა ხორცეულს, ფიზიკურ არსებას. ასეთი იყო ზეხედულება ქალზე ფეოდალურ არისტოკრატიის წრეებშიც, რომელიც სხვისი შრომით არსებობდა და არ ყოფილა უშუალოთ ჩაბმული წარმოებაში. ასეთი იყო ქართველ თავად-აზნაურობის მანდილოსანთა მდგომარეობაც. მაშინ, როცა ამ წოდების მამაკაცებმა სავსებით გასწყვიტეს კავშირი ქვეყნის მეურნეობასთან, ქალები სრულიად მოსწყდენ ამ ქვეყნიურ საქმიანობას და თავის გარჯათ მხოლოდ სილამაზეზე ხრუნვა გაიხადეს. ამას ვხედავთ ჩვენ, სხვათა შორის, თვით ბარათაშვილის მიწერ-მოწერებიდან. მის მეგობარ ქალს მაიკო ორბელიანს, ერთ თავის წერილში, პოეტი სწერს ნახიჩევანიდან:

„კრიანოსნები გეთხოვნათ; მე დიდიხანია თავრიზიდან ხუთი კრიანოსანი დავიბარე; აქამდისინ კიდეც უნდა იყოს მოსული კარანტინში, მაგრამ ჯერ კი არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ, ამიტომ, რომ მაგისთანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა, ხომ გაგიგონიათ: რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად.—და რადგან პირველად ტასოს გამოუგზავნე ამისათვის, რომ არ ეწყინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგისთანა კრიანოსანი.—თუმცა გაჯავრდებით ამაზედ, მაგრამ, მაინც მე კიდევ ასე მოგახსენებთ“.—ამავე წერილს პოეტი ასე ათავებს: „ტასო მოიკითხე და მადლობა უთხარი მოგონებისათვის. „ატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს.“ ეგ ხომ წიგნს ვერ მომწერს: ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვერ ჯსწავლია, და არ ვიცი რომელს ენაზედ დასწერს.—მაიკო ეს რისგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლიდან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს“.

გარდა ამისა ერთ წერილში ნ. ბარათაშვილი ასეთ ამბავს ატყობინებს გრ. ორბელიანს: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, ჰსწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი,—დიდი დაძგერებებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი; დიდი ლამის თევები; დიდი წვეულებები ეოთმანეთის ჯავრით. დაწერილებით მოგწერდი ყოველისფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა“.—„გალავინის ცოლი წავითა,—სწერს პოეტი იმავე ორბელიანის ქალს მეორე წერილში.—და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში გატარებულ დროებას, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასათვის ერთი არ არის. მხოლოდ გუშინსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ მხიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს.....

თუ ნინუცას, ანუ, (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო ან შენ თვითონ ნახო, ჩემს მაგიერ მოიკითხე და უთხარ დიდათ ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო“.....

ამნაირათ, უსაქმურობაში ჩაფლული ქართველი თავად-აზნაურების ქალე-

ბი „კრიანოსნებს“ თავრიზიდან იწერდენ, ჭორიკანობაში ჰკლავდენ დროს და წვეულება-ბალებში მხიარულობდენ. თუ მათ ქმრებს ეთაკილებოდათ ძველი, მოკლე ქართული სახელი და ჩვეულებრივი ხაქროები „ხახარ“ ფარსადანიჩებათ“ გადაიქცენ, აოც ბანოვანთა სქესი რჩებოდა უკან მამაკაცებს და „ნინუცები“ „ანნა ივანოვნათ“ მოხსენებას მოითხოვდენ. მართალი იყო პოეტი, როცა ამ-ბობდა თავის დროის ქალებზე;

„ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ“.—

უსაქმურობამ და პარაზიტიზმმა უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქალის არსებაში. ის გადაიქცა უბრუნველყოფლობის ნამდვილ განსახიერებად. ამიტომ ცხადია ბარათაშვილის უსაზღვრო გატაცება „ქეთევან ჰაეროვანით“, აღვილი გასაგებია, რომ პოეტის „დაბინდებულს“ გულს, მხოლოდ ამ გვარი სატრფოს ეშხის ნაპერწკალი აფენს დროგამოშვებით შუქს. ის დარწმუნებულია, რომ ეს ისეთი მაღალი გრძნობაა, რომელსაც კაცი სახელს ვერ დასდებს:

„ნუ თუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ.—
მაშინ მზეც უსხივ, უცეცხლრდ, შეიძლება ნათვას ვარსკვლავებრ;
მაშინ შეხც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავსები.—
მაშ რათ ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები.....
მაგრამ მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უბრწნელი,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი“..—

მაგრამ ბარათაშვილის პოეზია სინამდვილის და ოცნების შეუთანხმლობის პოეზიაა. ამას ის კიდევაც გრძნობს, როცა ცოდან ძირს დაეშვება და თავის სატრფოს მომაკვდავ ადამიანის თვალით ბისჩერებია. მაშინ სატრფო ჩვეულებ-რივ მიწიერ ბანოვანის სახეს ღებულობს; მაშინ ის ისეთივე ჭორიკანობის და ავ-ენათა გუდაა, როგორც სხვა დანარჩენები; მაშინ პოეტი რწმუნდება, რომ „ცისიერი სატრფო“ მხოლოდ საამური სიზმარია და რომ „სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს“. ეს ყველაფერი მგოსანმა საკუთარ თავზე გამოსცადა, მან იგრძნო რა მწარეა ტკბილი ოცნების უნუგეშოდ გაქარწყლება და ამიტომ არის, რომ თავის მეგობართ ასე გულშემტკივნეულობით აფრთხილებს:

„ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს.—
მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ჭირი:
არ შეემსჭვალოთ, მოკიხკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობისა ცუდ მომლერალსა.—
აშიკის ენა მას ახარებს, მას ახულდგმულებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს.

მაგრამ არა მხოლოდ ზესთაბუნებრივი სიყვარული და მისგან გამოწვეული გულგატეხილობა ახასიათებს ნ. ბარათაშვილის გრძნობას. მის პოეზიას სიყვა-რულის არც სხვა გამოხატულება აკლია. მართალია ამ სხვა სიყვარულს მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს პოეტის გრძნობაში, მაგრამ ის მაინც არ არის

მისთვის უცხო, როგორც განსაზღვრულ წოდების წარმომადგენლისთვის. ესაა ის ხორციელი, ზოოლოგიურ ინსტიქტის მონათესავე სიყვარული ერთ სქესისადმი, რომელიც განცხრომასა და დაუდევრობაში მყოფ კლასის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს და, რომელიც თავის განვითარების უმაღლეს ხარისხამდე მიიყვანა თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნების დეკადენტურმა სკოლამ.

ბარათაშვილის მეოცნებე, ცისკენ მიმფრენი სულიც ვერ გადაურჩა ამ საზოგადო სენს და იმანაც მიუტანა მას მსხვერპლი. მან ვერც აქ უღალატა თავის წოდებას და აქაც მისი სრული გამომხატველი შეიქნა. ამას მიეწერება ბარათაშვილის ლექსები, რომელსაც ის ქალის სპეტაკ მკერდზე გველად გადმოყრილ დალალებს უძღვნის. ამიტომაა, რომ პოეტი ყოველთ გონებას და ყოველთ გრძნობას მას მიაპყრობდა რადგან:

„ლაკნილ ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ,
თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმკებოდენ.

ამიტომ იყო, რომ „ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა", როცა ქალს „ნიავმან თეთრი კაბა მიმოუქროლა" და ამ ფეფებმა" მგოსნის გული და სული „წაიღეს თვისდა". მაგრამ განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს პოეტის ეს გრძნობა ლექს „საყურეში":

„ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თვისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს.
შენის შერხევით, სიო მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს.—
ჰოი, საყურეო,
გრძნობით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს.—
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის.—
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს".—

ამგვარად ბარათაშვილმაც მოუძებნა თავის გრძნობაში ერთი ადგილი ასეთ სიყვარულს და ის თავისებური ნიჭით და სილამაზით წარმოგვიდგინა. მაგრამ

მის პოეზიაში იმდენათ ძლიერია ცისადმი ტრფიალი და მისკენ ლტოლვა, რომ ამ მთავარმა გრძნობამ აქაც თავის გავლენა იქონია. ბარათაშვილის, „ხორციელ სიყვარულის" ლექსები ისე მკრთალად გამოსჩანან მისი შემოქმედების ჰორიზონტზე, რომ მთელი თხზულების წაკითხვის შემდეგ, ... ამ გრძნობის კვალი მკითხველის შთაბეჭდილებაში. ბარათაშვილმა არ უღალატა ამ შემთხვევაში ერთხელვე არჩეულ გზას. მისი ჰანგი არ გადაქცეულა და ვერც გადაიქცეოდა მთლიანად „ფეფეები"-ს მათაყვანებლად.

მაგრამ ხორციელი სიყვარულის გარდა ერთი მსხვერპლი კიდევ მიუტანა ბარათაშვილმა ძველ კერპს. ესაა მისი ეროტიული ლექსები. ეროტომანია, სიყვარილისაგან გახელება, ტყედ გაეარდნა და გაგიჟება, რაც აღმოსაველეთურ პოეზიის გავლენის ნაყოფია ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში. ბარათაშვილმა ის მემკვიდრეობით მიიღო მის წინამორბედ ქართველ პოეტებისაგან და საკუთარი ვერც ამ ჰანგს დააღწია თავი. ამის მაჩვენებელია მისი ლექსი: „ბულბული ვარდზედ". აქ მარტო სათაურიც საკმარისია, რომ გაიგოთ რა სახის ლექსთან გვაქვს საქმე: ბულბული და ვარდი დასაბამიდანვე სპარსულ ლირიკის საგალობელი საგრენია. მაგრამ გარდა ამ ლექსისა პოეტს სხვაგანაც მოეპოება ამგვარი გრძნობის ადგილები, პოეტის ცხოვრებაში არის მომენტი, როცა სატრფოს გამხელებელი შემოხედვა ყველაფერია მისთვის:

„მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობული, გამხარებელი."—

ლამაზი თვალების ბასრობა გონებას ართმევს პოეტს და ის ეუბნება მათ: „თვალნო, ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას, თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?"

ამრიგად, ბარათაშვილის პლატონიურ სიყვარულის გვერდით, თუმცა უფრო ნაკლები ძლიერებით, უფრო ნაკლები ელფერით, მაგრამ მაინც ჰპოვა ადგილი, როგორც ხორციელ სიყვარულმა, აგრეთვე გიჟურმა ლტოლვამ, პატალოგიასთან მონათესავე გრძნობამაც.

მაგრამ გარდა ამისა ბარათაშვილის პოეზია ჰფენენ სხვა თვისებებითაც, რომელნიც რომანტიზმის მისტიურ სულის განუყოფელი თანამგზავრი ყოფილან ყველგან. ესაა ფატალიზმი.

ცხოვრებისგან განწირულ ქართველ თავად-აზნაურობას ის ერთობ შეეთვისა და მის პატრიოტულ გალიუცინაციებით დასნეულებულ გონებაში საუკეთესო ნიადაგი ჰპოვა მან. მორჩილება ბედის, ყოველივეს მისი ძალით ახსნა, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ბედია ყოვლის გადამწყვეტი, მისი ჯადოსნური ძალა გარდაუვალი კანონია ადამიანისათვის. ამით არის გამოწვეული პოეტის ხვეწნა მერანისადმი, რომ მან გადააცაროს ის როგორმე „ბედის სამზღვარს", ამიტომაა, რომ პოეტს ნაპოლეონის დიდების გვირგვინიც „ბედისაგან შეთხზულად" წარმოუდგენია და ასე ალაპარაკებს მას:

„მაგრამ ვინ იცის, იქნება, რომ ბედსაც მოვსწყინდე,

და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს...—
არა, არა მწამს, რომ ბედმა მე მიორგულოს;
მე მან გამზარდა და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს".—

მაგრამ სინამდვილით განაწამები და ცრუ სოფელის სილაფერეებით გულ-მოკლული მგოსანი ხშირათ მოთმინებას ჰკარგავს და თავის ბედს, რომელიც მას ბოროტ სულად გადაქცეია, და რომელმაც მშვიდობა წაართვა და წრფელი ზრახვები აურია, საყვედურით და წყრომით მიმართავს:

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ ალმაშფოთრად.—
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის ნომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება...
განვედი ჩემგან,ჰ ოი მაცდურო, სულო ბოროტო
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი.—
ვაი მას ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი."

ბედის მონა იყო მაშინ არა მხოლოდ ბარათაშვილი, არამედ მთელი მისი წოდება. ქართველი თავად-აზნაურობის ყოველდღიურობა სავსეა ასეთი მაგალითებით. ერთ თავის წერილში პოეტი, კმაყოფილი იმით, რომ საუკეთესო სიძე იშოვნა და თავისი და, კატო, დიდებულ ოჯახის შვილს გაატანა, სწერს გრ. ორბელიანს, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო, რადგან—„суженного конем не об'едешь". მეორე წერილში ზაქ. ორბელიანთან პოეტი სწერს: „Дух человеческий, достигнув полного своего развития, совершив дела ему свыше определенные, склоняется наконец утомленный к покою в тихой семейной жизни".

მაგრამ ფატალიზმის გარდა, ნ. ბარათაშვილის პოეზიას არ აკლია ფეტიშიზმის და დუალიზმის სულიც. პოეტი მოწიწებით ევედრება ღმერთს, როგორც მართლმორწმუნე ადამიანი, რომ შეიწყალოს მან განსაცდელში მყოფი შემცოდე მისი შვილი:

„ღმერთო მამაო, ძომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი.—
ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულისტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი...—
გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე
და ჩემდა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად.—
მაშ დუმილიც მიმითვალენ შენდამი ტრფობად."—

ბარათაშვილის თვალში მეფე ხალხის მამაა. იგი ღვთისაგან გამოგზავნილი მზრუნველია და ამიტომ მისი სიტყვა მთელი ხალხის სურვილზე და ნებაზე მაღლა სდგას. ღვთისაგან დაშუქებულ მეფის გონებას უკეთ შეუძლია იფიქროს ხალხის საჭიროებასა და მოთხოვნილებაზე, ვიდრე თვითონ ხალხს. ამიტომ არის, რომ მეფის გადაწყვეტილებით აღშფოთებული სოლომონ ლეონიძე ჯერ საყვედურს ეუბნება ღმერთს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას.—
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათ ბედს ასე განაგებს,
ვითა ამღერდეს ივი კამათლებს.—
მაგრამ, შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას—"...

აქ თითქოს გაიღვიძა კიდეეაც მგოსნის გულში ხალხის უფლებათა უზენაესობის ნაბერწკალმა; აქ თითქოს იჩინა თავი საფრანგეთის რევოლიუციის რესპუბლიკანურმა გავლენამ პოეტზე,—მაგრამ საუკუნოებით გულში შთანერგილი ხელისუფლების პროვიდენციალობა თავისას მაინც არ იშლის და მეორე წუთში ის სოლომონს ათქმევინებს:

„მაგრამ ვინ იცის,—ივი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება:
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვას მეფისა
გონება ყმათა ვერა მიხვდების.—"

ამნაირად პოეტს სწამს, რომ მეფის ღვთიური ზრუნვა უბრალო მომაკვდავისათვის მიუწვდომელი რამ არის და ამიტომაა, რომ ამბობს:

„ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის მეფისა ცრემლი".—

ფეტიშიზმი მხოლოდ ხელისუფლების გაღმერთებით არ განისაზღვრებოდა. მისი ფესვი აკრავს ყოველივეს მგოსნის გარშემო. თვით პოეტი ფეტიშია მომაკვდავთ შორის ის ღმერთთან მოლაპარაკე და მისი გამოგზავნილი არსებაა. ამიტომ მისი ხმა ჭეშმარიტების და უკვდავ სილამაზის ხმაა. ასე მსჯელობს კერპთაყვანმცემლობის ფსიქოლოგიაში აღზრდილი ადამიანის გონება. ხელოვნება და მეცნიერება მას ქრისტეს კვართში გაუხვევია და ზეცაში მიაფრენს.

პოეტი, მხატვარი, კომპოზიტორი და ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლები ზეშთაგონებით მოქმედებენ. როცა ხელოვანი ჰქმნის, მას მშვენიერი მუზა ანგელოზის ფრთებით და შარავანდედით გაშუქებული თავს დასტრიალებს. ასეთია ფეტიშიზმით დაბრმავებულ ბურჟუაზიის წარმოდგენა ხელოვნებაზე და მის „ქურუმებზე". პოეტი მისთვის ფეტიშია, ის ღვთის მოციქულია და მის ჩანგს ჰაეროვან ქალწულის ბროლის თითები აწკრიალებენ. ბარათაშვილს, როგორც რომანტიკოს სწამს, რომ მისი შემოქმედება საკუთარ ნიჭის ნაყოფი კი არ არის, არამედ სიტურფის ღმერთამ:

„სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად.—"

ასეთია საერთოდ შეხედულება ხელოვნებაზე და კერძოდ პოეტზე, არა მარტო რომანტიკოს ბარათაშვილის, არამედ ილია ჭავჭავაძისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“...

თვითონ აკაკი წერეთელიც კი, რომლისთვისაც მგოსანი „გარემოების საყვირია“ და მისი პოეზია ცხოვრების სარკე, რომელიც „მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რასაც შიგ ჩაუხედნია“, ვერ ემშვიდობება საბოლოოდ საყოველთაო აზრს პოეტის შესახებ და მისი ზეკაცობა მაინც ჭეშმარიტებად მიაჩნია:

„ნუ მკითხავთ მნახოთ უგნური,
ნურც გაიკვირებთ გრძნობასა,
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემ გონება, გრძნობასა“...

ფეტიშიზმის გვერდით ბარათაშვილის პოეზიას დუალისტური ელფერიც გადაჰკრავს. მას არ უნდა დაირწმუნოს თავი, რომ მისი ტანჯვა, რომელიც მიაყენა „ცრუ სოფლის ღელვამ“ თავდაუღწეველი და განუსაზღვრელი ტანჯვა იყვეს. პოეტს სჯერა, რომ ბილწ სხეულის გარდა არის კიდევ ადამიანის მეორე მხარეც. ესაა მისი სული, და უკვდავება სწორედ მასში მდგომარეობს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს, ამიტომ სწამს მგოსანს, რომ არის სხვა ქვეყანა, სადაც მისი მოქანცული სული ჰპოებს სრულ მოსვენებას და თავს დააღწევს კაეშნის გესლს; ამიტომ უყვარს მას ბუნებასთან სიახლოვე და კაცთაგან განმარტოება. აქ „იდაყვ-დაყრდნობილი ყურს უგდებს ის მტკვრისა ჩხრიალსა“ და მის ბუტბუტს. პოეტს სჯერა, რომ ეს უბრალო ხმაურობა და შრიალი კი არ არის, არამედ ლაპარაკია, ნამდვილი საუბარი, რომელიც სწარმოებს ყოველი საგნის უხილავ და „საიდუმლო“, როგორც პოეტი იტყვის, ნაწილთა შორის. ამიტომ ის პირდაპირ აცხადებს:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის;
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

ბარათაშვილის პოეზია კიდევ ძველი საქართველოს პოეზიაა. ის კიდევ შორსაა სამოქალაქო პოეზიის ჰანგიდან. ვახტანგ ორბელიანმა შეიტანა ამ მხრივ გარდატეხა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში და ილია ჭავჭავაძემ მისცა მას გეზი ახალი გზისაკენ. ბარათაშვილის ლექსთა წყობაც, ენა და ლექსიკონი იმდენად მძიმეა თანამედროვე მკითხველის ყურისათვის, რომ მას ერთგვარი გონებრივი გარჯა სჭირდება მგოსნის გრძნობების შესათვისებლად. ეს გარემოება დიდათ ვნებს პოეტის მხატვრულ ნიჭს.

თვით ჩვეულებრივი იმ დროინდელი სალაპარაკო ენა, ბარათაშვილის წერილებიც-კი, უფრო მარტივად და მსუბუქადაა დაწერილი, ვიდრე პოეტის ლექსები. აქ, რასაკვირველია, თავი იჩინა კონსერვატიზმმა, რომელიც ყველა ცხოვრებისაგან განწირულ კლასს ახასიათებს, როგორც ეკონომიურ, ისე იდეოლოგიურ სფეროში. ამიტომაა, რომ ბარათაშვილს ასე გაგიკვირდებით უყვარს სპარსული მომღერალი სათარა, ვიდრე ევროპიულ სტუდიებში დამუშავებული პიანინოზე მომღერალი ხმა. „ილაჯი წაიღეს მაგ. ჯაფარას ქებით,—სწერს პოეტი

ორბელიანის ქალს,—ვისაც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა, ეს ფეტა ყველასთვის აგრე მალე როგორ გაგიგიდებია?— მაგის ამბავი ჩვენ ეგ ასეთი: ეგ სულეიმან ხანმა გადმოიყვანა სპარსეთიდან, ორი დღე [illegible] ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარაანა სჯობსო?—ეტყობა კარგი სმენა ჰქონია.—მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასთვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა ალარავის ექნებაო. ერთი ორივეს სახე ნახეთ: ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მაშხალაა".

და ამ მომღერალით გატაცება იმდენათ ძლიერი იყო ბარათაშვილის მხრივ, რომ როგორც ეს ერთ წერილიდან სჩანს, ის მას თან დაჰყავდა ლხინშიც და ქორწინებაშიც. „ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო,—განაგრძობს პოეტი იმავე წერილში ორბელიანის ქმლთან,—ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით: რომ „ეი, ფეხულმან ნამარი ხანჯალზანი", იმღეროს".

მაგრამ ენის და სიმღერის ძველ ფორმებისადმი ტრფიალი გამოწვეული იყო, სხვათა შორის იმითაც, რომ ხელოვნება დანიშნული არ იყო ფართო დაბალ წრეებისათვის, არამედ ვიწრო წოდებრივი კარჩაკეტილობა.

ენის დემოკრატიზაცია, მისი გახალხოსნურება ყოველთვის იმისდა მიხედვით განისაზღვრება თუ რა კლასის თვალთახედვის ისარზე დგას მწერალი და ვისთვის სწერს ის. ილია ჭავჭავაძის შედარებით მსუბუქი ენა და მისი ამ მიმართულებით გავლენა ჩვენს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაზე, აიხსნება ამ პოეტის ბურჟუაზიულ ლიბერალიზმით, რომელიც შედეგი იყო სამოციან წლების მოძრაობის, როცა თავისუფალ ბუმბ ხელის და შინაურ ბაზრის მაძებარ რუსეთის ინდუსტრიალურ ბურჟუაზიამ ჩაგრულ გლეხობის მესარჩლეობის ერთგვარი ილუზია შეჰქმნა.

აკაკი წერეთლის პოეზია, რომელიც წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას და რამდენადმე გლეხობის ყოფა-ცხოვრებას უახლოვდებოდა, კიდევ შორს წავიდა ამ მხრივ და მისი შემოქმედება უფ რო სხარტ და მოძრავ ენაში ჩამოისხა.. მაგრამ გარდა იმისა, რომ ბარათაშვილის ენა ძძიმეა და ძველი ლექსიკონითაა შედგენილი, ამ პოეტს ჩვეულებრივ ურთიერთობაში და მიწერ-მოწერაში სხვა ნაკლიც ახასიათებს. ესაა ენის უსუფთაობა. მისი წერილები სავსეა რუსულ-ქართულით და ეს მარტო ბარათაშვილის ნაკლად არ ჩაითვლება. ასეთი იყო იმ დროინდელ ქართველ თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობის ენა. ხშირად ახალი ენის შეთვისებაში მათ ძველიც ავიწყდებოდათ და აშნაირათ ორ წყალ შუა რჩებოდენ. ტყუილა კი არ სწერდა პოეტი ერთ თავის თანამედროვე ქალზე:

„ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია"-ო. ასეთი იყო იმ წოდების ენა, რომელსაც გული წარსულის დაკირგვით ედაგე-

[1] ჯაფარა შეიარე მომღერალია, რომელიც ბარათაშვილს, როგორც წერილიდან სჩანს, სათარასთან შედარებით არაფრად ნიაბნია.

ბოდა და, რომელიც „ცრემლთ ანთხევდა“ მეფე ერეკლეს საფლავზე. მაგრამ ეს იმ წყლის მოტანილი სენი იყო, რომელიც კარგა ხნიდგან შეუდგა ქართველ ფეოდალურ არისტოკრატიას და მას სრულს გადაშენებისკენ [illegible]ქანებდა. სინამდვილის ამ კაპრიზს ხშირად ჰქონია და ექნება ადგილი ყველა იმ წრეებში, რომელიც ბევრს გაიძახის ეროვნულ ინტერესებზე და რომელიც სინამდვილეში თვით აკნინებს ამ ინტერესებს.

როგორც ვთქვით, ბარათაშვილის პოეზია გრძნობისა და განცდის პოეზიაა, ის მოკლებულია შოქმედებისა და ბრძოლის სულს. „ცრუ სოფლის“ მკაცრ შემოტევას პოეტი კვნესით და ვაებით უპასუხებს. „ბოროტ სულთან“ საბრძოლველ იარაღათ მგოსანს მარტო მოთქმა და ტირილი დარჩენია. „ობერა არის შვება უბედურისაო“, ამბობს ის ერთ თავის ლექსში. ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული მგოსნის მთელი შემოქმედება. მისი მთავარი ღერძი ოცნებისა და სინამდვილის შეუსაბამობაა.

ნ. ბარათაშვილმა შესძლო იშვიათად ნიჭიერ კალმით ჩასწვდომოდა საკუთარ წოდების გრძნობის სიღრმეს და მიეცა მისთვის მბაეტვრული სახე. ეს გრძნობაა—გრძნობა ურვის და წუხილის, გრძნობა კრულვისა და წყევლის. აქ მან, ისე, როგორც ჯერ არც ერთმა ქართველ მგოსანმა, შესძლო გადაეშალა ჩვენს წინ პარაზიტად ქცეულ, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილ კლასის მომაკვდაობა.

ალ. ჭყონია.

ფ. მახარაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები [1])

ამხანაგებო, ქართული მწერლების წარმომადგენლებო! უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ მოგესალმოთ საქართველოს კომუნისტურ პარტიის და საქართველოს მთავრობის სახელით, და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა და სასურველად დამთავრება ამ პირველი ყრილობის მუშაობისა! როგორც უკვე მოგეხსენებათ, მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ მიმდინარე მომენტის შესახებ ერთის მხრივ, და ქართული მწერლობის და მისი დღევანდელ ამოცანებზე—მეორეს მხრივ. მაგრამ სანამ ამ მოხსენებას შეუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია მიგითითოთ რამოდენიმე გარემოებაზე. ეს პირველი ყრილობაა საქართველოს მწერლებისა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ეს ჩვენ ასე ჩავთვალოთ ე. ი. ეს პირველი ყრილობაა, სადაც საქართველოს მწერლობის ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლები პირველად იკრიბებიან.

ამას, მე მგონია, დიდი მნიშვნელობა აქვს თავის თავად. მაგრამ არის აქ მეორე გარემოება კიდევ. ეს ის არის, რომ ქართველი მწერლები მხოლოდ ამ ხუთი წლის გასულს, საბჭოთა არსებობის მხოლოდ ხუთი წლის თავზე იკრიბებიან. ეს ორი გარემოება ერთმანეთს ხვდება და, რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხუთმა წელმა განვლო. ქართველი მწერლები, ასე თუ ისე, ვერ იყვნენ იმდენად შეთვისებულნი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რომ მაშინ, როდესაც ყველა სხვა დარგის წარმომადგენელნი, ასე თუ ისე უკვე რამოდენჯერმე ახდენდენ ყრილობას, ქართველ მწერლებმა მხოლოდ 5 წლის ბოლოს მოახერხეს ეს. ხუთი წელიწადი საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა საქართველოში! ამხანაგებო რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს, მაგრამ ამ ხუთი წლის ამოშლა ისტორიიდან ყოვლად შეუძლებელია. ეს ხუთი წელიწადი იმდენად საგულისხმოა თავის დადებითი მხარეებით, რომ მას ვერავინ გვერდს ვერ აუხვევს. ეს ხუთი წელიწადი შეიჭრა, შევიდა ხალხში; ხალხმა იგრძნო, და მე მგონია, რომ მშრომელი ხალხი ამ ხუთ წელიწადს დააფასებს. ესლა განსაკუთრებით საყურადღებოა ის, თუ როგორ აფასებს ამ ხუთ წელიწადს ქართველი მწერლობა. ამხანაგებო, ამისთვის გვერდის ავლა, როგორც მოგახსენეთ, შეუძ-

[1]) სიტყვა, წარმოთქმული ქართველ მწერალთა კავშირის ყრილობაზე.

ლებელია. აქ უნდა იქნას გამოთქმული სავსებით, გულახდილათ ყველაფერი ის, რასაც ეს განვლილი დრო შეიცავს: დაგუბებული იყო ეს, ვერ ჩერხდებოდა გამოთქმა ამისა, თუ არ იყო ნაინცა და მაინც ამის სეროვ[illegible] მგონია, დღეს დადგა დრო, მოალწია ისეთმა ჟამმა, რომ ეხლა ისეთი მდგომარეობა, რომელიც არსებობდა ამდენი ხნის განმავლობაში, ვერ გაგრძელდება. ეხლა ეს ორი გარემოება—საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის შესრულება და იმავე დროს ქართველ მწერლების პირველი ყრილობა მეტად მნიშვნელოვანი არის. მესამე გარემოება—ეს არის ის, რომ მე მგონია, რაც ამდენი ხნის განმავლობაში არ იყო ნათქვამი—ეხლა ამ ყრილობაზე უნდა ითქვას. თქვენს წინაშე ლაპარაკობს მთავრობის და კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი. თქვენ უკვე იცით ჩვენი პოლიტიკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მწერლების შესახებ. ერთხელ კიდევ ხაზს გაუსვამთ ამ ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს დამოკიდებულებას მწერლებთან განურჩეველად იმ მრავალრიცხოვან მიმდინარეობათა, რომელიც კერძოთ ჩვენს ქართულ მწერლობაში არსებობს დღეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყრილობის წევრები გამოვლენ აქ და განაცხადებენ თავიანთ გულის ნადებს, აშკარათ, გულ-ღიათ, ისე, როგორც მთავრობის წარმომადგენელი აცხადებს იმას, რაც თქვენ გაინტერესებთ.

ეხლა მე შევუდგები თვით მოხსენებას. მე დავიწყებ მიმდინარე მომენტიდან და შევეხები მოკლეთ, რაც შეიძლება მოკლეთ, იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობს საბჭოთა რესპუბლიკის გარეთ, ე. ი. ბურჟუაზიულ ქვეყნებში. შემდეგ შევეხები საქართველოს მდგომარეობას და ბოლოს მწერლობის დღევანდელ ამოცანას.

მიმდინარე მომენტი! ეს სიტყვები მართლაც თავის თავად გამოხატავენ იმას, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს დენასთან, მუდმივ ცვალებადობასთან, რომ შეჩერებას, გაქვავებას ადგილი არ აქვს. ამ დენას, ამ მიმდინარეობას ანუ ცვალებადობას აქვს ორგვარი სახე—ერთი არის გარეგანი ცვალებადობა, ცვლილება სახელმწიფოს სათავეში: ერთი პარტიის—მეორე პარტიის მიერ შეცვლა, ერთი მთავრობის, ერთი კაბინეტის—მეორე კაბინეტით შეცვლა. იშვიათია ისეთი მთავრობა დღევანდელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რომელმაც გასძლოს ერთი-ორი წელიწადი, ბშირათ თვეობით და შეიძლება კვირაობით განისაზღვრება იმათი არსებობის ვადა. ეს არ შეეხება მიმდინარე მომენტს. ამაში არ იხატება მიმდინარე მომენტის თავი და თავი დამახასიათებელი თვისება. მიმდინარე მომენტის ნამდვილი დახასიათება მდგომარეობს იმ არსებით ცვლილებაში, გარდაქმნაში, რომელიც ხდება საერთოდ მთელ კაპიტალიზმში.

როგორც ლენინი ამბობს, ის კი არ არის დღეს საინტერესო, რომ ყველა მოვლენები აღვუსხოთ, არამედ საინტერესოა მამოძრავებელი ძალები, მთავარი რგოლი მამოძრავებელი საზოგადოებრივ ცხოვრებისა. ამ რგოლს უნდა ჩასჭიდოთ ხელი, და მაშინ შესაძლებელია დააფასოთ თუ რა ხდება საზოგადოებაში. აი ამ თვალსაზრისით არის საჭირო მიდგომა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღეს შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ იქ ამ ჟამად ყოველი ბობოქრობს, ცხოვრება არაა ერთგვარ კალაპოტში. მართალია ჩვენ გვეტყვიან, რომ არსე-

ბობს ერთა ლიგა, რომელიც თითქოს მოწოდებულია, რომ კაცობრიობას მშვიდობიანობა და სათნოება მიანიჭოს: მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას მის ნამდვილ შემადგენლობას და შინაარს, ჩვენ დავინახავთ, რომ საქმე ასე არ არის. ავიღოთ თუ გნებავთ ომის შემდეგი ხანა. ავიღოთ ვერსალის ხელშეკრულება. განა მან მიანიჭა კაცობრიობას ის, რაც საჭირო იყო მიენიჭებია: მშვიდობიანი, დაწყნარებული ცხოვრება, უშიშარი ცხოვრება. რა თქმა უნდა ეს ვერ ქნა მან. ამ ხელშეკრულებაზე ლაპარაკი ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანს და მე ამაზე ვერ შევჩერდები. მაგრამ დავიწყება ამ ხელშეკრულების შეუძლებელია. ბურჟუაზიულ ქვეყნების ბატონ-პატრონებმა, ბურჟუაზიულ სამართლიანობის გამომთქმელებმა რა მოგვცეს ჩვენ? მათ მოგვცეს ჩვენ ვერსალის ხელშეკრულების სახით, ავაზაკურ გაბატონებაზე დამყარებული, შიშველი ძალდატანება. თქვენ აქ ალბათ ანგარიშს გაუწევთ იმას, თუ როგორ მოეპყრნენ ისინი—გერმანიის, გერმანიის ხალხს. რასაკვირველია, მთავრობა რომელიც ხელმძღვანელობდა ამ ხალხს უნდა დასჯილიყო, მაგრამ იქ საუბედუროთ ხალხი დაისაჯა,—გერმანიის ხალხი, რომელმაც კაცობრიობას ბევრი კარგი შესძინა უმაღლესი ტექნიკისა და მეცნიერების სახით. ამის შემდეგ წარმოდგა გერმანიის საკითხი. ვერსალის ხელშეკრულების შედეგია სწორედ ის, რომ ჩვენ დღემდე ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მუდამ ნერვიულ მდგომარეობაში ვართ და ყოველ წუთში იმის ლოდინში ვართ, რომ აი ახლა იფეთქებს ომი და დაიწყება სისხლის ღვრა. ვერსალის ხელშეკრულებამ ვერ გადაჭრა ვერც გერმანიის და ვერც საბჭოთა კავშირის საკითხი. როგორც მოგეხსენებათ ამის ცდა იყო: პირველად გენუის კონფერენცია, მეორე ლოზანის და მესამე ლოკარნოს კონფერენცია. მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოგვცა ნამდვილი მალამო. პირიქით, პირველი, მეორე და მესამეც გათავდა გაკოტრებით და ხელახლა იწყება გართულება სხვა და სხვა სახელმწიფო ურთიერთ დამოკიდებულებაში. მე აქ მხედველობაში არა მაქვს საბჭოთა რესპუბლიკები. მაშასადამე ბურჟუაზიულმა ქვეყნებმა, ომის დათავების შემდეგ, ვერ შესძლეს დაეშშვიდებიათ ქვეყანა. მაგრამ ამას გარდაც იმათ ვერ შესძლეს ერთმანეთ შორის ჩამოეგდოთ შეთანხმება და ნორმალური მდგომარეობა. ურთიერთ შორის მათ უნდათ მშვიდობიანობის ჩამოგდება, მაგრამ ლახვარს სცემენ ზურგში ერთმანეთს მაშინ, როდესაც ერთმანეთს ეამბორებიან. აი საერთო დახასიათება ევროპიულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა, და იმათი გამაერთებელი ერთა ლიგა. ერთა ლიგა თავის თავად მშვენიერი ლამაზი სიტყვა არის, მაგრამ ის გამოხატავს მის სურვილებს, ვინც არის შიგ. განა იქ სხვა და სხვა ერი სწყვეტს თავთავიანთ საკითხებს? იქ განა ერების წარმომადგენლები სწყვეტენ წამოჭრილ საკითხებს? არა ეს არის ბურჟუაზიული სიცრუე. ფაქტიურად არავითარი ერთა ლიგა არ არსებობს. არსებობს უდიდესი სახელმწიფოები, რომელნიც ახდენენ სხვადასხვა კომბინაციებს ყველა პატარა ერებსა და სახელმწიფოებზე, და ამას ასაღებენ ერთა ლიგის სახელით. თუ რამდენათ ყალბია და ცრუ ბურჟუაზიული ერთა ლიგა—ამის დანახვა ადვილათ შეუძლია, ვისაც სურვილი აქვს და მე შემიძლია ამ დღეებში გამოქვეყნებულ უბრალო მაგალითზე მიგითითოთ: სირიელთა კომისია, რომელიც მივლინებული იყო სხვათაშორის, ერთა ლიგის იმ კომისიაში,

რომელიც ანაწილებს სხვადასხვა წვრილ ერებს დიდ გველეშაპ სახელმწიფოთა შორის, არ მიიღეს, ამ კომისიამ არც კი მოინდომა სირიელთა დელეგატებთან ლაპარაკი. სირიელები არიან ფრანგების მორჩილებაში, რომელსაც ისინი უწოდებენ სამანდატო ქვეყანას; მანდატი აქვს მიცემული ერთა ლიგისაგან საფრანგეთს. სირიელები აცხადებენ, როგორც ალბათ თქვენც იცით, რომ ამ ბოლო დროს, რაც ისინი საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, თორმეტჯერ მოახდინეს აჯანყება საფრანგეთის წინააღმდეგ და როგორც იცით ეს აჯანყება იქ განუწყვეტელი არის. რა თქმა უნდა, სირიელთა ეს აჯანყება, არ არის ის აჯანყება, რომელიც აქ საქართველოში პარიზიდან მოახდინეს. ეს არის მუდმივი, შეუწყვეტელი ბრძოლა ხალხის უცხოელ ფრანგების წინააღმდეგ. მაგრამ განა ეს ერთი შემთხვევაა ასეთი? აიღეთ მეორე საკითხი—მაროკოსი. რას ჩადის ამ დროს ერთა ლიგა, რომელიც თითქოს მოწოდებულია იმისათვის, რომ დაიცვას დამონებულ, შევიწროებულ ხალხთა ინტერესები. ეს არის დაცვა? ისინი არა თუ არ იცავენ. მათ არც კი უნდათ დაელაპარაკონ აჯანყებულ ხალხთა წარმომადგენლებს. მოგეხსენებათ, რომ ეროვნული საკითხი, თითქოს, უნდა ყოფილიყო ერთა ლიგისათვის ერთ უდიდეს საკითხად, და აქედან კი თქვენ დაინახავთ თუ როგორ სწყვეტს ის ამ ეროვნულ საკითხს. თქვენ კარგათ იცით ეგვიპტეს მდგომარეობა, ინდოეთის მდგომარეობა, რომელიც თანდათან მწვავდება. კარგათ იცით უკვე, თუ რა ხდება აზიის უდიდეს ქვეყანაში—ჩინეთში! თუ ის ვაებატონები, რომელნიც თითქოს იცავენ მსოფლიოში სხვადასხვა ხალხთა და ერთა ინტერესებს, თუ როგორ ანაღდებენ ამას სინამდვილეში. მე მგონია, რომ ამაზე აქ გაჩერება საჭირო არ არის. მაგრამ შეიძლება შინაური ცხოვრება ამ სახელმწიფოებში ჩაყენებული ერთნაირ ნორმალურ კალაპოტში. შეიძლება ვთქვათ, რომ, მართალია, ისინი იმონებენ ჩამორჩენილ ხალხს, მაგრამ შინ მაინც ისინი აწარმოებენ ნორმალურ პოლიტიკას კაპიტალიზმის ბატონობისას. რა თქმა უნდა ამის თქმა ჩვენში ღიმილს გამოიწვევს მხოლოდ. კაპიტალიზმის ურთიერთობა მშრომელ ხალხთან. მაგრამ მე ვამბობ, საჭიროა ობიექტიური ვიქნეთ. ჩვენ ცოტა ოდნათ მაინც დავიმოწმოთ, რა ხდება ამ სახელმწიფოებში. მართალია, როგორც, იცით, ჯერ-ჯერობით ამ სახელმწიფოებში არ გვაქვს ჩვენ სამოქალაქო ომი, შეიარაღებული აჯანყება მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის, რაც იქ ხდება დღეს, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ და ვსთქვათ, მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ იქ გდება დღეს გამწვავებული კლასთა ბრძოლა. და ეს ბრძოლა თანდათან მწვავდება და ღებულობს საშიშარ სახეს. ერთი წლის წინათ, დაახლოვებით, ჩვენ ვამბობდით ფაქტების აღნუსხვით, რომ ხდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში კაპიტალიზმის ერთნაირი გამაგრება, თითქოს მომაგრება, სტაბილიზაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ წარმოება, სახალხო მეურნეობა უახლოვდება თითქოს ომის წინანდელ დონეს. ეს ერთი მხარე იყო... მაგრამ ისიც მართალია, რომ რაც ცოტაოდენ დაწყნარდა ომის შედეგები—გერმანიაში, ავსტრიაში იყო დიდი აღელვებები, იყო, რევოლიუცია—შემდეგ ბურჟუაზიამ დასძლია მუშათა კლასი, ჩაქოლა, ჩაახრჩო სისხლში და ამის

შემდეგ მისი პოზიციების გამაგრება ხდებოდა, მაგრამ ვის ხარჯზე ხდებოდა ეს? რა თქმა უნდა, მუშათა კლასის ხარჯზე. ეს ხდებოდა არა მარტო პოლიტიკურად არამედ ეკონომიურადაც. თუ თქვენ დღეს გაზეთებს ადევნებთ თვალს და, რასაკვირველია ადევნებთ, დარწმუნდებით, რომ არ არის არც ერთი ბურჟუაზიული ქვეყანა, რომ ბურჟუაზიას არ მიეკონდეს იერიშები მუშათა კლასის ხელფასზე. და რომ უკმაყოფილება არ იყოს ამ ნიადაგზე. სწევენ ხელფასს დაბლა და ამ ნიადაგზე ხდება აუარება გაფიცვები. არის გაფიცვები, რომლებიც გრძელდება რამოდენიმე თვე: რვა ცხრა, ათი. მუშები იბრძვიან, რომ შეინარჩუნონ ის ხელფასი მაინც, რომელიც მათ ქონდათ ომამდის. გარდა ამისა იქ უმუშევრობა თან და თან მატულობს, თქვენ რა თქმა უნდა შეგიძლიანთ თქვათ, რომ უმუშევრობა შეიძლება მატულობდესო, ჩვენშიაც ხომ არის ეს უმუშევრობაო, მაგრამ აქ დიდი განსხვავებაა. ჩვენში ეს უმუშევრობა აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვართ ღარიბი, ჩვენი ტეხნიკა არის დაბალი, ჩვენი კულტურა არის ღარიბი. და ეს უმუშევრობა ჩვენში ბუნებრივია და იქნება კიდეც, სანამ არ განვითარდება ჩვენი ტეხნიკა და კულტურა. იქ კი, ბურჟუაზიულ ქვეყნებში მიტომ არის და იზრდება უმუშევრობა, რომ კერძო კაპიტალმა მეტი მოგება ნახოს. თუ მუშათა კლასს ევროპაში უმცირებენ ხელფასს ეს აიხსნება მით, რომ ევროპის ბურჟუაზიას დღეს აღარა აქვს შესაძლებლობა იმდენი მოგება ნახოს თავის კოლონიებიდან, რამდენსაც წინათ ღებულობდა. იმიტომ რომ ზედმეტი მოგება, რომელსაც ღებულობდა ის კოლონიალურ ქვეყნებიდან, რასაკვირველია მცარცველობის სახით რადგანაც დღეს ინდოეთში, მაროკოში და ჩინეთში ის ველარ აწარმოებს თავის ძველ პოლიტიკას. იქ ამბოხებები ხდება, და არამც თუ ძველი შემოსავლის აღება, პირიქით, იქ ომი აქვთ და თქვენ იცით თუ რა ხარჯებს იწვევს ომი. და ასე თავის შემოსავლის გასადიდებლად ევროპის ბურჟუაზია ცდილობს მუშის ხელფასი შეამციროს. და ამასვე მოაქვს უმუშევრობის მძლავრი განვითარება. ავიღოთ ეხლა მესამე მხარე მათი ცხოვრებისა ე. ი. **ბურჟუაზიული წესწყობილება.** ერთ დროს შესტრფოდნენ დემოკრატიულ პარლამენტარულ წესწყობილებას, რომელსაც ერთ დროს, შესაძლებელია, ჩვენც შევსტრფოდით. პარლამენტი კარგია, იქ ხალხის წარმომადგენლები სწყვეტენ საკითხებს. მაგრამ მართალია ეს? ეს ტყუილი გამოდგა, განა ვისმეს სწამს დღეს პარლამენტარიზმი. დღეს ეს სასაცილოთაც არავის ყოფნის. თქვენ იცით, რომ პარლამენტი არსებობს დღეს იტალიაში, ბულგარიაში, რუმინიაში, ყველა დიდ ევროპიულ სახელმწიფოებში. ყოველივე ეს მართალია მაგრამ მართლა იქ ხალხის წარმომადგენლები ღებულობენ რაიმე მონაწილეობას საკითხების გადაწყვეტაში? მართლა ამ პარლამენტის საშვალებით ხალხი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ახდენს რაიმე გავლენას? ასე ნუ მოტყუვდებით ამხანაგებო, შევხედოთ სინამდვილეს პირდაპირ. რა არის დღეს გამეფებული იქ ევროპიულ პარლამენტში?—გაშიშვლებული ფაშიზმი, ე. ი. დიქტატურა პატარა ჯგუფისა, ქვეყნის მძარცველებისა, ბურჟუაზიის გაშიშვლებული დიქტატურა ფაშიზმის სახით. პარლამენტის ძველი სახე, სინამდვილეში მოსპობილია. არავითარი ხალხის მონაწილეობა, არავითარი დემოსის, დემოკრა-

ტიის პარლამენტში, დღეს ევროპიულ ქვეყნებში აღარ არის და არც იქნება. და არც შეიძლება მართლა ეს ფორმა გამგებლობისა იქნეს შენახული იქ, მუსოლინის პარლამენტში, ცანკოვის პარლამენტში. გერმანიას [illegible] ხქვს პარლამენტი. აქვთ პარლამენტი. მერე რას ვხედავთ ეხლა? [illegible] ილვრება ყველა იმათი ვინც მოითხოვს, რომ რაიმე მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. და ჩვენ დღეს ასეთი ფაქტებით ვამჩნევთ როგორი არის მოპყრობა სახელმწიფოს გამგეების, მეთაურების, როდესაც ბუნტს უმზადებენ, რომ მოახდინონ გადატრიალება.

ავიღოთ მაგალითად გერმანიის პარლამენტი. აქ ხომ სოციალ-დემოკრატია დიდ ძალას წარმოადგენს, აქ პროგრესისტები არიან, სახალხო პარტიები არიან. რა ქნეს?—პრეზიდენტად აირჩიეს ვილჰელმის მარჯვენა ხელი, რომელიც აშკარათ გმობს ყოველგვარ დემოკრატიას. განა ის ხალხმა აირჩია? შეუძლებელია ამის თქმა. ხალხმა ჩამოაგდო მეფის ტახტი, დაამსხვრია ის და დღეს მას ისევ აპარებენ. ასევე უნდათ,—თითონ მეფე არა, მისი მეგობარი, მისი მარჯვენა ხელი მაინც იყოს. ყველაზე უფრო დამახასიათებელი არის, აი სწორეთ გერმანიის პარლამენტის საქციელი და მოქმედება. აი ეს უკანასკნელი უბრალო ფაქტი რომ ავიღოთ, როგორიცაა მაგალითად ანაზღაურება გოგენცოლერნების ტახტის დაკარგვისათვის. წარმოიდგინეთ იმის მაგიერ, რომ ეს გოგენცოლერნები ამოეწყვიტათ იმისათვის, რომ იმათ რამოდენიმე მილიონი ხალხი გაწყვიტეს და გაღლიტეს, რამდენი უბედურობა დაატეხეს თავზე, არა მარტო გერმანიას, არამედ მთელ მსოფლიოს, იმის მაგიერ ისინი მათ ორ-სამ მილიარდ ოქროს მარკას თავაზობენ. აი სადამდე მიდის ეს პარლამენტი. მე მოგახსენეთ თქვენ, რომ ევროპაში ხშირათ იცვლება მთავრობები. განა ხალხი ღებულობს აქ მონაწილეობას? აქ არის მხოლოდ ინტრიგები ერთმანეთის წინააღმდეგ, არავითარი ხალხის დაკითხვა, არავითარი ხალხის ინტერესების დაცვას აქ ადგილი არა აქვს.

განა შეიძლება ასეთ პირობებში დემოკრატიზმზე ლაპარაკი? მე მგონია, რომ ასეთ პირობებში დემოკრატიზმზე ლაპარაკი—ეს არის, რასაკვირველია, თავის თავის მოტყუილება. დამახასიათებელი არის უკანასკნელათ ის ფაქტები, რომელიც ამ დღეებში იყო გამოქვეყნებული კომინტერნის პლენუმზე. რა იყო იქ? რა ხდება აი ამ ერთი წლის განმავლობაში ბურჟუაზიულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ევროპაში? რას გვეუბნებიან ჩვენ ცნობები, სტატისტიკური ცნობები პოლიტიკურად დასჯილების შესახებ?—ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით დატყვევებულ რევოლიუციონერთა რიცხვი უდრის 40 ათას, დაჭრილების 13.000... მართალია შეიარაღებული აჯანყება არ ყოფილა, მაგრამ შეტაკებების რიცხვი ბევრია.

მოკლულების და დახვრეტილების რიცხვი, ამ ერთი წლის განმავლობაში, უდრის 4 ათასს. ასეთი არის მდგომარეობა იმ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რომელნიც ერთ დროს წარმოადგენდენ, ასე თუ ისე, იდეალს. ეხლა უნდა ვსთქვათ, თუ რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან. რანაირი ცვლილება ხდება? ამ მიზნით გადავავლოთ თვალი ეხლა მოკლეთ, თუ რა ხდება მუშათა კლას-

ში. აი მაგალითად ინგლისის მუშათა კლასი. ინგლისში მუშათა კლასი იყო ყველაზე უფრო კონსერვატიული. ამ უკანასკნელ დროს იქ რწმენდებიან, რომ კაპიტალისტები იმათ წინააღმდეგ მიდიან და აუცილებელია, რომ მათ შესცვალონ თავიანთი წინანდელი ტაქტიკა და შეიტანონ ამ ტაქტიკაში რევოლიუციური სული. ეს მეტად დამახასიათებელია. მართალია, ჯერ-ჯერობით, მუშათა კლასი ევროპაში კიდევ იმყოფება ისეთ ბელადების გავლენის ქვეშ, როგორიც არიან: მაკდონალდი, რენოდელი და სხვები, რომელნიც ბურჟუაზიასთან არიან შეთანხმებული. მაგრამ თვით მუშები თანდათან რევოლიუციონერები ხდებიან. ამას მოწმობს, სხვათაშორის ის გარემოებაც, რომ კომუნისტური პარტია ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მიუხედავათ შევიწროვებისა, ყოველგვარ რესპრესიებისა მაინც თანდათან იზრდება. მაგრამ შერიგება, რომელზედაც ერთხელ იყო ლაპარაკი, ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის შერიგება ეს ტყუილია. არაკითარი შერიგება არ არის შესაძლებელი. და აქედან სწორეთ ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აუცილებელია იქ კატასტროფა, ისეთი კატასტროფა, როგორიც მოხდა რუსეთში. სხვა გზა არ არის. საერთაშორისო მდგომარეობის მოწესრიგება ვერ შესძლო ერთა ლიგამ. ვერ შესძლებს ამას ევროპის სახელმწიფოები და ყველასათვის ცხადია, თუ რა ცვლილება ხდება დღეს ევროპაში. ამას გვეუბნება ჩვენ, სხვათა შორის, ის ერთი დიდი დამახასიათებელი ფაქტი, რომელსაც ადგილი აქვს დღეს. ეს არის ევროპის მუშების მოსვლა საბჭოთა კავშირის დასათვალიერებლად. ამას თქვენ ხედავთ დღეს. ყველამ იცით და ყველას მოგეხსენებათ, რომ კომუნისტები, ბოლშევიკები ცნობილი იყვნენ ევროპაში, როგორც კაცის მჭამელები, რომლებიც ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ყოველგვარ კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებას. ასე ატყუებდენ მათ.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით გასული 1925 წლიდან ხდება დაუსრულებელი დენა ევროპის მუშებისა საბჭოთა კავშირში, განურჩევლად პარტიისა. იქ კომუნისტები ცოტაა, შეიძლება ერთი ორი შეგხვდეს, უმეტესი სოციალ-დემოკრატები, ან უპარტიოები. მოდიან ჩვენი მუშაობის სანახავათ. რას მოწმობს ეს? რასაკვირველია იმას, რომ საბჭოთა ქვეყნებში რაღაც ახალი კეთდება. რაღაც ხდება მათთვის საინტერესო. აი რას მოწმობს ეს. წინათ ჩვენთვის იყო ოცნება, გვენახა იქაური ცხოვრება, დღეს კი იქაური მუშები და ინტელიგენციაც, მე მხედველობაში მყავს მეცნიერები, მწერლები, მოდიან მუშებთან ერთად, რომ გაიგონ რა ხდება, რა საქმე კეთდება აქ, რომ თავის თვალით და თავის ყურით დარწმუნდნენ ამაში. ეს დამახასიათებელია დღევანდელი მდგომარეობის. ევროპის მუშები გრძნობენ, რომ აქ რაღაც კეთდება, რომ აქ იშენდება ახალი ცხოვრება. ამას ეცნობიან ისინი.. აი ის ცვლილება რის შესახებაც მე მოგახსენებთ. რაში გამოიხატება ეს ცვლილება? რა მოაქვს ამ ცვლილებას? ბურჟუაზიულ წესწ-ყობილების, კაპიტალიზმის რღვევა და განადგურება, და მოახლოვება შეტაკებისა, მოახლოვება კატასტროფისა. აი ეს არის ის, რაც გამოიხატება სწორეთ იმ ფაქტებში, რომელსაც ყოველ დღე აქვს ადგილი.

ეხლა მინდა გადავიდე ნაციონალურ-ეროვნულ საკითხზე. ბურჟუაზიას არც შეეძლო, რომ ეს საკითხი გადაეჭრა და ვერც გადაჭრა. წარმოების საკითხი

როგორ გადაჭრა? წარმოების საკითხი ე. ი. კაპიტალიზმის განვითარება ერთის მხრით, თუ წარმოება არ განვითარდა, არ გადიდდა ესე, ეს საკითხი არ მოგვარდებოდა. მაგრამ ვერც ეს საკითხი იქნა გადაჭრილი, ბურჟუაზიის დასაკმაყოფილებლად. აქ მუშასა და ბურჟუაზიის შორის მწვავდება საკითხი და ხდება ლტოლვა კატასტროფისაკენ. როდის მოხდება ეს შეტაკება, ეს კატასტროფა, ამის წინასწარმეტყველი ჩვენ არ ვიქნებით, მაგრამ რომ ტენდენცია არის აქეთკენ ამას ვერავინ უარყოფს.

გადავიდეთ ეხლა საქართველოზე. მე არ მინდა აქ მთელი კავშირის მასშტაბით ვილაპარაკო. მე შევჩერდები მხოლოდ საქართველოზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ხუთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც აქ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მე არ შევეხები მას, თუ რა პირობებში მოხდა ეს. ამაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია. ეს მოხდა იმიტომ, რომ სხვა გზა არ ქონდა საქართველოს ხალხს. საჭირო იყო ხელისუფლება, რომელიც დამყარებული იყო რუსეთში და რომელთანაც, მიუხედავად ყოველგვარი მახინაციებისა, საქართველოს ხალხი მაინც დაკავშირებული იყო. მე არ ვეხები ამ გარემოებას, მე მინდა მხოლოთ მოკლეთ წარმოვიდგინო ამ ხუთი წლის განმავლობაში ვითარება ჩვენი ხალხის ცხოვრებისა. ამხანაგებო, მართალია ხუთი წელიწადი დიდი ხანა არ არის, მაგრამ ჩვენი მუშაობისათვის, ჩვენს დროში ეს ხუთი წელიწადი მთელი ეპოქა შეიქმნა. კარგათ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაარსება დაიწყო საქართველოში, ყოფილ დემოკრატიულ მთავრობის გადავარდნით საზღვარ გარეთ. მას თან გაყვა საკმაოთ დიდი ხალხი. ეხლაც ამბობენ, რომ იქ დარჩა ათასამდეო და მაშინ რა თქმა უნდა უფრო მეტი იქნებოდა.

გაქცეულებს, რა თქმა უნდა, აქ დარჩათ რამოდენიმე ათასი ნათესავი და მეგობრები, რომელნიც ვერ შეურიგდებოდენ იმ გარემოებას, რომ საქართველოში ასეთი ცვლილება მოხდა და დემოკრატიული მთავრობა გაიქცა. რა თქმა უნდა ასეთი ცვლილება უმტკივნეულოდ არ მოხდებოდა. საქმე იმაშია, რომ ეს ცვლილება ისტორიულათ აუცილებელი იყო. ქართველ ხალხს ათამაშებდენ, ის სათამაშოთ იყო გადაქცეული, ხან გერმანიის ხელში, ხან ინგლისის და ხან საფრანგეთის. მეორე მხრით ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველგვარი ასეთი ცვლილება თხოულობს ერთნაირ ძალდატანებას. ერთი ხელისუფლება ორომ მეორეს შესცვალოს—აუცილებელია რომ ეს მოხდეს თავდაპირველათ დიდი შეტაკების საშუალებით, ძალით, ფიზიკური ძალის მოხმარებით. ეს, ამხანაგებო, თავის თავად იწვევს გამწვავებას. გარდა ამისა, ახალი ხელისუფლება, რომელიც ევლინება ქვეყანას, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ის დაწყებული თავიდან ბოლომდე ყოველად უმწიკვლო, შეუმცდარი იყოს, რომ მას არა ქონდეს ნაკლი. რა ბევრი გავაგრძელო, ამხანაგებო, აქ იყო მოშხამული ჰაერი. ის პროვოკაცია, რომელსაც ავრცელებდენ საზოგადოებაში, ხალხში, გლეხობაში ჩვენი პარტიის შესახებ—ენით გამოუთქმელია, დაუჯერებელია; მაგრამ ხალხს ეს რამდენიმედ ალბად სჯეროდა, პირველ ხანებში მაინც. ფიქრობდენ და ოცნებობდენ „როდის მოვლენ", „როდის ჩაგვიბარებენ". ეს მთელი ხანა იყო, „მოვლენ ოქიდან, ზღვიდან, ყველაფერს მოგვიტანენ: თავისუფლებას, საქონელს და სხვა

ასეთი"... ამხანაგებო, აქ არაფერია დასამალავი. არა, რა საჭირო არის, პირდაპირ უნდა ვსთქვათ სიმართლე, ჩვენ არ შეგვეძლო გავჩერებულიყავით, ჩვენ არ ვთამაშობთ. თუ საბჭოთა ხელისუფლება საჭირო არის ხალხისთვის, ჩვენ ამისათვის ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ ეს ხელისუფლება შევინარჩუნოთ. მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: „კი ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გაიყლიტა აქ საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველმა ხალხმა დაკარგა დამოუკიდებლობაო." მართალი უნდა ვსთქვათ ერთხელ და სამუდამოთ რაც სათქმელია, რაც გვითქვამს არა ერთხელ. როგორ გვქონდა წარმოდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა, რომ ვთქვათ ყველას ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, მენშევიკებს და ბოლშევიკებს. დავანებოთ თავი წინანდელ ხანას, აიღოთ 17-18 წ წ. განა მენშევიკები ფიქრობდენ, ან სხვა რომელიმე პარტია ფიქრობდა (შეიძლება იყვენ აქ საქართველოს ავტონომიის მოტრფიალენი, მე ვიცი ეს კარგათ,) მენშევიკებს როგორ ქონდათ წარმოდგენილი, განა ისინი ფიქრობდენ საქართველოს ცალკე სახელმწიფოს დაარსებაზე. დაარსდა ამიერ-კავკასიის სეიმი. ყველამ კარგათ იცით თუ ვინ იყო ამიერ-კავკასიის სეიმის მეთაურები. რასაკვირველია—საქართველოში მენშევიკები და სხვა რესპუბლიკებში კიდევ შესაფერი პარტიები, მაგრამ თუ ვერ იხეირა ამ სეიმმა,—რისთვის? რა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველო ცალკე გამოეყო, სომხეთი და—აზერბაიჯანი კიდევ ცალკე?

ამ სეიმს მაშინ არავითარი საფუძველი არ ქონდა, იმისთვის, რომ ის ელემენტები, რომლებიც შეადგენდა სეიმს—ერთმანეთს სჯამდენ, ორმოს უთხრიდენ. სეიმში ერთად ლაპარაკობდენ და გარეთ კი უმზადებდენ ორმოს ერთიმეორეს. განა შეიძლებოდა ასეთ პირობებში ამიერ-კავკასიის სეიმის არსებობა? არ შეიძლებოდა და ამ მიზეზით სეიმი დაინგრა და დაარსდა საქართველოს, ეგრედ წოდებული, დემოკრატიული რესპუბლიკა. ყველამ ვიცით და დასაფარავი არ არის აქ, შეიძლებოდა თუ არა მაშინ და დღევანდელ პირობებშიდაც, რომ საქართველოს, ამ პატარა ერს, პატარა ხალხს შეენარჩუნებია საბჭოთა დამოუკიდებლობა, ჩაეკეტა კარები და არც იქეთ და არც აქეთ—„მე არავის ეცნობ, მე მინდა მარტო ჩემთვის ვიცხოვროო". ამხანაგებო, რისთვის უნდა მოვიტყუოთ თავი. განა ვინ მისცემდა ნებას, რომ ამ გზაზე, შარა გზაზე მყოფ ხალხს, ასეთი პოლიტიკა დაეცვა, ეს იყო თავის თავის დატყუილება, შეუძლებელი იყო, რომ ასეთი პატარა ხალხი არ მისდგომოდა რომელიმე დიდ სახელმწიფოს, არ ყოფილიყო მის მფარველობის ქვეშ. და მართლაც ეს ასე იყო. სინამდვილეში ასე იყო, მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებული ხან ანტანტისაგან, ხან გერმანიისა და ხან ინგლისისაგან. წაიკითხეთ ავალიშვილის წიგნი. მე მგონია, რომ იქ მხოლოდ ფაქტები ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ რა იყო. რისთვის ვლაპარაკობ მე ამას? მე ვამბობ ამას იმისთვის, რომ პირდაპირ ვსთქვა—შეიძლება თუ არა ლაპარაკი ისეთ საქართველოზე, როგორც ეს ოცნებაში აქვს წარმოდგენილი ზოგიერთს, შეიძლება თუ არა ასეთი საქართველოს არსებობა?—არ შეიძლება. გამოსავალი ერთი იყო. ჩვენ ან უნდა მივკედლებოდეთ საბჭოთა რუსეთს ან და ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ ქვეყნებს. მენ-

შევიკებმა და სხვა პარტიებმა არჩიეს იმპერიალისტები, ჩვენ ვარჩიეთ რუსეთის მშრომელი ხალხი. აი, ამხანაგებო, მთელი ისტორია. ჩვენ ფრავის არ ვატყუებთ, მაგრამ ამავე დროს ვამბობთ, რომ ნაციონალური საკითხი

ეროვნული საკითხი, რომელიც მართლაც სოციალ-ეკონომიურ შემდეგ მუშათა საკითხს შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს, როგორ არის გადაჭრილი? უნდა თვალები დახუჭოს ადამიანმა და არ დაინახოს ის რაც ხდება დღეს ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. ვინ იყო ის, რომელმაც ეს საკითხი წამოაყენა მთელი თავისი სიგრძე სიგანით. ეს იყო ჩვენი პარტიის ბელადი ლენინი. ეს იყო ბოლშევიკური პარტია. არც ერთ პარტიას, არც ნანამდე და არც შემდეგ მთელ დედამიწის ზურგზე ჯერ დაუყენებია ეს საკითხი ამ ხაზით, და განა ეს მარტო სიტყვებია. აბა შეხედეთ, რა ხდება დღეს ყოფილ რუსეთის იმპერიაში, შეხედეთ იმ გადაგვარებულ ხალხთ, რომლებმაც თითქმის დაკარგეს საუკუნეების განმავლობაში თავისი მეობა. დღეს ყველა ეს ხალხი აღორძინების გზას დაადგა. ხალხი, რომელსაც არასოდეს არ ქონებია თავისი მწერლობა, რომელსაც შეიძლება არც ერთი წიგნი არ ქონიათ თავის ენაზე, დღეს ქმნიან თავის ლიტერატურას, თავის ეროვნულ კულტურას. და ამაში მას ეხმარება კომუნისტური პარტია, ლენინის პარტია, საბჭოთა ხელისუფლება. მე ამასწინათ წავიკითხე ერთი ფურცელი გამოცემული მენშევიკების მიერ. იქ ასეთი საოცარი შედარება იყო. იქ იხსენიებენ იოანე მრისხანეს და მისი მემკვიდრე კი ლენინი. რასაკვირველია როცა ამას იტყვის ადამიანი და დასწერს კიდეც ქაღალდზე, მისი საქმე წასულია. მისი გამობრუნება აღარ შეიძლება. ლენინს, ვის სახელსაც ლოცულობს დღეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, რომელიც, როგორც მხსნელი მოევლინა დაჩაგრულ კაცობრიობას, უწოდებენ იოანე მრისხანეს. მაგრამ ეს გაბოროტებაა და მას ვერაფრით ვერ გამოასწორებთ. თუ ასე მიუდგებით საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, თუ უმაღლეს მისი უშუალოთ ხარისხზე დაყენება, თუ შესაძლებელია მისი შენარჩუნება, ეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მხოლოდ იმ პირობების მიხედვით შეიძლება ამის შენარჩუნება! ეს საკითხი განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს ღებულობდა საქართველოში. როცა ჩვენ ველაპარაკებით საქართველოს მწერლებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა, მათ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ამოწურონ ეს საკითხი. თქვენ დაინტერესებული ხართ იმაში, რომ ხალხი გათვითცნობიერდეს, ამაღლდეს ზნეობრივათ, გონებრივათ, ნივთიერათ. ეს ყოველივე უნდა მოხდეს, ქართულ ლიტერატურის დახმარებით. თქვენ მოგეხსენებათ, რომ დღემდე ამ მხრით საქმე ვერ იყო კარგად. იყო მეტად მძიმე პირობები, რომელშიაც ახალ მთავრობას და ახალ ხელისუფლებას მოუხდა მუშაობა. ყოველ ფეხის გადადგმაზე, საზიზღარი პროვოკაცია და ცილის წამება იყო. მაშასადამე, საჭირო იყო ამასთან ბრძოლა და ამავე დროს საჭირო იყო მუშაობა ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე, ე. ი. დადებითი მუშაობა. ჩვენ არ ვამბობთ რომ აქ ჩვენ არ გვქონდა შეცდომები. ეს შეუძლებელია, ჩვენ ჩვენი ქვეყანა უნდა გარდავქმნათ ახალ ქვეყანად და ერთბაშად ამის ქნა შეუძლებელია. მით უმეტეს ასეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორც

ჩვენი ქვეყანაა, სადაც ჩამორჩენილია მრეწველობა, ტექნიკა, და სადაც მხოლოდ შედარებით სხვა რესპუბლიკებთან შეიძლება წერა-კითხვის მცოდნე გვყავდეს მეტი. ასეთ ქვეყანაში მუშაობას ბევრი დაბრკოლება ქონდა. და მე თავს არ შეგაწყენთ ამაზედ ლაპარაკით და დიდ დროს არ წაგართმევთ. მე მგონია ვინც მოისურვებს ამის გაცნობას, მას ამის საშუალება ექნება. მე მიგითითებთ მხოლოდ იმაზე, თუ კულტურულ დარგში რა მუშაობა სწარმოებდა. აქ მე მხოლოდ რამოდენიმე ციფრს დაგისახელებთ. მაგალითად ავიღოთ სკოლები. მართალია, ჩვენ აქ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, მართალია, მთელი მოთხოვნილება ხალხისა ამ მხრივ ჯერ ვერ დავაკმაყოფილეთ, მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ აქ. ყოველ გვარი სკოლა, ჩვენში არის დღეს—2126. სწავლა განათლებას იქ ღებულობს—260.000 მოწაფე. მასწავლებელთა რიცხვი—10.051. ეს რომ შევადაროთ იმ დროს, როცა ჩვენ მივიღეთ ხელისუფლება, გამოვა, რომ ეს დარგი ერთი ორათ გაიზარდა. უმაღლეს სასწავლებლებში—ამ უკანასკნელ 25 წელში იყო ტფილისის უნივერსიტეტში 5.118 სტუდენტი, ამათში—1606 ქალი, დანარჩენები ვაჟები პოლიტექნიკუმზე არ ვლაპარაკობ. აქაც მეტი იყო ვინემ მენშევიკების დროს, ორჯერ და კიდევ მეტი. ავიღოთ ეხლა მეორე მხარე. როგორც იცით, ჩვენ გვქონდა დასახული მიზნათ, რომ ათი წლის თავზე, ე. ი. 1927 წლის 25 ოქტომბრისათვის მოგვესპო მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე წერა-კითხვის უცოდინარობა. რა თქმა უნდა, რომ ეს ისეთი დიდი, უზარმაზარი ამოცანა არის, რომლის თქმა ადვილია, მაგრამ შესრულება მისი ძალიან ძნელია, მიუხედავად იმ დიდ მუშაობისა, რომელიც სწარმოებს მოზრდილთა შორის. მე ამას განსაკუთრებით ვაქცევ თქვენ, მწერლების ყურადღებას, ვინაიდან თქვენ სწერთ და თქვენ დაინტერესებული ხართ, რომ ეს თქვენი დაწერილი წაიკითხოს ხალხმა. თორემ რა გამოვიდა თუ თქვენ დასწერთ და მარტო თქვენ წაიკითხავთ. ამისათვის მე ვაქცევ თქვენს ყურადღებას—თუ რა ხდება ამ დარგში. ჩვენ გამოანგარიშებული გვქონდა 18 წლიდან 40 წლამდე მოგვესპო წერა-კითხვის უცოდინარობა. ჩვენ დავაარსეთ ამისათვის სკოლები. 1922 წლიდან—23—25 წლის განმავლობაში, ასეთ სკოლებში წერა-კითხვა ვასწავლეთ 53—ათას მოზრდილს. და ეხლა სწავლობენ კიდევ 60 ათასი. განა ეს ცოტა საქმეა?

ეს, ამხანაგებო დიდი მიღწევა არის ჩვენისთანა ღარიბ-ღატაკ ხალხისათვის. უნდა წარმოიდგინოთ, თუ რა დიდი შრომის და ენერგიის ხარჯვა არის საჭირო.

ახლა გადავიდეთ ქალთა საკითხზე. ამ დღეებში თქვენ აქ წაიკითხავდით გაზეთებში, ერთ სასაცილო ამბავს: ქ. ნიუიორკში, ამ დღეებში დაიჭირეს ერთი ინგლისელი ქალი, მალალი წოდების, ლორდის ცოლი. რისთვის დაიჭირეს? იმისთვის, რომ ის თურმე ნიუიორკში, ცხოვრობდა მეორე ლორდთან, ისეთი ქორწინებით, რომელიც რეგისტრაციაში არ იყო გატარებული. ქალი დაიჭირეს იმისთვის, რომ იტყვიან—კანონიერი მზით არ იყო შეუღლებული მეორე კაცთან. აი დამახასიათებელი ფაქტი, ზნე-ჩვეულება, რომელიც უმაღლესად განვითარებულ და ცივილიზაციურ ქვეყნებში არსებობს. რისთვის მოგახსე-

ნეთ ეს მე. იმისთვის, რომ ქალთა საკითხს საბჭოთა რესპუბლიკებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. იმისათვის, რომ ქალი, სურეთოდ, ორნაირად იტანჯება ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც მშრომელი და მერე როგორც ცოლი, როგორც დედა, როგორც და. ბურჟუაზიულ ქვეყანაში დედაკაცის თანასწორობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ბურჟუაზიულ ქვეყნებში რომ გაიძახიან თანასწორობაზე,—ეს ტყუილია, სიცრუეა. სქესების არავითარ თანასწორობაზე ლაპარაკი არ შეიძლება ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში შესაძლებელია ეს თანასწორობა. როგორც იცით საბჭოთა კანონებმა უკვე დააკანონეს დედაკაცის და მამაკაცის სწორუფლებიანობა. მაგრამ ამის ცხოვრებაში გატარება ასე ადვილი არ არის. უბედურება იმაშია, რომ არა თუ მარტო სოფელში, არამედ ქალაქშიაც, ვისთან გინდათ ოჯახში შეხვიდეთ, შეიძლება განათლებულ ოჯახშიაც—ვერსად ვერ ნახავთ, რომ ქალი საოგებლობდეს იმ უფლებებით, რომლებიც მას საბჭოთა კანონებმა მიანიჭა. ამის გატარება ცხოვრებაში მხოლოდ ბრძოლით შეიძლება, რასაკვირველია არა იარაღით, არა თოფ-ზარბაზნით, არამედ შრომით, ენერგიით, სწავლით.

ამ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია. როგორ, რა გზით? არის დაარსებული პარტიულ კომიტეტებში ქალთა განყოფილებები, არის ქალთა კომისიები საბჭოთა ხაზითაც. როგორი სისტემით აწარმოებენ ამ მუშაობას? ქალაქებში გამოყოფილია ასეთი ორგანიზაციები და გამოყავთ ქალები იმ უკოდინარობიდან და თავდავიწყებიდან, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ და მე მგონია ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ სადმე ევროპიულ სახელმწიფოებში ასეთი მუშაობა სწარმოებდეს ამ მხრივ. ჩვენ გვყავს ქალთა დელეგატები. მათ ირჩევენ საზოგადო კრებაზე თვით ქალები. იმათი დანიშნულებაა ქალების საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში ჩაბმა. ქალთა დელეგატების რიცხვი იყო 1924 წელს 3210, 1925 წელს კი ასეთ დელეგატთა რიცხვი იყო 7512. ისინი არჩეული იყვენ 50.000 ქალისაგან. რა თქმა უნდა, ეს მუშაობა მხოლოდ ახლა იწყება, ეს არის დიდი მუშაობა. ქალის გაცოცხლება მონურ პირობებიდან მეტად ძნელია. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ცდილობენ, რომ ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა არჩევნებში. შარშანწინ საქართველოში 123.000 ქალმა მიიღეს მონაწილეობა ამ არჩევნებში. ეს შედარებით კარგი დაწყებაა. მაგრამ ჩვენ ამით არ ვკმაყოფილდებით. საჭიროა ქალების ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაშიც. თემის საბჭოებში არიან 1827 ქალი. ქალაქის საბჭოებში კი 274.000. თემის აღმასკომებში, სადაც ადმინისტრატიული მუშაობა სწარმოებს, 22 ქალია. მაზრებში—25. ამნაირად სწარმოებს ძუძა ქალების ჩაბმა მუშაობაში. ჩვენ ვფიქრობთ—ყოველივე ეს უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა მწერლებისათვის. თქვენ ხშირათ უმღერით მათ. (სიცილი) მაგრამ საჭიროა ქალებმა წაიკითხონ მაინც ის თქვენი ნაწერები. ავიღოთ ეხლა მწერლობა, ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები. შევჩერდეთ მარტო ჟურნალ-გაზეთებზე. ჩვენში დღეს ქართულ ენაზე თორმეტი გაზეთი გამოდის. მე მხედველობაში მაქვს პროვინციაც. ჟურნალთა რიცხვი 31-ია. 29 მათ შორის ქართულია, რასაკვირველია ყველა ეს გადის ხალხში. ქალებსაც

აქვს თავიანთი საკუთარი გაზეთი. აგრეთვე პროფკავშირებსაც და ახალგაზდა კომკავშირსაც. რას უდრის ჩვენი გაზეთების ტირაჟი! „კომუნისტი“ ვრცელდება— 21.000, „მუშა“ ამდენივე. „ახალი სოფელი“ [illegible] ვეხები მხოლოდ ამ სამ გაზეთს, რომელთა ყოველდღიური ტირაჟი აწევს 70.000-80.000-დე. ახლა აიღეთ კედლის გაზეთები. კედლის გაზეთის ანგარიში არ მაქვს. რაგრამ ესეც ერთგვარი ლიტერატურაა, რომელზედაც იზრდება ახალი თაობა და რომელიც ამ ბოლო დროს სერიოზულ სახეს ღებულობს თუ დაუკვირდებით. თუ გნებავთ, ესაა ლიტერატურის ნამდვილი დემოკრატიზაცია. ყოველგვარ საშუალებას ვღებულობთ ლიტერატურის სფეროს გასაფართოებლად. აქ ყველა ღებულობს მონაწილეობას, ავრცელებს, სწერს. კასტა ძველი მწერლებისა დღეს აღარ არის. იგი გადემოკრატდა. ახლა ავიღოთ მუშკორები, გლეხკორები და სხვა და სხვა... ესეც ახალი დიდი მოძრაობაა ლიტერატურაში.

აქედან ჩვენ შეგვეძინებიან ახალი ნიჭიერი ჟურნალისტები, პუბლიცისტები და მწერლები. აი ნამდვილი დემოკრატია ამას ქვიან.

როგორი უნდა იყოს ასეთ პირობებში **მწერლების ამოცანები**. ეს მეტად რთული საკითხია. მე ვიცი, რომ ჩვენს მწერლობაში დღეს რამოდენიმე მიმდინარეობა არსებობს. უპირველესად ყოველისა საჭიროა გავიხსენოთ წარსული, როცა მწერლობა მხოლოდ გაბატონებულ კლასების პრივილეგიას წარმოადგენდა. შორეულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, ასე იყო მეცხრამეტე საუკუნეშიაც, თუმც მეცხრამეტე საუკუნის მწეოლობას რაღდენიმედ უკვე ეტყობა გადემოკრატება. მართალი უნდა ვთქვათ, რომ კარგად სწერდენ, ენაც კარგი ქონდათ, ფორმაც. ამას ვერავინ ვერ უარყოფს. სიამოვნებით წავიკითხავ ეხლაც იმ ლექსებს, პოემებს, რომელიც იწერებოდა აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის და სხვებას მიერ. მაგრამ ხალხის ინტერესები სინამდვილეში იმათ არ სწადდათ, და თვით მწერლობას ხალხში ნიადაგი არ ქონდა. მეორე მხრივ, როგორც ვთქვეთ, ითთონ მწერლები ეკუთვნოდენ თავად-აზნაურობას, ისიც—ბატალ თავად-აზნაურობას. შეიძლება სადმე გამოერეოდა ისეთი, როგორც დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი შემდეგში, დავითაშვილი—პირველი ხალხური პოეტი ჩვენში. რა თქმა უნდა, დღეს მწერლობა ასე აღარ შეიძლება გამოვკვებოთ. მეორე გარემოება, რომელსაც მე აქ უნდა შევეხო არის შემდეგი. რა თქმა უნდა, მე აქ არ ვეხები კრიტიკულად იმ მიმართულებებს, რომლებიც ჩვენ მწერლობაში არსებობენ დღეს, ვინაიდან ეს ყრილობის საგანი არ არის, ეს ლიტერატურის დარგია, კრიტიკა, განხილვა, დაფასება, ეს რასაკვირველია ყრილობის საქმე არ არის და ამას მე არ ვეხები. მაგრამ მე ერთ გარემოებას უნდა შევეხო იმიტომ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყრილობისათვის და შემდეგში ამ დარგში მუშაობისათვის. მე მოვახსენებთ პროლეტარულ კულტურასა და პროლეტარულ ხელოვნებაზე. როგორც თქვენ ჩემზე უკეთ იცით—ეს საკითხი სდგას, იდგა რუსეთში, სდგას ჩვენშიაც. წარმოიდგინეთ, რომ აქ დიდ გაუგებრობას უნდა ქონდეს ადგილი. საერთოდ რომ ვთქვათ კულტურა, ხელოვნება თავისთავად ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს რომელიმე წოდებას ეკუთვნოდეს,

ბურჟუაზიული კულტურა, ბურჟუაზიული ხელოვნება, ვამბობთ ჩვენ. — მაგრამ ეს არ გამოხატავს სინამდვილეს. ყოველად შეუძლებელია კულტურა, ტექნიკა, ხელოვნება რომელიმე წოდებას ეკუთვნოდეს. შეიძლება და სინამდვილეში სწორეთ ეს არის, რომ ამ ხელოვნებას, ტექნიკას, კულტურას იყენებს უნდა თუ ეს კლასი და ამიტომ უწოდებენ ბურჟუაზიულს, თავად-აზნაურულს, პროლეტარულს. განა შეიძლება ლაუაზიეს, მაიგრის, ჰელმოვოდოცის პავლოვის მეცნიერებაში კანონების აღმოჩენა, მივაკუთვნოთ ბურჟუაზიას? ყოველად შეუძლებელია, ასტრონომია, მათემატიკა ან სხვა დარგი მეცნიერებისა მივაკუთვნოთ რომელიმე წოდებას, არ შეიძლება ეს იყოს პროლეტარული, ან ბურჟუაზიული. ამისათვის მე ვამბობ, რომ აქ კარგათ უნდა იყოს გარკვეული, თუ როგორ გვესმის ჩვენ ბურჟუაზიული კულტურა და ბურჟუაზიული ხელოვნება. გამოყენება ძველი კულტურის, ძველი ცოდნის, ძველი ტექნიკის, გამოყენება ყველა იმისი, რაც კაცობრიობამ მოგვცა. აი რას ამბობს ლენინი ამის შესახებ: „Нужно взять всю культуру, которую капитализм оставил и из нее построить социализм. Нужно взять всю науку, технику, все знания, искуство. Без этого мы жизнь комунистического общества построить не можем.

მაშასადამე კულტურა, ტექნიკა არც ერთ წოდებას, არც ერთ კლასის თვისებას და კუთვნილებას არ წარმოადგენს. ყოველივე ეს არის კაცობრიობის ჭკუა-გონების ნაყოფი. მისი რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში ნამუშევარი. ეს კულტურა მუშათა კლასმა უნდა გამოიყენოს, ისე როგორც მას ესმის. ის ინჟენრები, ის ექიმები, რომლებიც ბურჟუაზიას ემსახურებიან, დღეს საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობენ, და მუშათა კლასი იყენებს იმათ ცოდნას. რაც შეეხება ხელოვნებას, აქ საკითხი რასაკვირველია უფრო რთულია, მაგრამ აქაც ისე, როგორც კულტურის სხვა დარგში. ჯერ ერთი ჩვენ არ შეგვიძლიან შევქნათ განსაკუთრებული პროლეტარული ხელოვნება, პროლეტარული კულტურა. ჩვენ არ შეგვიძლიან ვთქვათ უარი მაზედ რაც წინეთ იყო, ჩვენ რომ ამაზე უარი განვაცხადოთ, მაშინ საქმეს დავაფერხებთ დავწევთ უკან. რაც გინდ ბურჟუაზიული, რაც გინდ ფეოდალური იყოს დანტე, ან სერვანტესი, ჩვენ განა შესაძლებელია ისინი ამისათვის უარვყოთ და მუშებს ისინი ვერაფითარ საზრდოს მისცემენ? ვის შეუძლია თქვას, რომ ისინი საჭირო არ არიან. აი სწორეთ ამ მხრით, რომ არ მოხდეს გაუგებრობა უნდა ვთქვათ ერთ-ხელ და სამუდამოდ, რომ ჩვენ პროლეტარულ ხელოვნებას, პროლეტარულ კულტურას ვერ დავისახავთ მიზნათ, ვერ შევქმნით მას რასაც ნიშნავს ეს პროლეტარული კულტურა? ეს ნიშნავს, იმას, რომ ბურჟუაზიას ქონდა თავის კულტურა და ჩვენ ეხლა ერთი ხაზის გასმით ვსპობთ მასო. არა. ჩვენ უნდა შევითვისოთ ის კულტურა, რომელიც ბურჟუაზიას ქონდა და გამოვიყენოთ ისე როგორც ეს ჩვენ გვესაჭიროება, განა ის სამხატვრო კულტურა, რომელიც ბურჟუაზიამ შექმნა შესანიშნავი არ არის თავის ტექნიკით? და თუ დღეს ჩვენი პროლეტარული მწერლები ამას არ მიიღებთ მაშინ თქვენ ვერ შესძლებთ თქვენი ნაწარმოებით კვებოთ ხალხი. მაშასადამე, ჩვენ ვამბობთ, რომ აქ საკითხი დგას ასე: დღევანდელ ჩვენს პირობებში ჩვენ არ ვეხებით ფორმას. ტეხ-

ნიკას, რომელი მწერალი როგორ დასწერს და გაავრცელებს ხალხში. ამას თვით ხალხი დააფასებს. ჩვენს წინაშე დგას საკითხი ასე. ჩვენში მოხდა უალრესი ცვლილება. მოხდა უუდიდესი რევოლიუცია. ეს რვა-ცხრა წელიწადია არსებობს და შეუძლებელია ვთქვათ რომ მწერლებზე, ამ რევოლიუციას, არ მოუხდენია არავითარი გავლენაო. ჩვენ რომ ეს ვთქვათ ეს ტყუილი იქნება. ვერც იმას ვიტყვით, რომ მხატვრობა, მხატვრული ნაწარმოები ყოველივე ამის გარეშე იდგეს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ დიდ მოვლენას არავითარი გავლენა არ მოეხდინა მწერლობაზე. თუ არის ვინმე, ვინც ამას იტყვის, მაშ ის მწერალიც აღარ ყოფილა, ასე რომ ისმის საკითხი: ქართული მწერლობა სცნობს თუ არა ამ რევოლიუციას, რომელიც მოხდა. რომელმაც ძირითადად შესცვალა ყველაფერი, რამაც გაწოიწვია ყოველივე, ის, რასაც მე აქ გაკვრით შევეხე. მე აქ არ შევეხები ფეოდალურ ეპოქის ნაშთების მოსპობას, მიწის საკითხის მოგვარებას. განა იქ, სოფლებში და ქალაქებში არ მოსჩანს ყველა ეს? მაშასადამე ისმის საკითხი სცნობთ თქვენ ამ რევოლიუციას, თუ არა. სცნობთ ამას ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ხალხის საკეთილდღეოდ, თუ არა. რაც შეეხება ფორმას, და სხვა მიმდინარეობას—ფუტურიზმს, სიმბოლიზმს, მოდერნიზმს და სხვას ეს სხვაა: ამას ჩვენ აო შევეხებით. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის თუ როგორ უდგება ჩვენ დიად რევოლიუციას ჩვენი მწერლობა. საკითხი ხშირად გადააქვთ სხვა სფეროში. ამბობენ, რომ დღევანდელ სინამდვილეში თითქო არ იყოს ისეთი რამ მოვლენები, რომელიც მოქმედებდენ მწერალზე, მხატვრის ფსიქიკაზედ და მის შემოქმედებაზე. გვეუბნებიან, რომ დიდი მწერლები ქმნიდენ დიდ თხზულებებს დიდ მოვლენების გავლენის ქვეშ. აღარ გვაქვს დამოუკიდებლობა, არ შეგვიძლია ვსწეროთ თამარის დროზე და სხვა და სხვ. ეს საქმე არაა. განა ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს ცხოვრებაში არ არის ისეთი მხარეები, რომლებიც ბევრათ უფრო ღრმათ მოქმედებენ ხალხზე და მის გრძნობებზე? თუ ასეთი მოვლენები არ არის რომლებიც უნდა დაედვას საგნათ შემოქმედებას, მაშვინ უნდა მოგახსენოთ, რომ იმათ, ვინც ამას ვერ ამჩნევს თვალები დახუჭული უნდა ჰგქონდესთ. ასეთი დიდი გადატრიალება, უდიდესი მოვლენა, რომელიც, ასე თუ ისე, მძლავრათ მოქმედებს ხალხის ტვინზე, ხალხის გრძნობაზე, განა შეიძლებოდა სხვა დროს? არ მგონია, რომ არც ერთ დიდ ეპოქაში ასეთ დიდ ამბებს, ასეთ დიდ მოვლენებს ქონოდა ადგილი. მართალია ყოველივე ამას დღეს კიდევ ვერ ვამჩნევთ, საკუთარ ვერ ვხედავთ. კიდევ განმეორებით მოგმართავთ და გეუბნებით—რევოლიუციას სცნობთ და იღებთ დადებითად? მაშინ ჩვენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენთან ერთად მივდივართ ხალხთან, თქვენ თავისი მხატვრული ნაწარმოებით, ჩვენ კიდევ სხვა გვარი მუშაობით. ჩვენ დიდათ ვაფასებთ მხატვრულ ნაწარმოებს იმისათვის, რომ ამის საშუალებით შეიძლება ლაპარაკი ხალხთან, უფრო ფართო მასასთან,—ეს ანბანური ჭეშმარიტება არის. ეს ასე არის, როგორც პროლეტარული და ბურჟუაზიული რევოლიუციის დროსაც. პროლეტარულ მწერლების საყურადღებოთ უნდა ვთქვა „ორიოდე სიტყვა: პროლეტარული მწერლობა. შემოქმედება დაიწყო მის შემდეგ, რაც რევოლიუციონური მოძ-

რაობა დაიწყო აი თითონ რაედენ კალაძე, რომელიც თითქო მაოლოდ პროლეტარულ კულტურას, პროლეტარულ მწერლობას სცნობს. თითონ რაედენ კალაძეს აქვს ისტორია დაწერილი თუ როგორ გაჩნდნენ ჩვენში [illegible] და პროლეტარული მწერლები. აიღეთ დავითაშვილი. შემდეგ ჩვენ [illegible] ეურნალი, რომელსაც მუშები სწერდენ. არ აკმაყოფილებდა მუშებს არც „ივერია", არც „დროება" და თითონ მუშებმა იწყეს საკუთარი პრესის გაჩენა. ეს არის ჩანასახი ამ პროლეტარული მწერლობის. პროლეტარული მწერლობა დაიწყო მაშვინ, როდესაც ჯერ კიდევ ბატონობდა ბურჟუაზია და მეფე, შემდეგ მოხდა მხოლოდ გაფართოება.

მაგრამ რომ აქ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა, მე ვამბობ, რომ თავის თავად პროლეტარული მწერლობა მაშინ შეიძლება გამაგრდეს, იქცეს ძალათ, თუ ის შეითვისებს წარსულს. რომ ვთქვათ—რაც იყო მორჩა, გათავდა, აღარ არსებობს, არც რუსთაველი, არც ბარათაშვილი, არც დავით გურამიშვილი და ეხლა იწყება ახალი რამ—ამხანაგებო, ეს შეცდომა იქნება. მეორე—მე ბევრჯერ შემიმჩნევია პროლეტარულ მწერლებში, როგორც სჩანს ბევრი ნიჭიერი მწერლები არიან და ისინი გახდებიან მომავალში კიდევ მეტი, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ისინი არ იყვნენ ყალბ ნიადაგზე. მეორე მხრივ ჩვენ ვამბობთ, რომ ყოვლად შეუძლებელია მხატვრული ნაწარმოები იყოს გარეშე ცხოვრებისა. ეს ყოვლად შეუძლებელია, რომ მან არ განიცადოს ის, რაც ხდება ცხოვრებაში—ეს წარმოუდგენელი არის. მესამე—ის, რომ ელებულობთ ჩვენ თუ არა რევოლიუციას, როგორიც ის არის, რომელმაც ხალხში გაიდგა ფესვები, გაიდგა ისე მაგრათ, რომ არავითარ ძალას მისი აღმოფხვრა არ ძალუძს, რაც არ უნდა მოხდეს. წარმოვიდგინოთ გადატრიალებაც რომ მოხდეს, ის, რაც დაიწყო, იმის შეჩერება შეუძლებელია, არ შეიძლება. როგორ უნდა მიუდგეს ამას ჩვენი მწერლობა? საჭიროა, რომ სრულიად საქართველოს მწერლები ერთ კავშირში შევიდენ, დაარსონ ერთი დიდი კავშირი. ამას ხელს არ შეუშლის, რომ აქ სხვადასხვა მიმდინარეობა არის, სხვადასხვა გვარი მიმართულება, ყველას ამათგანს, თუ საჭირო იქნება შეუძლია ქონდეს თავის სექცია. მაგრამ ერთი კავშირი უნდა იყოს, რომელიც აერთიანებდეს ყველა მწერლებს. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს ყველა მიმდინარეობას მწერლობაში, ოღონდ კი რევოლიუციის ნიადაგზე იდგენ, და მასთან არც მიმდინარეობას არ შეიძლება ქონდეს ეგემონობა. რასაკვირველია, არის ეგემონია პროლეტარიატის, მუშათა კლასის ბატონობა, მაგრამ ლიტერატურაში რომელიმე ჯგუფის ხელოვნურათ ეგემონობა შეუძლებელია. აქ არის ყველა მწერლები, რომელნიც კი ღებულობენ, მიიღებენ მონაწილეობას რევოლიუციის. აი მთავარი საკითხი ამ ორ სიტყვაში გამოიხატება.

ეხლა დასასრულ ერთ რამეზე გავჩერდები. ყველას მოსწონს და ყველა ვამაყობთ, რომ ეს ჩვენი ქვეყანა არის ძველი, ტფილისი არის უძველესი, ჭალარა ქალაქი, მაგრამ დარჩება ეს ასეთი თუ არა? არა ველარ დარჩება. აბა მიმოიხედეთ. ეს დახავსებული უბნები, ვიწრო, დაკლაკნილი, ჭუჭყიანი ქუჩებიგანა შეიძლება ასე დარჩეს? ამას წინათ ამოვიარე და ვნახე ჩემი თვალით. შეი-

ძლება ჩვენ ვთქვათ, რომ ეს ერთ დროს კარგი იყო, აქ ერთ დროს ჩვენ ვიმალებოდით და ვერავინ გვნახულობდა, მაგრამ ხალხი მატულობს, ქალაქი იზრდება და ამიტომ ეხლა აღარ შეიძლება ამის ასე დატოვება. ბოლოს ჰიდროელექტრონული სადგური, რომ კეთდება ავჭალაში, ის მოგვცემს ჩვენ ენერგიას ისეთს, რომელიც გამაცოცხლებელ ძალათ დაუვლის ჩვენ ჭალარა ტფილისს და გამოაცოცხლებს, მთლათ გამოსცვლის მას. და მე ვერ წარმომიდგენია მხატვარი, პოეტი, რომელსაც ეს არ მისცემს მასალას. მე ეს დავწერე ამას წინათ და პარიზში მენშევიკებს დაუწერიათ ჩემზე, რომ ტმუტარაკანის პუბლიცისტი არიო. აი აქ ამ ყრილობაზე ესწრება ერთი უმხცოვანესი მწერალი და ყველაზე უფრო მცოდნე პიროვნება, პატივცემული ნიკო ნიკოლაძე და მას შეუძლიან სთქვას,— შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვიამაყოთ ავჭალის ელსადგურით და თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას. ჩვენ ჭალარა ტფილისს ეს აშკარად გამოაცოცხლებს. საქართველოში ჩვენ გვაქვს დაახლოებით სამ ნახევარი მილიონი ცხენის ძალა— ჩვენ ზდიხარეებში. შეიძლება ჩვენ ამ მოკლე ხანში გამოვიყენოთ 30—50.000 ცხენის ძალა. ეს სრულიად გარდაქმნის საქართველოს. ჩვენ მივექანებით სოციალიზმისაკენ. ჩვენ გვაქვს დასახული ეს მიზანი. შეიძლება ვისმე ეს ოცნებათ მიაჩნდეს, შეიძლება ვისმეს ეს უტოპია ეგონოს. მაგრამ ამას ჩვენ არ ვეხებით, ჩვენ ვამბობთ, რომ მაღლა გზაზე არის მწვერვალი, სადაც არავითარი გზა არ არის, მაგრამ აუცილებლათ ეს გზა უნდა გავწალდოთ. ეს მწვერვალია სოციალიზმი. სხვა გზა არ არის. სოციალიზმის გარდა ხალხის გასაბედნიერებლად, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ სხვა გზა, გარეშე სოციალიზმისა, არ არის. ეს არის ის, რაზედაც ოცნებობდენ საუკეთესო შვილები კაცობრიობისა. ჩვენ გვწამს ეს სოციალიზმი, კომუნიზმი, კომუნა. სხვა გზა დღეს კაცობრიობას არა აქვს. ჩვენ მივექანებით იქით მთელი ჩვენი აღმშენებლობით. ჩვენ იქით მივექანებთ ამ ხალხს და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მწერლობა, რომელიც ოცნებობს და ფიქრობს, გრძნობს, რომ მოვალეა იმუშაოს ხალხის კეთილდღეობისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის იმ ხალხთან ერთად, რომელიც სიძნელით მიდის ამ მწვერვალისაკენ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მწერლები ჩვენ მოგვიდგებიან გვერდში ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის ბედნიერებისაკენ (ტაში).

ამხ. მახარაძის ბოლო სიტყვა.

ამხანაგებო, რასაკვირველია, ჩემთვის ძალიან ძნელია თავი მოუყარო ყველა იმას, რაც აქ იყო თქმული. მე მოხარული ვიქნებოდი, რომ კიდევ გაგრძელებულიყო ეს კამათი, ეს დისკუსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოუხერხებელი არის ბევრი მიზეზების გამო, თქვენთვისაც და კერძოთ ჩემთვისაც. მე ძალას ვატან ჩემ თავს, რომ რამე ნაირათ თქვენთან ერთად, ამ მუშაობაში, მივიღო მონაწილეობა. ძალას ვატან არა იმიტომ, რომ არ მინდოდეს, არ ვიყო ამის მოსურვე, არაფერ იმისთვის, რომ გარემოება ხელს არ მიწყობს. არ მქონდა დრო, რომ მომეფიქრებია, ჯამი გამომეტანა აქ ნალაპარაკების. მაშ, მე მიყვები რიგ-რიგობით და შემდეგ საერთო დასკვნას გავა-

კეთებ. რიგ-რიგობით შევეხები ყველა ორატორს, რომელთაც წარმოთქვეს საყურადღებო აზრები და შემოიტანეს წინადადებანი. მე მათ შეძლებისადაგვარად ანგარიშს გაუწევ.

უნდა მოგახსენოთ გულწრფელათ, მე მგონია, დამიჯერებთ, რომ ჩემთვის პირადათ მეტად აღმაფრთოვანებელი იყო მხცოვანი მწერლის, ჩემი ყოფილი მასწავლებლის ამხ. ვასილ ბარნოვის მოკლე, მაგრამ წარმტაცი სიტყვა. ეს მართლაც პოეტური სიტყვაა, მშვენიერი ქართული, რომელსაც ეხლა იშვიათად გაიგონებთ. ამხ. ბარნოვმა აღნიშნა ერთი საყურადღებო გარემოება, ჩვენ არასოდეს ამას გვერდს ვერ აუვლით: ჩვენ—მწერლები—სავსებით ვიღებთ რევოლიუციას, მაგრამ არის ერთი სიძნელე—ეს ის, რომ ჩვენში, მწერლებში ჯერჯერობითი დუღილი ხდება, რომ თვითონ მწერლებს ჯერ არა აქვთ გადამუშავებული თავის გრძნობაში, თავის არსებობაში, რაც მოხდაო. ამხანაგებო მე ამაზე ვუპასუხებ ასე: არის ერთი ქართული ანდაზა „თუ გული-გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო“. ეხლა გადავალ სხვა ორატორებზე: პირველად მე შევეხები ელენტს. მართალია ამხ. ბახტაძემ მომასწრო და სთქვა ბევრი რამ, რაც მე მინდოდა მეთქვა; მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ რამდენადაც კი შეძლება მქონდა ფუტურისტების ნაწერებს ვეცნობოდი, მაგრამ პირადად ფუტურისტების გაცნობის შემთხვევა მე არ მქონია აქამდე; დაწერილი კი მინახავს რუსულიც და ჩვენი ქართველი ფუტურისტების. უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი შენაძენთაგანი ჩემთვის ამ ყრილობაზე არის ის, რომ აქ მე პირველად ვიხილე ჩემი თვალებით ეს ხალხი და დავრწმუნდი, რომ ისინი, არც ისე საშიშარი და გაუგებარი ყოფილან. (ტაში. სიცილი.) გარწმუნებთ, არავის შეურაცხყოფა მე არ მსურს, მით უმეტეს, რომ ამის უბრალო საბაბიც კი ჩემთვის არავის მოუცია. როცა ამხ. ელენტი გამოვიდა ტრიბუნაზე სალაპარაკოდ, მე სმენად გადავიქეცი (სიცილი). მე სასაცილოდ არ მოგახსენებთ; მართალი უნდა მოგახსენოთ, მე სულ სხვა შთაბეჭდილება მივიღე. (სიცილი დარბაზში) ნუ იცინით, ნურც საწყენათ მიიღებს ვინმე. ჩვენ სრულებით არ გედავებით წერის გარეგან ფორმაზე—ეს თქვენი საქმეა. როგორც გსურთ, ისე სწერეთ, მაგრამ უნდა პირდაპირ შეგეკითხოთ:—ვისთვის სწერთ ამ წიგნებს? (სიცილი) ამხანაგი ელენტი ამბობს, რომ აუდიტორია არ ვარგაო. თქვენ ამბობთ, რომ ეს აუდიტორია მთავრობამ უნდა მოამზადოსო. ამხანაგო, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს მოსამზადებელი, რაც აუცილებელია. ჩვენ ანბანა უნდა ვასწავლოთ ხალხს, ჩვენ ელემენტარული ცოდნა უნდა მივსცეთ ხალხს, რომ არ ჩაიფლას უცოდინაროობაში და მის მსხვერპლთ არ გახდეს; უნდა მივცეთ დახმარება საექიმო, უნდა მივცეთ აგრონომიული სწავლა-განათლება. ჩვენ ამის შეძლებაც არა გვაქვს. და თქვენი გაუგებარი ფორმულები ვის ესაჭიროება ასეთ დროს? ეს მე ვერ გამიგია. ამნაირი ბრძოლით თქვენ ფონს ვერ გახვალთ. ამხანაგი ელენტი ამბობს, რომ აქ უნდა იყოს დისკუსია ლიტერატურული და არა პოლიტიკურიო. მე ვამბობ, რომ ეს ყრილობა არის, სწორედ უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე. ლიტერატურული საკითხები თქვენ შეგიძლიათ გაარკვიოთ ლიტერატურის საშუალებით. მაგრამ ამისთვის საჭიროა სწე-

როთ ისე, როგორც დღეს აქ ლაპარაკობდით. მე მაქვს თქვენი [illegible]ოდე გამოცემა „H_2SO_4", „ლიტერატურა" და სხვა. (ხმა: ჩვენი გაზეთები არ გინახავთ) მინახავს, მაგრამ.... (სიცილი). ბესარიონ ჟღენტი ამბობს, თითქოს მე მეთქვას, რომ თქვენ ოლონდ რევოლიუცია იცანით და შერე გიხდ კისერი იტეხეთო. მან ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი. რევოლიუციის ცნობა რას ნიშნავს; ეს არ არის განყენებული საკითხი. ნე მგონი აქ ყველა გაგებული ხალხია და გაიგებს, თუ რომელ რევოლიუციაზე ელაპარაკობთ აქ ჩვენ. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ რევოლიუციაზე, რომელიც მოხდა 1917 წლის 25 ოქტომბერს და რომელსაც ჩვენ განვიცდით ხუთი წლის განმავლობაში. ეს არის სოციალისტური რევოლიუცია.... ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. რაც შეეხება ფორმის საკითხს, წერის მანერას, რომელსაც აქ აყენებენ, განსაკუთრებით ფუტურისტები, —მე ვამბობ, რომ ამას ცხოვრება გადასჭრის, ეს შეჯიბრების საქმეა. მწერალი, რომელიც დასწერს გასაგებათ, უფრო შესათვისებლად, გაიმარჯვებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მართალია ყველამ ისე წეროს, როგორც ეხლა მე ვლაპარაკობ; არა, ამხანაგებო მხატვრობას თავისი კანონები აქვს, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში უნდა გატარდეს იდეა ხალხისთვის სასარგებლო. უიდეო ნაწარმოები არც ერთ თქვენგანს არ სწამს. აზრი უნდა იყოს, რამე იდეა უნდა იყოს, რომელიც მკითხველზედ უნდა მოქმედებდეს; ამ იდეამ უნდა იმოქმედოს მკითხველზე მის უნებლიეთ, შეიძლება მკითხველი ამას ვერც ამჩნევდეს. აი რაშია საქმე. მკითხველმა თითონ უნდა გამოიყვანოს დასკვნა. ფორმის შესახებ ჩვენ რასაკვირველია ვერავითარ გადაწყვეტილებას, ვერავითარ დასკვნას ვერ გამოვიტანთ. ეს პირდაპირ სისულელე იქნებოდა. ეს საქმე ყრილობის საქმე არ არის. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის პირდაპირ ცხოვრების, შეჯიბრების საქმე და იქ ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს.

ერთი ძალიან ჩემთვის საინტერესო ამბავი შემატყობინა ამხ. ჟღენტმა და კიდევ ერთმა ამხანაგმა, მგონი ამხ. რაქდენმა: თითქოს მე პარტიული პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში არ მესმოდეს, ან არ ვიცოდე. შეიძლება ასე იყოს, მაგრამ ამას არავითარი ფაქტი არ ამტკიცებს. ამხანაგებო, თქვენ ამბობთ, რომ შარშან ამხ. ვარდინი კითხულობდა ლექციებს, და ეწეოდა დისკუსიას, მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ვარდინი გამოხატავდა პარტიის შეხედულებას, პარტიულ ხაზს. თქვენ ძალიან შემცდარი ყოფილხართ (ჟღენტი: მე ცეკას რეზოლიუციებზე მიგითითებთ). მე აქ მაქვს ცეკას რეზოლიუცია და თუ გნებავთ წაგიკითხავთ. მე ისეთი არაფერი მითქვამს, რაც ამ რეზოლიუციას ეწინააღმდეგებოდეს. თქვენ კარგათ იცით, ალბათ თუ როგორ მიიღო ვარდინის პოზიცია პარტიამ (ხმა: ვარდინი იბრძოდა). მართალია, იბრძოდა. რა ვუყოთ მერე, თქვენც იბრძვით, ამაში არ არის საქმე. ის, რაც მე აქ ვილაპარაკე, რაც ამხ. ბახტაძემ ილაპარაკა—აი ეს არის ჩვენი პარტიული ხაზი, ჩვენი პარტიის პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში. ნურას უკაცრავათ, თუ ზოგიერთებს ეს არ მოსწონთ. ვარდინს ეს არ მოსწონს. ძალიან ვწუხვართ, რომ თავის დროზე ამას არ მივაქციეთ ყურადღება და პროლეტარულ მწერლობის ასოციაცია ცოტა შეცდომაში იქნა შესული და ფუტურისტებიც.—ჩვენ გვინდა შევქმნათ ახალი ლიტერატურაო—

ამბობს ამხ. ელენტი,—ახალი ფსიხიკა, კულტურაში ტრანსფორმაციაუნდა მოახდინოთო. ძალიან კარგი. მაგრამ როგორ, რა გზით. აქ მე შევეხები კიდევ ამ საკითხს; რას ნიშნავს პროლეტარული კულტურა, პროლეტარული მეცნიერება! საქმე ის არის, როგორ ესმით ეს პროლეტარული კულტურა. თუ ესმით ეს ისე, რომ ჩვენ ძველი, რაც იყო აქამდე არ ვსცნოთ, სრულებით გადავაგდოთ, ახალი კულტურა დავაარსოთ- ამხანაგებო, ეს შემცდარი აზრი არის. ჩვენი პარტია ასეთ შეხედულებას არ იზიარებს. თქვენ ხშირათ ამბობთ: – ლენინი, ლენინო. კიდევ ერთხელ წაგიკითხავთ მის სიტყვებს, რათა ყოველივე გაუგებრობას აქ ბოლო მოელოს. აი რას ამბობს ლენინი: „Задача соединить победоносную пролетарскую революцию с **буржуазной культурой, с буржуазной наукой и техникой... Нам** бы для начала достаточно настоящей буржуазной культуры.. **В вопросах культуры торопливость и размажистость вреднее всего.** Это многим из наших **юных литераторов и коммунистов следовало бы намотать хорошенечко на ус.**" აი როგორ დგას საკითხი.

ამხ. ელენტი მისაყვედურებს, თითქოს მე რაღაც აბსოლიუტურ. მარადიულობაზე ვლაპარაკობ ლიტერატურაში. თქვენ ვერ გაიგეთ. თქვენ არ უწევთ ანგარიშს ცხოვრებას, სინამდვილეს. აეილოთ მაგალითად, სოფოლკე. გინა შეიძლება ვსთქვათ: „მორჩა, გათავდა, ის ძველს ეკუთვნის, ჩვენ არ გვინდა". მარადიულია ეს თუ არა? ჰომეროს ეხლაც სიამოვნებით ვკითხულობ, სამწუხაროდ დრო არა მაქვს, თორემ ეხლაც წავიკითხავდი. (ვრიშაშვილი: მარქსიც კითხულობდა). მას შემდეგ ხელოვნება გაიზარდა, მაგრამ აქ არის რაღაც ისეთი, რაც ყველა ეპოქისათვის, ასე თუ ისე, საინტერესოა. აეილოთ კიდევ დანტე, სერვანტესი, ბაირონი, როგორ გნებავთ, მარადიული არის აქ? არა, მარადიული არ არის, როგორც ეს იდეალისტებს აქვთ წარმოდგენილი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს ფაქტია—ისინი დღესაც საინტერესონი არიან. ამ ფაქტების უარყოფა არ შეიძლება. თქვენ ლაპარაკობთ—დავარღვევთ ტრადიციებსო, ვინ გიშლით ხელს, დაარღვიეთ. მაგრამ ეს არ შეიძლება ზარბაზნით, ტყვიისმფრქვეველით. არა, ეს ასე არ შეიძლება. თუ თქვენ შეჰქმნით ისეთ რამეს, რომ დაგვავიწყებთ ყველა ძველს მწერლებს, კარგი და პატიოსანი, მაგრამ სინჯეთ, ჯერ შეჰქმენით და მერე დაიკვეხნეთ.

პროლეტარული კულტურა, პროლეტარული პოეზია, პროლეტარული ხელოვნება, როგორც გუშინ მოგახსენეთ, გუშინ არ დაწყებულა,—ეს დაიწყო მაშინ, როდესაც დაიწყო მუშათა მოძრაობა, როდესაც დაიწერა ინტერნაციონალი, რომელსაც მღერით. აბა როდის არის ეს დაწერილი? (ხმა ადგილიდან: 60 წლის წინეთ).

სამოცი წლის წინეთ. აი რა დიდი წარსული აქვს, პროლეტარულ მწერლობას და ხელოვნებას, და თქვენ კი გგონიათ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ გუშინ დაიწყო, რომ მხოლოდ თქვენ ხართ მისი დასაწყისი.

კიდევ ერთი დებულება ფუტურისტების და აგრეთვე პროლეტარული მწერლობისა, ამხ. ზომლეთელზე არ ვამბობ. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ უკიდურესათ მე-

მარცხენე მწერლები ვართო. თქვენ გგონიათ მემარცხენეობა ყოველთვის კარგია. ყოველთვის კი არ ვარგა ეს მემარცხენეობა, თქვენ არ წაგიკითხავთ ლენინის წიგნი „მემარცხენეობის საბავშო სენი". რანაირი მემარცხენეობა არის თქვენი მემარცხენეობა? ჩვენ დღეს გვესაჭიროება დადებითი მუშაობა, და თქვენ თუ ყოველისფერში მემარცხენეობა გამოიჩინეთ, ალბათ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგაც უნდა წახვიდეთ, რადგანაც კომუნისტურ პარტიას უჭირავს ხელში მართვა გამგეობა დღეს. და თუ თქვენ ძალიან მემარცხენე ხართ, მაშინ თქვენ იმას უნდა ებრძოლოთ. არის გარემოება, მართლაც როდესაც მემარცხენეობა კარგია; წაბრძანდით ევროპაში აი იქ შეიძლება გამოდგეს თქვენი მემარცხენეობა. (ხმა. რუსეთში) რუსეთში, ეს გარემოება არ არის სრულიად მისალები. და ეს მემარცხენეობა საეჭვოა ძალიან. ჩვენ არ გხუთავთ, თქვენ გამოეცით თქვენი ნაწარმოები (რუსეთშიაც ხომ სწერენ). დიახ სწერენ, მაგრამ თქვენ აქ ჰეგემონია გინდათ ჩამოართვათ პროლეტარიატს და თქვენ გსურთ მიითვისოთ. (ხმები: არა, არა, სრულიადაც არა) დიახ ასე არ ამბობთ, მაგრამ ასე გამოდის.

გადავდივარ მეორე ორატორზე—ამხ. კოტეტიშვილზე, რომელიც აქ გამოვიდა ორჯერ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით. როგორც ამხ. ბარნოვიც. უნდა მოგახსენოთ, რომ მე სრულიათ ეჭვი არ მეპარება არც ერთ მოლაპარაკე ამხანაგის სიტყვებში. ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებობით ყველა გულწრფელნი იყვნენ, ზოგი მეტათ და ზოგი ნაკლებათ. მე ამაში ეჭვი არ შემაქვს. მხოლოდ რამოდენიმე დებულებაში მას ვერ ვეთანხმები. მართალია, მეც ვამბობდი გუშინ და ახლაც მოგახსენებთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის მწერლები მომწონს და ვკითხულობ, მაგრამ თქმა იმისა, რომ ჩვენი მწერლები მუდამ რადიკალები იყვნენო არ არის სწორი. აქ ითქვა, რომ მართალია, ისინი თავადები იყვნენ, მაგრამ სწერდენ მუშა ბოქულაძეზე, სწერდენ ბორკილების დამტვრევაზე, პარიზის კომუნაზე და სხვა, მაგრამ ყველაფერი ეს ასე არ იყო. ეს იყო მართალია, მაგრამ იგივე ავტორები ვერ იცავდენ ბოლომდის ლოლიკას. იმათი ნაწერები თუმცა კარგი იყო, მაგრამ სინამდვილეში ეს არ იყო ასე, მაგ. ილია ჭავჭავაძის პრაქტიკული მოპყრობა გლეხებთან, — სამწუხაროა ანაზე ლაპარაკი, მაგრამ ამას ადგილი ჰქონდა 1905 წელს. როდესაც გლეხკაცობა აზვირთებული იყო, ილია ჭავჭავაძეც ისე იქცეოდა, როგორც უბრალო მემამულე, ასეთივე იყო აკაკიც. ამ ფაქტებს ვერ წაუვალთ. ეს ხალხი იყო განათლებული ხალხი. სწერდენ ზოგ შემთხვევაში საუკეთოვოდ, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ისინი პირდაპირ წინააღმდეგი გამოდიოდნენ იმისა, რასაც სწერდენ. ამხ. კოტეტიშვილიც და სხვებიც უსვამენ აქ ხაზს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ვიყავით დაჩაგრული ერი. ამას არავინ არ უარყოფს. ამგვარ მოვლენას ჰქონდა ადგილი, ჰქონდა გავლენა ჩვენს პსიხიკაზე. და ამან შეჰქმნა ნაციონალისტური სულისკვეთება ჩვენში. და მას მოჰყავს ლენინის სიტყვები, რომელიც ახასიათებდა, მაგალითად ზოგიერთ კომუნისტებს—ველიკოროსებს. მართალია ეს. მაგრამ შეიძლება, ქართველ კომუნისტებშიაც იყვეს ასეთივე მიმართულება. რა თქმა უნდა, ეს არ არის კარგი. ამის წინააღმდეგ ვიბრძვით, ამის წინააღმდეგ იბრძვიან ჩვენი უმაღლესი დაწესებულებები, როგორც პარტიული, ისე საბჭოების. თქვენ იცით ამხანა-

გებო, რომ ჩვენი პარტია იმ ერებს, ყოფილ დაჩაგრულ ერებისათვის ყოველივე ზომას ღებულობს რომ ნამდვილი გათანასწორება მოხდეს. მართალია ეს ადვილი არ არის, ეს ძნელი საქმეა, იმიტომ, რომ ეს ხალხნი კულტურულათ სხვადასხვა საფეხურ-ზე მდგომნი არიან, ჩამორჩენილნი არიან, კულტურულათ, ეკონომიურათ და, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის ამ გათანასწორების განხორციელება. რა თქმა უნდა ჩვენ, ქართველები, არ ვეკუთვნით ასეთნაირად ჩამორჩენილ ხალხს. მე ერთმა ამხანაგმა ამ ყრილობაზე კიდეც შემნიშნა, როდესაც ელაპარაკობდი გადაგვარებულ ხალხთა აღორძინებაზე, — ეს ხომ არ ეკუთვნის ქართველ ერსო. არა, რა თქმა უნდა, არ ეკუთვნის. ჩვენ ძველი კულტურა გვაქვს. მაგრამ მე რას ვამბობ? მე ვამბობ იმას, რომ საერთოდ ჩვენი განვითარება, ჩვენი ეროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა კავშირში, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. რაც უნდა ნაკლი ქონდეს მას, ჯერ იდეალი ქვეყანაზე არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი უახლოვდება ამ იდეალს. რა თქმა უნდა, აქაც არის ბევრი რამ, რაც საჭიროებს უეჭველად, რომ თავიდან იქნას აცილებული. ამ შემთხვევაში რასაკვირველია, ყველა თქვენგანს ბევრი რამეს გაკეთება შეუძლია. სხვათა შორის, ამხ. კოტეტიშვილი ამბობდა: „თქვენ გაინტერესებთ მსოფლიო, ჩვენ გვაინტერესებს მარტო საქართველო, ქართველი ხალხი". ამაში თქვენ ვერავინ ვერ გისაყვედურებთ. მაგრამ კაცია და ბუნებაო, ნათქვამია. ერთი რამ უნდა მოგახსენოთ ამხ. კოტეტიშვილის ნათქვამიდან, რომელსაც მე ვუსვამ ხაზს და ამხ. კოტეტიშვილს ვთხოვ და ყველას, ვინც მწერალთა კავშირიდან არის, თუ ისინი ასე უყურებენ საკითხს — ეს არ ივარგებს. ეს ის, რომ სულ ერთია, რომელი მთავრობა არ იყოს, ჩვენ ყველა მთავრობას დავუჭერთ მხარსო (კოტეტიშვილი: არა ბატონო, მე ეს არ მითქვამს). (ხმები: ეს გამსახურდიამ სთქვა). (გამსახურდია: ყველა ქართველ მთავრობას, ბატონო). ერთი სიტყვით, ასე იყო ნათქვამი. რაც შეეხება უმოქმედობას, ამხ. კოტეტიშვილმა გამოაქვეყნა აქ დოკუმენტები, რომელიც მოწმობს, რომ ამხ. კოტეტიშვილი და მისი ამხანაგები რამდენადაც შეეძლოთ, მუშაობდენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, თუმცა არ უარჰყოფს, რომ ყოფილა ხანა, როდესაც აქ ყველაფერი კარგად არ ყოფილა. მაგრამ რაც იყო. თქვენც სთქვით და ჩვენც ვამბობთ, რომ იყო ერთგვარი ანორმალური მდგომარეობა. ეს ყრილობა იმისთვის არის მოწვეული, რომ ამას ბოლო მოეღოს.

ეხლა ამხ. კალაძის შესახებ. საერთოდ მან სთქვა იგივე, რაც ვთქვი მე, მხოლოდ ერთ რამეს გაუსვა ხაზი, თითქო მე პარტიულ პოლიტიკას ვერ გამოვხატავდე, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

შემდეგ, ამხ. პეტრე ქავთარაძეზე. ამხ. ქავთარაძემ წაიკითხა აქ ამონაწერი ერთი ქართველი მწერლის ნაწერიდან, სადაც ნათქვამია თუ რანი ვიყავით ჩვენ და რანი ვართ ეხლა. მე ბევრი მინახავს, ამხანაგებო, ძველი ნაშთები. გაოცებას ვეძლეოდი. ასეთი ნაშთებია არა მარტო საქართველოში, სხვაგანაც მინახავს, თუ გინდ ჩვენს მეზობელ სომხეთშიაც. ამას წინათ იქ ვიყავი და ვნახე ძველი ქალაქის ნანგრევი, უკაცრავათ სახელი არ მახსოვს, სადაც მიწერია. ძველი ქალაქის ნანგრევი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ

ალმოაჩინეს, მიწა გათხარეს (ხმა ადგილიდან: ანისი). არა, მე მოგახსენებთ შემდეგ მაგ სიტყვას. იქიდან სჩანს, რომ მართლა დიდი კულტურა ყოფილა, დიდი ძველი კულტურის ნაშთია, ლურსმული წარწერები. (ძეტრეველი: ვართანოზი გახლავთ). დიახ ეგ არის. ძველათ რა ერქვა, არ ვიცი, ეხლა კი ვართანოზს ეძახიან. ამბანაგებო, ყველაფერი ეს კარგია, ჩვენშიც არის უდიდესი ნაშთები. მე მგონია ამის ჩამოთვლა საჭირო არ არის. მართალია, ყველაფერი ეს ყოფილა, მაგრამ განა შეიძლება ეს ძველი კულტურა შევადაროთ ახალ კულტურას? რაც უნდა იყოს, ეს კულტურა იყო მონობის კულტურა. ყველაფერი, რაც კეთდებოდა, კეთდებოდა მონების საშუალებით. თვით ეს კულტურა საკუთრება იყო რამოდენიმე პირის, რომლებიც კისერზე ასხდენ ხალხს. განა შეგვიძლია ჩვენ ეს კულტურა იდეალად დავისახოთ? კარგი კულტურა იყო ძველ დროში, მაგრამ ისიც ვიცით რა იყო, რას ნიშნავდა ეს კულტურა. საერთოთ ამხ. პეტრე ქავთარაძე უერთდება ჩვენს პოლიტიკას, ღებულობს მომხდარ რევოლიუციას, და ჩვენთვის ესეც საკმარისია. (მიხ. ჯავახიშვილი: ქავთარაძეს სიტყვა არ დაამთავრებინეს).

გამსახურდია ისე გრძნობს თავის თავს, როგორც შევიწროებული. ის გრძნობს, რომ მას ნაკლები გასაქანი აქვს, და თხოულობს ქართული მწერლობის ჰეგემონიას. პირდაპირ მისი პროგრამა მაქსიმუმი ნიშნავს ქართველი მწერლობის ჰეგემონიას საქართველოში. იგი ასახელებს ფაქტებს. მე უარს არ ვყოფ, შეიძლება ვიტრინებში არ არის ქართული წიგნი, „თუ არის—ისიც გადამალულია-ო". თუ ეს ასეა, ეს დაუშვებელია, და ვინც ამაში დაბნაშავეა, პასუხს მოვთხოვთ. მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ რუსული წიგნი ქართულს ჩრდილავსო, უნდა მოგახსენოთ, რომ რუსული წიგნი ბევრი იბეჭდება და მას ჩვენ კარებს ვერ ჩაუკეტავთ (გამსახურდია: მართალია) და ქართველ მწერლებს რომ მიეცეს მეტი ასპარეზი მოქმედებისა, ამას ჩვენ ვცდილობთ და დღევანდელი ყრილობაც, მე მგონია, ამისი დამამტკიცებელია. რომ ჩვენ სერიოზულად უყურებთ ამ საკითხს ამაში, მე მგონია, თქვენ ეჭვი არ შეგაქვთ. ნაკლი, რასაკვირველია, ბევრია, მაგრამ ნაკლს გაბოსწორება უნდა, და ეს თქვენზედაც არის დამოკიდებული, თქვენს საქმიანობაზე, თქვენს კავშირზე. გეტყვით გულახდილად, რომ საერთოდ კარგი აზრის არ არიან საქართველოს მწერლებზე, საქართველოს ინტელიგენციაზე, გელაპარაკებით ამას გულახდილად. ამაში წილი თქვენც გიდევთ, ეს თქვენზედაც არის დამოკიდებული.

ახლა გადავდივარ ამხ. პაოლო იაშვილზე. მისმა სიტყვამ, მე მართალი გითხრათ, სირცხვილში ჩამაგდო. აქ რამოდენიმე უყურადღებობა მართლაც არის ჩვენის მხრით. თითქმის არც ერთ პასუხისმგებელ მუშაკს დღემდის არ შემოუდგამს ფეხი ხელოვნების ამ ტაძარში. მე, მართალი მოგახსენოთ, სხვა რესპუბლიკებში მიხდებოდა ასეთ დაწესებულებებში მისვლა. როგორ ხდება ეს, თქვენც იცით. როცა დასვენების დრო გვაქვს, ჩვენ გვატარებენ და გვაჩვენებენ. უნდა მოგახსენოთ, რომ პირადად მე რამდენიმეჯერაც გავიფიქრე მოსვლა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოვედი, და თანაც ვფიქრობდი: შეიძლება არც ესიამოვნოთ მეთქი ჩემი მისვლა. მართალია, ეს არა ნორმალური მდგომარეო-

ბაა, მაგრამ აწი მაინც დაუახლოვდებით ერთმანეთს. მეტს ამბ. პოლოს შესახებ არაფერს ვიტყვი.

ახლა ამბ. სიმონ ჩიქოვანზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან მომეწონა მისი ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ ის ფუტურისტია (სიცილი დარბაზში). მან სთქვა აქ, რომ რაღაც არევ-დარევა არის ჩვენშიო, და მას სწადიან კავშირი და კავშირში ყოფნა. მაგრამ ეს ზეხლა-შემოხლა ხელს უშლის ჩვენს საერთო მუშაობასო. იგი აქ მართალია. ის შეეხება მიდგომის საკითხსაც და ამბობს, რომ ახლა ლექსი სააგიტაციოდ საჭირო აღარ არისო, და სხვა. მაგრამ ეს ისეთი საკითხია, რომელიც თქვენზეა დამოკიდებული. ლექსის დაწერა დაკვეთით არ გამოდგება. დაკვეთა შეიძლება პუბლიცისტური წერილისა, კრიტიკისა, და ლექსის დაკვეთა კი შეუძლებელია. დაკვეთილი ლექსი, ან მოთხრობა ჭამოვა კაზიონური; კაზიონური კი არაფერი ვარგა, არც კომუნისტური ვარგა კაზიონური.

ახლა გადავალ ამბ. ესაკიაზე. ეს არის ასოციაცია პროლეტარული მწერლებისა. (ხმა: არა, ეს „რამია". მეორე ხმა: რაღი კი არა, ხრამია). უნდა მოგახსენოთ, რომ მე თანაუგრძნობ მათ, მე საესებით ვიწონებ იმათ ენერგიას, რომელსაც ისინი გრძნობენ თავის ახალგაზრდა არსებაში, და რომელთაც სწამთ, სჯერათ, რომ ისინი დიდ საქმეს ჰკიდებენ ხელს და შეასრულებენ. ეს, რასაკვირველია, ახალგაზრდული აღტაცებაა, რომელსაც ყველა ჩვენგანი სიამოვნებით მიეგებება. სურვილი დიდი აქვთ. კარგია, მოსაწონია, ამას ლაპარაკი არ უნდა. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მაინც უნდა უთხრათ ახალგაზრდობას, რომელსაც სურვილი აქვს ბევრი საქმე გააკეთოს. ეს უნდა მოუწონოთ, მაგრამ ამავე დროს უნდა შევნიშნოთ: არ ვარგა, აბხანაგებო, ნამეტანი დიდი წარმოდგენა თავის თავზე, რომ ვითომ თქვენგან იწყება ახალი რამ, და აქამდის კი თითქო არაფერი არ ყოფილა. ისინი თავის დეკლარაციაში აცხადებენ: საბჭოთა საქართველოში ყველა მემარცხენე და რევოლიუციონური ძალები მომავალში ჩვენთან იქნებიანო. ძალიან კარგი, ეს დამოკიდებულია მათი შემოქმედების კოეფიციენტზედ. ჩვენ ასეთი განცხადების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ჩვენ ხელსაც კი შეუწყობთ მათ, თუ კი მართლა ამას განახორციელებენ, მაგრამ მხოლოდ ვაფრთხილებ, რომ ნამეტანი გატაცება საშიშარია, მას ხშირად მოჰყვება დაბლა დაწევა. თავის ძალების მეტის მეტად გაზვიადება არ ვარგა. მე ახალგაზრდობას ვაფრთხილებ. თქვენ ეხლა დრო გაქვთ, საუკეთესო დრო გაქვთ, რომ ისწავლოთ, ბევრი რამ შეიძინოთ (ჯავახიშვილი: „რამ"-ს სჭირია კიდევ ბევრი რამ შეიძინოს). თქვენ ბევრი გაქვთ შეთვისებული, მაგრამ ბევრი რამ კიდევ გაკლიათ. ისწავლეთ, ისარგებლეთ ბედნიერი დროით. თქვენ ცხოვრობთ ისეთ ბედნიერ დროში, რომელიც არავის არ მოსწრებია, თქვენისთანა ახალგაზრდებს აქამდის. თქვენ ბევრი შესაძლებლობა გაქვთ. თქვენ გაქვთ ლიტერატურა. მაგრამ თქვენ გესაჭიროებათ სწავლა, განვითარება, ცოდნის შეძენა, ტექნიკის შეძენა. თუ გინდ ავიღოთ თქვენი ლექსები, არ ვარგა ჯერ თქვენი ტექნიკა (სიცილი). გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ აქ რამდენადმე ფუტურიზმის გავლენაც არის. იმათ, რასაკვირველია, თქვენ არ უნდა მიბაძოთ.

ამხანაგებო, მე მგონია, რომ თითქმის შევეხე ყველა ამხანაგებს, რომელთა გამოსვლას განმარტება ესაჭიროებოდა.

ეხლა მე შევეხები უკანასკნელ ორატორს, ამხ. ინგოროყვას, მეს მიერ წამოყენებულ პრაქტიკულ წინადადებებს. რომ ბევრი არ გავაგრძელო, უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაც ჩვენი ლიტერატურა დღევანდელ დღეს დიდ განსაცდელშია იმ მხრივ, რომ უძნელდება მოხლვაეებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ჩვენს ლიტერატურას დღეს მფარველობს ხელისუფლება, მაგრამ ჩვენი ლიტერატურა არის სხვისი გავლენის ქვეშ, რუსული ლიტერატურის გავლენის ქვეშ. ეს, რასაკვირველია, თავისთავად, არსებითად კარგი მოვლენაა. ამის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ხშირად ეს გავლენა ამახინჯებს ქართულ ენას, ეს რუსიციზმი ხშირად გაუგებარია და ამახინჯებს ქართულ ენას. გარდა ამისა, შემოაქვთ გაუგებარი ტერმინალოგია. აი ვიცი თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ ასეთი ტერმინი, როგორც ბეითალმანი, მე მგონია არ არის მისაღები. (ძამედ აბაშიძე: ეს არაბული გახლავთ). თუ გნებავთ, ოსმალურიც იყოს, ძხოლოდ გაუგებარი კი არის. (ხმა ადგილიდან: მთელი კახეთი ასე ლაპარაკობს). შეიძლება, მაგრამ არის ტერმინები, რომელიც ძალიან უხერხულია და ამახინჯებს ქართულ ენას, იმ მშვენიერ ენას, რომელზედაც აქ ჩვენი მხცოვანი მწერალი ბარნოვი გელაპარაკებოდათ. რაიმე ხომები უნდა მივიღოთ ამის წინააღმდეგ. ამხ. ინგოროყვა აყენებს საკითხს ქართული სიტყვიერების ინსტიტუტის შექმნის შესახებ. მე ორივე ხელით ვიზიგებები ამას. ბიეგებები აგრეთვე აკადემიური ლექსიკონის გამოცემას. ესეც დიდი საქმეა, რასაკვირველია. ეს ქართული სიტყვიერების ჩამოყალიბება, ზეპირსიტყვაობის შეკრება. ეს ყველა უკამათოდ მისაღებია. ამხ. ინგოროყვას შენიშვნა იმაზე, რომ პატარა ერების ნაციონალიზმი დასაძრახი არ არისო, შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ როგორი ნაციონალიზმი? საქმე ტაქტიკაშია. რა თქმა უნდა, ქართველს ქართველი ხალხი უყვარს, მაგრამ რანაირად გაატარებ ამას ცხოვრებაში, აი საქმე რაშია. საუბედუროდ, ჩვენ საქართველო მივიღეთ აჩრელებული. მაგრამ რას იზამ? ჩვენი ისტორიის შედეგია ეს. ეს ართულებს ჩვენს საქმიანობას, მაგრამ რა გაეწყობა? მე დანაშაულად არ ვთვლი, რომ საქართველოში ინტელიგენტს ეს თვისება ჰქონდეს. მაგრამ ამ სულის კვეთებამ არ უნდა მიიღოს ისეთი ფორმა რომ ჩვენ შეკვარცხვინოს ყველა ხალხების წინაშე, ჩვენხედ ისედაც ცუდი წარმოდგენის არიან, ამბობენ, ვითომ ჩვენ შოვინისტები ვიყოთ. ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ საზოგადოთ მწერლობის შესახებ. აშკარად უნდა გითხრათ: აი შეგვიძლიან, რომ ჩვენი მწერლობა ხელისუფლების გარეშე იდგეს. კარგად იცით, რომ მწერლობა ყოველთვის, ამა თუ იმ მთავრობის იარაღს წარმოადგენდა ხალხის წინააღმდეგ. ცდილობდნენ ხალხს არ გაეგო სიმართლე, ჰეშმარიტება. მას ჰკვებამდენ იმით, რაც ერთ მუჭა გაბატონებულს აინტერესებდა. უკარნახებდნენ თავის სურვილებს. აქ ვეტყვით ერთ კურიოზულ ამბავს: გაზეთებში წაიკითხავდით, რომ მისისიპის შტატში, ე. ი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოუცია კანონი, რომ შკოლებში დარვინის თეორიის სწავლა აკრძალონ, ე. ი. აკრძალულია ის, რაზედაც ემყარება მთელი მეცნიერება. მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ ამ მი-

სისიპის შტატს დიდად აინტერესებს დარვინის თეორია? სულაც არა. მას აინტერესებს ე. ი. აშინებს მხოლოდ **მარქსიზმი**. თუ დარვინს აკრძალავენ, მარქსს ხომ სულ არ გააჭაჭანებენ. საბჭოთა ხელისუფლება დაინტერესებულია იმაში, რომ ხალხმა გაიგოს მთელი ჭეშმარიტება,—როგორც დარვინის, ისე მარქსის თეორია. ამიტომ ვაქცევთ ჩვენ ყურადღებას ლიტერატურას და დაინტერესებულნი ვართ იმაში, რომ ხალხს მივაწოდოთ საღი ცოდნა, რომ მას გონება გახუვითაროთ და გავანთავისუფლოთ ცრუმორწმუნეობიდან. რა თქმა უნდა, ყველა ამაში ლიტერატურა უდიდესი იარაღია სახელმწიფოს ხელში, და ეს იარაღი მან უნდა გამოიყენოს. აი ამხანახებო, ყოველივე რაც მე აქ მინდოდა მეთქვა. მე კმაყოფილი ვარ, რომ ამ ყრილობაზე თავი მოიყარა ყველა ქართველმა მწერლებმა, ყველა მისმა მიმდინარეობამ. შეიძლება, ჭეშმარიტება სავსებით, არც ერთ მის მიმდინარეობაში არ იყოს, მაგრამ ამ ჭეშმარიტების ნაპერწკლები ალბად გაფანტულია ყველა მიმდინარეობაში. ამიტომ ნუ იქნება ქართველ მწერალთა კავშირი კარჩაკეტილი. დაუშვათ კავშირის ფარგლებში, თავის წრეებში ყველა მიმდინარეობანი.

შესაძლოა, რომ ამ ყრილობას ორნაირი შედეგი მოჰყვეს: ერთი ის, რომ მართლაც ამ ერთ ფარგალში შევსძლებთ ერთი-მეორის გატანას, და ამავე დროს ვისარგებლოთ იმით, რაც მეორეს აქვს და პირველს აკლია. და საერთო ძალით ვემსახუროთ საქმის წინსვლას. შეიძლება მეორე შედეგიც,—რომ ყრილობამ ვერ მოახდინოს ეს შეკავშირება და კიდევ უფრო მეტად დააშოროს სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობანი, უფრო მეტად იქნეს კინკლაობა და ერთი-მეორის უთანხმოება კიდევ გაძლიერდეს. მე მსურს ოპტიმისტი ვიყო, ყრილობაც საერთოდ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას პირველი შედეგი მოჰყვება,—ე. ი. ერთ დიდ კავშირში მოიყრის თავს ყველა ქართველი მწერალი, ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ აქ ისინი გაითქვეფებიან ან და მათ არ ექნებათ სექციები,—რაც გნებავთ, ის დაარქვით. ამის მოწყობა შეიძლება, მაგრამ საერთო საქმე, ქართული მწერლობის საქმე, რომელიც ყველა აქ მყოფს სწამს, აუცილებლად მოითხოვს, რომ ყრილობამ გამოიტანოს ისეთი დადგენილება, რომ ყველა მიმდინარეობანი შედიოდენ ერთს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირში, და აქ პოულობდენ საზრდოს, აქ აშუქებდენ ყველა იმ საკითხებს, რომელიც ექნება ქართულ მწერლობას, და საერთო ძალით ხელს შეუწყობენ ლიტერატურის განვითარებას, წინ წაწევას მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ყრილობა მართლაც იქნება ისტორიული მნიშვნელობის, და გაუსვამ ხაზს, რომ ძველ მდგომარეობას, ე. ი. იმ დაქსაქსვას იმ მდგომარეობას, რომელიც იყო აქამდე, გაუგებრობას, რომელიც იყო მთავრობის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების და ქართველ მწერლობის შორის, იმ უნდობლობას, რომელიც იყო ერთი და მეორე მხრითაც, ადგილი აღარ ექნება. და ქართველი მწერლობა ხელი-ხელ ჩაკიდებული საბჭოთა ხელისუფლებასთან, და პარტიასთან, შეასრულებს იმ დიდ ისტორიულ საქმეს, რომელიც ყველას დაკისრებული გვაქვს. (ხანგრძლივი ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის ქრონიკა.

■ დია ჩიანელის ახალი რომანი. ქუთაისში იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ცალკე წიგნათ დია ჩიანელის ახალი რომანი: „გიონ დარანა“.

■ ქუთაისში დაარსდა უახლეს მწერლების კორპორაცია. კორპორაციას აქვს თავისი საკუთარი ორგანო „უშბა“, რომლის ორი ნომერი უკვე გამოვიდა.

■ ბათომში გამოვიდა ყოველთვიური საეხატვრო სალიტერატურო ჟურნალი „აჭარისტანი“ № 2. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები და წერილები: ს. ესენინის, გრ. გორგაძის, ს. წეველის და სხვ.

■ დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლათ, საქართველოს სახელგამის მიერ გამოცემული, მიხ. ჯავახიშვილის „მოთხრობების კრებული, რომელშიაც მოთავსებულია: „პატარა დედაკაცი“, „ყბაჩამ დაიგვიანა“, „მართალი აბდულაჰ“, და „ოქროს კბილი“. იბეჭდება და მალე გამოვა ამავე ავტორის მეორე წიგნიც, სადაც მოთავსებული იქნება სამი მოთხრობა: „ორი განაჩენი“ „ლამბალო და ყაშა“ და „მუსუსი“.

■ სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს და ახლო ხანში გამოვა შემდეგი ავტორების წიგნები: გრ. რობაქიძე: „მალშტრემ“, „ლინდა“, „ლამარა“— ერთ ტომად. ბაჭუა კუპრაშვილი: „ამბაკო სამანიშვილი“ (მოთხრობა) და უიტმანის „რჩეული პოემები“—თარგმ. კონსტ. გამსახურდიასი.; ბ. ბიბინეიშვილი: „მე-ოთხედი საუკუნის მანძილზე“ (მოგონებანი).

საredაქციო კოლეგია: | ვ. გახტაძე. | მ. კახიანი.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა ★ თბილისი ★

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა.

საქართველო.

		გვერ.
1.	**კარლო კალაძე**—ნახტომი გულიდან.	7
2.	**რაჟდენ გვეტაძე**—წვიმიან დღეს	9
3.	**ალიო მაშაშვილი**—ბტკვარისტანი	11
4.	**კონ. ლორთქიფანიძე**—შეხვედრა.	13
5.	**ალ. ქუთათელი**—ქუთაისი.	15
6.	**ნიკოლოზ მიწიშვილი**—გარდაცვალება	17
7.	**გრიგოლ რობაქიძე**—გველის პერანგი (გაგრძელება)	31
8.	**ვ. მალაქიაშვილი**—სამნი (გაგრძელება)	73

დასავლეთი

9.	**უპტონ სინკლერი**—მეფე ნახშირი (გაგრძელება) თარ. კ. ჭიჭინაძისა	99

კრიტიკა, მხატვრობა და მეშუარები.

10.	**ფ. მახარაძე**—საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში	149
11.	**ა. ჭელიძე**—წერილები საარსეთიდან	177
12.	**ა. ჭყონია**—კრიტიკული შენიშვნები ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე	197
13.	**ფ. მახარაძე**—მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები (სიტ. წარმოთ. ქართ. მწერალთა კავშირის ყრილობაზე)	229

ბიბლიოგრაფია და ქრონიკა

14.	ლიტერატურის ქრონიკა	2[illegible]

ფასი ორი მანეთი

И.ф 6/12